ქართველი პროზაიკოსები

XXVII

ილია ჭავჭავაძე

პატარა რამე რაც გაგაცხარებდა



84 Гр — 483 Гр 3
894. 631 — 3 894. 631. 09
р 137

სარედაქციო კოლეგია:

რ. თვარაძე
ი. მალრაძე
ა. სულაკაური
გ. ფანჯიკიძე
თ. ჭილაძე
რ. ჯაფარიძე

შემდგენელ-რედაქტორები:

ჯ. ღვინჯილია
ვ. ჯავახაძე

უბედური რუსი



ძლვნად ჩემი ცხოვრების სანგრძლივ თანამგზავრს და ჩემს პირველ კრიტიკოსს ელო ანდრონიკაშვილს

„გარდამოიხედე ზეცით, ღმერთო, და იხილე, და მოიხედე ვენახსა ამას შენსა, და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენემან შენმან".

მღვდელ-მთავრის ასამაღლებელი

შესავალი

Სდგას რაში მოფარდაგულის წინაშე.

ყელი მოუღერებია.

გულუხვ მკერდზე ოქროთი მოჭედილი, მოელვარე, თვლებასხმული, მეფური სამკერდე აქვს გადმოცმული, საძუეც ოქროსავე, წვრილ-ზარნიშიან ბალთებით აქვს შემოსხდული.

ღარდასმულ გავაზე სქელი ზარბაბის ასალი ახურავს და ზედ ზღაპრულ რაშის ამბავია სირმით აწმაურებული.

უნაგირად ირმის რქის კეხი ადგას, მარგალიტით მოოჭვილის კოტებით.

ირმისავე ბეწვით გაბუშტული, სალუქი მეში, ფერადად აშომწვარი საოცნებო ყვავილების ეშხით, ბალიშად ჩასვენებულა კეხის გორაკებში.

საგვერდული და მოსართავები ბრჭყვიალებენ პატიოსანი თვალთაგან.

ამაყი შუბლი კისკას რაშისა ალმასებით სხივოსნობს.

ლაგამის ტარი არის თეთრი, მოქნილის ტყავისა.

თვით ლაგამი ნაზად განზიდულ ოქროსია, მტკიცეთ შეკაუჭებული.

ხოლო რაშს, ლაყუჩი რომ არ ატკინოს, იქით-აქეთ ოქროს ზოდს წმინდა ხავერდი აფარია.

უზანგები გამჭვირვალე ქარვისაგან შეთხზულნი და მბზინვარე ფოლადით შემოსალტულნი, შავის გიშრით მოგვითხრობენ ძლივდასანახ, აბჟანდაში მიბნედილ ქოშის ამბავსა.

Სდგას რაში გამზადილი მოფარდაგულის წინაშე.

ᲗᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲛᲐᲮᲐᲠᲝᲑᲔᲚᲘ

ა

ტფილისელი სოვდაგარი ზანქან ზორაბაბელი მიემართება ქალაქ სუნჯისაკენ.

საქართველოდან მას უდიდესი საქმე აქვს მინდობილი. აგერ სუნჯაც.

ყივჩაყთა სატახტო ქალაქი, ძველი პოლოვეცის სამთავრო.

უზარმაზარი, ხის ნამორებისავან მჭიდროდ შემოსერილი საქმაოდ ფართო ეზო. ჯარგვალის ოთხ-კუთხიანი კოშკები ოთხსავ მხარეს საფრებად არის აგებული. გარშემო ეზოს უშველებელი არხი აქვს შემოვლებული და შიგ ხელოვნურად გადმოყვანილი სუნჯა მოჩუხჩუხებს.

ეზოს შუაგულ, ჯარგვალისავე ორსართულიანი აივნიანკიბიანი სასახლეა გაშენებული. სასახლის სარკმლები წითლად და ყვითლად არის მოჭიქული და ისეა დაჭყეტილი, თითქო მონგოლელის ელმაცერა თვალებიაო. სასახლის თაკზე-კი ოქროს ბიბილოვანი ხის მამალია სარზე ჩამოცმული.

აქ შედის ზანქანი.

მაგრამ სასახლის შინა-ყმებს მთავარი შესავალიდან კი არ შეჰყავთ, არამედ იმ პაწია კარებიდან, საიდანაც მოუკაჟველი ვერას გზით ვერ შეხვალ.

ზანქანს გულში ეცინება.

რამდენჯერ გაუვლია ამ კარებში და ეს აზიური ზვიადობა ყოველთვის ღიმილსა ჰგვრის:

ვითომ მეფესთან წელ-გამართული შესვლა არავინ გჯა-ბედოსო!.. ასე არ არის საქართველოში. იქ მეფის კარი ფარ-თოა, მაღალი, ყველანი ერთი კარებით შეჰყავთ, თითქო შემსვლელიც და დამხვედრიც ლაღია და თავისუფალიო... მას შემდეგ მაინც, რაც თამარმა ახალი სასახლეები ააგო. თა-ვისუფლად სუნთქავ იქ კაცი, სული აღარ გეხუთება... ამის-თანა კარები ისევ ზოგიერთ წვრილ მთავრებსა და ერის თა-ვებს თუ აქვთ: გაძალებენ, თავი მოიხარეო...

და, აი, აქაც ამ ფიქრებით თავდახრილი შედის ვიწრიო დარბაზში.

ხედავს ტაბლაა გაშლილი, პურად იღებენ.

სუფრას ყივჩაყთა მეფე, რუსის მთავრის ანდრეი ბოგო-ლიუბსკის ერთგული ყმა კუზმა და კიდევ რამდენიმე ხან-დაზმული კარისკაცნი უსხედან.

— ვინ არის?

ხმაურობაზე მიიხედა ყივჩაყთა მეფემ.

— ოო, ეს ჩემი უფლისწულის მოყვარე ყოფილა! — შეე-ნიშნა კუზმამ, — ვიცით, რაზედაც მოვიდოდა, მაგრამ, პატივ-ცემულო, ეხლაც ნაადრევი შეგექმნა მოსვლა... ვსევოლოდის მემკვიდრეები კიდევ უფრო გამაგრდნენ და ჩემი უფლისწუ-ლის მომხრეებიც ნელ-ნელა შემოგვეფანტნენ... ეჰ!

და უშველებელი ხის კათხით მოიყუდა თაფლის რანგი და ბოლომდე დასცალა. შემდეგ გრძელ თეთრ ულვაშებზე ვაჟ-კაცური ხელი გადაისვა.

ზანქანმა ზრდილობის გამო ულვაშების მოწმენდა დააცა-ლა და შემდეგ უთხრა:

— შენ კარგად იყავ, ჩემო კუზმა, და რაზედაც სწუხარ, მაგაზე ეხლა არ მოვსულვარ. მეფეო, ძალიან სასიხარულო ამბავი მოგართვით.

აქამდის ზანქანს უყურადღებოდ ეპყრობოდნენ სუფრაზე მსხდომნი და ეხლა კი ყველამ თავი მისკენ მოიბრუნა.

— სასიხარულო? — შეგვიანებით წარმოსთქვა მეფემ.

— დიაღ, ბატონო!.. სადა ბრძანდება თქვენი ნათესავი, უფლისწული იური?

— ეჰ, იმისას რას გაიგებს კაცი. დამთხვეულია... სანადი-რო იქნება სადმე წასული.

— ახალგაზრდაა... — მოფერებით წარმოსთქვა ზორაბაბელმა, — მაგრამ დიდი ბედი კი მოელის...

— როგორ?

თითქმის ერთსა და იმავე დროს იკითხეს სუფრასთან მსხდომთ. იგრძნეს, რომ რაღაც მოულოდნელი და თან მეტად დიდებული ამბავი უნდა გაეგოთ: ზანქანის გამოცდილება, ხანდაზმულობა და ის მოსაზრებაც, რომ ეს სოვდაგარი ამ სიშორეს ტყუილად არ გაირჯებოდა, კიდევ მეტს ცეცხლს უკიდებდა მათ ცნობისმოყვარეობას.

ზანქანი კი თითქო არა ჩქარობდა სინამდვილის გამომჟღავნებას.

— უნდა წაგართვათ, ბატონო, უფლისწული იური...

კიდევ უფრო მოიზიდა მშვილდი შეტყობისა, საცნაურყოფისა.

კუზმა შემოწყრა კიდეც:

— თავს ნუ იგდებ, ბებერო, სთქვი, რაც იცი!..

ზანქანმა ჩაახველა, თითქო გრძელი რამ ამბის მოსათხრობელად ემზადებაო, იქაურებს ერთი მშვიდად თვალი გადაავლო, და დაიწყო:

— რამდენჯერ მითქვამს შენთვის, კუზმა, რომ ცხრა მთას იქით მდებარეობს მშვენიერი ქვეყანა — ივერია, ანუ საქართველო, როგორც ამ ბოლო ჟამს უწოდებს... ამ ქვეყნისა თვით ყივჩაყთა მეფესაც კარგა მოეხსენება...

— ჰო, ეგ ვიცი, მერე?

კვლავ წყრომით შეუტია უფლისწულის ლალამ.

— ჰო-და, მოგახსენო, ეხლა ჩვენი საქართველო...

— როგორ? განა შენ ქართველი ხარ?

— ეეჰ, რომ არ დამაცლი, კუზმა, ახირებული კაცი ხარ... რამდენჯერ მითქვამს, რომ მე დიდებული არმენიის შთამომავალი ვარ, მაგრამ ჩვენი სამეფო დიდი ხანია დაემხო და ეხლა საქართველოც ჩემი სამშობლოა...

— დააცალე, კუზმა! — შეუძახა მეფემაც.

— ეხლა ის უნდა მომეხსენებია, რომ ამ ჟამად ჩვენს ქვეყანას ქალი მართავს... ქალია მეფედ... დიდი გიორგი მესამის ასული — თამარ...

ზანქანმა ამოისუნთქა. მსმენელთ ჯერ კიდევ ვერაფერი ვერ გაეგოთ და დაჟინებით შესცქეროდნენ.

— ამ დედოფალს კი ქმარი არა ჰყავს...

კარის კაცებს ოხვრა აღმოხდათ, თითქო მიაგნეს მორგვს ძაფსაო. მეფე მაინც გაცბუნებული იყო, მხოლოდ კუზმა თავით დაყრდნობოდა თავის ფართო ხელებს და შეჭმუხვნილ შუბლიდან ჭროლა თვალებით გამოსცქეროდა ტფილისელ სოვდაგარს.

სოვდაგარი განაგრძობდა:

— ჰქონდათ თათბირი ქართველ დიდებულებს, ხშირი ბჭობა იმართებოდა და ბოლოს გადაწყვიტეს, რომ თამარისათვის საქმრო მოეძებნათ, მაგრამ ვინ?.. მთელი სამეფო შეიძრა. უცხო ხელმწიფის შვილები ბლომად მოდიოდნენ და უნდოდათ თამარის შეუღლება, მაგრამ ქვეყანამ ვერც ერთი ვერ შეიწყნარა: ზოგი ქრისტიანი არ იყო, ზოგს სიბრძნე არ შესდგამდა, ზოგიც თვალად უსახური იყო, ამასობაში მე ვეახელ ტფილისის ამირას... ოო, დიდი კაცია, თავადი... ჰკვიანია, თქვენი სისხლისაა... ყივჩაყი უნდა იყოს გაქართველებული... მიაშბნია თქვენთვის... თავადი აბულ-ასანი... და მოვახსენე: ვერ, რუსეთში დიდი მთავრის, ანდრეი ბოგოლიუბსკის შვილი იური, მშვენიერი ვაჟია, ქრისტიანიც არის-მეთქი...

— დაწყევლოს ღმერთმა!.. ეგ რა კარგი მოგიფიქრნია!.. — წამოიძახა კუზმამ და სახე გაბრწყინებულმა თავიდან ხელები ჩამოიღო...

— აჰ, შე ცბიერო სოვდაგარო, შენა, — მიაყოლა ყივჩაყთა მეფემ, — ვიცი, რა მუცლის გვრემაცა გაქვს. გინდოდა ქართველებიც მოგემადლიერებინა, ჩვენც, და შენი ფულებიც გაგენაღდებინა... იურის რომ მართებს შენი... ასი დრაჰკანი ბაჯაღლო ოქრო...

კუზმა კვლავ მოიღუშა. ზანქანმა-კი ცბიერად ჩაიქირქილა და პირ-მცინარემ უპასუხა მეფეს:

— ვერ დაგიმალავთ, ეგ აზრიც მქონდა... რა ვქმნა, ვაჭარი კაცი ვარ, ასი დრაჰკანი ბაჯაღლო ოქრო დიდი რამ არის, დიდი...

და თვალები სადღაც შორს წაუვიდა ზანქანს, თითქო მეტად თავსამტვრევი რამ აქვს გადასაწყვეტიო. მაგრამ ეს იყო ერთ წუთს და კვლავ მოღიმარი ესე განაგრძობდა:

— თქვენ ყური დამიგდეთ, შემდეგ რა მოხდა: ერთ თათბირზე მოვიდა აბულ-ასანიც და კრება ესე დაარწმუნა; ანდ-

რეი ბოგოლიუბსკის შვილი დიდი მთავარია, სამასი რუსის თავადი მონებსო. მე კი, მომიტევეთ და, გულში გავიფიქრე, როგორ იტყვით თქვენ, რუსებო? — „კაკოი ჩორთ!.." სამასი მთავარი კი არაა..

და ჩაიცინა ზანქანმა, მაგრამ სიცილი უეცრად ბაგეზე მიაკვდა.

ბოგოლიუბსკის გამზრდელმა ერთი ისე მძლავრად დაარტყა მუშტი ტაბლას, რომ რამდენიმე კათხა და ჯამი ქვევით გადაცვივდა და თვით ტაბლამაც საეჭვო ჭრიალი მოიღო.

— გვყვანდა! — შეჰყვირა მან.

ტფილისელი სოვდაგარი ცხრაფად მოიკაკვა და შემპარავის კილოთი კვლავ წამოიწყო:

— არა, თავად აბულ-ასანს ქართველებისათვის არ დაუმალავს: მცირე დარჩომილი მამისაგან თავადი იური, ბიძამისმა ვსევოლოდმა, ან, როგორც საქართველოში ეძახიან, სავალათმა განაძევა და ეხლა ყივჩაყთა მეფესთან არის თავშეფარებულიო. ეს ღმათ არ უთაკილნიათ, რადგან იამათ, რომ თავადი იური, ქრისტიანი მეფის შვილი იყო და რაკი გული დააჯერეს, რომ შესახედავადაც კარგიაო, მაშინ ამ საქმეს მოგვარება მე მომანდვეს.

კუზმა უკვე რაღაც ფიქრს წაეღო. დანარჩენებს კი სიხარული გადაჰფენოდათ.

— მერე? — მაინც შეეკითხა მეფე.

— მერე, ბატონო, ეხლა ისა მაქვს მონდობილი, რომ უფლისწული წავიყვანო.

ყივჩაყთა მეფე აღტაცებაში მოვიდა. ხანდაზმულმა კარისკაცებმა ბეწვიანი გრძელი ქუდები ჭერში ჰკრეს.

მხოლოდ კუზმას თეთრი სქელი წარბები კიდევ უფრო ჩამოუქურუხანდა.

გამხიარულებულმა მასპინძელმა ბრძანა, რომ ზანქაჭისათვის ხალათი ეჩუქებინათ. სავარძელი მოართმევინა, ტაბლასთან ახლო მიიწვია და მოჭრელებულ კათხაში თაფლის რანგი თავისი ხელით ჩაუსხა.

მეფემ მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ კუზმა ხმას არ იღებდა.

— შენ, ჰეი, ძმობილო, — შესძახა მეფემ, — რა ცხვირპირი ჩამოგტირის! ჩემს მოკეთესა და მოყვარეს აღირსოს ღვე-

თი ბედი!.. შენ გესმის, რა ბედნიერება მოსვლია შენს ბღარტს, იურის? მინახავს თამარი... ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მამამისმა გიორგიმ მის სიცოცხლეშივე ტახტზე მეფედ დაბერა... აქედანაც ვეახელით მისალოცავად და საჩუქრებიც მივართვით... თვით მე წაველ, მინდოდა საქართველო მენახა, ის ქვეყანა, სადაც ჩვენი ვაჟკაცები ამ უცხო მხარის საკეთილდღეოდ სისხლსა ღვრიან. ვნახე და იცი, რა გითხრა? დაბრუნება აღარ მინდოდა. ოოჰ, რა ქვეყანაა! იმიტომ არის, რომ ჩვენები უმეტესობა აღარ ბრუნდება, იქვე ბინავდება, ირთავს ცოლს, მამულს იძენს, ქართველდება... რას ამბობ, ჩვენ სადა ვცხოვრობთ, რა შედარებაა!.. მზიანი ქვეყანა, მდიდარი, ლამაზი... მართლა რომ სამოთხეა და აი... ამ სამოთხის საუკეთესო ანგელოზი თამარია...

— კი, მაგრამ შორსაა...

ყრუდ წარმოსთქვა ბოგოლიუბსკის აღმზრდელმა.

— ჰა-ჰა-ჰა!

გაეცინა მეფეს და ახარხარდნენ სხვებიც.

— მე ჩემს იურის, რუსის თავადად ვზრდიდი...

წამოიწყო ისევ კუზმამ.

— მერე? რომ წაგართვეს ეგ შენი რუსეთი? რას ამბობ, რას?! დიდებული ქვეყანა, მზეთუნახავი ცოლი...

ზორაბაბელი კი, ამ დროს ტაბლასთან მიმჯდარი, ნამგზავრზე, ხარბად შეექცეოდა სანოვაგეს და მისი ცბიერი თვალები დაუდგრომლად ციმციმებდნენ.

— კარგია ერთი, თავი აიღე, გამოსცალე ეგ კათხა! — შეამოსწყრა კუზმას ყივჩაყთა მეფე.

კუზმაც დაჰყვა მეფის სურვილს, ერთი მძლავრად ხელი ჩაიქნია, დასცალა კათხა და თითქოს გამხიარულდა.

მეფის ბრძანებით იურისთან კაცი აფრინეს მოსაყვანად, რადგან ზორაბაბელი ძლიერ იჩქაროდა.

მან აუხსნა მეფეს, რომ უკვე შემოდგომა იწყება, საცაა შეიძლება ჩრდილოეთის სუსხმა დაჰკრას და მგზავრობა გაძნელდება. მართალია მან გრძელ-ვადიანი პაემანი მისცა, მაგრამ მაინც ეშურება, სანამ ამინდი ხელს უწყობს ვადამდე მოასწროს და საქართველოს ჩაიყვანოს სასიძო უფლისწული.

ყივჩაყთა მეფის სასახლე შეიძრა. თავად იურის დიდებული მომავალი ყველას სასიხარულოდ მოეფინა. მძლავრ სა-

ხელმწიფის — საქართველოს მომავალი მეფისაგან ვინ წყალობას გამოელოდა, ვინ მეგობრობას, ვინ რისამე გამორჩენას და ერთ ფაცა-ფუცში იყვნენ, თანაც ყველა ზორაბაბელს ულოლიავებდა და თავაზიანობით ეპყრობოდა.

ზანქანი კი, დაღლილი მგზავრობისაგან, ცალკე ოთახში ლოგინზე განისვენებდა, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა მის თვალებს.

აგერ კვირა-ნახევარზე მეტი იქნება, რაც გზაშია და ჯერაც ვერ მოსულა გონს უკანასკნელი ამბების გამო. სულ ამაზე ფიქრშია:

— რა ადვილად მოხერხდა ყოველივე, ტფილისის ამირამ როგორ გამოუწყო მას ეს საქმე... არა, ამირასაც კი დაჰპირდა, რომ მისი მეუღლისათვის ჩინეთიდან აბრეშუმის ქსოვილებს მოუტანს, მაგრამ მაინც... არ მოელოდა თუ აბულ-ასანი ასე ადვილად გაიმარჯვებდა, არა, ძალიან ხალხი კია ეს ქართველები: მიმნდობი, გულკეთილი, დამჯერებელი. თუმცა მართალი-კი უნდა ითქვას: უფრო ამ რუსი თავადის ქრიჩტიანობამ, მართლმადიდებლობამ მოხიბლა ყველანი. მაგრამ, ჰმ... ესეც რა ყოჩაღად მოახერხა აბულ-ასანმა, რომ აქაც მოციქულად მარტო მე გამომგზავნა! — დიდებულნი დაარწმუნა: საკადრისი არ არის, რომ თამარის საქმროს საძებრად მოციქულები და დესპანები გაუგზავნოთ... ვინ იცის? რომ არ მოგეწონოთ კაცი? ისევ ჩვენი ზანქანი გაუშვათ, ხოვდაგარი კაცია, მისვლა-მოსვლა აქვს ქვეყნებში. ეგ მოახერხებს, ჩამოიყვანს იმ უფლისწულს უზეიმოდ, უდავიდარაბოდ. არ მოგეწონებათ და... თავის გზას ეწევა ის კაცი... თუმცა, ღმერთმა ნუ ქნას, რომ არ მოეწონოთ... ეს გზის ხარჯი ხარჯათ შემრჩება და თავნი ფულიც თავსამტვრევად გამიხდება... თუმცა სად წამივლენ? ეს საქმე რომ არ მოხერხდეს, ყივჩაყის მეფე აგერ არა მყავს? მაგას გადავახდევინებ. ცოტა განძი შემოაქვთ ყივჩაყელებს საქართველოდან?... ეგენი ხომ იქ დაქირავებულ ჯარისკაცებად მსახურობენ. როგორ უწოდებენ ქართველები? ჰო, როქის სპისანი... მაშ, როგორ ჰგონიათ! აქამდი თუ ვიცდიდი, იმედი მქონდა, რომ თავადი იური მის სამფლობელოს დაიბრუნებდა. პირველადაც ფული იმიტომ ვასესხე, რომ რა ვიცი... დრონი იცვლებიან, მეფის შთამომავალია-მეთქი, თორემ, აბა, როგორ არ ვიცოდი, რომ

სამშობლოდან გამოდევნილი, გაძევებული მთავრის შვილი იყო. ეხლა კი ესეთი საქმე ეწყობა. ჰმ!.. რა სათქმელია! ჩემ ფულს კი არა, რამდენს ავიღებ!.. მეფის კარზე ჩემისთანა მიღებული ვინ იქნება!..

და კიდევ უფრო შორს გაიტაცა ზანქანი ზვიადურმა ფიქრებმა. მაგრამ, უეცრად წინანდელმა მოსაზრებამ ისევ გველივით უკბინა:

— მერე? რომ ჩავიყვან და მართლაც არ მოეწონოთ? ხომ ჩაიფუშა ყველა საამაყო განზრახვანი? ეჰ, რას არ მოეწონებათ! ქართველებს თვალში აქვთ ჭკუა! შეხედავენ — ვაჟკაცია, იამებათ. ვაჟკაცობას ძალიან აფასებენ... ეს კია, მგონი, ცოტა ღვინო უყვარს ჩვენს სიძე-ბატონს... ეჰ, მე არ ვიქნები მასთან? სანამ ჯვარს არ დაიწერენ, არ მივაკარებ და შემდეგ, თავი უმტვრევია მაგასაც და...

უკვე რიჟრაჟმა მოალწია. ზანქანს ჩასთვლიმა.

ბ

ალიონი იყო, რომ გაქაფებული ცხენი მოაგდო თავადმა იურიმ ყივჩაყთა მეფის ეზოს.

თავის გამზრდელ კუზმასთან შეიყვანეს.

კუზმა ლოგინიდან წამოიწია და გაზრდილს თვალი გადაავლო, თითქო პირველად სინჯავსო.

მაღალი და მხარ-ბეჭიანი 18 — 19 წლის ახალგაზრდა იური თავდახრილი იდგა მის წინაშე. ოქროსფერი, აბრეშუმივით კულულები უცხო გვირგვინად ჰქონდა შემოდგმული მის ცარცთო, ლმობიერ, თეთრ-ყირმიზ სახეს. მოლურჯო, ციცქერი თვალები, შავი, ზევით ახრილი გრძელი წამწამებით და მშვილდურად გაზიდული წვრილი, შავი ფერის წარბები; მართლაც, საოცნებო იერს აძლევდა მთელ მის პირისახეს; პაწია, მაგრამ სურათოვანი ცხვირი და თითქოს ოდნავ გაპობილი პატარა, წითლად წამოჭვიებული ბაგე, ვარდისფერ ატლასის პირის კანი, ეს ყოველივე ცოტა ჭალურს, მაგრამ მაინც სილამაზის სურათს იძლეოდა.

კუზმას იამა გაზრდილის დანახვა.

ეს ციური სახე-პირი, ვაჟკაცურად გაშლილ გულმკერდთან და თითქო ფოლადისაგან ჩამოსხმულ მხარმკლავებთან,

კუზმას წარმოდგენით, მთავარ-ანგელოზის მსგავსად ხდიდა მის გაზრდილს.

— იური! — ლმობიერად დაიწყო კუზმამ. — გამოგზავნილები გეტყოდნენ, უთუოდ, რა ბედნიერებაც მოგელის...

— მითხრეს, ჩემო გამზრდელო, მაგრამ კარგად ვერ გავიგე... იქ, შორს რად უნდა წავიდე?.. იქ უნდა ჩავესიძო?.. მომიტევე, კუზმა, ვერ წავალ!.. მერე, ეს ჩვენი ტრიალი მინდორი უნდა მივატოვო?.. ნაძვნარი, არყის ხის ტყე?.. ჩვენი რუსეთი, კუზმა? ჩვენი მამული?

კუზმამ მძლავრად ამოიხვნეშა, იური უფრო გათამამდა, თავი აიღო და ციაგი, ბავშვურის სათნოებით აღსავსე თვალები გამზრდელს მიაპყრო.

— თუ მაინცდამაინც იმ დედოფლის შერთვა აუცილებელია, აქ მოვიყვანოთ... მერე კიდევ, თუ მართლა აგრე ძლიერია, მისი ძალა დავიხმაროთ და დავიპყრათ ჩვენი მამული...

— მეფურად მსჯელობ, შვილო, მაგრამ შენი ბჭობა უცებურია. დიდი და თავისთავადი ქვეყანაა საქართველო... იმ დედოფალს ჩვენ არავინ გამოგვატანს, ძლიერი სახელმწიფოა და ის ქალი, მეფეა თავისი ქვეყნისა... პირველად რომ გავიგე, მეც შენსავით გულმა რეჩხი მიყო: მერე ჩვენი მამული-მეთქი? მაგრამ... წუხელის თვალი არ მომიხუჭავს. ბევრი ვიფიქრე და... შემდეგ მეც გადავწყვიტე: უნდა წახვიდე, შვილო, უნდა შეირთო საქართველოს დედოფალი...

იურის ნატიფი შუბლი ოდნავ შეეჭმუხნა და გაბუტულმა თავი დახარა. კუზმას ყურადღება არ მიუქცევია, თავისას განაგრძობდა:

— დიდი მეფე გახდები, იური, მძლავრი ტახტის ხელმწიფე და შემდეგ... აი, აქ გმართებს სიბრძნის გამოჩენა, ქართველებს დიდათ უქებენ ვაჟკაცობას... წინედაც გამეგონა; მაგრამ წუხელის ყივჩაყთა მეფემაც ამიხსნა, რომ მთელი აზია ქვედმოხრილია მათ წინაშე და აი, შვილო... როდესაც მეფე იქნები ამ გმირი ხალხისა, მაშინ... მაშინ შეიძლება შენი მამულიც დაიბრუნო...

აქ კი ხმა დაუშვა კუზმამ.

— მთელი ეს პოლოვეცის მხარეც... შეიძლება ჩვენი, უგზო-უკვლოდ მოთარეშე ყაზახებიც გაიერთგულო და ყირიმ-

საც მისწვდე... მაშინ... ვინ იცის, შვილო, შეიძლება ერთი დიდი იმპერიაც დააარსო...

იურიმ ერთი უცებ გაკვირვებით თვალები შეაელვა გამზრდელს. კუზმამ ამოისუნთქა.

— და აი, შვილო, ამ ქორწინებით რა დიდ საწადელს შეიძლება მიაღწიო. მაშინ, ხომ ხედავ, ჩვენი წინანდელი განზრახვა რა მცირეა... სად მარტო ჩვენი სამთავროს დაბრუნება და სად უზარმაზარის და მძლავრი იმპერიის დაარსება... შეიძლება, შვილო, თვით ღმერთმა აგირჩია ამ ისტორიული დანიშნულების აღსასრულებლად... ეჰ, ბედნიერი ყოფილხარ... მამა-შენს, უბედურ ანდრეის ღმერთმა არ აღირსა საწადელს მიღწეოდა! ვინძლო, შვილო, შენ მაინც გაახარო შენი გამზრდელის გული და აღამაღლო უბედური მამი-შენის სახელი. განსვენებული რა კაცი იყო, როგორი მუხანათობით მოჰკლეს!..

ამაზე ვაჟკაც კუზმას ხმა აუკანკალდა და თვალში ცრემლი მოერია, მაგრამ თავი შეიმაგრა და გაზრდილს დაუძახა:

— მოდი, აქ, იური...

იური მორჩილებით დაიძრა, მაგრამ ტანს ეტყობოდა ერკემლის სიჯიუტე.

უეცრად იგი ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა გამზრდელს.

— კუზმა! ნუ გამგზავნი... გევედრები, გემუდარები!..

კუზმა შეკრთა ამ ათრთოლებული ჭაბუკის ხმაზე და დაბალოცად აღებული ხელი ძირს ჩამოიღო.

— იური, ეგენი არ მომწონს!

გაისმა მისი მკაცრი კილო.

— კუზმა!.. შენ ჩემი მამის მაგიერი ხარ... მამა!.. — გულამოსკვნილი ქვითინებდა იური.

— რა იყო, რა მოგდის?.. — წელში სრულიად გაიმართა და ლოგინიდან ფეხები ჩამოიღო კუზმამ. — დედაკაცი კი ნუ გახდები... რა მოგდის?

— არ შემიძლიან წასვლა, არა!.. — ლუღლუღებდა ვაჟი.

კუზმას ცალი წარბი ზევით წაუვიდა, ცალი თვალი ცოტა მოეხუჭა და ქვევით ჩამოშვებულ, ჩამოშლილ, თეთრ ულვაშებთან ღიმილმა გადაუელვა.

— ჰმ... გიყვარს ვინმე?.. ეგ, შვილო, არაფერია! ჭაბუკი

ხაირ, მაშ, როგორ იქნება?.. მაგრამ ჯერ გამოუცდელი ხარ... ქალების მეტს რას იშოვნი, შე სულელო, შენა!

ლმობიერად და ალერსით ხუჭუჭა თმებზე დაჩოქილ გაზრდილს ხელი გადაუსვა.

— საქართველოში რომ მიდიხარ, მონასტერში კი არ იკვზავნები... სულ საქართველოს ქალები შენს ხელთ არ იქნება?.. დედოფლის ქმარი რომ გახდები, ბერად კი არ უნდა ალიკვეცო... დედოფალი დედოფლად... მაგას ისტორია მოითხოვს, სახელმწიფო მოსაზრება. აი ვინც გიყვარს... მხოლოდ ჯერ არა, ჯერ დაიჭირვე მოშორება. შემდეგ მოასწრებ... მეუფე არ იქნები? ბრძანებ და... გათავდა!

თანდათან მოლბა კუზმა.

— ვინ არის?.. ჰაი, შე ცულლუტო! უეჭველია ლამაზია...

იური მაინც ქვითინებდა.

— ჰო, კარგი... მითხარი შენს გამზრდელს, შვილო, მე არ დააგძრახავ.

პასუხი ვერ მიიღო. კუზმამ იფეთქა:

— მაშ, რა ღმერთი გიწყრება?..

ხელები მოეკუმშა. თავი შეიმაგრა, ყრუდ უბრძანა:

— გასწი, დამეკარგე!

იური ზლაზვნით წამოდგა და გაწკეპლილი ლეკვივით კარებში გაიძურწა.

თავი მეორე

უფლისწულის გატაცებანი

ა

დილის საუზმეზე ყივჩაყთა მეფემ, კუზმამ და ზორაბაბელმა დაასკვნეს, რომ მგზავრები ორი დღის შემდეგ უნდა აბარგებულიყვნენ. ამალას კი არ გააყოლებდნენ, ახალგაზრდა იურის მხოლოდ კუზმა წაჰყვებოდა.

ზეიმით ჩასვლას შემდეგშიაც მოვესწრებითო, გადასწყვიტეს.

ეხლა საკმაოდ მიიჩნიეს, რომ ყივჩაყთა მეფეს მის სამ-

ფლობელოში დარაჯნი ეახლებინა, შემდეგში ოსეთის საშმთავროზე გადავიდოდნენ და იქ უკვე ფიქრი არ იყო: საქართველოში მიმავალ ვაჭარს არავინ ხელს არ ახლებდა.

ზანქანი დაჰპირდა მეფეს, რომ როგორც კი საქართველოში იური მოწონებული იქნებოდა, მაშინვე აფრენდა მათკენ მალიად მსრბოლს, ვინმე შათირს და ყოველივეს აცნობებდა, ხოლო ჯვარის წერისთვის თვით ყივჩაყთა მჭეფემ მოისურვა დიდის ამალით და გამოჩინებით ჩამოსვლა საქართველოს.

სამაგიეროდ, ზანქანმაც მოითხოვა, რომ როგორც კი იური ჯვარს დაიწერდა, მისი ფული უკლებლივ მიეღო.

პირობა დაუდვეს და გახარებულნი სმა და პურობასა შეეჭცნენ.

ამასობაში-კი ახალგაზრდა იური ოთხში ამოლეებულ მფრთხვინავ ქურანს მიაქროლებდა სუნჯას ველზე.

აგერ ისრებივით ცისკენ ახხლეტილი არყის ხის ქიოჩორა ტყე.

შორით იხე მოსჩანს, თითქოს საზღაპრო რამ სასახლეაო.

წინ თეთრ კანიანი, ურტოებო ხეებია ჩამორიგებულნი. ეს თითქო მისავალის სვეტები არის.

შიგნით-კი, სიხშირეში, თეთრსავე ჩარჩოებში ჩაშავვებული არე მოსჩანს, თითქო თაღებია და მაღაროებია გაყვანილიო. ზევით კიდევ მწვანე გუმბათი...

ამ სასახლეში ცხოვრობს განთქმული მოთარეშე, ყაბზანი რუსი, იურის მეგობარი.

ბევრნი არიან ასეთი „გაჭრილნი ტყე და ველად".

მათ ვერ იგუეს მთავრობის სიმძლავრე და თავი მისცეს მოუსვენარს, მაგრამ თავისუფალ ცხოვრების მიდმოებასს.

ამათში ყველაზე უფრო რჩეული, ყველაზე გმირი დაა სახელგანთქმული, იურის მეგობარია.

— ეი, რედედია!

გაჰყვირის ტყესთან მიახლოვებული ახალგაზრდა მხედარი.

— აქეთ, ჩემო შევარდენო, აქეთ!

გამოისმის ტყიდან მკაფიო და ძლიერი ხმა.

ლაგამს სულ მიუშვა ხელი იურიმ.

ქუჩანიც დაფეთებულივით ტრიალებს ტყის ლაბირინთში.

მიაგნეს რედედიას.

თვითონ ცხენი შეჩერდა.

ტყის შუა გულ, ცეცხლის პირას მჯდომი, ზეზე წამოდგა ერთი მთა-კაცი.

შუახნის არის, ეტყობა, მაგრამ ჯერ კიდევ კარგა შენახულაა. მხოლოდ ფართო წაბლისფერ წვერების ბოლოებში ორივ მხარეს თითქო თეთრი ყინულები ქვევით ჩაზიდულან.

ტაანს ჯავშანი აცვია და მთელი აგებულება ტყვიიდან ჩამოსხმულს უგავს.

— რა ჰქენ, რაზე გიხმეს?

— ჯვარსა მწერენ, რედედია!

რედედიამ თითქო არ გაიკვირვა, მაგრამ ერთი მაინც თვალი გაადაავლო იურის. შემდეგ თითქო ჩაიცინა:

— მერე, რა გიშავს! უკვე დროა ცოლის შერთვისა, მეფის შვილი ხარ, მაშ, ისე ვინ დაგაყენებს... რამდენჯერ მითქვამს, ჩემსაკვირთ თავისუფლად შენ არავინ გავიშვებს-მეთქი...

— არა, მე უშენობა არ შემიძლიან... თავისუფლებას ვერ მოვიკლებ.

— ჰო, კარგია, ჩემო მართვე. ერთი ჩამოხტი... მიამბე ვინ ბრის შენი საცოლო... აქვე მივსხდეთ, ცეცხლის პირას.. ისეთი არრაყი მაქვს და გარეული ღორის ქონი: ტახისაა, ტახის...

იური ჩამოხტა. ცხენს სადავე უნაგირზე გადაუგდო და რედედიას ცხენთან დააყენა. რედედიას შავმა მერანმაც თითქო სიამოვნებით მიიღო სტუმარი. ყელი ყელს გადააჭდო, რაღაც ჩაუფრუტუნა.

დასხდნენ მეგობრები და იურიმ უამბო ყოველივე.

რედედიას თანდათან სახე მოეღრუბლა და არაყს მიეძალა, იურისაც ხშირად უსხამდა.

— ჰო-და, ეხლა მითხარ, როგორ დავთმო ეს ყოველივე?

არყისაგან შეხურებული და თვალებ მოელვარე განაგრძობდა იური:

— შენ მასწავლე ტყის თავისუფალი ცხოვრება... ნადირობა, ქვარავანზე დაცემა, სოფლების აწიოკება, ლამაზების გატაცება... შენ შემასწავლე ჩვენი გმირული სიმღერები... რედედია, ჩემო კარგო... დამიხსენ, მომიტაცე, წამიყვანე... გა-

დავვარდეთ შორს სადმე, რომ მხოლოდ მოზუზუნე ქარი იყოს ჩვენი მეგობარი. ტრიალი მინდორი — ჩვენი მხლებელი და უღრანი ტყე — ჩვენი მასპინძელი!..

რედედიას კვლავ მოუხეშავად ჩაეცინა, მაგრამ თითქო სიბრალულით გადახედა ჭაბუკს.

თვალები ამღვრეული ჰქონდა. ეტყობოდა, არაყი მოქმედებდა.

— მოდი აქ, მაკოცე, შევარდენო...

ცხენებმა ტყის სიხშოს მისცეს თავი. არყის ხის ფოთლები თითქო უფრო ათრთოლდნენ და რაღაც საიდუმლო შმრიალს მოჰყვნენ.

უეცრად ამ ტყის იდუმალებაში გაისმა სიმღერა, ველური რამ, საცვიფრებელი.

მღეროდა რედედია.

ფერმიხდილი და თვალებმიბნედილი იური რედედიას მკერდზე იყო მისვენებული. იგი თითქო ბურანში იყო, მშაკრამ ტუჩები ნეტარებით უღიმოდა.

მას ესმოდა თავისი საყვარელი სიმღერა.

ეს იყო ქარის მიდმოება, ტრიალი მინდვრის უდაბურება და ადამიანის მოუხეშავი ძალის გაუგნებელი ხეთქება. მხოლოდ იგრძნობდი, რომ ამ ძალას უყვარდა თავისუფლება..

დიდხანს მღეროდა რედედია. ცხენებიც დაბრუნდნენ, თითქოს მის მოსასმენად და ტყემაც, ვითომ დროებით, შეაჩერა თავისი დაუნდობელი შარიშური.

თვით რედედიაც სიმღერისაგან გამოფხიზლდა. უეცრად შესდგა. თავზე ხელი გადაუსვა იურის და ოქროს ხუჭუჭი თმა კიდევ უფრო აუშალა. შემდეგ შეარხია:

— გინდა წავიდეთ სვეტლანასთან?

იური სწრაფად მოეგო გონს.

— სვეტლანასთან? ოო, გავსწიოთ, გავქროლოთ!

და მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ, ორივენი თავიანთ მერანთ, რაშებივით მიაქროლებდნენ თვალუწვდენ მინდორზე.

იმ ღამეს სვეტლანას ჯარგვალში დიდხანს, დიდხანს გაისმოდა რუსული ბალალაიკის ხმა. თვით რედედია გააგიჟებული უვლიდა ბუქნას.

საცმელშემოძარცული სვეტლანა კი, თავის სქელ თმაში

გაწვეული, არყით დამთვრალს და ეშხით გონებამიხდილ იურის ეჯდა მუხლზე და ყელს შემოჭდობოდა.

მოიქანცნენ.

დილით კი გვიან გაეღვიძა იურის. მაშინვე რედედია იკითხა... სვეტლანას დედაბერმა უპასუხა, რომ რედედიამ გათენებამდის გაქუსლა და ეს დაუბარა:

— ჩვენ შორის ყოველივე დასრულდა, ჩემ კვალს ნუღა ეძებ!!.. შენც შენს საქმეს ეწიეო.

ამის გაგებაზე იურის თითქო ნიადაგი გამოეცალა, დიდხანს აზრი ვერ შეიკრიბა. არა სჯეროდა. შემდეგ სვეტლანა იკითხა. უპასუხეს, რომ კიევიდან ვილაც რაინდია ჩამოსული და სვეტლანა მასთან წავიდაო. ამან სულ გააფითრა, კინაღამ დედაბერი ხმლით აჰკუწა, მაგრამ დედაბერიც გაუსხლტა და მიეფვარა.

მაშინ კი მწვავედ იგრძნო სრული მარტოობა და გული ამოეჯსკვნა, მთელის ტანით ქვითინად იქცა.

დედაბერი კვლავ შემოიპარა, წყალი ასხურა, ლოგინზე მიაწვინა ბავშვივით და ალერსი დაუწყო.

იურის თითქო დაუმდა. შემდეგ გარეტიანებულივით წამოდგა, ცხენი მოსძებნა, შეჯდა, მაგრამ ლაგამს ხელი მიუშვა და თითქო თავი ტაიჭს მიანდო.

საღამო ხანი იყო, რომ ცხენმა სამყოფელში მიიყვანა.

ყივჩაყთა მეფე ტუქსვით შეხვდა, მაგრამ ძალიან არ გაწყრომია. ხუმრობდა კიდეც: ეს უკანასკნელად იგიჟიანებს თავსა, სიყმაწვილეს ეთხოვებაო.

მხოლოდ კუზმა იყო დაღვრემილი. იურის არაფერი არ უთხრა. მის სავანეში შეიყვანა. შეატყო, რომ დაღლილია, ლოგინი გაუსწორა, მსახურს უბრძანა ფეხთ გაეხადა იურისათვის, შემდეგ მსახური გარედ გაუშვა და თვითონაც ოთახს ჩუმად გაეცალა.

იურის არ ეძინებოდა, თვალებგაშტერებული დიდხანს იყო გულაღმა დაწოლილი.

მის უწვრთნელ, ჭაბუკ გონებას ვერ დაეძლია ესდენ ძლიერ განცდათა ერთად თავმოყრა: სადღაც, ახალ ქვეყანაში წასვლა, დატოვება ყველა იმის, რასთანაც შეზრდილი იყო მისი სული და გული, მისი ხორციც კი, მისი სიგიჟის, მისი თავშეუკავებლობის, და განსაკუთრებით-კი დათმობა

რედედიაში... ამ გოლიათის, ამ საოცარი ადამიანის. იურის ხომ იმის მსგავსი არაფერი არ უნახავს სიცოცხლეში!.. ისეთი ვაჟკაცი, ისეთი შეუპოვარი... ნოვგოროდელ კნიაზს განმოეცხა და აქ ტყეს მისცა თავი... აქ ყივჩაყთა მეფემ ერთხელ შეპყრობა მოუნდომა, მაგრამ, როგორი სირცხვილი აჭამა თვით მეფეს და მის ამალას!.. შემდეგ თავი მიანებეს... რედედია-კი იმდენად პატიოსანი იყო, რომ ყივჩაყთა სამთავროს არას ერჩოდა... ზოგჯერ აქ მომავალ ვაჭრებს, თუ მის ახლო ჩამოივლიდნენ, ცოტა რამე საჭიროს წაართმევდა... ერთხელ მგონი ზორაბაბელსაც აწყენინა ცოტა, მაგრამმ ეს იყო და ეს... თვითონ-კი იურიმ როგორ გაიცნო?.. ოო, ეს დიდი ხნის ამბავია.

ნადირობის დროს... პირველად რომ შინაყმებმა შავვარდნებით ხოხობზე წაიყვანეს... ტყეში, ეკალ-ბარდში გაიხლართა იური... ისე, რომ ვერც ცხენმა და ვერც იურიმ კინადამ ვერ დააღწიეს... შინაყმები შორს ჩამორჩნენ... ამ დროს, სადაც ლაც გამოძვრა ეს მთა-კაცი... პირველად მის შეხედვაზე როგორ შეეშინდა!.. მაგრამ რედედიამ მოუფერა... ეკლები გაუწია, ცწენიდან ბავშვივით ხელში აიყვანა... მაშინაც კაბრგი მოყვანილი ჭაბუკი იყო, მაგრამ რედედიამ თავისი მძლავრი მკლავებით ბურთივით ზე აიტაცა... როგორი მძლავრი იყო მისი თვალები... იმორჩილებდნენ... ტანს სულ ცახცახი დააწყებინა, უნდოდა გასხლტომოდა კიდეც, მაგრამ სად წააუხვიდოდი ამ რკინის მკლავებს... მას შემდეგ ამ კაცმა დაიმორჩილა. თითქო მისი აზრით აზროვნებდა, მისით ცოცხლობდა... ზოგჯერ არ უნდოდა კიდეც, მაგრამ რედედიას ტყიდან რალაც მძლავრი ძალა მოურევნელად ეწეოდა მისკენ... პირველად მან გააცნო ის დაუნდობელ „ტყის ალქაჯა სვეტოლანას“... ასე ეძახოდა რედედია. და განა მარტო ალქაჯი?.. ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი მოქნილი და ვნებით ათრთოლებული მკლავები მოხვევია იურის მოღერებულ ყელს?... ეს სულ რედედიას ხერხი იყო... ოო, იცოდა მან იურის სისუსტე — და აი ეხლა ამ კაცმა, რომელსავით არავინ არ უყვარებია ამ ქვეყნად... თვით კუზმაც კი... თავისი გამზრდელი, მაამ მაგიერი... არა, ასე არც ის უყვარებია და... ამგვარმა კაცმა უღალატა... უღალატა მაშინ და იმ დროს, როდესაც ყველაზე უფრო სჭირდებოდა მეგობრის მძლავრი ხელი და გული...

ამ გაფიქრებაზე იური ლოგინიდან გიჟივით წამოიჭრა, მაგრამ კუთხეში დიდ-მაცხოვრის ხატს შეასწრო თვალი... მის წინ წმინდა სანთელი ნელინელ პარპალებდა... და მოსხლეტილივით მის წინაშე ორივე მუხლზე დაეშვა.

ჯარების ჰუჭრუტანას გარედან შავი ნაკვთი ჩამოშორდა, თვალებმა სიხარულით გაიელვეს.

ეს კუზმა იყო.

— გადარჩა! — ათრთოლდა ჩუმად ეს სიტყვა მის ბაგეზე და ა გასწია მეორე მხარესკენ.

მეორე დღეს ყივჩაყთა მეფის დარაჯების თანხლებით ზანქანი ზორაბაბელი, კუზმა-რუსი და ანდრეი ბოგოლიუბსკის ვაჟი, უფლისწული იური, უკვე გაემგზავრნენ საქართველოს.

თავი მესამე

საქართველოსაკენ

დ

მგზავრები მიუყვებოდნენ ოსეთის სამთავროს მთის კალთებს.

კლდოვანი იყო მთის ბილიკი. სიპ ქვაზე ცხენთა ფოლადის ნალს ნაპერწკლები გასცვიოდა, მაგრამ, მაგარი აგებულობის ჯიქეთური პირუტყვები თავს იმაგრებდნენ და ქინჩოდრეკილი დინჯათ მიაბიჯებდნენ.

წინ მიუძღოდათ ეტიკი, გზის მაჩვენებელი. მის შემდეგ მოდიოდა იური და თავისი მერანივით მასაც ქედი მოეკიდა.

თითქოს თავის ხვედრს დამორჩილებიაო.

ტყვე არის თავის მოვალეობისა და ამ საპატიო დარაჯთ ვერსად წასვლიაო.

„საპატიო დარაჯები“ კი, ზანქან ზორაბაბელი და კუზმა-რუსი, შორი-ახლო მოსდევდნენ უფლისწულს და ნელა მოსაუბრობდნენ.

— მაშ, კარგა არა გცოდნია ჩვენი ამბავი!.. — იკვირვებდა კუზმა.

— საიდან? ვიცოდი, რომ იური უფლისწული იყო. ყივჩაყთა მეფის მონათესავე, ვიცოდი, რომ მასთან მცირეწლოვანი იზრდებოდა... სხვა-კი დაწვრილებით რა მეცოდინებოდა!.. ისიც კი კარგა არ ვიცი, თვით შენ ვინ ხარ?

— ჰა, ჰა! — მოკლეთ გაეცინა კუზმას. — ეს ხომ იცი, რომ იურის ლალა ვარ?

ზანქანმა თავი დაუქნია.

— მეც თავადი ვარ ჩემს ქვეყანაში, მეგობარო... ან უფცრო მართალი იქნება... ვიყავ...

და ულვაშს ზემო, ცხვირის ნესტოსთან ნაღველი ისრათ გაწვა.

— თავადი ვიყავ, მქონდა ჩემი სამფლობელო, მაგრამ მჯარტო — უძლური ვიყავ, მტრები მემძლავრებოდნენ და აი შევუერთდი იურის მამას, დიდ მთავარს ანდრეი ბოგოლიუბსკის... გიკვირდა განა, რომ ყივჩაყთა მეფე ეგრე თავაზით მეპყრობოდა, მის სუფრაზე ვიჯექ, ყველანიც ეგრე მოკრძალებით მექცეოდნენ! კარგი დრო მქონდა, კარგი მდგომარეობა, ზანქან!.. ანდრეი სიყმაწვილითვე შევიყვარე... დიდებული კაცი იყო ცხონებული. დიდი აზრები უტრიალებდა, დიდი საქმეც მოიქმედა... მან პირველმა შესძლო რუსეთის დაქსაქსული და დანაწილებული სამთავროების შეერთება. გაბედული იყო, შეუპოვარი, მძლავრი და შემმართებელი. პირველმა მან მოახერხა, რომ კიევის ძლიერება შეერყია და მისი გავლენა და ჰეგემონტი შეესუსტებინა. უმთავრესი ყურადღება სახელმწიფოსი მან ჩრდილოეთით გადაიტანა, როსტოვსა და სუზდალში, უფრო კი ვლადიმირში, თუმცა თვითონ ცხოვრებით უბრალო, მისგანვე დაარსებულ სოფელ ბოგოლიუბოვოში სცხოვრობდა. მამამისის სიკვდილის შემდეგ იმდენად გაძლიერდა, რომ მისი ბრძანებით ინიშნებოდნენ მთავრები კიევისა და სხვა სამთავროებისა. თვით მთელმა ნოვგოროდმაც ქედი მოიხარა მის წინაშე და ერთ დროს მთავრად ანდრეის ძმისწული მსტისლავი მოიწვია. მას უმაღლესი საწადელი ჰქონდა: უნდოდა თვითმპყრობელი ყოფილიყო მთელის რუსეთისა და ამავე აზრით აშენებდა ეკლესიებს, აამშვენიერებდა ციხე-დარბაზებს, კიევისა და ნოვგოროდს მსგავსად, ვლადიმირსა და ბოგოლიუბოვოში. ერთ დროს ისიც კი უნდოდა, რომ საკუთარი მიტროპოლიაც დაეარსე-

ბინა... და, აი, ამისთანა კაცს, კარგად მიხვდები, რომ მტრებიც ბევრი ჰყავდა. თვით საკუთარი ძმებიც-კი არ უსვენებდნენ. უბედურებს არ ესმოდათ, რა დიადი საწადელიც ჰქონდა ანდრეის და სხვა წვრილმან მტრებთან ერთად, ხელს უშლიდნენ. მაგრამ ანდრეის შეცდომა ის იყო, რომ ქედმაღალი იყო, ფიცხი საშინელი და თვით შინაობაშიაც ხშირად დაუზოგველი. ამის გამო შეითქვნენ, თურმე, მისი შინაყმები, რომელთა შორის ერია ერთი თქვენებური, ღვთისგან შეჩვენებული ოსი, ვინმე ანბალი და 1174 წლის 28 ივნისს მოჰკლეს კიდეც ეს გოლიათი კაცი.

მე უბედური იქ არ ვიყავი მაშინ. გაგზავნილ ვიყავ და, რომ მოეკლათ, სწორეთ იმ დღეს გავჩნდი ბოგოლიუბოვოს... ღამით, ოც კაცამდე მიუხდნენ, თურმე, ანდრეის და საწოლი ოთახის კარები შეუმტვრიეს. ანდრეი წამოვარდა, უნდოდა ხმლისთვის წაევლო ხელი, მაგრამ იმ ოსს, შინაყმა ანბალს, ადრევე აელაგებინა ანდრეის იარაღი. ანდრეი ლოგინიდან წამოვარდნილიყო, და, თუმცა მართალია, ხანში იყო შესული, მაინც იმდენად ღონიერი იყო ცხონებული, რომ უიარაღო გასძალიანებოდა თავზე დამსხმელებს. თან ეთქვა: „ვაი თქვენ-და, მუხანათნო! რა ეგეთი ბოროტება მიმიძღვის თქვენდამი? უკეთუ ჩემს სისხლს დაღვრით, თვით ღმერთი იძიებს შურს ჩემი პურმარილისთვისო“. მაგრამ, ხელცარიელი კაცი აბა რას გააწყობდა, და ბოლოს, მოქანცული წაიქცა თურმე, საცოდავი. შეთქმულებს ეგონათ, რომ დიდი მთავარი უკვე მკვდარიაო და ნელ-ნელა გაიკრიფნენ, მაგრამ ამ დროს შემოესმათ საბრალო მთავრის კვნესა. ის წამომდგარიყო და დერეფანში კიბეს მიჰყუდებოდა. შეთქმულები დაბრუნდნენ და მანამ არ მოეშვნენ, სანამ სრულიად ბოლო არ მოუღეს. ეჰ, საცოდავი!.. გარიჟრაჟზე ანდრეის საყვარელი მსახური პროკოფიც მოჰკლეს და მთავრის სალაროც გაძარცვეს, შემდეგ კი ვლადიმირელებს კაცი გაუგზავნეს შეთქმულებმა: ეშინოდათ შური არ იძიონო. მაგრამ ვლადიმირელებს ყურიც არ გაუბერტყიათ... ჰა, ზორაბაბელ, შენ წარმოიდგინე ხალხის უმადურება! დიდებული კაცი მოუკლეს, ის კაცი, რომელმაც ვლადიმირი ესე აღამაღლა, თითქმის უმთავრეს სატახტო ქალაქად აქცია, გაამშვენიერა, ცხოვრება აღორძინა, ეს კაცი მოუკლეს და, — ვითომც აქ არაფერი!.. ოო, ეხლაც-

კი, მონაგონზე, ბოლშა და ბრაზი მაწრიობს... ვირუტყვებო! სანამ ცოცხალი ხარ, გელამუნებიან, ფეხქვეშ გეგებიან. წაიქეცი, ფეხი წაგიბორძიკდა და... აღარჯვის უნდიხარ. ადრავის ახსოვს შენი ამაგი... კინალამ თავი არ მოვიკალ, როდესაც უპატრონოთ მიგდებული დიდი მთავრის ცხედარი ვნახე. ერთგული მსახურნიც დაკლულები ეყარნენ, მხდლები და მშიშრები გაქცეულიყვნენ. სასახლე გაპარტახებული იყო, კარები დაღებული, მორთულობა მიწგრეულ-მოწგრეული, სალარო გაძარცული. როგორც იყო მოვძებნე მთავრის წამოსასხამი და გულ-გამეხებულმა მისგან აშენებულ ტაძარში წავასვენე. მთელ ბოგოლიუბოვოში მხოლოდ მთვრალები და გალეშილები დაეხეტებოდნენ. ძლივს დავაღწიე თავი იმათ დაცინებას და შეურაცხყოფას. როგორც იყო მივაღწიე ტაძარს, მაგრამ აქაც ეკლესიის მსახურნიც მთვრალები დამიხვდნენ და გვამი საყდარში არ შემატანინეს. რა მექნა? გვამი შესავალთან დავასვენე და მაღალის ხმით დავიტირე ჩემი უფროსი: „ხედავ, ჩემო ბატონო და მწყალობელო, შენი ყმებით ვით გექცევიან! არც კი გცნობენ! შენსობას-კი საიდანაც უნდა მოსულიყო სტუმარი, სამეფო ქალაქიდან, ბიზანტიიდან ან სხვა რომელიმე მხრიდან, რუსი ყოფილიყო, გინდ ლათინი, ქრისტიანი გინდ ურჯული, შენ ბრძანებდი, რომ უსათუოდ ამ შენს მიერ აშენებულ ტაძარში მოეყვანათ და ეჩვენებინათ ძვირფასი საგანძური ეკლესიისა. ვინც უნდა მოსულიყო, ესრეთ საქრისტიანო მშვენებაზე პირჯვარს იწერდა. იწერდნენ პირჯვარს თვით ბულგარნიც და ურიანიც და სხვა ურჯულონი, თვით ისინიც-კი, შენი ასეთი ძლიერების მცნობნი, შენზე ცრემლს დაღვრიან და ამათ დახედე... არც კი უნდათ რომ ამ შენს ტაძარში შევიშვან-მეთქი“... გულს მდუღარება მჭონდა გადასხმული, გონება ჩემი სიბნელეში ბორგავდა. ესე ვუდარაჯებდი ორ დღეს. ხოლო მეორე დღეს მოვიდა მოძღვარი არსენი, შეასვენა მიცვალებული და პანაშვიდიც გადაუხადა. მეექვსე დღეს, როგორც იყო, ჯანყის სულიც ჩაქრა და ვლადიმირელებმა კაცები გამოგზავნეს ბოგოლიუბოვოს. როდესაც ხალხმა დაინახა დიდი მთავრის დროშა, რომელიც კუბოს წინ მიუძღოდა, მაშინ-კი ვეღარ შეიმაგრა თავი და ტირილი მორთო. მხოლოდ მაშინ გაახსენდათ უგუნურებს მათი ბატონ-პატრონის სიკეთე და ამაგი...

დამარხეს თუ არა, მე მაშინვე იურის გამზრდელებთან გავიქეც. ცხონებული კარგა ხნის დაქვრივებული იყო და შვილიც მოშორებით, ერთ ერთგულ მოყმისას გაბარებული ჰყავდა. მეშინოდა, იმასაც არა აუტეხონ რა-მეთქი და, რაღა თქმა უნდა, პირველი საფიქრებელი ის გამიხდა. სანამ მივიდოდი, გული მიკვდებოდა, ვაი, თუ ვეღარ მივუსწრო-მეთქი, მართალია, ბოგოლიუბოვოსა და ვლადიმირში აჯანყება თითქო ჩაქრა, მაგრამ შეთქმულების მომხრეები და ანდრეის სიკვდილით გახარებული მისი ძმა ვსევოლოდი არ ისვენებდნენ და ანდრეის ერთგულებს კვლავ სდევნიდნენ და სიცოცხლესაც უსწრაფებდნენ. გზაში ისიც გავიგე, რომ ჩემი სამყოფელი ვსევოლოდის კაცებს გაენადგურებინათ. ცეცხლი მომეკიდა, მაგრამ სამაგიეროზე ფიქრი მეტი იყო. ჩემი პაწია საყმო უკვე დაშინებული იყო და ისეთი მძლავრი მომხრე, როგორც ანდრეი, აღარ მყავდა. ეს ყოველივე ელვის უსწრაფესად მოვიფიქრე. ეხლა თავის დაცვაზე უნდა მეზრუნა და როგორც იყო, ანდრეის ერთად-ერთი მცირეწლოვანი იური უნდა გადამერჩინა. ვფიქრობდი საით უნდა წავსულიყავით, რომ ბავშვიც და ჩემი თავიც შემეფარებინა. მაშინ გამახსენდა, რომ ანდრეის დედა პოლოვეცის ხანის, ყივჩაყთა მეფის პაპის შვილი იყო და ეხლახან საყივჩაყოში ანდრეის ბიძა მეფობდა, აი, ჩვენი მეგობარი, სათნო მეფე! დავასკვენ მასთან გამეტაცნა იური, რადგან იქ უკვე საბოლოდ ვიქნებოდით; ანდრეის მტრები იქ ვეღარ მოგვწვდებოდნენ და როდესაც იური მომწიფდებოდა, სამაგიეროსაც ვაზღვევინებდით ჩვენს დამღუპველთ. ესეც მოვიმოქმედე. საბედნიეროთ იურის დროზე ჩავუსწარ და ღამ-ღამობით, ტყე-ტრეში სიარულით, როგორც იყო, დიდის სიფრთხილით, ჩამოვაღწიეთ ყივჩაყთა მეფესთან... იქ-კი, რუსეთში ვინაცობისათვის ხმა დაგავდა, რომ ანდრეის შვილი არ დარჩენია, ერთი ბღარტი იყო და ისიც მოკვდა-მეთქი... ესეც ერთგვარი ხერხი იყო თავის დასაცავად, რადგან გავიგე, რომ გულ-ღვარძლიან ვსევოლოდს ბრძანება გაეცა, ანდრეის მემკვიდრე მოეძებნათ და მის წინ დაეკლათ. მაგრამ წაუხდა უბედურს, მე დავასწარ! და ბოლოს გავიგე, რომ რუსეთში მართლაც გავრცელებულიყო ხმა, ანდრეი უშვილოდ, უმემკვიდროდ გარდავიდაო. მეც გულში ვიცინოდი, მაგრამ მოურევნელი ბრაზი-კი მაინც

მაწრჩობდა. მთლად შურისძიებად გადავიქეც და გავკაჟდი, გავქვავდი. იური იყო ჩემი იმედი, განმახორციელებელი დიდი განზრახვისა. მას უნდა ამოეყარა მამა-მისის და მისი გამზრდელის ჯავრი, მას უნდა შეესრულებინა ის დიდი საქმე რუსეთის გაერთიანებისა, რაიც ანდრეის არ დასცალდა, და მხოლოდ-ღა ამ აზრით ვცოცხლობდი, ეს იყო ერთადერთი შინაარსი ჩემის სიცოცხლისა. სხვა ყოველივე დავთმე... ცირადი სიყმოვნება, სახლი, ოჯახი, ყოველივე ამ აზრს, იურის აღზრდას ვუმსხვერპლე... მინდოდა, რომ უწინარეს ყოვლისა, იურისაგან მამამისსავით მხნე და ჯანსაღი მეომარი გამოსულიყო. ამიტომ იყო არ ვუშლიდი, როდესაც კი მოიჩიტა, ტყე-ღრეში, მარტო თარეშს. მინდოდა გაჩვევოდა ბუნების სტიქიონთა ატანას, მარტოობას, საშიშროებას, მეომრულ სიმკვირცხლეს, მოსაზრებას და არ ვუშლიდი, ლაღად უნდა გაზრდილიყო მომავალი შურისმგებელი. და, აი, მგონი მივაღწიე კიდეც მიზანს... იური, უკვე ვაქაციაა... უკვე ახლოს არის, ზორაბაბელ, საწადელი... მაგრამ...

აქ უკვე ანაზდად შეჩერდა კუზმა რუსი, თითქო იგრძნო, რომ ნამეტანი მოუვა, თუ ამ უცხო სოვდაგარს თავისი სრული გულის ნადები გადაუშალოსო. ერთი განზე გახედა ზანქანს და შემდეგ ასე შეატრიალა სათქმელი:

— აი, ეხლა საქართველოს მიგყევართ, მეგობარო, შორს ჩვენი საწადელისაგან... ჰა! ჰა! ჰა! საქორწილო, ჯვარის წერის მზადებას უნდა შევუდგეთ...

თითქო უგემური ხუმრობით შესწყვიტა კუზმამ.

მაგრამ გამოჭახრაკებული სოვდაგარი, თითქო მიუხვდაო, ნუგეშს მოჰყვა.

— მერე, განა გწყინს? განა კიდევ ვერ შეეჩვიე ამ აზრს? შეიძლება ამ ქორწინებით უფრო მალე და უფრო ადვილადაც შეასრულო ის, რაც, თურმე, ამდენს ხანს გულს გდებია...

კუზმამ თავი ველარ შეიმაგრა.

— ვნახოთ, ვნახოთ! — წარმოთქვა.

გზა უკვე თავქვე ჩაეშვა.

ქარაფოვანი, შიშველი კლდეები ორივ მხრით ცად აიმართნენ.

ქვევით კლდიდან ამოხეთქილი რაღაც პაწია მდინარე ახ-

ლად დაბადებულივით ღრიალებდა და თავის მომსხო შხეფებს უფსკრულისაკენ ცრემლად ჰღვრიდა.

თავჩაქინდრულ იურის გული შეუწუხდა ამ ვიწროებში, თითქო ჰაერი აღარ ყოფნიდა, თითქო დილეგში ჩააგდესო.

გაახსენდა თვალგაუწვდენელი ველი, ქოჩორა არყის ხეტყე, რედედია, ცილაღე, თავისუფლება, სვეტლანა, მისი სიგიჟე, თავდავიწყება და გული ამოესკვნა.

სწორედ ამ დროს, სულ ახლოს, ფრინველის ფრთების ბარტყუნი მოესმა.

გაბრაზებულმა ზეაიხედა: დაინახა, რომ შავი ყორანი ფრთების მძიმე ქნევით თავს დასტრიალებდა.

ცხენი შეაჩერა. ყორანი წრეს თანდათან ვიწროდ ავლებდა.

„რა უნდაო?“ — გული მოუვიდა. მშვილდ-კაპარჭი მოიმარჯვა.

რკინის მოკლე და მოხხლეტილი ისარი გაზუზუნდა ჰაერში.

შვილდის ღარმა თითქოს დაიძახა: ამბაა!

ყორანს შუაზე გაერჭო ისარი.

— ყოჩაღ! ხელი შეგარჩინა ღმერთმა!

შეხძახა უკან მომავალმა კუზმამ და გაწარებულმა ცხენი გაქუსლა იურისაკენ.

— შეხე, შეხე! — უკან ჩაჭრაკით მომავალი ყვიროდა ზორაბაბელი, — შეხე ყორანს, ისრიანი მიფრინავს.

— შორს ვერსად წავა! — უპასუხა კუზმამ.

მართლაც ერთი შემოტრიალდა ყორანი და გადაიღუპა უფსკრულისაკენ.

— იური, არა გშია? — შეეკითხა კუზმა.

ეტიკი იქვე ახლო იყო. მან მოახსენა კუზმას, რომ მგზავრთა შესაწვენი საფუნდუკო ახლოს არისო.

დამშვიდდნენ. ჩაიღვიეს და სუფრა გაშალეს.

იური არაყს დაეძალა. კუზმა აღარ უშლიდა.

„დეე, გული მოიოხოსო“, — ეუბნებოდა ზორაბაბელს.

იურიმ განაცხადა, რომ ეს მთები თითქო სულზე აწვებიან.

ზორაბაბელმა აუხსნა. — ხვალიდგან უკვე ვაკეზე ჩავალთ, ნამდვილ საქართველოში და მთიულეთზე კი არ წავალთ, დიდ ქალაქ მცხეთისაკენ, არამედ მოკლე გზით გორს მოვხ-

ტდებით. ეს ქალაქი სულ ახალი დაარსებულია, თამარის ჯა-
პამ, დავით აღმაშენებელმა დასდვა საფუძველი და შიგაც ქა-
ლაქ ანისიდან და სხვა მხრიდან მოსული ხალხი ჩაასახლა,
მშვენიერი მდებარეობა აქვს. შემდეგ კი თამარის სასახლემ-
დე, ტფილისამდე, სულ გაშლილი ვაკეა და უფლისწულს აღარ
მოეწყინებაო.

ამაზე გული დააჯერეს.

ქარი მღერს

თავი პირველი

დარბაისლნი

1

ტფილისის ამირის, აბულ-ასანის, სასახლეს ექვსი ცხე-
ნოსანი მოადგა.

მათ დანახვაზე შეწავალთან მდგარმა ორმა გოლიათმა შიშ-
ველი ხმლები ჩააგრ და სტუმრებისკენ გამოეშურა.

თვალის დახამხამების უმალ ცხენოსანთაგან ოთხი ჩა-
მოხტა და ორს დანარჩენს მოკრძალებით მიეხმარა: ლაგამი
დაუჭირეს, უზანგს ხელი წაუვლეს.

ციხე-დარბაზის კარებიდან საპატიო წინაყმა გამოლაგდა.

— შინ ბრძანდება ამირა?

იკითხა მოსულთაგან ერთმა ახოვანმა და თან ცხენზე
ჯდომით შეჭმუჭნული კაბა გაისწორა და მოკაუჭებული, თვლე-
ბით შეჭედილი ხმალი რიგზე დააყენა.

შინაყმებმა დაუდასტურეს ამირის შინ-ყოფნა.

მეორე დიდებულმა-კი პირველ ახოვანს მოახსენა:

— სტუმრები ჰყოლია!

და მიუთითა:

გალავნით შემორტყმულ სასახლის კარგა მოზრდილ ეზო-

ში, ძვირფასად დარახტული ცხენები მსახურთ ჯილავით დაჰყავდათ.

— ვინ არიან? — კვლავ იკითხა ახოვანმა.

— მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი ბრძანდება, სამცხის ბატონი გუზანი, ამირას ვაჟი...

— როდის ჩამოსულა?

— გუშინ, ერისთავთ ერისთავო! და თავადი მზეჭაბუკ ფარჯანიანი გახლავთ...

ამასობაში ერთი შინა-ყმათაგანი დაწინაურდა და აბულ-ასანს აცნობა:

— დიდი ერისთავი რატი სურამელი და თავადი ზვიად სავარსამიძე მობრძანდნენო.

ამის გაგონებაზე მორთხმით მჯდომარე მოხუცი აბულ-ასანი ყმაწვილივით ზე წამოიჭრა და სტუმრებს მიეგება.

დანარჩენებმაც მის მაგალითს მიბაძეს.

რატი სურამელსა და მის მომყოლ ზვიადს, ნახევარი კაცბე არცკი ჰქონდათ გავლილი, რომ მომღიმარი და მხიარული მასპინძელი წინ შემოეგება.

ტკბილად მიესალმენ ერთმანეთსა, დიდად მოიკითხეს.

აბულ-ასანი ახლად მოსულთ ჩარდახისკენ გაუძღვა. გაიარეს თაღებიანი გრძელი დერეფანი და ჩარდახზე მოხვდნენ.

ეს იყო ცალკერძო, სასახლის ბანი. ამ ბანზე კამაროსანი, ნაზი, წერწეტა მარმარილოს სვეტები იყო ამართული და თავს პაწია, სოფიის კენჭით შეთხზული, გუმბათი ედგა. სვეტებს იქა-აქ უცხო რამ მცენარე შემოხვეოდა, თითქო ხავერდის ქსოვილი არისო. იატაკი ვარდისფერი ფილაქანით იყო მოგებული და შიგ ვიწრო რგოლებად შავი და ლურჯი ქვები იყო ჩაჭედილი. სვეტებს შუა კი მოსჩანდა მტკვარ-გალმა დადებული ისანი, საქართველოს მეფეთა სამყოფელი — უცხო სასახლეები, მომცრო, მაგრამ საუცხოო აგებულების ტაძარი და მოშორებით „სანახები საგოდებელთა“, სასაფლაოწი. უფრო ახლო-კი მტკვარზე გადებული ხიდი ისანისა და ზედ ალმართული ოქროს ბრჭყვიალე ჯარი.

კარგ ალაგას იყო ამირას სასახლე, მტკვარ-გამოღმა, გორაკის კალთაზე ქალაქის გალავნისა და სამხრეთის ბურჯებთან ახლო.

დავით აღმაშენებლამდე, არაბთა ბატონობის დროს, ეს იყო სამყოფელი და საპახლე არაბთა უფროსებისა, ამირასი. დღეს კი მხოლოდ სახელი იყო დარჩენილი ამირასი, თორემ იმე-კი აქ უნდა ეცხოვრა თბილისის ქალაქის მოურავს და იმავე დროს ქართლის ერთი ნაწილის გამგებელსა.

ჩარდახზე მოთავსებული, არაბული მზის საათი ნაშუადღევის მეხუთე საჟამეს უჩვენებდა.

შემოდგომის ცხელი დღე იყო, მაგრამ აქ-კი გრილოდა.

ასხლეტილ გუმბათს დაეჩრდილა იქაურობა და კოჯრის მთიდან მოდენილი ნიავი, მტკვრის მაგრილებელ სიოსთან ერთად, იქაურობას საამურ სამყოფელად ხდიდა.

აბულ-ასანმა მსახურთაგან სწრაფად მორთმეული სავარძლები ახლათ მოსულთ თავის ტახტისკენ მიუწია, თვით ტახტზე ალმოსავლეთურად ფეხი მოირთხა და იქით-აქეთ სავარძლებში ერთის მხრით რატი სურამელი მოისვა, მეორეს მხრით ვარდან დადიანი.

სხვები ეზე ჩამომწკრივდნენ: დადიანს აბულ-ასანის ვაჟი გუზანი მოუჯდა გვერდით, რატი სურამელს — სავარსამიძე, მის შემდეგ ფარჯანიანი დაჯდა.

შინაყმები და სტუმართ-მხლებლები კი ფეხზე იდგნენ, ხოლო მსახურთ რვა-კუთხიანი მომცრო სხვადასხვა ხილით სავსე ტაბლა სტუმარ-მასპინძელს ახლო მიუწიეს და უცხო ნაქნარობის წელ-დოქებით სასახლის წყაროში ჩაციებული ღვინო მოარბენინეს.

აბულ-ასანმა ოქროთი შეჭედილი, წარწერებიანი, ნაშუალო კულა აავსებინა.

— ღვინო ცივია, მაგრამ კულათი უფრო საამურია ყელის გაგრილება. ინებე, ერისთავო... — და კულა რატის გადააწოდა.

— ვეჟინური ღვინოა, ჰერეთის, კახური... გიამების და შეგერგების... ვეჟინის ციხის უფროსმა გამომიგზავნა...

— ცხელა ეხლა... — აირიდა რატიმ. — კახური მძიმე სასმელია.

— სამწყურვალოდ შენი ფუცხუნა ქართლული სჯობს.

ტკბილად შეღიმილა დადიანმა.

— საუცხოვო რამ არის, — ჩაურთო სავარსამიძემ, — ძუღან მასვა, საუზმეზე... არც გულს გატკენს და არც თავს...

ნელიად გაიცინეს.

მასპინძელმა კვლავ შესთავაზა.

სტუმრებიც აღარ გაძალიანდნენ. ნელი-ნელ, უჩუმრად ყველამ შესვა თითო.

არაკრაკებდნენ კულას.

სიჩუმე ისევ აბულ-ასანმა დაარღვია:

— მაშ, ასე და ამა პირსა ზედა!.. სანამ შენ მობრძანდებოდი, ერისთავთ-ერისთავო, საუბარი გვქონდა — აქ გაიღიმა ცოტა. — მიხვდები რაზედაც... რა არის ამ ქამად ყველა ჩვენთვის საზრუნველი?.. დიდი დავით აღმაშენებელის და გიორგი გმირის ტახტი არ დარჩეს უმემკვიდროდ... ამისათვის კი მოუპოვოთ ღირსეული მეუღლე თამარ-საგანგებოსა...

ვარდან დადიანს ანაზდად მომღიმარი სახე შეეცვალა. უხუმარი გამომეტყველება მიიღო და მომცრო და მოძრავი ჭკვიანი თვალები თითქო გალმა ისანს მიაპყრო.

— რატომ თანხმობის ნიშნად აბულ-ასანს თავი დაუქნია და შემდეგ შეეკითხა:

— რა დაასკვენით?

— რას დავასკვნიდით?! კვლავ აზრთა სიჭრელეა... ჩემი ვაჟი, გუზანი, ისევ მუტაფრადინს, სალდუხის-ძის ძეზე გვითითებს: დიდი კაცია, ზრდილი და ჭაბუკი საუცხოვო. სულთანია მის ქვეყანაშიო. მე მაინც იმ აზრისა ვარ, რამდენჯერ გვქონდა ამის შესახებ თათბირი, თუ კერძო, თუ საჯაროო, მგონი, რაც თამარი ტახტზე აბრძანდა, ამისათვის ზრუნვა არ მოგვიშლია. მხოლოდ, თუ ისე არა ვჩქარობდით, გლოვა იყო ამის მიზეზი. განსვენებულ გიორგი მეფის, თამარის სახელოვანი მამის სულის საოხად, ერთი წელიწადი მოვათიეთ ჩვეულებისამებრ და წლის თავის გასრულებაზე კი, მოგეხსენება, აღარ ძალ-გვედვა მოთმინება... ჰო-და, მე მაინც იმ აზრს ვადგევარ, რაც უკანასკნელად საჯარო თათბირზე დავასკვენით, საცა თვით კათალიკოსიც კი დაგვესწრო და აკურთხა ჩვენი რჩევა, ისე მღვიქცეთ — დავუცადოთ ყივჩაყთა მეფესთან გაგზავნილ ჩვენს კაცს, სოვდაგარ ზანქანს. მოგვიყვანს იმ რუსსა, ვნახოთ, გავსინჯოთ და ერთ სწორ გზას დავადგეთ.

სიჩუმე ჩამოვარდა. შორიდან მხოლოდ მტკვრის ნელი შუილი მოისმოდა.

— რა ბრძანა დადიანმა?

ცოტა ხნის შემდეგ იკითხა რატიმ,
დადიანი შეკრთა მის ხსენებაზე და ზრდილობიანი, შეკითხველი საბე მიაყარა მოსაუბრეთ. ეტყობოდა იქ ნათქვამთაგან ვრაფერი ჰქონდა გაგონილი.

— დადიანი ისევ თავისას იდგას. ბერძენთ უფლისწულს ემხრობა.

დადიანს სახე გაეშალა. თითქო უბრესის გამომცილავნებას მოელოდა და ამ თქმაზე დამცინავმა ღიმილმა გადაჰკრა.

რატის არა უთქვამს-რა. გულში კი გაიფიქრა:

დადიანს მაინც ის აწუხებს, პირველობა მე შემრჩესო. ბიზანტიის ვარზე შესული ყმაა და იქაური უფლისწული, რა თქმა უნდა, მაგის ჭკუაზე ივლის...

— ლიხთ-იმიერ ვეყავ ამას წინად, — რატის ფიქრთა ჯაჭვი დაუფანტა საკვირაოძიძგმ, — და, თქვენმა მზემ, ვსე მოგახსენებენ, რომ ნწორედ ეგ ორი უფლისწული, მუტაფლადინ სალდუხის-ძის ძე და ბერძენ მეფეთა შთამომავალი, უკვე მოწონებულ იქმნენ დიმარის სასახლის კარზეო...

— ვინ მოგახსენა? — შეიკვირვა აბულ-ასანმა.

— მეც გავიგონე, — ჩაუმატა ფარჯანიანმა, — ვსე გაკადრებენ, თვით კათალიკოსმაც დასტური დასცა და ეხლა მხოლოდ თამარზეა დამოკიდებული ამ რიში რომელს აირჩევსო.

— ვინ ამბობს მაგას? — გაინცვიფრდა რატიც.

— საერისთავოებში — დიდებულნი, საეფუნდუკოებში — მგზავრები, ქალაქით — ვაჭარნი და მოხელენი.

— ვინ დაარხია ეგ ხმა?

თითქმის ერთსა და იმავე დროს, ცოტა წყარომით, იკითხეს რატიმ და აბულ-ასანმა.

— ჩვას დასდევთ! რამდენი მოცლილია!.. ქვეყნის ლაგამს ვინ გაჰკედს?..

ამოიოხრა ხმა დადიანმა.

— მსახურთ-უხუცესო!

სიტყვა შეუბრუნა რატიმ.

— ნურც ეგრე ბრძანებ. ცრი ჯორებით არ უნდა იქცეოდეს. ვსეთ სჯგულისხმო და მძიმე საგანზე მაინც მას სანამდვილე უნდა ესმოდეს. ჩვენი ქვეყანა ეხლა დღია და ვრცელი, ნეტარხსენებულმა და მისმა მომცოლებმა საქმრეთით მაინც ჩვენზე საზღვარი ძველ „ქართუს“ სამფლობელოში

გადაიტანეს... ვინ იცის, შეიძლება მართლაც უცხოვრია ჩვენი მოდგმის ხალხს იმ ქვეყნებში... მემკვიდრეობით ჩვენ გვერგება და იქ კი ურჯულონი გაბატონებულან... დღესდღეობით ჩვენი სამეფოს ამ ვრცელ საზღვრებში მილეთის ხალხი ცხოვრობს, ათასი რამ არის მოსალოდნელი... შორი-შორსა ვართ ერთი მეორეზე... ძლივს შევკოწიწდით დღევანდელ ქართველთ მოდგმისანი და ეხლა ჩვენი, ყოველი, ყალბად გავრცელებული ამბავი, ყოველი ცრუდ შეთხზული ცნობა, ვინ იცის, რა ზიანს მოგვიტანს... რომ დაიჯეროს რომელიმე კუთხემ, ვთქვათ, ბერძნის უფლისწულის მოწონება, შეიძლება ისიც გაავრცელონ, — გამეფდა კიდეცაო. როგორ იქნება? არ შეიძლება ჭანეთმა და კაპადოკიამ ადვილად იწამოს ეს ამბავი? — ხომ ხიფათი აგვიჩნდა! მოგვინდება ხმლით დავუმტკიცოთ, რომ ბერძნის უფლისწული არ არის ჩვენი მეფე... ან კიდევ სალდუხის-ძის ძესი... მუტაფრადინისა...

აქ ერთი გადახედა გუზანს და ისევ ცხარედ განაგრძო რატიმ:

— ხომ არ ივარგებს! არა, ვარდანო, მაგას ნუ ბრძანებ — ქვეყნის ლაგამს ვინ გასჭედსო!.. გავჭედეთ კიდეც და მზეთამარის დროშა უნდა ვეცადნეთ, რომ მტკიცედ გვეპყრას ხელს!..

უცბად შეჩერდა რატი. ყველანი ხმა-გაკმენდით და მოკრძალებით უსმენდნენ. თვითონ-კი, ეტყობოდა კიდევ რაღაც უნდა ეთქვა უფრო ცხარე, უფრო უკმეხი, მაგრამ თავი შეიკავა და უცებ მოსჩრა.

დადიანი არ აჩქარდა პასუხით. ყველა გრძნობდა კი, რომ განთქმული „მოუბარი“ უპასუხოდ არ დატოვებდა ქართლის ბატონს.

ვარდანმა პაწია, ცოტა ზევით აპრეხილ კოკობ ულვაშებზე თვისი გრძელი ნაკვთიერი თითები შეათამაშა და შემდეგ დაიწყო. სახეზე ხათნო ღიმილი უთამაშებდა და საუბრის დროს თითქო არავის არ უყურებდა, ისე შესვენებით წარმოსთქვამდა.

— მომიტეოს ერისთავთ-ერისთავმა, მაგრამ ცოტა მძიმე საუბარი მოუვიდა. ეგეთი ფრიად საგულისხმო სიტყვები, მე შვონი, უფრო სწვა დროს შეჰფერის. არ უნდა დაეჭირვა ამ ჟამად გახსენება იმ გარემოებისა, თუ სად გვიცხოვრია ოდეს-

ღაც ქართველებს, სად იყო ჩვენი კერა, საით მივისწრაფვით და ან ამ ჟამად ჩვენი სამეფოს საზღვარი რაზომ ვრცელია. მომიტეოს ქართლის ბატონმა და მწიგნობრობა, წარსულ დღეთა მატიანენი, წაკითხულნი გვაქვს...

— მაგას ვინ ამბობს... — ჩაერია ეხლა აბულ-ასანის ძე, სამცხელი გუზანიც. თითქო შეიტყო, რომ წყენის კვალი უფრო ღრმავდებოდა მოსაუბრეთ შორის. — შენი სასახლე და თვით შენ განთქმული ხართ მწიგნობრობით.

მაგრამ დადიანმა ყური არ უგდო. იგი წამოდგა და გაიმართა მთელი თვისი მოხდენილის, მოქნილის წერწეტის ტანით, ერთი ხელი მარმარილოს სვეტს მიაბჯინა და თითქო დაცინვით ჩაიღიმილა:

— თვით ჩემმა პატრონმა, პაწია შერგილ დადიანმაც კი იცის, სად ვსახლობვართ, ვინა ვართ და რა არის ჩვენი სანატრიონი...

რატი შეინძრა სავარძელზე. სავარსამძეს შუბლზე კოპები დაეჭდა. აბულ-ასანმა მშვენიერი, შეწითლებული ატამი აიღო ხელში და კოპწია, სადაფის ტარიანი დანით თლა დაუწყო. გუზანიც, ეტყობოდა, ვერ იყო გუნებაზე, არ იცოდა, როგორ ჩაეჭრო უსიამოვნების მრისიქსიქე ცეცხლის წვეტები. მხოლოდ ფარჯანიანი იჯდა დინჯად და ეტყობოდა, დადიანის საამურ ხმას სიტკბოებით ისმენდა. დადიანი კი განაგრძობდა:

— აქ საკითხი სულ მარტივი დყო და არა ეგზომ გასართულებელი... ხმა მიმოქრის საქართველოში?.. ცუდია ეს ხმები?.. სრული სიმართლეა... არ უნდა ვრცელდებოდეს, მაგრამ მე გეკითხებით: შეიძლება უმაგისობა?.. თამარ მშვენიერის ბედი, არამც თუ მარტო ჩვენ შეგვჭირს, ჩვენს დარბაისლებს, დიდებულებს, მთელი ერი გულისფანცქალით მოელოდება ამ ამბის საკეთილოდ გადაჭრასა... მანამ კი, სანამ სინამდვილეს ხორცი არ შეუსხამს... ხმები მიმოქრის?.. რა ვუყოთ მერე... ეს ბუნებითია... და ხიფათი კი?.. დალოცვილო!

აქ უკვე პირში შეხედა რატის.

— ხიფათი... შეუძლებელია!.. თამარი ვინმე თავადის ასულიც ხომ არ არის, რომ ქვეყანამ ვერ გაიგოს, თუ ვისთან მოინება შეუღლება?.. აბა, ვინ დამალავს? როგორ დაიმალე-

ბა... ირწმუნეთ ჩემი: მთელი ცის ქვეშეთი იუწყება მის აჩ-ბავსა...

ცოტა გაეცინა. ცოტა შეჩერდა. უნდოდა განეგრძო.

რატომ დაასწრო:

— მე ეგ კი არ მომიხსენებია, დადიანო...

ალარც იმას დასცალდა. ჩარდახზე გამოვიდა უცხო სანახავი მანდილოსანი, მომლიმარე და მხიარული.

ყველანი წამოიშალნენ.

აბულ-ასანის მეუღლე იყო.

სამოცდაათი წლის მოხუცს ვერ მოეთმინა, კათალიკოსისათვის ნება მოეთხოვნა და მას შემდეგ შეერთო, ორჯერ დაქვრივებულს, ეს მესამე, ახალგაზრდა ცოლი.

იმას გარდა, რომ შვენებით სრული იყო ტურფა ასული, მისი შერთვა დიდ თამარსაც უნათესავებდა: ქალი ოსთ ბატონების შთამომავალი იყო და ბაგრატიონთა სისხლისაც.

ასე რომ ბევრნი აბულ-ასანის ცოლს თვით თამარსაც ადარებდნენ: მოჰგავს იერითო. მხოლოდ დაკვირვებულნი იტყოდნენ: ეს უფრო მიწიერი სილამაზეა და თამარს... ცეურიც ახლავსო.

ამიტომ იყო აბულ-ასანის კარზე, ბატლო ხანებში, კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდობა ირეოდა, მაგრამ თვით მოხუცი, მეფე და პატრონი მშვენიერების, ყველას სათნოდ და გულდამშვიდებული უხვდებოდა. დიდად სწამდა კდემამოსილება მეუღლისა და არ უშლიდა ახალგაზრდებს „შორით ტრფიალს, შორით დაგვას“.

თავი ეჭებოდა.

შორიდან მოუხდა. მანდილოსანს სტუმრებთან მიახლოვება. მაგრამ არ შემკრთალა მისი ახალგაზრდა სხეული, არ დამკრთალა მისი ჯერ კიდევ გამოუცდელი თვალები. შველივით ერიანი, მტრედივით მოგოგმანე წარმოემართა სტუმრებისაკენ.

ყველაზე პირველად დვდიანი მიეგება.

ეს ორმოცი წლის კაცი ისეთი მარდი მიხვრა-მოხვრის იყო, თითქო თვრამეტი წლის ჭაბუკიაო.

მაინც ერთი ჭალარა არ ჰქონდა გარეული, ერთი ნაოჭი სახეზე.

წინააღმდეგ მაშინდელი ჩვეულებისა, თმას არ იყუნებდა.

თითქმის ყველამ ერთად შეიკვირვა.

— დიაღ. გწყლებიათ და ძუღან შიკრიკი ეფრინა კიდეც: დიდებულ ამირას მოახსენე, რომ რუსთ უფლისწული ჩამოვიყვანე კიდეტაო. ნამგზავრზე ვასვენებ და არ გავალს ერთი ყამი, მასთან ერთად გიახლებითო.

— საკვირველია!

— ხომ არ გადაფრინდა ის კაცი?!

— საზღაპრო ამბავია!

იკვირვებდნენ დიდებულები. აბულ-ასანმა კი დაადასტურა:

— ყოჩაღი კაცია ჩვენი ზანქანი! ეტყობა, მარჯვედ გარჯილა, დაუჩქარებია. მოკლე გზით, გორით გადმოიყვანდა...

— იქით ცუდი გზები გაწყლავთ, ამირა.

შეჰკადრა ფარჯანიანმა.

— ეხლა კარგი ამინდები დგას... — აღარ დაათავა რატომ. — მივლია საყივჩაყოში, — გაიხსენა ზვიადმა.

— თუ მარჯვედ მოიქეც, ხუთ დღეს ჩამოხვალ, თქვენი ქვეყანა უნდა გადმოიაროს, ქალბატონთ... ოვსეთის სამთავრო...

— ასეა თუ ისე, ძალიან მარჯვედ მოქცეულა... — დაუმატა დადიანმაც.

— მე-კი, რა მომივიდა?!

კვლავ იოცებდა აბულ-ასანის მეუღლე.

— შიკრიკი არ გამოვუშვი, მე თვით ვახვრებ-მეთქი...

სიყვარულით გაუღიმა აბულ-ასანმა და ტახტიდან ფეხები ძირს ჩამოუშვა.

— ნუ გეშინია, სამახარებლო არ დაგიკარგავს...

ქალი გაწითლებული, თავდახრილი იდგა საქციელ-წამხდარი ბავშვივით.

— მართლა! შიკრიკი ხომ დაასაჩუქრე?

— დიაღ, ბატონო! — ძლივ გასაგონად წარმოსთქვა ქალმა.

— ჰო-და ეხლა რილასი გრცხვენია?

სიყვარულით აკოცნა აბულ-ასანმა.

ამ დროს მსახური შემოიჭრა:

— ზანქანი გეახლათ და ითხოვს ნებართვას, რომ რუსეთს უფლისწული და მისი მხლებელი თქვენს წინაშე წარსდგეს.

ყველა შეშმაშურდა. უცხო მოლოდინმა მოიპყრო ყველანი.

მხოლოდ აბულ-ხანი, როგორც გამობრძმედილი ხელისუფალი არ აჩქარდა, არც ტახტიდან წამოდგა და ისე დარბაისლურად, სათნოდ უბრძანა:

— მობრძანდნენ!

შემოვიდნენ.

წინ სიჩქარით და თავის კვრით მოიკაკვებოდა ზანქანი.

მის შემდეგ თავჩაქინდრული, ჯიუტის ნაბიჯით მოდიოდა უფლისწული იური, მას შორი-ახლო მოჰყვებოდა ვაჟკაცურის მტკიცე მიხვრა-მოხვრით კუზმა.

ჩარდახის შუაზე შეჩერდნენ.

სხაპა-სხუპით დაიწყო ზანქანმა:

— აჰა, ბატონო და მწყალობელო! დიდებულნო! წარმომიდგენია თქვენ თვალთა წინაშე რუსეთის დიდი მთავრის ანდრეი ბოგოლიუბსკის ვაჟი, უფლისწული იური. ეს გახლავთ თავადი რუსეთისა კუზმა, ლალა და გამზრდელი მაგისი.

კუზმამ თავი დახარა. ქართული არ ესმოდა, მაგრამ ზანქანის ხელის ფენაზე და მისი სახელის ხსენებაზე მიხვდა, რაზედაც იყო ლაპარაკი. მხოლოდ იური ისევ თავ-ჩაქინდრული იდგა.

ზანქანი კი განაგრძობდა:

— ვიჩქაროდი, ბატონებო, დიდად ვიჩქაროდი... არ ვიცოდი განა, რა დიდი საქმე მქონდა დავალებული? რა საჭიმო და თან რა საშური? დღე და ღამე გავასწორე იქით და აქეთ. არც ესენი მოვასვენე, არც ჩემი თავი და აი, მადლობა ღმერთს, ვადამდი მოვაღწიე საქართველოს...

— ყოჩაღად მოქცეულხარ, ჩემო ზანქან, ყოჩაღად... არ დავივიწყებთ შენს გარჯილობას და, თუ მაგ ვაჟს ბედი აქვს და დიდმა თამარმა და ერთობ დარბაზის ერმაც მოიწონა, მაშინ ხომ დასაჩუქრებას ვეღარც აუხვალ.

— თქვენი თავი ნუ მომეშალოს...

— სთხოვე მაგ ყმაწვილს ახლოს მობრძანდეს, აქ ჩამოჯდეს.

ზანქანმა გადაუთარგმნა.

იურიმ თავი აიღო. მისი თვალები აბულ-ასანის მეუღლის თვალებს მოხვდა უეცრად, რაღაც მოუვიდა. ეგონა თუ თავბრუ დაეხვა, მაგრამ დაბარბაცებისაგან თავი შეიკავა.

„არა! ეს სვეტლანა არ არის!“ — გადასწყვიტა გულში და მტკიცე ნაბიჯით გასწია იქით, საითაც მიუთითეს.

დადიანს არ გამოეპარა ესეთი „გაქანება“ იურისა, მაგრამ არც ის გამოეპარა, რომ აბულ-ასანის მეუღლეს ფერი სრულიად მიჰკდომოდა და დიდრონი შავი თვალები, თითქო უნებლიეთ, იურის შესცქეროდნენ.

კუზმაც შორიახლოს დასვეს.

იმან დინჯად, მაგრამ მაინც დაკვირვებით აათვალიერჩაათვალიერა იქ მყოფნი, ჩარდახის მორთულობა, შორეული სანახაობაც და, ეტყობოდა, კარგ გუნებაზე დადგა.

საზოგადოდ, ხომ რაც საქართველოს მთიხ კალთებს ჩამოსცილდნენ და გორს მიაღწიეს, თანდათან გულში სიამე ეფინებოდა. იპყრობდა საქართველოს წარმტაცი ბუნება, ხიბლავდა გზაში შეხვედრილი ლაღი და ჰაერრვანი ხალხი. პატივისცემით იმსჭვალებოდა უცხოთ ნაგებ ტაძრებსა, ციხებურჯებსა და კორდებზე შეფენილ სრა-სასახლეთა და სოფელთა ნაკეთობით.

იმასაც პირველ ხანებში, ტრიალი მინდვრის ნაჩვევს, სულს უხუთავდა კავკასიის ქედი, ხეობათა იწროები, მაგრამ კოხტად გაშლილმა და შეფერადებულმა ჭვეყანამ იურიც და ესეც გამოაკეთა და გამოახალისა.

განსხვავება ერთი იყო ამ ორ-შუა.

იური, როგორც ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ვერ ემხრობოდა სიახლის გაწცდას და მაინც გულჩათხრობილი იყო. კუზმა-კი, გამოცდილი და გადანახედი, თავიანთი სარგებლობის თვალით ზომავდა ყოველივეს და მისი გული და ზრახვა უფრო ადვილად და უფრო შეგნებით ეთვისებოდა გარემოებას.

დამხვდურებიც ათვალიერებდნენ მოსულებს.

კუზმა ყველას ერთბაშად მოეწონა: შესახედი ვაჟკაცი, თეთრ ულვაშებ ჩამოყრილი, გაშლილის სახისა.

იურიზე-კი ერთგვარი არ ეყო აზრი.

განსაკუთრებით რატი დარჩა უკმაყოფილო. მან შეამჩნია

ხურის ლამაზი, მაგრამ ამღვრეული თვალები და გულმა რეჩხი უყო.

დადიანმა კი გუზანს ჩასჩურჩულა:

— სულ ბავშვი ყოფილა!

გუზანი უცებ დაეთანხმა. მხოლოდ დაკვირვების შემდეგ მიხვდა ამ სიტყვების ფარულ აზრს: „ადვილია მაგის ხელში ჩაგდებაო". გულში გაეცინა: — „რა მიხვედრილი კაცია ეს დადიანიო", გაიფიქრა.

— მგზავრობამ არ დაგღალათ, ბატონიშვილო?

შეეკითხა აბულ-ასანი.

ზანქანმა გადათარგმნა.

ხურიმ გაიღიმა. უპასუხა მოკლედ. ვარდანმა აბულ-ასანის მეულლეს გადახედა. ჭაბუკის ხმა მართლა საუცხოოდ ბგერდა.

შეამჩნია, ქალს როგორ ხელი აუთრთოლდა და თითქო უნდა გადაეფუჩეჩოსო, სარტყელი ვეფხვმდა გაისწორა.

— მსახურთ-უხუცესო!

დაბნეისლურად დაიწყო აბულ-ასანმა, მაგრამ დადიანმა შეამჩნია, რომ ეს უკვე საქმიანი კილო იყო და ფეხზე წამოდგა.

წამოდგა აბულ-ასანიც.

— ჩვენს პირიმზეს, დიდებულს თამარს მოახსენე, რომ რუსთა მთავრის შვილი ეახლა და, როდესაც ინებებს, დრო დაუნიშნოს მისი ხილვისა.

დადიანმა თავი დახარა.

— ჩემი დარიგება არ გინდა, ვარდანო... — უკვე მეგობრულად უთხრა აბულ-ასანმა, — ეს შენი ვალია, დააჩქარო წარდგენა... მე არ ვისწრაფვი მსჯავრის დადებას, მაგრამ ეტყობა კი, უცხო რამ ჭაბუკია... უნდა ეცადო, რომ... — აქ განზე გაიყვანა ამირამ დადიანი, — შენცა და სხვა წარჩინებულთაც დაარწმუნოთ მეფე ჩვენი, — ნუღა გაგვიჯიუტდებაო...

დადიანმა თავი დაუქნია, — ყოველივეს მივხვდიო და საჩქაროდ ყველა იქ მყოფთ გამოესალმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ის და მისი მხლებლები სიჩქარით მიაგელვებდნენ სწრაფ და ფიცხ იმერულ მერნებს ისნის სასახლისაკენ...

თავი მეორე

დარბაზობა თამარის სასახლეში

3

ორი ახალგაზრდა რაინდი მიმდგარიყო ერთ ბუმბერაზ და ახოვან სვეტთან. რომლის კოზმიდიც საძღაც მაღლა იღუბებოდა.

უცხოდ მოხრახნილ კოზმიდზედ დიდი თაღის ბოლოები იყო ჯვარედინად დაყრდნობილი და ეს სვეტიც ერთ-ერთ ბურჯად ედგა თავზე დაწოლილ სიმაგრეს.

სვეტი სრულიად მოხატული იყო ქართველ ხელოვანთაგან.

მთავარ შუა ტანზე გამოსახული იყო თამარის მამის, გიორგი მესამის, ერთ-ერთი ლაშქრობა.

მაგრამ ისე ხერხიანად იყო ნახატი შეთხზული, რომ საღებავი კი არ ეტყობოდა, გეგონებოდათ თვით ქვები ბუმბერაზ სვეტისა გამოიტყოდა ამ ფერთა გარიგებულებას, ამ სიმწყაზრეს სურათოვნებისას, თვით აზრს მხატვრის შემოქმედებისას.

ნახატი ირგვლივ უვლიდა მთელს სვეტს და ჩარჩოდ კი, ზემოთ, და ქვემოთ, შემოვლებული ჰქონდა მეტად წმინდათ შესრულებული არშია. აქ მოხატული იყო: ქართული დროშები წმინდა გიორგის გამოსახულებით, ბაგრატიონთა გვარის ნიშანი: ქნარი დავითისა, საქართველოს სასოება და იმედი — ჯვრისტეს წმინდა კვართი, ჰოროლები, შუბები, გურზი, ლახტები, ისრები, მშვილდ-კაპარჭები და სხვა საომარ იარაღთა კონა.

სვეტს ნაზი სინათლე უცხო შარავანდედად მიდგომოდა.

ეს შუქი სინათლისა მოდიოდა განის კედლებში მაღლა ბტყორცნილ ვიწრო, მაგრამ უცხო ნაკვთიერების სარკმელთაგან.

უხვად იყო ირგვლივ კედლებში ისეთი წერწეტა, კამაროსანი სარკმელი.

ამიტომაც მთელს დარბაზში რაღაც მყუდრო ნათელი სუფევდა.

დიდი იყო დარბაზი.

ერთი კუთხიდან თვალი ძლივს სწვდებოდა მეორე კუთხეს, მაგრამ იმავ დროს ის შორეული კუთხეც თითქო თქვენი. მახლობელი იყო.

ამ ჟამად, ხსენებულ ორ რაინდს გარდა, დარბაზში ბევრნი იყვნენ.

მაგრამ სივიწროვით მაინც არავინ წუხდა.

ხოლო არც თუ შიში მარტოობისა, ხალვათობისა იპყრობდა ვისმეს.

დარბაზში უცხო რამ შრიალი გაისმოდა, თითქო ნიავმა, ნაზმა რამ სიომ, ტურფა ყვავილებს და ხასხასა მობიბინე ბალახს თავზე გადაურბინაო.

ეს — შრიალებდა ქალთა სალუქი სამოსი, ვაჟთა მსუბუქი ყურთმაჯები.

იქა-აქ ხმლისა და სხვა მოჭედილ იარაღის ჟღარუნიც გამოკრთებოდა.

ზოგჯერ ჯავშნოსანთა შეჩხარუნებაც მოდიოდა სასმენელს. უხვად იდგნენ კარებთან და სხვა დანიშნულ ალაგას მთიული გოლიათები.

რაკრაკებდა და ჩხრიალებდა თითქო მთის წყარო, ეს — ნელად საუბრობდნენ მანდილოსნები, დარბაისლად ბაასობდნენ ხანდაზმულნი და ვაჟი-კაცები.

ზოგჯერ სადღაც, თითქო შეხტაო წყლის ჭავლი: ქალწულს გაეცინა, ჩაიკისკისა, სული მოითქვა, შეტრიალდა ვერცხლისებური ბგერა და...

კვლავ ნელი წკანწკარი, უცხო შრიალი, ნიავი, სიო.

დარბაზში მყოფთა სახე მხიარული იყო, შოცინარი, სალაღის მჩენი.

თან ეტყობოდა ამ სახეებს მოლოდინი. ეტყობოდა ჯერ არ მომხდარიყო ის უმთავრესი, რისთვისაც თავი მოეყარათ.

გული კი ფანცქალებდა, სისხლს ჩქროლავდა ახალგაზრდების.

მოხუცები არ იმჩნევდნენ, მაგრამ სიახლის და უნახავის მოლოდინი მათაც აცთუნებდათ.

— მაშ, არ გინახავს?..

ეკითხებოდა სვეტთან მდგარი რაინდი მეორეს.

— ვერა, ვერ ვნახე.

თავი მეორე

დარბაზობა თამარის სასახლეში

3

ორი ახალგაზრდა რაინდი მიმდგარიყო ერთ ბუმბერაზ და ახოვან სვეტთან. რომლის კოშტიდიც სადღაც მაღლა იღუბებოდა.

უცხოდ მოხრახნილ კოშტიდზედ დიდი თალის ბოლოები იყო ჯვარედინად დაყრდნობილი და ეს სვეტიც ერთ-ერთ ბურჯად ედგა თავზე დაწოლილ სიმაგრეს,

სვეტი სრულიად მოხატული იყო ქართველ ხელოვანთაგან.

მთავარ შუა ტანზე გამოსახული იყო თამარის მამის, გიორგი მესამის, ერთ-ერთი ლაშქრობა.

მაგრამ ისე ხერხიანად იყო ნახატი შეთხზული, რომ საღებავი კი არ ეტყობოდა, გეგონებოდათ თვით ქვები ბუმბერაზ სვეტისა გამოიტყოდა ამ ფერთა გარიგებულებას, ამ სიმწყაზრეს სურათოვნებისას, თვით აზრს მხატვრის შემოქმედებისას.

ნახატი ირგვლივ უვლიდა მთელს სვეტს და ჩარჩოდ კი, ზემოთ, და ქვემოთ, შემოვლებული ჰქონდა მეტად წმინდათ შესრულებული არშია. აქ მოხატული იყო: ქართული დროშები წმინდა გიორგის გამოსახულებით, ბაგრატიონთა გვარის ნიშანი: ჭნარი დავითისა, საქართველოს სასოება და იმედი — ჯვრისტეს წმინდა კვართი, ჰოროლები, შუბები, გურზი, ლახტები, ისრები, მშვილდ-კაპარჭები და სხვა საომარ იარაღთა კონა.

სვეტს ნაზი სინათლე უცხო შარავანდედად მიდგომოდა.

ეს შუქი სინათლისა მოდიოდა განის კედლებში მაღლა ბტყორცნილ ვიწრო, მაგრამ უცხო ნაკვთიერების სარკმელთაგან.

უხვად იყო ირგვლივ კედლებში ისეთი წერწეტა, კამაროსანი სარკმელი.

ამიტომაც მთელს დარბაზში რაღაც მყუდრო ნათელი სუფევდა.

დიდი იყო დარბაზი.

ერთი კუთხიდან თვალი ძლივს სწვდებოდა მეორე კუთხეს, მაგრამ იმავ დროს ის შორეული კუთხეც თითქო თქვენი. მაღლობელი იყო.

ამ ჟამად, ხსენებულ ორ რაინდს გარდა, დარბაზში ბევრნი იყვნენ.

მაგრამ სივიწროვით მაინც არავინ წუხდა.

ხოლო არც თუ შიში მარტოობისა, ხალვათობისა იპყრობდა ვისმეს.

დარბაზში უცხო რამ შრიალი გაისმოდა, თითქო ნიავმა, ნაზმა რამ სიომ, ტურფა ყვავილებს და ხასხასა მობიბინე ბალახს თავზე გადაურბინაო.

ეს — შრიალებდა ქალთა სალუქი სამოსი, ვაჟთა მსუბუქი ყურთმაჯები.

იქა-აქ ხმლისა და სხვა მოჭედილ იარაღის ჟღარუნიც გამოკრთებოდა.

ზოგჯერ ჯავშნოსანთა შეჩხარუნებაც მოდიოდა ხასმენელს. უხვად იდგნენ კარებთან და სხვა დანიშნულ ალაგას მთიული გოლიათები.

რაკრაკებდა და ჩხრიალებდა თითქო მთის წყარო, ეს — ნელად საუბრობდნენ მანდილოსნები, დარბაისლად ბაასობდნენ ხანდაზმულნი და ვაჟი-კაცები.

ზოგჯერ სადღაც, თითქო შეხტაო წყლის ჭავლი: ქალწულს გაეცინა, ჩაიკისკისა, სული მოითქვა, შეტრიალდა ვერცხლისებური ბგერა და...

კვლავ ნელი წკანწკარი, უცხო შრიალი, ნიავი, სიო.

დარბაზში მყოფთა სახე მხიარული იყო, შოცინარი, სილაღის მჩენი.

თან ეტყობოდა ამ სახეებს მოლოდინი. ეტყობოდა ჯერ არ მომხდარიყო ის უმთავრესი, რისთვისაც თავი მოეყარათ.

გული კი ფანცქალებდა, სისხლი ჩქროლავდა ახალგაზრდების.

მოხუცები არ იმჩნევდნენ, მაგრამ სიახლის და უნახავის მოლოდინი მათაც აცთუნებდათ.

— მაშ, არ გინახავს?..

ეკითხებოდა სვეტთან მდგარი რაინდი მეორეს.

— ვერა, ვერ ვნახე.

— ოო, უცხო ჭაბუკია... ფრიად კარგი სანახავი. დადიანს ჰყავდა წუხელ, მეც იქ ვახლდი მსახურთ-უხუცესს.

— რას ამბობ, მართლა?

— მერწმუნე, დიდად მოულხინა დადიანმა. მშვენიერი მგალობლები, ეგრისელნი ჰყავდა. კლარჯეთიდან მოცეკვავენიც.

— მანდილოსნები არ ბრძანებულან?

— აბა, საიდან?! ქალბატონი ნათელა, დადიანის მეუღლე, აქ არ ბრძანდება ამ ჟამად. ლიხთ-იმერეთს გადასულა პაწია შერგილის ძიძის სახლში.

— მაშ, მარტო მამაკაცები იყავით?

— დიაღ... ეტყობოდა, რუსის უფლისწული ნასიამოვნევი დარჩა... მხოლოდ ერთი რამ შევამჩნიე.

— ჰოო? რა, რა, თუ გიყვარდე?

— ღვინოს ეწყობა.

— ეეჰ, ღვინოს კი არა!..

— სარწმუნო იყავ! მხოლოდ მე იმას ვამბობ: ახალგაზრდაა ჯერ სულ. რა იცის, აბა, რუსმა ჩვენებური ღვინის ამბავი... ეგეც ბავშვია, მოეწონა, ღვინომ წაიტყუა და...

— მოეკიდა?

— ახლა როგორ?.. კარგი კაცი კი არის, ვილაც ახლავს.

— ვინა?

— ან, მოხუცი რუსი, მაგის გამზრდელია, თურმე... ისიც დიდი თავადი ყოფილა...

— მერე, რაო?

— ბევრი უშალა... მათებურად, ბევრი რამ, ეტყობოდა, ტუქსვით უთხრა. მაგას-კი თანდათან ღვინო ეკიდებოდა.. ჯერ სიცილით პასუხობდა რალაცას, შემდეგ გაიბუტა და ბოლოს ტაბლაზე მუშტიც-კი დაჰკრა... ოო, რამდენი იცინა დადიანმა... დიდი კაცია! ისევ ის მოეფერა, იმ რუს გამზრდელსაც უთხრა, რა უშავს, ნებას მიუშვიო! გამზრდელიც დაჰყვა მასპინძლის ნებას...

— ვინ უთარგმნიდა?

— ყივჩაყი შარაგანი.

— მერე?

— ისე დაგვეთრო, ისე დაგვეთრო, რომ...

აქ მოსაუბრემ თავი ახლო მისწია მსმენელისაკენ, იმანაც ყური მიუახლოვა:

— ხელით გავიტანეთ... უგრძნობელი!

— ეე, რას ამბობ!

— მართლა.

ორივემ უხუმარის, გაკვირვებულის და თან დარწმუნებული სახით ერთი მეორეს თვალი გაუყარეს.

ერთ ხანს იყვნენ ასე. შემდეგ ერთს ნელა გაეცინა:

კარგი არ იქნება ჩვენი მეფე მთვრალი!.. ჩვენი მეფე ხელით გაგვყვანდეს?!

მეორესაც გაეღიმა, მაგრამ უეცრად მოკრძალებით ვილაცის წინაშე თავი დახარა...

მათ უახლოვდებოდა ერთი საგანგებო ვაჭარი, ფეზარმაზარის ტანისა; მაგრამ ეს დიდი სხეულის პატრონი ისე იყო თანაბრად ჩამოხაკვთული შესაფერ მხარეებთან და სახე-პირთან, რომ საამურ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ეტყობოდა ჭაღარა ერეოდა, შესაფერადობით ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვაჭარს. ეს უფრო მის მკვიდრსა და გრძელს წაბლისფერ ულვაშებს დაჰნეოდა.

ეს იყო თამარის განთქმული მეომარი, ზაქარია მხარგრძელი.

ესეც ამ ჟამად საღარბაზოდ რომ მორთული და ჩვეულებისამებრ საოჯარი აბჯარი არ ჰქონდა ასხმული. ერთი სპილოს ძვლის ტარიანი საშუალო მოყვანილობის ხმალი ერტყა და ამ ჟამად ეს იყო მისი „საოჯარი სჭურველი“.

— ხალამი მოყმეთ!

დარბაისლური ბოხის ხმით მიმართა ზაქარიამ.

მოყმეები გაბკრძალვით თავდაბრილნი იდგნენ.

— რაზედ საუბრობდით?

ესლა აირეს მხრლრად თავი. ერთმა მოახსენა:

— აი, როსის უფლისწულზე... მეგობარს უნახავს და...

— მართლაა? ხომ მოგეწონა?

— საუცხოო მოყმე ბრძანებულა...

— ჰო, ეგრე მოსწონს ყველას. გუშინ კიდევ კათალიკოსს ვაახელით და კათალიკოსმა დიდად მოიწონა...

— მართალია, ბატონო ზაქარიავ, რომ ჩვენი ბატონის მა-

მიდას, მეფეთ-მეფის თამარის აღმზრდელს, რუსუდანსაც, წარუდგა რუსთა უფლისწულიო?

— მართალია, მოყმევ; მართალი. დიდ ქალბატონ რუსუდანსაც მოეწონა... ეტყობა, ბედი უღიმის ამ გიორგი რუსს..

— გიორგი რუსს?.. მომიტევე, სარდალო, და მე ისე გავიგე, თითქოს სხვა სახელი ეწოდებოდეს?

— ჰო, მართალია!.. მათებურად იურა თუ იური რქმევია, მაგრამ კათალიკოსმა გუშინვე ბრძანა: ჩვენ გიორგი უნდა გუწოდოთო. ერთი რომ კათალიკოსს გადაწყვეტილი აქვს — მეფედ ეგ უნდა დავსვათ, ამიტომ გიორგი ბედნიერი სახელია და ქართულ სულსა და გულსაც უფრო ეთვისება. თამარის დიდებულ მამასაც გიორგი ერქვა; მაშ, ნუ მოვსპობთ ჩვენი ტახტის ნუგეშად ამ სახელს და მგორე, ეს მათებური იურიც ჩვენებურ გიორგის უდრის. მათი საქრისტიანო ეკლესია ჩვენებურ გიორგობას დღესასწაულობს იურის დღესაო... ესე ბრძანა.

— ჩინებულია, სარდალო...

— რაკი კათალიკოსმა ბრძანა, ეგრე აჯობებს უთუოდ. დაუდასტურეს რაინდებმა.

— ეხლა მხოლოდ, რას ბრძანებს თვით პირიმზე?.. — ეს ბრის საგულისხმო...

— არა ვიცით რა, ზაქარიავ, თუ რა აზრს ადგია თვით თამარი?

— ვინ შემძლებელ არს მისდა მიხვედრად, თუ რას განიცდის ჩვენი ღვთაება!

დარბაზს თანდათან შემოუმატნენ.

ხმათა ბგერანი უფრო შემჭიდროვდნენ, უფრო გასუქდნენ.

მობრძანდა თვით ამირა-სპასალარი, ზაქარიას და ივანე ხუცესის მამა, ღრმად მოხუცებული სარგის არღუთაშვილი. მას თან მოჰყვა ახოვანი, ჭარმაგი მოხუცი, ნაცვალი სპასალარისა — გამრეკელი-თორელი.

უეცრად დარბაზის ერი თითქოს შეჭუჩდა. მდუმარებამ მოიცვა ყველანი.

მთავარ შემოსავლიდან მოდიოდნენ მსახურთ-უხუცესის ვარდან დადიანის წინამძღოლობით, უფლისწული იური, საქართველოში აწ უკვე გიორგით ხსენებული, მისი გამზრდე-

ლი კუზმა-რუსი, შორიახლო ზანქან ზორაბაბელი, ყივჩაყა უფროსი შარაგანი და დამხვდური საპატიო ამალა.

უფლისწულს რუსული, ძველებური ფარჩის ჯუბა ეცვა, თვალ-მარგალიტით მოჭედილი, შვინდისფერი ხავერდის მაგარი საყელო, წითელ და ლურჯ ფერად შეღებილი, ტყავის ამომწვარი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და წელზედაც აღმოსავლეთური იერის მახვილი. თავზე არა ეხურა-რა: იცოდა, რომ თავმოხდილი, ოქროს ხუჭუჭ-თმებიანი უფრო მშვენიერი იყო.

ის მხიარულად შემოდიოდა დარბაზში.

კუზმა რუსი-კი სამხედროდ იყო გამოწყობილი. მწვეტიანი მუზარადიც-კი ეხურა და ესე მორთული უფრო ვაჟკაცურად გამოიყურებოდა.

„მართლაც საუცხოო მოყმეა". „ღირსეული ჭაბუკი ყოფილა!" „ის ვიღა არის? რა ვაჟკაცი ყოფილა!" „სულ გათეთრებულია, მაგრამ ხნიერი კი არ უნდა იყოს", „გამზრდელია", „რომელზე ამბობ?" „აი, მკერდზე თეთრი ულვაშები სცემს".

ეტყობოდა რუსები მოეწონათ.

დადიანმა ერთ, საგანგებოდ განმზადილ ტახტთან მიიყვანა ჟფლისწული.

გზა და გზა დარბაზს მყოფნი ზრდილობით თავს იხრიდნენ სტუმრის წინაშე.

იური-გიორგიც იქით-აქეთ სიამოვნებით იხედებოდა. თავი კი არავისთვის არ დაუკრავს. ყელ-მოღერებით მისდევდა დადიანს.

ზოგიერთს გაუკვირდა: რატომ თავის დაკვრით არ გვიპასუხაო? მაგრამ მეორენი უხსნიდნენ, რომ უთუოდ მათს ქვეყანაში სხვა წესია, აქაური არა იცის-რა და ჩვენს წესს, არაფერია, ადვილად შეითვისებსო.

იური-გიორგის დაეტყო, რომ მოეწონა საქართველოს კეკლუცები.

კუზმას გადაუჩურჩულა:

— რა ლამაზები სცოდნია ამ ქვეყანასაო!

კუზმას გაშლილი სახე მოეღრუბლა და ზრდილობიანად, მაგრამ მაინც ტუქსვით უთხრა:

— კარგია ერთი, შენ გაზრდას, დინჯად იყავ... ვერა ხედავ, რა პატივით და ზრდილობით მიგვიღეს! სიდარბაისლე

გმართებს... ხომ ამჩნევ, რა დიდებული ხალხიც ყოფილა ჩვ. სიყმაწვილე არ გამოგადგება... ვაი, რომ მამა-შენმა ვერ მოასწრო შენი სახელმწიფოდ გამოზრდა... ბევრი რამ არ იცი... იყავ ზრდილობიანი, თავაზიანი და დინჯი... უმთავრესად, — არაფერი არ გაიკვირვო... როგორც დაგარიგე, ისე მოიქეც, თორემ კიდევ შემარცხვენ...

იური-გიორგიმ გაბუტვით გადმოხედა.

— ხო, კარგი, ალარ გავიწსენებ, რაც მოგივიდა წუხელის, ხბოლოდ გახსენებ, რომ თავის შეკავება გმართებს... გახსოვდეს, რომ ამ წუთზეა შენი ბედი და უბედობა დამოკიდებული... და განა მარტო შენი? ხომ გახსოვს, რაც არის ჩვენი მიზანი: დიდებული იმპერიის დაარსების ბედ-იღბალიც... ეს არ განიშორო ფიქრისაგან!.. არც ამათი პატრიარქი, გუშინ რომ გნახეთ, არც ის საპატრო მანდილოსანი, შენი საცოლის ალმზრდელი რომ ყოფილა, მისი მამიდა, აი ისეთის დიდის ამბით რომ ესრე გვეგლებიან... არც ერთ ამათ არ შეუძლიან შენი ბედის გადაწყვეტა, იცვე ის, თვითონ, აი გისდანაც გართ დღეს სადარბაზოდ... იმაზეა ყოველივე დამოკიდებული... ხომ გაიგე, რომ დიდ გეხიერს ვისმე ამბობენ, უნდა ეცადო იმას თავი მოაწონო და, როგორც რამდენჯერმე გითხარი, რამდენათაც მე შევიტყე — ისე ვერაფრით ვერ მოაწონებ თავს, როგორც ხიდინჯით, თავის დაჭერით და მოკრძალებით.

ამას ყოველივეს კუზმა-რუსი მტუქსავის ქალთი, მაგრამ სახის თავაზიანი გამომეტყველებით გადმოსცემდა, რადგან, მართალია, დარბაზში მყოფთ, ხელგერთს, გარდა, მისი ბრა ესმოდა რა, მაინც ეშინოდა სახეზე არ შევემჩნიათ საგანი სყუბრისა.

იური-გიორგი-ც, ეტყობოდა ყურს არ უგდებდა მის თვალებს მოეძებნათ საგანი ჭვრეტისა და ამას დაეპყრო.

მანდილოსანთა შორის შეემჩნია აბულ-ასანის კეკლუცი მეუღლე და მას მიშტერებოდა.

ქალის თვალებიც მისკენ იყვნენ გაისრული.

ორიგენი ჩაბმოდნენ ჭოთარგმანო იღუმალს, მაგრამ ქრუანტელის მომგვრელს, გულის ამჩქროლებელ თვალებით საუბარსა.

კუზმას, ყივჩაყმა შარაგანმა, მკლავში ზრდილობიანად წელი ჩაავლო:

— როგორ მოგწონს დარბაზი! გინდა, ცოტაზე გავიაროთ?

კუზმა დაეთანხმა.

— ეხლა დრო არ არის სასახლის დათვალიერებისა, მაგრამ ზოგ რასმე მაინც დაგანახებ... აგერ, ხედავ, სიღრმეში ათასფრად რომ ბრწყინვალებს, თვალსა სჭრის მისი ელვარება? ეგ სამეფო კარებია მთლიან ოქროსაგან ჩამოსხმული და შიგ ძვირფასი თვალ-მარგალიტი უზის. თუ ძალიან არ-ლოს არ მიხვედი, ისე მოხერხებულად ადგია აი ამ ყელ-მოღერებულ საკმელთაგან მონადენი სინათლე, რომ ძნელი დასანახია. ბრწყვიალებს. ახლოს-კი, ამ ჟამად, არ მიისვლება. წესია ეგეთი. და არც თუ ნებადაურთველად მიგიშვებენ, აი, ის, ორი მდევი კაცი, დარაჯათ რომ იქით-აქეთ უდგანან წეფის ბჭესა... რაო? შენ ცოცხლები არ გეგონა? ოქროსაგან გამოკვეთილსა გვანან? ეგ მათი საზეიმო სამოსია და, მართლაც, ასე გვონია ამ კარი-ბჭის გაგრძელება არის, არშია... არა! ეგენი ცოცხლები არიან, ქართველები, სვანეთიდან; თამარს დიდად უყვარს ეს მთიულები. ერბგულნი არიან და ღონივრები, და ესეთ საპატიო სადარაჯოზე უფრო ხშირად ეგენი დგანან, თვით ამ ოქროს კარი-ბჭეზე გამონაკვთულია სხვადასხვა სურათი მეფეთა და საქართველოს ცხოვრებიდან. ქართველებს ერთი საარაკო ოქროს მოქანდაკე ჰყავთ, ბექა ოპიზარი ეწოდება. იმის წახელოვნებია... მაგრამ ეხლა ცოტა აქეთ მოვუხვიოთ...

მიმავალ-უყივჩაყსა და რუსს დარბაზში მყოფნი ზრდილობიანად გზას უთმობდნენ. შარაგანი-კი განაგრძობდა:

— ეს სასახლე, საცა ჩვენ ეხლა ვიმყოფებით, თვით თამარის აგებულია. წელიწადი თუ იქნება, რაც საძირკველი ჩაეყარა ამ შენობას, მაგრამ ისეთის სისწრაფით შენდებოდა, იმდენი მუშა ესია, რომ ვერ გაკვირდათ ასე მოკლე ხანში ასეთი დიდი სასახლე გაემწყაზრათ და ესე კეკლუცად შეემკოთ. თუ ვინმე საუკეთესო ხელოვანი იყო ქართველებში — ხუროთმოძღვარი, მხატვარი და მჭანდაკებელი; სულ აქ იყო თავმოყრილი და ამათმა შეერთებულმა ღვაწლმა და შრომამ

შეჭმნა ეს მოხდენილი, საზღაპრო სამყოფელი... დიდებულია თამარის წინაპართა მიერ ნაშენები სასახლეებიც აქ, ისანს, ტაბახმელას, ქუთაისს, ბედიას, არშანუჯს და სხვაგან, მაგრამ სიმშვენიერით, სიმტკიცით და შემკულობით თამარის ნაგებს ვერც ერთი ვერ შეედრება. მარტო აქ-კი არ აუშენებია, სხვა ბევრგანაც. აი მთაში, სვანეთშიაც ააგო, ხევსურეთშიაც. მაგრამ ყველას-კი, მე მგონია, ლიხთიმერ აგებული, გეგუთის სასახლე აჯობებს... ჯერ არ არის დასრულებული... ეხლა კიდევ აქვე, ტფილისის მიდამოში, დიდუბე ჰქვია ერთ ალაგს, იქ შენდება სალხინო სასახლე... აი, პაწია, ტაძარი რომ არის ქალაქ გარედ. ხომ შეამჩნიე?.. და იცი, რა გითხრა, მეგობარო... მე ბევრი მომივლია ქვეყნები!.. ზოგი ომის დროს, ზოგიც ისე, მშვიდობიანობაში. — კარგა ხნის კაცი ვარ, ეხლა — გავყრლივარ ქართველებს, აი იერუსალიმში... ოო, იქაც რა დიდებული მონასტრები აქვთ ქართველებს... თავიანთ წესზე ნაშენები!.. ვყოფილვარ ბიზანტიას, მისრეთს და ერთი რამ შემომჩნევია, განსაკუთრებით მისრეთში: იქაური შენობები, ბუმბერაზია... თითქო უნდა თავისი სიდიადით შეგაშინოს და დაგიპყროსო... ბიზანტიაში-კი უფრო მოხდენილად არის ნაგები ტაძრები და სრა-სასახლეები, მაგრამ ამ უზარმაზარობას ვერც იქ ასცილებიან... თვით განთქმული წმინდა სოფიის ტაძარი, უწინარეს ყოვლისა, ბუმბერაზ შთაბეჭდილებას სტოვებს... აქ-კი, საქართველოში, მათთან შედარებით, მომცროა ყოველივე, მაგრამ სამაგიეროდ რა მიხდენილია, რა კოხტა, რა კეკლუცი! აი, შეხედე, ამ არშიას, უბრალო ზოდია ოქროსი... მაგრამ როგორ თავის ალაგას არის, როგორ შეჰფერის ამ ვარდისფერ ქვას, ფერ-მიდებულსა! და აი, თუნდა მხატვრობა აიღე... ეს თამარის პაპა, დავით III. ქართველები ამას აღმაშენებელს უძახიან, რადგან მართლაცდა მან აღაშენა და ააღორძინა საქართველო. შესამჩნევი პიროვნება ყოფილა. მე არ მახსოვს, აბა, საიდან! ეხლა ხომ 1185 წელია, დავითი-კი 1125 წელს გარდაიცვალა და მე ხომ ჯერ 60 წლის არც კი ვიქნები. დიდი მეფე-კი ყოფილა: გონიერი, გამჭრიახი, შემმართებული. მცირეწლოვანი ასულა ტახტზე. იმ დროს კი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს არაბები ფლობდნენ და ქვეყანა დამონებული ჰყავდათ, მაგრამ ამ იშვიათმა ადამიანმა ისე მოახერხა, მონობის

უღელი გადაუგდო მის ქვეყანას, განდევნა არაბები, დაიმორჩილა სხვა მტრებიც, შეაერთა საქართველოს ყველა ნაწილები, გასწია და გააფართოვა სახელმწიფოს საზღვრები. დაასაზლა და მოაღონიერა ხალხი. განაახლა დანგრეული ციხეები, ტაძრები, სრა-სასახლენი. აღაშენა ახალნი... აი, ხედავ მხატვრობას: მარცხენა ხელში ტაძარი უჭირავს! ეს არის მშვენება და სიამაყე მისი მოღვაწეობისა, გაენათის მონასტერი... ტანზე?.. ეგ... ბიზანტიური დალმატიკა აცვია... ბიზანტიელებს დიდი გავლენა ჰქონდათ საქართველოზე და გონიერი მეფეც დიდად ცდილობდა, რაც კი საუკეთესო რამ იყო ბიზანტიაში, თვის ქვეყანაშიაც გადმოენერგა. ყოველ წლობით ახალგაზრდა ჭაბუკებს აგზავნიდა საბერძნეთში, ათინას, სხვადასხვა სწავლისა და მეცნიერების შესაძენად. ისედაც დიდი დამოკიდებულება ჰქონდა... თვით ჯვაროსანთა ომშიაც მიიღო თავისი ლაშქრით მონაწილეობა... თავისი უმცროსი ქალიც ბერძენთა უფლისწულს მიათხოვა და დუკაზა და კომნიანოსთა საგვარეულოს დაუნათესავდა...

კუზმა გულმოდგინედ უსმენდა შარაგანს და თან დიდი დავითის გამოსახულებას მოკრძალებით შესცქეროდა. არ მიუხედნია, ისე ფრთხილად შენიშნა:

— შენ, მეგობარო, ბევრი რამ გცოდნია... მეცნიერი კაცი ყოფილხარ...

— არა, მეცნიერი არა, მაგრამ... რაც ყოფილა ამ ქვეყანაში და რაც არის, როგორ არ უნდა ვიცოდე... აქ, ამ ქვეყანაში, უვიცობა სირცხვილია... თითქმის ყველა მწიგნობარია, ყველამ იცის მათი წარსული, მათი ვითარება... ზოგი ხომ იმე დახელოვნებულია ამ საქმეში, რომ ბერძენ ფილოსოფოსთ არ ჩამოუვარდება, აი, აქ-კი, მე მოვიკოჭლებ, თუმცა სიამოვნებით ვისმენ ხოლმე მათ დავა-პაექრობას მაღალ საგნებზე... ამ დავითს ამბავი-კი, როგორ არ უნდა ვიცოდე! ეს ჩვენი, ყივჩაყების, მოვალეობაც კია. პირველი ეგ იყო, რომ საქართველოში მოგვიწოდა და ჩვენ ყივჩაყელთაგან, როქის სპა შეადგინა. არ გაგიგონია? ჩვენებური ქალი ჰყავდა ცოლად... როქის სპას-კი იმათ ეძახიან, ვისაც მეომრებისათვის განსაზღვრული ჯილდო ეძლევა, დაჭირავებულია...

— ჰო, ეგ ვიცი.

— ჩვენც, ამ დავით აღმაშენებელის შემდეგ, ერთგულად ვემსახურებით ქართველ მეფეებს. ვგენიც, იმას გვდა, რომ ჯამაგირს გვაძლევენ, ისედაც დიდ პატივსა გვცემენ. ეს ეხლა მეოთხე მეფეა ქართველთაგან, რომ ჩვენ ვემსახურებით; დავითის შემდეგ იყო მისი ვაჟი დემეტრე I, შემდეგ დავით IV, შემდეგ გიორგი III და, აი, ეხლა გიორგის ასულის კარზედა ვართ. პირველად 1118 წელს გადმოუყვანიგართ დავით აღმაშენებელსა, სულ 45000 სული, აქვე მოგვცეს ბინა, საცხოვრებელი და, რაღა თქმა უნდა, ჩვენგანი უმრავლესობა საქართველოში დარჩა და გაქართველდა, რჯულიც კი გამოიცვალა უმეტესობამ, გაქრისტიანდა. ამიტომ ჩვენ ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ ქართველი მეფეების ჩვენზე ამაგს და განსაკუთრებით დავითისას. ო, ის დიდზე დიდი მეფე იყო!

ქუზმა, ეტყობოდა, უსმენდა, მაგრამ ისევ დავითს სურათს მისჩერებოდა, თითქო ყოველი მხრიდან უნდოდა შეესწავლა ამ საკვირველი კაცის სახე.

შარაგანი წელის ხმით ისევ განაგრძობდა:

— მე ეხლა მივხვდი, რათაც მოგვიწვია დავითმა ქართველები ფრიად შემკული ხალხია, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი ჰქონიათ: თავის-თავის ღალატი უყვართ. მათგანი ვინმე წეწამოიწია და გაღონიერდა, შემდეგ თავს მაღლა ილებს და — ურჩობას იწყებს. თვით მეფესაც ალარ ეპუება, საზოგადოს ივიწყებს, საპირადოზე გადადის. ასეთი მდგომარეობა ეხარბება სხვებს და ეხლა ისინი იწყებენ ამავე გზით სიარულს, რომ შეშდეგ ერთი-მეორეზე შეღლი მოუცვდეთ, ან კიდევ მათი შემაერთებელი ტახტი დააცხონ... სულ ასეა ხოლმე, უკეთუ ტახტზე ღირსეული და მძლავრი პიროვნება არ დადგება... ასეთი იყო დავითი. მხოლოდ მან მისი დიადი გონებით გასჭვირტა, რომ მარტო პიროვნებაზედაც არ იყო ყოველივე დამოკიდებული. ტახტი უსათუოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო, რომ საქართველოს ულური არ დაცემულიყო და ერთობა არ დაშლილიყო, ამისათვის მან მოგვიწოდა ჩვენ და ესეთმა განსწავლულ ლაშქრის ყოლამ ალაგმა შინაური მტრები. იმას აქეთია საქართველოს დაწაწილება და განხეთქილება ალარ მომხდარა... და, თუ ვინმე განდგომია მეფეს და შეს ლაშქარს, ყოველთვის მოუხერხებიათ მისი დაძლევა, და ამ

ბვარად მთლიანი საქართველო ჯერ არ დარღვეულა... აი, რა დიადი საქმეც გააკეთა ამ კურთხეულმა!..

კუზმას ცრემლი მოადგა თვალზე. ეს შენიშნა შარაგანმა.

— შენ რა?.. ხომ არ გაგახსენდა შენი ქვეყნის ბედი?..

— ცხონებული ანდრეი ბოგოლიუბსკი გამახსენდა... დიდი კაცი იყო ისიც... იმას-კი ვერ შეუსრულდა თავისი საწადელი. ეს უფრო ბედნიერი ყოფილა...

— მართალი ხარ, მაგრამ, აი, მის ვაჟს, შვონი, არა ნაკლები ბედი მოელის...

კუზმა მიბრუნდა.

— მეც მაგ ნუგეშითა ვცოცხლობ.

ჩამოშორდნენ დავითის სურათს. შარაგანმა ეხლა მეორე მხარეს გადაიყვანა და თამარის მამის, გიორგი III სურათის წინაშე დააყენა.

— ოო, ესეც ეტყობა დიდი ვაჟკაცი ყოფილა...

შენიშნა კუზმამ, მაგრამ იმდენხანს ალარ შეუჩერებია სურათზე ყურადღება. ეხლა უკვე ერთი კედლის ჩუქურთმას და მურდაბრილებს თვალიერებდა.

შარაგანი კი უამბობდა:

— აი, მაგის დროს იყო დიდი ამბოხება... ძმისწული გაწუდგა, მაგრამ სძლია იმასაც და სახელმწიფოს კეთილდღეობა არ მოშლილა... თუმცა თვითონ თამარის დროსაც... ოო, დიდი ამბავი იყო!.. მთელი დასი შესდგა მის წინააღმდეგ... ჩვენები, ნაყივჩაყელნიც ერიენ შეთქმულებაში. გიორგი რომ გარდაიცვალა, ეს მაშინ მოხდა... უნდა ვიფიქროთ, რომ ევგინათ, ქალია და შევაშინებთო... მაგრამ აქ გამოჩნდა პირადი ღირსება თამარისა... მისი გონებამახვილობა, მისი სათნოება... მერმე დიდებული დამხმარეებიც გამოუჩნდა: ორი საუკეთესო, გონებამაღალი მანდილოსანი... აი, ნახავ იმათაც... ერთია რატი სურამელის დედა, ხვაშაქი ცოქალი და მეორე — განთქმული სამცხელი თავადების, სამძივარების, მშობელი — კრავაი ჯაყელი... ამ ორმა ქალმა მშვიდობიანის მოლაპარაკებით დააცხრო ამბოხება... ეს დაუვიწყარი ამბავია... ამას ოდესმე უფრო დაწვრილებით გიამბობ...

კუზმა-რუსი თანდათან მეტის კრძალვით იმსჭვალებოდა გარემოსადმი. ის არ მოელოდა ასეთ სიმდიდრეს, ასეთს წეს-

სა და რიგს, ასეთ საგულისხმო და თვალსაჩინო პიროვნებათა ხილვას, ანუ მათი ამბის გაგებას.

მას მოესურვა მეტის შეტყობა. გულით უნდოდა ყოველივე გამოეწვლილა ამ ქვეყნისა. სიფრთხილით შეეკითხა:

— ეხლა, მეგობარო, ეხლა-კი აღარავინ არის ეგეთი, რომ შინაობაში საფრთხეს წარმოადგენდეს?

— ოო, ეხლა... თამარი იმდენად დიდბუნებოვანი გამოდგა, რომ მთელი ქვეყანა აღმერთებს... ვინ გაბედავს მის საწინააღმდეგოდ დასძრას ენაც კი... ან, რეები არ მოიქმედა!.. ცოტა ხანია რაც ტახტზე მარტოთა ზის, მაგრამ არ დარჩენილა არც ერთი კუთხე საქართველოსი, რომ რაიმე თვალსაჩინო არ მიეძღვნას, არ გაეკეთებინოს... ამიტომაც ყოველი კუთხე მადლიერი ჰყავს და ყველა მის სულსა ლოცავს. ოო, თუ განგებამ და ღმერთმა დააცალა, დიდ ბედნიერებას მოუტანს თავის ხალხსა... თუმცა ისე, რასაკვირველია, ეხლაც ბევრნი არიან მძლავრნი და გავლენიანნი სახელმწიფოში... აი, ყველაზე უფრო დიდი კაცი, სიმდიდრით და სიმძლავრით — მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი... ოო, სხვანაირი კაცია!.. პირდაპირ მეფეა თავის ქვეყანაში, მაგრამ ჭკვიანია, ალღოიანი და ერთგული თამარისა... რომ მოისურვოს? ოო, დიდი ზიანი შეუძლია მიაყენოს სამეფო ტახტსა!..

დარბაზში მყოფნი კვლავ შეიძრნენ. ჩოჩქოლი შეიქნა.

მწიგნობართ-უხუცესი — დიდი ჭყონდიდელი და სრულიად საქართველოს კათალიკოსი, მხცოვანი ნიკოლოზი შემოვიდნენ დარბაზში.

„ისპოლა!“ — გაისმა მგალობელთა გუგუნი დარბაზში.

კუზმამ მოიხედა. მგალობელნი ვერსად ნახა. შარავანდი აუხსნა, რომ განის კედლებში, მაღლა, ჭორედზე იყვნენ მოთავსებულნი.

ჭყონდიდელი და კათალიკოსი, წათელის სახით, ორივ მხრისკენ ხელებით ჯვარს სახავდნენ და ისე მოემართებოდნენ.

კუზმამ თავი დახარა.

ყოველი მხრიდან მოდიოდნენ კათალიკოსთან ხელზე სათხვევად, ეგრევე ჭყონდიდელთან.

კუზმას უკვირდა, რომ ეს ამოდენა ქალი და კაცი არც არეულა ერთი-მეორეში, არც ერთს მეორესათვის გაუსწრია, არც მიხლი-მოხლიან ერთმანეთს. მორიგისით, უფროს-უმცროსობით, წელად ჩამოიარეს, გამოსთხოვეს შენდობა ეკლესიის მამამთავრებს და ისევ თავის ალაგას დადგნენ.

კათალიკოსი აღვიდა მისთვის მიჩენილ საფეხურიან ტახტზე და მარგალიტით მოოქვილ შავი ხავერდის დალიჭზე დაჯდა. საფეხურთან კი მისი კვერთხის მტვირთველი, სპამური სახის მორჩილი გაჩერდა.

მის მოღმა, ცოტა უფრო მომცრო ტახტზე, ჭყონდიდელი დაბრძანდა. მასაც მისი მორჩილი მიუდგა საფეხურთან.

ვარდან დადიანმა შარაგანის თანხლებით უფლისწული იური და კუზმა-რუსი მიჰგვარა კათალიკოსსა და ჭყონდიდელს.

ორივ მწყემს-მთავრებმა სათნოდ მოიკითხეს უფლისწული.

სწორედ ამ დროს ბუკის ხმა გაისმა და მთელი დარბაზი შეშმაშურდა.

თვით კათალიკოსმაც-კი გაისწორა პანაღია და თოვლივით თეთრ სპეტაკ წვერზე ხელი ჩამოისვა.

მეფის ტახტის საფეხურთან ამავე დროს გამოჩნდა დარბაისელი და გონიერი სახე საკრამანგ-მოსილისა და არგან-მპყრობელის მანდატურთ-უხუცესის ჭიაბერისა.

მან არგანი ზე-ასწია და მყისვე მამაკაცთა მგალობელმა გუნდმა სავაჟკაცო ჰიმნი დასძახა ქორედიდან.

მიმოიბნა ეს ხმები დარბაზის კედლებს შორის. თითქო სალამი უძღვნეს კედლებზე მოხატულ ქართველ გმირებს და ღვაწლმოსილებს, მადლობით შეღიმოდნენ გარემოს, შემდეგ გვირგვინად დაადგნენ თავს იქ მყოფთა და ბოლოს ჩას წვდნენ გულთა.

გუგუნებდა ვაჟკაცთა გამონაძახი.. იზრდებოდა, ფართოვდებოდა, თითქო ვერ იტევდა ამ ხმებს დარბაზი, მაგრამ არც თუ იბზარებოდა მეტის-მეტი ტლანქი მიწოლისაგან.

შეტრიალდებოდა კრიმანჭული, დაუგურგურებდა ბანი და სულ დინჯი დვრინი ქრისტიანულ სათნოებამდე ჩამოიყვანდა მოძახილსა და დამწყების წარმართულ გამყივანობას.

ოქროს სამეფო კარები გაიღო.

თითქო გაიელვაო მთელს დარბაზში, მოძრობისგან კრთომა მოიღეს ძვირფასმა ქვებმა და კეთილშობილმა ლითონმა.

თეთრსა და ლურჯ ფერებში მოსილნი უცხო ასულნი გამოვიდნენ ამ კარებიდან.

და ამ სისპეტაკემ სრულიად დაჰფარა ბრჭყვიალა ოქრო.

მოდიოდნენ, თითქო ბოლო არ უჩანდა.

შემორკალა ამ სითეთრემ, ლურჯში რეულმა, ფართო წრე დარბაზის შუაგულ. იმავე დროს გაისმა ქალთა უზენაესი საგალობელი.

ვაჟნი სდუმდნენ.

— ეს საგალობელი ნამდვილი წარმართული იყო, ოდესღაც სარწმუნოებრივი ჰიმნი, მაგრამ ეხლა საერო, სამოქალაქო კილოდ დარჩენილი.

ამ საგალობელში ქალთა ნაზი ბაგე შეამკობდა ღმერთქალს ყამარს, რომლის კოშკიც „ცაზე იყო ჯაჭვით ჩამოკიდული“. ვინმე თანამედროვე მგოსანს-კი გადაეჭდო ამ თქმულებისთვის თავისი ნაწარმოები და ყამარის ქება თამარისაზე გადმოეტანა.

მსმენელნი იხიბლებოდნენ ამ ნარნარ ხმათა ბგერით.

მაგრამ, აგერ, ეს საგალობელიც მისწყდა და წინწილათა და ებანთა შეჭმნეს უცხო წკრიალი.

იმავე დროს, სამეფო ტახტის ახლო, მარმარილოს ორ კვარცხლბეკზე შემდგარ ოქროს ლარნაკებს მოლურჯო, ძლივდასანახი ბოლი ავარდა და მთელს დარბაზს მოეფინა მუშკისა და ამბრის სურნელება.

დარბაზში თამარ პირიმზე შემოდიოდა.

კუზმა თითქო ამ ქვეყნად აღარ იყო.

მას სიზმრადაც არ მოსჩვენებია ამგვარი რამ, არც თუ სადმე ზღაპრად ჰქონდა გაგონილი.

„ეს სამოთხეა, თუ ქვეყნადა ვარ?“

ფიქრობდა კუზმა და მიწიერი ცნობისმოყვარეობა თანდათან სტოვებდა მას. მისი უმეშვეო ბუნება უკვე მზად იყო, კი არ გაენესტა გარემო ვითარება, არამედ პირდაპირ წყმენად გაეხადა.

ხოლო, როდესაც თამარი პირველად იხილა, თითქო გული ჩასწყდა სამუდამოდ:

„ეს მართლა ღვთაება ყოფილა! ჩვენ საიდან ვბედავთ ესეთი ამაყური ზრახვანი გულს ჩავადოთ!“

თავისი თვალ სულ პატარად, მცირედ მოეჩვენა და, ვით მზისგან თვალმოჭრილმა, შუფე-ქალს თვალი აარიდა. თითქო უნებლიედ თავის უფლისწულს გადაჰხედა.

იუშა-გიორგის სახე მოლრეცოდა, პირი დაელრო და თითქო არაფერს არ უყურებსო, ისე იყო გარინდული.

კუზმას სისწრაფე თავში აუგარდა ამ სანახაობაზე, შორს იყო ფურისაგან, წესისამებრ, სხვა რიგში ჩაეყენებინათ, მაგრამ არ დაერიდა წესიერების დარღვევას და თავისი ბატონიშვილისაკენ ნაბიჯით გაიწია.

— ბქდი!

სწორედ ამ დროს მისკენ იბრუნა პირი იურიმ და სახეც თითქო უფრო გაუსწორდა.

კუზმას აღარ დაჰკირდა მისკენ წასვლა: მთელი თავისი გამოშეტყველებით იხმარა და ანიშნა — გასწორდიო.

ეტყობა ისეთი ძალუმი იყო ეს ნიშნება, რომ გაზრდილი მიუხვდა საწადელს და მისმა სახემ უკვე ჩვეულებრივ სიწყნარე მიიღო. თვალებმაც კი გაუცინა.

— მადლობა უფალს, ყველას გხედავთ კარგად მშვიდობით!

ეს იყო თამარის ხმა.

მაგრამ, რა ხმა იყო იგი!

კუზმა ეხლა ყურებსაც აღარ უჯერებდა: მტკიცე და ნაზი, ძალდაუტანებელი და ყველასათვის გასაგონი, თან ბგერა

ხმისა ნამდვილად მკერდიდან აღმომხდარი — მკვრივი და კრიალა, უხიწვო და შინაარსიანი.

ტახტზე იდგა მეფე-ქალი.

თეთრი სამოსი ეცვა, ლურჯი ფარჩის ოლარითა და სამხრეებით, რომლებიც თეთრის მარგალიტებით იყო მოოჭვილი. თეთრივე გვირგვინი ედგა, ლაჟვარდოვანი თვლებით მორთული, წვრილი ფირუზების არწიამოვლებული.

მაღალი ტანის იყო, ახოვანი, ჰაეროვანი. თითქმის სრულიად ახალგაზრდა, უმანკო გამომეტყველების, მაგრამ მაღალ ფიქრსა და ზრუნვას სიდარბაისლის იერი უცხოდ შეეკვრა მის ნატიფ სახე-პირისათვის.

თვალები ჰქონდა უსაზღვრო ლმობიერებით აღსავსე, შემწყალე და მიმტევებელი, მაგრამ იმავ წამს იგრძნობდით, რომ ამ გამომეტყველებას ვერ გაუშინაურდებით, ვერ გაუტოლებთ თქვენს განცდას, ვერ ჩაითრევთ ყოველდღიურ, წვრილმან სურვილებში.

აქ იბადებოდა უფსკრული თქვენს შუა.

ის ყოველთვის მაღლობზე იდგა.

ეს ყოველივე კარგა შეამჩნია კუზმამ და თანდათან მეტმა კრძალვამ მოიპყრო.

თვალი მიმოავლო დარბაზს.

შეამჩნია: იქ მყოფთ თითქო რაღაც გამოუთქმელი წანეტარო ნათელი გადაჰფენოდათ. ყველა თითქო მზის მეფე-ქალს შეჰხაროდა. შეჰფრინვით შესცქეროდნენ: ესახელებოდათ და უყვარდათ.

„ვინ არის, რომ თაყვანი არ სცეს ამ ღვთიურ არსებას? თავი არ გასწიროს მისთვის? სხვა მიზეზი რაღა უნდა? თამარი ბრძანებს, თამარისთვის საჭიროა... უნდა შესრულდეს! როგორც ეტყობა ყველას გამომეტყველებას, ამ აზრს ადგანან, სხვა ხატად უნდათ, სხვა სალოცავი?... არა, ჩვენ მაგას არავინ არ მოგვანიჭებს... თუმცა...“

მაგრამ წესწყდა კუზმას ფიქრთა გვრიობა.

კათალიკოსი რაღასაც ბრძანებდა.

კუზმას არა გაეგებოდა-რა, მაგრამ შეატყო, რომ ეს თუ თამარის ხოტბა და ქება არ იყო, დალოცვა მაინც იყო.

უეცრად იგრძნო, რომ კათალიკოსმა ის და უფლისწული დაასახელა.

— რუსი! რუსი!

ეს ადვილი მისახვედრი იყო მისთვის.

მსახურთუხუცესი დადიანი წინ წამოდგა და იური და კუზმა გაიწოდა.

ორივენი წარდგნენ პირიმზის წინაშე.

თავი დახარეს.

ხოლო, როდესაც კუზმამ მეფე-თამარს ზეაჰხედა, ვერაფერი ამოიკითხა მის სახეზე. თავაზიანი გამომეტყველება იყო, მაგრამ მაინც ტვინში შავად გაუელვა:

— წავაგეთ!

თავი მესამე

სურვილები ცის კამარაში

I

ზეიმი დასრულდა.

თამარმა სანადიმოდ მიიწვია სტუმრები და თვით კი ისევ მის სამყოფელს დაუბრუნდა.

ოთახის კარებამდე მიაცილა ქალთა ამალამ და შემდეგ, მხოლოდ გამდელის და ორიოდე შიმუნვარის ამარა, შებრძანდა ოთახში.

ოთახის კარის გარეთ ორი ბუმბერაზი მთიული დარაჯად დადგა.

ოთახს დასავლეთის მხრით ჰაწია ჩარდახი ჰქონდა, საიდანაც მთელი ქალაქი იხედებოდა.

თამარი მარტო გავიდა ჩარდახზე და ვარდისფერ მარმარილოს მოსხლტილ სვეტს მარცხენა ხელი მიაყრდნო.

მის სახეს საშინელი დაღლილობა და სევდა დაეტყო.

თვალთა გამომეტყველება ჩაუღრმავდა, თითქო შინაგან, მის სულიერ ვითარებას ათვალიერებსო.

იგრძნო, რომ სადღაც შორს შეგნებაში კვლავ დაბრუნდა თამარ-ქალი და თამარ-მეფეს კამათი დაუწყო.

— აბა, რას ჩადიხარ, თამარ?! — ამბობდა ქალი.

— რა გინდა მოიქმედო?.. გინდა გაჰყვე ამ შორეულს

უფლისწულისა?.. გული რომ მაგას არ გითქვამს? რომ არც მოვწონებია? კარგად შეამჩნიე — ლამაზია, ვაჟკაციც უნდა იყოს, მაგრამ ისიც ხომ შეატყვე: თვალები აქვს ამღვრეული! ეგრე ახალგაზრდა და სად დაკარგა სიცოცხლე და სიწრფოება წვინდა სულისა?.. მერე, ეგ რა შენი ფერია! რას უჯერებ დიდებულებს, რას დასდევ ხალხის ხმას?.. განა შენი გული უფრო ძვირფასი არ არის შენთვის? შენი წრფელი გრძნობა, შენი განცდა, შენი სიმართლე... თავს ხომ ვერ ეტყუები?.. გული ხომ მკვდარია უკვე, შენი გრძნობაც ჩაფერფლილი. მაშველარას უშველი!.. გლოვა გმართებს უკვე!.. მაშ, რად არ უჯერი შენს გულს, რასაც გიკარნახებს?! რაკი არ გეღირსა ამ ქვეყნიური ბედნიერება, შენი გულის ყვავილის გადაფურჩქვნა, ალიკვეცე მონაზვნად, წადი მონასტერში...

— მონასტერში? — დაიწყო მეფემ.

— მერე, სამეფო?.. მერე, მისი საქმეები?..

— სამეფოს რას დაეძებ, შენ შენს თავზე იზრუნე...

— მერე, რომ მოხდეს აღშფოთება ამ ქვეყანაში?.. მერე, რომ მონაზვნათ წავიდე, ტახტს ვინღა უპატრონებს?.. ხომ განდიდნენ, მაშინ ერისთავნი, დიდებულნი და ასტეხეს ურთიერთ შფოთი და ამბოხი!..

— მაშ, კარგი! დარჩი იმევ მეფედ და განაგე შენი საყვარელი ქვეყანა, მხოლოდ ნუ შეიყოლებ ნურვის, რადგან შენი გულის მეფე ვერვინ გახდება... თავს, აბა, რად ეცრუები?!

თამარ-ქალს ნელი ოწვრაც ზეალმოხდა, მაგრამ თამარ-მეფემ წევდიანმა დინჯად შეუბრუნა:

— ვაგლახ, მე, რომ არც ეგ ეგებას!.. ვიყო მეფედ და მეუღლე არა მყავდეს? ვიყო გამგე ქვეყნისა და ტახტს მემკვიდრე არ დაუტოვო? საბოლოოდ ხომ აქაც აღრევა სოფლისა და შუღლი საძმო უნდა დავთესო.

— შენი თავი?

— ჩემი თავი უნდა დავთმო, ბედშავო თამარ!.. ქვეყნის ბედი უმაღლესია ჩემს ცხოვრებაზე. ხალხი მოითხოვს, რომ ტახტს მემკვიდრე ჰყავდეს. კანონიერია მისი სურვილი. ჩემი ტახტი მისი შემართებელი ღონეა. გზა და ხიდია მისი კეთილდღეობისა, მეც ეგ უნდა მივანიჭო. ტახტს მისი, ეფრემის რტოით მემკვიდრე უნდა ჰყავდეს: მართალნი არიან!..

ქმარი უნდა შევიუღლო და ამ ჩემს გულს არავითარი არ უნდა ძალ-ედვას... მას დუმარება მართებს. და, თუ ის მკვდარია, ამითი უფრორე უნდა მოკვდეს და ამ სიკვდილით განაცოცხლოს ხალხის სიკეთე, მისი მშვიდობიანი მომავალი... მხოლოდ ვინ? ვინ?.. ეს ჭაბუკი რუსი?.. აი, აქ-კი, თამარ-ქალო, მე, თამარ-მეფეც შენი აზრის მოზიარე ვარ: ღირსი-კი არის ეს უცხო და სრულიად უცნობი ახალგაზრდა ადამიანი საქართველოს მეფობისა?.. შეიძლებს ამ დიდად საპატიო მოვალეობის ტვირთვას?.. დიდი დავით აღმაშენებლის ტახტს, მამა ჩემის გიორგი ლომგულის სკიპტრას ღირსებით შეიფერებს? აქ ხომ არ ცდებიან ქართველები? ვინ არის ეს რუსი, საიდან გაჩნობენ... იციან მისი ასავალ-დასავალი? საყვარელმა მამიდამ მიბრძანა, რომ უცებურად არის ჩამოყვანილი. ერთ თათბირზე ახულ-ასანს უქია როგორღაც... ეხლა ირკვევა, რომ მხოლოდ ჩვენს სოვდაგარს ზანქანს სცნობია, თურმე... მაკვირვებს ესრდენ ნაჩქარევი გადაწყვეტა საკითხისა რისა ეფიქრებათ?..

— თანდათან გაიტაცა თამარ-მეფე ზრუნვამ და ახალგაზრდა თამარ-ქალი, მისი სიმკვირცხლით მფეთქავი გულით, თითქოს სულ მიყუჩდა:

მეფე განაგრძობდა თავის თავთან ბჭობას:

— ხომ არ აფიქრებს ამ ხალხს, რომ ამ ჟამადაც ხიფათი რამ მოელის სამეფო ტახტსა?.. ის პირველი ამბოხება ხომ დაცხრა, მართალია, ყუთლუ-არსლანის დასს არრა დავუთმე და სრულიად შევეცვალე სახელმწიფოს გამგენი და ხელმძღვანელნი, მაგრამ თვით მე სწორედ ის გავაკეთე, რც ხალხს უნდოდა: საბელმწიფო საქითხებს ხალხის წინამძოლთა და ერისთავთა თანადგომით და ერთნებაობით ვსჭრი მეცა. შემ, ვინღა უნდა იყოს უკმაყოფილო... ხალხი?.. ჯერ მათთვის ზრუნვას არ ვიშლით და თანდათანობით, მაქვს ღვთის იმედი, მისის შეწევნითა ბევრს სასიკეთოს მოვაგვარებთ. მაშ, ერისთავთაგანს?.. ჰოო! ეგ კი შესაძლოა. ნეტა ვინ?.. ნუ თუ დადიანი?.. ან რად გამახსენდა უცბად ეს?.. ფუ, ალბათ არ მაცხუნებს... მძლავრი კაცია, დამოუკიდებელი და პატივმოყვარე... ვინ უწყის, რა არ განიზრახოს?.. ბრძნულად ბჭობენ, მაშ, ქვეყნის მოჭირნახულენი... დიაღ, დაჩქარება უნდა საქმესაო... მხოლოდ ამასთან?.. ამ ჩქარ ბალღთან?.. რა ვქნა,

უფალო, მის თვალებში მე გონება ვერ ამოვიკითხე და სული წმინდა და სპეტაკი ვერა ვპოვე... საშვილიშვილო შეცდომა არ მოგვივიდეს!..

უფრო ჩაფიქრდა დიდი მეფე:

— ჰა, ჩემო ხალხო... უკუვაგდე ჩემი საპირადო... მოკდივარ შენთან... ისე ვმსჯელობ, ვით სახელმწიფო მბჭობელი ვინმე, მაგრამ საშვილიშვილო შეცდომა არ მოგვივიდეს!

ფიქრმა მეორეჯერ გაიფეთქა ეს უკანასკნელი წინადადება.

თამარმა თითქო გახედაო სივრცეს, მაგრამ, ემჩნეოდა, თვალები ისევ შინაგან იყურებოდნენ:

— მაშ, ესე დავასკვნათ. სურვილი ხომ დიდი აქვთ, მე ქმარი მყავდეს. ხომ ეს გაუჩნდათ საზრუნავი. რამდენი არ ითათბირეს, ვინ არ მოიყვანეს... ეხლა ეს უფლისწულია. ყველამ მოიწონა, კათალიკოსმაც, მამიდა ჩემმაც. გუშინ კიდევ უჩემოდ თათბირი ჰქონიათ. ეხლა მე მელოდებიან... მეც მეყო ამდენი უარი... აღარ გავაბრწვავებ საკითხს... დე, იყოს ეგრე... მხოლოდ უნდა გავიცნოთ ეგ რუსი, მისი ხასიათი, მისი საქციელი, მისი თვისება... მოათიოს აქ ხანი ჩვენსა... იყოს ჩემს სასახლეში ერთი წელიწადი მაინც და, როს დავინახავთ, ავწონ-დავწონით, მაშინ ისე მოვიქცეთ, ვით აჯობოს... მანამდე-კი ოჰ, მანამდე!.. აი, გამოსავალი დავყვე ნებას, რომ მოხდეს... მხოლოდ დაწინდვა... და ეს დაწინდვა მოხდეს ზეიმით და გამოჩინებით... მაშინ ყოველნი მტერნი ჩვენს ტახტის შეწრფებიან, ყოველნი მაძიებელნი ჩემის შეუღლებისა შესწყდებიან... მერყეობას არღა განვიცდით...

სახე გაეშალა, შეჭირვების ნავი ღრუბელი მოშორდა მ ს ნათელ სახეს და წმინდა თვალები დაუბრუნდა გარემოს გაცდას.

ამ თვალებმა გახედეს მტკვარგაღმა, მთის კალთებზე შეფენილ ტფილისის ქალაქს.

მწვანედ შებურულ ტყის სიხშირეში, მთის შუაგულ, თეთრად გამოკიაფობდა მთაწმინდის ტაძარი.

მის ქვემოთ, გაშლილ მოედანზე, სახელმწიფო მოხელეთა და ხელჯოხიანთა ციხე-დარბაზის კოშკები ზეაზიდულიყო.

კიდევ იმის ქვემოთ, მყარი და მტკიცედ ნაგები საქულბაქოები მოფენოდა მიდამოს.

თვალი წვდებოდა თვით დიდუბემდე და თითქმის იქამდე მთელი ქალაქი წარმოადგენდა ერთ უცხო ბაღნარს, საცა ხსენებული შენობები გამომაცოცხლებელ ნაკვეთად ჩანდგომოდნენ.

ამას ზედ თავს ეხურა ლურჯი ცის კამარა, ამ ჟამად სრულიად მოკრიალებული.

მეფემ ზეაიხედა.

ერთი ღრუბელიც არ მოსჩანდა ცის ტატნობზე, მხოლოდ შორს რომელიღაც სწრაფი ჩიტი ლურჯ ეთერში მისრიალებდა.

ბრძენ მეფეს გაეღიმა ამის დანახვაზე, თვალი გააყოლა თავისუფლად მონავარდე ფრთოსანს.

და თითქო ამ ფრთებმა წარიტაცეს მისი სურვილებიც ცის კამარაში, იქ გაუჩინარდნენ.

შინ შებრუნდა. სახე დამშვიდებული ჰქონდა, თითქო უფრო მხიარული.

უბრძანა შიმუნვარებს — სამეფო სამოსი და გვირგვინი მოეხადნათ მისთვის.

მოართვეს საშინაო — ნაცრისფერი, ოქრო-მკედით ანაკერი კაბა. ამაზე გრძელი, სალუქი ლეჩაქი გადაიფარა. თავს პაწია, ოქროს თაჯი დაიხურა, შინქსოვილი დარაიას მოსასხამი მოიბურა და მისი აღმზრდელის, შამიდა რუსუდანის საჰყოფელოსაკენ გაემართა.

თან კვლავ სამნი იახლა: გამდელი და ორი შიმუნვარი. კარის დარაჯთაგან ერთი წინიახლო გაჰყვა.

ია

გრძელ ერდოზე მოუნდათ გავლა.

გზაზე არავინ შეხვედრიათ, თითქო სასახლე დაცალიერებულაო. ეტყობოდა, რომ ნადიმობამდე, ჩვეულებისამებრ, ლოჭინის ხევისაკენ საასპარეზოდ გაკრეფილიყო სტუმრები და დარბაზის ერი.

მხოლოდ ერთი კარებიდან სიმღერის ხმა გამოისმოდა.

თამარი შედგა ცოტა ხანს.

ვაჟკაცის საამური ხმა ჩანგურის ნაზ კილოვნებას მოუყვებოდა. მღეროდა:

„ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი მიწაზე გოგდება...
ქალი რად გინდა უცხო მხრის? —
დასნეულდება, მოკვდება!“

გულს მოხვდა ეს სიტყვები.

თავისი გზა განაგრძო.

— ვინა მღერის, ნეტა?

— ეგ გორგა მოშაირე თუ გახლდებათ... — ჰკადრა გამდელმა.

— ვისთან უნდა იყოს? — კვლავ იკითხა თამარმა. გულში კი მეტყველებდნენ ეხლა განაგონი სიტყვები:

„ქალი რად გინდა უცხო მხრის“...

— ოვსთა ბატონიშვილი, დავით სოსლანი გხლებიათ წუხელის...

— დავით სოსლანი? — თამარმა თითქმის პირი მოიბრუნა გამდელისაკენ. შემდეგ დამშვიდებით განაგრძო: — მერე დღეს რომ არ მინახავს ზეიმზე?..

— გახლდა, ჩემო თვალის სინათლევ, მამიდა შენის ამალაში ერია, მაგრამ ცალკე არ წარგდგომია.

სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ მარმარილოს ფილაქანი ნაზად ამჟღავნებდა მასზე მიმავალთა სრბოლას.

თამარს გაახსენდა მისი ბავშვობა. მისი თანშეზრდილი დავით სოსლანი, მამიდის კარზე რომ იზრდებოდნენ და... საშინელი სიმწვავე და ობლობა იგრძნო მისმა გულმა.

გაახსენდა სხვა, ვინმე უცხო ჭაბუკი, ისიც მასთან შეზრდილი მისი ბიძაშვილი, ერთ დროს საქართველოს ტახტის მემკვიდრე, დემნა.

სანახავად ფრიად მშვენიერი, მსწავლული და გაწვრთნილი...

დემნა!

იდუმალი ლოცვა ათრთოლდა თამარის ბაგეზე, და, მიმავალი, იმეორებდა:

— ჰოი, უფალო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსაველ აღავსებ... შეუნდევ მონასა შენსა, საცოდავ დემნას, თუ ცოდვა მიუძღვის შენს წინაშე, და აცხოვნე სული მისი...

ამ პაწია ლოცვამ თითქო ნუგეში სცა, სიმწვავე გაუნელა.

უკვე მეტის დამშვიდებით იხსენებდა გარდასულსა.

— რა სასტიკად მოეპყრა მამაჩემი, გიორგი მეფე, საბრალო დემნას... თვალები დაჰთხარა, დაასაჭურისა!..

უნებლიედ მარჯვენა ხელი თვალებზე გადაისვა და შემდეგ კვლავ იდუმალი ლოცვა აღავლინა:

— შეუნდევ მამა ჩემსაც, უფალო, რამეთუ გარდახდა შენსა მცნებაჲ, ჰოი, ტკბილო ქრისტევ, და არა მიუტევა თვით მტერთაცა...

კვლავ წესდგა ფიქრი დემნას გარშემო.

— როგორ დაისაჯნენ მისი მომხრენიც... რა სასტიკად, რა უწყალოდ!.. უმრავლესობა ტანჯვანაგით... ზოგი კი განდევნეს, ექსორია უყვეს, ზოგიც განპატიჟებულ იქმნა, ზოგიც გარდაიხვეწა... სად არიან ეხლა, ნეტა?.. მართლა, ჭიაბერს რომ ვუბრძანე, ცნობები შეეკრიფა? რამდენი ღირსეული მამულიშვილი მოგვაკლდა მაშინ... თვით რუსთაველი, შოთა... კაცი ბრძენი და ცის ნიჭად მოვლენილი... აქამდე ჭიაბერს არაფერი უცნობებია... მართლა, ვინ მითხრა?.. გავიგეთ, რომ შოთა ამ ჟამად არაბეთს იმყოფებაო. უნდა ვუბრძანო, ცნობა მიაწვდინონ, რომ დასტურს ვაძლევ სამშობლოში დაბრუნებისას. ეს არ დამავიწყდეს.. ღირსეული კაცი ჩვენს ტახტთან უნდა იმყოფებოდეს. და აი, ბედშავი თამარ-ქალო!.. შენ მეტით ვერაფრით-ღა გჯგახარეთ... შოთა ხომ დემნას გულითადი მეგობარი იყო, მის ხვაშიადთა მოწილადე, თანაზიარი. ის იქნება შენს ახლო... მას გამოესაუბრები. ოო, ეს რა უცხო რამ გავიფიქრე! მეფეთა ამბები ხომ იწერება... არაბეთს, მისრეთს და ბიზანტიას... მთელს აღმოსავლეთში ხომ ამგვარი მწიგნობრობა გავრცელებულია... უკვდავ ნაფიქრთა და ნააზრევთა ნაკვალევი დღესაც შთენიათ... შოთაც ხომ მწერალია და მწერალი ენა-მზე და აზრმახვილი... მე მისგან მშრალ მატიანეს არ მოვითხოვ... მან უნდა აღწეროს სულ სხვა მატიანე — თამარ-ქალის გულის ძგერისა და... საცოდავ დემნას უბედო ბედი... ამას შეიძლებს. ყოველი იცის მაღალნიჭიერმა და ყოველსავე განჭვრეტს...

თამარი კვლავ გამოკეთდა.

დიდად იამა, რომ ამ გუნებით მიადგა დიდი რუსუდანის კარიბჭესა.

მოფარდაგული გადასწია.

დაინახა, რომ მამიდა მისი მარტო არ იყო: ორიოდე სა-პატიო მანდილოსანი და რატი სურამელი იყო რუსუდანთან.

თავი მეოთხე

მამიდა

ია

— ოო, თამარ, საყვარელო ჩემო!

სიხარულით შეიკვირვა, ჯერ კიდევ კარგად შენახულმა, მოხუცმა რუსუდანმა და წინ შემოეგება.

ყველანი წამოიმალნენ, მდაბლა თავი დახარეს.

— ეს ფერი რათა გაქვს ნაკრთომი? — ნაჩვევის, უფროსის კილოთი დაიწყო რუსუდანმა, მაგრამ მყისვე ღიმილი მიაყოლა და ხელგადახვეულმა თითქმის ყურში ალერსიანად ჩაუჩურჩულა:

— შე საძაგელო, შენ!..

თამარს უყვარდა მამიდას ღიმილი. ამ ღიმილში მუდამ ქრისტიანული ლმობიერება იგრძნობოდა. თორემ, ეს ღიმილი რომ არ ცოდნოდა რუსუდანს, მისი სახე მეტად მიუკარებელი გამომეტყველების იქნებოდა. დიდი სისასტიკის ბეჭედი აჯდა. ამაში ძალიან ჰგავდა მის ძმას — მეფე გიორგის, თამარის მამას.

გიორგიზე ხომ ამბობდნენ მისი მომსწრენი: მის სახეს სიცილი ძვირად ეკარებაო. იგივე შეიძლებოდა ეთქვათ რუსუდანზე და განსაკუთრებით მის თვალებზე. ისინი არ იცინოდნენ, ხოლო როდესაც გასწყრებოდნენ, ერჩივნა მათ წინაშე მდგომს, ქვესკნელი გახეთქოდა და შიგ ჩაეტანა.

ამ ჟამად-კი, ანაზდეულმა ღიმილმა დარი დააყენა ამ სახეზე.

— ოო, რატი! — შეამჩნია თამარმა, — როგორ გიკითხო?

მამიდა-ძმისწული ტახტზე ერთად ჩამოსხდნენ.

ქართლის ბატონი ყურთამდე სიხარულის, სიწითლით გავსო და შესაფერი პასუხი ჰკადრა.

— ღირსეული დედაშენი, დიდი დიოფალი ხვაშაქი, რაზედ ალარა გვწყალობს?.. — კვლავ შეეკითხა თამარი.

— შენი წყალობის ღირსი თვით გახლავს, მეფეო... მხოლოდ ეხლა შეუძლოდ არის და...

— შეუძლოდ? მერე, აქამდე რად არ მაცნობეთ?..

— შეუძლოთ ისე გახლავს, მეფეო, რომ ცხენზე ჯდომა უმძიმს და გვიბრძანა მის შვილებსა: თუ სამძიმო, სამეფო, საქმე არა იყოს-რა, ცუდ უბრალოზე ნუღარ გამრჯით და თამარის ქორწინებამდე, როგორც იქნება, მოვიჭირვებ მის უნახავასო...

ქორწინების ხსენებაზე თამარს ოდნავმა შავმა ღრუბელმა გადაურბინა.

რატიმ შეჰბედა:

— ეხლა-ღა ეს ქორწინებაც, მგონი, სამალიოდ იქნება...

შეწყვიტა... თამარი მიუბრუნდა მამიდას:

— მართლა, მამიდა, შენთან საქმეზე ვარ მოსული...

— აბა, ეხლა თქვენ მოგვშორდით, შვილებო! — უბრძანა იქ მყოფთ რუსუდანმა.

ამ ბრძანებაზე რატიმ ერთხელ კიდევ დაადასტურა თავის გულში, რომ რუსუდანის და დედამისის, ხვაშაქის ხმა, ერთი მეორეს ძალიანა გვანდა: ბოხი იყო ორივ, მკვეთრი და შეუვალი.

— თავის თავს კი შეურაცხყოფილად გრძნობდა: თამარმა არ უპასუხა მას შეკითხვაზე, მაგრამ გამოთხოვებისას თამარმა ლმობიერად გაუღიმა და... კვლავ მოინათლა. თითქო მეფემ ამ ღიმილით უბრძანა:

— არა, კი არ გიწყრები, მხოლოდ ეხლა არა მცალიანო.

იგ

მარტო დარჩნენ გვირგვინოსანი მამიდა და მირონცხებული ძმისწული.

თამარი შეეკითხა რუსუდანს:

— მამიდა, რას მირჩევ?

— ჩემი აზრი უკვე იცი, თამარ... მეც მოვიწონე უგ უცხო უფლისწული, მეც მივემხრე კათალიკოსსა...

— ეგ ვიცი, მაგრამ... საუცებუროდ ნუ მივაგდებთ ესეო

დიდ საქმეს... არა, საპირადო მე აღარ მალაპარაკებს... ამაზე ბევრი ვიფიქრე... კარგად უწყი, რომ ჩემი გული მკვდარია...

— თამარ, თამარ!..

ცოტა სისასტიკე გაისმა რუსუდანის ხმაში:

— ნუთუ კვლავ ვერ სძლიე შენს თავს... ნუთუ ძველი ჭრილობა კვლავ განგიახლდა და სიყმაწვილის მოგონებით კვლავ მიმოიტაცებს!..

თამარს უნდოდა რალაც ეთქვა. მამიდა შეუვალად, მრისხანედ განაგრძობდა:

— ვით დაივიწყე, რა ჭირი განგვლეთ!.. განსვენებული მამაშენი, ლომგული მეფე, ვით აღწფოთდა, ვითარ ბორგავდა, როს ესმა ხმები, რომ უფლისწულს დემნას, მისი ერთადერთი ქალი, თამარი მოსწონსო! გახსოვს მისი განრისხება? თვალებით ცეცხლს აფრქვევდა, პირიდან გრგვინვა-ქუხილს აღმოუტევებდა!..

თამარმა შეატყო, რომ მამიდა გაიტაცა მწარე მოგონებამ და ხელი აღარ შეუშალა; თავდახრილი უსმენდა მჭუხარ სიტყვებსა.

რუსუდანი-კი მჭევრმეტყველობდა:

— ან, ვით ეგებოდა! დემნა ბიძაშვილი იყო შენი... სისხლით და ხორცით ნათესავი... ჰოი, უფალო, რა ჭირები მოგვჭროდა მაშინ სასახლის კარზე!.. რა საჭიროა გახსენება!.. და, აი, მამაშენი შენც შემოგწყრა, გაძევებულ იქმენ... ქაჯეთის ციხეში მოგათავსა და კვლავ მე მომანდო შენი თვალყური... ხოლო, სამეფოში აღტყდა ამბოხი და აღრევა... დემნას მომხრეები განუდგნენ ნეტარს გიორგის და, კარგად იცი, როგორი ძმათა მმუსვრელი ომი მოჰყვა ამ ამბავს!..

თამარმა თავი აიღო. ნელიად შეახსენა:

— ამ ომს სხვა მიზეზიც ჰქონდა. უფლისწული დემნა მემკვიდრე იყო საქართველოს ტახტისა და თვის უფლებას ეძახებდა...

— ჰო, მაგრამ უფალმა არ გაუმარჯვა სისხლის შვრევის მომწადინეს!..

თამარის ნაზ გულს თითქო ისარი მოხვდა:

— ო, მამიდა, ნუ ამბობ მაგას!..

მამიდას ყური არ უგდია:

— გიორგის რკინის მკლავმა სძლია მას და მისთანათა!..

შენ-კი, გახსოვს ცრემლით გათენებული ღამეები... იქ, ჭაჯეთის ციხეს? ო, რაოდენი შიში, კრთომა და ტანჯვა გამოვიარეთ ორთავემ... შენ ბავშვი იყავ მაშინ, ამ ქვეყნისა ნაკლებ გეცნობოდა და მხოლოდ შენი გულის მოფეთქებას აჰყოლოდი... მაგრამ, აი, განვლო დრო-ჟამმა... უკვე დიდი მეფე ხარ ეხლა და... ნუთუ ის გინდა, რომ კვლავ მიძინებულმა ჭორმა გაიღვიძოს, ბოროტ ენათ კვლავ მისცე საზრდო?! გახსოვდეს, თამარ, მეფის კარზე შურსა და ბოროტებას არ სძინავს. იგი მხოლოდ ბრძენი მეფის შარავანდედში მირულებულია და გველივით შეკეცილი... ჰოი, ღმერთო, ჯვარი აქაურობას, ვიღაც ცუდად მახსენებს...

თამარს თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი, მაგრამ მამიდას ცრუმორწმუნეობამ ცოტა ღიმილი მოჰგვარა.

— არა, მამიდა! ეგ არ მავიწყდება, რომ მეფის მოვალეობა რთულია და მრავალფერი... რომ ყოველივე ნაბიჯს, ყოველს სიტყვას, საქციელს და მიხვრა-მოხვრასაც დიდი აწონ-დაწონვა უნდა, განსჯა და ფიქრი... მერე, განა მე გამოვიწვევ ხელახლა ჭორსა, შურსა და ბოროტებას?.. თუ დავთანხმდი, რომ დარბაზის ერსა და... ყოველსა საქართველოს მოეძებნა ჩემთვის მეუღლე, ეს განა, იმას არ ნიშნავს, რომ მე დავთმე ყოველი ჩემი საპირადო და ერის ხმაზე დამოვკიდე სამეფოს ბედი?! თორემ ჩვენ, ქართველ ქალებს, მაღლობა ღმერთს, შეგვიძლია ვინც გვენებება ის ავირჩიოთ ჩვენს მეუღლედ... არის ამის მაგალითებიც... არ მივხედოთ ნათესაობის მოსაზრებას, მახლობელთ რჩევას, დავენდოთ მხოლოდ ჩვენს გონებას, რომ გზა გაიკვლიოს... და უნაზესმა ჩვენმა გრძნობამ ეს გზა განგვინათოს... მე ხომ მეფეც ვარ, და ვის შეუძლია არჩევანსა ჩემსა წინა აღუდგეს?! მაგრამ, აჰა, ეს საქმეც თქვენ მოგანდეთ და... თუ ვამბობ, ჩემი გული მკვდარი არის-მეთქი... ამას მხოლოდ შენ გიზიარებ, მამიდა ჩემო...

თამარის ესეთ სიტყვებზე რუსუდანი თითქო სულ გამოიცვალა. ან სადღა იყო წინანდელი მამხილებელი, თითქო მარმარილოსაგან ჩამონაძერწი ნაკვთი?!

იგი მოიხარა და თამარს მუხლებზე მოეხვია:

— მომიტევე, ჩემო ბრძენო, თამარ!.. ოდეს ჩემთან ხარ, სულ მგონია, ისევ ჩემს პაწია გაზრდილს ველაპარაკები. რა

გინდ დიდ მეფედ ვგრძნობდე შენს თავსა, მავიწყდება ესე ვითარი და ხშირად ტუქსავა წამოსცდება ბაგეს...

— მე ეგ არ მიკვირს, მხოლოდ... — შეჩერდა თამარი და ჩაფიქრდა. რუსუდანიც უცდიდა.

— მხოლოდ, რატომ მაინცდამაინც ამ უცხო, რუს უფლისწულზე შესდგა თქვენი არჩევანი?.. იცნობთ? გაგიგიათ მისი თვისებანი? თუ გარეგნობამ მოგხიბლათ?

— დიდი მეფის შვილი არის, თურმე, თამარ! სანახავად კარგი, სახე კეკლუცი, სრული ანაგობითა და... საჩენი.

— მე ეგ სახეკეკლუცობაც ვერ დავინახე. უნაზესი რაცა აქვს ადამიანს: სულის სარკე, თვალები, მღვრიე აქვს და ბინდ-გადაკრული... ნუთუ ეს ვერავინ შეამჩნია?.. მაგრამ, იცი, მამიდა, ეს მაკვირვებს: თუ ქართველებში არ მოიძებნა ისეთი მრყმე ვინმე — სამეფო ტახტის ღირსი ყოფილიყო?!

და კვლავ თავში გაუელვა დერეფანში გაგონილმა სიმღერამ:

„ქალი რად გინდა უცხო მხრის“...

რუსუდანი შეცბუნდა. ეტყობოდა, მასაც ეუცხოვა, ეს აზრი, ეტყობოდა მასაც დაებადა საკითხი: „მართლაც-და, რატომ ვინმე ქართველთა მოდგმის ღირსეული, წარჩინებული არ ვირჩიეთო?!“

გაახსენდა: ჩვეულებაა, მეფეთა მიერ არა ეგების ქვეშევრდომთა შეუღლებაო.

ეგრეც მოახსენა:

— არა შესაწყნარებელ არს!

თამარმა უპასუხა:

— ეგ ვიცი ყოველივე, მაგრამ მე ხომ შვილთა სამეფოთა მპყრობელი ვარ... მაშასადამე ამა სამეფოთა გამგენი ხომ ჩამომავლობით ჩემნი ტოლნი და სწორნი არიან, მე მხოლოდ ხარისხითა ვარ მათზე მაღალი...

— თამარ! ნუთუ ვინმე გეგულვის მათ შორის და არ ამჟღავნებ?..

თამარმა ნაღვლიანის თვალით გადახედა.

— არა, მამიდა!.. ვითარ ვთქვი, ჩემი შეუღლების ამბავი სრულიად თქვენზე დამოვკიდე და ამ საფიქრალისაგან დავიხსენი თავი ჩემი... აქამდის ხომ სულ უარზე ვიყავ... მხოლოდ, რაკი სამეფომ მოითხოვა ჩემგან ამ ვალდებულების

გამრუდება, დასტური დაგრთეთ... ეხლა-კი, დღეს, ზეიმის დროს, როს ვნახე უფლისწული... გავიფიქრე: ამ ბრძენ ხალხსა შეცდომა არ მოუვიდეს-მეთქი... და, თუ ეხლა ვერევი ამის ბჭობაში, თუ შენც ჩემს აზრსა გიზიარებ, მერწმუნე, მხოლოდ ისე, ვით მეფე თავის სამეფოზე მზრუნველი, ვით სახელმწიფოს გულმტკივნეული მოაზრე ვინმე... საპირადო ყოველი აქ დავიწყებულია, მკვდარია და აღარ არსებობს...

— მაშ, არ მოგეწონა უფლისწული?

— ჰო, ჩემს სულს ვერ შეეთვისა... იმიტომ ვამბობ, ქართველი-მეთქი... ამაზე არ მიფიქრია აქამდე, მაგრამ გეტყობათ არც თქვენგან ვისმე მოსვლია აზრად, ქართველი მოეძებნა.

რუსუდანმა ფიქრის შემდეგ წარმოსთქვა:

— უთუოდ ვერ ბედავდნენ.

— მეც ეხლა სულ უბრალო რამემ ჩამაგდო საფიქრალსა: დერეფანში ერთი ოთახიდან სიმღერა შემომესმა... მართლა, დავით სოსლანი ჩამოსულა...

— დიაღ, გეახლა... — შეგვიანებით წარმოსთქვა რუსუდანმა.

— აი, იმის ოთახიდან სიმღერა გამოდიოდა: „ქალი რად გინდა უცხო მხრის, დასნეულდება, მოკვდებაო!..“ და იცი, მამიდა...

მამიდას უკვე ეტყობოდა, რაღაც აწვალ, მძლავრ საფიქრალსა დაეპყრო.

თამარი განაგრძობდა:

— ამ ლექსში დიდი სიბრძნეა... ჰო-და...

აქ ერთი ალერსით მოეხვია მოღუშულ მამიდას და თან ნელდიანად ჩაუხუმრა:

— მაშ, ვაჟიც რად გვინდა უცხო მხრის?

მამიდას ნელიად გაეღიმა. მაგრამ თამარს იმავ ხანე ეცვალა და უკვე უხუმრად წარმოსთქვა:

— მაინც მე ერთ გზასა დავდგომილვარ... შენ გაგიზიარებ ამას... ვიცი კარგად, დიდებულნი, დარბაზის ერი, კათალიკოსი და შენც საბოლოოდ შეთანხმდით უკვე, გინდათ, ეგ უცხო უფლისწული მეუღლედ გამიხდეს... აღარ გეურჩებით, მხოლოდ იცოდეს ყველამ: ჯვრის წერა ჯერ არ მოხდება. დავიწინდები. ესეც იმისთვის, რომ შფოთი რამე არ ატყდეს

ჩვენს ქვეყანაში. ჯვრის წერამდე-კი ერთი წელიწადი მაინც მოათიოს ჩვენ შორის უფლისწულმა... გავიცნოთ, შევისწავლოთ მისი ხასიათი და, უკეთუ შემდეგშიაც ღირსი აღმოჩნდება, მე თქვენს სურვილს არსით წაუვალ...

შეჩერდა.

მამიდას თითქო ჰმუნვის ღრუბელი გადაეყარა. თითქო უფრო თავისუფლად ამოისუნთქა.

თამარმა კვლავ მიმართა:

— მხოლოდ, მამიდა, ამის საჯაროდ გამოცხადებას მე თვით ვუბრძანებ. მანამ-კი, ნუ ვისთან ნურასა გრჯის... კვლავ მადროვე ცოტა, გონება კვალად შემოვიკრიფო.

— ბრძენი ხარ, შვილო, ბრძენი და ვინ რას გეურჩება!

— ეხლა ნახვამდის!

მიადგა მოფარდაგულს. მამიდამ მიაცილა.

— აბა, გამდელო, გავსწიოთ ჩვენსა.

დერეფანს მდგარი გამდელი, შიმუნვარები და დარაჯი მოკრძალებით თან გაჰყვნენ მეფეს.

დერეფანში უკვე დარბაზის ერი ირეოდა. ეტყობოდა, ასპარეზობიდან სანადიმოდ დაბრუნებულიყვნენ.

თამარის დანახვაზე ყველამ მოკრძალებით თავი დახარა, ბაგრამ გაუკვირდათ, რომ ჩვეულებისამებრ დიდი მეფე არავისთან არ შეჩერდა და არავინ თავისებური სათნოებით არ მოიკითხა.

— უგუნებოდ ბრძანდებაო! — ჩურჩული შექმნეს.

ოთახის შესავალთან მანდატურთ-უხუცესი ჭიაბერი დაწია, თავდახრილმა მოკრძალებით ჰკადრა:

— ჟამი არს ნადიმობისა, მეფეო!

თამარმა ლმობიერად გადახედა და, თითქო ბოდიშს იხდისო, ნელის ხმით უბრძანა:

— ვერა, ჭიაბერო, დღეს ვერ მოვალ ნადიმად. ამცნეთ სპასალარ სარგის მხარგრძელს და მსახურთ-უხუცესს ვარდან დადიანს, ღირსეულად დაუხვდნენ სტუმრებს. დიასახლისად სომხითის მთავრის მეუღლე, სარგისის ქალი, ზაქარია და ივანე მხარგრძელების დაი — თამთა დამინიშნავს...

ჭიაბერმა კიდევ უფრო მძიმედ დახარა თავი და მსწრაფლ გატრიალდა. იქვე დახვდა კათალიკოსის გამოგზავნილი მორჩილი. შეეკითხა.

ჭიაბერმა უბრძანა: არ იქნებაო.

თამარი შევიდა თავის ოთახს და მყისვე გამდელს მიმართა:

— როგორ მიმრჩა ჩემი ხელ-საქმე! დღეს ვერაფერი ვერ მოვასწარ...

— ბრძანებ, მოგართვათ?

— ჰო, ის ქარგა, დაფარნას რომ ვაკეთებ...

შიმუნვარი წავიდა მოსატანად.

— ამცნეთ აგრედვე ჩემს მოლარეთ-უხუცესს, მოვიდეს ჩემდა...

თვითონ-კი მაგიდას მიუჯდა.

ოქროს გრძელი საწერელი, თვლებით მორთული, ედგა წინ. ორბის ფრთაზე კალმად „მინა რხეული“ იყო წამოცმული. ქარგა მოზრდილ, უცხოდ მოხარატებულ, ჯასრის მაგვარ ჭურჭელში გრაგნილი ეტრატები იყო ჩაყუდებული, იქვე იდგა მომცრო ქვიშის საათი. უფრო ახლოს კი ქარგა მოზრდილი, მეშის ყდიანი, სქელი წიგნი მდებარეობდა. ყდაზე ბიზანტიის კეისართა ოქროს ღერბი იყო დაკრული.

წიგნი ბერძნულად იყო დაწერილი, სქელს, ყვითელს პაპირუსის ქაღალდზე.

ეს იყო მეათე საუკუნეში დაწერილი ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე ძოწითმოსილის თხზულება. ამ ნაწარმოებში იგი დარიგებას აძლევდა თავის შვილსა.

თამარმა გადაფურცლა. შემდეგ ადგილს წააწყდა და ჩაუღრმავდა:

„ყოველ ხალხს თავისი კანონი და ჩვეულება აქვს, ამიტომაც ყოველი ხალხი უნდა ცდილობდეს ამ ჩვეულების დაცვას და განმტკიცებას. ყოველივე კაცშირი, რომელზედაც დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრება, მან თავის შორის უნდა გამონახოს და მოიძიოს ამის საშუალება; როგორც ყოველი ცხოველი თავის მსგავსს ეძიებს, ეგრეთვე ხალხმაც ეგეთი წესი უნდა შემოიღოს, — წეუღლდეს არა უცხო ტომის შთამომავალსა და უცხო ენის პატრონსა, არამედ თავისავე მოდგმისას და მისივე ენის გამგონს. მხოლოდ ამას შეუძლიან, მეუღლეთა შორის განამტკიცოს მშვიდობა, სათნოება და უწმაწესი გრძნობანი“...

თამარის წასვლის შემდეგ, რუსუდანმა ვერ მოისვენა.

ვუსს ღრმად ჩააჩნდა თამარის ნაუბარი:

„მართლაც და, რატომ რომელიმე ქართველი უფლისწული არ ვირჩიეთ?.. ბრძენია თამარ... ვინ იცის, ვინ არის ეს გადამთიელი?! პირად კარგია, ყველას მოსწონს, მაგრამ...“

უკვე ეჭვი აფათურდა რუსუდანის გონებაში.

„მართალს ამბობს ჩემი ძმისწული: შთამომავლობით ამ შვიდი სამეფოს უფლისწულები მისნი ტოლნი არიან. მხოლოდ რომელი? სამცხელი ახოვანი თავადი სამძივარები, თუ აფხაზეთის უფროსი შარვაშიძე? ლაზისტანელი ფანასკერტელი, თუ ჰერეთის ერისთავი ასათ გრიგოლის-ძე? ისიც ხომ ბაგრატიონია და მეფეთა სახლის შვილი? ან შეიძლება ბერძენთა კეისრის შთამომავალი ალექსი კომნიანოსი გამოუვეს?.. წინედაც ვფიქრობდით მაგაზე. თვით კათალიკოსი კირიალამ მაგაზე შეჩერდა: ერთმორწმუნე არის, მართლმადიდებელი და ბიზანტიელ მეფეთა შთამომავალიო. მაგრამ ეგეც ხომ გადმოხვეწილი ვინმეა, უსავანო, საქართველოში შემოხიზნული, უმთავრესი კიდევ ის არის, რომ შორეული, მაკრამ ჩვენი ნათესავია...“

ამ ნათესაობის გახსენებამ ცუდ გუნებაზე დააყენა.

უეცრად თითქო ელვამ შემოანათაო, სრულიად უცხო აზრი გაიკლაკნა მის შეგნებაში.

„რატომ აქამდე არ ვიფიქრე?.. დავით სოსლანი!.. ჩემი გაზრდილია, თამართანაც ბავშვობითვე შეზრდილი... ჰოი, უფალო, ეს რომ შეიძლებოდეს!.. უკეთესს ვისღა ვპოვებთ?.. ჰაბუკი სრულიად ღირსი მეფობისა; ნაკვთად კარგი, პირად ტურფა, ზომიერი, მწიგნობარი, ზრდილი და მეომარი უცხო.. დამნაშავე ვარ! რად წინად, აქამდე ეს არ ვიფიქრე?.. ეხლაღა?.. ეხლა რომ გვიანი იყოს? თვით თამარიც დათმობის გზასა ადგია: დავიწინდებიო, მითხრა ძუძან. დიდებულნიც შეშფოთდებიან, აბულ-ასანიც თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს, რომ მის მიერ მოყვანილი უფლისწული მოწონებული არ იქმნას... შეიძლება მოხდეს აღრევა სამეფოსი და კვლავ ძმათა მმუსვრელ ომსაც ვერ ავცდეთ“.

დიდმა საგონებელმა მოიცვა რუსუდანი. შუბლზე ხელი მოისვა — ცივი ოფლი დასხმოდა.

გულმა მაინც დავით სოსლანისკენ გაუწია.

გაახსენდა, რომ დღეს ნადიმობა იყო დანიშნული. ვერ იგრძნო თავი სანადიმოდ და ბოდიში შეუთვალა ნადიმის გამგეს.

როდესაც მოახსენეს, რომ ნადიმად არც თამარი მობრძანდებაო, გულს ესალბუნა.

თავი მეხუთე

მჭმუნვარე რატი

IV

მონადიმეებს კი ამ ამბავმა ჭმუნვის ჩრდილი მიაყენა.

როდესაც გაიგეს, რომ არც თამარი, არც რუსუდანი და არც კათალიკოსი ჭყონდიდელითურთ ნადიმს არ დაესწრებოდნენ, რაღა ექმნათ შეკრებილებს, თორემ დარჩენა აღარ უნდოდათ.

მაგრამ დიასახლისად დანიშნულ სომეხთა მთავრის მეუღლის, თამთას მომხიბვლელმა ზრდილობამ, ჭიაბერის განმგებიანობამ, ვარდან დადიანის ტკბილმოუბარობამ, მაინც უკუჰყარა ჭმუნვის ღრუბელი და ნადიმი კვლავ აფერადდა, ლხინი წავიდა თავის გზით.

მხოლოდ კუზმა-რუსი ვერ იყო მაინც გუნებაზე. ამდენ თვალსაჩინოთა დაუსწრებლობა და თვით თამარის არ ყოფნა კარგის მომასწავებელი არ არისო, ფიქრობდა იგი და ამასვე გრძნობდა ჩუმად, თავისთვის მის გვერდზე მჯდომი რატი სურამელი. მან შეამჩნია, რომ არც თუ ოსთა თავადნი დაესწრენ ნადიმს.

არც დავით სოსლანი და არც მისი მომყოლნი ოსთა ბატონიშვლები: ჯადაროს და გიორგი.

„ეს კიდევ რალას ნიშნავსო?“ — ფიქრობდა რატი და გული ეთანალრებოდა.

„ზეიმის შემდეგ, თუმცა ზრდილობით, მაინც თამარმა

დამითხოვა, შემდეგ თვით არ ინება მობრძანება. ეტყობა მა-მიდასთან თათბირი ამ უცხო უფლისწულის სასიკეთოდ ვერ დასრულდა. მერე, რას უწუნებენ ამ დალოცვილს? შევარდნივით უზის სუფრას... პირად კარგი სანახავი ყოფილა, მართალია, თვალები როგორღაც არ მომწონს, მაგრამ ხომ უნდა როგორმე გადაიჭრას თაძმარის გათხოვება?.. უცხო კაცია, სრულიად დამოუკიდებელი ჩვენ დიდებულთა წრეზე... მაშ, მას ვერ ჩაითრევს წვრილმანება ჩვენი ყოველდღიური, ჩვენი შური, შფოთი და ქვეგამხედველობა... დიდი მეფის შვილიც არის. ერთმორწმუნე, მართლმადიდებელი... ხოლო თუ ესეც არ მოხდა... ვგრძნობ საფრთხესა... იმდენია მთხოვნელი, იმდენია მალალზრახვათა მჭონე...“

და აქ თვალი შეაელვა ვარდან დადიანს.

„არა, ესე არ იქნების!.. დღესვე პირადად მივალ თამართან და ვამცნობ, თუ რასაც ვგრძნობთ მისი ერთგული ყმანი... უნდა გადასწყვიტოს, ქვეყანა უნდა დაამშვიდოს... მხოლოდ ამ ოვსთა თავადთ რაღა უნდათ? ეს რა ურჩობაა? რად არ გამოცხადდნენ სანადიმოდ?..“

გაახსენდა.

ამას წინად ვინ ჩააწვეთა ყურში?

„ოვსთა თავადთ დიდად სწყენიათ რუსის უფლისწულის მოყვანა და ეხლა იმისათვის არიან ჩამოსულნი, რომ თამარ მეფე სხვაზე ნუ ინებებს გათხოვებას, ხოლო ჩვენ შორის ვინც მოეწონება ის შეიუღლოსო. მგონი, ყველაზე მეტად ოვსთ ბატონიშვილს გიორგის სურს თამარის ქმრობაო... მაგრამ ამაზე ჩუმად ლაპარაკობენ სასახლის კარზე... გაუბედავია მათი ხმა და ვერ არის მტკიცებული მათი სურვილი... ხედავთ, რა განუზრახავთ?.. ვინ მიემხრობა, ვინ გამოექომაგება?.. დიდებულნი ამას არ დაჰყაბულდებიან. არავის მათგანს ოვსთ თავადებზე მდაბლა თავი არ მოაქვს... არა! უთუოდ უნდა ვეახლო თამარს!..

ხელახლა დაუდასტურა თავის თავს.

თავი მეექვსე

გამიჯნურებული ბატონიშვილი

03

დავით სოსლანის სამყოფელოში კი კვლავ ჩანგურის ხმა გაისმოდა.

თვით დავით სოსლანი და ჯადაროს ოსთა ბატონიშვილი მაღალ სარკმელთან იყვნენ მიმდგარნი და რაღასაც ნელის ხმით საუბრობდნენ.

ხალიჩამოფენილ დაბალ ტახტზე მისვენებული იყო ერთი უცხო სახის ჭაბუკი, ბრგე მოყვანილობისა. საამური რამ საჭვრეტი იყო, მაგრამ ამ ჟამად გაბადრული სახე გაყვითლებული ჰქონდა და შავი, დიდრონი თვალები ნაღვლიანად გამოიყურებოდა. მხოლოდ ზოგჯერ თუ შორეული სიხარულის შუქი მიადგებოდა მათ.

ეს იყო ავრეთვე დავით სოსლანის მონათესავე, ჯადაროსის უმცროსი ძმა, გიორგი, ოსთა თავადი.

ტახტზე წინ ედვა პაწია, თითქო უბეში სატარებელი, ტყავგადაკრული, სქელკანიანი წიგნი. ამ წიგნის ლურჯ კაბადონებზე მეტად წმინდათ ნახელოვნები, მოხატულ ოქროს ჩარჩოებში, შავის მელნით არაბული სიტყვები იყო დაწერილი.

იქვე იდვა ხის მოგრძო, მოხარატებული სამელნე და ბატის ფრთის კალამი, თან ჩვილი ხბოს გახვეწილი, საწერი ტყავი.

ხანგამოშვებით ამ ტყავზე სწერდა რაღასაც. ეტყობოდა, თარგმნიდა არაბულიდან.

ჩანგური-კი თავისას განაგრძობდა და გორგა-მოშაირე ამ ჟამად, მხოლოდ ხელიად დაღიღინებდა, რომ ხელი არ შეეშალა ბატონიშვილის შემოქმედებისათვის.

კარგა ხანს გასტანა ესეთმა მდგომარეობამ.

ფარეში შემოვიდა. იქვე მდგომ უფროს მხლებელთაგანს ყურში რაღაც ჰკადრა.

დავითმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გიორგისაკენ წამოვიდა.

/ — გიორგი! — ლმობიერად მიმართა, — გეყოფა ეზლა. დროა პურად ვიღოთ...

გიორგის თითქო არც გაუგონია.

ჩანგური შეწყდა.

— რა ჰქმენ, გიორგი? — ეხლა უფრო ხმა-მაღლა მიმართა დავითმა, — დაასრულე?

მხოლოდ ეხლა შეინძრა გიორგის სახე, ცოტა გაელიმა.

— აბა, გვიჩვენე...

გიორგიმ ხელი დააფარა დაწერილს, მაგრამ ალერსიანი ძალდატანებით დავითმა ნაწერი ხელთ აიღო.

ჩაათვალიერა, სახეზე სიამოვნება გამოეხატა.

— მშვენიერია! — ნელიად წარმოსთქვა მან. განაგრძო. — აჰა, გორგა! ბატონიშვილს შენთვის მშვენიერი ლექსი უბოძებია. აბა, შენ იცი, რა სიმღერასაც შეურჩევ. მხოლოდ, იცოდე, ჩვენებური, ოვსური კილო უნდა იყოს.

— ერთი, მიბრძანე, ბატონიშვილო, ღმერთი გადღეგრძელებს... — წარმოსთქვა ჭალარა მოშაირემ.

ბატონიშვილ გიორგის სახეზე უკვე კმაყოფილება ეტყობოდა. სჩანდა, იამა, რომ დავითს მოეწონა.

— წაუკითხე! — ნელის ხმით განაცხადა თანხმობა.

ჯადაროს და ყველა იქ მყოფნი მხლებლები და ფარეშები უფრო ახლო შეჯგუფდნენ, დავითმა კი მკაფიოდ და ცოტა შემღერებით წაიკითხა:

„შენთა ღაწვთა ელვანი — მთიებთ შორის მხედარი,
სამღვთო შუქთა ნათელი — შენ გარემო მწვედ არი,
რაც ძვირფასი თვალია — შენ ხარ სულყველას კრება.
ადამიანის წუნი ერთიც არ გეკარება!
საროს და ვარდს რად უმზერს, ვინც შენი მიჯნურია?
საროო — შენი ტანია, ღაწვი — ვარდ-კუკურია!
ვერ დამალავს შენს ტრფობას ვერა კაცი სულდგმული!
მიტომ შენი მიჯნური ქვეყნად არს განკიცხული.
შენ მიჯნურთ გულისთქმანი ყველა შესრულებიან,
მხოლოდ შენის შეყრისა წადილით ისჯებიან“.

დავითმა კითხვა გაათავა.

— დიდებულია, ბატონიშვილო. — წამოიძახა გორგა-მოშაირემ, — მართლა მიბოძებ სამღერლად?

გიორგიმ ლმობიერად თავი დაუქნია, — გიბოძებო!

— მშვენიერია, შენმა გაზდამ, გიორგი! — დაადასტურა ჯადაროსმაც. — დავით, ერთი აქ მიბოძე, — და დაწერილი ტყავი ჩამოართვა. ჩუმად ჩაიკითხა და დავითს გადახედა.

ორივეს ნაღვლიანი გამომეტყველება მიეცა. თითქო ჩუმად მიხვდნენ ბატონიშვილმა გიორგიმ ვისთვის თარგმნა ეს ლექსი და თვალებით ერთი მეორეს დაუმოწმეს.

შემოსავლის ფარდაგი გადაიწია.

უწინარეს ყოვლისა ჭალარა, გრძელი წვერი და არწივისებური ცხვირი გამოჩნდა.

ყველაზე წინ დავითი მიესალმა:

— აა, სახელოვან პიიტიკოსს ჩვენი სალამი!

— პიიტიკოსები თვით ბრძანდებით, ბატონიშვილებო!

და ამ სიტყვებთან ერთად ოთახში სრულიად შემოვიდა ცოტა ბეჭებში მოხრილი, მაგრამ საკმაოდ ახოვანი, ხმელხმელი, ძარღვიანი მამაკაცი.

08

— გიორგი, ვერ იცნობ? ეს არის განთქმული მწერალი, რომლის ნაწერების კითხვა ეგრე გიყვარს... აი, ამ ბოლო ხანებში „ეთერიანი", აბესალომ და ეთერის ამბავი რომ დასწერა, სახელოვანი გოდერძი ჩორჩანელი.

გიორგი ცოტა წამოიწია. წარმოსთქვა:

— ფრიად მიხარის შენი ნახვა, დიდო მწერალო... მობრძანდი... სელი მიართვით.

გიორგის ახლო, ტახტთან, სკამზე დასვეს სასიამო სტუმარი.

დავითმა ბრძანება გასცა სადილიც მოერთმიათ. ფარეშები დაფაცურდნენ.

ჯადაროსი კი გოდერძის ეხუმრებოდა:

— ბატონიშვილებს რას დაგვცინი, სახელოვანო... აგერ ჩემმა ძმამ მშვენიერი ლექსი სთარგმნა არაბულიდან ქართულად.

გიორგიმ საყვედურით გადახედა ჯადაროსს.

— დაცინებას, აბა, როგორ ვაკადრებთ... — წარმოსთქვა გოდერძიმ, — ოვსთა თავადნი ქართულში დიდად ნაქებნი არ-

ან... ამ ჭაბუკისა არ ვიცი, და დავით წოწლანისა კი მშმენია, რომ თხზავს, თურმე...

— ეეჰ, აბა რა სახსენებელი ვარ!.. — დაიმდაბლა თავი დავითმა.

— არა, რატომ არ არის სახსენებელი? — არა სცხრებოდა ჯადაროსი მისიანების ქებით — შენმა მზემ, დავითმა ჩვენ გმირთვა-გმირის ალღუზის და სხვათა ამბავი ეგოდენ მშვენივრად შეჰკინძა, რომ საამური რამ სასმენელი გამოვიდა...

— რომ ვერ ჩავიგდეთ ხელში! — კვლავ შეუბრუნა გოდერძი. ჩორნალემა. — ჩემთვის დიდად საგულისხმო იყო მცოდნოდა, რა თქმულებანი ჩაურთო მის თხზულებას. ჩემს „ეთერიანშიც“ ბევრია თქვენი, ოვსური თქმულება მოყვანილი.

— აკი, იმიტომაც შემიყვარდა თქვენი წიგნი, — წარმოსთქვა გიორგიმ.

— მართლა, თქვენ რა გითარგმანებიათ?.. აქედან თარგმან ჰყავით? — და გოდერძიმ ბატონიშვილს მიუთითა მის წინ მდებარე მომცრო წიგნზე.

— დიალ... თავს ვირთობ.

— ეგ რა წიგნია?

გიორგიმ გაუწოდა წიგნი.

გოდერძიმ ჩვეული კაცის ხელით გადაფურცლა ქაბადონები. მარჯვენა ბოლოში სათაურს დახედა. თითქოს თავისთვის წარმოსთქვა:

— ოო, არაბულ შაირთა კრებული ყოფილა.

— აი, თარგმანიც, — და დავითმა გადასცა ტყავი.

გიორგი სულ გაიმართა ტახტზე. წამოწითლდა და ცნობის მოყვარეობით შეაჩერდა ჩორჩანელს. ეტყობოდა, კრძალვით იყო: ბუმბერაზ მწერლის აზრი, როგორი იქნებაო.

გოდერძიმ რამდენჯერმე გადაიკითხა თარგმანიც და ტექსტიც. ბოლოს შეგვიანებით წარმოსთქვა:

— მოსაწონია, ბატონიშვილო!

სამივე ბატონიშვილს დაეტყოთ, რომ გულს მოეშვათ. გოდერძის აზრი ძვირფასი იყო, მით უფრო გოდერძის პირდაპირობა ყველამ იცოდა.

გოდერძი დაუკვირდა გიორგის. ეტყობოდა, გააკვირვა ბატონიშვილის სიყვითლემ. თანაზიარად შეეკითხა:

— უქეიფოთ ბრძანდები, ბატონიშვილო?

გიორგის უნდოდა ეპასუხნა, ჯადაროსმაც მოინდომა პასუხის გაცემა, მაგრამ ყველას დავითმა დაასწრო:

— ცხროი სჭირს.

— ცხროი? — დაიეჭვა გოდერძიმ.

— სულ მთიულეთშია ნაზარდი, — განაგრძობდა დავითი, — ბარად მხოლოდ ეხლა ჩამოვიდა და იმან თუ დასცადა...

გოდერძის შავი, შეყრილი წარბები საეჭვოდ მიიმოქანდნენ. ეტყობოდა არ დაიჯერა, მაგრამ არა სთქვა-რა.

ამასობაში სუფრაც გაშალეს და მსახურთ ხელის „გადასაბანი“ წყალი მოიტანეს. ერთს ვერცხლის პაწია ტასტი ეჭირა, მეორეს — ვერცხლისავე თუნგული და მესამეს — გრძელი და გიწრო, მოლურჯო, ორივ ბოლოებში უცხოდ მოქარგული პირსახოცი.

როგორც ავადმყოფს, ყველაზე უფროსმა დავით სოსლანმა ხელის დაბანა გიორგის დაუთმო და შემდეგ ჩამოაყოლებინა მორიგისით.

გოდერძიმ კი, როდესაც ხელი პირსახოცით შეიმშრალა, წარმოსთქვა:

— სულ სხვადასხვა ჩვეულება არსებობს ქვეყნად...

არავის არაფერი უთქვამს. აღარც თვითონ გაუგრძელებია. დრო იყო და მოუსხდნენ კიდეც სუფრას.

ბატონიშვილები და გოდერძი.

გორგა-მოშაირეს კი ცალკე, მომცრო ტაბაკი დაუდგეს.

შინაყმები თავზე ადგნენ.

ფარეშებს სანოვაგე შემოჰქონდათ.

მერიქიფეს ხელდოქი ეჭირა და ლალის — ფიალებში ქარვისფერ ყურძნის წვენს ასხამდა მორიგისით.

პირველ ხანებში შათი პურადღება ჩუმი იყო, საქმიანი, უბრალო.

მხოლოდ ცოტა რომ შენაყრდნენ, გოდერძიმ ხოხსნა პირი.

რა არ გაიხსენა: ჭირეთი, არაბეთი, ბიზანტია, სხვადასხვა ზნე-ჩვეულებანი.

ბატონიშვილები გულისხმიერათ უსმენდნენ.

განსაკუთრებით გიორგის დაეტყო გამოცოცხლება. ღაწვებზე წითელმა ფერმა იფეთქა.

გოდერძი კი მოუთხრობდა ენაწყლიანად:

— დიდი გადამჭიჭული ხალხია ბიზანტიელები. მრგვხსენებათ, განსაკუთრებით სასახლის კარზე. მეც მელირსა ბედნიერება — წარვსდგომოდი ბიზანტიის კეისარს. მაგრამ ეს წარდგომა დიდის ზეიმით იყო მორთული. ჯერ ერთი, ჩემი ვინაობა დიდად გამოიძიეს და, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ივერიიდანა ვარ, ჩვენი მეფის კარის მწერალი, მაშინ დიდის ზრდილობით და მეტის თავაზიანობით გაიღო ჩემთვის ყველა საჭირო კარები, და, აი, ერთ მშვენიერ დღეს, შემიყვანეს კეისრის მისაღებ დარბაზში, რომელსაც მათებურად მაგნაკრას უწოდებენ. ეს არის დიდი, მშვენიერი დარბაზი, შემკული სხვადასხვაგვარი ხრახნილებითა, ჩუქურთმებით და მხატვრობით. მე მითხრეს, როდესაც დიდად საპატიო სტუმარი უნდა მიიღონ, ამ დარბაზს კიდევ უფრო მდიდრულადა რთავენ, მეფის სალარო და საჭურჭლეთაგან მოაქვთ ძვირფასი განძეული და მუნ გამოჰფენენ, რომ სამკაულთა სიმდიდრით განაცვიფრონ მომსვლელები. მაგრამ უფრო საკვირველი იქ, იმ დარბაზში, თვით კეისრის ტახტია. მას სოლომონის ტახტს უწოდებენ. და მეტად უცნაური ტახტიც არის. ჩვეულებრივათ ოქროთი და თვლებით არის მორთული, როგორც ჩვენში, მაგრამ უფრო სრულია, უფრო დიდი და მეტი უსიამო, ქედმაღლური შეხედულება აქვს.

— ბიზანტიელებს უყვართ გარეგნული გამოჩვენება, — ბრძანა დავითმა.

— მართლა, ბატონიშვილო, თქვენ გეცოდინებათ იმ ტახტის ამბავიც.

— ჰო, ბევრს საცვიფროსა მოგვითხრობდნენ, მაგრამ ბრძანეთ...

— მე დაწვრილებით არ გამიგია, — წელიად მიმართა გიორგიმ, — გვიამბეთ.

გოდერძიმ განაგრძო:

— ტახტის საფეხურებზე სხვადასხვა ოქროსავე მხეცებია მოთავსებული. სულ წინ ორი ლომია, რომელნიც დრო-დროთი წელში იმართებიან, ყალყზე დგებიან და სასაშინრო ხმებს ალმოუტევებენ ხოლმე. ტახტის ორ მხარეს კიდევ ორი ოქროს ჩიტები სხედან და ისინიც დრო დროით ჰგალობენ კიდეც. საოცარი მანქანაა და უცებ კაცს შიშის ზარს სცემს.

გორგა-მოშაირემ ჰირი დაიღო.

— როდესაც შეველ, იქაური კარის კაცნი მახლდნენ და ერთი კიდევ ჯვაროსანი სკვითი, კეისრის სანახავად ამოსული. კეისარი შემდეგ მობრძანდა, საკრამანგმოსილი, და, აღვიდა თუ არა თვის ტახტსა, ერთი იმეთი ხმა ალმოუტევეს ოქროს მხეცებმა, რომ გეგონებოდათ მეორეთ მოსვლა არისო. ეს წინადაც მქონდა ამ საოცარ მანქანების ამბავი გაგონილი და, დარბაზში ყოფნის დროსაც, თვალი შევაჩვიე. ჩემთან მყოფი სკვითი კი დაიბნა, აბორგდა, ეტყობოდა თმა აებურგძნა და შიშისაგან იატაკზე განერთხო. მაშინ კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ ადამიანს უწინარეს ყოვლისა თვალში აქვს ჭკუა. დამცინავი ღიმილი უთუოდ შემამჩნია კეისარმა, რადგან ზრდილი და მოიარებითი სიტყვა-პასუხით მრჩო სიმხნევე. თურმე უნებლიედ ქართველობაც ვასახელე ჩემს თავდაჭერით. მაგრამ ტყუილია, იმოდენა გამოცდილება არა მქონოდა, მეც დავფეთდებოდი.

ბატონიშვილები იღიმოდნენ. გორგა-მოშაირე მოურიდებლად, გულიანად ხარხარობდა სკვითის დაბნევაზე.

— ეს კომნიანოსების კეისრების დროს იქმნებოდა, — იწყო დავითმა.

— დიაღ, მაშინ გახლდათ. კომნიანოსები ხომ ტახტიდან ჩამოაგდეს აგერ ორი წელიწადია.

— ნიჭიერი ხალხი იყო. ჩვენ სასახლის კარსაც ენათესავებოდნენ.

— როგორ არა! აი, ალექსი კომნიანოსიც, ჩვენში რომ ჩამოესახლა, იქაური ბატონიშვილია, — ახსნა გოდერძიმ.

ალექსის ხსენებაზე ცოტა აიმრიზა გიორგი ბატონიშვილი.

— ეხლა ვინ კეისრობს? — იკითხა ჯადაროსმა.

— ანჟელუსთა სახლი, ანუ ანგელოსებათ წოდებულნი, — დაადასტურა კვლავ გოდერძიმ.

— კეისრებად მაინც კომნიანოსები სჯობდნენ. ჩვენი ქვეყნისთვისაც უფრო სასარგებლო იყო მათი მეფობა, — წარმოსთქვა დავითმა.

— ეჰ, დაუდეგარი ქვეყანაა ბიზანტია... ჯუბასავით იცვლიან მეფეებსა... — ჩაუმატა ჯადაროსმა, მაგრამ გოდერძის

მისთვის ყური არ უგდია, იგი თითქო დავითის სიტყვას უფრო გაძოეხმაურა:

— ჩვენი ქვეყნისთვის უფრო სასარგებლო იყვნენ კომნინოსები და, აი, ეხლა მათ ნაშიერ, ხსენებულ ალექსის ქედმაღლური ზრახვა, ამბობენ, გულს ჩაუდვია, უნდა მეფედ გაგვიხდეს, თურმე...

ითქვა სათქმელი.

„ვერიდებოდი ღოლოსა, შემხვდა ბალიზა ბოლოსა!“

ქართული ანდაზით გაიფიქრა დავით სოსლანმა და შეშფოთებით გიორგის გადახედა.

გიორგის უკვე ეტყობოდა შინაგანი აღელვება. თითქო რალაც მკვაბეს წარმოთქმა უნდაო, მაგრამ ჯადაროსმა დაასწრო და პირდაპირის გადაჭრილობით მიუდგა საკითხს.

— რას გადაგვეკიდნენ ეს გადამთიელნი!.. იქით სულთნის შვილები, აქეთ ეს ბიზანტიის კეისართა შთამომავალი, ეხლა კიდევ აბულ-ასანს ვიღაც რუსი უფლისწული ჩამოუყვანია ყივჩაყეთიდან. ყველანი თამარ დიდებულის ხელსა ეძიებენ და ჩვენზე გამეფებას ლამობენ. ცუდათ მოუვათ ზრახვანი.

გოდერძიმ წარბები ჩამოაწია. დავითი რალაც საგონებელმა შეიპყრო, გიორგის თვალები თითქო უეცრად გაუყვითლდა.

— სასახლის კარზე უკვე ხმები მიმოქრის, რომ გამარჯვება რუსს დარჩებაო... — ჩუმად შეაპარა გოდერძიმ.

— რა თქმა უნდა! დღეს ხომ დიდის გამოჩინებით მიირღეს ეგ გადამთიელი!.. — ჯავრობდა კვლავ ჯადაროსი.

— ზეიმზე ბრძანდებოდით?

— მხოლოდ დავითი.

— სწყრებით, ბატონიშვილებო?

— ნუთუ არა გვაქვს გასაწყრომი!..

გაცხარდა ჯადაროსი:

— ჩვენი ახლანდელი ჩამოსვლა არავისთვის ფარული არ არის... ოვსეთის მთავრის შვილები ვართ, შთამომავლობით ბაგრატიონნი, ეფრემის რტოსა და სჯულით ქრისტეანენი. თუ ვისმე უფლება აქვს ეძიოს ხელი თამარისა, ყველაზე უფრო ჩვენ... საუკუნეობით მოკავშირეს და ქართველების შონათესავეებს... უხსოვარ დროიდან ერთ უღელქვეშ ვართ გაბ-

შულნი, ერთგვარი ზნე და ჩვეულებისანი, ერთურთის შეთვისებულნი... საქართველოს ბედნიერება ჩვენი ბედნიერებაა, მისი შეჭირვება — ჩვენი სიდუხჭირე... ეს კარგად უნდა ვესმოდეთ აქაურ დიდებულებს, მაგრამ მაინც გადამთიელებისაკენ უჭირავთ თვალყური... სხვა ყველაფერს რომ დავეთხოვოთ, რა იციან მათ ჩვენი? რა აკავშირებთ ჩვენთან?.. რას გვიცნობენ? რა სიყვარული ექმნებათ ქვეყნისა და ხალხის?.. ბეცი უნდა იყოს ადამიანი, ამას ვერ მიხვდეს, მაგრამ... დიდებულებს თავის მუცლის გვრემა აქვთ... აბულ-ასანს მაინც.. თავის მოყვანილის გამეფებით პირველკაცობა მთლად უნდა მთელს საქართველოში დაიმკვიდროს... მაინც რომ ვერარ გადაურჩა ამ კაცს საქართველო!.. თამარის მამის დროინდელი ყველა ხელისუფალი გადაყენებულ იქმნა და ეგ ისევ დარჩა ქვეყნის სავალალოდ და საზიანოდ!..

— დიდი დამსახურება მიუძღვის, ბატონიშვილო!.. მასაც, მის შვილს გუზანსაც... ტაო-კლარჯეთის მმართველს... ეხლა აბულ-ასანმა ხომ თვით თამარის მონათესავე, თქვენებური, ოვსთ-ბატონების შთამომავალი ქალი შეირთო... მგონი ბაგრატიონების სისხლისაც... მართლა, ბატონიშვილო, — აქ შეეკითხა გოდერძი, — კარგად კი არ ვიცი, ეგ ქალი თქვენი ფონათესავეც არ არის?..

ჯადაროსის მაგიერ დავითმა უპასუხა:

— შორებელია!

ის უკვე გამორკვეულიყო ღრმა ფიქრთაგან და ეხლა ზრდილი გამომეტყველებით ყურს უგდებდა მოსაუბრეთ.

— ეგ სულ ერთია!

განაგრძობდა ჯადაროსი...

— რაც უნდა დიდი გავლენის იყოს აბულ-ასანი და თამარის მონათესავეც, აშისთანა დიდ საქმეში, როგორც თამარის გათხოვებაა, ქართველებს დაბრმავება არ მართებთ...

შეჩერდა ჯადაროსი. თითქო მხოლოდ სული ამოითქვაო, მოზდვავებულ, გულის მოსაოხებელ სიტყვათა გასაგრძობად, მაგრამ გოდერძიმ დაასწრო!

— ამბობენ, ვარდან დადიანიც მის მხარეზეაო...

— არც ის არის წმინდა წყლის კაცი!

ჭვლავ იფეთქა ჯადაროსმა:

— ვერ შევწამებ, ქვეყანა არ უყვარდეს, მაგრამ საპირა-

დო, მე მგონი, მეტი აწლავს მუდამ მის ზრახვებსა და მის მოქმედებას...

გოდერძიმ კვლავ შეაწყვეტინა, თითქო ართობს ბატონიშვილის სიცხარე განგებ ცეცხლზე ცეცხლს უკეთებსო.

— კათოლიკოსსაც თავისი ლოცვა-კურთხევა, მითხრეს, ამ რუსზე შეუჩერებიაო...

— მე კი არ ვიცი!.. — მართლა გაცხარდა ჯადაროსი.

— ამდენი ხანია აქ ჩამოველით სამივენი, სხვები საქმეს აკეთებენ და ჩვენ კი გულზე ხელი დაგვიკრეფია. მე ყველაზე უმცროსი ვარ და ესენი-კი... დავითი მეტად დარბაისლობს, ხოლო გიორგისთანა მოკრძალებული არავინ მინახავს...

გიორგი შეინძრა ტახტზე.

— მომიტევე!.. მე შენი წყენა, აბა, როგორ მინდა, მაგრამ ამ მოკრძალებას-კი მეტად ვზრახავ... სწორედ შენთვის ვართ წამოსული... შენ იმითი გვჯობიხარ მე და დავითს, რომ შენ, თვით თამარ პირიმზის ტრფიალი ხარ, მიუხედავად მისი მეფობისა, შენ თვით მისი არსება გაგიღმერთებია...

ამ სიტყვებზე მიმოიხედა, თვალი შეასწრო დავითს. იგი მეტად დარბაისლად იჯდა, მაგრამ ოდნავ შესამჩნევად მაინც გაიკრთომა მისმა თვალებმა, ჩაფიქრდა.

ჯადაროსი კი განაგრძობდა:

— შენს ალაგას ვიყო... აქამდე მთელს ქვეყანას შევაჯერებდი... შენ კი, გატყობ, ისიცა გწყინს, რომ ჩვენ, სახელოვან მწერალ გოდერძისთან, გავამჟღავნეთ შენი გულის ნადები... მაგრამ განა შენ არ სთქვი:

„მეჯნუნი დასწვა, — საბრალო, —
ტრფობისა ცეცხლმა უნელმა;
ვამოყ დაახრჩო ცრემლთ ზღვაში
ტირილმა გაუკურნელმა“!..

— ყოველივე არ დთქმის, რაც რომ გულით გწადიან!..

ღიმილით და ნაზი ხმით, თითქო ჯადაროსის საპასუხოდ, წარმოსთქვა ფერმიხდილმა გიორგიმ.

სხვებსაც გაეღიმა. გოდერძი შეეკითხა:

— წუთუ სასახლის ყარზე არავის აცოდინეთ მიზეზი თქვენის ჩამოსვლისა?.. ოვსთ ბატონიშვილებზე, როგორც ჩვენი დიდი მეფის სამეუღლოზე, წინედაც მსმენია, მხოლოდ არ

ვიცოდი, თქვენგანში რომელს ასახელებდნენ... მაინც ყოველივე ესე ვითარი, უნდა გემცნოთ თვით თამარისათვის.

ცოტა ხანს არავინ არა სთქვა-რა, ბოლოს მაინც ჯადაროსმა უპასუხა:

— ესეც საცნაურია, რომ თამარი თვით არ ერევა ამ საქმეში. დიდებულებს მიანდო ამ საქმის გადაჭრა, თუმცა ჩვენ მაინც, ისე გულდაგულ, არავისთვის არ გაგვიზიარებია.

ეხლა დავითმაც ამოიღო ხმა:

— აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია...

ჯადაროსმა დააპირა პასუხის გაცემა.

სწორედ ამ დროს მოფარდაგული გადაიწია. ერთი მოყმე ვინმე შემოვიდა.

მან თვალებით ჩქარა მოსძებნა დავით სოსლანი და მიმართა:

— დედოფალი რუსუდან გიწოდებთ თავისთან.

დავითი მყისვე ზეწამოიჭრა და გაჰყვა მოყმეს.

გოდერძიც წამოდგა.

გიორგის თვალებს ეტყობოდა, არ უნდოდა მისი გაშვება.

ადამიანთა სულის ლაბირინთში მარჯვეთ გამგნებმა გოდერძიმ ამ თვალებს იხიც შეამჩნია.— სულის უნაზეს შეჭირვების თითქო სალბუნსაც სთხოვდა: თამარის ტრფიალის საქმე შეიძლება მომიმარჯვოო.

გოდერძიმ არა სთქვა-რა. ზრდილობით და მადლობით გამოეთხოვა ოვსთა თავადებს.

მოფარდაგულს რომ გადააბიჯა, შეგნებამ ჩამოუქანდაკა:

— დიდი მწვერვალია თამარ!

თავი მეშვიდე

ვინ რას შიქრობს

1

ერდოში გამოსულ გოდერძის წინ შემოხვდა ნადიმიდან დაბრუნებული ვარდან დადიანი მცირე ამალით.

ეტყობოდა, ვარდანმა შორიდანვე შეიცნო გოდერძი, მომღიმარი სახით შეეგება:

— ჰოი, მაღალ-გონიერო, გოდერძი, საით მიდმოებ? ამ ბოლო ხანს რად მოგვაკელ შენი ყურადღება?

გოდერძიმ ზრდილად თავი დახარა.

— თუ მოუცლელი ხარ?.. ქმნი დიდებულ ალნაქვსთა? კარგა ხანია შენ ხილვას მოკლებული ვარ, არც დღევანდელ ნადიმზე დამინახავხარ.

— ოვსთ-ბატონიშვილებს ვახლდი, დადიანო! ერთად პურად ვიღეთ.

დადიანს ცბიერმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— რას იქმონენ ოსთ თავადნი?.. კვლავ არ დაუშლიათ და ეძიებენ თამარის ხელსა?

— შევითვატყვე... მმ... ეგრე თუა...

ორმაგად უპასუხა გოდერძიმ.

— ის ღლაპი რაღასა იქს?.. ჰმ... ჰმ...

ჩუმად ჩაიცინა ვარდანმა და გზა განაგრძო. გვერდით მიჰყვა გოდერძი და ამალაც, შორიახლო.

— ოვსთ-ბატონიშვილ გიორგიზე გეკითხები, — ბრძანა კვლავ ვარდანმა.

გოდერძიმ თავის სქელ წარბებ ქვეშ ზეაჰხედა დადიანს: კარგად უნდოდა მიმხვდარიყო, ამ კითხვის გადაღმა მხარეს რა იმალებოდა.

შეგვიანებით წარმოსთქვა:

— დავარდნილია მეტად. ცხროი სჭირს.

— თამარის ტრფიალია ისიც...

შეჩერდა ვარდანი. შემდეგ მაინც წარმოსთქვა სასტიკი სიტყვა:

— ვერ გადარჩება!.. რაო? კიდევ თხზავს ლექსებს?

— ერთი თარგმანი მეც მაჩვენა, დიდებულო... კარგი იყო.

— შენც მოგეწონა, გოდერძი?.. მაშ, კარგი ყოფილა, ნიჭიერია, მაგრამ! მართ ოდენ ნიჭიერება არ არის საწინდარი მისი, რომ ოვსთ თავადს ხელეწიფებოდეს მეფობა ივერიისა. ოვსთ თავადთ შორის, ჩემო გოდერძი, შენც შეამჩნევდი, უფრო თვალსაჩინო ისევ დავით სოსლანია, მაგრამ ღმერთმა ნუ ბრძანოს! ჩვენ, ქართველნი ვერ შევეგუებოდით მის მეფობასაც... თამარი მეტად დიდი განძია ჩვენი ტახტისა და ჩვენი ერისა, ამისათვის მას გამჭრიახი და ფხიანი პატრონიც უნდა მივუჩინოთ.

— ჭეშმარიტებას იტყვი, დადიანო!

— მე ცხადი მომხრე ვარ ახლად ჩამოყვანილის რუსთ-უფლისწულისა, დიდო პიიტიკოსო! მინდა შენც იცოდე, მართალია, ახალგაზრდაა, ჯერ მოუმწიფებელი ჭაბუკია, მაგრამ ვაჟკაცია, შვენის გმირობა და ჩვენს აწინდელ მეფეს სწორედ ეს გმირობა უნდა შესდგამდეს, რომ მშვლავრის ლაშქრობითა კიდევ უფრო შორს გაიტანოს ჯვარი ქრისტესი და სახელი საქართველოსი... კარგად შეამჩნევდი, ბიზანტია ინგრევა... აგერ ჩვენი თვალის წინ დაემხო კომნინოსთა დინასტია და ანგელუსები გამეფდნენ, მაგრამ მათი მეფობაც ვერ არის, თურმე, ისე მტკიცე და მკვიდრი, ვით საჭიროა. ხოლო, როდესაც ტახტი ხშირ მეროყეობას განიცდის, იმ სახელმწიფოს საქმე წასულია. დღეს თუ ხვალ სრულიად დაემხობა. ეს სხვადასხვა სასულთნოები კი, აღმოსავლეთ-სამხრეთით, რომ შემოგვერტყა, კარგს არას გვიქადის... სელჩუკიანთა მოდგმისანი, ველურნი, გაწუკითხავნი და უგანაგისონი არიან... ეხლა ჩვენი რიგია, ქართველებისა!.. ჩვენ უნდა ვიპყრათ პირველობა აღმოსავლეთში, ჩვენ უნდა გავხდეთ მბრძანებელი და მმართველი ამ ურდოების, ჩვენ უნდა შევიტანოთ იქ სინათლე ქრისტეს სჯულისა და მოქმედობა ჩვენის ნიჭიერებისა... თუ ლაშქარში პირველი მედროშე დაეცემა, მას სხვა ახოვანი უნდა შეეწაცვლოს... ბიზანტიის ნაცვალი ჩვენ უნდა ვიქმნეთ!..

გოდერძის არ გაკვირვებია, რომ დადიანი ასე გულახდილად ესაუბრებოდა. იგი ჩვეული იყო თამარის კარზე დიდებულთაგან საზოგადოდ გულახდილობას. კარგად იცოდა, რომ მას თითქმის ყველანი კაცთა გულის მესაიდუმლედ სახავდნენ

და მის წინაშე ძვირად თუ ვინმე ჰფარავდა გულის ნადებს. მაგრამ ამასაც კარგად გრძნობდა, რომ დადიანი საზოგადოდ ფრთხილი კაცი იყო და ისეთს არას იტყოდა საშემდეგოდ წინ დახვედროდა. მაინდამაინც ისეთის ნელის, თუმცა მტკიცე ხმით ესაუბრებოდა გოდერძის, რომ შორიახლო მომავალი ამალა ძვირად თუ მოჰკრავდა რაიმე სიტყვას ყურს. თუმცა, ან-კი რა იყო დადიანის სიტყვებში ვისთვისმე დასამალი?.. საქართველოს გადიდება, საქართველოს პირველობა მთელს აღმოსავლეთში, ეს რომელ ქართველს უნდა სწყენოდა?.. რაც არ უნდა მცირე ოცნების, ან მშვიდობიანობის მოყვარული ყოფილიყო რომელიმე ქართველი, ამის გაგონებაზე ვის ოდნავ მაინც არ აუტოკდებოდა გული, არ აუმოძრავდებოდა შორეული რამ შეგრძნობა. გოდერძისათვის ყოველივე ეს ნათლად გადაშლილი იყო გონების თვალთა წინაშე და ვარდანის სიტყვებზე თავში უელავდა:

„ესეც დიდი მამულის შვილი არის... ხომ ბევრი ცუდი ხმები მიმოქრის ამაზე... მხოლოდ საპირადო აწუხებსო! — მაგრამ მამული, სამშობლო, მისი აღორძინება, გაშლა და გადაფურჩქვნა შეიძლება სხვებზე უფრო მძლავრად ამას უტოკებდეს გულს!“

ვარდანი განაგრძობდა:

— ამისათვის გვინდა გმირი სარდალი, გმირი მეფე, ჩემო გოდერძი! მან ქვეყნები უნდა დაგვიპყრას, უნდა ჩვენც გაგვიტაცოს, აგვიყოლიოს... ხალხი მოგვგვაროს ახალ-ახალი ბალაშქრებისა!

გოდერძიმ შეაჩერა:

— ამას ჩვენში ბევრი არ იზიარებდა და არც ეხლა იზიარებს... ჩვენი ხალხის ბედისწერა თავის დაცვაა, თავის მოვლა და სხვა არაფერიო. ხალხი ამბობს: „შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერეო!“, მე ნუ შემეხები, შენსას ხელს არ ვახლებო.

— რად გავიწყდება, გოდერძი, ლიხთ-იმერნი იტყვიან: „გალმა, შეედავე, გამოლმა დაგრჩებაო“!

— თვით დავითიც, თამარის პაპა, ჩვენი გამაერთიანებელი, ჩვენი აღმაშენებელი, ისიც უფრთხოდა ცუდ-უბრალო გალაშქრებას, — ჯიუტობდა გოდერძი, — ის თუ თავს ესხმოდა მტერს, მოგერიებითი სარჩული ედვა მის მოქმედებას.

— ამასაც ნუ დაივიწყებ, გოდერძ, რომ ყოველი თავ-დასწმა სამერმისო, შორეული მოგერიებაა. დავითი დიდი მეფე იყო, მაგრამ მას დაპყრობითი საქმეებისათვის სად ეცალა! მისი დრო სხვა იყო. მას სხვა ვალი ედვა კისერზე. შინაური გაერთიანება, გამაგრება, აღშენება. მან პირნათლად აღასრულა კიდეც მისი მოვალეობა... ეხლა-კი სულ სხვა დროა! მეც იმას ვნანობ... — აქ ხმას კიდევ უფრო დაუწია ვარდანმა, — რომ გიორგი მეფეს, თამარის მამას, ვაჟი არ დარჩა მემკვიდრედ... ეს ბუნების ნაკლი ჩვენ უნდა შევასწოროთ ღირსეულმა, გმირი მეუღლის არჩევით.

— ეჰ, დადიანო! შენ ქალის მეფეობას კიდევ ვერ შეურიგებიხარ...

— გეუბნები, როგორც გულითად მეგობარს, გოდერძ!.. ეგ თქვენ, პიიტიკოსებს გაგიტაცებთ ქალის ხატება... ქალი-მეფე, ქალი-გვირგვინოსანი და მერე როგორი ქალი? მართლაც-და თამარ-საგანგებო!.. აკი მგოსნები სულ მის შესხმა-ხოტბაში ხართ გართულნი...

— მე ნაკლები ღვაწლი მიმიძღვის ამ წაპატიო მოღვაწეობასა ზედა.

დაიმდაბლა თავი გოდერძიმ.

— ვიცი, მაგრამ „რაც შეშვენის გლაწა ბერსა, ის არ შვენის ცახაბერსაო“, ამაყად ამბობს ჩვენი რაჭის ერისთავი. ესეა, რითიც იხიბლება მგოსანი, იმან მთლად არ უნდა დააბრმავოს სახელმწიფოს მომჭირნე ხელისუფალი. თამარის აზრი, მისი სიბრძნე, განგებიანობა, ავკარგი და მართვა ქვეყნისა, ჩვენის დიდებულთა და ერის რჩეულთა თანადგომით და ერთნებაობით უნდა წვპრმართვიდეს ქვეყანას, ხოლო ჩვენი სიმტკიცე და ჩვენი პირველობა, მედროშეობა მთელს აღმოსავლეთში უნდა შექმნას გმირმა ვაჟმა, ღირსეულმა მეუღლემ თამარისამ, სასახელო მეფემ ჩვენმა!

უკვე გამოვიდნენ სასახლის მთავარ შესავალთან.

კარიბჭეზე მდგარმა აბჯროსან ქეშიკებმა შიშველი ხმლებ დაშვებით სალამი უძღვნეს მსახურთ-უხუცესსა და ვარდანმაც შესწყვიტა საუბარი.

გოდერძი კი ფიქრობდა:

„ეს ერთი კაცია, მგონი, თამარს ღირსეულად ვერ აფასებს. რა შემცდარია! მაგას ქალი არად წაჰკვირს, მხოლოდ

სატრფიალო სავნად მიაჩნია და, თუ უფრო დავამძიმებთ მაგს აზრსა, დედად, შვილის აღმზრდელად დასტურს დასცემს იყოს დიაცი... აჭ-კი, მოხერხებულ საუბარში შევატყვე, არ გამოსთქვა, მაგრამ ბევრად მდარე აზრის არის თამარზე, ვიდრე ეს ემჩნევა... მისი სიბრძნეც ახსენა, გამგებიანობაც, მაგრამ... როგორ ინატრა: ნეტა, ვაჟი დარჩენოდა გიორგისაო! — მეფე გმირი უნდა იყოსო... რა ფართო აზრები აქვს!.. შენაცვლება ბიზანტიისაო... საით მიილტვის მაგისი ამაყი, ქედმაღლური ზრახვები?.. ოო, რომ შეიძლებოდეს... თვითონ გახდეს მეფე!.. ა? აი, მისი საპირადო!"

თითქო, თავის თავი დაიჭირა გოდერძიმ: ეს აქამდე რად არ მიფიქრიაო!

„დიალ... ვსე ბჭობს დადიანი თავისთვის, მაგრამ ჭკვიანია და ფრთებს აკვეცს მის გალაღებულ ოცნებას... ეს დიდი დირსებაა! ეს მამულიშვილობაა... აქ არის მაღალი ვარდანი... ეხლა მხოლოდ გმირს დაეძებს, მისი სანატრიონის გამოსახულება... მაგრამ რა შემცდარია! თამარი სულ სხვა ვინმეა, ჯერ არ ვისგან შეცნობილი!.. მას არ სჭირდება პატრონი, არც გმირი ვინმე... იგი თვით არის თავით თვისით... ის დიდი მწვერვალია!.."

კვლავ გაუელვა ფრაზამ.

სულ გამრვიდნენ საჭახლეს ეზოში.

ფართო გალავანში ხალხი ირეოდა. უშველებელი თაიგული იყო მრძრავ ნაკვთებისა: შვინდის ფერი, ოქროს ფერი, შავი და სისვი, ალის ფერი და თეთრი ფერი ერთი მეორეს შეთხზოდა და ხან ერთად იკუმშებოდა მიჯრილ ხაზებად, ხან იშლებოდა გრძელ, უცხო-სახიან, აჭრელებულ ზოლებად.

ერთ ალაგას ტკბილი ღიღინი მოისმოდა, მეორეგან ფერხული დაებათ სოფლელ ვაჟკაცებსა, ერთგან, ცხენს შემხდარნი რაინდები ჩქერდით აძგერებდნენ თავიანთ ტაიჭებს და ამით ლაღობდნენ, მეორე ალაგას უფრო დარბაისლები ცხენებზე სხდებოდნენ და შინისკენ მიემგზავრებოდნენ, თავიანთი შინაყმებითა.

ყველა ესენი ნადიმიდან დაბრუნებული სტუმრები იყვნენ.

ჭალების მომხიბვლელი კისკისი და ვაჟთა გულიანი ხარ-

ხარი, უზანგების წკრიალი, მათრახის ტკრციალი და აფრა-ალებული ლეჩაქები ასრულებდა მთლიან სურათს.

ერთგან-კი უფრო დიდი წრე იყო შექმნილი: დარახტული ცხენები, მშვილდივით ქედ-მოდრეკილნი, ნესტოებ-დაბერილნი ჯილავებით ეკავათ შინაყმებს.

აქ იდგა ჭარმაგი აბულ-ასანი, მისი უცხო შვენების ცოლი უტანდარი, რუსის უფლისწული იური-გიორგი, კუზმა, შარაგანი, გუზანი, მისი ვაჟი და კიდევ რამდენიმე სხვა დიდებული.

აბულ-ასანის მეუღლეს მშვენიერი შავი მერანი მოჰგვარეს.

დიდებულთა ახალგაზრდობა დაფაცურდა.

ერთმა შინაყმამ, ცალ-მუხლზე დაჩოქილმა, მეორე მუხლი მიაგება ქალბატონს, რომ ცხენზე შეესვა. ქალიც წამოვიდა, მაგრამ, ამ დროს, ადგილიდან ისხლიტა იური-გიორგიმ და შინაყმის მაგიერობა თვით გასწია. ნაქნარ წელზე ფართე ხელი მტკიცედ ბოძად შეუდგა. ამ ხელში სრულიად ჩაიმალა ქალის წელი. ქალმა იური-გიორგის მხარზე ხელი დაადო და დახამხამების უმალ უნაგირს მოექცა. იური წამოდგა და, თითქო უზანგს უსწორებსო, ფეხზე ხელი ნაზად მოუჭირა.

ქალმა ზევიდან, თითქოს მადლობის ნიშნად, თავი დახარა და ღაწვები წითლად აუკოკრდა. ეს რომ არავის შეემჩნია. თავი ისევ მაღლა გადაიგდო, უნაგირზე გასწორდა, თან ლაგამი მოიმარჯვა.

ამავე დროს შინაყმები აბულ-ასანს ცხენზე სვამდნენ.

ვარდანმა ამოუსწრო. აბულ-ასანი შეაჩერა.

— მწუხრის ჟამსა ჩემთან უნდა მობრძანდეთ, — უთხრა მან.

— სათათბიროდ, არა? — შეეკითხა აბულ-ასანი.

— დიაღ. სხვა დიდებულნიც იქნებიან. თვით კათალიკოსი და... ვამცნე რუსუდან დედოფალსაც.

— დიაღ; მშვენივრად მოქცეულხარ, დადიანო... სარწმუნო იყავ, გეახლები.

ცხენი მიაბრუნა აბულ-ასანმა.

მის მეუღლეს გვერდით კუზმა რუსი და სეფე-წული იური-გიორგი უდგნენ, უკვე ცხენებზე შემსხდარნი.

აბულ-ასანმა წკიპურტი ჰკრა თავის გრძელ, გათეთრებულ ულვაშებს, თითქო ტუჩებზე ჩამობარდნიაო და გაისწორა, შემდეგ ლაგამს უფრო მარჯვედ წაავლო ხელი და დასძრა ცხენი.

თამარის სხვა სტუმრებიც გზას გაუდგნენ.

ცარდანი გამობრუნდა და განზე მდგომ, სეირის მაცქერალ, გოდერძის დაუძახა:

— არ დაგავიწყდეს, ამაღამ უკანასკნელი თათბირია ჩემსა... უნდა გადავწყვიტოთ თამარის ჯვრის წერა. შენც საჭირო ხარ ფრიად, მოხვალ!

შეუვალად დაუდასტურა თვითვე.

გოდერძიმ, მიახლოვებულმა, მორჩილებით თავი დახარა.

ით

თანდათან ცალიერდებოდა სასახლის ეზო.

გოდერძიც გაუდგა გზას თავის სამყოფელოსაკენ.

გზაში ფიქრობდა:

„როგორ ისწრაფიან! აწვევენ თამარს ქორწინებასა! არ მომწონს ესე ამბები! განუკითხავი და განუსჯელნი არიან ჩვენი დიდებულნი... სპილოთაებრ არა განიხილვიან მისაკრძნობელსა. ესე ოდენსა მძიმესა საქმეს მსუბუქად შეეხებიან... რასა იტყვის, ნეტა, თამარ?“

ისევ სასახლის მთავარ შესავალს გაუსწორდა, უნდოდა მიეხვია, რომ თავის ბინისაკენ წასულიყო.

მისი ბინაც, როგორც მეფის მდივნისა, სასახლის ეზოში ერთ-ერთ სამსახურებელოში იყო მოთავსებული.

წარსდგა ნაბიჯი კიდეც.

მხარზე მძიმე ხელი იგრძნო.

ზე აიხედა: რატი სურამელი იყო.

— ო, დიდო ერისთავო!..

ზრდილობით შეიკვირვა მან.

— ვითარ გიკითხო, გოდერძ?.. საით შენი გზა?

— ჩემსა სენაკსა გეახლები.

— გოდერძ!.. შენ ვითარ განსჯი ჩვენს საქმეს?

— რა საქმესა ბრძანებ, ერისთავო?

რატომ შეამჩნია, რომ გოდერძი გაწბება თავს იყრუებდა, მაგრამ ამაზე არა უთხრა-რა. თავისი განაგრძო:

— თამარს ვახლდი ეხლა. ნადიმის შემდეგ დასტური გამოვთხოვე ნახვისა. პირდაპირ ვკადრე: რუსის უფლისწული უნდა შეიუღლო-მეთქი, დავუსაბუთე ჩემი მოსაზრება.

— რა გიბრძანა?

სმენად იქცა გოდერძი.

— სათნოდ გამიღიმა, შარავანდედმოსილმა... ვერ ვიცნობ ამ უფლისწულსო, ბრძანა. მოათიოს ხანი, ჟამი, გაიცანით და შემდეგ, მე თქვენს სურვილს არსაით წაუვალო.

გოდერძი უნებლივ სიხარულმა მოიცვა, თითქო გაუხარდა, რომ თამარი არ ჩქარობდა და თითქო ისიც ისე აზროკნობდა, როგორც თვითონ, მხოლოდ ეს წარმოსთქვა:

— ბრძენია მეფე ჩვენი!

— ეგ უეჭვოა, ჩემო გოდერძ!.. აჩქარებითა სოფელი...

ალარ დაათავა რატიმ. პირდაპირ გადავიდა სათქმელზე.

— ეს მართალია, მაგრამ... აქ სამეფო საქმეა, განსჯა დიდი უნდა, მხოლოდ არც დაყოვნება გვმართებს. ტახტს მეკვიდრე უნდა, გოდერძ, ერს კიდევ ვაჟი, — წინამძღოლი... ლაშქრობასა ზედ... მეფე სარდალი!.. თორემ ჩვენ ვერ ვიგუებთ მართ ოდენ ამირ-სპასალარი გვიძღოდეს... ჩვენი ტოლი და სწორი, ჩვენებური ერისთავი, და ვაჟი-მეფე კი არა მართვიდეს ლაშქრის წესრიგსა!

— მაინც ჩქარობთ, დიდებულნო!.. მთხოვნელნი ბევრნი არიან. უცხონიც და შინაურნიც... აი, ოვსთ-თავადნიც...

რატის სახე მოეღუშა.

გოდერძიმ შეამჩნია, მაგრამ მაინც არ დაერიდა:

— რად არ გინდათ ღირსეული ვინმე აქვე, ჩვენ შორის, გამოსძებნოთ თამარის საქმროდ?.. აი, აი, თუნდა ამ ოვსთ-თავადებში.

გააბსენდა ვარდანის სიტყვა გოდერძის: ოვსთ-თავადთა შორის დავით სოსლანი უფრო თვალსაჩინოაო. მისი გულიც უმოწმებდა ამას, რადგან გიორგი, ოსთა ბატონიშვილი, სამეფო კაცად თვითაც ვერ წარმოედგინა.

და სთქვა:

— დავით სოსლანი... ვისგან დაიწუნების?! პირად კარგი, ზრდილი და გონებიანი, რიტორი და უებრო მეომარი... იცის

ჩვენი ქვეყანა... ჩვენებურად არის აღზრდილი, თვით რუს დანისაგან. თამარსა და დავითს ერთადა ზრდიდა...

— ვითარ გადმომცეს არა დავითი, არამედ ოვსთ-თავ გიორგი არს მსურველი ესე ვითარისა...

გააბრტყელა რატიმ. გოდერძიმ სწრაფად შეაგება:

— მსურველნი ბევრნი არიან, მაგრამ ჩვენ ვირჩევთ არა ისინი... ჩვენც დავით ვირჩიოთ.

შეფიქრდა რატი. ცოტა შეგვიანებით მტკიცედ წარმოსთ ვა:

— არ ეგების! ვერ ხელმწიფების დავითსაც!

— რატომ? რისთვის? — ჯავრობდა გოდერძი.

ეგეც შინაურია... ეგეც თავისიანების გაბატონებას მო დომებს, ოვსებს დაგვასხამს თავზე... ჩვენ ამას ვერ ვიგუე და მოხდება ღრევა სახელმწიფოსი...

— თავადი ვარდანიც ეგრე მსჯელობს...

თითქო საყვედურით წარმოსთქვა გოდერძიმ.

— ვარდან დადიანი?

შეიკვირვა რატიმ. უსიამოვნო აზრმა გაუელვა. არ და ლა:

— ვარდანი, შეიძლება, სხვებრ უდგებოდეს საკითხს, რ მელსაც ალაგობრივ, ჩვენს შორის არავინა ჰყავს მონათეს და მოძმე. მეფე ყველასია და არავისი. ამისთვის უცხ საჭირო.

— უცხო! უცხო!..

ეტყობოდა ბოღმა მოაწვა გოდერძის.

— ჩვენი უბედურებაც ესაა, სულ ყველაფერი უცხო მი ვწონს... მუდამ უცხოეთისაკენ ვიმზირებით, მაგრამ გ ბევრი ყოფილა თქვენგანი უცხოეთში?.. მე შემომივლია უცხოეთი: ვყოფილვარ ბაღდადს, მივლია მისრეთში, მი ხავს განთქმული ბიზანტია, გადავსულვარ ვლახეთს, შომ ლია სკვითთა ქვეყნები. მინახავს რომი, ინდოეთი და ჩი თი... მე მკითხეთ ამბები... რამდენი მიამბნია კიდეც... (დებულია ეს ქვეყნები, მაგრამ, ჩვენ მაინც თავისებური ბ რი სიკეთე გვახლავს, ამათ უნდა გამოყენება... იმ უცხო ბევრი სივაგლახე, გამოუსადეგი, ჩვენი სულის შეუფერე ლია, ნუ წარგიზიდავთ ისე უცხო, როგორც თავისი.

რატის უკვირდა — ესე რად აღელდა გოდერძი? ვერ

უგო. მისმა შეუთამაშებელმა გონებამ გოდერძის ესეთი გაჭანება მაინც დააწვრილმანა და ეს გაიფიქრა: გოდერძი მისთვის ჯავრობს, დავით სოსლანი უნდა ჩვენს მეფედ, მისი მოიხრეაო. არ იცოდა, რა ეთქვა, მაგრამ ისევ გოდერძიმ იხსნა. გოდერძი თვით დაუბრუნდა საკამათო საგანს:

— მერე კიდევ, ესე განუსჯელად უცხოს მოწონება, ვით თვითონ თამარს უბრძანებია...

რატის სახე გაიშალა, მიაგნო, რაც უნდა ეპასუხნა:

— უცხოს რომ ამბობ, პირველ-ყამად თვით ბაგრატიონებიც უცხო თესლიანი არ რყვნენ?.. ბერაელნი ვართო, თვით არა ბრძანებენ? იესიან — დავითიან — სოლომონიან — პანკრატოვანნი... თვით არ იტყვიან სიგელ-გუჯრებში?!

— ეგენი ჭანები არიან... ქართველთა მოდგომის ბაგრატიონები.

შეუშალა აზრთა გვრიობა გოდერძიმ, მაგრამ რატი მაინც თავისას განაგრძობდა:

— ან რომელი მეფეები იყვნენ წმინდა ქართული სისხლისა?..

გახსენებაზე თანდათან გამოცოცხლდა რატი.

— ნებროთიანები, სასუნიდები, არშაკუნები ანუ არსაკიდები, მაგრამ მაგითი რა დაუშავდა საქართველოს?

ამ კითხვაზე შეჩერდა რატი და შეაცქერდა გოდერძის, თვალები ცბიერად უმეტყველებდა: ეხლა რაღას ბრძანებ, დიდო პიიტიკოსო, ხომ კედელზე მიგამწყვდიეო.

გოდერძიმ უკმაყოფილოდ თითქო წაიბრდღვინა:

— ვინ იცის, შეიძლება ბევრიც დაუშავდა... და ეგ არაა კიდეც ჩვენი უბედურება. ყოველთვის ჩვენსას უცხო გვიჩევნია. ეს ჩვენმა სამასი წლის არაბთა ხელში ყოფნამ შემოგვძლვნა, ეს მონური აზროვნება.

რატი შეწითლდა, გოდგრძიმ არ დაიმჩნია.

— ჩვენა გვგონია, რაც უცხოა — უთუოდ კარგია. მაგრამ თვით უცხოეთში უნდა მიხვიდეთ, რომ ნათლად იგრძნოთ ეს საუცხოობა. ჰმ! საუცხოო! ეს სიტყვა უნდა ამოვარდეს ძირიანფესვიანად ჩვენის ენიდგან, ჩვენის გონებიდან, ჩვენი შეგნების საძრაობიდან... ეგა გვღუპავს ჩვენ... გვიხშობს თავის რწმენას, მაგრამ რად ვერ მოხდა?! არაბთაგან განთავისუფლების შემდეგ, დიდი დავითის, ჩვენი ქვეყნის აღმაშენებ-

ლის, მოლმა მაინც, რით ვერ განვიმტკიცეთ რწმენა თავის თავისადმი?! ერთი საუკუნე ჯერ არ გასულა და იმიტომ თუ ვერ დაგვიღწევია თავი...

მოსაუბრეებმა მხოლოდ ეხლა შეამჩნიეს, რომ მზეში გაჩერებულიყვნენ და მოშორებით ჩრდილში შინაყმებს ჰყადათ რატის ტაიჭი.

რატი გამოესალმა გოდერძის, მაგრამ ეტყობოდა უკმაყოფილო იყო.

— საღამო ჟამს შევიყრებით ვარდანთან სათათბიროდ.

მაინც მიაყოლა გოდერძიმ მიმავალ რატის.

— მეც მოშიწოდა დიდებულმა.

რატიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და უნაგირის უზანგში მარცხენა ფეხი შესდგა.

გოდერძი ისევ გაბრუნდა თავის ბინისკენ.

ცუდ გუნებაზე დადგა.

ორი დიდებულის შეხვედრამ გულს რეჩხი უყო.

ფიქრობდა:

„სხვადასხვანი არიან... სულ სხვადასხვაა გზები ვარდანისა და რატისა. მაგრამ ამ საკითხში რუს უფლისწულთან კი იყრებიანო... ცუდი იქნება დღევანდელი თათბირი: ორს მოწინააღმდეგე, მაგრამ მძლავრს დიდებულს ერთი და იგივე სურს... სხვა ძალა არა სჩანს... უსათუოდ შეთანხმდებიან... ო, რას ჩადიან განუკითხველნი!.. სამშობლოვ ჭირ-ნახულო!.. ძლივს გამოკეთდა შენი საქმე, ძლივს ფეხზე დადექ... ხალხი აღორძინებული, წელგამაგრებული... შეფე ბრძენი და მიუწვდომელი... ორივენი კვლავ უნდათ განსაცდელში ჩააგდონ...!“

ცუდი გემო იგრძნო პირში.

თითქო გული აუფრიალდა, ბოლო ხანებში ხშირად უჩიოდა გულს... მაინც ნაბიჯს უკლო, ჩქარა მოვდიოდიო, გაიფიქრა და უფრო ნელიად შესდგა ფეხი მისი სამყოფელოს კიბეზე.

„ჰმ... სპილოები!..“

კიდევ ერთხელ განუმეორა ფიქრმა.

ზანქანი გასარეცხულია

ავანაანთ უბანში ზანქან ზორაბაბელის მომცრო, არაბულს ყაიდაზე აგებული, მტკიცე ქვითკირის შენობა გაჩირაღდანებული იყო.

გაფიხული ძონძები და ხმელი წნელები ერთი-მეორეზე ხის ქერქით გადაბმული ტკრციალებდნენ ბჭის კარებთან სპილენძის ზედადგარზე.

მარმარილოს კიბის კედლებზე ორივ მხრით სპილენძისავე მარწუხებს ნაძვის ანთებული მკვარი ეჭირათ და ისინი ირგვლივ ფენდნენ ტყის ნაზ სურნელებას და ალალ-მართალ სინათლესა.

ამ სინათლეში გამოჩნდა ბრგე მოყვანილობა კუზმა-რუსისა და მოქნილი ტანი ზანქან ზორაბაბელისა.

ისინი ლაპარაკით ადიოდნენ კიბეზე.

ორივენი გახარებული იყვნენ.

კუზმას სახე გაშლილი ჰქონდა. ყოველივე ჩრდილი სევდისა მუნ წარშლილი იყო.

ზანქანს კი ატიმციმებულ თვალებთან კმაყოფილების ნაოჭები შემოჰკრეფოდა და ერთობ გაებედნიერებინა ცხოვრების დარჯაის მიერ საერთოდ გათქერილი შესახედაობა.

— გაიხარეთ, გაიხარეთ, სტუმარნო და მასპინძელნო!

შესძახა მან, შესდგა თუ არა ფეხი ოდნავ მოზრდილ დარბაზში.

აქ კარგა ბლომა საზოგადოება იყო თავმოყრილი.

მამაკაცის ქართული კაბები; არაბული თეთრი ხალათი და დოლბანდი; ბიზანტიური დალმატიკა; ებრაული, თავით ბოლომდე შებნეული, ანაფორასავით ტანსაცმელი, თავისი განუყრელი სკლატითა და ბეწვ-შემოვლებული, მრგვალი ქუდით; სპარსული ქლამიდა, აბა, ჭოშები და ხმალი; სამოგვით შემოსილი ფეხები და რომიდგან ჩამოსული პაპის ნუნციის სამოსით მორთული ნაქვთი.

ყველა ეს უცხო შთაბეჭდილებასა ჰქმნიდა მათი შეკავებულ ცარესათვის.

ეტყობა, ზანქანს და კუზმას უცდიდნენ. მათ შემოსვლაზე ყველანი წამოიშალნენ და ცნობისმოყვარეობით გარს შემოერტყნენ.

ესენი ყველა ზანქანის სტუმრები იყვნენ. უფრო მეტად უცხოელი სოვდაგრები სხვადასხვა მხრიდან, სხვადასხვა საქმეებით თუ სხვა მიზნით ჩამოსულები, რომ საქართველოსთან უფრო მკვიდრი კავშირი გაებათ.

აქვე იყვნენ საქართველოს ქვეშევრდომი სომხითარნი, ყივჩაყნი, ზოგიერთი ტფილისელი მოქალაქეც. ამჟრის უფროსებიც და ორიოდე სოფლიდან ჩამოსული ქართველი თავადი, რომელთაც ზანქანთან სესხისა და ვალის დამოკიდებულება ჰქონდათ.

ყველა ეს სხვადასხვაობა დარბაზში შემოკრებილთა, ზანქანის და კუზმას გარშემო უეცრად ახმაურდა და ერთი კაცივით იკითხავდა ერთს საკითხავს:

— გადაწყდა?

— გადაწყდა, გადაწყდა და სწორედ ისე, როგორც მოველოდით... მაგრამ დასხედით, საპატიო სტუმრებო! ყოველივეს დალაგებით მოგითხრობთ... მხოლოდ სად არის უფლისწული?

ჩქარობდა ზანქანი.

სტუმრები აირივნენ. ზოგი ჯდებოდა, ზოგი მაინც უკმაყოფილოდ იდგა, რადგან გადაჭრით მაინც არ იცოდა, თუ როგორ რა გადაწყდა, თუმცა მასპინძლის მიერ უფლისწულის მოკითხვა უკვე მათთვის ბევრსა ნიშნავდა.

რომელიღაც შინაური გაჰქანდა შინა ოთახებისაკენ.

კუზმაც გაჰყვა მას.

ზანქანმა ალარ შეაჩერა:

— დეე, თვითონ მაგან ახაროს მის გაზრდილს სასიხარულო ამბავი.

სტუმრებს კვლავ იერიში მოჰქონდათ.

— აბა, გვიამბე, ზანქან, როგორც იყო... ყოველივე დაწვრილებით, — ზანქანი ქართულად ლაპარაკობდა. ეტყობოდა სტუმრების უმრავლესობას ესმოდა ქართული.

მხოლოდ პაპის ნუნცი და ერთი ინდოელი იყვნენ შეცბუ-

წვებულნი, თუმცა მათ სახეს ეტყობოდა, რომ უმთავრესი იმათთვისაც საცნაურ ქმნილ იყო.

ზანქანი უამბობდა.

— დიდი კრება იყო ძალიან. უწარჩინებულესნი არავინ არ აკლდა. ამ საქმისათვის ცხუმის ერისთავიც ჩამოსულა, დოთაღოს შარვაშის-ძე და თვით მხცოვანი კახაბერიც, განთქმული რაჭის ერისთავი, მამობილი ჩვენი მეფისა, ამ კახაბერმა დიდად გაგვიჭირა საქმე. დიდ უარზე იდგა: „დიდებულნო, რას ჩადიხართ, ვის გაუგია ესე საქმის შეუტყობლად თანხმობის გამოცხადებაო, რომ არ ვიცნობთ მის არც ზნეს, არც ჩვეულებას და ხასიათს, არც სამხედრო უნარსა და სიქველეს. კარგად რომ არც კი ვიცით, ვინ არის... მართლა რუსთა ბატონიშვილია? არ არის? ვით ეგებინ საქმისა ქმნადო“... დიდად ცხარობდა მხცოვანი დარბაისელი, მაგრამ აბულასანძა და ვარდან დადიანმა მაინც თავისი გაიტანეს...

— შენ ეს ბრძანე, ზანქან!

შეაწყვეტინეს სტუმრებმა:

— ნამდვილად გაბაწყდა თუ არა?

— მეფის თანხმობა არის თუ არა?

— რომ არ დამაცლით... რასაკვირველია, არის თანხმობა მეფისა. გვირგვინოსანმა რუსუდანმა განაცხადა, რომ თამარის პასუხს მალე ჭიაბერი გვამცნობსო და მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, და ჭიაბერიც მოვიდა და შემდეგი გამოგვიცხადა: „თამარი ბრძანებს — თანახმა ვარ, ოღრ ვეურჩები მოთათბირეთა სურვილს და ნებას გაძლევთ გამოცხადდეს ჩემი დაწინდვა რუსის უფლისწულთან მცხეთას, სვეტიცხოვლის ტაძარშიო. ნაბრძანები მაქვს ეს საზეიმო ამბავი ვამცნო შვიდსავე სამთავროს და ამირ-ჩქარს ბრძანება მივცე, დაუყოვნებლივ დაგზავნოს შათირნი და მალიად მსრბოლნიო“.

მთელი დარბაზი ახრიალდა.

ზანქანს აღარ აცალეს.

ზოგი გახარებული იყო. ზოგი ერთი-მეორის კერძოდ თავის მოსაზრებას უზიარებდა. ზოგი უკმაყოფილო მაინც ამას განაცხადებდა:

— ეს ხომ დაწინდვაა მარტო!

— ქორწილი როდის-ღა იქნება!

— ეგ ვერაფერია...

— ეგ კიდევ უფლისწულის გამარჯვებას არ მოასწავებს. მაგრამ ამ ხრიალში ზანქანმა აუმაღლაურა:

— მომისმინეთ კიდევ: დაწინდვა ეხლა არის გამოცხადებული, ხოლო ჯვრის-წერა, ერთი წლის შემდეგ...

— ერთი წლის შემდეგ?

— ეგ რაღა არის?

— მაშ, მეფე საქართველოს ჯერ კიდევ არ ეყოლება...

კვლავ ახრიალდნენ უკმაყოფილონი.

მაგრამ ეს ხმაური სტუმრებში მყოფი დარბაისელის, ზვიად სავარსამიძის ბოხმა ხმამ ჯებირივით შეაჩერა:

— მაგას ნუ იტყვით, მოყმენო, რომ მეფე არა გვყავს... ეს სათაკილო აზრი დიდი ხანია ქართველებმა თავიდან განვიშორეთ. თუმცა ქალი დავსვით ხელმწიფედ, ვიცით რა ზნენი მამაცურნი გამოიჩინა სამგზის სანატრელმა მზეთამზე თამარმა! ჩვენ ეხლა მხოლოდ მის ქმარს ვეძიებთ, ღირსსა მეუღლეს. ტახტის მემკვიდრის მაშას, თორემ მეფედ?.. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ გვყავს ღვთის სწორი თამარ...

ამ შეუვალმა განცხადებამ თითქო ლაგამი მოსწია დარბაზში შეკრებილთ.

ზოგმა ბოდიშიც მოიხადა.

მხოლოდ ერთი დოლბანდიანი წამოდგა წინ და მშვენიერის ქართულით განაცხადა:

— მე არ ვამბობ, თუ საქართველოს მეფე არა ჰყავს... ვეჭვობ მხოლოდ — ერთი წლის შემდეგ მოხდეს ქორწინება... ბევრი ვიცით მისი მაგალითები: საქართველოში ჩამოსულან უფლისწულები, ღირსნი და ულირსონი თამარის ხელის საძიებლად, დაუყვიათ აქ ერთი წელიწადიც, მაგრამ შემდეგ გაწბილებულნი უკუ-ქცეულან...

კვლავ ხორხოზი, ღრიანცელი:

— მართალია! მართალი!

— ბევრს მოუვიდა აგრე!

— მაგას არ მოუვა.

— როგორ? შენ რა იცი?

— ყოვლად ღირსეული ჰაბუკია!..

— სამეფო კაცია!..

— შენ არ გინახავს?

— არა, აბა საიდგან?

— ამაღამ ნახავ; დარწმუნდები.

ამასობაში საგარსამიძე ერთ ქართველ დიდებულთაგანს ეკითხებოდა დოლბანდიანზე:

— ვინ უნდა იყოს?

— ვიცი. შარვანელია, ალსართანის კარის კაცი.

— ჰოო, ალსართანი!.. ეგეც ხომ, ამბობენ, თამარის ტრფიალიაო.

— მაშ, მაგ მოყმეს არ იამება რუსის უფლისწულის გამარჯვება.

ზანქანი-კი ვიღაცას ცხარედ უმტკიცებდა:

— რა არის ერთი წელიწადი... მერმე კიდევ დაწინდვით აქამდე აბა ვინ დაწინდულა თამარ-მეფეზე? ეს კი დიდი რამის მომასწავებელიაა... ეს თითქმის ქორწინებაა... ეს ალიარებაა რუსის უფლისწულის შეუღლებისა... რას ამბობთ, რას!.. კარგა განსჭვრიტეთ და ისე მოიაზრეთ.

კარები გაიღო.

შინა ოთახიდან მომღიმარი, ბედნიერი იური-გიორგი შემოვიდა.

შეჯგუფული სტუმრები შუაზე გაიყვნენ.

ნაცნობებმა დაბლა თავი დახარეს დიდი თამარის მეუღლედ გამოცხადებულ უფლისწულის წინაშე.

— უცნობებმა მათ მაგალითს მიჰბაძეს: მიხვდნენ ვინ იდგა მათ წინაშე და, თუ ვინმე უკმაყოფილო იყო, მანაც ზრდილობის ნიღბად გადაიმტკიცა პირის კანი.

განკრძალული მდგომარეობა შეიქმნა.

მხოლოდ ზანქანმა მასპინძლურის სითამამით იური-გიორგისკენ ნაბიჯი წინ წარსდგა, დარბაზის შორეულ კუთხეში მდგომ მის მსახურთ რაღაც ანიშნა და მხიარულის სახით უფლისწულს კალთაზე ეამბორა.

იური-გიორგიმ ზანქანი ზეწამოაყენა და მონგოლური ჩვეულებით სამჯერ მხარშეცვლით პირზე აკოცა.

წელში გამართული ზანქანი ყივჩაყურ ენაზე, ეტყობოდა, გაბედნიერებას ულოცავდა.

სწორედ ამ დროს დიდ ხონჩაზე მდებარე ოქროჭედილი და მარგალიტით ნაქედი ქართული ჯუბა-წამოსი მოართვეს ზანქანის მსახურთ უფლისწულსა.

ზანქანმა მიუთითა — მე მოგართვიო და მისალოცად კუზმასთან გადავიდა.

მხიარულ კუზმას გულში ეცინებოდა:

„დიდი ჯახრაკი კაცია ზანქან. საჩუქარს აღარ ზოგავს.., იცის, რომ ერთი ორად აიღებს. ჰმ... მისი ვალიც გაინალდა...“

რალაც სახუმარო აღდგა ენის წვერზე ზანქანისათვის, მაგრამ თავი შეიმაგრა და არა უთხრა-რა.

ისე გადაჰკოცნეს ერთმანეთი.

ამის შემდეგ გახარებულმა მასპინძელმა უფლისწული და სხვა სტუმრები სუფრაზე მიიწვია.

მთელი ღამე მის სახლში ლხინის ხმა არ შეწყვეტილა.

თავი მეცხრე

ინდიკტიონი დაწინდვისა

ა

მეორე ღღეს სასახლის კარზე კვლავ დარბაზობა იყო დანიშნული.

როდესაც ყველანი თავ-თავის მიჩენილ ალაგას დასხდნენ და ჩამორიგდნენ, სიჩუმე ჩამოვარდა.

მოლოდინის წუთი გამეფდა.

ეგონათ: ჩვეულებისამებრ გაიელვებს ოქროს კარი და თამარ-პირიმზე შემობრძანდებაო. კარები არ იღებოდა.

დამსწრეთ თვალი მიმოავლეს და შენიშნეს, რომ დარბაზში არც იური-გიორგი იყო მოსული.

მხოლოდ კუზმა იდგა თვალსაჩინო ალაგას კვლავ ჯავშანმოსილი და ისეთი სახით, ვით შეჰფერის ჭირგადახდილს, გამარჯვებულს, უებრო მეომარსა.

ჭიაბერმა არგანს ზეასწია და თვალნი რუსუდან დედოფალს მიაპყრო.

მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი და რაჭის ერისთავი მხცოვანი კახაბერი დარბაისლურის ნაბიჯით რუსუდანს მა-

უახლოვდნენ, დაბლა თავი დაუკრეს, შემდეგ იქით-აქით გვერდში ამოუდგნენ და სამეფო დალიჭამდე მიაცილეს.

რუსუდან-გვირგვინოსანი თამარის ბედნიერ ტახტსა ალვიდა.

ჩქამი... მწერის ფრთის შეცრთომა კი, უდიდესი გახმაურება იქნებოდა ამ დროს.

სისვი ფერის დალმატიკაში გამოწყობილი, ნაცრისფერ ლეჩაქ გადაფრიალებული, თავზე ოქროს დაბალი თაჯით და სამხრეებსა და ოლარის კიდურებზე ძოწეულით შემძივული ხანდაზმული, მწყაზარი, მაგრამ პირქუში გამომეტყველება რუსუდანისა სანუგეშოს არას ამბობდა თითქო.

თუ ერთის მხრით მისი სამოსელის ფერი სიმძლავრის და მორჩმულობის გამოსახულება იყო, მეორეს მხრივ თვალი პატიოსანი ძოწეულისა, მურდახილად მოვლებული, ამ ძლევამოსილებას ასისხლიანებდა, ხოლო მთელი ალნაგობა, ნაცრისფერი ლეჩაქით შენისლული, მგლოვიარების ნიშანს იძლეოდა.

რუსუდანი ძველი საეკლესიო კილოთი თითქო გაზეპირებულ ლოცვას ამბობდა:

— ერთ-ნებაობითა და თანადგომით ყველა დიდებულთა ჟამსა მას დადგენილ იყვეს, რათა გვემოლვაწა შემოყვანებად სიძისა თამარისათვის და ვდრტვინავდით უშვილოებასა მეფისა ჩვენისა, გონებავრცელისა და გულმეცნიერისა თამარისა, ვიხსენიებდით უნაყოფოებასა მისსა და შევაიწრებდით მას, ვინ შვენის ქმრად და მეუღლეთ, თუმცა გამოჩენილ იყვნეს, გმირი ანუ გოლიათი, ანუ სახენი ამა გმირთანი, ანუ მიჯნურნი, ლომნი და მზენი, ვითარ თაჰმთა თანიმანისათვის, ვითარ ამირან ხვარაშანისათვის, ვითარ ხვასრო შანშიბუნისათვის, ვითარ მზეჭაბუკ მზისათვის ხაზართასა...

ამ ჩამოთვლაზე თითქო სიმძიმე რამ ჩამოაწვაო დარბაზში მყოფთ.

ეს კარგა შეამჩნია ფეხზე მდგომ დიდებულებში გარეულ გოდერძი ჩორჩანელმა და გვერდით მყოფ მის ახალგაზრდა მეგობარს, უკვე თვალსაჩინო მოშაირეს და სიბრძნის დარგში ფეხშედგმულს ჩახრუხაისძე უმრწემესს ნაღვლიანი ღიმილით, ძლივ გასაგონად მიმართა:

— გრძნობ, გულის საყვარელო, დედოფალი როგორ მძი-

მე გურზებს გვიშენს?! რა შედარებანი მოჰყავს... საიდან გაახსენდა...

— მესმის, — შეუბრუნა ნელიად ჩახრუხაისძემ.

— რა გვყავს და რასა ვკარგავთო... არა?

ჭიაბერის მახვილმა ყურმა იგრძნო მონადენი სიო ნალაპარაკევისა და გამჭრიახი თვალები ელვის სისწრაფით შემოევლო დარბაზს.

შენიშნა მოსაუბრენი და...

დასატუქსათ განმზადილი თვალნი სიყვარულით აღივსნენ, თითქო ამბობდნენ — არაფერია, თქვენ მოგეტევებათ, უზრდელს არას იტყვით და გადამეტებით წესს არ დაარღვევთო.

მოსაუბრეთაც შეამჩნიეს ჭიაბერის გაფრთხილება და პირი დაიდუმეს.

რუსუდანი-კი განაგრძობდა:

— ვითარ რამინ ვისისათვის, ვათარ შერელომი ოსანასათვის, ვითარ შატბერ ანალითისათვის...

შორეულ კუთხეში კარგა ამაღლაურდა ერთი ჯგუფის ხმა.

ყველამ იქით მიიხედა.

ჰაერში აერჭოლდა სკარამანგის პაწია ვერცხლის ეჟვნები.

ჯგუფი მყის ჩაჩუმდა.

კუზმას სახე თანდათან ელრუბლებოდა.

გულში უკვირდა:

„არ ჰგავს პირველ დარბაზობას და თამარის სეფე-სიტყვას. მაშინ როგორ ისმენდნენ, როგორის განკრძალვით იდვნენ. არა! დღესაც, დაწყების დროს საარაკო სიჩუმე იყო, წესიერება არც ეხლა დარღვეულა იმდენად, მაგრამ ჰაერში ვგრძნობ ცუდ განწყობილებას.“

გვერდით, უკვე გამეგობრებული, მისი ენის მცოდნე შარაგან ყივჩაყი ჰყავდა. უნდოდა მისთვის რაღაც ჩაეჩურჩულებინა. გაიფიქრა: ამითი ხომ მეც წესს დავარღვევო და კვლავ თვის საცნაურობას ჩაუბრუნდა:

.როგორ ზლაზვნით გამოიტყვის დედოფალი... თუ, ენა რომ არ მესმის მისი ბრალია... ხომ ვიცი კარგად, რომ დღეს ჩემი გაზრდილის და თამარის დანიშვნა უნდა გამოცხადდეს... უთუოდ ამას ამბობს დედოფალი, მაგრამ რად არის, რომ თვით უფრო ქადაგსა ჰგავს, ვიდრე ტახტზე მჯდომარე გვირგვინო-

სანი, რომელიც საზეიმო სასიხარულო ამბავს აცხადებს... ან ეს გოლიათი ერისთავი — თამარის მამობილი ყოფილა — რათა სდგას ტახტის მარჯვნივ ესე ჩამობნელებული... მეც მივხვდი, რომ ამ ქვეყნისათვის და ამ ხალხისათვის ადვილი საქმე არ არის მათი „солнышко“-ს შეუღლება... თვით თამარის შემხედვარემ, ვიგრძენ, რომ წავაგეთ... მაგრამ საქმე რომ სხვას ამბობს და... გული სხვას?“

კიდევ უფრო დაეხლართა კუზმას გამოცნობის ძაფი, მაგრამ თვალი მოუხვდა ვარდან დადიანის თითქო უდარდელ და გამარჯვებულ სახეზე, იქვე ვარდანის ახლო ოქროს სელში მჯდომი აბულ-ასანის მოხუცი, მწყაზარი, ჭკვიანი და კმაყოფილი სახეც დაინახა და გულს ჭმუნვა გადაეყარა. თავისთავს დაუდასტურა:

„არა, ბედი-კი ჰქონია ჩემს გაზრდილს... ეხლა უნდა ვეცადოთ... უნდა ვეცადოთ...“

კარგად იცოდა რა საცდელზედაც დგებოდა მისი ფიქრი.

რუსუდანი უკვე ასრულებდა სეფე-სიტყვას:

— ყველას განზრახვით ამ ქამად მოყვანებულ იქმნა კაცი, დიდგვარიანი რუსთაგანი, უდიდესი თავისი ქვეყნის მეფეებს შორის. სხვა მხრივაც არა უმარჯვი, პირითა მშვენიერი, სრული ანაგებითა და მჭვრეტთათვის დიდად საჩენი. ვინც კი ვიხილეთ, სათნო გვეყო ხილვა მისი. ხოლო უფრო სასიხარულოდ ეს მიგვაჩნია, რომ ეგ შოყმე ქრისტეანია, მართლმადიდებელი და არა ურჯულო... ყოველივე ეს მოვახსენეთ თამარს და ვთხოვეთ, რომ დაქორწილებულიყო. მას აქამდე, როგორც იცით, სრულიად არა სურდა გათხოვება და ყოვლად უწადინელი იყო ქმრისა, მაგრამ დიდი ხნის ბჭობისა და ჩვენ მიერ შეიწრებისა, ბრძანა ესრეთ. რაკი სამეფომ ესე დაჟინებით მოითხოვა ჩემგან ამ ვალდებულების გასრულება, ალარ გეურჩებით, რომ ეგ უცხო-უფლისწული მეუღლედ გამიხდეს. დასტური მომიცია. მხოლოდ იცოდეს ყველამ, ამ ქამად მართოდენ დავიწინდები. ჯვრის წერამდე კი ერთი წელიწადი მაინც მოათიოს ჩვენ შორის უფლისწულმა. გავიცნოთ, შევისწავლოთ მისი ხასიათი და, უკეთუ შემდეგშიაც ღირსი აღმოჩნდება, მე თქვენს სურვილს არსით წაუვალ... დროსა და ალაგს დაწინდვისას ჭიაბერი მოგახსენებთ

რუსუდანი ტახტიდან ჩამოვიდა. ვარდანმა და კახაბერმა თავის ალაგას მიაცილეს და უკუდგნენ.

დარბაზში მყოფთ გულს მოეშვათ.

თითქო მძიმე ლოდი გადაეგორებინოთ.

ეხლა სახეები გაიშალა, სხეულმაც თითქო მეტი სიხალისე იგრძნო.

ჯგუფ-ჯგუფად შებრუნდნენ.

ახლო მდგომნი კუზმას ხმაამოუღებლივ ულოცავდნენ.

მაგრამ კვლავ აჟრუოლდა ჭიაბერის სკარამანგის ეჟვნეზი, დაინახეს მის ხელში არგანი ზეაწეული და ყველანი კვლავ ყურად იქცნენ.

ჭიაბერი თავის მიჩენილ ამაღლებულ ბაქანზე იდგა და დარბაისლურად, მკაფიოდ შემდეგს აცხადებდა:

— ქრონიკონსა ოთხას ექვსს, დასაბამითგან ექვსი ათას შვიდას ოთხმოცდაათს, ქრისტესით ათას არ ოთხმოცდა ხუთს, ღვთიეგვირგვინოსანის თამარის მეფობას წელსა მეორესა, თუესა ოქტომბერსა 1-ლს, დღესასწაულსა ღვთის მშობლის ვაფარველისასა, სვეტიცხოვლობას, მცხეთის ტაძარში, ქალაქ მცხეთას გარდახდილ იქმნება უნეტარესის და უწმიდესის საქართველოს კათალიკოსის ნიკოლაოსის მიერ დაწინდვა მალალ-ხარისხოვანის, აფხაზეთისა და ყრვლისა საქართველოს მეფისა, შირვანის პატრონისა და შვიდთა სამთავროთა მფლობელის, სოფლისა და სარწმუნოების დიდების, დედოფალთ-დედოფლის, გიორგის ასულის თამარისა და რუსთა გამოჩინებულის უფლისწულისა, ანდრია დიდის მეფის შვილისა, რომელსა მონებს სამასი მეფენი მის კერძოსანი, იური-გიორგისა. ყოვლისა სამღვდელოსა და ერისგანსა ხელჯოხიანსა ევალების შეუდგეს სათანადო მზადებას. დარბაზობა დასრულებულია.

შებრუნდნენ. თითქო აირივნენ ერთი-მეორეში. უფრო ბედნიერ კუზმასაკენ მიდიოდა უმრავლესობა.

ვისაც როგორ შეეძლო, ისე ულოცავდა.

კარგად გრძნობდნენ, დღეის ამას იჭით, ერთი წლის განმავლობაში მაინც, რა დიდი კაცი ხდებოდა ეს ახოვანი გადამთიელი.

დღეს დაიღუპა უკეთესი საქართველო

კბ

გოდერძი ჩორჩანელი ჩახრუხაისძე უმრწემსთან ერთად სტოვებდა დარბაზს. თან თითქო ბუზღუნებდა:

— აბესალომ და ეთერი-კი არ მოიხსენია დღეს დედოფალმა... მთელი ჩვენი მწიგნობრობა შესძრა და...

— ჰო... ეგ მეც შევამჩნიე, მაგრამ უთუოდ ჯერ კარგა ვერ იცნობს ამ საუცხოო ნაწარმოებს...

— კიდევ... საუცხოო...

გულში მწარედ ჩაუნაღველდა გოდერძის და შემდეგ ხმამაღლა წარმოსთქვა!

— ჰოი, ღმერთო ჩემო, აკი დღესაც „საუცხოო“ საქმე ჩავიდინეთ... გავეცით უცხოზე ის, რაც ჩვენი გულის გულია, რაც საუკეთესო და უწმინდესი რამ გაგვაჩნდა: საამაყო და თავმოსაწონებელი, სამგზის სანატრელი, საგანგებო თამარ... ასე ხომ თვით ხალხი უძახის: „სამგზის სანატრელი... თამარ-საგანგებო!“ გავეცით და, არ ვიცით-კი, რა მოვიმოქმედეთ...

— დღეს დაიღუპა ჩვენი საუკეთესო მისწრაფებანი!

ჩუმად ყურში ჩააწვდინა ჩახრუხაისძე უმრწემესმა.

— დღეს დაიღუპა უკეთესი საქართველო...

ღრმა მწუხარებით დაუბოხისხმავა გოდერძიმ.

— დღეს ჩავაგდეთ განსაცდელში ჩვენი მზეთა-მზე, თამარ შვიდ-მნათობიერი... შარავანდედი მისი მივჩრდილეთ, სახელი მისი გამოსათქერათ ვაქციეთ... ჰოი, უგუნურებავ, განუკითხველო...

აბულ-ასანიც და ვარდანიც, დარბაზის კარებისაკენ მიმავალნი, სახეგაბრწყინებულნი ერთი-მეორეს, ეტყობოდა, ესაუბრებოდნენ.

ვარდანი ამბობდა:

— უმთავრესი ის არის, დიდებულო, ეს დაწინდვა კარგათ გამოვიყენოთ... ეს ისეთი დიდი ამბავია, ამას შემდეგში რყევა არ უნდა მიეცეს. ეს დაწინდვა ქორწინებას უნდა უდრი-

დეს. ისეთი გამოჩენება და ზეიმი უნდა შევქმნათ ქორწილის ეყოს შესაფერი.

— მესმის, დიდებულო! — გამოეხმაურა აბულ-ასანი, — ხალხი, ერი, ყველა უნდა დარწმუნდეს, რომ გიორგი-რუსი არის მეფე ქართველთა... მე ჩემი შვილი გავაფრთხილე, რომ ესრეთი რწმენა განამტკიცოს ტაო-კლარჯეთში... მას ბოცო ჯაყელიც სამცხეში მხარს გაუმაგრებს. კაიწოსსა და ლიხთიმერეთს, ბედიასა და აფხაზეთში შენ გვეგულვები, ვარდან, შენი გავლენა და სიყვარული, გვჯერა, ჩვენსკენ არის.

— აბულ-ასან!.. მე ერთი განზრახვა მაქვს: დაიწინდება თუ არა გიორგი-რუსი, გეგუთს გავიწვიო... მარტო იქნება, მხოლოდ თვისი ამალით, თამარს არ შევაწუხებ ამ ჟამად ჩემის მასპინძლობითა.

აბულ-ასანს ულვაშებში ჩაეცინა, შემდეგ ცოტა მოღუშულმა წარმოსთქვა:

— გუზანიც წაიყოლე...

— რალა თქმა უნდა... გუზანსაც წავიყვან და მის ვაჟსაც... ტოლები არიან ისა და რუსის უფლის-წული. ვატყობ, რომ კარგად შეეწყობიან... ალამეთის ტყეში გავუმართავ დიდ ნადირობას... მოვიწვევ იმერეთის დიდებულთა და ვანახვებ დიდსა და მცირეს ახალ მეფეს ქართველთა. მთელს იმერეთს განხდება ხმა გიორგის მეფობისა... ეს ხმა განმტკიცდება, ეს რწმენა ჩაიჭდება ერის გულში და შემდეგ...

— მართალი ხარ, ბრძენო ვარდან! შემდეგ ძნელი იქნება, რომ თამარმა ჯვარიც არ დაიწეროს გიორგიზე...

— აბა, რას ბრძანებ, აბულ-ასან... ვერავითარი მოწინააღმდეგე გიორგი-რუსს ველარ გაუჩნდება: სამხრეთი და დასავლეთი საქართველო მისი ერთგული იქნება... ეს შექმნის „ერის ხმასა“... სხვა გამოძახილი სუსტი იქნება და მას გავაჩუმებთ...

— არა, ნამდვილათ გავიმარჯვეთ, ვარდან...

ვარდანმა უკან მოიხედა:

დედოფალი რუსუდან კახაბერის თანხლებით მოღუშული და მდუმარე მობრძანდებოდა.

ვარდანმა ანიშნა, აბულ-ასანი ჩააჩუმა და თავდაბრით ორივემ რუსუდანს გზა დაუთმო.

რუსუდანმა, თითქო ლმობიერად გადახედა ორივე დი-

დებულს, მაგრამ მისმა სახემ მხიარულების გამოხატვა მაინც ვერ შესძლო.

ვარდანმა თვალი გააყოლა დედოფალს.

უკვირდა ესეთი შეცვლა დედოფლის გუნებისა: წინეთ მომხრე იყო, ეხლა რა მოუვიდაო. ფიქრობდა იგი და დედოფლის მიმართ მისი გუნება რიღასიც გასაფრთხილებლად განემზადა: — რუსუდანს როქის სპაზე გუმანი ხომ არ მიუტანიაო...

თავი მეთერთმეტე

დოდო არიშიანი

კგ

რუსუდანმა და კახაბერმა განის კარისაკენ მიუხვიეს და იმ დერეფანში მოხვდნენ, საიდანაც რუსუდანის სამყოფელს მიადგებოდნენ.

დერეფანშიც მრავლად ირეოდნენ.

თაღებიან ქვის კედლებშუა გუგუნი იყო გამდგარი.

რიგი შეჯგუფებულიყო და გაცხარებით ერთი მეორეს დღევანდელი დიდი ამბის შთაბეჭდილებას უზიარებდა.

რიგი შინისაკენ მიისწრაფოდა.

რუსუდანისა და კახაბერის დანახვაზედ კი ჩუმდებოდნენ, ჩერდებოდნენ, დგებოდნენ და თავდახრილნი გაკვირვებულ თვალს აყოლებდნენ.

ეს ორი ნაკვთი, თითქო სამგლოვიაროდ ჩამოძერწილნი, საერთო ხალისს, მომავალ ზეიმის გამზადებისას, ანელებდნენ, ფერს ართმევდნენ და განცვიფრებას იწვევდნენ.

რა თავპირი ჩამოსტირით, რა მოსვლიათო?!

გაისმოდა იქა-აქა.

მაგრამ პასუხი არსად იყო.

მათი დანახვით მხოლოდ უგემურდებოდა მომავალი დღესასწაული.

რუსუდანმა მიაღწია მის სამყოფელს და შიმუნვარების დაუხმარებლად ქვევით გაფენილ ხალზე დაეშვა.

შიმუნვარებმა ბალიშები მიუმარჯვეს.

რუსუდანს თითქო არც შეუმჩნევია. ისე იყო ჩამჯდარი და არსით არ იხედებოდა.

კახაბერსაც ოქროს ხელი მიართვეს და ისიც მძიმეთ ჩაჯდა. საზეიმო სამოსის ოქროქსოვილი მუხლებიდგან ქვეჩამოეფინა და, წითელი აბრეშუმის ძიქვა, მარგალიტით მოოქვილ ყელიან ფეხსამოსში ჩატანილი, წინ გამოეწია.

თვალნი სარკმელს მიაპყრნა და, ეტყობა, ღრმა საგონებელს მიეცა.

გაახსენდა ეხლანდელი მისი ჩამოსვლა: როგორ გულგამეხებული მოდიოდა ტფილისს.

გადაირივნენ თუ რა ამბავია?! ვინ გადამთიელი მოუყვანიათ, როგორ შებედეს თამარს ესეთი საქმრო?

დიდებულებს რაღა ღმერთი გაუწყრათ? გონება საით მიედოთ.

ან თამარს ვით ეკადრება ესეთი უნებლიე დაყოლა გათხოვებაზე, ვინ შეაიწროა?!

მაგრამ, ჩამოვიდა თუ არა ტფილისს, სულ სხვა რამ განიცადა:

თამარი მეტად მტკიცედ ადგა მის ნათქვამსა.

მისმა მამობილობამაც ვერ გასჭრა და, არ ითქმის, რომ თამარისაგან გულნატკენი არ გამოსულიყოს.

თურმე კი ვერ მიუხვდა გულმეცნიერსა.

რა სულელურ მდგომარეობაში ჩავარდა წუხელის დადიანთან თათბირზე. იქაც, როგორ ცხარედ გაილაშქრა რუსის წინააღმდეგ... უკვირდა კი, რომ ბევრი არ უჭერდა მხარს, მაგრამ მათი საქციელი პირადული ანგარიშით განმარტა მაშინ.

ბოლოს, როდესაც გაიგო, რომ დადიანს ყოველივე წინად განეჭვრიტა, ყივჩაყელნიც, როქის სპისანი შეეგულიანებინა და რუსის უფლისწულისათვის მიემხრო.

ეს ყველაფერი ჭიაბერმა უამბო...

მაშინ კი დაიხარა კახაბერის ქედმაღლური ჭაღარა.

სახუმარო საქმე ხომ არ იყო, ყივჩაყელთა მეფის ტახტის მცველი ჯარის, ამბოხება.

საშინელი და ყოვლად შეუწყნარებელი ამბები დატრიალდებოდა საქართველოში.

კიდევ კარგი, რომ დადიანი დიდად ფრთხილი კაცია და ძმისთვის არ გაუზიარებია ეს ამბავი. აცოდინა მხოლოდ მას, ან აგრძნობინა შეიძლება, ვისაც უნდა სცოდნოდა.

ამიტომ იყო უთუოდ, რომ გრდემლიძემაც არა იცოდა რა თათბირზე და ისე მწარედ ჯიუტობდა.

მხოლოდ, თამარმა... თამარმა მე რათ დამიმალა? ან თვით კი იცის, სადამდე იყო საქმე მისული?

რა სჯობია!

ბრძენია თამარ და უთუოდ ყოველივე სხვებზე წინ თვითონ განჭვრიტა.

ამ მოსაზრებამ უფრო ეხლაც გულსა.

და მოუნდა რუსუდანისთვისაც ნუგეში ეცა.

მოიხედა. ქვედამხობილი რუსუდანი ისევ გარინდული იყო.

ალვის ხეებსავით თავს ადგნენ ტანწერწეტა სეფექვლები და მოყვანილი შიმუნვარები.

ხმა ამოიღო:

— რუსუდან!

შრნაურად მიმართა წანდაზმულმა და ბევრს მომსწრე ერისთავმა.

— განგება ჩვენზე ძლიერია... შეიძლება, რაც ხდება, უკეთესიც იყოს...

რუსუდანი თითქო შეკრთაო, სიჩუმის დარღვევაზე. თვალი მიაპყრო კახაბერს, მაგრამ გამომეტყველებას ვეტყობოდა, რომ დიდი ერისთავის სიტყვებს, ჯერ კიდევ ვერ მიეღწიათ მის შეგნებამდის.

კახაბერმა ეს შეამჩნია და განუგრძო:

— სიმძიმილი ალარ გვმართებს... ეხლა სხვა საზრუნავი გაგვიჩნდა... მერმე კიდევ, ეს ხომ მხოლოდ დაწინდვაა... ერთი წელიწადი კარგა ხანია. ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს... ჯერჯერობით ესეც კარგია. კბილი მოეკვეთებათ სხვადასხვა შაჰიებლებს... უკუდგებიან თავიანთი კადნიერი განზრახვითა... ჩვენი დიდებულებიც, რომელთაც ასე სურთ ტახტს გარშემო მერყეობა გამოიწვიონ, აილაგმებიან... სიმშვიდეს მიეცემა კვლავ ხანგრძლივობა... ბრძენია თამარ... კარგად განსჯა.

რუსუდანი უკვე გონს იყო მოგებული. კახაბერის ყველა ესმოდა, თვითაც გაიმეორა:

— ბრძენია თამარ... ეგ მართალია, მაგრამ ამ გულს რა უყო, კახაბერ, ამ გულს!.. კარგად იცი, მე თვით მომხრე ვიყავ პირველ ჟამს ამ უცხო უფლისწულისა, მხოლოდ, როდესაც თამარს ვესაუბრე და შემდეგ, მე თვით გავსაჯე... ასე მგონია, რაღაც დიდი, საშვილიშვილო ცოდვა ჩავიდინე შეთქი...

რუსუდანის ამ სიტყვებზე კახაბერმა მისი გამოცდილი თვალი სწრაფად შეავლო სეფექალებს.

ყველა, ჩვეულებისამებრ, უფროსების საუბრის დროს ქანდაკებასავით იდგა. არაფრის ამოკითხვა მათ სახეზე არ შეიძლებოდა, მხოლოდ ერთს, ყველაზე უმცროსს და ყველაზე უფრო მოხდენილს დოდო არიშიანს, რუსუდანის საყვარელ სეფექალს, სახეზე დასცემცემებდა, ოდნავ შესატყობი, მაცდური ღიმილი.

გამჭრიახ კახაბერს ეს გარემოება არ გამოეპარა, მაგრამ გული დაიმშვიდა:

„მომხრეა უთუოდ გიორგი რუსის... დიაღ, თვით როქის სპაც, ყივჩაყნიც... და, სწორედ ამან გადასწყვიტა ყოველივე... ვინ არ არის ეხლა იმისი მომხრე... და ამ ახალგაზრდას ჩვენი საუბარი შეიძლება არ მოსწონდეს, გულში ცოტა დაგვცინოდეს კიდეც...“

ამ ფიქრმა სასახლის კარზე გამოწვაფულ დიდებულის ჩვეულებრივი სიფრთხილე ცოტათი მიაძინა და შემდეგ უეცრად იკითხა:

— დავით სოსლანი სადღა არის, რათ არ მეჩვენა?

დავითის ხსენებამ უსიამოთ შეაკრთო რუსუდანი.

გაანცვიფრდა: „კახაბერიც ხომ არას გაგიზრახავსო“...

უნდოდა რაღაც ეთქვა.

მაგრამ ამ დროს ცოტა შეწითლებული დოდო წინ წამოიწია და კახაბერს მოახსენა:

— ოვსთ-ბატონიშვილი გიორგი უარესად შეჭმნილა და ესე მოგახსენებდნენ — დავითი ველარ შორდებაო.

კახაბერმა ყურადღება მიაქცია დოდოს და ჩვეულმა დაკვირვებამ ათასი ფიქრი აღუძრა:

„ეს მხევალი რამ გააწითლა?.. ნუთუ დავითის ხსენებამ

იმოქმედა ასრე? ან, რა არის მაგისთვის დავითი?.. ეგ დედებულ არიშიანთა სახლის შვილია... აბულ-ასანისა და ვარდან დადიანის მოწათესავე, თვისი ჰერეთელ-ერისთავთა... აჰაა! სწორედ მაგისთვის შეიძლება თავი დავით სოსლანის ტოლად მიაჩნდეს და ტრფიალიც ყმაწვილთ წესია..."

უბრალოდ განმარტა თავის გულში კახაბერმა, მხოლოდ ეხლა გიორგის, ოსთ-ბატონიშვილის ავადმყოფობაზე იწყო ფიქრი.

ხმამაღლაც წარსთქვა:

— რა მოსვლია, საბრალოს?.. ვიცი რომ ცხროი სჭირდა... რა გაძნელებია?

კვლავ დოდომ შეჰკადრა:

— წუხელის მეტად უღონოდ ქმნილა. პირთაგან სისხლი წასკდომია.

— ოი, უბედური!

შეიცოდა რუსუდანმა და პირველსათქმელი გულში ჩაიმარხა.

— შენ რათა ხარ ესე გულისხმიერათ ოვსთ-ბატონიშვილზე, დოდო ჩემო?

ნელიად შეუხუმრა კახაბერმა და კარგად შეამჩნია, რომ დოდოს ლოყებზე მეწამულმა ვარდი დაჰფარა.

დოდოს გაწითლება ყველას დასანახი შეიქნა და სეფეჭალებიც, თითქო დარცხვენილნი, ჩიტებივით შეფრთქიალდნენ.

მათმა აბრეშუმის სამოსელმა შრიალი მოიღეს, ნაწნავები შეინძრნენ, თავსაბურავის წვეტები ცოტაზე გაფრიალდნენ.

რუსუდანსაც გაეღიმა.

— კახაბერ, ყმაწვილი ქალის გული უმანკო წყაროა, გამჭვირვალე და შიგ მზე ხშირად პირს იბანს ხოლმე.

ცოტა გაიკრთომა ქალთა გადაკისკისებამ და რამდენიმე ხნის წინ თითქო მგლოვიარეთ მყოფი რუსუდანის ოთახი გაცხოველდა და ხალისი შეეძინა.

რუსუდანმა შემკრთალი დოდო თავისთან მიიხმო და იმავ მიუალერსა, თითქო დედამ თავისი შვილი რალაც პატარა ცელქობაში დაიჭირა და ეხლა მიუტევაო.

კახაბერმა კი აუმაღლაურა:

— საკვირველი ხალხია ეს ოვსთა-ბატონიშვილები... ყვე-

ლამ იცის, რომ ეგენი თამარის წელის საძებნელად ჩამოვიდნენ... განსაკუთრებით ეგ საბრალო გიორგი და... არავის კი არაფერი უთხრეს...

— დავითი მეუბნებოდა, განსაკუთრებით ჯადაროსი ცხარობსო...

წარმოსთქვა რუსუდანმა და თან დაუმატა:

— არც მე მითხრეს... მეტად მორიდებულნი არიან... ეწყლა შეიძლება სანანურადაც ჰქონდეთ...

— მათი მოსარჩლე მე უნდა ვყოფილიყავ... მაგრამ დავიგვიანე...

წაღვლიანათ წარმოსთქვა კახაბერმა.

— ჩემი გული მათ შორის დავით სოსლანს უწმობდა თამარის მეუღლეთ...

აქ თითქო უწებლიეთ თვალი შეავლო დოდოს და დაინახა, რომ ქალს ფერი ეცვალა.

„აი, დოდოს საიდუმლოცაო!..“

გაკვრით გაიფიქრა და განაგრძო:

— ჩვენი გაზრდილია, რუსუდან, დავითიც... მე, — თამარის მამობილს, — უკეთესი ვინმე ვერც კი გამომერჩია თამარისათვის...

ალარ დაზოგა დოდოს ნაზი გული გამოცდილმა კარისკაცმა.

— ჩემ დავიგვიანე... მეტად შევრჩი ჩემი ახალი მონასტრის, მღვიმის აგებას, აი, სოფელ რგანთან რომ არის, ზემო-დმერეთში; საწალიკეს ქვემოთ, ჩემი საერისთავოს საზღვართან... შევრჩი და დავიგვიანე...

— ვიცი, ვიცი, — ჩამოართვა რუსუდანმა, — თამარის ტახტზე ასვლის დროს რომ დაიწყე დედათა მონასტრის ახლად აგება... თამარი დიდათ აქებს, შარშან ზაფხულს, შენთან რომ იყო, კახაბერ... მაშინ უნახავს თურმე... მშვენიერი ალაგია, სწრაფადაც აშენებენ, მხოლოდ ჯერ დასრულებული არ არისო, მიბრძანა უკიმიროთ...

— მისი დასრულება მაშინ იქნება, როდესაც დასრულდება ჩემი ნააზრი.

მძიმედ წარმოსთქვა კახაბერმა და კვლავ თვალი დოდოზე შეუჩერდა.

დოდო შეკრთა. იგრძნო მოხუცის შეხედვა და თვალში ზოროტმა ნაპერწკალმა გაუელვა.

შიმუნვარი შემოვიდა. რუსუდანს მოახსენა:

— აბულ-ასანის მეუღლე, უტანდარი გეახლა, დედოფალო, და შეს ხილნვას ლამის.

რუსუდანს სახე მოეღრუბლა.—წამოსადგომად ზეწამოიწია.

იქით-აქეთ მოეშველნენ.

ეტყობოდა არ ეამა ეს დარბაზობა. მაგრამ, როდესაც საჯდომ ტახტზე ფეხი მოირთხო, უბრძანა რომ შემოეყვანათ.

უტანდარი შემოვიდა მომღიმარი და ხალისიანი. თან ისეთი მოხდენილი იყო, რომ მისმა ჯავარმა და იერიანობამ სულ ფერი მიჰხადა იქ მდგომ სახიერ სეფექალებს.

ერთი მხოლოდ დოდო გადაურჩა მისი სილამაზის იერიშს. მან შეინახა მისი მიმზიდველი თავისთავადობა.

წამომდგარმა კახაბერმა უტანდარს სალაში მისცა და თან გულში გაიფიქრა:

„მართლა მოხდენილი დიაცია ეს ოსის ქალიო“.

უტანდარი მისთვის მოსულიყო, რომ რუსუდანი გაეწვია სადილად:

„დღევანდელი დღის აღსანიშნავად, უფლისწულს იურს უმართავთ ნადიმსაო“.

მაგრამ რუსუდანმა უქეიფობა მოიმიზეზა და ნადიმი განირიდა.

უტანდარს დაეტყო, რომ გაწბილება არ იამა და წასასკლელად დაეშურა.

კახაბერსაც აღარ სთხოვა სწვეოდა ნადიმზე.

გამოცდილი კახაბერი მიხვდა, რომ მისსა და აბულ-ასანის შუა შავ კატას გაერბინა.

„არ მეპატიჟება, მატყობს, რომ ვერა ვარ მისი მომხრე, თუმცა ზრდილობა მოითხოვდა... დავიხსომოთ“.

თითქმის კარებთან იყო უტანდარ მისული, რომ დოდოს თვალი მოჰკრა:

— ოჰ, სიკვდილსაც დავიწყებიხარ, დოდო ჩემო...

შეჩერდა. შემდეგ რუსუდანს კეკლუცად მიმართა:

— დედოფალო, გკადრებ კიდევ ერთ თხოვნას: დოდო მაინც დამითმე დღეს მთელი დღითა.

რუსუდანმა ლმობიერად გადახედა დოდოს:

— გიწდა წასვლა?

— თქვენი დასტური თუ მექნება...

— გასწი, შვილო, იმხიარულე...

და... უტანდარ და დოდო ცელქი ბავშვებივით გაფრთხნენ კარებში.

თავი მეთორმეტე

პირველი მრისხანება

კდ

მოიწეოდა მათი ტანი წასახლის დერეფანში. ხალისობდა მათი გამომეტყველება ახალგაზრდული, ჯავარიანობდა მათი იერი.

შემხედვარე ახალგაზრდობა მოკრძალებით თავს იხრიდა, მაგრამ გულში კი ნატვრის საოცნებო კოშკს კარებს უღებდა.

ერთგან შეჩერდნენ, რადგან ხალხი იყო შეჯგუფული. უცებურად არ გაისვლებოდა.

იკითხეს:

გაიგეს:

„ოვსთ-ბატონიშვილი გიორგი მძიმე ავად არის და მკურნალია ეწვლა მასთან. არავინ იცის, რა ეგებისო“.

უტანდარმა მოინდომა შესვლა.

უარი ვერ უთხრეს, დოდო თან შეიყოლია.

ესეთი სურათი წარმოუდგათ:

ლოგინზე ფერმიხდილი გიორგი იყო მისვენებული, თვალები დაეხუჭა და მის გრძელ წამწამებს მთელს სახეზე თითქო სასიკვდილო ჩრდილი დაეყენებინა. ოდნავ ფეთქავდა.

ეტყობოდა, ლამაზი ჭაბუკის სიცოცხლე ჯერ კიდევ ებრძოდა ულმობელ სიკვდილს.

მაინც ლამაზი სანახავი იყო განწირული ჭაბუკი:

დასანანი და მიმზიდველი.

ფერხთით უჯდა ჯადაროსი და მომაკვდავის ყოველ კუნთის მოძრაობას გაფაციცებით უთვალთვალებდა.

შორიახლო იდგა ჩამომხმარი, ჭალარა მკურნალი ჭკვიან-

ნის თვალებით და წევდიანი დაწცქეროდა უკურნებელ ავადმყოფს.

ქეშიკები მწკრივათ იდგნენ სამსახურად გამზადილნი.

ლოგინის შორიახლო, არაბულ მაგიდაზე ეწყო კოხტა ქილებით სამკურნალო, უფრო მოსასულიერებელი, წამლები და სხვა საჭირო მოწყობილება.

სიჩუმე იყო სრული... გაბატონებული.

და მხოლოდ ქალების შემოსვლამ ოდნავ გაიშმაშურა ამ სიჩუმეში.

ისინიც შემოსვლისთანავე გაქვავდნენ.

მაგრამ, ჯადაროსის გარდა, მაინც ყველამ მათკენ მოიხედა და უწინარეს ყოვლისა სარკმელთან მდგარმა დავით სოსლანმა.

ქალების დანახვაზე მჭმუნვარე სახე გაუნათლდა და ერთი ბიჯი წარსდგა წინ, თითქო უნდოდა რალაც მკვახე უფხრას უდროო დროთი შემოჭრილ განლაღებულ სეფექალებს, რომლებიც თითქო სასეიროდ მოსულან ამ მძიმე სამყოფელშიო.

მისი ესეთი გამომეტყველება უფრო უტანდარისაკენ იყო მიმართული, მაგრამ, როდესაც თვალი მოხვდა დოდოს უსაზღვროდ ლმობიერსა და სიყვარულით ალსავსე თვალთა ისარს, თითქო უკან დაიხია შინაგანად და ეხლა სახემ უფრო გაკვირვება გამოსცა.

უტანდარმა იგრძნო, რომ დოდომ ნელიად მკლავში ხელი ჩაავლო, მოიხედა: დაინახა, რომ დოდოს, დავითის შემაცქერალს, ფერი მიჰლებოდა და მთელი ტანი ოდნავ უთრთოლავდა.

კარგად ვერ გაერკვა უტანდარი: რა იყო მიზეზი დოდოს ათრთოლებისა. ავადმყოფ ბატონიშვილის ხილვა, თუ დავითის ცქერა, დოდო კი დავითს ისე შეჰყურებდა, როგორც რომელიმე მტაცებელის მიერ მოჯადოებული მკვირცხლი ჩიტი.

მაგრამ ეს არავის შეუმჩნევია უტანდარის გარდა, რადგან სხვები ყველა ისევ ავადმყოფის თანაზიარობით იყვნენ მოცულნი და დავით სოსლანმა კი, კარგა ხანია დოდოს თვალი მოაშორა.

— მხნეთ იყავ, რაი მოგდის?

ძლივსგასაგონად წაუჩურჩულა უტანდარმა. დიდის მკლავი ფრთხილად ჩამოიშორა და თვითონ ფეხაკრეფით დავითთან მივიდა.

— საამ... საამ...

სუსტი ხმა ამოიღო თვალდახუჭულმა ბატონიშვილმა.

— სადა ხარ, დალოცვილო?

ბავშვური სიჯიუტე დაეტყო გამოთქმაში.

— აქ გახლავარ, ბატონიშვილო გიორგი...

და თავს წაადგა ერთი ბრგე მოყვანილობის ვაჟკაცი.

— რას მიბრძანებ?

— ცხენები მზათ გყავდეს... უნდა დღესვე გავემგზავროთ.. აქ არ მინდა სიკვდილი, არა...

ყველა შეშმაშურდა, ყველაზე უფრო ჯადაროსი:

— სიკვდილს შენთან რა უნდა, გიორგი... მოსვენება გჭირდება მხოლოდ... აი, მკურნალიც ამბობს გამგზავრება შეიძლება, მხოლოდ დაცდა უნდა, გულს უნდა გამაგრება და ამ ქამათ კი გულშეღონებული ხარ...

ექიმმა დაამოწმა ჯადაროსის სიტყვები...

— არა, არა... თქვენ რა იცით!.. აქ არ მინდა სიკვდილი... გზაში არა მიშავს-რა... ჩემი მთების ჰაერი მიშველის... წამიყვანეთ... საამ...

კვლავ ჯიუტობდა ოდნავ მფეთქავი და ისევ თვალდახუჭული გიორგი.

მაგრამ ამ დროს უტანდარი ჩამოშორდა დავითს და ლოგინის ახლო დადგა.

— გიორგი, ძმაო... აბა რეებს ლაპარაკობ?..

გიორგიმ ნელა თვალი გაახილა და შიგ განცვიფრება გამოეხატა.

და რამდენი მეტი უკვირდებოდა უტანდარს, თვალი იმდენი უფრო და უფრო უფართოვდებოდა.

უტანდარი კი განაგრძობდა:

— რა დროს შენი სიკვდილია?.. რათ უნდა მოკვდე... უღონოდ ხარ მხოლოდ და ეხლა შენი წასვლა, აბა, რა საფიქრალია... ვინ გაგიშვებს, სად გაგიშვებთ... სხვა რომ არა, მე არ გაგიშვებ... ჩემი ნათესავები არა ხართ?.. აი დავითსაც სწორედ მაგას ვეუბნებოდი...

ამ სიტყვებზე ჯადაროსმა თავი მოიბრუნა უტანდარისაკენ და გაბოროტებული თვალები შეანათა.

უტანდარს არ დაუნახავს. ის თავისას ამბობდა:

— თუ აქ არ მოგწონთ, თამარის სასახლეში... ჩემსა წაგიყვან... სულ განგამარტოებ... ვით გიამებიმ, ისე გაცხოვრებ, რასაც მოისურვებ, შენი გულის გავლა ვიქნები... არამც თუ მარტო მე, თვით ჩემი პატრონი, აბულ-ასანი და ხელი ჩემი სასახლე...

ჯადაროსმა იფეთქა:

— ამაზე ადრევე უნდა გეფიქრა...

უტანდარს შუბლი შეეჭმუხნა, თვალებმა ბოროტათ გაუელვეს.

— რაზე?

— იმაზე, რომ ჩვენი ნათესავი ხარ... იმაზე, რომ შენ ჩვენი მხარე უნდა დაგეჭირა... იმაზე, რომ ვილაც გადამთიელში არ უნდა გაგეცვალეთ...

დავითი მიუახლოვდა ჯადაროსს და მთელი თავისი ტანით წინ აღემართა. ჯადაროსი მყისვე დადუმდა, მაგრამ არ დადუმდა ალეწილი უტანდარი.

სახე შეეშალა, მაგრამ სილამაზე არ შერყევია, იგი უფრო გვანდა იმ ქალღმერთს, რომელიც პირველად მრისხანებს, მხოლოდ ჯერ კიდევ გაჩვეული ვერ არის მრისხანებაში:

— ახირებულია თქვენმა მზემ... „ამირან გულში მღეროდაო“, სწორედ თქვენზეა გამოჭრილი... მე გიორგის არ ვამტყუნებ... ეს შენი და დავითის მოვალეობა იყო... სასახლის კარზე თითქო ყველამ იცოდა, რომ ოვსთ-ბატონიშვილები თამარის ხელის საძებნელათ იყავით ჩამოსულნი... საქმროთ ამ მშვენიერ გიორგის ასახელებდნენ კიდეც და... თქვენ ამის გამო კრინტიც არ დაგიძრავთ... ჩემთან არც ყი მოსულხართ... ჩემი პატრონიც, დიდებული აბულ-ასანიც, არ გინახულებიათ... არც დედოფალი რუსუდანი... და ეს მაშინ, როდესაც კარგად იცოდით, რომ, სხვას ყველას დავეთხოვოთ, ისეთი მძლავრი მეტოქეები გყავდათ ამ საქმეში, როგორათაც ბიზანტიელი ალექსი კომნინიანოსია, შარვანელი აღსართანი და დაბოლოს ეხლანდელი, უკვე საბოლოოთ თამარის საქმროთ უზჯნაისათ გამოცხადებული, რუსის უფლისწული იური-გიორგი.

თქვენ ისიც იცოდით, რომ აბულ-ასანმა პირველმა ურჩია საქართველოს დიდებულებს რუსის უფლისწულის მოყვანა... რატომ ერთხელ ხმა არ ამოიღეთ... თქვენზე მეტი მომხრე ვის ჰყავდა საქართველოში? ვიმეორებ მარტო დედოფალი რუსუდანი და მე გეყოფოდით, თქვენი მონათესავენი და თვისნი.

სული ამოითქვა უტანდარმა, შეიძლება ამდენი და ასე ძლიერ არც ულაპარაკნიათ ჯერ აქამომდე. ეტყობოდა, მის არსებაში გაიღვიძა მემკვიდრეობით თანდაყოლილმა აზრს სიმტკიცის შეუვალობამ.

დავითი ცოტა განცვიფრებით შეჰყურებდა უტანდარს. ფიქრობდა:

„ესე ახალგაზრდა ეგრე მსჯელობს... არც ისე მონაბერი ყოფილა, ვით მეგონა... ვინ იცის, რა ქალი დადგეს მაგისგან... მაინც ჩვენი ნაშიერია“.

გულს სიამაყე იგრძნო.

„ბევრი კი მართალი სთქვა... რუსუდანმა იმ დღეს რომ მიბრძანა, ეთანხმება ამის თქმულსა“...

სახე უფრო მოეღრუბლა.

„ჩემი ბრალიც ბევრი რამ არის, მაგრამ მე შებორკილი ვიყავი ძმობით და ერთგულებით... ეხლა კი კვდება ეს ძმა... არა, უნდა წავიყვანო... მართალია! არც მას და არც ჩვენ, ამ ჟამად, აქ აღარ გვედგომების... სიკვდილი კი სახლში ურჩევნია.“

ეტყობოდა უტანდარი მზათ იყო კიდევ განეგრძო, მაგრამ თითქო დავით სოსლანის ნაფიქრის დასამტკიცებლად, ეხლა უკვე ფართოთ თვალგაღებულმა გიორგიმ, ცოტა უფრო მძლავრათ წარმოსთქვა:

— არა, საამ... ეხლავ უბრძანე ცხენები... ეხლავ... აქ არ მინდა სიკვდილი, არა...

და საშინელის, ნაღვლიანის და დამყვედრებელი გამომეტყველებით უტანდარს შეუჩერა ფართო, ქარვის ტბაზე ჩაჭდეული გიშრის გუგანი.

— შენ კი გრცხვენოდეს, უტანდარ!..

წარმოსთქვა მან კვლავ მისუსტებულის, მილეულის ხმით, მაგრამ დიდის სიმტკიცით და თითქო წყევლით ალსავსე აბგერებით.

უტანდარ შეკრთა. წითლად იფეთქა მთლად მისმა სახემ, მაგრამ ტანში გასწორდა, ადგილზე მილურსმულ და თითქო ამ ქვეყნად არმყოფ დოდოს ხელი მოავლო და მოფარდაგული-საკენ ამაყად გაემართა.

ზურგშექცეულმა სიტყვები დასტოვა ამ ცუდად განწყობილს სამყოფელში:

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ!

სიტყვები უბრალო და სათნო, მაგრამ ნაჭედი სულ სხვა მაგარი მნიშვნელობით.

ოთახში ზარასავით აკრიალდა ეს სიტყვები და კარგა ხნის სიჩუმეში მოისმოდა მისი თანდათან მირიბებული ხმაური:

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ!

ბრძანება გაიცა და საამმა ყოველივე დაამზადა.

სალამო ჟამს, მზეგადახრილზე, ლბილათ და ძვირფასად მორთული საკაცეთი ტფილისიდან გაჰყავდათ დაავადებული ოვსთ-ბატონიშვილი გიორგი და დიდი ასაბია ცხენოსანთა და ქვეითთა, რომელთაც მეთაურობდნენ დამწუხრებული დავით სოსლანი, ჯადაროსი, ჩამომხმარი, ჭალარა მკურნალი და საამ-ვაჟკაცი.

ასაბია მიემართებოდა გორით ოსეთისაკენ.

თავი მეცამეტე

სიყვარული, ძალსა შენსა

33

დერეფანში რომ მოხვდნენ უტანდარ და დოდო, პირველი შეეკითხა:

— გამიზიარე, დოდო, მე ხომ შენი გულის სათნო ვარ... რომელი გიყვარს?.. მომაკვდავი, თუ ცოცხალი, უებრო დავით სოსლანი?

დოდო თითქო მოეშვა. უფრო ახლოს მიეკრა უტანდარს და ჩურჩულით, ცრემლმორეულმა წარმოსთქვა:

— რა დროს ეგენია, გულის სანდოვ... შენ თვითა ხარ აღელვებული... შეურაცხგყვეს...

ამ სიტყვამ თითქო უკბინაო უტანდარს, მაგრამ მყისვე ისე გასწორდა ტანში და მთელ მის აღნაგობას ისეთი იერი დაედო, დოდომ იგრძნო, რომ პასუხი უკვე მიიღო:

— უტანდარის ასე ახირებულათ შეურაცხყოფა არავის ძალუძს. იგი თვით არის ძლიერი და შეიძლება, სხვებს უფრო უნდა ეშინოდეთ მისი.

დოდომ უეცრად სრულიად ახალი მხარე გამოუნახა უტანდარს: ჯერ მისთვის უცნობი და საკვირველი. აქ იყო ძალა, ჯერ ფრთებგაუმართავი, უცხო და მძლავრი ფრინველის მართველი, ძალა დამმორჩილებელი, დამპყრობი.

ამ შეგნებამ თითქო გაახალისა დოდო. მეგობარი ქალის ძლიერების შეგრძნობამ მის არსებაშიც აამოძრავა მიძინებული სულიერი სამაგრე და შედარებით კარგ გუნებაზე დადგა. წარმოსთქვა:

— მომიტევე ჩემი სიტყვისათვის... შენ ვინ შეურაცხგყოფს?.. მხოლოდ არ იყო სასიამო საუბარი... შენ რას გაყვედრიდნენ... თვით ყოფილან დამნაშავენი...

უტანდარმა უკვე უკმეხად გაილაპარაკა:

— მათმა მზემ... ვერ დაემჯობინონ რუსის უფლისწულსა... მზეთა-მზე ლომ ვაჟკაცსა... სად იყვნენ აქამდე... ეხლა მოუნდათ! მაგრამ ვიჩქაროთ, დოდო, თორემ, ჩემი პატრონიც უთუოდ დიდი ხანია მელოდება და ჩემი გმირიც, ვაჟი იური, მეფე ჩემი და, მადლობა ღმერთს, მთელი საქართველოსი... ვგონებ, უკვე მოსულია ჩვენსა... ვიჩქაროთ.

და მართლაც გაუჩქარა ფეხს.

დოდო კიდევ უფრო მოიცვა განცვიფრებამ: კვლავ ახალი მხარე უტანდარისა, ესეც მისთვის სრულიად უცნობი.

„რა საკვირველი დღეა დღეს... ამდენი განცდა...“

და აფუსფუსდა დიდი სისწრაფით დოდოს ლამაზ თავში ამ განცდათა მიზეზები:

-დილით დაწინდვის გამოცხადება, თითქო დიდის ზეობით, მაგრამ დიდის მგლოვიარებით. შემდეგ კახაბერთან ცუტაოდენი შესაუბრება და... ვითომ მიხვდა კახაბერი ჩემი გულის საიდუმლოს?.. შემდეგ... შემდეგ პირისპირ შეხვედრა თვით სოსლანისა...“

ამ სახელმა სიმწვავით და სინარულით გაირბინა ფიქრშიაც კი.

„შემდეგ... შემდეგ უტანდარის ისეთი ამაყი საუბარი... შეურაცხყოფა და... აღმოჩენა ახალი მხარისა. ეხლა? ეხლა ეს აჩქარებული, სხვაგვარ მთრთოლვარე ხსენება იურისა, უტანდარის მიერ... ცოტა გაზვიადებული... უბრალოთ ესე არ ლაპარაკობენ... ნუთუ?.. მერე თამარი?.. მერე მერსი ქმრობა? რა განუზრახავს ამ... საცარ ქალს".

დოდო სიარულში თითქო გაწზე გაიწია და უტანდარს თავით ფეხამდე თვალი გადაავლო.

— რას შემომჩერებიხარ, დოდო? არ გამიზიარე შენი გულის საიდუმლო... გემდური, მაგრამ გამოადგი ფეხი... ღმერთო, ვიგვიანებთ... იური გველის, იური, დოდო!

და აქ მაგრა წაავლო ხელი მხრებში დოდოს, სიყვარულით თითქო მკერდზე მიიხუტა და თან საკვირველად დაბლა ჩაიკიაკისა. ერდოზე გამოდიოდნენ, თამარის გადია წინ შემოხვდათ.

— ო, პირიმზისა!

ხალისიანად მიეგება უტანდარ.

— საით გარჯილხარ?

— ერთ ქვრივ დედაკაცთან ვიყავ გაგზავნილი თამარისაგან.

— თვით თამარი ეხლა სად ბრძანდება?

— მე რომ დავტოვე, სენაკში იყო სამლოცველოდ.

— როგორ, დღისითაც კვლავ ლოცულობს?

ჰკითხა უტანდარმა, მაგრამ, გადია-პირიმზისას პასუხი არ მიუცია, მხოლოდ დაბლა თავი დახარა და სეფექალებს ზრდილობით გაეცალა.

კიბის საფეხურს ფეხი ჩაადგა უტანდარმა და სიცილით დოდოს მიმართა:

— ჰმ... სულ ლოცულობს... წმინდანია ჩვენი თამარი...

დოდოს არ იამა ესეთი თქმა.

— შემოგევლე, უტანდარ!.. თამარზე ნურას იტყვი...

უტანდარს ცბიერებამ გადაურბინა სახეზე.

— მე არას ვამბობ... მხოლოდ ვერ წარმომიდგენია... როგორი ცოლი იქნება იმ უებრო ვაჟკაცისა... სათაყვანო იურის... ჩემი წმინდანი ბიძაშვილი... ჰმ... თამარ-საგანგებო.

— გეთაყვა, უტანდარ, ნუ ლაპარაკობ ეგრე...

მაგრამ უტანდარის მისთვის ყური ალარ დაუგდია. სახეზე კმაყოფილება ეწერა და მისი ახოვანი გულმკერდი თითქო ხარბათ აპობდა საშახლის ეზოს ჰაერს, რომელიც გზას უთმობდა დასახული საწადელისკენ გაშურებულ სეფექალს.

შინაყმებმა ორივეს დარახტული ცხენები მართვეს. მხლებლები შორიახლო გაჰყვნენ.

ქალებს ჩუმი საუბარი არ შეუწყვეტიათ.

ამ საუბარში დოდოსათვის ნათლად გამოირკვა, რომ უტანდარი გაეტაცნა მზაკვრულ გრძნობას... ალარ ხუმრობდა... იური ჩასახლებულიყო მის გულში.

უსიამო ნაპერწკლები გაუცვივდა შეგნებას. შეებრალა კიდეც უტანდარი, რომ ესეთ უიმედო ეკალბარდში იხლართებოდა: აქედან რა სიკეთე უნდა გამოვიდესო. კაცი განმზადილია თამარის საქმროდ, ვით თანაუგრძნობს, და რომ თანაუგრძნოს კიდეც, ესეთი უმსგავსო საქციელი ვით ეგებისო, მაგრამ გაბედული რომ არის უტანდარი, ეს კიდევ უფრო გულის მომკვლელიაო.

განიზრახა, ამ განსაცდელისაგან უნდა დავიცვა მეგობარი ქალი, მხოლოდ ფიქრობდა, როგორ მოახერხოს ისე, რომ არც უტანდარს აწყენინოს და არც ეს, არა სამკეთო საქმე, შეასრულებინოს. ფიქრობდა ამაზე, მხოლოდ არ იცოდა, როგორ და რა მოეგვარებინა და რამდენი თვალს გადაავლებდა, გახალისებულს, აღფრთოვანებულს უტანდარს, იმდენი უფრო ებრალებოდა გულის მეგობარი. მხოლოდ იმავე დროს კიდევ უფრო შეებრალა თავის თავი:

„დავით სოსლანი... შეიძლება მართლაც წავიდნენ ოვსთბატონიშვილნი და დავითიც გაჰყვეს მათ... მაშასადამე დაწინდვაზედაც არ იქნება აქ... მაღლობა ღმერთს, კახაბერს არ შეუსრულდა მისი განზრახვა და დავითი ვერ უქმრეს თამარს. ეს არის ერთადერთი ნუგეში... მაგრამ რას ვაქნევ ესეთ ნუგეშს, თუ კი სატრფო შორს მეყოლება და თუ ამ სატრფოს არც კი ეცოდინება, თუ მისთვის რა სახმილი მდებია... ვით მივაწოდო, ვით ვაცნობო... ან რომ ვაცნობო, ხელთ რა მიჭირავს!.. მხოლოდ ერთხელ გადმომხედა დარბაზობის დროს სათნო და თანაზიარის თვალითა... შევატყვე... რა შევატყვე?.. თითქო დავრწმუნდი, რომ საჩემოდ იყვნენ ეს თვალები, ეს კრაკნილი ულვაშები...“

დოდოს გულში თავის ფიქრისაც შერცხვა... და უნაგირზე კიდლამ გული შეუღონდა.

უტანდარმა ცხენს ლაგამი მოზიდა. დოდოს მიუბრუნდა:

— რას გამიჩუმდი?.. სადა ჰქრის შენი გონება... მაინც არ მითხარი... უთუოდ ოვსთ-ბატონიშვილებთან... ეს კარგად ვიცი, მაგრამ რომელია...

უტანდარს აღარ დასცალდა, დოდო თითქო რაღაც ძალამ შეაჯახაო, უნაგირს გადმოეკიდა.

— ღმერთო, რა მოგდის, ქალო?.. უშველეთ!

შინაყმები მოიჭრნენ, ხელი შეაშველეს. უნაგირიდან ჩამოიღეს გულწასული ქალი.

უტანდარიც ჩამოხტა.

აქ უხვირო ადგილი იყო. აბულ-ასანის სასახლის ერთ ფარსანგზე დაშორებით, ალმართი, ფერდობი.

უფრო ახლო წვრილ ხელოსანთა ერთ-სართულიანი, ბანიანი სახლები იდგა.

უახლოეს განაპირა სახლს მიადგნენ. იქით შიაშურეს.

ბავშვებით სავსე იყო კარაპანი. ასეთი უჩვეულო სტუმრების მიახლოვებით დამფრთხალნი, ბელურებივით დაიფანტნენ. ზოგი ბანზე ავარდა და იქიდან გადმოწოლილმა დაუწყო ყურება ახლად მოსულთ, ზოგნი კიდევ სახლის გვერდებს ამოეფარნენ და იქიდან შეჯგუფულად უწყეს ჭვრეტა.

ერთი დედაბერი კარაპანში, სახლის კარების ზღურბლთან იჯდა და ეტყობოდა თან მზეზე თბებოდა, თან მოდუნებულის ხელებით მატყლს ართავდა.

უცხოების მოსვლაზე მზისგან ცალი ხელით თვალები დაიფარა და ისე გამოხედა. დაეტყო გაკვირვება.

გულწასული დოდო მის წინ მიიყვანეს.

დედაბერს მხლებელმა უბრძანა, რომ რაიმე ქვესაგები გამოეტანა.

დედაბერი წამოიზლაზნა და უკბილო ბგერით, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა:

— მობრძანდით, შვილებო, შინ მობრძანდით.

შევიდნენ. დოდო ტახტზე დაასვენეს. დედაბერი დაფაცურდა. თახჩიდან რაღაც აწოწილი ქილა გადმოიღო.

უტანდარ თავს ადგა დოდოს:

— წყალი, ჩქარა, წყალი.

— წყალი არ უნდა, დედაშვილობას... აი, ეს აყნოსვინე.. დოდომ შეისუნთქა ნამზადი.

წამწამებმა ხამხამი დაუწყეს. აგერ, აგერ, თვალებიც გაელო, ამღვრეული, უაზრო.

— რა მოსვლია, ნეტა, მაგ ქალსა?.. ეხლა აღარა უშავს რა.. წარმოსთქვა დედაბერმა.

უტანდარი ტახტთან მიჩოქილი ავადმყოფს ელოლიავებოდა.

— დოდო, ჩემო კარგო!.. ნუ გეშინია... მალე მოსულიერდები, მალე.

დედაბერს მის კითხვაზე ერთმა მხლებელთაგანმა უპასუხა:

— გზაში უეცრად ცხენზე გული შეუღონდა.

დედაბერი მივიდა ახლოს და თითქო გამოცდილი თვალით კარგად გაისინჯა გულ-შეღონებული.

ჩაიქირქილა:

— ხომ არავინ უყვარს, ნეტა?..

ამ კითხვაზე უტანდარმა თავი მოიბრუნა. მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ ვილაც დედაბრისას იყვნენ.

— შენ ვინა ხარ? — მიმართა დედაბერს უტანდარმა.

— უი, დიოფალი... ჩვენი დიდი დიოფალი, უტანდარ!..

და დედაბერმა ჯერ კიდევ კარგად შენახული, მსუქანი და მოთეთრო, კარგა ნაპატიები ხელები მუხლებზე დაირტყა.

— მიცნობ?

უფრო მხიარული კილოთი შეეკითხა უტანდარი და წამოდგა, რადგან დოდოს თანდათან ფერი მოსდიოდა.

— შენ ვინ არ გიცნობს, გენაცვალოს ჩემი თავი, ჩვენი მწყალობელის, დიდი აბულ-ასანის მეუღლეს. შენ რომ აქ ჩამომივლი ხოლმე, სულ ყველას თვალი გვრჩება ზედა.. ანგელოსი ხარ, ანგელოსი... ღმერთო, ეს რა ბედნიერებაა ჩემ თავზე... ვინ ღირსა თქვენს სტუმრობას...

დედაბრულად გააბა მასპინძელმა, მაგრამ უტანდარმა შეაწყვეტინა:

— მაინც ვისთანა ვართ?

— მე, გენაცვა, კევორქ ჩუსტუზიანის გამზრდელი ვარ, გადია.

— კევორქი ვინ არის?

— კვეორქი არ იცი?.. მაგრამ საიდამ გეცოდინება... მარჯვენა ხელია გენაცვა ზანქანის, მისი მესაიდუმლე ის არის, მისი მთავარი ნოქარი...

დოდო თითქო მოკეთდა; უტანდარს მიაპყრო თვალები, ჯერ ღიმილმა გადაურბინა და შემდეგ ისევ სევდის ბინდი მოებურა... დაილუღლუღა:

— ორივენი... ორივენი...

და თვალები დახუჭა.

უტანდარი კვლავ შეშფოთებული დაიხარა მისკენ:

— რა იყო, გენაცვალე, რას ამბობ?.. ვინ ორივენი? რა გინდა სთქვა?

მაგრამ დოდო პასუხს ალარ იძლეოდა.

— ნუღარას ეტყვი, დიდო დიოფალო.

ჩაერია დედაბერი.

— ეხლა მავისთვის დასვენებაა საჭირო... სხვა არა უნდა რა... ცოტა წაიძინოს... რა ანგელოზი ქალია... ვინა ბრძანდება, ნეტა?..

უტანდარს არ უპასუხნია გაახსენდა, რომ მეტად იგვიანებდნენ.

უბრძანა აბულ-ასანისთვის ეცნობებინათ: დოდო გზაზე უქეიფოდ შეიქნა და ამან შეგვაგვიანაო. თანაც უბრძანა — ავადმყოფის მოსვენებისათვის ხელი არ შეეშალნათ და გარეთ დაეცადნათ.

მხლებელნი გალაგდნენ.

ერთი მათგანი კი მყისვე ჭენებით აუდგა ალმართს.

უტანდარი ჩამოჯდა დოდოს ფერხთით და მოაგონდა დედაბრის ყურთჩარჩენილი შეკითხვა. მიუბრუნდა:

— რა მკითხე ძუღან?

— ის გკადრე, დიოფალო, ვინა ბრძანდება მეთქი?

— ოო, ესა?.. ეგ ჩემი მეგობარი ქალია, არიშიანთ ასულია... ქავთარი ხომ იცი, იმისი დაა.

— ოო, როგორ არ ვიცი, შენ შეგეგვლე... არიშიანები ვინ არ იცის.

დოდო თანდათან უფრო მსუბუქათ სუნთქავდა.

დედაბერი მართალი გამოდგა: ჩაეძინა.

უტანდარმა მიიხედ-მოიხედა ოთახში: ღარიბი იყო იქაურობა, მაგრამ სისუფთავე კი ემჩნეოდა. ერთ კუთხეში თახ-

ჩა რაღაც უცნაური ქილებით და ქოთნებით იყო გამოჭიკნილი.

— რა ხელობის ქალი უნდა იყო? მკურნალი ხარ, მკითხავი, მარჩიელი?

ჰკითხა უტანდარმა.

— ყველაფერი ვარ ცოტ-ცოტათი, შენ შემოგევლე.

უტანდარს დაეტყო, რომ რაღაც უცნაურმა აზრმა გაურბინა თავში: თვალები მზაკვრული სიხარულით აუციმციმდა, მეწამული ბაგე ცბიერმა ღიმილმა გაუპო.

— შენ ქართველი არ უნდა იყო, გეტყობა. ქართულს კარგად ლაპარაკობ, მავრამ გამოთქმა უცხოური გაქვს... არც სომხისას ჰგავს.

ცოტა შეგვიანებით წარმოსთქვა უტანდარმა.

— რუსი გახლავარ, დიოფალო.

— რუსი?..

თითქმის სიხარულით შეჰკივლა უტანდარმა და მთელი ტანით დედაბრისაკენ მიბრუნდა.

დედაბერმა ყური ცქვიტა. გამოცდილებამ სწრაფად ამცნო, რომ ამ დიდებულ ქალს რაღაც შესჭირს ეშმაკური და ამ ჭირში დედაბერმა შეიძლება სარგებლიანი წონაწილეობა მიიღოს.

„ბედი მომადგა კარსაო!“

დედაბრის გრძნობამ ჩამორეკა ეს მშვენიერი ზარი.

გამხნევდა. მოხსნა პირი:

— დიაღ, რუსი გახლავართ. დემეტრე მეფის დროს ტყვეთ მომიყვანეს 13 — 14 წლის გომბიო. კევორქ ჩუსტუზიანის მამამ მიყიდა და მას აქვთია მათ ვეშსახურები. ამ ბოლო ხანებში კი კევორქმა განმათავისუფლა, აი, ეს ქოხი მიყიდა. ვცხოვრობ შიგა და ხან წამლებს ვყიდი, ხან ვმარჩიელობ, ამითი ვირჩენ თავსა.

— გათხოვილი არა ყოფილხარ?

— იი, შენ კი გაიხარე... ტყვე ქალს, აბა, ვინა ჰკითხავს ან გათხოვებას, ან...

ვერ დაასრულა.

აწითლებული უტანდარი ზეწამოდგა, დედაბერს მხარზე ხელი დაადო და კუთხისაკენ გასწია:

— რუსული გახსოვს?

— მართალია, ცოტა გადავეჩვიე, მაგრამ კიდევ კარგად მახსოვს. ჩემთან ბევრი პოლოვცელი დაიარება, აი აქ რომ ყიჩაყებს ეძახიან, მათი ქალები, ბავშვები, განსაკუთრებით ახლათ ჩამოსულები, რადგანაც ჩემს წრეში მათ ხშირად მოენეთ გამოვადგები ხოლმე, ჩემს გაზრდილ კევორქს ხომ რუსულის ლაპარაკს არაფერი ურჩევნია, კარგათ იცის... მახსოვს, დიოფალო, როგორ არ მახსოვს.

უტანდარი თითქო რაღაც ღრმა ფიქრში იყო. ეტყობოდა თან ესმოდა თქმული და თან საზრისობდა. ბოლოს წარმოსთქვა:

— შენ მე ძლიერ გამომადგები...

— შენდა სანაცვლოდ ჩემი თავი, ცარევნა... ეს მეფის ასულს ვეძახით ესე...

ამ სიტყვებით დედაბერი უტანდარის სარტყელს ემთხვია:

— სხვა ოთახი არა გაქვს?

დედაბერი გულში თითქმის სიცილად აქვითინდა, მაგრამ სახეზე მხოლოდ ღიმილ-შერეული სამსახურისათვის მზადყოფნა გამოხატა და მოახსენა:

— აქეთ მობრძანდი.

პატარა კიბე ადიოდა ზევით სანთიობოს, ბანისაკენ.

უტანდარმა გადახედა დოდოს.

დედაბერმა შეამჩნია:

— სძინავს, დიდო ბატონო, ნურაფრი გერიდებათ.

გულში კი ფიქრობდა ხანდაზმული დედაკაცი:

„როგორ ყველაფერი ერთ რიგზე მიდის ცხოვრებაში. მისი დიდებული, მისი მცირე, მეფე და პაიკა, თუ გულის თქმამ დაიპყრო... სულ ერთია! მუდამჟამ ერთგვარ ხრიკს მიმართავენ... ეს დიოფალიც ამ გზით მიდის... მაგრამ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცი... თავისთვის უნდა, თუ იმ გულშეღონებულისათვის... მე კი ვატყობ, რომ გავკეთდი...“

გული აუტოკდა დედაბერს. სანთიობოს შეიყვანა.

მომცრო ოთახი იყო, უსარკმლო, მაგრამ პატარა ხატს წინ, ერთ კუთხეში წმინდა სანთელი ენთო და მისი სინათლე საკმაოდ ანათებდა მეტად ფაქიზად შენახულ, სადათ მორთულ სამყოფელს.

მეორე კუთხეში ფართო ტახტი იდგა და ზედ დიდი სისუფთავის ლოგინი იყო გაშლილი.

— ეს რა არის? ატლასი?

ხელი შეახო უტანდარმა დაგებულ საბანს.

— დიახ, ატლასი გახლავს.

— მერე, ვისია ეს ლოგინი? შენი?

— არა, ბატონო.

— მაშ, ვისი?

დედაბერი მუხლებში ჩაუვარდა უტანდარს:

— მომიტევე,... სტუმრები დადიან.

უტანდარი მოიღუშა.

— რა ვქნა, ბატონო... ერთი ოხერი დედაბერი ვარ, რითი ვიცხოვრო?

— მერე, სასჯელის არ გეშინია? ვერ გაიგე, რომ თამარს სასტიკათ აქვს აკრძალული ესეთი.., ესეთი...

სიტყვები ვერ მოსძებნა უტანდარმა.

მაგრამ დედაბერს აღარ დაუცლია: იგი ცოტაზე არ იყო შეშინებული და ეხლა გულითა სთხოვა უტანდარს, რომ მისთვის მოწყალების კალთა გადაეფარებინა.

— თუ გაგიმჟღავნე, დიდო დიოფალო, ჩემი საიდუმლო, მე სულელმა გავიფიქრე, რომ რაღაც მოსაზრებით შეიძლება ეს ზანთიობო თვით შენ დაიჭირვო მეთქი... ნუ შემრისხავ...

— დიახ, მჭირდება...

უკვე გადაჭრით და შეუვალათ გასცა ბრძანება უტანდარმა.

— მხოლოდ ამიერიდან სტუმრები არ უნდა იყვნენ... გესმის?

დედაბერს თვალები აუხამხამდა თითქო მზაკვრულად, თითქო თანხმობის ნიშნადაც, ფეხზე წამოდგა და ამ ჟამად მარტოდენ დაბლა თავდახრილი, მორჩილებით უსმენდა.

— უხვ გასამრჯელოს ჩემგან მიიღებ...

დედაბერმა მუხლზე აკოცა.

უტანდარმა ზეასწია დედაბერი და ისე ჰკითხა:

— რა გქვიან?

ბავშვობის სახელი ანუსიაა, აქ კი ანუშაკს მეძახიან... ყველა ასე მიცნობს.

— მაშ ესე, ჩემო ანუშაკ...

და უტანდარმა თითქო მოათავა რაც უნდოდაო, ისევ ჭვევით ჩამოვიდა და დიდოსაკენ გასწია.

დოდოს, ეტყობოდა, მშვიდად ეძინა.

უტანდარი მიუჯდა შორიახლოს და რაღაც ფიქრს ჩაეღრმავდა.

დედაბერი კარგა ხანს უცქერდა ორ უცხო ასულს, ეს-ე მოულოდნელად მის სტუმრებათ ქცეულს და მისი დიდი ხნის გამოცდილი თვალით თითქო უფრო ახლო ეცნობოდა მათ გარეგნობას და მათ შინაგან არსსა.

თითქო გამოცდილი მწიგნობარია, წელთ სრულიად უცნობი, მაგრამ ძვირფასი წიგნი ჩავარდნია, ნელიად ფურცლავს სქელს, გამძლე პაპირუსის ფურცლებს და იქა-აქ ზოგიერთ წინადადებებსაც კითხულობს, რომ ოდნავ მაინც მიხვდეს მის შეცულებასაო.

უტანდართან ახლოს მიიწია. თითქმის ჩასჩურჩულა ყურში:

— მაგ მშვენიერ ასულს ამ ჟამად არა უჭირს-რა, მალე გამოიღვიძებს სრულად, კარგადაც იქმნება, მაგრამ შემდეგ უნდა გაფრთხილება, თუ საწადელს ვერ ეწია, დაავადდება, გულის შეღონება დაჩემდება, მწყალობელო ბატონო.

უტანდარს თითქოს არა გაუგონია-რა ნათქვამისაგან. მწოლოდ თავი მოიბრუნა დედაბრისაკენ და თვალებს დაეტყო გაუგებრობა.

დედაბერმა გაუმეორა ნათქვამი.

ეხლა უფრო გულისხმიერი იყო უტანდარი. მისი გული შეშფოთდა და ანგარიშმიუცემლად განემზადა დოდოს საშველად, მხოლოდ არ იცოდა რითი და როგორ, მაგრამ სწორეთ ამ დროს შემოვიდნენ აბულ-ასანის მიერ მოსაშველებლად წარმოგზავნილი დიდებულები.

დოდო ფრთხილად გააღვიძეს და, თუმცა ბევრი იუარა, ცხენით უნდოდა წასვლა, მაინც ძვირფასი საკაცეთი აბულ-ასანის ალმართს აუყენეს.

უტანდარმა მხლებლებს უბრძანა, რომ დედაბერი დაესაჩუქრებინათ.

მხლებელმა აბრეშუმის ქსოვილის ქისიდან ერთი ბაჯალლო ამოიღო და თვალებაციმციმებულ დედაბერს ხელში ჩაუდო.

სტუმრები რომ გაეცალნენ, ანუშაკმა ფული მზეზე გასინჯა.

ეს იყო ერთი გოჯის ოდენა მომრგვალებული ოქრო. წელის გულს საგრძნობლათ ამძიმებდა. ზედ არაბულად ეწერა:

„დედოფალი მაღალ-ხარისხოვანი, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, შემდეგი მეფისა, ღმერთმან ადიდოს ძლევანი მისნი“.

ბევრნაირათ გახარებული ანუშაკი სახლში შებრუნდა და ერთი მომცრო, რკინის სალტეებით შეჭედილი, კოხტა სკივრი გააღო.

გზაში დოდო დიაღ გამოკეთდა, ღიმი მოუვიდა.

მის გვერდით, მოუცილებლად, ცხენით უტანდარი მისდევდა და დოდოსკენ იყო გადახრილი.

ეხუმრებოდა. დასცინოდა გულის შეღონებას და სიფრთხილით, მაგრამ მაინც კვლავ უსაყვედურებდა, რომ დოდომ გულისხადები მაინც არ გაუმჟღავნა.

უცბად გაახსენდა.

— მართლა, ძუღან რომ წამოიძახე ორივენი, ორივენიო... ის რაღა იყო?

დოდოს ღრუბლებმა გადაურბინა. შეგვიანებით უპასუხა:

— ეგ... ჩვენ ორივეზე ვსთქვი... ორივენი მეცა და შენც... უიმედო სახმილით ვიწვებიო.

— უიმედო?

მხოლოდ გაფიქრებაღა მოასწრო უტანდარმა. წაუბარი ამ ალაგს აღარ ეხერხებოდა.

უკვე აბულ-ასანის ეზოში შედიოდნენ.

თავი მეთოთხმეტე

ნელი საუბარი დიდ საგნებზე

33

- სასახლეში რომ დაწინდვის ინდიქტიონი გამოცხადდა, დოლბანდმოხვეული, შარვანის წარმომადგენელი იჯდა თავის მომცრო, მაგრამ კოხტა სენაკში და მუხლმოკეცილი მოგრძო ეტრატზე ბატის ფრთით, ესე წყობილსიტყვაობდა არაბულად:

„მგოსანთა შორის რჩეულსა და გულითად ძმათა შორის უსაყვარლესს ბატონს ნიზამს, მდაბალს სალამს მიუძღვნის შორეულ საქართველოდან მანძილით განშორებული, მაგრამ სულით განუყრელი უმრწემესი ძმა სკანდიერ-ალ-მულქი.

„გაუწყებ ამბავსა საქართველოსას: გამოცხადდა დაწინდვა დიდებულის თამარისა ვიღაც უფლისწულზე, რომელაც არავინ უწყის რა მოდგმის არის, საიდგან და ვისი შთამომავალი. ხმას ავრცელებენ, რომ ვითომ რუსთა მეფის შვილი უნდა იყოს, მაგრამ უცნაურად მოხდა მისი საქართველოში ჩამოყვანაც. არავითარი ამალა, არავითარი ზეიმი, უკაცური და უყოლიფრო... მოიყვანა ვინმე ტფილელმა სოვდაგარმა. ასე იოლათ, ასე აჩქარებით და, რაც უფრო გასაკვირია, აქაც მეტათ იოლად და სიჩქარით გადასწყვიტეს საქმე ესე ვითარი.

„თვით მეფე, თამარ-საგანგებო და ცხრაგზის სანატრელი, ვითა აქ იციან თქმა, დიდ უარზე იდგა თითქმის მთელი ორი კვირის განმავლობაში, დასტური არ დაუცია. მაგრამ ყოველი მხრით შეაიწროეს, მიემძლავრნენ და, ეს უკვე ღირ ვიცი რა მიზეზით, ბოლოს მაინც დაჰყაბულდა მოთათბირეთ. მე კი ვფიქრობ, ბრძენი ქალი იმან შეაფიქრა, რომ მსახურთუხუცესის დადიანის მოხერხებით როქის სპა ყივჩაყელებისა ამხობს მოახდენდა უკეთუ მათი ქვეყნიდან ჩამოყვანილ უფლისწულს არ შერთავდნენ. თამარ-პირიმზე, ჩვეულებრივ სიფრთხილით და გონიერად მოიქცა რაკი მხოლოდ მათებური ჯვრის წერა კი არ გამოაცხადა, ამის ნება არ დაურთავს, იგი მხოლოდ დაიწინდება. ამით ხალხიც დააშოშმინა

და თავისი მეფობრივი ხელმწიფობაც გაიმაგრა. ამას გარდა ესრედ მეტყვიან: დაწინდულთ არა ხელეწიფების ჯვარის წერამდე სარეცელი თანა გაუყონ ურთიერთსაო. დაწინდვაც თუობითია და ვადა არის განსაზღვრული ერთ წელიწადამდე.

„ეხლა სრულს შენს გონებამზეობაზედ არის დამოკიდებული, თუ ვითარ აცნობებ ამ უსიამო ამბავს თამარისათვის სახმილმოდებულს ჩვენს ღირსეულ მეფეს, ალსართან შარვანისას. ვგონებ რომ სჯობდეს ნუგეშითა და დამშვიდებით მივმართოთ, რადგან ჯერ კიდევ ფონი გასავალს არის და დიდი ამბების დატრიალებაა საქართველოში მოსალოდნელი.

„გაუწყებ, რომ ოვსთ-ბატონიშვილნი, იცი მათი ამბავი, ამ ცნობისაგან გონებამიხდილნი, თავის სამთავროში გარდაიხვეწნენ და ალექსი კომნიანოსი კი სრულიად არა- სჩანს სასახლის კარზე. ამბობენ, რომ ოდიშს არის, ბედიის ურისთავთან და ნადირობით განცხრებაო.

„სხვა სულტანთა შესახებაც არ ისმის რა. იმითაც კი, ვინაც აქამდე თამარის ქმრობას სურვილობდნენ“.

აქ შეჩერდა ალ-მულქი და ბატის ფრთა ლოყაზე მიიდო, თითქო ფიქრობდა, კიდევ რაღა ვაცნობო ძვირფას მეგობარსაო.

ეტყობოდა არ აკმაყოფილებდა ის ადგილი, სადაც ალსართანის დამშვიდებაზე სწერდა, მაგრამ შემდეგ გაიფიქრა:

„ნიზამი ხომ გულთა მხილავია და ორი სიტყვითაც იგრძნობს, რაც უნდა მიმეწერა. შემდეგ, საქართველოში ნამყოფია, აქაურობას კარგად იცნობს და მიხვდება ყოველივეს.“

ამაზე გული დააჯერა. გრძელი ქაღალდი მრგვალ ჩხირზე დაახვია, მარჯვენა ცერზე რომ ბეჭედი ჰქონდა წამოცმული, მისი ფართე, წარწერიანი მხარე სანთლის ალზე გამურა და წერილის დასასრულს დაჰკრა; თავი აიღო, კარებისაკენ მიიხედა, თითქო უნდოდა ვიღაცისათვის დაეძახნა, მაგრამ უეცრად მის სახეს სიხარული გადაეფინა, სხარტად ტახტიდან წამოხტა და მისაგებებლად ნაბიჯი გადადგა.

მონას მოფარდაგული გადაეწია და სტუმრებს მოკრძალებით გზას უთმობდა.

გოდერძი ჩორჩანელი და ჩახრუხაისძე უმრწემესი იყვნენ სტუმრები.

— უსაზღვროა ჩემი ბედნიერება...

გახარებული იტყოდა სკანდიერი.

— თუმცა ვერ ვმალავ განცვიფრებას... დიდი ხანია დამიგვიანე და გადამაჩვიე შენს სასურველს დარბაზობასა.

გოდერძიმ შეუბრუნა:

— მერგების საყვედური... მოველ სულით და გულით განვისვენო ჩემს ბრძენ მეგობართან... მოგიყვანე გულისხმიერი ჰაბუკი ჩახრუხაისძე, იცნობ დია... მინდა სამივემ გავატაროთ დრო ტკბილ საუბარში.

მასპინძელმა მოხერხებულ ალაგას დასხა სტუმრები. კარებთან მდგარ მსახურს უბრძანა შარბათი და შაჭარლამები მოეტანათ.

ალ-მულქმა შეამჩნია, რომ გამოცდილებით ისედაც დაღარულ გოდერძის სახეს, რაღაც სხვა, ახალი სევდაც შემოსწოლოდა. გაუმჟღავნა:

— დავიღალე, მოვიქანცე, ჩემო სკანდიერ...

იყო პასუხი, თან განაგრძო:

— არ დაგიმალავ... ამ უკანასკნელმა ამბებმა გული დიდად დამიღონეს... დიდებულთა გადაწყვეტილება რუს უფლისწულზე... ასე უცებური... საოცარია. თამარის ბედი დიდათ მაფიქრებს...

— გმადლობ ნდობისათვის, გოდერძი... მეც სწორედ ეგეთ საეჭველ გუნებაზე ვდგევარ... და ჩემს უდიდეს მეგობარს, თქვენს კარგს ნაცნობს და საყვარელ მგოსანს ნიზამს შარგანში წიგნს ვუგზავნი.

გადმოიღო ახლათ დაწერილი გრაგნილი, გაშალა და ხმამაღლა წაიკითხა: დაასრულა თუ არა, ჰკითხა გოდერძის:

— ხომ არა დამიშავებია-რა? ამბავს ცუდად, ან ცალმხრივ ხომ არ გადავცემ?

გოდერძის გაეღიმა. მამაშვილურად უთხრა:

— გონიერი ხარ, სკანდიერო... რა დაგეწუნებას!..

შემდეგ, თითქო რაღაცაც ჩაუფიქრდა, ისე წარმოსთქვა:

— მაშ, ალსართანს კვლავ გულიდან ვერ გადაუგდია თამარის ტრფობა?

— გადაუგდია კი არა... დიდათ მაშინებს, ამ ამბის გაგებამ არა ავნოს-რა... მიტომ ვაფრთხილებ კიდეც ნიზამს, რომ როგორმე დამამშვიდებლად იმოქმედოს, თორემ, ნამდვილათ

ვიცი, ღმერთანი დიდის ამალით, ძღვენით და ზეიმით აპირებდა აქ ჩამოსვლას... რუსუდან დედოფლის იმედი ჰქონდა... უნდოდა, რომ თამარი ეთხოვნა... ამ უცებურმა და მოულოდნელმა ამბავმა მოუსწრო, თორემ... მე ამ საქმის გასაგისობაც მქონდა მათ მიერ მონდობილი...

— ყველგან გაისმა ეხლა ეს ამბავი... — ჩაერია საუბარში ჩახრუხაისძეც.

— ბიზანტიის კარისკაცი ვნახე – ძუღან... მეგობარია ჩემი და გადმომცა, რომ კეისარს სიხარულით ვატყობინებ, ალექსი კომნინოსი ვერ გამეფდა საქართველოშიო... მოგეხსენებათ, ანჟელუსთა დინასტიის ტახტის გამაგრებას დიდათ ხელს ვერ შეუწყობდა საქართველოში ალექსის გამეფება. უეჭველია, კომნინოსთა ჩამომავალი და ესეთ გავლენა მოპოებული — ხვირს არ დააყრიდა, მათი ტახტის დამჭერს, ანჟელუსებს, მაგრამ ეხლა ამ ამბავს საამურ თაიგულათა ძღვნობს მის მეუფეს ბიზანტიელი კარისკაცი და ატყობინებს — შეგიძლიან დამშვიდებული იყო, ქართველებმა ვიღაც რუსი ხელმწიფის შვილი ჩამოიყვანეს თამარის საქმროდაო... სწორედ ამ ლექსით გადმომცა.

დაჩუმდა ჩახრუხაისძე.

— რაღა თქმა უნდა ყოველგან მიჰქრის ეხლა ეს ამბავი... შეგვიანებით წარმოსთქვა გოდერძიმ:

— მეც ვნახე რომის პაპის ნუნცი დარბაზობის შემდეგ, თან ერთი ქართველი ბერი ახლდა და მან გადმომითარგმნა, ეხლავე ატყობინებს რომში აღმოსავლეთ საქართველოს ძლიერი მეფის ხვედრსაო...

— მაგას რაღა ლარი და ხაზი უნდა... — ჩამოართვა სიტყვა სკანდიერმა; — ნამდვილად ვიცი, რომ აღმოსავლეთისა და სამხრეთის სასულთნოებშიაც წაგოგმანდა ამბავი თამარის გათხოვებისა და, დარწმუნებული ვარ, მათ ნაწერში ზოგან კბილთა ღრჭენა მეუფებს, ზოგან სიდარბაისლე აღმოსავლური...

— ცხადზე უცხადესია!.. — უკვე თითქო ფიქრში და თავისთვის ბუბუნებს გოდერძი, — თამარი დიდი ვინმეა ყველასთვის. ყველას სანატრელი და სანუკვარი ორმაგ... ჰმ... ხელიდან უსხლტება ხელმწიფე ჭალი კეკლუცი საქართველოსი ბეგრს მის მოსურნეს... ეს ერთი. მეორე: მათ თვალში საქარ-

თველოს თითქო ახალი პატრონი უჩნდება, ახალი მომკლელი და, რაღა თქმა უნდა, ამ გარემოებას უნდა შეუფარდონ მადი მტრული თუ მოყვრული სახელმწიფოებრივი განწყობილება. ეს ამბავი ყველასათვის ჩამაფიქრებელია, ყველასთვის მნიშვნელოვანი... მხოლოდ საქართველოსათვის...

აღარ დაათავა... არ გამოსთქვა, რაც ენის წვერზე მოადგა და ეს უხერხულობა, თითქო შეუმჩნევლად, ჩახრუხაისძემ გამოაკეთა.

— ო, საქართველოში ეხლა ოთხივ-კუთხივ მიჰქრიან შიკრიკები. კარგად ვხედავ, როგორ დაოთხილი გარბიან ამ შიკრიკთა ცხენები ყოველი მხრით თამარის საბრძანებელისა... ვხედავ, როგორ გააქვთ ეს ამბავი ტფილისიდგან დიდებულებს საერისთავოებში, ხელოსნებს და მოქალაქეებს საფუნდუკოებში, მდაბიოთ სოფლებსა და აგარებში. ვხედავ, როგორ მიდის ამბავი მთაში, ცაცაბოვან ხევსურეთში, დავაკებულს იმერეთში, ტყიან აფხაზეთში, სამცხე-საათაბაგოსკენ, ზღვის პირებზე. მიაქვს ყველას, ვინაც კი გადის ჩვენი დედაქალაქიდან და ვისაც კი აქვს ყურნი სასმენად და ენა სამეტყველოდ. ამბავი ედება მთა და ბარს და თავის ჰანგზე არაკრაკებს ვერცხლად მოჩქრიალე ფერდობთა წყაროებს, შემოდგომის მოოქროვილ ფოთლებს უჩენს მისებრ გზასა, შრიალებს ტყე, სისინებს სიო, შარიშურობენ მინდვრის ყვავილები, ჭიკჭიკებს ფრთოსანი, მათ ხმაურში ინასკვება ამიერით ზეპირგადმოსაცემი საიდუმლო არაკი, ჩვენი ქვეყნის მთელი ხმოვანი ბუნება ალმოიტყვის თამარის ამ უცნაურ ამბავსა...

სკანდიერი ცოტა გალიმებით და ცოტა განცვიფრებით იწმენდა ჭაბუკ ჩახრუხაისძის სურათოვან მბობას, შემდეგ გოდერძის ჩუმად გადაულაპარაკა:

— ეგეც მგოსნობს?

გოდერძიმ თანხმობისთვის თავი დაუქნია.

— მგოსნობა მაგის ძმისა გამიგონია... ეგ უმრწემესია? აჰა!.. მაშ, უფროსი ეხლა სად იმყოფება?

ამ სიტყვებს ყური მოჰკრა ჩახრუხაისძემ, არაფერი არ სთქვა. თვალი შორს გაუშტერდა და მეგობრებმა შეატყეს, რომ თვალის უპე ცრემლით გაევსო.

ზრდილობით ალ-მულქიც დადუმდა, აღარ იკითხა რა, მხოლოდ გოდერძიმ ამოოხვრით წარმოსთქვა:

დიად, ჯერ კიდევ საუკეთესო ჩვენი შვილები, სხ
დასხვა მიზეზთაგან, საშშობლოს გარედ იმყოფებიან..
მაგისი ძმაც, მაგრამ... თამარ-ბრძენი, ვინც ამაზედაც ზრ
ნავს და თავის დროზე მაგასაც განაგებს... მხოლოდ რა მო
დება ეხლა, ვინ იცის, რას მოგვიტანს ეს ეხლანდელი და
გვინილება... ეჰ, რა ჩავიდინეთ ქართველებმა, რა?

ეტყობოდა, ველარ ითმენად გოდერძი და ერთხელ თქმუ
კიდევ იმეორებდა.

— ის, რაც საუკეთესო გვქონდა, რაც ჩვენი გულის გუ
იყო, გავეცით... ჩვენის ხელით ავიხადეთ ჩვენი უფლე
ჩვენი პატივი, ჩვენი სიწმინდე...

ხმა აუთრთოლდა გოდერძის და... კვლავ მოკვეცა, კვლ
აღარ სთქვა თავის სათქმელი.

სკანდიერი მოკრძალებით შეენაცვლა.

— მაინცდამაინც რაც მოხდა, გავბედავ და მოგახსენ
ბრძენო გოდერძი, საქართველოსათვის კარგად გადაწყდ
მე არ უნდა ვამბობდე ამას... მერჩივნა, რომ შარვან
მფლობელი აღსართანი გამეფებულიყო საქართველოშ
ქართველებისათვისაც სჯობდა, შესაძლებელია... მახლობ
ლია ხომ ქართველ მეფეთა ოჯახისა, ნათესავი, კაცი ფრი
გონიერი და გამგებელი, ვით მოგეხსენება, მფარველი ფილ
სოფოსთა და მგოსანთა. მისი სასახლის კარი ეხლაც სავს
წარჩინებულ ბრძენთა, ვარსკვლავმრიცხველთა და პოეტ
კოსთა მიერ... ყოველი კუთხით იკრიბება ესეთი ხალხ
შენკ ბრძანებულხარ, დიდო გოდერძი, ამ რჩეულთ გუნდ
დამამშვენებლად, ჩახრუხაისძეც ბრძანებულა... ბევრი ქა
თველი. ეხლა ხომ ყველა იქ მყოფთ შორის მომხიბვლე
გვირგვინად ბრწყინავს სახელგანთქმული ნიზამი... მეო
რობაშიც დიად ჩინებული, ვაჟკაცობით ახოვანი აღსარ
ნი... სამეფო კაცია უეჭველი, მაგრამ, რაკი ბედმა სხვაგვ
განსაჯა, მაინც კარგია, რომ თქვენი ქვეყანა დაადგა ერთს
დაჭრილს გზას, აირჩია კაცი თამარის -საქმროდ... ეს, თქვ
ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, ალაგმავს ბევრს ამბოხების მ
სურნეს... კარგად ვიცი, რომ იმერნი ჯერ კიდევ არ ისვენ
ბენ... გულდაწყვეტილობა მათი თამარისადმი ჯერ კიდევ
გამომრთელებულა... ჯერ კიდევ ვერ მოუნელებიათ, რ
ყუთლუ-არსლანის ამბოხების დროს თამარის მიერ სასჯ

ლად ერგოთ უპატიოდ განრიდება სახელმწიფო საქმეთაგან და ტახტთან გავლენის ჩამოშორება... ამას წინედ მითხრეს, რომ ვარდან დადიანს ხლებია მეტად გავლენიანი წარჩინებულნი იმერთაგან და კვლავ განუცხადებიათ უკმაყოფილება... დაწვრილებით არ ვიცი, რა საუბარი ჰქონდათ, მაგრამ ეხლანდელ დიდ მოხელეებზე, განსაკუთრებით ამ სომეხ მხარგრძელებზე, რომ ალესილნი არიან, ეს დანამდვილებით ვუწყი... ყოველივე ამას კი დიდი მოელა უნდა და... უთუოა, ეს დაწინდვა ერთბამ შესცვლის მდგომარეობასა...

— მაგ საქმეს დადიანი მოუვლის... — სთქვა გოდერძიმ.

— მეცა მწამს... — კვლავ ჩამოართვა შარვანელმა. — დადიანი ფრიად ჭკვიანია და წინდახედული... მაგრამ ესეთი გადაწყვეტა საქმისა შინაურ მშვიდობიანობისათვის მაინც დიდათ ხელსაყრელია...

ჩახრუხაისძე უკვირდებოდა სკანდელერის თქმულს და... უკვირდებოდა მის სახეს:

როგორ შეეცვალა! ნაზი, ლმობიერი და თავაზიანი, — როგორ განშორდა თითქო აქაურობას. როგორი შორსგამჭვრეტი და თან შეუვალი, უკმეხი გამომეტყველება მიიღო მისმა თვალებმა, ხმაც რომ სპილენძ-ჭურსავით ბუკბუკებს...

აქ თითქო აღარ საუბრობდა გულგახსნილი მეგობარი.

მეტყველებდა მეგობრულად განწყობილი, შეიძლება სპატრონოსი, მაგრამ მაინც უცხო ქვეყნის კაროსკაცი.

ბოლოს და ბოლოს ეგ რას დაეძებს... განა ჩვენებრ გულმახვილად იგრძნობს მომხდარი ამბის ჭართულ სიმწვავესა?.. ეგ სამეფოს უგულო სარგებლიანობით ზომავს ამ ჟამად. ეს ფიქრი ჩახრუხაისძეს თითქო გოდერძიმაც დაუმოწმა თავისი სიტყვებით.

— ცხადზე უცხადესია, გადაჭრილი და მოკვეთილი გადაწყვეტა მუდამ-ჟამს ერთგვარი გვამოსავლის მაჩვენებელია... მხოლოდ ჩვენ არ გვინდოდა ესეთი გამოსვლა ამ საქმიდგან...

— ნუ იტყვი, ბრძენო, მე სულ სხვა რასმეს ვფიქრობ, თორემ თვითონ განსაჯე; შინ ხომ დაამყარებს სიმშვიდეს ეს გადაწყვეტა, გარედანაც მოგიტანთ დიდს სარგებლობასა. დრომდე მაინც, სანამ გაიცნობდნენ მომავალ სამეფო კაცს, ამ რუსის უფლისწულს, რიდითა და პატივით იქმნებიან ირ-

გვლივ შემოსხდული სასულტნოები, საათაბაგონი და წამუწლიმანო სამფლობელონი. შარვანელებსაც სწორედ ეგა გვსურს: საქართველოს განკრძალვით ეპყრობოდნენ უცხოელები. დავით აღმაშენებლის შემდეგ, შორს განხდა ჰუბუტი საქართველოსი... ვერავინ რას ჰბედავს ახირებულად და სწორედ ეხლა იყო, რომ თამარის შერთვის მოსურნეთ საქართველოს დაპყრობა სურდათ. ხოლო, უეჭვოა, დარჩენილ მეტოქეთ გამარჯვებულებთან აუტყდებოდათ დიდი შფოთი და ომიანობა... ამას ყოველივეს ჯერჯერობით, მე ვიტყვი, თქვენი ქვეყანა დაწინდვით განრიდებულია. ეს ნამდვილია.

შეუვალად წარმოსთქვა ალ-მულქმა ეს უკანასკნელი ორი სიტყვა და კვლავ მიაყოლა:

— მე მხოლოდ შემდეგი მაფიქრებს... ერთი წლის მერე...

მაგრამ ჩახრუხაისძემ ალარ აცალა, რაც უნდოდა ეთქვა. მისი ახალგაზრდა გონება ცოდნის შეძენით აძრულიყო:

— მრჯიტევე, საპატიო ბატონო, სკანდიერ... დიდად მინდა ნამდვილი ვიცოდე: რამდენია ამ ჟამად სამუსლიმანო სასულთნო, თუ საათაბაგო ჩვენს აღმოსავლეთსა და სამხრეთისაკენ... განაგონობით ვიცი ცოტა... ნამდვილი კი... ვერა მაქვს წარმოდგენილი...

გოდერძის და სკანდიერს გაელიმათ. სულ სხვა ფიქრებით მოცულთ, სხვა საუბრისათვის განმზადილთ, თითქო იამათ კიდეც ჩახრუხაისძის ესეთი ჭაბუკური მიმართვა და თავაზიანმა მასპინძელმა ხომ არ დაუყოვნა ეცნობებინა საწადელი.

— აი მოყმევ, აღმოსავლეთ და სამხრეთით ირგვლივ თქვენი ქვეყნისა, შარვანი რომ არ ვიანგარიშოთ, სულ თერთმეტამდე სამფლობელოა მუსლიმანთა: ბიზანტიის გამოღმა, ტრაპეზუნდის სამხრეთით ნიკიას იმპერია სძევს, იმის აქეთ, ხმელთაშუა ზღვაზე იკონიის სასულთნოა, ანუ რუმისა და მისი საზღვარი კარისის ციხემდე და ოლთისამდე მოდის. იკონიის სასულთანოს გალმა, ისიც ხმელთაშუა ზღვაზე სალადინის სასულთნოა და მას უპყრია საქრისტიანო იერუსალიმი, ალეპო და ედესსა. იმის გვერდით, ჩრდილოეთით ბალდადის სახალიფოა. ბალდადსა და სალადინის სამფლობელოს შუა, უფრო ჩვენსკენ, ქურთისტანია და მას აქეთ კიდევ, ვანთან ახლო, ხლათის სულტანი, გურგანის ზღვიდან ადარბადაგანია და თავრიზი, ხოლო გურგანის ზღვის გალმა სამხრე-

თით ერაყი უძევს, აღმოსავლეთით ხვარაზმშას სამეფო და იმ-ს იქით კიდევ ინდოეთის უკიანემდე ღაზნელების სასულთნო არის... მაგრამ უფრო ადვილად გასაცნობად რუქას მოგართმევ...

და ფეხზე მარჯვეთ წამოიჭრა სკანდიერი, თან განაგრძობდა მიმავალი:

— არაბეთში შედგენილია და ზედმიწევნით ნაჩვენებია ყველა სასულთნო, ციხეები, ქალაქები, ზღვები და წყლები...

მშვენივრად მოხარატებული კიდობნიდან ერთი ადლის სიგრძე გრაგნილი ამოიღო და უცხო ხალიჩაზე სტუმრებს ფეხქვეშ გაუშალა.

წვეულნიც ქვეჩამოსხდნენ და რუქას დიდის ცნობისმოყვარეობით სინჯვა დაუწყეს.

გამოცდილი ხელმძღვანელის მეოხებით მალე გზა გაიგნეს და კიდევ უფრო მეტი სიხარული იგრძნეს ცოდნისაგან გამსუყნებულთა.

თვალნათლივ დაინახეს საქართველოსთან როგორ მიჯრით იყვნენ მიწყობილნი უცხოთა სახელმწიფონი. თითქო განგებ საქართველოში შემოსასევად დამწკრივებულან პატარა-პატარა რაზმებად.

— ეს რაღა არის?

შეუჩერდა თვალი რუქაზე ჩახრუხაისძეს, ინდოითის მოღმა ღაზნელების სასულთნოებამდე, ხვარაზმშას სამეფოს გასწვრივ.

— ო, ეს დიდი ველია. აქამომდე არავინ იცოდა, რა ხალხი ცხოვრობდა ამ ველზე, რადგან ეს ველიც ხან ერთს დიდს მეზობელ სამეფოს ეკუთვნოდა და ხან მეორეს, ამიტომაც იქაურ მცხოვრებლებს დიდ ყურადღებას არავინ აქცევდა, მაგრამ ეხლა კი თანდათან ირკვევა... ამბები ღაზნიდან და ხვარაზმშას სამეფოდან ჩამოსულებს მოაქვთ. მაგალითად, შარშან ჩემი შარვანში ყოფნის დროს, ერთი არაბელი მოგზაური ვნახე, საახალის კარზე. საოცრება რამ გვიამბო: იქ წინეთ მოთარეშე ხალხი ცხოვრობდა, უთავბოლო და გზადაკარგული. ნადირობითა და მეჯოგეობით იკვებებდნენ თავსა, არავითარი სახელმწიფოებრივი წყობილება არა ჰქონდათ და ემონებოდნენ ამ ბოლო ხანებში ხან ხატაეთს, ხან ღაზნელებს, ხან ხვარაზმს. ეხლა კი შემჭიდროებულან, გამოჰყო-

ფიან ორივ ამ დიდ მეზობელთ, შეუქმნიათ თავიანთი სამეფოს მსგავსი შეკრებულება და ძალიან ავიწროებენ მთელს აღმოსავლეთსაო. უცნაური ხალხია: ეხლაც ცხენის მოშენებას მისდევენ მათი წინაპრებივით, იკვებებიან ცხენის ხორცითა და რძით, ზოგჯერ მძოვრსაც მიირთმევენ და იმდენად ველურები არიან, რომ ზოგი მათგანი გარდაცვალებული მშობლების ხორცსაც შეექცევაო, თუმცა, იმავ დროს, მეტად გაბედულნი, მამაცნი და დაუნდობელი მებრძოლნი არიან. ამ ჟამად ვიღაც გონიერი მეთაური გაჩენიათ, ისიც დიდი სისხლის მღვრელი ვინმეა, თურმე, მაგრამ შემკრებლობითი დიდი ნიჭი აქვს, შეუერთებია ეს მოთარეშე წვრილი ურდოები, რომელთაც იმ მოგზაურმა თათართა ურდოები უწოდა, ან როგორ არის?.. რა დაარქვა?.. ჰო, ჩემთვის ჯერ გაუგონარი სახელი... მუღალები, თუ მანღულები...

გოდერძი გამომცდელად შეაჩერდა სკანდიერ-მურქს: ბიცრუეს ხომ არ იტყვისო, მაგრამ შარვანელ დარბაისელის სახეს ისეთი უხუმარი ზრუნვა აღბეჭდოდა, რომ ეჭვი მყის გადაეყარა ჩორჩანელსა და გულმოდგინედ დაუგდო ყური.

სკანდიერმა კი ასე დაათავა:

— და, აი, დიდი საფრთხე მოელით ამ ახალ რჯულის ხალხთაგან მთელ სელჩუკიან თურქოა სახელმწიფოებს და... ვინ იცის, ჩვენ, შარვანელებს, მაშასადამე საქართველოსაც...

კიდევ უფრო დაელარა შუბლი დოლბანდიან გონიერსა.

— ამას ჩვენში არავინ უწევს ანგარიშს...

ჩახრუხაისძემ ზეაიხედა და თვალნი ჩაფიქრებულ გოდერძის მიაპყრო, თან წარმოსთქვა:

— ჩვენში ამ ხალხის თითქმის არავინ იცის-რა, ესეო ბრძანთ, რომელთაც უმოგზაურნიათ...

და თავი გადახარა გოდერძისაკენ.

— შეიძლება მაგათ მოეხსენებოდეთ, ან კიდევ ზოგ სწვებს ღირსეულთა, მაგრამ მათი ცოდნის ჩვენ ნაკლები ზიარნი ვართ და მათი შექმნილი ნაწერი ცოტა ვრცელდება, მხოლოდ რჩეულთათვის... სამეფომ კი უნდა იცოდეს, სად ცხოვრობს, რა მეზობლებში, საიდან რა ჭარის ამოვარდნაა მოსალოდნელი...

შედგა ახალგაზრდა. დიდმა საგონებელმა დაწძლია და

გამოცდილ ადამიანთ თავისი ჭაბუკური საწელმწიფოებრიკი მოსაზრებანი სრულად აღარ შეჰკადრა.

გოდერძი თითქო მძიმე ტვირთის ქვეშ შეიშმუშნაო, აქაურობას თვალგანშორებულმა დაჰსძრა ენა:

— მივლია ამ ქვეყნებშიაც. ღაზნას ვიყავ და ინდის მდინარესაც მივაღწიე. ხვარაზმის სამეფოში კი ვერ შევედი, რადგან იქ ჩემსობას, რამდენათაც გავიგე, დიდი, ძმათა მშუსვრელი ომი ჭონდათ. იქაური ხვარაზმშა, ილ-არსლანი, ახალი გარდაცვალებული იყო და მისი მეკვიდრეები, ალაედდინი და მუჰამედ სულტან-შა, ტახტისათვის ერთი მეორეს ებრძოდნენ...

— ეხლაც ეგრე იბრძვიან, თურმე...

ჩამოართვა სიტყვა სკანდიერმა:

— აგერ თორმეტი წელიწადია ესეთ ომის ალში არიან გახვეულნი და... უგუნურები, ვერ ამჩნევენ, როშ მათს გვერდით უშველებელი, უცნაური, ველური და განუკითხავი ახალი ხალხი მკვრივდება, მჭიდროვდება, იზრდება და... მითქვამს მე ჩემი... ამ ახალ ურდოს შეუძლიან წალეკოს მთელი ნაცადი ეროვნებანი, დაიმონოს, დააგლახაკოს და გააველუროს. თვით რუსეთშიაც, მეზობელ ყივჩაყების ზემოდ, კომანთა ქვეყანაში, მათი მონაგლეჯი ტალღა უკვე დათარეშობს, თურმე.

— ეს ძალიან დამაეჭვებელი და ჩამაფიქრებელი საქმე გვჭირვებია.

კვლავ შეეწაცვლა შარვანელს ჩახრუწაისძე:

— მაგრამ, მაინც გულს შიში არა აქვს— თუ ახლოს მაგრად ვიქმნებით, თუ საჩვენოს კარგად მოვუვლით, ვერას გვიზამენ გარსშემოხდულნი. ძუღანდელმა თქვენმა განმარტებამ დიდად ნუგეში მცა. ეს დაწინდვაც რუსის უფლისწულისა ერთი წლის სიმშვიდეს უთუოდ შეგვძენს და ამ ერთ წელიწადში კი ბევრს რასმე შევიტყობთ და შევისწავლით, როგორც შინ, ისე მახლობელ გარეთ და იმის გარეთაც, აი თუნდა იმ შორეულ ველურებზედაც, რომლებიც ეგრეთ საფრთხეთ შეიძლება შემდეგში მოგვევლინენ...

— შენ პირს შაქარი! ახალგაზრდა ხარ და შეგფერის იმედიანობა.

სათნო ღიმილით წარმოსთქვა უკვე ფეხზე წამომდგარმა გოდერძიმ.

— მართალი ბრძანა სკანდიერ-ალ-მულქმა: ერთი წლის შემდეგ რა იქმნება?.. საქმე, აი, ეს არის! ერთია ცხადი: დღეს შევცდით ქართველები. ძლიერებმა გაგვიყოლიეს და თამარ უკიმიროც თავისი სიბრძნით ჯერჯერობით მათ მიემხრო. მისგან კი ეს შეცდომა არ არის. ეს მწამს სრულიად... აქ სულ სხვა ამბავია... ეს არის სანუგეშო და ისიც რომ... ადამიანთა ცხოვრებაში წელიწადიც დიდი მანძილია, გვქონდეს იმედი ჩემს უმრწემეს მეგობარსავით, რომ ბევრ რასმეს გვეტყვის ეს წელიწადი. და, თუ ჩვენს თავსვე დავეყრდნობით, არასოდეს არ მოვტყუვდებით. ამას დამიმოწმებს თვით ჩვენი გონიერი მეგობარი, საპატიო სკანდიერ-ალ-მულქი, რომელმან იცის ჩვენი წარსული და იცის ისიც — ოდეს ქართველი თავის თავს უჯეროდა, თავისი თავი სწამდა, მუდამ გაუმარჯვნია. ეხლანდელი ჩვენი გადაწყვეტილება კი მე ამ რწმენას შეურყევად მიმაჩნია და ეს მასევდიანებს... მაგრამ... ფრიად შევაწუხეთ ჩვენის ხანდაზმული აქ ყოფნითა ჩვენი ზრდილი მასპინძელი და ბოდიში მიღოს ჩვენგან.

სკანდიერ-ალ-მულქი შეწუხდა, რომ სტუმრებმა წასვლა მოინებეს. კარგა ხანს სთხოვდა დარჩენას და საგულისხმო საუბრისა და თავის შექცევის განგრძნობას. მაგრამ გოდერძიმ მოხუცება მოიმიზეზა — სუსტათა ვარ, ბებერ ძვლებს განსვენება სჭირდებაო — და ამითი დასტური მიიღო მეგობართან განშორებისა.

ზრდილი მასპინძელი მსახურთა თანახლებით ქვემო კარიბჭემდე ჩამოჰყვა საამურ სტუმრებს და მდაბლა თავდახრით გამოესალმა.

თავი მეხუთმეტე

გზა ნავზაურზე, წყალი ნარწყულზე

კზ

სკანდიერ-ალ-მულქის სახლის შემდეგ ჩაივაკეს.

— გავსწიოთ საგოდებელთა სანახებისაკენ! — წარმოსთქვა ერთხანს მდუმარედ მიმავალმა გოდერძიმ.

— აგვისტოა მიწურულზე, მაგრამ დღესაც მაინც ცხელი დღე იყო ჩვენს დალოცვილს ტფილ ქალაქში.

განაგრძო მანვე:

— ხედავ, ეხლა მწუხრის სიგრილეში როგორ ნებივრობს სიცხე დღისა...

— დიაღ, კარგია ეხლა საგოდებელთაკენ: სიმყუდროე, სიგრილე. განშორება ამ მოკირწყლულ ქუჩებისა, ამ ქვითკირის იწროებისა.

დაადასტურა ჩახრუხაისძემაც.

ფეხით მიდიოდნენ. ცოტა წაუჩქარეს.

ჩახრუხაისძემ გოდერძის ყურადღება მიაქცია:

— შორი-შორს უკვე მოკიაფობს პირველი მოციქულები ღამის დასაწყისისა... ქვემოთაც, ხედავ, ბატონო, ნელი-ნელ ეწთება დედაქალაქის საცხოვრებელთა ლამპრები. მთვარე რაღას იქს?.. ჰმ! ჯერ კიდევ ვერ დაუპყრია ამ ნამგალას სინათლის ტახტი.

— დიაღ, ის ჯერ მხოლოდ თანამოსაყდრეა.

დასძინა გოდერძიმ და ორივემ ამ დარბაისლურ ხუმრობაზე გაიღიმეს.

ჩახრუხაისძე არ ისვენებდა:

— აგერ, ბატონო, ჩვენი დიდებული ისანის სასახლე... თითქო პირველად მენახოს... შეხეთ, მისი სხვადასხვაფრად აჭვივებული სარკმლები როგორ საცვიფრელ სინათლეებად იღვრება. მისი, ალგეთის ქვით ნაშენი მყარი კედლები ამ კლდეზე გადმომდგარი, ფოლადის ფერ ჯავშნით მოსილ გოლიათს ჰგავს ამ საღამოს ბინდ-ბუნდის ნიაღაგზე.

გოდერძიმ აჰხედა.

რამდენჯერ დაუნახავს მასაც, სწორედ ამ მხარიდანაც ეს

სახანლე, მაგრამ ენე მწვავედ რამ უჩნვლიტა ენლა გულში. როგორ თავდამსხმელ მტერივით, ანაზდად მოერია მთელი ჯგრო და ჯარი ფიქრებისა.

„საქართველოს განმტკიცებული ხმა ამ ხახახლეში იჭედება მუდამ... მუდამ? ჰოი, საყვარელო საქართველოვ! რამდენჯერ გაგშავებია აქკე შენი ბედი. რამდენი შავი დილა გაგთენებია აქვე... „რა შავ დილა!“ ხალხი რომ მღერის, სულ ამ უბედო დღეების შექმნილია, უხსოვარ დროთაგან მოდის ეს სიმღერა... ხეთა და ურთა, ნაირი და ქალდუ... უკან დახევა, უკან დახევა ჩრდილოეთისაკენ...“

საუკუნეთა წყვდიადში ჩაიკარგა გოდერძის მოგონება.

„რა შავ-დილა, რა-შავ-დილა!“ — სევდის კილოთი კინაღამ ამღერდა ეს სიტყვები მის შეგნებაში.

„მერე, რამდენი? რამდენი დილა და საღამო, დღეები თვეები, წლები, ზოგჯერ... საფიქრელადაც საშინელია, საუკუნოები... მადლობა ზენას, ეხლა ყოველივე გამოვლილია. უკვე კვლავ ფეხზე წამოვდექით, კვლავ შორს განხდა ჩვენი ხმა დიდებისა. ურართუს მიწა-წყალზე ისევ დადგა ფეხი ქართველთ ლაშქარმა. მალე ვანის ქალაქამდეც ჩავაღწევთ... ვანი! ჩვენი ძველი ქალაქი, ტუსპა ჰე, ჰე, ჰე! შეიძლება ტურფა?.. გადამწერს თუ შესცდა“.

მაგრამ აღარ გამოუდგა ენათმეცნიერების ამ შტოზე თავის მტვრევას.

ამაყად ჩაიღიმა გუნებაში. ფიქრმა განაგრძო:

„ღალისის ხეობა ხომ კვლავ ჩვენია. ცოტაც და, კიდევ მივაღწევთ შუა მდინარეს, იქ, საცა ტიგროსი და ევფრატი ერთი მეორეს უერთდებიან, და აღვადგენთ „ურის“ ქართველთა მოდგმის პირველ ქალაქსა, სადაც მამამთავარი ებრაელთა აბრაამი ქართველთა მეფეს გამოსთხოვდა: ორი დღიური მწყა მომიჭერი, შენ მზეს გაფიცებ, არ ვიცი, ჩემ ხალხს როგორ მოვუაროო...“

დაცხა თითქო. ქეჩქუდი მოიხადა. შუბლიდან სალუქი მანდილით ოფლი ჩამოიშორა და...

გაახსენდა, რომ მარტო არ დყო. ჩახრუხაისძე თან აჰყვა.

— გაუკვირდა:

რათ არ გავუზიარე ეს ფიქრები ახალგაზრდა მეგობარსაო და... დაიწყო კიდეც:

— იცი, მეგობარო?.. „გზა ნაგზაურზე, წყალი ნარწყულზეო“, ამბობს ჩვენი ხალხი...

ჩახრუხაისძე სულ სხვა ფიქრებში იყო გართული და პირველად ვერ გაუგო რაისთვის იტყოდა ამას გოდერძი.

მაინც სმენად იქცა.

გოდერძის უნდოდა გაეგრძელებინა, მაგრამ სწორედ ამ დროს წინიდან ორი ცხენოსანი შემოხვდათ.

მათს დანახვაზე შეჩერდნენ და, თუმცა ბინდ-ბუნდი იყო, ეტყობოდა, შეიცნეს ქვეითი მგზავრები.

გოდერძის გუნების ნიშნი შეეშალა. საამაყო ოცნებებიდან უეცრად ყოველდღიურობაში იგრძნო თავი და არ იამა, მაგრამ არ შეიმჩნია და მაინც ზრდილობით მოიკითხა:

— საით გამგზავრებულხარ, ზანქან-ჩინებულო?

— აბულ-ასანთან გიახლებით, ბრძენო ბატონო...

— ბევრი საქმეები გაგიჩნდათ ეხლა...

თითქო დაცინვით წამოცდაო გოდერძის ეს სიტყვები, მხოლოდ ხმას ზრდილობა არ დაჰკლებია.

— დიახ, სამზადისი.

ორჭოფულათვე უპასუხა ზანქანმა.

— იმას ვერ ვიცნობ!

და გოდერძიმ ზორაბაბელის მხლებელზე მიუთითა.

— ეს ჩემი მოურავი გახლავთ... მთელი ჩემი საქმეები ამას აბარია...

— საამურია!

გოდერძი მიუბრუნდა ზანქანთან მომავალს:

— მეცნაურებით, მაგრამ, მომიტევეთ და, არ მახსოვხართ...

— აბა, საიდან? მე კი გიცნობთ, ბატონო.

— სახელი და გვარი?

— კევორქ ჩუსტუზიან.

— აჰა, გამიგონია... პირადად ვერ გიცნობდით...

და შესწყვიტა. გოდერძიმ ეხლა შეამჩნია, რომ ხიდის მოედანთან გამოსულიყვნენ. შეხვედრილი ცხენოსნები მათი ბატივისცემისათვის თავის გზას იყვნენ ამცდარნი, უკან დაბრუნებულიყვნენ და მათ ქვეითად აცილებდნენ.

— ნუღა შეისწუხდებით, ზანქან-ჩინებულო! გმადლობთ გარჯისათვის.

— რათ იკადრებთ, ბრძენო ბრძენთა შორის. ჩვენი კალია თქვენისთანა წარჩინებულს, რითიც შეგვიძლიან, პატივი მივაგოთ.

მაინც და მაინც გოდერძიმ დაიყოლია მისი პატივისმცემელნი და ორივ მხარე ერთი-მეორეს დაშორდა.

თითქო უფრო თავისუფლად ამოისუნთქაო გოდერძიმ. მეგობარს არ დაუმალა, რომ არ იამა ზანქანის ნახვა. მან განუფანტა უცნაური სიჩქარე საქართველოს ბედისა.

— კიდევ ერთხელ გეტყვი, ჭაბუკო, რომ ჩვენ ამ უცხოელთა მიერ ვართ დაღუპულნი, განსაკუთრებით, როდესაც უცხოს გავიშინაურებთ. ეგეც ხომ უცხოა, ეგ ზანქანი... სულ მაგის ვაჭრული ოინებია დღევანდელი ამბები და აკი... ჯერ-ჯერობით გადაგვიყოლია.

ერთი ღრმათ ამოიოხრა:

— მე ეს ვიცი, — ამბობდა ამ დროს ჩახრუხაისძე, — გარდა იმისა, რომ მდიდარი სოვდაგარია და ჩვენს კარზე დიდათ მიჩნეული, ბევრ ბნელ საქმეებსაც უწყობს ხელს...

— დიაღ, დიაღ, — კვლავ ოხრავდა გოდერძი, — ხმები მიმოქრის ტყვეებით ვაჭრობასაც არ ერიდებაო, უარესი: თავადთა ყმების ქალებითაც ვაჭრობსო.

— აკრძალული რომ არის?

— ეჰ, ჩემო შვილო! აკრძალვა ერთი რამეა და შესრულება მეორე. თამარმა აკრძალა... ვერ ვიტყვი, რომ აწინდელი, საასულიერო წოდება და სხვა მოხელეები ამ ბრძანებას არ იცავდნენ, მაგრამ რას იზამ, როდესაც აბულ-ასანისთანა გავლენიანი კაცი ჩუმად მხარს უჭერს ზორაბაბელის ალვირწახსნილ მადას... უთუოდ თვითონაც კარგა ხელს ითბობს და, რაც უფრო სამწუხაროა, მგონი თვით ვარდან დადიანიც არა უგულებელს ჰყოფს ესე ვითარისა...

— მართალია! — გაიხსენა ჩახრუხაისძემაც, — ლაშქრობის დროს მაინც ნატყვენავი ხომ მის ხელთაა: მსახურთ-უხუცესი განაგებს ალაფსა და დავლას, თვით ტყვეებსაც ოშის დროს. ეხლა ვინ იცის შინაობაში, მშვიდობიანობისას, რამდენს აუწიოკებს ოჯახს და იავარჰყოფს, თუ მოესურვა... დიაღ, ეგ მართალია...

— ჰმ... კევორქ ჩუსტუზიანი... კევორქ! ეხლა მახსენდება: ეს სახელი მუდამ შეერთებულია ზანქანის ბნელ საქმეებთან...

მაგრამ შესწყვიტა. აზრი შეუტრიალდა. უეცრად მოაფიქრდა:

— ნუ-ღა გვინდა საგოდებელი. წავიდეთ ჩემსა, გაგიზიარებ რა განზრახვანი მიტრიალებს... რაზედაც ვფიქრობდი, როდესაც ისანის სასახლე შორით დამანახვე, სანამ ზანქანი შემოგვხვდებოდა... მეცა მაქვს ერთი რუქა, ძველის ძველი საქართველოსი... შენთვის აქამდე არ მიჩვენებია.

ჩახრუხაისძე დაეთანხმა და გახარებული დაემოწმა, რომ საგოდებელზე წასვლას ამ ჟამად ძველ საქართველოზე საუბარი აჯობებდა, ისიც ისეთ მცოდნესთან, როგორიც გოდერძი იყო.

— და, აი! გზა ნაგზაურზე, მეგობარო, წყალი ნარწყულზე... ეს უნდა ვისურვოთ, ამ სურვილით უნდა გავიჟღენთოთ, მთელი სახელმწიფო, მთელი ერი, ეგ უნდა იყოს ჩვენი მთავარი აზრი, გაღმერთებული, უწინარესი და... მაშინ საუკუნეები კი არა, წელიწადებიც მოგვიტანენ იმას, რომ კვლავ ხელთ ვიპყრობთ კაცობრიობის მესაჭეობას.

ჩახრუხაისძე ამაზე თავათაც ფიქრობდა ხშირად, რადგან ირგვლივ მოწინავე ახალგაზრდობაში ამაზე ლაპარაკობდნენ, კამათობდნენ. თითქო ჰაერში დაფრინავდა ეს ფრთოსანი ოცნება, მაგრამ უფრო ბუნდოვანი იყო მათი ნააზრევი, უფრო გაუბედავიც ჯერჯერობით.

ახალგაზრდობა ისე კარგად ვერ იცნობდა იმ დიად წარსულს, რომელზედაც ეგეთი აღტაცებით მოუთხრობდნენ ხოლმე ზოგი მოხუცებულთაგანნი. ზოგს არც კი სჯეროდა ესეთი დიდი წარსული.

საქართველოს ისტორიას თავისი თავიდან იწყებდნენ, ძალიან-ძალიან თამარის პაპის დროს, დავით აღმაშენებელს ალარ გაცდებოდნენ.

უფრო ბიზანტიასა და არაბეთს უჯერებდნენ. იმათ წყაროებს ეწაფებოდნენ.

მაგრამ მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სურდათ ამ წარსულის გაგება, უშუალოდ ხელთ-დაჭერა ყოფილისა

და კარგად ესმოდათ, რომ ეს იქნებოდა დაჯერება, რწმენის განმტკიცება საქართველოსადმი.

ჩახრუხაისძეც ერთი ამათგანი იყო და ეხლა, ამ ხანდაზმულ გოდერძის გადაჭრით თქმულ წინადადებაზე, მისი გონება სიხარულით ხლტოდა და შეფრფინვით იზიარებდა მოწოდებულსა.

გოდერძი კი განაგრძობდა:

— დადიანიც ფიქრობს თითქო ესეთ გვარად...

— დადიანიც? — ცოტა შეიკვირვა ჩახრუხაისძემ.

— დიაღ, მაგრამ ეს სულ ერთია. დადიანიც აქ მოვა, უნდა მოვიდეს. გამიგონია, რომაელები იტყოდნენ, თურმე: ყველა გზებს რომში მიჰყავხაროო. ჩვენი ყველა გზებიც შუამდინარეში უნდა შევიდნენ ისევ, სხვა გზა არა გვაქვს. მთებთან მიჭედყილს ჩვენს სხეულს კვლავ გაშლა უნდა, ჩვენს შენელებულს სისხლს — სიცხე შუამდინარისა, უხვება მისი წყლის გადმოდენისა, ნოყივრება ეფრატის და ტიგროსის მინალექისა...

— უკვე ვიმართებით წელში... არა, გულთმხილაო, საყვარელო გოდერძი?

სიხარულით წარმოსთქვა ჩახრუხაისძემ და განაგრძო:

— ბაგრატებთა შემდეგ დავით აღმაშენებლამდე და დავითიდან დღეს აქამომდე... აარა! ვერას გვიზამს ის, რაღაც ველური ხალხი რომ იზრდება სადღაც, შორეულს აღმოსავლეთში... აი, ალ-მულჭი რომ გვაფრთხილებდა...

— ბევრი რამ მოგველის, ბევრი რამ...

ცოტა თითქო შენელდაო გოდერძის აღფრთოვანება, მაგრამ ბოლოს მაინც მტკიცედ დაადასტურა:

— ჩვენ აღვზარდეთ კაცობრიობა: მისრეთი, ელადა, რომი. ასურასტანმა და სპარსეთმა ჩვენგან ისწავლეს თუ ვით უნდა შემკრებლობითი ცხოვრება, სახელმწიფოს შექმნა. პირველი ფიქრი ღმერთზე ჩვენ ჩამოვიტანეთ შორეულ მთების კალთიდან სპარსეთის ზღვის ყურეში, დავაარსეთ პირველი ქალაქი ური, საცა აღვმართეთ ტაძარი მთვარისა და ვუწყეთ საუბარი ციურ მნათობებს. ვარსკვლავთმრიცხველობა პირველ ჩვენ ვამცნეთ კაცობრიობას... მე არას ვამბობ სპილენძზე, თუთფერზე და ბრინჯაოზე, რომლის ხელობაც ჩვენ ვასწავლეთ სხვებს... ჩვენგან ნასწავლნი კი ეხლა ისე უმა-

დურნი აღმოჩნდნენ, რომ სულ დაგვივიწყეს და იქა-აქა ძველი სახელები დარჩა ჩვენი, შაგრამ იმაზე რას ამბობენ, რომ ყველა ისინი, ეს ქალდეველნი, მიტანნი, ხეთნი, ნაირი, ურართუ და სხვანი, ქართველთა მოდგმის რომ იყვნენ...

თანდათან ზევით ადიოდა ორივ მეგობრის სიჩქარე, თითქო საოცრად ელავდა მათ შეგნებაში და ნათლდებოდა წყვდიად მოსილი, საუკუნოებით, შეიძლება მხოლოდ ქვეშეგრძნობით გადმონაცემი, ძვირფასი კუნჭულები.

ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ უკვე სასახლის აღმართს უახლოვდებოდნენ.

თანდათან ნათლდებოდა მათ წინა.

გალავნის ქონგურებიდან ხელოვნურად გადმოყოფილი ჟინჟღილები უამკარავებდნენ გზატკეცილს და მათ ვერ გაერჩიათ, ეს სინათლე მათი გონების იყო, თუ ისანის სასახლის გამონაშუქი.

გოდერძი-კი, თითქო ზეშთაგონებულიაო, დიდხანს განაგრძობდა.

— ...ჩამოსულნი მთების კალთიდან... კალთა... კალდუ... ქალდუ!

ეს ობოლი სიტყვები ზარის რეკასავით გახმაურდა ჰაერში და თითქო დიდხანს იგუგუნა მეტეხის მიდამოზე.

თავი მეთექვსმეტე

კევორძის განცდანი

კც

— ეს კი, მგონი, მეტი მოგვივიდა...

წარმოსთქვა ჩუსტუზიანმა, როდესაც ქვეითი მგზავრები ჩამოშორდნენ და ზანქანი ცხენზე შესვა.

— რა?

ვერ გაიგო ზანქანმა.

— აი, ეს ხალხი რომ გამოვაცილეთ და დრო დავკარგეთ.

— მერე, იცი ვინ არიან?

— როგორ არ ვიცი. ერთი მგოსანია, მეფის სამდივნოში

უნდა იმყოფებოდეს... უფროსზე მოგახსენებ — გოდერძი ჩორჩანელი... მეორე-კი, ახალგაზრდა წარჩინებულია, მგონი ეგეც მგოსნობს... მაგრამ მერე ჩვენ რა?

— ჰა... შე ჩერჩეტო, შენა!.. გეტყობა ჯერ კიდევ კარგა ვერ უკვირდები გარემოს... მაგათი პატივისცემა კიდევ უფრო გვჭირდება, მგოსნები არიან, მაგრამ დიდი გავლენა აქვთ... მაგათ ფულით ვერ მოისყიდი, არც ძღვენს შეიძლვნიან... მაგათი სიტყვა კი დიდად ფასდება სასახლის კარზე...

კევორქმა შეაწყვეტინა:

— ვითომ? მე მგონია ეს ყოველივე, მოსაჩვენებლად იყოს. მეფეებს ესახელებათ, რომ ნიჭიერი ხალხი ჰყავთ სამეფოში. ისე, როგორც მათ მიერ აშენებული მონასტერი, კარგი სანადირო ტყე, უცხო მეფის მიერ მოძღვნილი გვირგვინი, ლამაზი შევარდენი, მწევარი, თავზე უსაყვარლესი ცხენი... მხოლოდ, გავლენაა?!

გააბრტყელა კევორქამ, მაგრამ სადღაც შორეულ ჩაქირქილებით შეეჭრა ზანქანი:

— ეშმაკი ხარ, მაგრამ საქმის სიგრძე-სიგანით გაზომვა არ იცი...

— ეგ მართალია, — გულდაწყვეტით ამოიოხრა ჩუსტუზიანმა, — ჩქარი ვარ, ჩქარი... შენი სიდინჯე რომ მომცა, ოსტატო...

— აკი, გეუბნები... და აი იქაც. იცი, როგორი მიჩნეული არიან ეგენი? როდესაც თამარის მამამ, გიორგი მეფემ, ქალაქი ანისი წელმეორედ აიღო, სულ პირველად ეს სასიხარულო ამბავი კათალიკოსს და მგოსან-ფილოსოფოსებს აცნობა.

— რას ამბობ?

— მართალს. დღეს აქამომდე კი მათი გავლენა თუ არ გაზვიადდა, არ შენელებულა და როგორ შეიძლება ამისთანა ხალხს გვერდი აუარო?! მით უფრო გოდერძის. იცი, ვარდან დადიანთან თათბირზე, საცა ჩვენი იურკას ბედი სწყდებოდა...

— ჰა, ჰა! იურკა... — გაეცინა ჩუსტუზიანს, — რა კარგად სთქვი, ოსტატო. რა კარგი ბიჭია...

— შენ იმას გაუფრთხილდი... როგორც დაგარიგე... ხომ ხედავ ღვინო უყვარს, ქალებიც უნდა მიჰგვარო, გუზანის ვაჟი დაგეხმარება ამ საქმეში... ეტყობა ახალგაზრდები ერთ-

შეორეს უახლოვდებიან... შენც ამით ისარგებლე... შენს გამზრდელს, ანუშაკთან ჩაასეირნე ხოლმე...

— ეჰ, რას მიბრძანებ, ჩავასეირნო კი არა, ანუშაკის საქმე სულ სხვანაირათ არის...

— რა იყო, რა მოუვიდა?

— რა მოუვიდა? დიდი სიკეთე; მხოლოდ მე, ცოტა არ იყოს, ხელი შემეშალა...

— რა იყო, სთქვი...

ველარ ითმენდა კევორქ ჩუსტუზიანის მიერ დინჯათ დასახელებული, მაგრამ ბუნებით მოუსვენარი, დიდი სოვდაგარი ზანქან ზორაბაბელი.

— ის იყო რომ, — მოუყვა კევორქი, — უტანდარს უბრძანებია ანუშაკისათვის, მისი სანთიობო მას დაუთმოს, საცა იურკას მოიყვანს თურმე.

— ოჰ! — უნებლიეთ წამოსცდა ზანქანს.

დიდი იყო მისი განცვიფრება. ეტყობოდა ამგვარ წლართს არ მოელოდა და მყისვე მისი გამოჭახრაკებული გონება აქოთქოთდა სხვადასხვა მოსაზრებით.

— ანუშაკ, ანუშაკ!

გასძახა ამავე დროს კევორქმა და ცხენს ლაგამი მოზიდა. ცხენოსნები ანუშაკის ქოხის წინ იდგნენ.

ანუშაკმა ზლაზვნით გამოაღო კარები და მთვარის შუქზე დიდხანს სახით ვერ შეიცნო კარზე მომდგარი გაზრდილი, მხოლოდ ხმით გაიგო ვინც იყო და მალე საიდუმლო ჩურჩული ასტყდა მის კარის ზღურბლთან.

ამასობაში ზანქანი მთლად მოეცვა ახლად გაგონილს საცვიფრელ ამბავს:

„საიდან? ასე უცბათ? როგორ მოასწრეს?.. უბედური! აბულ-ასანი, რა მეცოდება... ვეძ, დალუპულო, მოხუცო! ჭაღარა შეგირცხვინეს? სარეცელი შეგილახეს?.. ნახევრად ჩემი ბრალი კია...“

გადაურბინა ფიქრმა. მაგრამ შეტრიალდა მის სასარგებლოდ:

„ჰმ,.. მე რა, მე რა!.. მაშ პირველად სად უნდა მიმეყვანა უფლისწული?.. აკი ეს საქმე აბულ-ასანის დაწყებული იყო... ჰოო, მართლია, მე შევაგულიანე, მაგრამ რა გასაკვირველია, პირველად მაგასთან უნდა მიმეყვანა... რა ჩემი ბრა-

ლია, თუ ქალიც შეხვდა მანდ... აკი არაა ეწერა ვიგონებ: ჩვენს შესვლაზე ქალს რაღაც მოუვიდა, სულ ფერ-ფური მიდიოდა... ჰოი, დასწყეველოს ღმერთმა ქალის გაჩენა...“

უეცრად გაახსენდა თავისიანები.

„არა, არაფერი არ იყო, მისი დედაბერი ხომ?.. განხორციელებული ოჯახური სათნოება იყო: თავის დროზე აქვანთა დარაჯი, თავის დროზე ოჯახის დოვლათის მომვლელ-შემნახველი ქალი. შვილები? ორი ქალი ჰყავს. ორნივ გათხოვილია: ერთი კარნუ-ქალაქს, არსირუმს მდიდარ ჩუბაჩსა ჰყავს, მეორეც კევორქ ჩუსტუზიანის ძმას ადარბადაგანში და ყიზილ-არსლანის კარზე ესეც დიდ-ვაჭრად ითვლება“.

„უბედური აბულ-ასანი...“

ეცოდებოდა მისი მოამაგე დიდებული, მაგრამ რამდენიც მეტს აჩვევდა თავის მსჯელობას ამ საგანს, იმდენი მეტი უშინაურდებოდა და ეხლა უკვე თვით აბულ-ასანს ამტყუნებდა:

„რად შეირთო მწყემსმა ახალგაზრდა ქალი? ახია მასზე... რატომ არ იცოდა, რომ ასე მოუვიდოდა... ყოვლად ჭკვიანი კაცია, მაგრამ ამაში შეცდა... ძნელია მოხუცის ახუნხულება... ვიცი რაც უნდოდა: ბაგრატიონთ დამოყვრება, თამარის დანათესავება, გავლენის მეტი განმტკიცება, მაგრამ ხედავ, რას ჩადის ეს მაცდურის ჩამომავალი?.. ჰმმ...“

თანდათან სიხარულით ზმუოდა გუნებაში ზანქანი, რადგან გრძნობდა, რომ მის გარშემო წყალი თანდათან იმღვრეოდა და მოულოდნელი, მოსხვილო თევზების დაჭერა მისთვის შესაძლებელი ხდებოდა.

პირველმა განცვიფრებამ საბოლოო სარგებლობაზე გამოიყვანა და ჩვეულმა აწგარებამ ალარ დაზოგა მის გუნებაში პატრონის და მფარველის სახელი და პატიოსნება.

„ამას რაღ ეს ერთი ანგარიშის კაცია და... სხვა არაფერი... ყველამ თავის თავს მოუაროს, შვილოსა...“

კინაღამ ხმამაღლა წამოცდა ეს ფრაზა, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩუსტუზიანმა შემოატრიალა ცხენი და ორივენი აბულ-ასანის ალმართს შეუდგნენ.

გზაზე კევორქი შეეკითხა:

— რას ბრძანებდი ძუღან ჩორჩანელზე?.. ვარდან დადიანთან თათბირზეო... არ დაგისრულებია.

— ჰოო...

შეგვიძნებით გაიხსენა ზანქაშნა.

— დიდი ამბავი დათია-მეთქი.

— როგორ, იურკას წინააღმდეგი იყო?

— წინააღმდეგი და ეგრე... ხომ ძალიან დინჯი კაციაl სულ დორბლებსა ჰყრიდა... მაინც დაიჟინა; უცხო და უცხოვო. ბევრი ილაპარაკა, ვერავინ ვერაფერი გაიგო, მხოლოდ დადიანი აეწთო და მალე ჩააჩუმა... მე ვგრძნობ, რომ მაგათ შუა შავმა კატამ უკვე გაირბინა და... დიდ ამბავს უნდა მოველოდეთ. ჩემის წარმოდგენით, სასახლის კარი ორ დიდ ბანაკად არის გაყოფილი: ერთი მხრით ვარდანია, აბულ-ასანი, გუზანი და დიდი უმრავლესობა იმერეთის წარჩინებულთა. მე მგონი ყივჩაყელთაც უმრავლესობა... მეორე მხრით კი რაჭის ერისთავი კახაბერი, ჩვენი ჩუხჩერახი მარუშიანი, რატი სურამელი, თუმცა ეგ, მგონი ეხლა უკვე, ამ საქმეში მაინც ემხრობა დადიანსა და აი, ეგ გოდერძ ჩორჩანელი. ეგ ხომ გარდა მგოსნობისა და ფილოსოფოსობისა დიდი კაცია თავის ქვეყანაში, სამცხეს ოძრახეს ქალაქი მაგისი არ არის?

— მართლა? — გაიკვირვა კევორქიმ.

ზანქანი შემოწყრა:

— შენ მართლა როგორი დაუკვირებელი კაცი ხარ. ამგვარები როგორ არ უნდა იცოდე?

— ნუ გამიწყრები და ჩემს საქმეებს ძლივს ავდივარ...

გაიმართლა თავი კევორქიმ. ზანქანი მაინც სტუქსავდა:

— არ შეიძლება. კარჩაკეტილობა არ არგებს შენისთანა გზაზე დამდგარ კაცს. ყოველივე უნდა იცოდე: ტყუილი, მართალი, ჭორი, სინამდვილე. ვის რა აწუხებს, სად, ვინ, ვისთან რა განწყობილებაში არის, საიდან რა გავლენა აქვს, რა შეიძლება, რა უნდა, რისთვის ტრიალებს. დავთარივით ხსოვნის სალაროში ყოველი ეს ჩამოჭიკჭიკებული უნდა გქონდეს, თუ გინდა, რომ შენც მიიღო მონაწილეობა ქვეყნის ჩარხის დატრიალებაში. ძნელია მასთან მიღწევა, ამ ჩარხთან. ჩვენისთანა კაცებს დიდებულები და ერისთავები გვიდგანან წინ, მაგრამ იმდენი ძალა უნდა მოიპოვო, რომ ერთჯერ მაინც ჩაჰკიდო ხელი ამ საბედისწერო ბორბალს და შენებურად შეატრიალო... რა გგონია?!

მთვარის შუქზე არ გამოჩნდა, თორემ ზანქანმა მისი ჩვე-

ულებრივ დაწკურული თვალები ფართოდ გააღო და კატასებური, მნთებარე ნივთიერება კმაყოფილი სიბოროტით გაპწკიალდა.

— განა მე ეხლა მძლავრათ არ წავავლე ხელი საქართველოს ბედის ჩარხს?! ჰეი, გიდი!.. ისე დავატრიალე, მე მგონი, რომ საუკუნოები...

აქ შეჩერდა ზანქანი. რაც ენის წვერზედ ადგა, ის არც მას მესაიდუმლეს გაუზიარა. წარმოსთქვა:

— საუკუნოები მიმადლოდენ. ჩემი ხელი არსადა სჩანს.. ვინ წარმოიდგენს, რომ იყო წუთი, როდესაც ხელთ მეჭირა საქართველოს ჩარხი და მე იგი დავატრიალე. ის უკვე ეხლა სრბოლავს ჩემს მიერ წარმართული და, ამ სრბოლაში... ჰმ! მათდა უნებურად გამოვჭედე ბედი... ამ მარგალიტებში და ოქრო-ქსოვილში გახვეულ ქართველთ მზეთუნახავის თამარისა და... ბევრი, ბევრი სხვისაც... ჰა, ჰა! სულელები! მაგათ კი ქართველებს, მეფიდან დაწყებული, ყველას ჰგონია თვით მართავენ თავიანთ საქმეს... ის კი არა, მე ვსწვდი ყურში და... ჰაიდა! გრიალი მოიღო ბედის ბორბალმა... ჰა, ჰა!

კინაღამ სიცილმა გადაიყოლა. მაგრამ, როგორც იყო, თავი შეიკავა, შემდეგ ყრუდ წარმოსთქვა:

— საით? უფსკრულისაკენ? წყვდიადისაკენ? აარა, მე არ მინდა საქართველო დაილუპოს... საქართველო, ჩემო შვილო, ძალიან ტკბილი ლუკმაა. კი არ უნდა დაღუპო, „არც მოკლა და არც აცოცხლო“... თვითონ მაგათი ხალხი შეერის ამ ლექსს.. ჰმ... მეფეებს კი ჰგონიათ ეგენი მართავენ ქვეყანას... ბიზანტია ამაზე ფიქრობდა, — მე განვაგებ საქართველოსაო, წინეთ არაბეთი, ეხლა ეს სხვადასხვა სასულტნოები, ათაბეგები, ხალიფები და სხვა ჯანდაბა. ის კი არა ზანქან ზორაბაბელი, სოვდაგარი ტფილ ქალაქისა, რომელსაც გაბმული აქვს თავისი აბრეშუმის უწყვეტი ძაფები ბაღდადსა და ალეპპოს, ისპაანსა და თავრიზს, ბიზანტიასა და გუთების ქვეყანაში, სუნჯასა და კომანებთან და ვინ იცის, კიდევ სად... ის არის ამ ჟამად ერთ-ერთი და მორჭმული ხელმწიფე საქართველოსი... ჰმ... გესმის შენ რა არის ხელმწიფე? კარგი სიტყვა აქვთ ქართველებს... მომწიფებული, ესე იგი, მძლავრი, შემძლე ხელისუფლების დაჭერისათვის...

მაგრამ აქ თითქო შეეშინდაო ზანქანს... ალფრთოვანებს ფრთა შეაკვეცა და ისევ, უბრალო დაოიგების კილოზე გადმოვიდა:

— აი რა უნდა შეგვეძლოს... აი რათ გვინდა ყოველივე ვიცოდეთ, ყოველივეში გზას ვიგნებდეთ... ჩვენ უნდა განვაგებდეთ... სხვების ბედ-იღბალსა... რის ბრალია ესა?.. ჰმ... იმისი, რომ ჩვენ ხელში ოქრო ბზრიალებს... მართლა, არ დამავიწყდეს: ზვიად სავარსამიძის ვალი გამახსენე ხვალ დილით...

კევორქიმ უსიტყვოდ თავი დაუქნია, თვითონ კი ხარბ ფიქრებში იყო გართული. ზანქანის ძალას წინეთაც გრძნობდა, მაგრამ ისეთი აღსარება მისგან მაინც მოულოდნელი იყო და დიდ სიმძიმეთ თავზე დააწვა:

„აჰ, როდის იქნება, რომ ეგეც, ქურთისტანიდან ახლად გადმოხვეწილი, კევორქ ჩუსტუზიანი, ზანქანისთანა საპატიო ადგილს დაიპყრობს... მაგრამ აბა სად შეუძლია საცოდავ კევორქს ზანქანობა. ეგ არწივია, ზღვასა და ხმელს ევლება... კევორქი კი პატარა ტურამელაა, შინაურ საქათმოებს ჩასცინებია.“

გულში სიძულვილიც კი იგრძნო ზანქანისადმი.

ორი ცხენოსანი ამ ჟამად სულ სხვადასხვა გვარ გუნებაქცეულნი შედიოდნენ აბულ-ასანის ეზოში.

ერთი მოყვითალო, ჯოჯოხეთურ ცეცხლის შარავანდედში, მაღლობზე გრძნობდა თავს და გულს სიხარული გადაჰფენოდა.

მეორე, კი სიძულვილით აღტყინებული, ამ ჯოჯოხეთისვე წარმონაშობი გრძნობით იკვებებოდა და თუმცა გარეგნულად მშვიდად იყო, მაინც შინაგან ვერ ისვენებდა.

ზანქანმა მაინც წარმოსთქვა:

— არ დაივიწყო, რაც გითხარი...

ჰმ... განა კევორქს დაავიწყდება ოდესმე?

— შენც ყოველივე იცოდე, ხოლმე, ნურაფერი გამოგრჩება, რა გინდ ერთი შეხედვით წვრილმანი იყოს, მაინც დაიხსომე, საბოლოოდ გამოგადგება და როდესაც მოგიხდეს ჩარხის ხელს წავლება, ისე მოიქეც, შენ არა სჩანდე... სხვებს

ეგონოს, ჩვენ ვატრიალებთო... აი... მე რა, მე რა! მე ერთი მოანგარიშე კაცი ვარ და სხვა არაფერი...

და ზანქანი ისე მრიკუნტა თითქოს სრულიად ჩაძვრა. უნაგირშიო.

30

აბულ-ასანი თავის კერძო, პაწია სენაკში სალუქ ჭილოფზე ალმოსავლურ ხალათში გორაობდა და ნარგილეს შეექცეოდა, როცა მოახსენეს, რომ ზანქანი და კევორქი იახლნენ.

დაუყოვნებლივ მიიღო. კარები მაგრა მიახურვინა და მსახურნი ოთახიდან დაითხოვა..

მყისვე საქმიან ლაპარაკს შეუდგნენ.

ზანქანი ცხარედ უმტკიცებდა, რომ მისი მარჯვენა ხელი კევორქ ჩუსტუზიანი ნამდვილათ დაიღუპება, თუ აბულ-ასანი არ უშველის.

საქმე ის იყო, რომ თამარის ბრძანებისამებრ სასტიკად სდევნიდნენ ტყვეების გაყიდვის საქმეს. ქალაქის სარანგთა უფროსს ამას წინად მეტად უეცარი და ფიცხი გაჩხრეკა მოუხდენია ქალაქთა უბნებისა და ზოგან ხაშხაშის საქულბაქოები აღმოეჩინა, ზოგან სატრფიალო მხევალნი დაეტუსაღებინა და ბინათა პატრონებისათვის მაგრა ხელი მოეკიდნა.

ყოველივე ეს კევორქ ჩუსტუზიანს გზას უხშობდა საშოქმედოთ და, მაშასადამე, სპობდა კარგა ძალ შემოსავლის წყაროს თვით აბულ-ასანისათვის.

აბულ-ასანი ჩაფიქრდა: საქმე სახუმარო არ იყო. სააშკარაოზე გამოსვლა ძნელი იყო მისთვის და თუმცა ქალაქის სარანგთა უფროსი მას ხელქვეითად ითვლებოდა, მაინც ესეთი საქციელისათვის ვერ დატუქსავდა, რადგან ის კანონიერად იქცეოდა. მერმე კიდევ ეს ახალი სარანგთ-უფროსი მის მიერ არ იყო დანიშნული, თვით თამარის მიერ იყო განწესებული და მასთან ესეთ საქმეში დაპირისპირება სახიფათო იყო.

გაახსენდა ეს ყოველივე.

გაახსენდა ისიც, რომ რაც ყუთლუ-არსლანის ამბოხების

შემდეგ თამარმა დიდებულები დასცვალა, მეტის მოწყალებით უფრო ოდესღაც დემნა ბატონიშვილთან კეთილად განწყობილებს და ცნობილ ორბელების მომხრეებს ეპყრობოდა. თვით აბულ-ასანსაც თუ უფლებამოსილება არ წაერთვა, უფრო იმიტომ, რომ ოდესღაც ეგეც ორბელების ბანაკში იყო. ეტყობა ეს გარემოება კარგად დაიხსომა თამარმა და მხარგრძელებთან ერთად ეგეც კვლავ შეივრდომა, მიუხედავათ იმისა, რომ მხარგრძელებიცა და აბულ-ასანიც, თვით გამრეკელ-თორელი და ბევრი სხვები განუდგნენ თავის დროზე დემნა ბატონიშვილს და გიორგი მეფეს შეურიგდნენ. ვის არ ახსოვს, რომ თამარი იდუმალი მომხრე იყო დაღუპული ტახტის მემკვიდრისა. ეტყობა თამარისათვის ძვირფასი იყო, თუნდ ოდესმე, დემნასთან კარგად განწყობილი პიროვნება. თამარი ნელინელ, მაგრამ თანდათან და იშვიათის სიმტკიცით, აბრუნებდა დემნას დროის ყველა განრისხებულებს, ყველა ექსორიაქმნილ, გაძევებულთ და კვლავ ჰმოსავდა მათ ხარისხითა და უფლებით.

თამარის ტახტის გარშემო ნელნელ იკრიბებოდა დემნას მომხრეები.

თითქო თვითონ დემნა მეფობდეს!

აგერ ივანე ორბელიანიც დაიბარეს სპარსეთიდან, ლიპარიტ V-ის ვაჟი, დიდი ივანე ორბელის, დემნას ლალას ძმისწული და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი.

აბულ-ასანი კი შეწყნარებულთა სიაშია.

ამას უფრთხილდება ეგეც, ამას აფასებს.

ამიტომ არის ძნელი მისი თავისუფალი მოქმედება.

ამიტომ ჩაფიქრდა ესე ღრმად.

ბოლოს მაინც მოიგონა.

მსახურთ გასძახა და მათ, ბრძანებისამებრ, მოართვეს გრავნილი და საწერ-კალამი.

მდივანი არ მოუთხოვია. თავის ხელით მისწერა წერილი ინდოთ მეფის მოციქულს ფაჰლაურს ენაზე.

სთხოვდა ხაშხაშით მოვაჭრენი მის მფარველობაში მიეღო და შუამდგომლობა ალეძრა მათი განთავისუფლებისათვის.

მოტრფიალე მხევალნი კი, ზოგიერთნი, ვისაც ეს შეეფერებოდა, ინდოეთიდან ჩამოსულ მოცეკვავეთ გამოეცხადები-

ნა და ამით გადაერჩინა განსაცდელს მისი მცნობი ტფილელი სოვდაგარი ზანქანი და მისი მარჯვენა ხელი ჩუსტუზიანი.

კალამი ძირს დადვა, ეშმაკურად გაიღიმა, შემდეგ დინჯად წაუკითხა.

ზანქანმა თავისუფლად ამოისუნთქა. ქება უძღვნა, ბრძენი კაცი ხარო.

ჯიბეს ხელი გაიკრა და ბაჯაღლოები ამოაჩხრიალა.

ბლომად იყო აქ ბიზანტიური: დუკატები, ბოტინატი, კონსტანტინატი.

აბულ-ასანმა აუჩქარებლივ გადათვალა.

კევორქი სიხარბით ჩასცქეროდა ოქროს ბრჭყვიალს, და ვინ იცის, გულში ნანობდა კიდეც: სად, რომელ ატლასის ჯიბეში მიდის ჩვენი მონაგარიო.

აბულ-ასანს ფულები ატლასის ჯიბეში არ ჩაუდვია: წამოდგა, დასაკეტი, კუთხეში მდგარი კოხტა განჯინა გააღო. ერთი მომცრო, შავი ხის, სადაფებჩასხდული ყუთი გამოიღო, რომლის კლიტემაც სარქველის მოხდის დროს. ვერცხლის ზარამავით ჩამორეკა და დინჯათ, ოქროები შიგ ჩააწყო.

სწორედ ამ დროს თავდახრით შემოვიდა შინაყმა. მოახსენა უტანდარი კევორქს უხმობსო.

ყველა განცვიფრდა, მაგრამ აბულ-ასანმა, ფიქრის შემდეგ, ნება დართო და კევორქი გაყვა შინაყმას.

აბულ-ასანი ისევ ზანქანს მიუბრუნდა:

— შენ თვითონ წაიღებ ამ წიგნს, — წერილზე მიუთითა, — თვით მიართმევ ინდოეთ მეფის მოციქულს და... არ დაივიწყო ეშმაკის კვერთხიც თან იქონიო.

ზანქანი მიხვდა, რომ აბულ-ასანი ოქროებზე ეუბნებოდა.

„მოანგარიშე“ კაცს გული დაწყდა, რომ „მისი მონაგარი“ ეხლა ინდოელისთვისაც უნდა გაეზიარებინა.

მოჰყვა წუწუნს:

სადა მაქვს იმდენი, აბულ-ასან, შემიბრალე...

აბულ-ასანი კი ცბიერათ იღიმებოდა, დაბალი ხმით შეუხსენა:

— წუ შეხვალ, ნუ ებანები...

— ეჰ, კარგი ერთი შენს მზესა... მაგრამ დიდ კაცებს სიბრალული ვინ მოგცათ... ყველა ეგეთი ხართ... ჯერ გიორგის დროსაც ყუბასარი... რა ხარბი კაცი იყო? რომ ვერაფერმა

გააძღო! ამირ-სპასალარიც ის იყო, მანდატურ-უხუცესიც, ლორეც მას ჰქონდა და... და ყველაფერი. ჩვენ ხომ რა? ისე ცუავდით დაბეგრილი, ხელი ვერ გაგვენძრია. სულთქმა არ შეგვეძლო... მერე მიქელ კათალიკოსი?.. ჰო, ჰო, ჰო! რა მაგარი კაცი იყო! სასულიერო ძალაც ხელთ იგდო და საეროც... არ გახსოვს, დიდებულო, თვით დასწყევლა ტყვეების გამყიდავი და... თვითვე კი ვაჭრობდა საიდუმლოთ...

აბულ-ასანი დიდი ხანია მიუხვდა ზანქანს ამ წუწუნის მიზეზს და არ სწყენია, მაგრამ მაინც თითქო ხუმრობით შეაჩერა:

— თავს ნუ იგდებ, ზანქან...

— ჰო და რა, ტყუილს ვამბობ?.. იმათ ღმერთმა გადაუხადა. ჯერ ხალხმა და მეფემ გადააგდო, შემდეგ სნეულებით სიღატაკეში ერთი გარდაიცვალა, მეორე სადღაც სულსა ღაფავს. ორნივ პატივ-ახდილნი და უფლება-განძარცულნი, მაგრამ შემდეგაც რომ ვერ გადავრჩით...

თვალი მოუხვდა აბულ-ასანს და იგრძნო, რომ შესტოპა. გული საყვედურით ჰქონდა აღვსილი. აბულ-ასანის და დადიანის ხიხარბე აწუხებდა. დადიანზე მაინც უნდოდა რაიმე ეთქვა, ცოტათი მაინც წაეყვედრებია, მაგრამ მიხვდა, რომ ამ ჟამად ესეც უადგილო იქნებოდა და გულდაწყვეტილმა საუბარი სხვაზე გადაიტანა:

— ხვალ მინდა, დიდებულო, თამარს ვეახლო... რას მეტყვი?

— იახელ, ჩემი ნებართვა რად გინდა... ჭიაბერს უნდა ჰკითხო.

— არა, ფულის სათხოვრად მივდივარ...

— რომელი ფულის?

— აი, რუსის უფლისწულს რომ მმართებს ჩემი.

აბულ-ასანმა შუბლი შეიკრა. მკვახედ უთხრა:

— არ ეგების.

— როგორ თუ არ ეგების?

აპილპილდა ზანქანი.

— ვით იქმნება, ჯერ კაცი სათუოზეა...

— როგორ თუ სათუოზე. საქმე დამშია მოსული.

— დამში დამშია, მაგრამ... რა სულის წასვლაა... ჯერ კაცი არ გამეფებულა, ტახტი არ დაუპყრია... შენ კი ფულს თხო-

ულობ... ეგეც არ იყოს, თამარი აქ რა შუაშია?.. ფულები რუსის უფლისწულსა მართებს.

დინჯობდა აბულ-ასანი.

საბაგიეროთ ზანქანი გაცხარდა და ისე აღელდა, რომ დარბაისლური ქართულიც დაავიწყა — უნდოდა ეთქვა „ვაჟო"-ო და ხალხურად შეამოკლა, ცოტათი კიდეც გადაუსომხურა:

— ვა, მაშ ჩემი ფული უნდა დაიწოს?

— რათ უნდა დაიწვას, კაცო!

— ეჰ, აბა ერთი შენს მზეს, რას მიბრძანებ...

ცოტა უფრო შენელებით და გულდაწყვეტით წარმოსთქვა ზანქანმა, მაგრამ შემდეგ ისევ წაუსია:

— კაცი მომიყვანია, თქვენ მეფედ აგირჩევიათ... ნაბე თუ არა, როგორია? ცუდი ბიჭი ვარ?.. მაშ ჩემი ფული რათ უნდა დაიწოს!..

— ვინ გეუბნება, რომ უნდა დაიწვას... მხოლოდ დრო არ არის ეხლა... არც თამარის გადასახდელია.

— ვა, რა დაიჟინე. დალოცვილო! მე ცოდო არა ვარ?.. ვალის გარდა იცი რამოტელა ფული მიზის, ჩემსა რომ ვაცხოვრებ? ეს ტანისამოსიო, ეს ნადირობაო, ეს ნადიმობაო...

— მჯერა, მჯერა, ზანქან, მაგრამ არაფერი არ დაგეკარგება... დაცდა უნდა მხოლოდ... არა, არ გირჩევ წასვლას... თამართან არ ეგების. მერმე კიდევ ეხლა...

ზანქანს ბრაზი ერეოდა, მაგრამ სასოწარკვეთილებით ხელი ჩაიქნია:

— ეეჰ!

ლ

უტანდარი მოუსვენრად იყო.

აქეთ დოდოს ავადმყოფობა და მისი უიმედო სიყვარული აწუხებდა...

იმ დღის შემდეგ, ხომ, დოდო თავისგან აღარ განუშორებია.

იქით თავისი პირადი ტრფიალება იურისადმი კიდეც ახარებდა და კიდეც ანაღვლიანებდა.

ჯერ კიდევ ვერ დაეცხრო მოურეველი გულის წყურვილი.

ველარც ისე ხშირად ხედავდა სასურველ უფლისწულს.

სასახლის კარზე ნადიმობანი და ზეიმები შესწყდა უფრო დიდი ზეიმის მოლოდინში.

სხვა დიდებულებიც ამასვე ელოდებოდნენ და მათ სასაჭლეებშიაც მხოლოდ სამზადისი იყო:

კერვა, ფერვა საზეიმო საჭურველისა და სამოსისა.

მთელი ქალაქი თითქო ერთ დიდ ქარხანას წარმოადგენდა: რაც ბაზარში ოქრომჭედლებია მანდილოსანთათვის ყელსაბურებს, ამბაჩებს, სამაჯურებს, ბეჭდებს, და რაჯტის მოწყობილებათ ოქროთი ასევადებდნენ, დერციკები მამაკაცთა ქაბებსა და ძიქვებს თარგავდნენ, მოსასხამზე ბეწვეულს უყოლებდნენ. ხარაზთა ოსტატები სამოგვეს ათასნაირ ყვავილებით სირმავდნენ. მესაკრავენი ლარებსა სჭიმავდნენ, ხოლო თვით საკრავებს, უფრო დაირებსა და დაფდაფებს, სადაფითა და ბზის ნაჭრებით აჭიკჭიკებდნენ.

უამრავი საქონელი შემოჰქონდათ ოთხივ-კუთხივ სოვდაგრებს.

ხორაგეულობა ზედაგორათ ეწყო ბაზარში.

სირაჯები ღვინოს აწმინდავებდნენ და იყო რეცხა კასრებისა, ჩანახებისა, ჩაფებისა და თუნგების ყურძნის ნაფეთქითა გადასაღებად.

ცა და ქვეყნის მილეთი ხალხი ირეოდა ბაზარში.

ხალისიანი გუგუნი იდგა ყველგან.

ყველას ეტყობოდა დიდი რამის მოლოდინი და ყველა შუშაობდა ისეთის გულდადებით, როგორც ფუტკარი სკაში.

ამას ყველაფერს ხედავდა უტანდარი, მაგრამ ეს სრულიად არ იპყრობოდა მას, არც ის კუთხე ბაზრისა, საცა წინეთ საათობით შემდგარა ხოლმე, რომ რაიმე ბიზანტიით ან ეგვიპტით მოტანილი, ოქროთი და სხვა კეთილშობილი ლითონით ნახელოვნევი საკეკლუცოდ შეეძინა, ან ინდოეთით გადმოზიდულ ძვირფას ქსოვილებში თვალი ჩაჰკარგოდა.

აღარც დიდებულებთან სადარბაზოთ მიუდიოდა გული, რადგან იქაც, ბაზარზე ნაკლებად არ იყო ოჯახი აფორიაქებული.

სხვაგანაც ისეთი დიდი ამბავი იყო, როგორც მის სახლში: მოახლეები, გამდელები და საერთოდ მანდილოსნები გამოცდილის თვალყურით სჭრიდნენ და კერავდნენ ფარჩას

და ატლასს, დიბასა და ხავერდს. სკვნიდნენ მომცრო ღირკილოებს და მოზრდილ ოქროს გოძგარს, ქარგავდნენ ქალთა შალვრის ტოტებს, გულის პირის არშიებს და წელზე მდინარეებათ ჩამოსაშვებ საოცნებო-სარტყლებსა.

ეს ყოველი წინათაც ხდებოდა, მაგრამ უფრო მცირე დონით. მუდმივათ, მაგრამ უფრო სათითაოდ. ეხლა კი ყველა ძალი შემოკრებილი იყო, ყველა ღონე ამოძრავებული, ყოველი საშუშაო გამწყაზრული და ყოველივე უხვად, მოყიოჭებამდე.

უტანდარი ხან ერთ ჯგუფთან იყო, ხან მეორესთან. მისი ბავშვობითვე ამ გვარებში განსწავლული თვალი ამაებს არც ერთს არ მოსცდებოდა, მაგრამ ამ ჟამად მისთვის ეს ყოველივე უქმი იყო, უმნიშვნელო.

სცადა მეგობარ სეფექალებთანაც გულის გადაყოლება, იქითაც ესტუმრა, აქეთაც იწვია. რუსუდან დედოფალთანაც შეიხედა...

თამარს არ გაჰკარებია.

ეს მის ძალას აღემატებოდა.

რუსუდანი სათნოდ შეხვდა. დიდს ავადობით დიდად იყო შეწუხებული, ყოველდღე მოიკითხავდა, უნდოდა თავისთან გადმოეყვანა კიდეც, მაგრამ რაკი უტანდარმა ესეთი მეგობრობა გამოიჩინა, ალარ აუხირდა. ნახვის დროს-კი უტანდარს მოეფერა, მეგობრობა უქო.

და განა სხვები კი არ აქებდნენ უტანდარს?

ყველას სასახელოთ არ მიაჩნდა ეს ყელმოღერებული მზეთუნახავი?

ახალგაზრდა ვაჟთა აღტკინებულ თვალთაგან უწყალოდ ირღვნებოდა მისი ქებათა-ქება.

მაგრამ ამას რას დაგიდევდათ უტანდარი!

მისი გონება სხვაგან ჰქროდა.

მოურევნელი გულისთქმის აციმციმებული წრე თანდათან ვიწროდ ევლებოდა უცხო უფლისწულს.

ლამის გულში ჩაიხუტოს.

არა, არ რცხვენოდა ამის უტანდარს, თავის თავთანაც კი.

და აი, როდესაც გაიგო, რომ აბულ-ასანთან ჩუსტუზიანიც იყო, უეცრად გაახსენდა, რომ ეს კაცი ნახული დედაბრის პატრონი არისო.

დედაბერ ანუშაკს კი აბა რა დააკლებდა!

შეხვედრის შემდეგ დოდოსთვის არ გაუმხელია, მაგრამ სულ ამაზე ოცნებობდა: როგორ მოახერხოს ისე, რომ იურიგიორგი იმ დედაბრისას მიიყვანოს.

თვითონ იურის ვერსად ვერ შეხვდა. რომ შეხვდეს კიდეცვით გადასცეს. ერთი მეორის გასაგები ენა არც ერთმა არ იცის. ის მოხუცი რუსი? იურის გამზრდელი? არა, გაგებით ვერც იმას გააგებინებს, რასმე და მერე კიდევ... იქიდან არა გამოვა-რა.

ალღოთი გრძნობდა უტანდარი, რომ კუზმა-რუსი მისი მომხრე ვერ იქნებოდა.

მაშ დედაბერი! დედაბერმა რუსული იცის, მისი მიგზავნაც შეიძლება ზანქანისას, საცა იური დგას ეხლა. მერე?.. დედაბერმა რომ რაიმე აურიოს, გასცეს... თუმცა დიდ გამოჭახრაკებულ ქალსა ჰგავს...

ყოყმანობდა.

და აი, კევორქი მოსულა. თვით ბედი მიდგომია კარსა. რა ვუყოთ, რომ ვერ იცნობს. აქ ნაცნობობა კი არა, ბრძანებაა საჭირო. მერმე კევორქი მამაკაცია და უფრო მარჯვეთ მოიქმედებს ყოველსავე. ანგარიც იქნება უთუოდ. ვაჭარი კაცია. ანგარება კი დიდი ღია კარებია. ამ კარებში ყველას შეესვლება ხოლმე და უტანდარს აბა ვინ დააკავებს, როდესაც იგი ოქროებით შედგება ამ კარების ზღურბლთან.

გადაწყვიტა.

დოდოსთან ბოდიში მოიხადა — ცოტა ხნით დაგტოვებო და მეორე ოთახში გავიდა.

იქ ყველაზე უერთგულესი, ახალგაზრდა მხევალი იხმო და კევორქის მოსაყვანად გაგზავნა.

კევორქი, აბულ-ასანმა გამოისტუმრა თუ არა, შინაყმას წაჰყვა. შინაყმის წინ კი უტანდარის გამოგზავნილი მოახლე მიდიოდა. კევორქს თვალები გაუშტერდა ამ მოახლის დანახვაზე.

ოთხი, მაჯის სიმსხო, მოჭირებული წითელი ნაწნავები კოჭებამდინა სცემდა.

პირისფერი მონიგრულ, რუხ მარმარილოსავით იყო ფერმიღებული.

და ამ მარმარილოსა და თმის ცეცხლის ჯიღას შორის

მაყვალივით შავი, კილოებში გაზიდული, მეტყველი თვალები, შავსავე მშვილდურათ მორკალული წარბებით, დამატყვევებელ ეშხათ ხმაურობდა.

სიარული ჰქონდა ლაღი, დამოუკიდებელი; მათრახივით მოქნილი, წერწეტა ტანი თავის სინარნარით გიწვევდათ გამოსადევნებლათ.

კევორქიმ ვერ მოითმინა, შინაყმას გადაუჩურჩულა:

— ეს მხევალი ვინ არის?

— უტანდარის მოახლეა.

— მოახლე? მე-კი სეფექალი მეგონა.

— ჰო, მოხდენილი ვინმეა. დიდი ხანი არ არის, რაც მოიყვანეს.

ეტყობოდა კევორქის გონებაში აფათურდა რაღაც მოსაზრება. კიდევ მიმართა:

— გლეხის ქალი იქმნება. საიდან არის?

— ბაზალეთიდან.

გულში გაიფიქრა: ბაზალეთიც ხომ აბულ-ასანის სამოურაოა. ცოტა მძიმდება საქმე. მაინც იკითხა და გაიგო, რომ ქალი ბოლოტუაშვილების ოჯახიდან იყო და საბელად თაფლო ერქვა.

ღრმად ჩაფიქრდა:

— ეს, ასე არ აგებს. ამის მოხერხება ფრიად სამძიმო ყოფილა.

უტანდარს დიდათ უყვარს თურმე. მიუხედავათ იმისა, რომ ერთი წელიწადი არც კია, რაც მოუყვანიათ, აბულ-ასანის ხელდასადებიც ყოფილა. შემძლე ოჯახის შვილიც. ბოლოტუაშვილებიც მთაში განთქმულნი არიან. კევორქიმ იცის, რაზედგან მთაში მიმოსვლა აქვს. ეს ოჯახი-კი არა, მთელი თემია, საკუთარი მამასახლისი ყავთ, დიდათ გავლენიანი გლეხი, ჭარმაგი ბერუა. დიდი ვაჟკაცები არიან და დიდათ სახელოვანნიც — დოვლათით, მეოჯახეობით, მომჭირნეობით. ადვილათ თავს არა სდებენ, საკვირველია, რომ ქალს შელეკიან, ძვირად თუ გარეთ გაუშვან თავისიანნი. არ უჭირთ და არც ისე უყვართ პირფერობა დიდებულებთან, მაგრამ უთუოდ აბულ-ასანს უარი ვერ შეჰკადრეს; ეს მეტისმეტი იქნებოდა. მერმე კიდევ უტანდარი ისე ეპყრობა თურმე, როგორც თანატოლს და არა მხევალს...

ძალიან დაეხლართა კევორქს უცბად მოვარდნილი, სანუკვარი განზრახვის ბილიკები.

სანუკვარი განზრახვა ეს იყო:

კევორქის ძმას ჰქონდა შემოთვლილი ადარბადაგანის ათაბაგის ყიზ-არსლანის ძმისწულიდან, მაგრამ ფალავანის შვილი თხოულობს, რომ ერთი ქართველი ლამაზი უშოვნოთ მისი ჰარამხანისათვისო.

როდესაც ეს ამბავი მოუვიდა, კევორქი პირველად დადათ შეწუხდა. რადგან ათაბაგის ძმისწულისთვის ეგონა, რომ ვინმე წარჩინებულის ქალიშვილი უნდა მოეხერხებინა და ეს კი თითქმის შეუძლებელი იყო. მით უფრო ეხლა, სარანგოთა მიერ ესეთი სასტიკი დევნის დროს. გლეხობაში კი მუდამ ძნელი იყო ქალის გატაცება და გადამალულ ტყვე-ქალებში, მისი ფიქრით, ესე დიდი კაცის ლხრსი არსად ეგულებოდა. ყოველივე ამის გამო დიდს თანხასა და საჩუქრებს ჰკარგავდა და ამას სწუხდა.

ეხლა კი. აი... ბედმა თითქოს გაუღიმა.

მაგრამ რა ღიმილია, ეს ღიმილი?

ეს უფრო დაცინვაა ბედისაგან...

მწყურვალი მდინარესთან მიიყვანო და წყალი კი არ დალევინო.

ეჰ, კევორქ! ეხლა გიწდა მოხერხება, ეხლა. სწორედ ეს საქმე უნდა გამოაჭახრაკო, მოუხერხებელი უნდა მოახერხო, თორემ... იკარგება და რა იკარგება.

დიდძალი ნივთიერი ღონე.

მერე, ადარბადაგანში, მისი ძმის გავლენაც, თუ ეს არ მოხერხდა, როგორ დაიწევა.

ადარბადაგანი სახუმრო როდია: მტრულად განწყობილი ჭვეყანაა საქართველოსთან და ტფილელ სოვდაგრებისათვის მუდამ საჭიროა დამოკიდებულების ძაფი არ გაწყდეს კი არა, ძაფი დიდ თოკად უნდა დაიგრიხოს.

აი, ზანქანი რეებს უქადაგებს ხოლმე.

ერთი ნახტომით, ელვის უსწრაფესად ფიქრებში მიჰენობდა კევორქი და ამასობაში...

წარუდგა კიდეც უტანდარს.

შინაყმა უტანდარის ლთახს თავის დაკვრით განშორდა.

დარჩნენ სამნი.

სამნივე ფეხზე ადგნენ.

თაფლო უტანდარის მხარეზე, შორიახლო.

კევორქს. ამ საოცნებო ქალებისათვის თვალი ვერ მოეშორებინა.

დიდი გამოცდილი იყო ქალების შერჩევაში. უბრალო რამ ნაკლი, სამოსით დაფარულიც, ძალიან ხშირად, მისთვის მისახვედრი იყო.

ის ისე სინჯავდა თავის შეუმცდარის ალღოთი ქალის სხეულის ალნაგობას, როგორც მეცნიერი სინჯავდეს რაიმე ჭარაგმიან წარწერას.

სინჯავდა და არ ღელდებოდა.

სქესობრივი მასში ნაკლები იყო.

ის ხომ სხვებისთვის. სავაჭროთ, ბაზარზე გამოსატანად აფასებდა საქონელს.

თავისი თავი მხოლოდ მკაცრი მსაჯულის სათევარში ჰქონდა ჩამარხული.

და ამაში კი იყო მსაჯული პატიოსანი და მიუდგომელი.

აი ეხლაც: შესცქერის ამ ორი ტურფა ასულთ და როგორც მსაჯულმა, არ იცის, რომელს მისცეს უპირატესობა.

თან გულში უღიტინებს ბატონყმური სიტყვები: სარჩული სჯობს პირს, თუ პირი სარჩულს.

მსაჯულს ორივ მოსწონს, მაგრამ რა დროს ეგენია.

ვაჭარს ეთმობა ადგილი.

რასაკვირველია, მან თაფლო უნდა აირჩიოს.

ისეა, ამ სურვილში კევორქი ამ ჟამად ჩაფლობილი, რომ უტანდარს ხეირიანად ვერც კი აძლევს პასუხს.

თუმც ზრდილობით და სათანადოდ, მაგრამ მაინც კანტიკუნტად მოცვივა სიტყვები მის ბაგეთაგან.

მას ათაბაგის ძმისწული ახსენდება. ახსენდება ძლიერება, მისი სიმდიდრე.

თვალები უბჭყვიალებს, ყურებში რაღაც რახუნებს.

ჰმ... ეს ათაბაგის ძმისწული, მაგასაც ხომ თამარი უნდა და ეთხოვა. აბუბექრი ჰქვიან, მგონი. მეტად ლამაზი შესახედია თურმე. ბიძა მისს, გაწთქმულ ყიზ-არსლანს, დიდად უყვარს და თავის მემკვიდრეთაც ეგ მიაჩნია, მიუხედავად

იმისა, რომ ვაჟკაცი ძმისწულები, აბუბექრის ძმები, სხვებიცა ჰყავს. ამბობენ, აბუბექრი ღვინოს დიდად ეწყობა და ამით მეტად აჯავრებს მართლმორწმუნე თურქებს, ბიძა მისიც დიდად სტუქსავს, მაგრამ ეხლახან თამარის შეთვისებით, ჩემი ძმა მწერდა, მზად არის აბუბექრი რჯულიც დაუტევოსო... ეს კი მეტი მოუვა აბუბექრს... ან რალად უნდა. თამარის ბედი ხომ გადასწყდა... ეს გათავებულია... იმას ჰარამხანისათვის აი, ეს თაფლოც ეყოფა. ღმერთო, რა მშვენიერია.

რალაზედაც გაეცინა თაფლოს.

უტანდარი ეშმაკურ რასმეს ბრძანებდა.

რომ იტყვიან, ვარდი გაიხლიჩა და მარგალიტები გადმოცვივდაო, სწორედ ზედგამოჭრილი იყო თაფლოზე.

ეს კარგად შეამჩნია კევორქიმ.

თვითონაც გაიღიმჭა: შორეულად მოუვიდა მის შეგნებაზე უტანდარის ეშმაკური ნაბრძანები.

უტანდარმა მთელი ქსელი გააბა.

საპაემნო სახლად ანუშაკ-დედაბრის ჭოხი იქმნა არჩეული. დღეც დანიშნა შესაყარი. სალამოს ბინდ-ბუნდზე უნდა მარტო მოსულიყო იური, არავინ წარჩინებულთაგანი, მეტადრე კუზმა-რუსი არ უნდა ხლებოდა. მხოლოდ გზის მაჩვენებლად კევორქს ვინმე გამოეტანებინა. პირველ მაუწყებლად ამ ამბებისა იურისთვის თვით კევორქი ინიშნებოდა.

ეხლა უფრო გულის ყურზე იყო კევორქი.

მას ერთი ბრწყინვალე აზრი დაებადა. უტანდარსაც უნდებოდა და კევორქის მომავალ გეგმასაც.

უტანდარს, უთუოა, შემდეგშიაც დასჭირდება იურისთან ამბების შეტყობინება. კევორქი მოუცლელია, არც ვარგა მისი ამ საქმეებში აშკარა ჩარევა, ეჭვს მიიტანენ: რა აქვს კევორქს გიორგი რუსთან ამდენი სასაუბლო. რა მისი ტოლია! მაგან იშვიათად უნდა ინახულოს... ასეთ გარემოებაში ქალი სჯობია მუდამ... ამ ქალს, კევორქის მოსაზრებით, იურისთან სიარული არც კი დასჭირდება. ბებერ ანუშაკთან ივლის და იმას გადასცემს, რაც საჭირო იქნება. ანუშაკი თავის მხრით იურის მუდამ აცნობებს ყოველივეს. ეს შუამავალი ქალი კი უტანდარის ერთგული მხევალი უნდა იყოს... აი თუნდ ეგერ რომ დგას...

— თაფლო?

პირი მისკენ მიიბრუნა უტანდარმა.

თაფლოს სახე წითლად აფეთქდა.

თითქო მრცხვნობდა, თითქო ახარებდა მისი საყვარელი დიოფალის დავალებათა შესრულება.

უტანდარი თაფლოს მიუახლოვდა და ალერსით მხარზე ხელი დაადვა, თან სახეში სიყვარულით ჩახედა.

— ოო, ჩემო თაფლო... ამაზე უკეთესს ვის ვიშოვნი.

თაფლომ ქებით მთლად გაწითლებულმა მადლობით ხელზე აკოცა.

კევორქის გულში დიდად გაუხარდა: ადვილად მოეწყო ყოველივე. აქ, სასახლიდან თაფლოს გატაცება თითქმის შეუძლებელი იყო. ეს არც აბულ-ასანისათვის ივარგებდა... რომ მოხერხებულიყო კიდევაც. ეხლა საქმე მშვენივრად არის. თაფლო იარს სასახლესა და ანუშაკის ქოხს შუა... ჰმ... შეიძლება ყოველდღეც და... ისიც ღამის ბინდბუნდში... ღამის ბინდბუნდს კი ბევრი საიდუმლო ჩაუყლაპავს.

ეს არც ანუშაკის ქოხში მოხდება. იტყვიან, თვითონ ქალი იყო მიეთმოეთი. სალამობით გადიოდა მარტოთ-მარტო. ჩვეულებათა ჰქონდა. ქალაქში მილეთის ხალხი მიდი-მოდის. ვინ რას გაიგებს, ვინ გაიტაცა... ინდოელიც აქ არის და სპარსიც, ბერძენიც და ეგვიპტელიც, შუამდინარელიც და ყივჩაყიც... მოდი და ეძიე შენ... ქარის დათესილი... ჰმ... რას მოიმკი!

მხოლოდ...

ღმერთი არ გაუწყრეთ!

ესეთი ლამაზი ქალის მარტოკა სიარული, ვსე კარგა მანძილზე.

განსაკუთრებით ახალგაზრდა დიდებულებმაც რომ შეამჩნიონ... მარტო ერთი გუზანის ვაჟიც ეყოფა, ის ხომ იურისთან ხშირად ივლის...

აარა! თაფლო ქალწული უნდა მიჰგვაროს აბუბეკრს. ეს არის თავიდათავი. ამას კევორქი მოახერხებს.

ეგრეც ჰკადრა უტანდარს:

— სიფრთხილისათვის თაფლოს, მუდამჟამ, ჩემი ერთგული დარაჯები შორიახლო გაჰყვებიან.

თაფლომ იწყინა, რათ მინდა დარაჯებიო. მისმა მთიულურმა ლაღმა ბუნებამ იუკადრისა მზრუნველები და წარბშეჭმუხვნილი გაცხარდა.

როგორ დამშვენდა!

კევორქიმ დაამტკიცა:

საოცრებაა, მაგრამ ნამდვილად სადედოფლო ქალია...

გულში გაეცინა.

ვინ იცის, აბუბექრს თამარი უნდოდა და სწორედ ამ გლეხის გოგონამ უდედოფლოს კიდეცაო.

მაგრამ კევორქიმ რა იცოდა ისტორიის გზები.

რაც საჭირო იყო რომ მოიუბნეს, უტანდარმა კევორქს ერთი მომცრო, ოქროთი სავსე ჭიქა აჩუქა.

კევორქი გულში ამბობდა:

ამ მხრივაც ბედმა გამიღიმა, მე შემაქვს აბულ-ასანის სალაროში, ამ ქალს კი გამოაქვს და ისევ ჩემს კიდობანში ყრისო. ასე თუ გაგრძელდა, წაგებას არ ვიქნებიი... ჰმ... სასაცილო კია ცხოვრება! სულ ქალის ჟინზე ყოფილა დამოკიდებული. მის გარშემო ოქროები ცეკვავენ და იმდენს იტრიალებენ, ისევ თავის ბუდეში ვარდებიან.

არა, ძალიან მადანს მივაგენით მე და ზანჭანმა:

თამარის ხაზინა იურის მეოხებით, აბულ-ასანის დოვლათი უტანდარის ნაზი ხელით.

დაჯექი და ფეხი მოირთხი, კევორქ!

თავისით მოვა ყველა!

უტანდარს გამოსათხოვრად მძიმედ თავი დაუკრა.

თაფლოს წრფელის სიყვარულით შეჰღიმოდა. ისიც უკვე მისი წყარო იყო ალბოსავლური ოქროთი ნაჭედი.

მადლი და გულწრფელად ნუ შეიყვარებ!

თავი მეჩვიდმეტე

რა მოხდა ნიქოზის ახლო

ლა

უეცრად შეჩერდა ასაბია.

მკურნალმა სოსლანს მოახსენა აქ შეესვენათ.

ოსთ-ბატონიშვილს, გიორგის, გული შეღონებოდა.

მისი საკაცის გვერდით ცხენებით მომავალ სოსლანს და ჯადაროსს დიდად გაუკვირდათ მკურნალის ესეთი შეშფოთება, მაგრამ მაინც დაემორჩილნენ.

შედგნენ.

მხლებლებმა საკაცე მახლობელ მოზრდილ ხის ქვეშ დადგეს.

გიორგი ფერწასული, თვალებდახუჭული მკვდარს ემსგავსებოდა.

ესე უცბად რა მოუვიდა?

აგერ სამი დღეა, რაც თბილისიდან გამოსულან და, მცხეთის შემდეგ მაინც, კარგ გუნებაზე დადგნენ.

ეტყობა, გაშლილმა ჰაერმა ავადმყოფზე იმოქმედა: გიორგი მოკეთდა, გამხიარულდა, კიდეც. ხუმრობაც კი დაიწყო. ნაჭარმაგევში რომ შეისვენეს, საჭმელიც მოითხოვა.

ასე იყო მთელი სამი დღე მგზავრობის დროს და კინაღამ ნაღვლიანი მგზავრობა სამხიარულო სეირნობით იქცა თბილისიდან ოსეთამდე, სვენებ-სვენებით, შიდა ქართლის ხეობის ჭალთებზე, მშვენიერ ჭალაკებსა და ხეობებს შორის.

შიწაყმები ზოგჯერ ტკბილად შემოღიღინებდნენ კიდეც მხიარულს, მაგრამ სევდაწაყრილ კილოვნებას.

ზოგჯერ ჯანსაღი ბატონიშვილებიც წაეხმარებოდნენ და გიორგი კი... თვით საარაკო მომღერალი და მოშაირე, ალერსით კილსა სდებდა ძმების შენასრულებს.

შემოდგომა იყო, ტკბილი და თბილი დღეები.

სოფლებში და აგარებში ხალხი გარეთ იყო გამოფენილი და ჭირნახულს ეზიდებოდა.

ზოგი სახლის ბანზე ხილის ჩირს ახმობდა, ზოგს ახლად გარეცხილი ხორბალი მზეზე გაეშალა, ზოგი მორჩენილ ჩა-

ლაბულას აგროვებდა. ზოგან, უფრო იაბლობზე უფლისცი-ხის მიდამოებში, საწნახელში ჩამდგარიყვნენ და ყურძენსა სწურავდნენ. ზოგს კიდევ ტყე გაეკაფა და ყამირ ალაგას ხის ძირკვებს ფესვიანად თხრიდა, რომ ზამთრისათვის ადგილი დაეშრობინა და პური დაეთესა. ზოგან კიდევ, ტყის პირებში, ზამთრისათვისვე შეშას ამზადებდნენ.

ერთის სიტყვით, ყველგან იყო გამოფენილი მსუქანი შემოდგომის შესაძლებლობა და... ესეთი მანუგეშებელი, ცხოვრების მაჯისცემა დამშვიდებულ და დამტკბარ განწყობილებასთან ერთად, თავისი, შემოდგომისავე, ტყე და ველად მოდებულ გამაბრუებელ სურნელებით, მკვდარსაც აცოცხლებდა და ავადმყოფ ბატონიშვილზე ხომ აქამდე ნამდვილ მკურნალად მოქმედებდა.

ასე მგზავრობდნენ სამი დღე, უბედურების ახლოობით შემკრთალნი, მაგრამ ბუნებისა და ადამიანთა მუშაობის მადლით გამოხალისებულნი და გამხნევებულნი.

მით უფრო, გიორგის საიმედო პირი დაეტყო.

ამის ნიშნად ისიც კმაროდა, რომ გიორგის თამარი ერთხელაც აღარ უხსენებია, არც თბილისი, არც ისნის სასახლე... არც მისი მეტოქე, ეხლა გაბედნიერებული იურა, უფლისწული.

ისე უფრო თავის მთაზე ლაპარაკობდა, მის გამდელს იხსენებდა. ნატრობდა, ნეტა ჩავაღწიო მის სანახავად და ჩავეხვიო მიმჭკნარ ძუძუებშიო.

იხსენებდა ბავშვობას, სიყრმის ნაცელქარს, ტკბილად იღიმებოდა, ნათელ დღეთა გახსენებით ბედნიერი.

მაშ, ეხლა რა მოუვიდა?

არსად, ერისთავებთან და მათ მცნობ დიდებულებთან, რომელთა სასახლეები და ციხე-დარბაზები ბლომად იყო გაბნეული მათი გზის ორსავე მხარეს, არ შეუვლიათ.

არც სხვისი შეწუხება უნდოდათ და არც ავადმყოფის მოღალვა სასტუმრო მიღების წესებით.

მერმე კიდევ, შეიძლებოდა ვისმეს რამე ეთქვა თამარზე, ეხლანდელს დაწინდვაზე. განა უამისობა შეიძლებოდა? ეხლა, როდესაც მთელმა საქართველომ უკვე იცოდა მომავალი ზეიმის ამბავი.

დაუკითხავად ვინ დ ყენებდა მეფის კარის ესეთ მახლობელ ბატონიშვილებს. ბ ებრივად დაისმოდა ათასი საკითხი:

— როგორია უფლისწული?

— როგორ მოხდა ეს ამბავი?

— რა იყო მიზეზი?

— სადაურია მეუღლე თამარ-საგანგებოსი?

— თვით თამარი მართლა კმაყოფილია, თუ არა?

— ან, თვით ბატონიშვილები როგორ უყურებენ ამ საქმეს?

— ან, სწორედ ამ დროს, რად გამომგზავრებულან ტფილისიდან?

— პირიქით, ყველა საერისთაოდან, აგარებიდან და სანაწებიდან მცხეთას აპირებენ ზეიმზე დასასწრებლად გამგზავრებასა.

— გიორგი ბატონიშვილი რად არის ავად?

და სხვადასხვა ამაღელვებელი, ამაშფოთებელი ავადმყოფისთვის სახიფათო საკითხები.

არაფერი ამგვარი არ მომხდარა, ყოველივე ესენი აირიდეს მგზავრებმა,

აგერ ნიქოზს მიუახლოვდნენ.

ამალამ სწორედ ან ნიქოზში, ან თიღვის დიდებულ მონასტერში აპირებდნენ დასვენებას. ჯერ არავინ დაურღვევთ მყუდროებას.

მონასტრამდე მხოლოდ სამი ეჯია, რამდენიმე ათასეული ნაბიჯი.

რა მოუვიდა?

ჯადაროსს და ხოსლანს ეგონათ, რომ გიორგის მხოლოდ ჩაეძინა.

გზაში ხშირად მოსვლია ასე.

მერე რა ვუყოთ! წვიმდა ჰაერზე ძილი მარგებელიც არის. საკაცე მეტად რბილად არის მოგებული, დიდი სიფრთხილით და სისწორითაც მოაქვთ მხლებლებს, არარა ურყევს სხეულს.

მაშ, რა არის? რა?

მკურნალმა თვალებდახუჭულ გიორგს ბაგეთაგან გადმოდენილი ყვითელი დუჟი მანდილით მოსწმინდა.

შემდეგ მანდილს დაუკვირდა და, უნებლიედ, სასოწარკვეთილებით თავი გაიქნია.

ჯადაროსი და სოსლანი შეშფოთდნენ. თვალებგაფართოებულნი მკურნალს შეეკითხნენ.

მკურნალმა სიჩუმის ნიშნად ტუჩზე თითი დაიჭირა და ავადმყოფს განშორდა.

ბატონიშვილები თან გაჰყვნენ.

როდესაც იმდენზე გავიდნენ, რომ ავადმყოფი მათი ნალაპარაკევისაგან ვერას გაიგებდა, მკურნალმა დაბალზე ხმით ბატონიშვილებს ამცნო:

— რისიც მეშინოდა, ის მოხდა: ნაღველი გასკდა და კუჭში ჩაექცა.

— აჰ!

კინალამ შეჰყვირა ჯადაროსმა, მაგრამ თქვითვე პირზე ხელი დაიფარა.

მკურნალი განაგრძობდა:

— ხსნა არ არის. სისხლი მოეწამლება. აქ მე უძლური ვარ, ვერას გავაწყობ.

ბატონიშვილებმა თავი ჩაჰკიდეს.

ჰმ... უცნაური!

სოსლანმა შეამჩნია, რომ ის ხე, რომლის ქვეშაც ავადმყოფი იწვა, მსხლის ხე იყო. გარშემო ბლომად ეყარა პაპტა-მსხალი, გვერდშემჭალი და, ეტყობა, ქარისაგან მკვახეც ჩამოცვენილი. ერთი მოუვიდა თვალში.

აიღო, მოჰკბიჩა.

თავის თავს ანგარიშს არ აძლევდა, არ იცოდა, რას მოიქმედდა.

ავადმყოფს გადახედა.

სასიკვდილოდ დაჭრილი ორბივით ფეთქდა სხეული. ფერჩატეტკილი, უძრავად იწვა.

პირზე კვლავ მოლურჯო-ყვითელი დუჟი გადმოსდიოდა.

მზე მიექანებოდა დასავლეთისაკენ. მისი ოქროთი იყო დაგანძული ახლო მდებარე ტყის, უკვე შეყვითლებული და ზოგან წითლად აჭვივებული ფოთლები.

ირგვლივ საარაკო მყუდროება იყო გამეფებული.

შინაყმებიც, ოციოდე კაცი, ისარივით ერჭვნენ თავიანთ ადგილას.

ბედაურები ერთი-მეორეზე გადაესადავებინათ და, კისერგაწვდილნი, კუდის ქნევით იგერიებდნენ შემოდგომის აბე-

ზარ ბუზებს. ზოგი მათგანი კი, რომელთა ალვირიც მხლებელთ ეჭირათ, ლაგამადებული ცდილობდა ხალისიანი მწვანე ბალახი მოეწიწკნა:

მხოლოდ მათი ხრამუნი და ცარიელად დარჩენილი უზანგების ხმაური არღვევდა მყუდროებას.

მზემ თითქო უკანასკნელი შარავანდედი დააყენაო ავადმყოფს.

ერთგული საამ ვაჟკაცი მიუახლოვდა გიორგის და თავს დაადგა: მზემ მოსვენება არ დაურღვიოსო.

მან ჯერ კიდევ არ იცოდა მისი თანშეზრდილის ბედი.

მაბჭვილ დარაჯად ადგა თავს.

რომ შესაძლებელი იყოს, ათას სიკვდილს წაგლეჯს თავს, ოღონდ გიორგის კი არა გაუჭირდეს-რა.

ეს სურვილი იმე ცხადად ეტყობა მის კლდესავით აღმართულ მტკიცე სხეულს.

ამ სურათის დანახვაზე, სოსლანს თვალთა უპე ცრემლით აევსო და ხელიდან გაჯავრებით გააგდო ანგარიშმიუცემლად ალებული მეორე მსხალი.

ავადმყოფი შეიშმუშნა.

მკურნალი, ჯადაროსი და სოსლანი მისკენ წავიდნენ, მაგრამ მკურნალმა ბატონიშვილები ახლო არ მიუშვა. თვით მივიდა მარტო და პირთაგან გადმონადენი ხელახლად მანდილით მოსწმინდა.

გიორგის ბაგეს ტანჯული, მაგრამ ბედნიერი ღიმილი დაეტყო.

ლბ

აგერ თიღვა. მისი საყვარელი ქვეყანა.

ბავშვია გიორგი და სასახლის უშველებელ ეზოში ტოლებთან ჩოგანით ბურთაობს.

სწრაფია და საზრისიანი.

რომელ დასშიაც ეგ ურევია, იმ დაში სჯობნის მუდამ. არჩევან-არადანში ყველა გიორგისაკენ რჩეობს მოხვდეს.

აი, დაიწყეს თამაში.

საცაა ლელოზე გაიტანს გიორგის დაში ბურთს.

უეცრად

გალავნის კარები ფართოდ იღება და, რამდენიმე ცხენზე გადაკიდული, სამგზავრო კუბოები შემოაქვთ.

რუსუდან დედოფალთან მის ძმას, გიორგი მეფეს, მისი ქალი, პაწია თამარ და მისივე ძმისწული, საქართველოს ტახტის მემკვიდრე, მოჩიტული დემნა გამოუგზავნია...

კიდევ არიან სხვა ბავშვებიც, გიორგის ტოლები, ქალები, ვაჟები.

დამხვდურებმა უტევეს ბურთაობას და ცნობისმოყვარეობით მოსულებს შეაცქერდნენ.

გიორგის აქამდის რომ არ უნახავს... რად ეძახიან კუბოებს? კუბოები კი არა, ეს უფრო ნავია, კარგა მოზრდილი, თავგადახურული და პაწია სარკმლები აქვს გამოსაჭვრეტად. შიგ საჯდომებია გაკეთებული და ძირს გადმოვარდნა ყოვლად შეუძლებელია...

რა კარგი ყოფილა...

გიორგი ჩაჯდება შიგ.

ეს ნავები კურტნიან ცხენებს აქეთ-იქეთ საპალნეებივით აქვს გადაკიდებული და მგზავრობის დროს მხოლოდ ნელიად მიირხევა.

ასე უნდა იყოს! აბა ვცადოთ!

და გიორგი, უფროსების ნებართვით, სეირნობს ამ კუბოებით.

ჰმ... კუბოები!

სრულიად არ ყოფილა საშიშარი. მკვდრების კუბო, ის სხვა არი, ცოცხლებისა სხვა ყოფილა.

გიორგის ღიმილი კიდევ უფრო ბედნიერი ხდება.

თამარს რომ დაუახლოვდა... შეეჩვია, გაუშინაურდა.

ერთად სირბილი, ჭორაობა-უდაობის თამაში.

რამდენი სიცილი, რამდენი ბავშვური ნეტარება!

რა კარგი იყო დემნაც... მაგრამ იმას ცოტა უფრთხოდნენ, როგორც მათზე მოჩიტულს.

მხოლოდ, თამარი?..

სიზმრათაც რომ გადაეჭცა.

ახსოვს, როგორ არ ახსოვს.

განსაკუთრებით პირველი სიზმარი: სულ ახლოს არიან თამართან, სულ! გრძნობს მის სულთქმასაც. რა ნეტარებაა! რა უცნაური ჟრუანტელი უვლის ტანში. უნდა მთელის მი-

არსებით, მთელის სწეულით გამოსთქვას ეს ნეტარება, გააგებინოს თამარს რაღაც მიუწვდომელი, უნაზესი და უთუოდ... უზენაესიც მისი განცდა, მაგრამ... განა შეიძლება ამის გამოთქმა? რა სიტყვებით? ან ბავშვს სადა აქვს ეს სიტყვები?

ეს ეხლა იცის გიორგიმ. ეხლა შეაწყო სიტყვები ვაჟკაცმა, რადგან ტურფა ლექსად აწვანწკარდა თამარის სიყვარული.

აი, ახლა იცის თამარმა ყოველივე ეს.

იცის და მოსწონს, იცის და უხარია.

უფასებს, თავი მოაქვს და უყვარს.

ო, რა ბედნიერებაა!

აკი, გამოცხადდა დიდის ზეიმით მათი ჯვრისწერა.

მცხეთის ტაძარში, მცხეთისა!

ეხლა განა იქ არ მიემგზავრება?.. აი მისი ძმები: ჯალაროს-საყვარელი, დავით-ახოვანი, ბაამ-ერთგული... ყველას ხედავს, ყველას. როგორ საზეიმოდ არიან დართულები... რა მხიარულია ყველა.

აქვთ მიზეზი მხიარულობისა: მათი საყვარელი გიორგი გამეფდება ამაღამა...

ჰმ... სულელები!

მაგათ ჰგონიათ გიორგის მეფობა უნდა? რას აქნევს მეფობას! მის ბედნიერებას განა მეფობა შეედრება?

ის ხომ თამარის ქმარი გახდება... ქმარი!

ოო, ეს დაუჯერებელი ბედნიერებაა!

თამარი ხომ — ეს, იმ სიბავშვის დროის გულში გამონაკული ვარდია, მაგრამ ვარდი მხოლოდ საოცნებო... ამიტომ კი ეს ვარდი ნამდვილ და ხორცსხმულად მისი ქმნება... ვის შეუძლიან წარმოიდგინოს, რა ნეტარებაა ეს ნეტარება... განა მას აქვს კიდე-განი? აქვს ზაზღვარი, ან წრე შემოვლება?

უბედნიერესი ვინ ყოფილა ამ ქვეყნად? ნუ თუ ვისი და რამენი?

არ ვიცი, არა. ეს მწვავე ცოცხლია გულსმოდებული...

მართლა, რა მწვავს ასე?

ეს რომ გული არ არის!

პირში რათა მაქვს ესეთი მწარე გემო!.. რა დროს სიმწარეა.

ჰო, ავად ვიყავ, მგონი... აა, აკი წავიდა, გადავიდა ის აძ-ბავი...

თამარმა თვით მითხრა. საღამოსაც გამოაცხადეს.

ჰმ... დიაღ, დიაღ! რა სულელი ვარ... რად არა მჯერა... თუ იმიტომ, რომ ეს დაუჯერებელი ბედნიერებაა... ვეტრფოდი, ვესწრაფოდი და მჯეროდა მისი შესრულება. მივალწიე, შევეხლე და აღარა მჯერა?!.

ოჰ, რა სუსტათა ვარ...

გიორგიმ მოიწდომა გადაბრუნება.

საამ და მკურნალი შეეშველნენ.

ბურანი განაგრძობდა:

რადა მაქვს პირში ეს საზიზღარი გემო!.. თფუუ.

ვითომ გადააფურთხა, მაგრამ ხმაურობის მეტი არა გაწოვიდარა. სისველე მაინც ტუჩებს შერჩა.

— მკურნალო! — წამოიკნავლა.

მკურნალმა ალერსით შუბლზე ხელი გადაუსვა.

დიაღ, დიაღ! ეგრე სჯობია... ეხლა დავმშვიდდები და... ტაძარში უფრო მხნედ შევალ.

მალე ვიქნებით ტაძარში?

რა არის ეს?

ამ გემომ გამიჭირა საქმე.

უკვე შფოთავდა გიორგი. სახე ულურჯდებოდა. დუჟი ნაწლინელ, მაგრამ განუწყვეტლივ გადმოდიოდა. სახე ხშირ-ხშირ ეცვლებოდა. ეტყობოდა, რაღაც ძალზე. სტანჯავდა და იმავე დროს კმაყოფილი იყო.

ამ უცნაურობას მის სახეზე გამოხატული ბედნიერი სიყვარულის ქარტა ამჟღავნებდა.

ნაკლები არ იყო გამოცდილი მკურნალის ტანჯვაც. გრძნობდა თავის უძლურებას და გული ეთუთქებოდა. ნუგეშათ ისღა ჰქონდა, რომ ატყობდა გიორგის ორმაგ მდგომარეობას. ამჩნევდა მის ხორციელ წუხილს და სულიერ დამშვიდებას.

„ეტყობა ბურანშია და თავს უკვე გაბედნიერებულათა გრძნობსო, — ფიქრობდა მკურნალი. — შეიძლება, ვინ იცის, თამარის ქმრადაც წარმოუდგენია თავისი თავი, ჰგონია, რომ უკვე მიაღწია საწადელს და მისი სიყვარული გაზიარებულია. თუ ასეა, ბედნიერებაა ასეთი სიკვდილი. სჯობს გონებაზე სულ არ მოეგებოდეს და ამ ბურანში დალიოს თვისი დღენი“.

უკვე მზე ჩავიდა. ბინდბუნდი იწყობოდა. მკურნალმა სახე ავადმყოფის ახლო მიიტანა.

ღაწვები ჩავარდნოდა და ჩაშავებოდა. დახუჭული თვალის ქუთუთოები ლურჯ საშიშროებად ამობურცულიყო. მხოლოდ წამწამები, თითქო ახალგაზრდული ბედნიერებით მორკალულნი, შავ ისრებად აქოჩრილიყვნენ.

უეცრად ავადმყოფი საშინლად დაიკლაკნა და მკერდიდან მძიმე ოხვრა აღმოხდა.

პირიდგან რაღაც შავი ამოაწითხია.

ბატონიშვილებმა ვერ მოითმინეს და საამთან ერთად მყის მივარდნენ.

ტანი ვერხვივით უძიგძიგებდა, ვერ მოესვენა, თავი მორღვეული ჰქონდა.

გაუსწორეს, პირი მოსწინდეს, საკაცეზე კარგა გამართეს.

ეტყობოდა, ავადმყოფი აღარას გრძნობდა ამ ქვეყნიურს: თვალი არ გაუღია. სიტყვა არ წასცდენია. ტანი ისევ უთრთოდა და რაღასაც ზმუოდა გაურკვევლად.

დაღამდა სრულად.

უგულო ვარსკვლავებმა თითქო გულის გარედ დაჰხედეს ადამიანის უბედურებას და... ჩაიკეტნენ თავის მოციმციმე ყინულის კოშკები.

ასე წარმოიდგინა მათმა შემხედვარე ჭაბუკმა ჯადაროსმა და ერთი საშინლად შებღავლა ბუნების უსამართლობას.

მკურნალმა ბრძანება გასცა და გზას გაუდგნენ.

ლგ

სოსლანი ძლივს ამშვიდებდა სასოწარკვეთილ ჯადაროსს. თუმცა თვითონ იყო სანუგეშებელი.

გულგამეხებულს ცრემლი არა სდიოდა. არც ოხვრა და ბღავილი სურდა მის გულს. ათასი ნაპწკიალები ინთებოდნენ და ქრებოდნენ მის გონებაში. მხოლოდ მათ ნათელზე ერთი მთავარი აზრი მეტის დაჟინებით გადაწყვეტილებად იბასკვებოდა.

ეს იყო.

„ველად გაჭრა“.

ეს იყო რაინდული ჩვეულება გულმოწყლული და ბედგაცუდებული ვაჟკაცისათვის.

ასე ჰქონდა წაკითხული დავით სოსლანს ძველს საერო წიგნებში.

ასე ჰქონდა გადმოცემული წინაპართაგან.

ასე ჰქონდა გაგონილი ძველი გმირის, ბაყათარ ოსის ამბავი: ვახტანგ გორგასლანის დაი რომ შეუყვარდა და მიზანს ვერ-ეწია, დიდხანს იყო ველად გაჭრილიო.

სოსლანსაც ეხლა მხოლოდ ეს დარჩენია.

ის, რაც გულში ბავშვობიდანვე სასოებად ჰქონდა ჩამარხული — ტრფიალება თამარისა — ნაცარწაყრილ ცეცხლად ყრუდ მგზნებარებდა მის გულში.

ამის მიზეზი იყო დემნა ბატონიშვილი, პირველი მიჯნური თამარისა და თვით თამარის მიერ შეწყნარებული.

დემნასთან ძმადნაფიცობამ სძლია საპირადოს. და თუ ნელი და გაუმჭრალი ცეცხლი სწვავდა თამარის მიაბლებისათვის, დემნას ბავშვობითვე თანშეზრდილობა, ჭაბუკობაში მტკიცე მეგობრად ქცეული, ანელებდა იმ ცეცხლს და თვით სოსლანს უკან ახევინებდა.

ხოლო, როდესაც დემნა დაიღუპა, სოსლანის გულში კვლავ იფეთქა იმედის სიხარულმა, მაგრამ...

ეს სიხარული მყისვე დაიჩრდილა, ოდეს აღმოჩნდა, რომ მის უმრწემესს გიორგის აგრეთვე სწვავდა მძლავრი სახმილი ციური თამარისთვის.

ვერც გიორგის შეელია.

ეს მის ძალას აღემატებოდა.

გიორგი — საარაკო ჭაბუკი, გიორგი — სასახელო მთელი გვაროვნობისა, გიორგი — უშუალოდ საყვარელი...

ვით ეღალატებოდა?! კვლავ უკუდგა.

შემდეგ რუსუდანთან ამ ბოლო ხანს საუბარი... ოო, რად შეეხო მიყუჩებულ წყლულს სიყვარულით გამთბარი რუსუდანის სიტყვები?!

მერე, რა დროს!

როდესაც საქმრო უკვე დასახელებული იყო და ხვალ-ზეგ კიდევ უფრო ზეიმით გამოცხადდება მისი დაწინდვა.

დაწინდვა!

რაღაც შორეული იმედი.

როგორ თანდათან იწმინდება გზები სოსლანისათვის: დემნა დაიღუპა.

დემნა — მშვენიერი, ნათელგონებიანი, უებრო ვაჟკაცი, გიორგიც იღუპება... დაიღუპა კიდეც.

ოჰ, რა საძაგელი ყოფილა სოსლანი!

ნუ თუ უხარია დაღუპვა მის საუკეთესო მეგობართა?! ისეთი ხალხის, რომლებიც მუდამ თავს ერჩია.

ისეთების, რომელთაც, როდესაც თავს შეადარებდა, თამარის საქმრად გონება მუდამ მათ რჩებოდა.

მაგრამ სად არის აქ სიძაგლე?

დაიღუპნენ ორივენი სოსლანის უნებურად. სოსლანი მათთვის მუდამ გულწრფელად თავდადებული იყო. აკი დაამტკიცა კიდეც მისი საქციელით.

ეხლა კი... ამ ორში არც ერთი აღარ არის.

გზა გაწმენდილია.

ეეჰ, ნუ თუ სხვისი უბედურება სოსლანს ბედნიერებას მოუტანს?

ნუ თუ ეს ცხოვრების წესია?

მაგრამ რა სატანჯველი იქნება ეს ბედნიერება, თუნდა მას ეწიოს კიდეც.

დემნას გახსენება... გიორგის აჩრდილი...

შშ... ჩემი გიორგი, ჩემი.

ნიკაპი აუკანკალდა.

ცალი თვალი შეაპარა ბაკაცეზე უგრძნობლად მდებარე, ბიკვდილის სამეფოში ფეხშემდგარ, ძმასა.

თვალს ცრემლი მოადგა, მაგრამ მოადგა მხოლოდ და იქვე შეჩერდა: აზროვნება ისევ თავისას დაუბრუნდა.

რა მძლავრი ყოფილა სიცოცხლე...

სიცოცხლე!

თვით უძვირფასეს დანაკარგთან სათავისოდ ჯიუტობს, თურმე.

ამ სიცოცხლეს მისთვის უნდა ბედნიერება დაა... სხვას არ დაგიდევს.

თუ თვით სოსლანია ესეთი უგულო, ესეთი მდაბალი გრძნობისა?

მაშ, რად ფიქრობს თავის ბედნიერებაზე, და — სწორედ ეხლა?

მაგრამ თვით ეს ბედნიერება სად არის?

რისი იმედი აქვს?

იმისი, რომ ის უცხო უფლისწული მხოლოდ იწინდება? ვინ უთხრა ეს ამბავი?

ვინ არ უთხრა.

ჯერ კიდევ ტფილისში გაიგო ყველამ ეს ამბავი. განა ბატონიშვილები მაშინ იქ არ იყვნენ? აკი მაგან მოუსწრაფა კიდეც გიორგის სიცოცხლე.

გზაშიც ყველგან ელვასავით გაერბინა ამ ცნობას მთელს შიდა ქართლზე.

მოსდებოდა ქვეყნებს.

მხოლოდ ზოგან ამბობდნენ, რომ ჯვრის წერა მოხდებაო.

მაგრამ ეს ხომ ჭორი იყო, ხელიდან ხელში გადასული, გაზვიადებული მეღვინეებეთაგან.

განა ეს დავითმა არ იცის?

ნამდვილია ის, რომ დაწინდვა იქნება, მაგრამ აქედგან რა გამოდის?

ეხლა დაიწინდება, ერთი წლის შემდეგ, ჯვარსაც დაიწერს.

არა, არა! აღარავითარი იმედი... თუმცა რუსუდანის სიტყვებიდან, თითქო თამარის სულ სხვა სურვილი გამოკრთოდა. ძლივსაგრძნობი, ხელთდაუჭერელი... დაუჯერებელიც.

თამარი სამუდამოდ პყრობილია დემნას მიერ და...

თუ ეხლა ამ უფლისწულზე დათანხმდა ჰმ... რა თქმა უნდა. ეს მეფური სიბრძნეა მხოლოდ.

მისი გული კი... სამუდამოდ პყრობილია, სამუდამოდ...

აქ იგრძნო სოსლანმა საშინელი გულის ტკივილი.

რომ კიდეც მოხდეს საასწაული და ამ ერთი წლის გამოცდამ ცხო უფლისწულს უჭმად ჩაუაროს, სოსლანიც რომ საწადელს ეწიოს, რა გამოვა აქედან?

ოო, ბევრი, ძალიან ბევრი. ის მეფე გახდება საქართველოსი, პატრონი და მეუღლე უკიმირო თამარისა, ხოლო თვით თამარი...

მაინც მისი არ იქნება. სოსლანმა იცის, რომ თამარის გული სამუდამოდ პყრობილია.

ეხლა მიხვდა, რა უზომოდ იყო ტანჯული და ეს ტანჯვა

თავისი სიმთელით არ ჰგავდა თამარის არც ერთი მოტრფიალის ტანჯვას.

ამან კიდევ უფრო დაარწმუნა და საბოლოოდ ამ აზრს დაადგა: გიორგის უკანასკნელ პატივისცემას მოვრჩები თუ არა, გადავიხვეწები ამ ქვეყნიდან და ველად გავიჭრებიო.

დავითი რომ ამ ფიქრებში იყო, ჯადაროსს და საამს თათბირი ჰქონდათ, საით წასულიყვნენ, თიღვის მონასტერიც ცხვირ წინ იყო და ნიქოზის საეპისკოპოსოც.

მართალია, თითქო ნიქოზს უნდა გაეთიათ ღამე, მაგრამ, რაკი გიორგი ისე უიმედოდ გახდა და მთის ოსეთში შესვლა ვინ იცის როდის მოხდებოდა, ამიტომ ჯადაროსმა თიღვის წასვლა მოისურვა: იქ, მონასტრის გარდა, სამეფო სასახლეც იყო დავით აღმაშენებლის დის, თამარის მიერ აშენებული, და ამ ჟამად ხშირი სამყოფელი რუსუდან დედოფლისა. გიორგისაც ბავშვობა თითქმის აქ გაუტარებია.

ყოველივე ამის გარდა, ჯადაროსს არ უნდოდა ნიქოზის მწყემსმთავარის შეწუხება ღამით.

ჰკითხეს დავითს.

მან, სიახლოვის გამო, ნიქოზი აირჩია და ისიც დააყოლა, რომ მწყემსმთავარი, არამც თუ შეწუხდება, სნეულის გაკურნებისათვის პარაკლისსაც გადაიხდისო.

ამაზე შეთანხმდნენ.

მწუხრი უკვე გადასული იყო, როდესაც ნიქოზის დიდებული ეკლესიის ეზოში შევიდნენ.

მართლაც დავითის თქმისამებრ მოხდა.

ოსეთ-დვალეთის და გლოლა-ღების ნიქოზელი მწყემსმთავარი, მთელი თავისი კრებულით, ღია გულით დაუხვდა ძვირფას სტუმრებს.

ავადმყოფი თვის საწოლში დააწვინა და ბატონიშვილებს და სხვა მხლებელთ უფროს-უმცროსობით საკადრისი ბინა უჩინა.

თვით კი, სტუმრების თანდასწრებით, ავადმყოფის გასაკურნავად, მთელის კრებულით და მგალობელთა მწყობრით, მთავარს ტაძარში მანტია-მოსილმა პარაკლისი გადახადა.

მაგრამ სასიკვდილოდ განწირულს ვერც ამ ლოცვამ უშველა, ვერც გამუდმებულმა ღამისთევამ ჯადაროსისა და ს-

ამისამ, ვერც გონიერი მკურნალის მთელი ცოდნის დახარჯვამ.

გიორგი უჩუმრად მიიცვალა მესამე დღეს.

მხოლოდ უკანასკნელად გაურკვეველი ორი მარცვალი წაიჩურჩულეს მისმა ბაგეებმა:

„თი“... „თა“...

ჯადაროსი დიდხანს თავს იმტვრევდა მათ გამოსაცნობად. რა იყო „თი“, თიღვა? „თა“, თამარი?

უკანასკნელად მაინც თამარის სახელი წარმოსთქვეს სიკვდილით აძიგძიგებულმა ბაგეებმა!

ერთი ცხადია: გარდაცვალების მსახვრელი თათი საბოლოოდ შეეხო ამ გაუხარელ ჭაბუკ სიცოცხლეს.

დავით სოსლანმა არ ინება, რომ დასაფლავება დიდის ზეამით ყოფილიყო:

საქართველოში ეხლა ამისათვის არა სცალიანთო.

ჯადაროსი კიდევ უფრო ფიცხელ გუნებაზე იყო. მას უკვე სძულდა თვით საქართველო და თამარ-მეფეც, რომლის მიზეზით უბადლო გიორგი დაიღუპა. ის უკვე საომარ გუნებაზე იყო და განდგომისათვის გამზადებული ფიქრობდა: როგორც კი მოვალეობას მოვისტუმრებ, ჩემს ქვეყანაში ჯარს შევაგროვებ და შევესევი საქართველოსაო. მაგრამ ამას ჯერ ფიქრობდა მხოლოდ, ჯერ მხოლოდ თავის სულში ზრდიდა შურისძიებას და არავისთვის თავისი აზრი არ გაუზიარებია.

დაიჯერა დავითის რჩევა და ამიტომ ეს ხამწუხარო ამბავი მხოლოდ შიდა ქართლში მოსახლე ოსებს აცნობეს და სხვა ახლომახლო სოფლებსა.

თვით გიორგის გამდელიც კი არ დაიბარეს, რადგან სიშორისაგან მისი მოყვანა არ მოესწრებოდა.

მაინც დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი და იყო გლოვა გულწრფელი, ქვითინი გულამოსკვნილი.

ყველას ენანებოდა მშვენიერი ჭაბუკი, ესე უდროოდ დაკარგული.

მიცვალებული დაასაფლავეს თუ არა, დავითმა ერთი მისი ერთგული მოყმეთაგანი, როსტომ ჭურთაული იხმო, დიდხანს რალაც დარიგება მისცა, უკანასტარზე ბაწია წერილი დასწერა რუსუდან დედოფალთან და თბილისს გაისტუმრა.

თვით კი აღარ დაუცადა აღაპის დასრულებას, რომლის

სუფრები ბლომად იყო ეკლესიის გალავნის შიგნით ეზოსა და ეპისკოპოსის სასახლეში გაშლილი.

მწყემსმთავარი ცალკე სენაკში გაიყვანა, აღსარებასავით დიდხანს რაღაზედაც ესაუბრა, შემდეგ შენდობა გამოსთხოვა და, ჯადაროსს არ გამოთხოვებია, ისე, შებინდებისას თავისი ორი მხლებელით, საომრად აღჭურვილმა რაჭის მთებისაკენ გაჭუსლა.

ჯადაროსმა ეს რომ გაიგო, კინაღამ გულს შეუღონდა, გამოდევნება მოისურვა, ადგილზე ვერ მოისვენა, მაგრამ მწყემსმთავარმა და დასაფლავებაზე მოსულმა წარჩინებულებმა დაამშვიდეს, თან გაახსენეს, რომ მას, როგორც უახლოესს ჭირისუფალს, ორმოცი დღე გარე გამოუსვლელად, გარდაცვლილის საფლავთან ბაგანგებოდ დაწნულ ჭოხში უნდა მოეთია და მხოლოდ შემდეგ შეეძლო ამ სოფლის საქმეებს ჩაბრუნებოდა.

ჯადაროსიც დაემორჩილა.

მაგრამ გული გაიკერპა და საქართველო-თამარისადმი ბრაზიანი გადაწყვეტილება კიდევ უფრო გაიმტკიცა.

ხოლო დავით სოსლანზე, ესე უცებურ გაპარვისა და ოჯახის ღალატისათვის, კარგა გული შეუძვირდა.

თავი მეთვრამეტე

საბედისწერო შეხვედრა

ლდ

თამარის წინ ოთხი გელათელი მწირი მოკრძალებით იდგა.

მცირე მაგიდასთან, საწოლისა და საჭურჭლის მწიგნობარი, არსენ სამძივარი იჯდა და გრძელს, მოქნილსა და გაწვეწილს სუფთა გრაგნილზე, შავის მურაქაფის მელნით, ლამაზის მხედრულით შემდეგსა სწერდა:

„სახელითა ღვთისათა, მე თამარ ბაგრატონიანმან, ნებითა ღვთისათა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან შარვანშა და ყოვლისა აღ-

მოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელმან და მჭი-
ნეებელმან, ვიგულე რათამცა წარსამართებელად მეფობისად
ჩემისად...“

შეჩერდა არსენი.

რაც ჩამოსწერა, ჩვეულებრივი შესავალი იყო მეფის სა-
ბუთების შესადგენად. ეხლა უცდიდა მთელს განაჩენს და
თვალნი თამარს მიაპყრო: რას მიბრძანებსო.

მეფე აღელვებული მიმოვიდოდა ოთახში.

არსენმა თავი დახარა და საგანს ჩაუღრმავდა:

უსამართლობასთან ჰქონდათ საქმე.

წინაპრებს გელათის მონასტრისათვის, გარდა სამონას-
ტრო კრებულისა, თორმეტი მწირიც გაეწესებინათ მონას-
ტრისა და შემავალთა მსახურად. მონასტერი კი მათ არავი-
თარ ყურადღებას არ აქცევდა და არც არავითარ საზრდოს
აძლევდა.

მწირნი, თორმეტნივე, იკვებებოდნენ მხოლოდ მონასტერ-
ში მოსული ხალხის ნასუფრალით და სხვა არავითარი შემო-
სავალი არ გააჩნდათ.

საერთოდ ძალიან ცუდად იყო სასულიერო წოდების საქ-
მე: იქა-აქ თუ ანათებდა ეკლესიის მნათობები, ისიც სადმე
მონასტრებში შეფარულნი, ან საბერძნეთის და პალესტინის
ლავრებში, ან მეუდაბნოები, ან დაყუდებულნი, თორემ თა-
მარის გამეფებიდან თითქმის აქამომდე სასულიერო წოდება
წარმოადგენდა მეტად ძლიერ წოდებას, მაგრამ დიდად და-
ცემულს სულიერად და დაავადებულს ზნეობრივად.

ხარბნი და გაუმაძღარნი, მჭირდავნი და ერთი მეორეს
მოშურნენი, მეჩრთამენი და მეძავნი, აღვირწახსნილი კრე-
ბული, მხოლოდ გარეგნულის ფარისევლობით და საეკლე-
სიო წესრიგთა ზერელე შესრულებით ძლივს ჰფარავდა თა-
ვისს შინაგან გაბრწყინებას.

გავლენა კი დიდი ჰქონდათ მოპოვებული. უამრავი სიმ-
დიდრე მონასტრებსა და ეკლესიებში, უხვი შეწირულებანი
მეფეთა და სხვა დიდებულთაგან, უბრალო წყაროდ ჩამდინა-
რებდა მათს პირდაპირ ნილ და ძროვაარდნილ სალაროე-
ბში. ყმები და მამულები... საკუთარი მამასადამე სასულიე-
რო მეუფების ჯარი. ყველა ეს მათ ხელთ იყო და, ზოგჯერ

დიდებულები და თვით მეფებიც ახირებულად ვერას ჰკადრებდნენ.

მართალია, დავით აღმაშენებელმა ეკლესიის საქმეც დადად განაგო. ღირსეული მეთაურები მიუჩინა და თვით სახელმძღვანელო წესებიც კი დაუდგინა ეკლესიის მოძღვართა და შემავალთ.

მაგრამ, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩავლო და...

არსენის გაახსენდა და სიმართლეზე თვალები ვერ დახუჭა:

აი, თამარის გამეფებისას სასულიერო წოდება კვლავ განლაღებული და საზღვარს გადამცდარი იყო.

განსაკუთრებით უფროსი და მეთაური ეკლესიისა მიქელ კათალიკოსი.

შეუპოვარი და კაცი მძიმე ხასიათისა!

სახით მშვენიერი და ახოვანი, მწირველი და მლოცველი გამოჩინებით, მომხიბვლელი და ენაწყლიანი მოსაუბრე, მაგრამ...

საქმით არაღირსი იმ მოძღვრებისა, რომლის პირველი მქადაგებელი თვითონ იყო.

კარგად ახსოვს არსენს, როგორ ერიდებოდა მიქელ კათალიკოსისა ერსა და ბერს.

რა გაჭირდა საეკლესიო კრების მოწყობა.

როგორ ეკრძალებოდათ მიქელისა თვით მის მოწინააღმდეგეებს.

ეკრძალებოდათ მისთვის, რომ მიქელს საუკეთესო ნაწილი სასულიერო წოდებისა დაშინებული ჰყავდა, შემოფანტული, დაქსაქსული.

წინანდელი კათალიკოსი, რომელიც თამარის მეოხებით ეხლაც კათალიკოსობს, განთქმული მეცნიერი ნიკოლოზ გალაბრის-ძე, იმდენად შეავიწროა თავის დროს მიქელ მწყემსმთავარმა, რომ ნიკოლოზი იძულებული იყო უარი ეთქვა მის საპატიო ხარისხსა და მოღვაწეობაზე და იერუსალიმს გახიზნულიყო. ან კიდევ ანტონი, გლონისთავის-ძე, ჭყონდიდლად და ჯვარისმტვირთველად ნამყოფი. ამასაც ხომ მიქელმა „მოსტაცა ჭყონდიდლობა“. და, კიდევ ვინ იცის, რამდენი ღირსეული ჩამოაშორა ქვეყანას და ეკლესიას ამ ფიცხელმა

და განლაღებულმა, ოქროთვმსულ საბერო ჩოხაში გამოწყობილმა, მიტრიანმა „მტაცებელმა“.

ერიდებოდათ ამ კაცისა და... კინაღამ მისი გადაყენება ვერ მოახერხა საეკლესიო კრებამაც კი, სადაც მთელის სისრულით გამოაშკარავდა და დამტკიცდა მიქელის უღირსობა.

ვერ მოახერხა, თუმცა თვით თამარი მხარს უჭერდა უღირსის ჩამოშორებას.

იმდენად მძლავრი იყო ამ კაცის გავლენა.

ეხლა, მადლობა ღმერთს, ეკლესიის მეთაურებად თამარმა კვლავ ღირსეულნი მოიწოდა, თანდათან იწმინდება ღვარძლისაგან რჯულის საქმე და სასულიერო მოხელეობა.

თვით მიქელიც ღმერთმა დასაჯა: უკურნებელ და სამარცხვინო სენით დაავადებული, სადღაც მიყრუებულ მონასტრის ქსენონში წევს, ყველასაგან დავიწყებული და მიტოვებული. არც აღარავინ იწუხებს მისთვის თავსა, თვით გუშინდელი მისი მომხრეებიც...

ეკლესიის საქმე საერთოდ თითქო კალაპოტში ჩადგა ამ ბოლო ხანებში, მაგრამ ამ მხრივაც, ოჰ, რამდენია ჯერ კიდევ გასაკეთებელი.

ამიტომ არის თამარი აღელვებული: სახელმწიფო სხვა ბევრ საქმეებთან, ეკლესიაც დიდი საზრუნია მისთვის.

არსენს ფიქრები კიდევ უფრო დაუმძიმდა, მაგრამ ამ ჟამად არ გაჰყვა მათ ღრმა საზრისს.

მოსულ მწირებზე თვალი შეუჩერდა. გაიხსენა მათი შეიწროება გელათის ბერების მიერ. თან თამარს შეჰხედა: ნეტა, როგორ გადასწყვეტს ბრძენი მეფე... რას დამაწერინებსო?

სწორედ ამ დროს გაისმა თამარის ხმა არსენის საკარნახოდ:

— ესე ეწყინა მეფობასა ჩვენსა... არ ეგების სხვისა ხელთშემხვედარობაა... დასხდებოდნენ ყოვლადვე დაუცადებლად იგი მწირნი თორმეტნივე ტრაპეზსა, ვითა მონასტერსა შინა მყოფნი ძმანი დასხდებიან...

არსენს გული გაუნათლდა და სიხარულით ჩასწერა სიგელში ეს ბრძანება საშვილიშვილო შესასრულებლად.

ხოლო, როდესაც ამ ბრძანებას თამარმა ჩვეულებისამებრ ზედ უხვი შეწირულებაც მიაყოლა, არსენმა გაიფიქრა:

„დედავ! თვით გელათს არა დააკლო რა, ძმობლად ძეობა პურად-ღებაში ბერებს გაუთანატოლაო“.

თან გულში გაეცინა:

„განა, თამარი სხვაფრივ მოიქცეოდა?“

მაჩვევი ხელით ჩამოსწერა ყოველივე იმ წესით, რა წესითაც სიგელს შეეფერებოდა.

ბოლოში, თავის მხრივ, ცოტა წყევლაც მიაყოლა იმისი გასაფრთხილებლად, ვინც ამ ბრძანების შეშლას მოისურვებდა. ინდიქტიონიც დაწერისა აღნიშნა და თავისი თავიც არ დაივიწყა, ასე მოიხსენია:

„დაიწერა ბრძანებაჲ და სიგელი ესე ხელითა საწოლის და საჭურჭლისა მწიგნობრისა, არსენ სამძივარისათა“.

შემდეგ წამოდგა და გრაგნილი თამარს მიართვა ხელის მოსაწერად.

თამარმა მოაწერა:

„ესე ვითა დამიწერია... განაჩენი ჩემითა ხელითა ცოდ ვილითა დამიმტკიცებია“.

შემდეგ ხვეულად — „თამარ“.

ცხრაფად წელში მოკაკული მწირთა წარმომადგენელნ თამარს მოუახლოვდნენ და ქალთაზე ეამბორნენ.

თამარმა სათნოდ დალოცა, გაამხნევა, და ის იყო მწირნ გამოთხოვებას აპირებდნენ, რომ მოფარდაგული გადაიწ და რუსუდან დედოფლის მჭმუნვარე სახე გამოჩნდა.

ყველამ იგრძნო, რომ რუსუდანი კარგი ამბის მომტანი ა იყო.

მწირნი თავდახრილნი ნელინელ კარებს მიეფარნენ.

არსენ სამძივარიც გრაგნილითურთ განშორდა მეფის სა ბაკს.

მხოლოდ მოფარდაგულს მთასავით აეყუდა, თამარის ერი გული შინაყმა სვანი, დადაშ ციოყი.

ეს არ იყო უბრალო დარაჯობა.

სადარაჯოდ, წესისამებრ, ციოყი მოფარდაგულს გარე იც გა ხოლმე.

თამარმა შეამჩნია, რომ ციოყს სათხოვარი ჰქონდა რამ.

მაგრამ ჩვეულებრივ უჭირდა თქმა.

სიტყვაძვირი იყო მთიული.

ღა ეს გარემოება ამ ჟამად მეტად აშკარავდებოდა მის ვაჟკაცურ, აჭარხლებულს სახეზე.

თამარი მიუხვდა და, თუმცა იცოდა, რომ რუსუდანი რაღაც მძიმე საქმეზე იყო მოსული, მაინც უპირატესობა სვანის ყურადღებას მიანიჭა და გაჭირვებით ლმობიერად შეუმსუბუქა:

— ციოყ! გეტყობა, გინდა მითხრა რამე... რა გიჭირს?

კაცი იტყოდა, სახე გაუსკდება მთიულსაო, ისე მოეჭიმა ძარღვები.

მაინც, როგორც იყო, წარმოსთქვა:

— პირიმზე!.. ორიასათხოვარი მაქვს!..

მახვილ ნაფოტებივით წამოსცვივდა ეს სიტყვები.

თამარმა კვლავ შეაგება:

— სთქვი, ჩემო ციოყ!

— ჩემი პატარა დაი გეახლათ დი...

— ნანული?

ციოყს სახე გაუნათლდა. გულზეც მოეშვა. თან გაუკვირდა — საიდან ახსოვს ჩემი დის სახელიო... მაგრამ გულმეცნიერია... რა არის გასაკვირიო!..

გონებაში ამაზე ძალიან დალაგებით ფიქრობდა, სიტყვები კი ვერ მოჰკრიფა და ფართო ღიმილით მხოლოდ ეს წამოისროლა:

— დიაღ.

— ეხლა ჩემი ნახვა უნდა?..

ფართო ღიმილი არ შორდებოდა სვანის ბაგეს. ენა-კი ამას იტყოდა:

— სულ... სულ...

— ჰოო! სულ მოვიდა აქ?.. სასახლის კარზე, ჩემთან იყოს?

— ჰა, ჰა... დიაღ...

— სად არის ეხლა?

— დერეფანში იცდის.

— ეს მეწყინა... ამ ჟამად... აი, მამიდასთან თათბირს მოკრიბები და შემდეგ სადილობამდე უთუოდ მომიყვანე... დიდად მიამება მისი ნახვა... კარგი ფიქრი მოსვლია, რომ ჩამოსულა... მაშ, ასე, ჩემო ციოყ.

ეტყობოდა ციოყი ბედნიერი იყო, მაგრამ ადგილიდან მაინც არ დაიძრა.

თამარს გაახსენდა:

— მეორე სათხოვარი?

ქვლავ აჭარხლდა მთიული. ეტყობოდა მეორე სათხოვარი უფრო უძნელდებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც გააგებინა თამარს, რომ მისი სურვილი იყო საქართველოს მეფის მომავალი მეუღლის მხლებლად დაენიშნათ.

თამარს პირველად თითქო არ იამა ციოყის ესეთი მონდომება: რათა მტოვებს, მაინც მამაკაცი ურჩევნიაო, მაგრამ შემდეგ გაუგო.

ციოყის ნაფოტივით დაცვენილ სიტყვების გოროხს ზედ ემჩნეოდა, რომ მას მხოლოდ ვაჟკაცობის გამოჩენისათვის უნდოდა გიორგი რუსთან ხლება.

უთუოა... მომავალში გალაშქრება მოხდება, თარეში, ნადირობა... და სიგმირის გადაშლა, რაღა თქმა უნდა, მასთან უფრო შეიძლებოდა.

თამარმა მოუწონა ეს სურვილი. ნებაც დართო... მხოლოდ ეს განწესება დაწინდვის შემდეგ მოხდებაო, გააფრთხილა.

გახარებულმა ციოყმა მდაბლა თავი დახარა და მეფის ქალთას ეამბორა.

თამარი ტახტზე ჩამომჯდარ სევდიან რუსუდანს მიუბრუნდა.

ლე

დერეფანში ნანული ერთ ხნიერ დედაკაცთან ერთად იცდიდა.

ციოყს თამარის გამდელი პირიმზისა გამოჰყვა და სიხარულით ნანულისაკენ გაეშურა. წანულიც, სახეგაბრწყინებული, გამდელს შემოეგება.

გამდელმა გახარების და ერთგულების გამოსახატავად მარჯვენა ხელი ნანულის თავს სამჯერ ირგვლივ შემოავლო და შემდეგ გულზე აკოცა.

თითქო ამით უთხრა: შენ შემოგევლეო!

სეფექალებმა ჩამოიარეს და, ეს ჯგუფი რომ შეამჩნიეს, შეჩერდნენ. ბოლოს გაისმა საამური შეკვირვება:

— ნანული!..

— შენ გენაცვალე!...

— რამხელა გაზრდილა!

— დაქალებულა!..

შეიქმნა ახალგაზრდათა ნეტარი შეფრთქიალება.

დერეფნის მოსახვევში დიდებულთა გუნდი გამოჩნდა.

მათ შორის ვაჟკაცურად ერჩეოდა ჭარმაგი კუზმა რუსი, რომელსაც ჩვეულებრივ თან ახლდა, უკვე თითქმის განუყოფელი მეგობარი და მუდმივი თარჯიმანი, ყივჩაყი შარაგანი.

ვაჟკაცთ გუნდი გაუთანასწორდა ნანულის ჯგუფს.

შედგნენ.

ზოგმა იცნო ნანული და სიხარულით მიესალმა.

ეტყობოდა, სასახლეში უყვარდათ ნანული.

კუზმა შორიახლო შედგა და...

რა მოსდის?

უმიზეზო, უცნაურმა ბედნიერებამ თითქო მის გულში ჯადოსნური ხალიჩა გაშალა. ეს მოხდა ესე უეცრად და... სრულიად უმიზეზოდ.

რად ტოკავს გული ესე სიხარულით?.. რად მოუნდა უცნაური სიმღერის თქმა? რა სამოთხისებური ჰანგი ჩაესმის ყურში?

თითქო სრულად გაყმაწვილდაო, გარბენა უნდა, ხლტომა, დიდი სიმძიმის აწევა, აი, ამ გუმბათიან დერეფნის ხელში დაჭერა.

ისე მსუბუქი იქმნება მისთვის ეს ქვები, როგორადაც თუნდა აი, ამ საოცარი ქალწულის თმის ნაწნავის შეთამაშება.

თმის ნაწნავი?

როგორ შეჰკადრა?!

ეგ ხომ ქალი არ არის... ანგელოზია... ყვავილია. ნაზი, ფერმიხდილი, მაღალღეროიანი. ნიავის მოქროლვაც კი წელში გადაამტვრევს.

უეცრად...

სამოთხის კარი გაიღო.

ნანულიმ თავი კუზმასაკენ შეატრიალა და ბავშვური განცვიფრებით, ფართოდ გაღებული, უმანკოებით აღსავსე, ლამაზი გამოხედვა კუზმაზე ხანგრძლივ შეაჩერა.

ნამდვილად რეტი დაეხსა კუზმას.

ნანულიც მოჯადოებულივით უძრავად იდგა.

ეტყობოდა, რაღაც იდუმალი ძალი მომხიბვლელი ძაფით

ხედავდა ორს უმეშვეო ბუნებას და არ ზოგავდა მათი ხვედრის შეუფერებლობას, მათი მდგომარეობის სხვაობას.

სამოც წლამდე მიღწეული კუზმა და თექვსმეტამდე აფეთქილი მთიული ნანული.

ორთავენი, თითქო ერთს სიხარულს შესდგომოდნენ, ერთი უცნაური საკალობლის წართქმას აპირებდნენ.

ირგვლივ ყველამ იგრძნო რაღაც შეჩერება, მაგრამ დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ. ეს მოხდა უეცრად.

ქალებმა ნანულის შეაშტერეს თვალები, მაგრამ საყველპურო ხუმრობაში გადაატარეს, რადგან — მაინცდამაინც არ იყო გასაკვირი, რომ მთიდან ახლად ჩამოსულს, გამოცდილს ქალწულს, განცვიფრებოდა უცხოელი დარბაისელის ნახვა.

ვაჟებიც დიდად არ ჩაჰფიქრებიან კუზმას მდგომარეობას. ისინი მიჩვეულნი იყვნენ, რომ კუზმას ხშირად, ძალიან ჩვეულებრივი რამ აკვირვებდა და შეაჩერებდა ხოლმე. ამას იმითი ხსნიდნენ, რომ შინაურებს თვალი და ყური შეჩვეული ჰქონდათ, კუზმა კი უცხო იყო, ახლად ჩამოსული და ბისთვის, მაშასადამე, ზოგი რამ საყურადღებო.

აქაც უთუოდ ესეაო.

ორივე ჯგუფმა — ქალებისა და ვაჟებისამ — მხოლოდ უეცრად იგრძნეს, რომ რაღაც მოხდა ამ წუთს, მაგრამ ეს მოვლენა არ გააღრმავეს, არ გააზვიადეს და ახსნეს ნანულის ბავშვობით და კუზმას უცხოობით.

თამარის გამდელი სწორედ ამ დროს განშორდა ნანულის ჯგუფს და ისევ თამარის სენაკში დაბრუნდა.

ცოყი კვლავ დადგა თავის სადარაჯოზე და ნანული სადილობამდე ხნიერ დედაკაცთან ერთად თავის საბყოფელოში გაისტუმრა.

სხვა ჯგუფებიც გაიფანტნენ დერეფანში.

მხოლოდ კუზმა-რუსი კვლავ თვალს ვერ აშორებდა მომავალ ნანულის.

ნიამორია, თუ შვლის ნუკრი, ნაჩვევი ქარაფოვან კლდეზე ხლტომასა?

რა სიარული ჰქონდა!

მხოლოდ ერთჯერ კიდევ მოიხედა ნანულიმ და... აშკარაა, თვალით მხოლოდ კუზმა მოძებნა.

მძებნელმა ჰპოვნა ნათესავი და გულდამშვიდებული, რომ

ვინც უნდოდა, იწ უვნებლად იმყოფება, კმაყოფილად თავის-თავს გასწია.

ნეტარი სიმშვიდე კუზმას გულმაც იგრძნო.

სიმშვიდე დაჯერებისა, რწმენისა.

ისე კი, მისი გრძნობა უკვე ბორგავდა ამ სიმშვიდის საბოლოოდ ხელშესახებლად. გული აფორიაქებული ჰქონდა.

ცხოვრებით გამოცდილმა შარაგანმა ბევრი რამ შეისწავლა ამ წუთისა.

მან შეამჩნია კუზმას აღელვება.

მას გულში არც ძრახვა დაგუბდა კუზმასადმი და არც მწარად მოწონება.

ახალი მეგობარი, ცოტა არ იყოს, შეებრალა. თან ფიქრმა ცხოვრებისა და ადამიანის გრძნობათა უცნაურობაზე შეაყენა.

მაინც მოინდომა კუზმა მოჯადოებული რკალისაგან გამოეყვანა.

უთხრა:

— ცოტა იქით გავდგეთ, კუზმა!.. რაზედაც მოვსულვართ, ხომ არ დაგავიწყდა?

კუზმა გონს მოეგო.

არა, როგორ დაავიწყდება! თამართან კერძო წარსადგომად არის მოსული.

უეცრად გული ისევ სიკეთით აღევსო.

რა ბედნიერი ქვეყანაა ეს საქართველო! რა ბედნიერი ხალხია ეს ხალხი, რომ თამარისთანა მეფე ჰყავს... აი, რამდენიმე წუთის შემდეგ, იგი იხილავს თამარის სპეტაკ სახეს და კვლავ სიმხნეს იგრძნობს, ესეთ საარაკო ადამიანთან მიახლებული... საერთოდ, ყველანი რა კარგები არიან, რა საყვარლები!.. რა ბედნიერი დღეებია... რა ბედნიერი წუთი!.. რა ნშვენიერებაა ყველაფერი...

და...

ახლო, მარმარილოს კვარცხლბეკზე შემდგარ ბრინჯაოს ლარნაკს სიყვარულით ალსავსე თვალები მიაპყრო.

თითქო მადლობის ნიშნად ლარნაკმა ზმირის ნაზი სურნელება ლურჯ საამურ ლეჩაქად მის ვაჟკაცურ, თეთრ ულვაშებს შემოახვია.

თამარის სენაკის კარები გაიღო და გამდელმა ციოყს რაღაც წასჩურჩულა.

ციოყმა შორიახლო მდგარ ქეშიკს დაუძახა და განკარგულება მისცა.

ქეშიკიც ელვის უსწრაფესად გაექანა.

არ გასულა ორი წუთი, რომ თამარის სენაკისკენ სიჩქარით მომავალი ჭიაბერი დაინახეს.

კიდევ რამდენიმე წუთი და დერეფანს ამბავი მოედვა:

— ოვსთ-ბატონიშვილი გიორგი გზაში, ნიქოზს, გარდაცვლილა. თამარს კათალიკოსი და დიდებულნი დაუბარებია სათათბიროდ... უთუოდ მგლოვიარება გამოცხადდებაო.

ამის გაგებაზე კუზმა მთლად გამოფხიზლდა.

თითქო სრულიად განიძარცვა ბედნიერებისაგან.

თავში სისხლი მოაწვა. შარაგანს შეშფოთებით შეეკითხა:

— მგლოვიარება თუ იქმნება, მაშინ დაწინდვა?..

— მე მგონი, რომ დაწინვა არ გადაიდება... მხოლოდ ჩვენი დარბაზობა დღეს კი შეიძლება არ შესდგეს.

სწორედ ამ დროს მოვიდა მათთან ქეშიკი და გადასცა, რომ ჭიაბერმა შემოთვალა: მეფე ამ ჟამად დიდად მოუცლელია და სწუხს, რომ დღეს ვეღარ მიიღებს საპატიო სტუმარს, კუზმა რუსსაო.

კუზმას ერთის მხრით ეს ამბავი იამა კიდეც, რადგან გულმა მოუთმენლად იურისაკენ გასწია. თამართან-კი საიმისო საქმე არა ჰქონდა რა, მხოლოდ პატივსაცემად იყო მოსული და იცოდა, სხვა დროს კვლავ ეღირსებოდა მასთან ხლებას.

ამაზე გული დაიმშვიდა და შარაგანთან ერთად დაუყოვნებლივ იურის სამყოფელოსაკენ გასწია.

თანაც უეცრად მოინჭებული ტვირთი, თითქო უმიზეზო ბედნიერებისა, წარიტანა.

სიღოდა

ლვ

იური-გიორგის ბროლის თასი ეჭირა ხელში.

ბროლის კუთხეებში მსხვილი ლალები იყო ჩაჭედილი და ქარვის ფერ ღვინოზე წითლად მრისხანებდნენ.

მოშორებით, კუთხეში, ხელოვანი მეჩანგეები წარმტაც სიყვარულზე, ნაზი სიმებით, ჯადოსნურად საუბრობდნენ.

იური-გიორგის ახლო ხალიჩაზე გაწოლილიყო ახლად წვერ-ულვაშ აშლილი გუზანის ვაჟი — ცვატა და, ეტყობოდა, ღვინით შეხურებული, მუსიკით ნებივრობდა.

სალამო ხანი იყო და ვიწრო და მაღალ სარკმელთაგან თითქო მორიდებით შემოპარული მზის შუქი იური-გიორგის ოქროს ხუჭუჭა-თმაზე მეწამულობდა.

დადიანი მაღალ სკამზე იყო მიწოლილი და მის გვერდით მჯდომს, იმერეთის დიდებულ ჩხეტიანის ხმადაბალ საუბარს ყურს უგდებდა.

ჩხეტიანი ამბობდა:

— გეგუთის სასახლე დიდად დამშვენდა, დადიანო. ოქროს ჩარდახიან ქუთაისის სასახლეს ეხლავ სჯობნის... მაინც რა ყოფილა ეს ხურსიძე, ჩვენი განთქმული ხუროთმოძღვარი!.. შენმა მზემ, ასე ბრძანებ, — კაცის თვალი უკეთესს ვერ იხილავსო.

დადიანი კმაყოფილად იღიმებოდა პაწია ულვაშებში.

თვალნი ცბიერად უციმციმებდნენ, სადღაც შორეულ სიხარულში ჩაკარგული.

თანვე წინ დაფთქიალებდა ხალისიანი იმედი:

— არც ისე შორსაა... თვე, თვენახევარი...

თვალი მიაყოლა იურის.

— ამან თუ ასე სვა, ყოველივე რიგზე იქმნება... მაშინ ვნახავთ, ვინც იქმნება ნამდვილი მეფე საქართველოსი... გეგუთის ნადიმობა ყოველივეს დაამტკიცებს...

ჩხეტიანი გეგუთის სასახლის და მის მიდამოს მორთულობის ქებას განაგრძობდა.

და ყოველი კენჭი გეგუთის ეზოში წელოვნურად ჩაკენჭილი, ესე განცვიფრებით და ზვიადად გადმოცემული ჩხეტიანის მიერ, დადიანისათვის იყო გმირული სიმღერის მძლავრი ჰანგი, განმამტკიცებელი საქართველოს მომავალი ძლიერებისა და თვით დადიანის მორჭმულობისა.

უეცრად სახე მოეღუშა და, თუმცა ჩურჩულით, მაინც მტკიცედ ჩხეტიანს შეაწყვეტინა:

— ჩემი ბრძანება მაინც ხეირიანად ჯერ ვერ შეასრულეს. ვერცხლის ხე ჯერ კიდევ მზად არ არის, თურმე...

— როგორ; თუ მზად არ არის? მე თვით ვნახე...

— როგორ, ნახე, აღმართულია?

— აღმართულია, შენს სიცოცხლესა ვფიცავ... ასეთი შესაწედია, ტანდაბალ, შემკვრივებულ ცაცხვის ხესა ჰგავს... მხოლოდ ფერი აქვს უცნაური... მაგრამ, მართლა, რაკი გსურდა ვერცხლი ყოფილიყო, სხვა რა ფერი ექმნებოდა, თუ არ ვერცხლისა...

— მაშ, აღმართულია?.. ეს მაამე... მხოლოდ აღმართვა რაა! მანქანები არაა ჯერ მოწყობილი.

— ბევრს უცნაურს მიამბობდნენ ამ ხეზე... მხოლოდ ამას უმატებდნენ, ჯერ მომართული არ არისო... ცა და ქვეყნის ხალხი მოდის სანახავად, ბუზივით ეხვევა...

— ჰმ!..

კმაყოფილად ჩაიბოხბუხმავა დადიანმა.

— აი, ნადიმზე ვნახავთ... დაწინდვის შემდეგ, ამ უფლისწულს რომ გავიწვევ...

იურისაკენ მისათითებლად თავი ოდნავ გადააქნია ვარდანმა.

იმავე დროს იურიმ თასი დასცალა და მწოლიარე ცვატას გადასცა.

ეტყობოდა, უკვე შეთვისებოდა ქართული სუფრის ზოგიერთ წესს.

მეჩანგენიც დაჩუმდნენ და, რომ არავის არა გაეგონა რა, დადიანმა და ჩხეტიანმაც საუბარი შესწყვიტეს.

ანაზდად:

ოთახში რომელიღაც ტყის ფრთოსანმა უცნაური ჭრვინკა მოართო.

ყველამ ყურები ცქვიტა.

ოთახში არსად გალია არ იყო. არც სარკმელთაგან იყო შემოფრენილი რომელიმე ჩიტი.

ხმა კი თანდათან იზრდებოდა, ძლიერდებოდა და ბოლოს თავგადადებულ ჭიკჭიკად იქცა.

უცნაური კიდევ ის იყო, რომ ეს ხმა იურის ახლომახლო ტრიალებდა.

მთქმელი კი არსადა სჩანდა.

თვით იურის თვალები ბავშვურის სიცელქით ეშმაკურად იცინოდა და, თითქო ღიმილისაგან, ოდნავ წინ წამოწეული ბაგე რამდენიმედ უთრთოდა და გამარჯვებულივით ოთახში მყოფთ აშტერდებოდა.

მაგრამ აგერ ჩხიკვმა დაიწყო მასხრობა.

თითქო შორიდგან მგლის ყმუილი მოისმა და; უეცრადვე, ბებერმა ქოფაკმა ხრინწიანი ხველება მორთო.

ყველანი კიდევ უფრო წინ წამოიზიდნენ და ნათლად დაინახეს, რომ

ყოველივე ამის მომქმედი

„მის კერძოდსა“ სამასი მთავრის მპყრობელი, შვილი რუსთ დიდის მთავრისა ანდრიასი, თამარის საქმროდ აღიარებული, უფლისწული იური-გიორგი იყო.

სიცილი უნდოდათ, ვერ იცინოდნენ. გაბრაზება უნდოდათ, ვერ ბრაზდებოდნენ.

დადიანი ჩაფიქრდა.

სახეზე მხიარულების იერი შეინარჩუნა. შემდეგ დაეტყო, რომ თავისთვის რაღაც გადასწყვიტა და... ჩხეტიანთ მოყმეს ნელა ვადაულაპარაკა:

— ჩვენ გავეცალნეთ... დავტოვოთ ახალგაზრდანი... ეტყობა, ღვინო მოერია... ჩვენი ადგილი აქ აღარ არის.

წამოდგა, მივიდა, იურის თავზე მამა-შვილურად ხელი გადაუსვა.

წამომჯდარმა იურიმ ქვევიდან ერთი თითქო ალმაცერად შეხედა.

ვერ დაეტყო, რომ გაიგო დადიანის სიახლოვე.

მხოლოდ ალერსზე კატასავით თავი დადიანის სახელოს ნაზად გააყოლა და... ულაღად, პირუტყვივით, ოთხზე დადგა.

მსახურთ-უხუცესი ცოტა შეკრთა, მაგრამ ჩხეტიანს ხელი ჩაავლო და მტკიცე ნაბიჯით განშორდა იქაურობას.

უკან არ მოუხედნია. მხოლოდ ჩხეტიანი გაოცებული მიჰყვებოდა.

დადიანმა კარებში ჩუმად უთხრა:

— პირი დავიდუმოთ! რაც ნახე, არ გინახავს!

ჩხეტიანს სახეზე მორჩილება გამოეხატა. ეტყობოდა, რს დაიცავდა საიდუმლოს. მხოლოდ უნებლიედ თვალნი ოთახში მყოფთ მიაპყრო.

დადიანი მიუხვდა:

— ეგენი არაფერია! მაგათი ნაამბობი მხოლოდ ჭორად განჭარდება. გუზანის ვაჟი კი თვით არის ნაღვინევი.

გავიდნენ.

ოთახში მყოფნი, ცვატას გარდა, ყველანი ფეხზედ იდგნენ და დაოთხილ უფლისწულს განცვიფრებით შესცქეროდნენ.

იური უკვე ბორტყვით ტრიალებდა ძვირფას ხალიჩაზე. ჯერ თითქო ერთ ალაგას ზლაზვნით, ნელინელ, თან რაღაც სიმღერას დაბალი ხმით ამოიხვნეშოდა.

შემდეგ ტრიალს უჩქარა.

და ისეთის სისწრაფით, ისეთის მიხეთქ-მოხეთქებით, რომ ოთახში მყოფნი იძულებულნი იყვნენ ადგილი მოეცალათ და უკან მიმდგარიყვნენ.

ცვატაც შეიშმუშნა, ზეწამოიწია, ფერხთ მოირთხო და, ღვინო მორეული, ამ უცნაურობას განცვიფრებით შეაშტერდა.

იური კი განაგრძობდა თავბრუდამსხმელ, გაუგნებელ ტრიალს.

არავინ იცოდა, როგორ მოჭცეულიყო, ან რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს ამბავი...

უეცრად იური ტრიალში ცვატას წაეჯახა. ეტყობოდა, ცვატამ ჩამოშორება მოინდომა დამთხვეულისა, მაგრამ მან ცვატაც ჩაითრია და ეხლა მასთან იწყო ტრიალი.

ცვატა ცდილობდა თავის განთავისუფლებას, მაგრამ არ უხერხდებოდა, რადგან ცალ გვერდზე იურის ქვეშ მოექცა და ამ სიმძიმეს ვერ იშორებდა.

ამ სანახაობაზე ერთმა მერიჭიფემ მეორეს ჩასჩურჩულა:

— გასწი, მასპინძელს აცნობე...

— ზანქანი ამჟამად შინ არ არის.

— ვინმე იქნება უფროსთაგანი... ჩვენ რა უნდა გავუბედოთ!

— მართალია, ესე ხომ ვერ დავტოვებთ!

ერთ-ერთი მერიქიფე სწრაფად მიიმალა შინა ოთახებში.

იური აღარ ხუმრობდა. ტრიალს უმატა და ცვატას გათელას უპირებდა.

ეხლა კი მივარდნენ მერიქიფეებიც და მეჩანგენიც.

მოსწიეს, მაგრამ ხელიდან ვერ გამოგლიჯეს იურიზე ბევრად უფრო ნაზი აგებულების ცვატა.

მაშინ, ძლივ-ძლივობით, ექვსმა კაცმა ფეხზე აღმართეს გადაჭდობილი ჭაბუკები, მაგრამ ცვატა მაინც ვერ ჩამოაშორეს!

იურის ადამიანის სახე აღარ ჰქონდა: მოღრეცილი, ალეწილი, გაოფლიანებული, თვალებმორღვეული, ის კვლავ ბდღვინავდა და ეხლა ზევით, ძალით აბოტებული, კვლავ ტრიალებდა ცვატასთან ერთად.

მოფარდაგულში კევორქიმ შემოიჭვრიტა. სანახავზე გაცბუნდა და თითქო ერთი შეშინდა კიდეც... უცნაურობამ, ეტყობა, მაინც წასძლია და ბოლოს მთელი ტანით შემოიძურწა.

ემჩნეოდა, რომ არც ამან იცოდა, რა ექნა.

ჩარევას ვერ ბედავდა, ისე კი ყურება მეტად მოუნდა.

მაგრამ, აგერ, ისევ დასძლია გარშემოსეულთ იურიმ, გაუსხლტა ტრიალით, დატორტმანდა და ზურგით დაეცა. თან უკვე თითქმის ჩვრადქმნილი ცვატა მაინც თან ჩაიყოლა და თითქო მკერდზე გადაიწვინა.

მძლავრი სუნთქვა, ხვნეშად ქცეული, ეხლა კოცნად იქცა, მხოლოდ ეს იყო უფრო ლოშნა გალოთებულის, ანგარიშმაუცემელი, ჟინმორეული.

იურიმ ეხლა ზურგზე იწყო ტრიალი თავის ტვირთთან ერთად.

მერიქიფეები კვლავ დასწვდნენ და ისევ მოინდომეს ცვატას ჩამოშორება, მაგრამ ამ დროს გაისმა ხმამაღლა ბრძანების კილო:

— რა ამბავია? რას ჩადიხარ?

კევორქმა და მსახურთ მოიხედეს.

კუზმა-რუსი და შარაგანი თავს წასდგომოდნენ.

— რა ამბავია?

კვლავ იკითხა შარაგანმა.

ჩუსტუზიანმა კუზმას გასაგონად რუსულად განუმარტა:

— შგონი, დაგვეთრო უფლისწული.

მსახურნი დახსნოდნენ იურის და ცვატას. კუზმამ აშკარად დაინახა მთვრალი გაზრდილი.

თავს სისხლი ეცა. მყის მივარდა. ერთი შეჰყვირა:

— იური, გონს მოეგე!

იური ამ ხმაზე შეინძრა, თითქო მოდუნდაო.

და ის, რაც ვერ მოახერხა ექვსმა ვაჟკაცმა, კუზმამ შესძლო. წიწილივით ხელიდან გამოგლიჯა ცვატა იურის.

გასავათებული ცვატა შარაგანს გადასცა და თვით იურის ხელში აყვანას შეეცადა. მსახურნი მიეშველნენ.

კარებში მოზღვავებულიყო გაკვირვებული და სეირის მაყურებელი ზანქანის ჯალაბობა: გამდელები, მოახლეები, ხელზე მოსამსახურე ბიჭები.

იური ტახტზე დააწვენეს, მაგრამ ვერ დაამაგრეს. ბორგავდა ზღვის ტალღასავით, თან პირიდან დორბლებს ჰყრიდა.

კარებში ჩურჩულმა იმატა.

მაგრამ შარაგანმა ნახევრად მოსულიერებული ცვატა მოახლეებს გადასცა — მოაწვინეთო და თან სეირის მაყურებელნი გაჰფანტა.

კუზმა გამეხებული იდგა იურის ტახტთან და გაზრდილს უყურებდა — არ გადმოვარდესო.

დანარჩენებიც მზად იყვნენ მისაშველებლად.

თითქო ქოტა სიმშვიდე ჩამოვარდა ოთახში: მარტო მძიმე ხვნეშაღა მოისმოდა იურის, რომელიც აძიგძიგებულს ტანს ჯერ კიდევ ვერ იმაგრებდა.

კევორქი კვლავ უხმო მოწმე იყო მომხდარი ამბებისა და განცვიფრებასთან ერთად დამწუხარებული იყო, რომ უტანდარს დაპირებული კიდევ ვერ შეუსრულა. განა შეიძლებოდა იურის გამოლაპარაკება? გაიგებდა რასმე? ამის თავი სადა ჰქონდა?!

ისევ სხვა მარჯვე დროისთვის გადასდვა.

მხოლოდ ზანქანის დანარჩენ ოთახებში საღუმლო ჩურჩული ქორად—ასისინდა და ისეთის სისწრაფით დაეხვა პატარა მორგვად, რომ როდესაც ზანქანის კარებიდან გამოვარდა, უკვე კაცის სახე ჰქონდა, თავქუდმოგლეჯილი და ახალოხას ამარა.

გარეთ გამოსული კი დაიყო რამდენიმე ნაქვთად და მოედო ოთხივ კუთხეს. ისანის სასახლეში შეჰბედა და გოდერძის სამყოფელოშიაც მოურიდებლად შეიპარა, რადგან მას წინ წაუძღვა განაგონით გაშტერებული ჩახრუხაისძე უმრწემესი.

გოდერძიმ რომ მოისმინა, მწარედ ჩაფიქრდა და ბოლოს ესე წარმოსთქვა:

— სიღოდა ჭირვებია!

ჩახრუხაისძეს არა სცოდნოდა, თუ რას ერქვა სიღოდა...

გოდერძიმ აუხსნა:

— სიღოდა მთვრალის ხუმრობასა ჰქვიან, მასხარობასა, სიმღერასა, როკვასა. მაგრამ კიდევ უარესი: სიმთვრალის დროს სამეძაო ტრფიალების აღმძვრელი მოქმედების აღმნიშვნელია. ან კიდევ, როდესაც ღვინისაგან გადნებაწართმეული ხმღვანებს უშვებად და უკაფიოდ. სიღოდაში შემოდის ზველვაც, რაიც აგრედვე მოკიცხარობას ნიშნავს, ე. ი. სხვის დაცინვას, გამოჯავრებას. სხვის მსგავსად საღბარი, სხვასავით სიარული, სიცილი, დაცინვითი წამბაძველობა. აი ისე, როგორც თუთიყუშმა, ჩხიკვმა, კაჭკაჭმა — ფრინველებში და მაიმუნებში ციდამტკაველას ჯიშმა იცის. სიღოდა ადამიანისათვის ნამდვილი სნეულებაა, ძნელად განსაკურნელი. მაგის მიზეზი ბევრია და უფრო ხშირად ავზნიანთა სჭირთ, ან, რომელთაც ბნედა მოსდით ხოლმე...

თავჩაქინდვრით ისმენდა ყოველივე ამას ჩახრუხაისძე.

თავი მეოცე

სამწერლობო

ლზ

უეცრად გოდერძიმ შესწყვიტა თავისი ახსნა-განმარტება და, თითქო შინაგან გახელდაო, ბრაზით წარმოსთქვა:

— არა, მე აქ აღარ დამედგომება!.. ვერ მოვითმენ, გულს შევასკდები... ისედაც გული სუსტად მაქვს... უნდა წავიდე უცილობლივ...

— მერე, მეფე გაგიშვებს?..

— ოო, შევევედრები, დავუჩოქებ... ჩემს პალარას პატივი სცეს... გამიგებს გულხმიერი...

— სად წაბრძანდები?

— ჩემს ქვეყანას... ჩვენცა გვაქვს ჩვენი ციხე-ქალაქი... ოძრახეს.

— ვიცი... მერმე გული მოგითმენს აქ არ ყოფნას?

— რა მიშავს!.. — ცოტა უკმეხად და თან სიამაყითაც წარმოსთქვა გოდერძიმ, — იქ ძმას მყავს, კაცი გამოცდილი სოფლითა, ამბობენ, უნდა დაყუდნებაო... ვნახავ და... გავიხარებ, მისი ნახვითა... მერმე, რო იცოდე, რა ძმისწული მყავს...

შუბლის ღარები გაეხსნა გოდერძის.

— ჩემი ნუგეში გულ-ნაზი... აი, ნამდვილი სასახელო ასული ოჯახისა: ლამაზი და ბრძენი, მეოჯახე და მწიგნობარი...

უეცრად შესწყვიტა. გაუკვირდა, ასე რად უქებს ახალგაზრდა ჭაბუკს მის შვილად მიჩნეულ ძმისწულს?

მიხვდა. მოეწონა. უთხრა:

— აი, შენც მესტუმრები... გაგაცნობ ჩვენებს... დიდად გავიხარებთ...

გულში ალიმებდა მისი ესეთი მოიარებითი, და შეიძლება უნებლიე, მაჭანკლობა.

ჩახრუხაისძეს არ დაეტყო, რომ გაუგო უფროსს კეთილი მზაკვრობა, მაინც თავისი განაგრძო:

— აქ რომ დაგვაკლდები?!

გოდერძი ისევ აღელდა. კვლავ შეუვალად უპასუხა:

— ქვეყნისათვის მუშაობა შორიდგანაც შეიძლება... ეხლა კი აქ ჩემი ალაგი არ არის... საქართველომ გონება დაჰკარგა... დამთხვეულს და სიღრმიანს ხელთ უგდებენ ქვეყნის სვეს. თითოოროლა ჭინჭორეული ადამიანი ლამის ქვეყნის მართვას, პატრონობასა... ისინის კარავზე უარესი ამბავი მოგველის. განა შეიძლება აქ დარჩენა?..

ჩახრუხაისძის გონება ეურჩებოდა გოდერძის გადაწყვეტილებას, ამას გაქცევას უწოდებდა. ასპარეზის დაცალიერებას, მაგრამ ვერაფერი ჰკადრა. ატყობდა, გოდერძი მეტად იყო აღშფოთებული და ელოდა მის დამშვიდებას, თანაც თამარის იმედი ჰქონდა — შეიძლება იმან მაინც შეაბრუნოსო.

მაგრამ მოტყუვდა.

მეორე დილით, ჩახრუხაისძემ კი არა, სასახლის კარზე

ყველამ გაიგო, რომ გოდერძი ჩორჩანელი, რაღაც გამოურკვეველი მიზეზის გამო, მეფეს გამოეთხოვა და სასწრაფოდ გასწია თავის სამფლობელოში — ოძრახეს, საცა მას სიხარულით დაუხვდებოდა მისი მოხუცებული ძმა, მთავარი იმ ქვეყნისა და მისივე ძმისწული, მზეთუნახავი გულ-ნაზი.

ბევრს არ იამა ეს ამბავი...

დადიანმა ხომ გულს ჩაიჩნია დიდებულის და ფილოსოფოსი ჩორჩანელის ესეთი, თითქო ვამწყრალი, წასვლა, სწორედ ამ მომავალი ზეიმის წინა ხანებში.

კარგა დაუკვირდა და დაიხსომა.

ჩახრუხაისძე კი გულმტკივნეული დაუხვდა ამ ამბავს. კვლავ არ მოსწონდა მოხუცი მეგობრის ასეთი აჩქარება. გული კარგს არას მეტყვისო, გრძნობდა ნათლად. პირადი სევდაც იპყრობდა. სცილდებოდა, შეიძლება, ერთ-ერთ ხანდაზმულ ბრძენ კაცს სასახლის კარზე, რომლის გულის სითბო და გონება-ჯავარიანობა ესე სჭირდებოდა მის ჭაბუკსა და ჯერ კიდევ დაუდუღებელ სისხლს.

მერე, რამდენი საკითხი, რამდენი ეჭვით მოსილი ფიქრი აღეძრა ამ ბოლო ხანებში და ვინ, ვინ იყო შემშველებელი.

ძველი ფილოსოფოსნი გარდაიცვალნენ. მათ შორის ყველაზე უხნესი და ყველაზე პატივცემული, მოსე ხონელი დიდი ხანია აღარ იყო. მისი უფროსი ძმა ჩახრუხაისძე და შოთა გადახვეწილნი იყვნენ. ბარამან მანიც შორსაა. ეხლა გოდერძიც განშორდა. მის წრეში დარჩა მხოლოდ ახალგაზრდობა, რომელთაც კამათი უფრო ემარჯვებათ, ვიდრე დინჯი გამოწვლილვა საგანთა.

ამიტომ ისევ თავის თავს ჩაუბრუნდა და კვლავ გოდერძიზე შესდგა ფიქრი.

ეტყობა, რომ თამარმაც ვერ შეაჩერა.

თუ არ შეაჩერა.

კაცმა არ იცის, რა საუბარი ჰქონდათ თამარსა და გოდერძის..

ეს საიდუმლო ვერვინ გაიგო.

არა! უნდა დაიწეროს ყოველი ესე ამბავი!

მაგრამ ვით დაიწეროს? მატიანე?

ეს ხომ ჩახრუხაისძეს არ ემარჯვება. ამას მისი ახალგაზრდა მეგობარი, სარგის თმოგველი სჩადის. იგი სწერს მატია-

ნებ. თამარის ტახტზე ასვლა მისი აღწერილია და აკი შწიკნობარნი უძრახავენ კიდეც სარგისს, — მემატიანე კი არაა, პიტიკოსია. მატიანე ასე არ იწერებაო.

თვითონ-კი, ჩახრუხაისძე, ეს ხომ წმინდა წყლის პოიტიკოსია. ამას სულ არ ემარჯვება მშრალი მატიანის წერა. მისი შეგრძნობა სულ სხვა სახეებს თხოულობს... და საკვირველი საქმეა:

ისეა განწყობილი, — თანამედროვე ცხოვრება უნდა აღწეროს ისე, როგორც ეს ხდება ცხოვრებაში.

გონება ეუბნება, რომ გვეყოფა ამდენი მდევები და ჩაინდები. ამდენი გველაშაპები და ფერიები. ადამიანი უნდა იყოს გამოყვანილი, ნამდვილი ადამიანი თავისი გრძნობით და გონებით, ნამდვილი გაჭირვებით და დალხინებით, სიყვარულით და სიძულვილით. ეს იქნება ნამდვილი მწერლობა.

ეს უნდა იყოს.

მაგრამ ესე რომ არ არის? რომ მხოლოდ შეფარვით ან შეპარვით გამოიტყვიან მწერლები თანადროულ ამბებს?

აი, სარგის თმრგველმაც თავისი „დილარგეთი“, ყველაზე ახლო ჩვენ დროსთან, მაინც განაშორა სინამდვილეს და მაინც ზღაპრული ხასიათი მისცა.

იმანაც ვერ გაბედა!

რამდენჯერ, რამდენჯერ უფიქრია ჩახრუხაისძეს: მწერლობა ახლოს უნდა იყოს ცხოვრებასთანაო.

რამდენჯერ განუზრახავს ისეთი რისამე დაწერა. მაგრამ განა შეიძლება განმტკიცებულ კანონთა გადახვევა?

ან ვინ ჩაგიგდებს ამას მწერლობად? უბრალო „ლაყაფიაო“ — ჩაიხუმრებენ.

და დარჩება ჩახრუხაისძე მარტო გარიყული თავისი ახალი მონაფიქრით.

რატომ აქამდე არ გაუმჟღავნა გოდერძის ეს მისი სამწერლობო ხვაშიადი?

რამდენჯერ უნდოდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მაინც ეწვეთ სხვა დიდ ამბავთა დაგროვებამ უკუაგდო და ჩრდილში დააყენა პირადი ზრახვანი ჩახრუხაისძისა.

ვერ მოასწრო.

ეხლა კი ამ „სიღრმამ“, ამ დაწინდვის ამბავმა, ამ დადი-

ანის ბანაკის გამაგრებამ, კვლავ დაუბრუნა თავის საზრუნს ახალგაზრდა პიიტიკოსი.

და, აი, გოდერძის წასვლასთან ერთად, უფრო მწვავედ იგრძნო ამ საკითხის გადაუჭრელობა.

დიდხანს იყო მოფუსფუსე ამ სამწერლობო ფიქრთა გვრიტებით ჩახრჩხალძე უმრწემესი.

თავი ოცდამეერთე

დაუნჯებელი უსტარი

ლდ

მომჯობინებული დოდო ტახტზე იყო მისვენებული.

მის წინ მხიარული უტანდარი ნარნარად მიმოვიდოდა. სიცილით ეუბნებოდა:

— სწორედ სამონაზვნო ქალი ხარ, დოდო! ყველასი შეკჭირს და შენი თავი კი დაგვიწყებია... საცაა სოსლანის გამოგზავნილი ჭურთაული მოვა და შენ კი უსტარი მზად არა გაქვს...

ამის გახსენებაზე დოდო ცოტა წამოწითლდა და უნებურად სახეზე ხელი მიიფარა, თან ძლივგასავონად წარმოსთქვა:

— საცოდავი გიორგი...

— კიდევ!..

— ჰო-და რა, დიავ! მხოლოდ ერთი წირვა და პანაშვიდი გამოცხადდა, სხვა არაფერი...

— მაშ, როგორ გნებავდა, დოდო!... რა დროს მგლოვიარებაა სასახლეში, საცაა ზეიმი უნდა გაჩაღდეს!..

დოდო ჩუმად იყო, ხელი მაინც სახეზე ჰქონდა მიფარებული.

უტანდარმა კი მოფერებით განაგრძო:

— კარგია, შენს გაზრდას! მაგეებს დაეთხოვე... აი, დავითს წიგნი მივწეროთ, ისა სჯობია.

დოდო უგემურად შეიშმუშნა. დაეტყო, რომ არ უხაროდა უტანდარისაგან ეგეთი წამდაუწუმ დავითის და წიგნის ხსენება, მისი წმინდა წმინდათასი ასე, ცოტა არ იყოს, თამამი

ხელის წამოკვრა. მართალია, უტანდარი ძალიან უყვარდა, მისი მესაიდუმლეც კი იყო, მაგრამ გულის სიღრმეში არ მოსწონდა ესეთი მოურიდებელი შეჭრა მეგობარი ქალისა.

მერმე, თვით უტანდარი ზერელე ქალი ხომ არ არის?

ამაში თანდათან რწმუნდებოდა დოდო.

მთელი ეს დრო, ავადმყოფობის გამო უტანდარის სახლში გატარებული, სულ იმ აზრის განმამტკიცებელი შეიქნა, რომ უტანდარი უბრალო და ხელწამოსაკრავი ქალი არ არის — მეოჯახეობაში, მეგობრობაში, სასახლის კარზე, თუ მდაბიო მონებშიაც. თვით სახელმწიფო საქმეებისაც კი მშვენივრად ესმის, ზოგჯერ სიბრძნით მსჯელობს. დოდოს აკვირვებს ყოველივე ეს. ხშირად პასუხიც კი ვერ მოუძებნია. ზოგიერთი რამ, უტანდარისათვის ადვილად ასახსნელი, მისთვის ხშირად მეტად თავსამტვრევია. მერე, საიდან შესდგამს უტანდარს ეს გრძნებამახვილობა, ეს სიბრძნე საკვირველი, ესეთ ახალგაზრდას, ესეთ ყელ-მოღერებულ ჯეირანს? ხასიათიც რომ მაგარი აქვს და შეუვალი! თუ რამ გაიფიქრა, შემდეგ მას რომ არ გადაუდგება!.. ასეთი იასაღი ქალია... მაგრამ სიყვარულის საქმეში თითქო რომ... ზერელობს? იოლად რომ ეპყრობა?

თავისას და სხვისასაც.

თვითონ როგორ დიდ ცეცხლს ეთამაშება?

არა, ამ მხრით დოდო ვერასოდეს ვერ იქნება უტანდარის უღლის გამწევი, მისი ტოლი და ბადალი.

დოდო ჰფარავს, უტანდარი... ყვირის.

დიაღ, ყვირის მისი სხეული, მისი თვალები რუსის უფლისწულის ტრფობას...

ეტყობა, მის სულში ლაღად და გაბედულად მიდის ამ საგანთან.

ეხლა დოდოც თუ უნდა რომ ააყვიროს.

არა. ეს დოდოს არ შეუძლიან! და...

— უტანდარ, უტანდარ!

სუსტად გაისმის დოდოს შეძახება. უტანდარი მხიარულად შეუბრუნდება:

— ჰო, რა გინდა? დავწეროთ, არა?

დოდო დარცხვენილ თვალებს სევდიანად შეუშტერებს მომღიმარ უტანდარს.

უტანდარიც ცქრიალით საწერ-კალამს და სუფთა გრაგნილს მიუტანს, მუხლებზე დაუდებს დოდოს, თვითაც გვერდით მიუჯდება და თან ასე ქილიკობს:

— ხსოვნითგან გარეყრელო, მზეთა-მზეო, ლომგულო, ღაცით...

დოდო კიდევ უფრო დაირცხვენს, საწერ-კალამს მაინც არ ეკარება და გრაგნილი მუხლიდან გადაუსრიალდება.

უტანდარი კისკისებს, ეხუმრება, დასცინის მორცხვობას და დაიღუნება გრაგნილის ასაღებად.

ამ დროს შემოდის მისი საყვარელი მხევალი თაფლო. კარებში შესდგება.

უტანდარი შეამჩნევს თუ არა, მყისვე სიცილი უწყდება, უხუმარი სახე უკეთდება და თაფლოს კითხვით შეაჩერდება.

თაფლო ნაზად, მაგრამ გარკვევით, მოახსენებს:

— ყოველივე მზად არის, დიდო დიოფალო!

— ჰაუზში წყალი გადმოუშვეს?

— წყალიც გადმოუშვეს და მხევალნიც გელოდებიან... მთავარი აბანოს მი დან ანკარა, ცხელი, სამკურნალო წყალი გადმოჩუხჩუხებს ა ცისკარისამ ნელსაცხებელიც დაგიმზადათ...

უტანდარი ნელა, მაგრამ შინაგან აღელვებული, წამოდგა. ერაგნილი კვლავ დოდოს მუხლებზე მიუგდო და თან, თითქო უდარდელად, წარმოსთქვა:

— მაშ, ეხლა დაგტოვებ, დოდო! მელოდებიან, თურმე... აბა, ვინძლო კარგი უსტარი დასწერო...

მაინც ჩაუქილიკა და კარებისაკენ გაემართა. დოდომ ცოტა გაბედულად მიაყოლა:

— უტანდარ, თაფლო დამიტოვე...

— თაფლო?

არ ითქმის, რომ წყენა დაეტყო ხმაში უტანდარს. თავში გაუელვა: „რათ უნდა? ხომ არაფერს გამოჰკითხავსო?..“

მიმართა ცოტა შეუვალად, მაგრამ უეცრად სიცილშერეულად, ცოტა ხალხურად მოუქცია:

— შენ წიგნი დასწერე, გოო!..

— არა, შენ შემოგევლე!.. მარტოკა ვერ დავრჩები... — სუსტად გაიღიმა დოდომ. — წიგნს კი... ვინ იცის, დავწერ კია?

უტანდარმა მოიფიქრა. უხუმრად უთხრა:

— კარგი, როგორც გენებოს, ეწლავ გამოგიგზავნი.

და თაფლო ცოტა ხნით თან გაიყოლია.

მოფარდაგულს იქით თაფლოს ყურთან სიჩქარით პირი მიიტანა და ჩუმად ჰკითხა:

— რაო, რა დაგაბარეს? რა იქნება?

თაფლომაც ჩურჩულით და სიჩქარით გადასცა:

— სალამოს მწუხრს რომ ჩამორეკენ ჩვენს გვერდით, თაბორზე, ურვეულთა ტაძარში, კევორქთან ერთად ანუშაკისას მობრძანდება...

— კარგი. მზათ იყავ. თავის დროზე გურამი გააფრთხილეთ წამომყვეს.

— გაფრთხილებულია, მზად არის.

— ეხლა შედი დოდოსთან, მაგრამ...

უტანდარმა ტუჩებზე თითი მიიდო და... ინანა... შეატყო, რომ...

თაფლოს ეს არ სჭირდებოდა... წყენის გამოსაკეთებლად თაფლო უეცრად თავისკენ მიიზიდა და აკოცა.

თაფლოც მოინათლა და გულგამრთელებული დოდოსთან შევიდა.

დოდოს ხელში ბატის ფრთა ეჭირა, გრაგნილი მუხლებზე გაეშალა, მაგრამ არას სწერდა. გაქვავებულივით ეჭირა კალმიანი ხელი და თვალები სადღაც შორს გაეშტერებინა.

თაფლო შორიახლო მორიდებით დადგა.

კაბის შრიალი თუ მოესმა... დოდო გამოფხიზლდა, თაფლო თავისთან მიიწვია და ისიც განკრძალვით დოდოს ფერხთით დაბალ სკამზე ჩამოჯდა.

დოდო შეაჩერდა თაფლოს მწყაზარ სახეს და თანდათან სახეზე სათნოება გამოეხატა. კალამი და გრაგნილი ისევ გაზე გადასდო და თაფლოს თმის წითელ ჯილაზე ხელი გადაუსვა.

— თაფლო, მე რომ არ ვიცი, ვინა ხარ შენ, სადაური ხარ?... ვერ მოვასწარი გამოკითხვა...

— აქამდე უქეიფოდ ბრძანდებოდით და, აბა, საიდან გეცოდინებოდათ... მაინც მე დიდი ხანი არ არის, რაც აქა ვარ.

— რამდენი ხანია, რაც აქ იქნები?

— ასე, ექვსი თვე თუ იქნება.

— საიდან ხარ?

— ბაზალეთიდან, ბოლოტუაშელების ოჯახის შვილი ვარ.

— ბაზალეთი?.. მთაში?..

— დიახ... უთუოდ გაგეხსენება... მცხეთის ზემო სძევს. ბაზალეთის ტბა.. ტაბიყური... იქ სოფელია... ბაზალეთი კი მთელს იმ მხარესა ჰქვიან, მოხევეების საცხოვრებლამდე.

— საუბედუროდ, არ ვიცი... არ მიმგზავრია. ქება გამიგია, კარგი ხალხია, თურმე.

თაფლო თითქო წელში გაიმართა და ამაყად წარმოსთქვა:

— ხალხი ლაღია და თავისუფალი... ეს თავისუფლება თვით ჩვენ მოვიპოვეთ... ბატები ვართ ეხლა... თორემ წინედ მთიული ერისთავები, კახელი ქორიკოზები და შაბურიშვილები გვემძლავრებოდნენ... ავუჯანყდით, ვძლიეთ და ეხლა, დიდი დავითის შემდეგ, უბატონოდ ვართ, მხოლოდ ტფილისის ამირას სადროშოს ვეკუთვნით... არავის ყმებად არ ვითვლებით, მარტო აბულ-ასანს ვექვემდებარებით... ისიც ომიანობის დროს...

დოდოს ახალგაზრდა შეგრძნობას უხაროდა ესეთი სიამაყე მთის ასულისა, თან აკვირვებდა ბაზალეთელთ უბატონობა. ფიქრში წარმოსთქვა:

— მაშ, ბატები ხართ?...

— დიახ... და ეს საქებურად მიგვაჩნია... ჩემი გვარი მაინც იკვეხის, თოკლისა და მზლავრის მეტი კარზე ვერაფერი მოგვადგებაო...

— ესე იგი, — შეენაცვლა დოდო, — ბატონი ვერას მოგვთხოვს და სასულიერო წოდება ვერას დაგვავალებსო?

— ეგრე გახლავთ. მონასტრებსა და ხატებს ჩვენ თვით ჩვენის ნებით ვემსახურებით. ბატონი კი? დაიწყევლოს მათი სახსენებელი!..

დოდო კიდევ უფრო გაკვირდა: ამ ახალგაზრდა ქალის პირით რამდენი ზიზღი გამოითქვა ბატონისადმი! საიდგან აქვს დაგუბებული? ნუთუ ასეთი სასტიკი მებატონეები ჰყავდათ? შეეკითხა.

თაფლომ ბევრი განაგონი რამ უამბო ძველის სისასტიკისა, სხვათა შორის:

ერთმა შაბურიშვილმა თაფლოს რომელიღაც წინაპართაგანი, რაღაც ურჩობისათვის, შეჰკოჭა, სარებზე დააკრა და ცეცხლზე ბატკანივით შესწვაო.

თაფლო ესეთ ამბებს მრისხანებით გადმოსცემდა.

კინაღამ გული შეუღონდა დოდოს, თავი დაიჭირა. არ დაიჯერა, იფიქრა ზღაპარიაო. ცოტა მორიდებით ჰკითხა:

— ნუთუ ეხლა არავითარ ბეგარას არ იხდით?

— ბეგარა? აკი მოგახსენე, ომის დროს ჩვენიანები აბულასანს უნდა ეახლონ... თუ საჭიროა, ქუდზე კაციც უნდა გამოვიდეს... მხოლოდ ყველას თავისი სურსათი თან მოაქვს, თავისი ცხენი, თავისი საჭურველი იარაღი...

თაფლომ თითქო შესწყვიტა. შემდეგ გაიხსენა და წაუსია:

— სამაგიეროდ, ნადავლში დიდი წილი უდევს ჩვენებსა.

— მაშ, აზნაურები ყოფილხართ.

— რათა?

— ომში მხოლოდ ერთ სადროშოს ეკუთვნით, თავისი სურსათი მოგაქვთ, ნადავლში წილი გიძევთ...

თაფლო უკადრისობდა:

— არა... აზნაურები რად ვიქნებით!.. ან, რად გვინდა?.. აზნაურები ყმებს გულისხმობს, ციხე-დარბაზებს, შინაყმებს... არც ერთი ჩვენ ეს არ მოგვეძევება... ჩვენი პაპა ბერუა, ჩვენი გვარის უფროსი, ხშირად ღიღინებს: „არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლიაო“...

დოდო თანდათან მეტმა განცვიფრებამ მოიცვა: როგორი ამაყია ეს მთის ასული? როგორი სიხარულით იხსენებს თავისიანების აზატობას? როგორ მოსწონს თავი? მერე, რა არაქ აქ გასაკვირი? დოდოს განა არ გაუგონია საქართველოს წარჩინებულთაგან: ჩვენი დროის სიკეთე, სხვათა შორის, ისიც არის, რომ გლეხნი და მიწის მუშაკნი აზნაურთა თანასწორად იმოსებიანო. ეს ხომ ხალხის ღონივრობასა ნიშნავს...

ათასი ფიქრი აღებრა.

სულ არ იცნობს ამ ხალხს. ან კი საიდან? ჭორად თუ გაუგონია, ისიც წარჩინებულთაგან — ესა და ეს ერისთავი სასტიკია თავის სამფლობელოშიო. რამდენ მიმძლავრებას ჰქონია, თურმე, ადგილი. რამდენი სიმძულვარე ითესება და ღვივდება, თურმე, ხალხის გულში... მერე, განა ყველა ეგეთია? განა ყველგან ესე არის?

აი, მისი ოჯახი, არიშიანები. ხალხს თითქო უყვარს. სიყვარულისა და ერთგულების გარდა, ყმებისაგან დოდოს არ-

ახსოვს ,რა. მაგრამ, ვაი თუ იქაც სადმე იფარება უკმაყოფილება და... დოდომ ამისი არა იცის-რა.

ან, მარტო დოდომ?

შეიძლება მისმა ძმებმაც არა იციან-რა. განსაკუთრებით ქავთარ-ბატონი სასტიკია, მაგრამ სამართლიანიაო. ასე გაუგონია დოდოს შინაყმებისაგან, გამდელთაგან, მოახლეთაგან.

საპირმოთნეოდ ხომ არ არის ყოველივე ეს დოდოსთან თქმული?

თაფლოს ნაამბობმა, თვით თაფლოს სულის აღნაგობამ, რომელსაც ესე მოულოდნელად და ესე ახლოს შეეხო დოდო, სულ აუფორიაქა ერთგვარად შედგენილი მსოფლმხედველობა ამ ცხოვრებაზე.

მან თაფლო მხოლოდ მისთვის დაიტოვა ოთახში, და თითქო წაართვა კიდეც უტანდარს, რომ იმ ჟამად მარტო დასარჩენად თავი ენანებოდა. აქ კი, რა ფიქრები არ გაუღვიძა ამ ბოლოტუაშვილების შთამონასირმა.

ანდა, აქამდე რად არ უფიქრია ამეებზე? მაშ ხომ ეგონა, რომ განსაკუთრებით ეხლა, თამარის დროს თხა და მგელი ერთგანა სძოვს. ჰო, ყოფილა ოდესღაც ჩაგვრა ხალხისა, ერთი ერისთავისაგან მიმძლავრება მეორისა და შევიწროება დამარცხებულ აზნაურის ყმებისა.

სასტიკნი იყვნენ, კვირიკეს ძეები, კალონიკის ძეები, ორბელიანნი.

მაგრამ ესენი ხომ იყვნენ და აღარ არიან?

თამარი თვით არის სამართლიანი და შემწყალე. მის საბრძანებელში ვინ გაბედავს უსამართლობას!

ან და საიდან გაიგო დოდომ, რომ დღესაც შეიძლება უსამართლობა და ჩაგვრა არსებობდეს. ხომ არა აქვს ხელთ ამის საბუთი?

თაფლომაც რა უამბო: იყო და აღარ არის. თვითონაც კი აზატები ყოფილან.

მაინც არ ისვენებდა აფუსფუსებული გონება. ფიქრი ისევ დავით სოსლანზე შედგა.

ის?.. ისიც ხომ მთავარია ოვსეთისა. ნუთუ დავითი სასტიკია და დაუნდობელი?.. როგორ იქნება, რა დასაჯერია! კეთილს ჭურჭელში კეთილი სული მდგომარეობს. სხვაფრივ არც შეიძლება იყოს. მაშინ ტყუილი იქნებოდა ახოვანება ადა-

მიანის სულიწა. მაშინ მატყუარა იქნებოდა წარმტაცი საწე დავითისა.

– ჰმ... დავითი და მატყუარა?!

უნაზესი სიმები აკლერდნენ დოდოს შეგრძნობაში.

გაბედა და გაიფიქრა:

უკვე შეუღლებულნი არიან დავითი და დოდო.

უწინარეს ყოვლისა ესეთი წვრილმანი მოუვიდა თავში:

ყველა მათ სახმარებელ ნივთებს დიდი ასომთავრული „დ“ აჰშვენებს, და ეს ორივეს სახელის გამომთქმელია.

ჩუმად ჩაცინა.

თაფლო კი, მის ფეხთაწ მიმჯდარი, მდუმარედ, თავაზიანად შესცქეროდა ფიქრებში ჩაღრმავებულ დოდოს.

დოდოს ყურადღება არ მიუქცევია. ფიქრმა განუგრძო:

განაგებენ მათ სამფლობელოს, საერისთავოს. დავითი არჩევს და განაბრჭობს სამართლის, დაწყურებულთა, განაგებს მშვიდობიანობის დროს სანადირო ტყეთა მოვლის საქმეს, თვით ნადირობის შეზომილობას, ცხენის საუკეთესო ჯიშის მოშენებას, მოსარწყავ ყანების მოგვარებას, არხების გაყვანას, წისქვილების კეთებას, მეუნაგირეობისა და ღვედების მოსაქნარეობას, საომარ საჭურველთა დამზადებას და გაუმჯობესებას, მოყვარეთა დალხინებას და მტერთა დასახვედრად მზადებას. ამისთვის აშენებს საჭირო ალაგებში, ძველთა მოვლის გარდა, ახალს, მიუვალსა და შეუვალს ციხეებს, სადარაჯოებს, მორიგისით რაზმავს თავის სამფლობელოს დრო-გამოშვებით საცდელად და საწურთნელად, უფრო სცდილობს შეზობლებთან საკეთო კავშირის შენარჩუნებას, აჩაღებს მოყვრულ დამოკიდებულებას: ზოგს უნდა მოათხოვოს თავისი ბიძაშვილი, ზოგს ძიძიშვილი, ზოგისაც ასული აქვთ მოიყვანოს რომელიმე ნათესავის პატარძლად. უმთავრესად კი აკეთებს გზებსა და ხიდებს მეზობელ მხარეებში გადასასვლელად, გააქვს თავისი ქვეყნიდან ის საქონელი, რაც სჭირდებათ მომიჯნავე სამთავროებს და შემოაქვს ის, რაიც ნაკლებ მოეპოვება მის სამფლობელოს. ხსნის საფუნდუკოებს, ქსენონებს და სხვ. თან, ესეთ საზრუნავთაგან მოცლილი, სქელს ეტრატზე, წარუუვნელის, ხასხასა მელნით სთხზავს და აშაირებს გარდასული გმირების ჭირგადახდილობას.

დოდო კი თავის გარშემო იკრებს ახალგაზრდა ასულთ,

ნათესავსა და უნათესაოს, გლეხსა თუ თავადს და ხელსაჭყოფს მათი აღზრდისა და გაწვრთნის საქმეს. უსწავლელთ შეასწავლის წერა-კითხვას, ქსოვას, ქერვას, ქარგვას. გამოუცდელთ — მეოჯახეობას და ქმარ-შვილში ღმობიერს და ადამიანურს საქციელსა. გააძლიერებს არსებულს და გააშენებს ახალს ეკლესია-მონასტრებს, სიბრძნისმეტყველებისა და ხელოვნების ასაყვავებლად. უპატრონებს ქვრივ-ობლებსა და თავს გადაახდებს ბედისაგან დაჩაგრულთა და უწყეოთა საშველად. საზოგადო და საგარეო საქმეში კი იქნება მარჯვენა ხელი და ნამდვილი მეუღლე, ხოლო ქმრის წყობილსიტყვაობაში — პირველი გადამწერი და პირველი მკაფიო, შემღერებით წამკითხველი ნათხზავისა, მისი პირველი ამბგერებელი. და ამ გვარის შეზავებით წარიმართება ორთავეს ცხოვრება აზრიანი, სამართლიანი, მაღალადამიანური.

დოდო უეცრად თიქმო შეფრთქიალდა და თაფლოს მოუბრუნდა:

— თაფლო, ამიერით მეგობარო ჩემო...

თაფლო ცოტა შეწითლდა კმაყოფილებით. შინაგან არც უტანდარს და არც დოდოს თავს არ უდებდა, არც სასახლეში მოდენილ სეფექალებს; ყველა ესენი ამხანაგურად და თანაზიარად ექცეოდნენ, თითქო, მაგრამ ეს გარეგან იმდენად არ იყო გამოთქმული. ამიტომ ვერც თუ მთლად გატოლებულად გრძნობდა თავსა. აქ კი დიდი თავადის ასულის გამეგობრება, გრძნობდა, რომ მისთვის ერთგვარი დაწინაურება იყო.

თქმით არაფერი უთქვამს, გულში კმაყოფილი იყო და ყურს უგდებდა დოდოს აღფრთოვანებულ სიტყვებს. დოდო ეუბნებოდა:

— უნდა გიყვარდეს მოყვასი შენი... ეს სამღვთო წერილშიაც სწერია, მაგრამ ჩვენ უბრალო ცხოვრებაშიაც უნდა გავიგოთ, რომ უდიდესი მოვალეობა ადამიანისა, ადამიანისავე სიყვარულია. მით უფრო ქალის მიერ, რომელიც შექმნილა, გაჩენილია თვით სიყვარულისათვის. ახალგაზრდობაში — მოპოვება გულის სატრფოსი, შემდეგ — აღზრდა შვილისა, რომელიც მხოლოდ ჰეშმარიტად გაგებული სიყვარულის ნიადაგზე იზრდება ღირსეულად, და ბოლოს — შენელება და შებრალება ქმრის შეჭირვებისა, ან ზოგჯერ მოუხეშაობისა

თუ სისასტიკისა, რაიც მამაკაცებს ხშირად შეესდგამთ ხოლმე. ეს არც გასაკვირია. მამაკაცი ნადირობს, ლაშქრობს, გული უხევდება, სიბრალული შორდება მის შეგნებას და ზოგჯერ შეიძლება შეიქნეს განუკითხავი, გულფიცხობით სასტიკი შეცდომის ჩამდენი. აქ არის ჩვენი მოვალეობა, მათ შევეშველოთ, ვიყოთ სანათური, ზოგჯერ უსამართლობის წყვდიადით მოცულ მის სავალ გზაზე...

თაფლოს გული სიჩქარით აუძგერდა.

დოდო თითქო მის აზრებს გამოიტყვისო. თაფლომ ეს ყველაფერი თითქო იცის დიდი ხანია და, საკვირველია! დოდო როგორ ესე უჯდა გუნებაში, რომ მის სათქმელს ამბობს.

მხოლოდ ეს კი მართალია, — კარგად ახსნა თაფლომ, — ასე დაწყობილად მას არასოდეს არ უფიქრნია.

და, თითქო გამოურკვეველი, შინაგანი ამაღლება იგრძნო დოდოს ნიჭიერმა მსმენელმა.

მაგრამ აგერ კიდევ რა უცნაურ რასმეს ეუბნება დოდო!

— და, როდესაც გათხოვდები, ჩემო თაფლო... სულ ერთია, ვინც უნდა იქნეს შენი ქმარი, გლეხი იქნება, თუ წარჩინებული...

„წარჩინებულზე“ კინაღამ გაეცინა თაფლოს.

დოდო განუგრძობდა:

— ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რჯული და ჯილაგი, თუ სხვა უცხო ხელმწიფის შვილი...

თაფლომ აქ კი თავი ვეღარ შეიმაგრა და პირდაპირ სოფლურად გაუტია:

— იი, აბა, რასა ბრძანებ, დოდო-ბატონო... ხელმწიფის შვილი კი არა!..

— რათა, რათა? შეუძლებელი ამ ქვეყნად არა არის რა... რითი არა ხარ ხელმწიფის შვილის ღირსი?.. რამდენი დაიარება ჩვენს ქვეყანაში მოყვრულად, სტუმრად და სადარბაზოდ... რათ არ შეიძლება ვისმე მათგანს მოეწონო?..

თაფლოს გუნება შეეცვალა. გულუბრყვილო მხიარულება სრულიად გადაუვარდა და თითქო უშიზეზო, ცოტა არ იყოს, შიშდაკრულმა წყენამ მოიპყრო.

მაგრამ გაზაფხულის ცამ ადრე იცის მოწმენდა.

ამ ფიცარი საუბრის დროს დოდოსადმი ისეთი რწმენა

განუმტკიცდა, გული დააჯერა — შეიძლება უცხო ხელმწიფის შვილის მეუღლეც გავხდეო.

აღარ უკვირდა, თუმცა არც თავი მოუწონებია.

ამიტომაც სრულის სიმშვიდით და შეგნებით იჭერჭლებოდა მისი გონება დოდოს ზეამწევი სიტყვებით:

— და, გახსოვდეს! თუ მართლა უცხო ხელმწიფის შვილის მეუღლე გახდი, განსაკუთრებით ურჯულოსი, მაშინ უფრო გმართებს შენი ქალური დასაბამის გამოჩენა, შენი ქართველური, მაღალი სულის გაშლა! უნდა მოამშვიდო მათი სისხლისმღვრელი ბუნება, უნდა მოქნილი გაჰხადო მათი ველურობა და სრულის შეგნებით, სრულის სიღრმით, უნდა მოყვარედ გაუხადო საქართველოსა.

მაინც ახალი იყო ეს ამბავი თაფლოსათვის. გაგონილი ჰქონდა აღმოსავლეთში ჰარამხანების არსებობა და ეს შეაძრწუნა.

დოდომ ამაზედაც მოუძებნა პასუხი:

— თუ ღმერთი გაწყრა და ქართველი ქალი ჰარამხანაში მოხვდა... ეს უთუოდ უნებლიე ამბავი იქნება... ამ ჟამად აღარ ხდება ესე ვითარი... ჩვენ ქალებს ტყვედ ველარ იტაცებენ. ამ ბოლო ხანებში მაინც, სულ არ გაგვიგონია ეს ამბები... მაგრამ, რომ კიდეც მოხდეს ასე... ჩვენ ჩვენი თავი იქაც უნდა გავამართლოთ. სხეულის სილამაზე და მომხიბვლელობასთან ერთად, უნდა მივიტანოთ სულიერი ახოვანებაც და, აი, მაშინ შევძლებთ ურჯულოს მორჯულებასაც...

თაფლო კიდევ მეტის მოწიწებით განიმსჭვალა დოდოსადმი. დოდო თითქო არა ამქვეყნიური გახდა მის თვალში. ყოველი მისი სიტყვა თითქო ზეშთაგონებით იყო წარმოთქმული და ამიტომ კიდევ უფრო იწამა.

იწამა და ჩაუღრმავდა საფიქრელს.

ამას მარტო დოდო — არ ლაპარაკობს და იმიც მხოლოდ ქართველი ქალის ჰარამხანაში საეჭვო საქციელზე, აქ რაღაც უფრო სხვა ამბავია. ეტყობა, აქ უფრო მაღალი მოსაზრებაა და ეს მოსაზრება უსათუოდ თხოულობს ერთგვარ თავის განწირვასაც.

არა, დოდოს ზურგთ უკან სდგას უზენაესი ვილაც არსება და იმ კარნახობს ამ სიტყვებს.

თვით დოდო კი...

შლივს მიაგნო თაფლომ იმ სიტყვას, რომელსაც მისი გონება სასწრაფოდ და აფორიაქებით დაეძებდა.

აი, დოდოს მინაზებული სახე, ფერმიხდილი, მაგრამ, თითქო შინაგანი შარავანდედით მოსილი, ლმობიერი და თანალვლიანი თვალები, მხოლოდ არა ამ ქვეყნიური, არამედ ამ ქვეყნის შეცდომათა მიმტევებელი.

ეს ყველაფერი თაფლომ იგრძნო თავისი გამოუცდელი, მაგრამ მწვავედ წელშემხები გრძნებით.

დაიხარა და დოდოს ხელთ ემთხვია.

დოდო ცოტა შეკრთა, მაგრამ თვალებმა მალე გამოსთქვეს: არ გამკვირვებიაო.

თითქო ასეც უნდა ყოფილიყო.

თაფლოს თავს კვლავ ალერსით ხელი გადაუსვა.

მოფარდაგულთან უტანდარის ერთ-ერთი მოახლე გაჩნდა. დოდოს მოახსენა:

— დავით ხოსლანის გამოგზავნილი, როსტომ ქურთაული, წასაღებ უსტარს ელოდება თქვენგან.

დოდო უეცრად მოეშვა. მწარედ გაეღიმა. ნაღვლიანი თვალი გადაავლო მუხლებზე გადასავარდნად ჩასრიალებულს გრაგნილს და მხოლოდ ეხლა გაუშვა ხელი თითებში მიქვავებულ ბატის ფრთაზე.

კალმად წაჭრილი ფრთა თითქო უნუგეშოდ გადაფრიალდა აბრეშუმის სამოსელზე. მოახლეს უბრძანა:

— უსტარი არ იქნება. დავითს მოახსენოს: გლოვა რომ გაუთავდება, მისი მეგობრები მოელიან უებრო ბატონიშვილის საქართველოში სიხარულით წილვას.

მოახლე გავიდა.

დოდოს თვალთ გაუშტერდა, სადღაც ძალიან შორს წაუვიდა, თან თაფლოს თმა ნატიფი თითებით ნელიად ააზვირთა.

თაფლომ შეამჩნია, რომ დოდოს წამწამებს ორი ალმასი დაეკიდა.

რატომ?

პაემანი

ლთ

სასახლის კარზე ოსთ-ბატონიშვილის გლოვა გათავდა.

ვერავინ გაიგო, რა ითათბირა რუხუდანმა თამართან, როდესაც გიორგი ოსის გარდაცვალების ამბავი მოუტანა. ვერც ღა ვაიგეს, რა დააბარა და რა წერილი გაუგზავნა რუსუდანმა სასწრაფო შიკრიკის, ქურთაულის ხელით დავით სოსლანს.

უტანდარს მაინც ძალიან უნდოდა შეეტყო და თვით ენახა ქურთაული, რადგანაც დოდოს ამბავი გულით სურდა სოსლანისათვის ეცნობებინა. მაშინ ხომ იმასაც ვაიგებდა, სოსლანი რა გუნებაზეა, როდის ჩამოვა, ან აქედან როდისთვის იხმეს, რომ მეგობარი ქალი ენუგეშებინა და მისთვისაც გაება ნაზი ძაფი სატრფიალო, ველად გაჭრელ სამიჯნუროსათვის.

მაგრამ, ახირებული!

დოდოს თვით გადაუჭრია ეს ძაფი!

უსტარი არამც თუ გაუგზავნია, არც კი დაუწერია!..

ეს ამბავი აგერ ერთი ხანია დიდად აკვირვებს უტანდარს, განსაკუთრებით, რაც დოდო მისი სასახლიდან წავიდა. თითქმის ერთი თვეც იქნება. და აქამდე ხეირიანად ვერ მოასწრო დოდოსათვის გამოეკითხა მიზეზი მისი უცნაური საქციელისა. იმდენი საქმეები გაუჩნდა, მაგრამ თვით დოდოც როგორ შეიცვალა! აგერ ორი კვირაა არ უნახავს, თუმცა მაინც იცის მისი სულიერი განწყობილება. თავის სენაკში ჩაკეტილა, რუსუდანთანაც აღარ სეფე-ქალობს. უფრო ეკლესიებში და მონასტრებში წირვა-ლოცვაზე დაიარება და შინაც დაუჯდომელს კითხულობს, თურმე.

თაფლოსაგან უფრო იცის ეს ამბები.

— ა?

უეცრად მცირე ეჭვმა გადაურბინა: თაფლოც თითქო შეიცვალაო, დაქალდაო, თვალებში როგორღაც განშორებული გამომეტყველება ჩაუდგაო.

არა! — თითქო თავი გადაიქნიაო შინაგან. — თაფლო ისევ

ისე უტანდარის ერთგულია და სანდო. თაფლოს შეცვლა მას არ შეეხება.

ეჰვი განქარდა.

დოდო კი, დოდო?

საჭიროა, ასე რომ არ ეცოდებოდეს უტანდარს.

ყვავილს ნამი უნდა მოხვდეს ღამით მაცოცხლებელი და დღისით მზემ უნდა შთაბეროს მცხუნვარე ნეტარება. მაშინ არის სიცოცხლე სრულყოფილი.

არა, უტანდარი ესე ვერ მოიქცეოდა. არც მოიქცა.

მის მიერ გაბმული ძაფი უკვე გამოსცემს სანეტარო ბგერას.

ეს მთელი ჩონგურია გაბმული აბულ-ასანის სასახლიდან ბებერ ანუშაკის ქოხამდე და...

უხილავად, მხოლოდ საგრძნობლად კმაყოფილი დაღიღინებს საარაკო სიმღერას, თამარის ნათესავის, ბაგრატიონის ასულის უტანდარისა და საქართველოს მეფედ განმზადილის, უფლისწულის იურის მოპარული ბედნიერებისას.

არავინ იცის ეს ამბავი საქართველოში.

რამდენიმემ მხოლოდ:

უტანდარმა ყველაზე უფრო, მთელის შეგნებით.

იურიმ, ცოტა გაუგნებლად, მაგრამ მით უკეთესი. უტანდარის მიერ არის დაპყრობილი იური. ეს მისი ნადავლია და... მერე, რა ვაჟკაცი! — გულ-მკერდი ბროლის ფიქალი აქვს, მკლავები — რკინის და ბაგე თავდავიწყების მგზნებარებაში ჩამთრევი.

იცის კიდევ თაფლომ, ანუშაკმა, კევორქიმ.

ჰო, გურამმაც, მისმა ერთგულმა მხლებელმა, მაგრამ ეგ ხომ უსიტყვოც არის და, მერმე კიდევ, ყველაფერი კარგად არ იცის. გაფრთხილებულია, რომ მისი დიოფალი მეტად საჭირო და საიდუმლო საქმეზე დაიარება დედაბერთან, საცა სხვა დიდებულებიც იკრიბებიან.

ეს ყოველივე თამარის ბრძანებით ხდება, — ასე იცის გურამმა, — მხოლოდ დიდი საიდუმლოა და უტანდარს აქვს ეს საიდუმლო მოსაგვარებელი.

ჯერ აქამომდე ამ საიდუმლოს ნირი არ შერყევია.

დანიშნულ დროს, საღამო ჟამს, შებინდებისას ორი ასხ-

ლეტილი სურვილი იყრება ერთად დედაბრის ქოხში საიდუმლოდ, მაგრამ ბედნიერად.

დიაღ, დღეს აქამომდე.

დღეს კი, დღეს?.. დღეს მძიმე დღეა უტანდარისათვის. უკანასკნელი არაა, მაგრამ სიძნელის დამწყები დღე კია.

კარგად იცის უტანდარმა: ხვალიდგან იური სასახლეში უნდა გადასახლდეს, ჩაიცვას ქართული სამოსელი და სასახლის წესებს დაემორჩილოს.

ხვალიდგან, იური მეფეა საქართველოსი. კაცი მოუცლელი, დატვირთული მოვალეობით, შებორკილი უფლებითა.

ეგრე ვეღარ ინავარდებს. ოო, რამდენჯერ ამ ერთი თვის განმავლობაში მწვავეთ უფიქრია ამაზე, მაგრამ გამოსავალი მაინც მონახული აქვთ ორივეს!

უტანდარს და იურის.

განაგონობით იციან, რომ დიდ მეფეებს სჩვევიათ ღამით ტანისამოსი გადაიცვან და უბრალო ქვეშევრდომივით დაიარონ საბრძანებელი. ეს, დედაბრის პირით, კარგა აუხსნა უტანდარმა. იურიც ასე მოიქცევა... მაშ, რაღა არის სამწუხარო?

მაინც სიძნელის დამწყებია ეს დღე.

ხვალ არის სვეტიცხოვლობა. ხვალ მოხდება დაწინდვა. ხვალ თამარი უნდა გახდეს მეუღლე რუსის უფლისწულისა.

მაგრამ გახდება-კი?.. ეს ხომ მარტო დაწინდვაა.

ამაზე ბევრი გამოიკითხა უტანდარმა. არავის ეჭვი არ შეუტანია. ყველა ფიქრობდა, რომ უტანდარს სახელმწიფო საზრუნი აწუხებდა, ის საზრუნი, რომელიც ყველას პირზე ეკერა.

არავინ-კი არ იცოდა, რომ გაშმაგებული ქალი მეტოქეს ამბავს კითხულობდა.

თავს იმითი ინუგეშებდა, დაწინდვა სწორედ იმიტომ არის გამოცხადებული, ჯვრისწერას უცდიანო.

მაშასადამე...

ჯვრისწერამდე თამარი არ იქნება ნამდვილი მეუღლე იური-გიორგისა. უთუოდ თამარ, განგებისადაც, სარეცელს არ გაუყოფს უფლისწულსა.

მხოლოდ ეხლა არც ეს ამშვიდებს უტანდარს. ეტყობა,

მხოლოდ დროებით მიაყუჩა ან განმარტებამ უტანდარის მშფოთვარე გრძნობა.

მაშ, რა? რა?

საოცარი!

როგორი უბრალოა და როგორი ნამდვილი უტანდარისათვის.

აარა!

იურიმ უნდა გაიყოს სარეცელი თამარისა!

გაიყოს ჯვრისწერამდე, თუნდა თამარის უნებლიედაც!

და სწორედ, სწორედ ეგ იქნება უკეთესი, თუ ეს უნებლიედ მოხდება, თუ ძალადობა იქნება ნახმარი!

ო, სწორედ მაშინ გაიხარებს უტანდარის გული, რომ დაინახავს თამარს დამცირებულს, თამარს გაქელილს თავისი საყვარლისაგან.

იური საყვარელია უტანდარის. იგი უკვე ცოლია მისი, ნამდვილი და სწორუტყუარი. ნამდვილი დედოფალიც მომავალში ეს იქნება საქართველოსი!

თამარის მხოლოდ სახელი იქნება.

ჰა, ჰა! წმინდანმა კი ილოცოს და აკეთოს მისი სათნო საქმეები.

მისი საყვარელი გასთელავს მას!

იური კი ჩემია, ჩემი, როგორც მეფე და როგორც საყვარელი!

მას ვერც თვით თამარი წამართმევს მე!..

კინაღამ ხმამაღლა აკვნესდნენ ეს სიტყვები უტანდარის ბაგეზე.

და მოუნდა მოურევნელ-შეუვალი იურის ეხლა ნახვა, სწორედ ეხლა ჩახვევნა...

ეს სურვილი იმე მტკიცედ გაუჯდა მთელს სხეულში, რომ გონება ვეღარ დაიმორჩილა.

ოთახში ვეღარ მოისვენა, აწრიალდა.

უბრძანა ცხენი შეეკაზმათ და, რამდენიმე წუთს სამგზაკროდ მრთული, სასახლის დერეფანში მოხვდა.

ეტყობა, ამბულ-ასანს ვილაც დიდებულები ჰყავდა სტუმრად, რომ ისიც მათ გასაცილებლად დერეფანში გამოსულიყო.

ცოლი რომ დაინახა, გაკვირვებით ჰკითხა:

— საით მიეჩქარები, დიოფალო?

უტანდარს წარბი არ შეუხრია. ენის წვერზე-კი ადგა: „ჩემს საყვარელთან, შე ბებერო დაბაისელო!“

წარმოსთქვა:

— დოდოსთან... მალე დავბრუნდები...

— კვლავ რაიმე ხომ არ შემთხვევია?..

მეტი აღარ შეეძლო უტანდარს:

— ჰო! — ძლივს მოაბრუნა ენა და გასავალისკენ გაეშურა.

უტანდარის ცხენი კევორქ ჩუსტუზიანის სახლთან შეჩერდა.

გურამ-მხლებელმა ცრთ წუთს თავქუდგლეჯით ჩამოიყვანა კევორქი. თვით შორიახლო დადგა.

უტანდარს აწითლებულ სახეზე შეატყო, რომ ჯავრობდა. კევორქსაც დაატყო, რომ უცილობით თანხმდებოდა.

— ხიფვთი!

ამ სიტყვას გაკვრით მოჰკრა ყური.

უტანდარმა ცხენი გააბრუნა და მგლურის ნაბიჯით გასწია.. შორიახლო მიჰყვა გურამი.

ქალაქი ხალხით ირეოდა, მაგრამ უტანდარმა კარგა შეამჩნია, რომ ბევრად არ გაჰკვირვებიათ აჩქარებული მანდილიანი ცხენოსნის დანახვა. ამიტომ, ამ შუადღისას, ამ მოფუსფუსე ხალხში თამამად მიაგდო ცხენი ანუშაკის ქოხთან.

გურამი, ჩვეულებისამებრ, ქოხს მოშორებით, სადარაჯოზე დადგა და არ გასულა ერთი საათიც კი, რომ შეამჩნია დედაბრის ქოხში ორი შავათ მოსილი და პირმობურვილი მამაკაცი შევიდა.

„რა საიდუმლო და სასწრაფო საქმეებია“, — ერთი კი გაიფიქრა მათ დანახვაზე დარაჯად დამდგარმა გურამმა, მაგრამ გაიხსენა, რომ დიდი ამბების წინ ხშირად არის ესეთი იდუმალი მისვლა-მოსვლა, ქალაქის სხვადასხვა ნაწილში და ხვალაც ხომ დიდი ამბავი უნდა იქნესო. ამით მიყუჩდა ყურაცქვეტილი ცნობისმოყვარეობა.

დედაბრის სანთიობოში ხატის წინ კვლავ ლამპარი პარპალებდა და ხელს არ უშლიდა მეტისმეტი გამოაშკარავებით ორი სიცოცხლით აღსავსე გულ-მკერდის ერთი მეორეზე თამამად გადაჭდომას.

— მეფე... მეფე?..

მოისმოდა ათრთოლებულ ბაგეთა ჩურჩული.

— ვიცი... ვიცი...

არა ნაკლებ თრთოდა ქართული პასუხი უცხოელი ვაჟისაგან.

მაგრამ ორი წყვილი აგზნებული თვალები ლაპარაკობდნენ კიდევ მეტს და...

რუსის ხელი გასცურდა ოსის ქალის საპარავისკენ.

ა

ქვევით, დედაბრისას, კუთხეში მოკუნჭულიყო თვით ანუშაკი და მისი გაზრდილი კევორქი, რომელიც წელან იურის მოჰყვა.

ეხლაც შიშისაგან აძიგძიგებული, თავს ძლივს იმშვიდებდა. დაბალის და გაწვრილებულის ხმით ხშირად წამოიტყოდა:

— ნამდვილად დაგვღუპავს ეგ ქალი, ეხლა მაინც მეტად გათამამდა... ასე თუ მოჰყვა...

მერმე გადაწყვეტით მიმართა გამდელს:

— ნამდვილად სადმე უნდა გადაგასახლო!

— იიჰ, ერთი, კარგი შენს გაზრდასა! — ანუშაკი ისე შეშინებული არ იყო, — სად უნდა გადამასახლო, რას ამბობ?... ღმერთმა სიკეთე მოგვივლინა ორივეს. შენ შენს საქმეებს ეხლა უშფოთველად აკეთებ, მე წყალობით ამავსო. მეტი რაღა ვინდა?

— არ მინდა მაგის წყალობა... ხიფათს შეგვამთხვევს, ხიფათს!.. აი, დღესაც, უთხარი, სახიფათოა-მეთქი ასე დღისით რომ გამობრძანებულხართ... დღეს თვით იურის გამოსვლაც სახიფათოა. კაცი ხვალ საღამოთი მცხეთას უნდა გაემგზავროს, ათასი ვინმე მოდის მასთან სანახავად, მისალოცად, შესახვედრად... რომ ვინმემ შეამჩნიოს?.. ისიც დღისით-მზისით!.. ქალაქში კიდევ ათასი მილეთის ხალხი ირევა. ამ ამბისათვის საიდან არ არის, ვინ არ არის მოსული? რომიდან, ბიზანტიიდან, ბასიანიდანაც კი. ჩვენი, სომხეთის მეფე, შაერმანია ჩამოსული... ათასი თვალი იყურება, ათასი მზვერა-

ცი... მეც უამრავი საქმე მაქვს... ეხლა თუ არ მოვინაგრე, რაც მოსანაგრია, მერმე როდისღა?.. იცი. რა მიპასუხა? ხიფათს მე თვითონ ვეგებებიო!.. დაიწყეველოს ქალის გაჩენა... ყველაფერი მივატოვე და... კიდევ კარგი, იური წუხანდელი ნაქეიფარი, ზანქანის სახლში ისვენებდა... მართლა, ანუშაჯ, იმ ოდიშელი ქალით პირდაპირ გამაკეთე... ძალიან მოეწონათ იურკასაც და გუზანის ვაჟს ცვატასაც... წუხელისაც იმას ჰყავდათ... ჰო-და, ამისთვის იური ჯერ კიდევ საწოლში დამიხვდა, როგორც იყო მოვასულიერე... წამოვიყვანე... ეხლა არ ვიცი, აქედან როგორ გავალთ... მართალია, გადაცმულები ვართ, მაგრამ დღე არის და სარანგნი საეჭვო ხალხს, ამ მრბენარების დროს მაინც, ძალიან უკირკიტდებიან... ძუღანაც, ცოტას გაწყდა, სარანგებმა არ შეგვაჩერეს. მოედანზე ხალხში შევერიეთ და გზა დავუბნიეთ... აარა, რომ კიდეც საბურველი მოკვხადონ, მერე რა!.. უფლისწულს იცნობენ და, ვინ რას გაუბედავს!.. მაგრამ ატყდება ერთი ალიაქოთი: სად იყო? ვისთან იყო? რათ იყო? ისიც დაწინდვის წინა დღით! — მაგას თუნდა თავით ქვა უტეხია — სანთიობოსაკენ გადაიგდო თავი — ჩვენ არ დაგვაყრიან ხეირს, ჩვენ!.. მერე სხვა რამეებსაც გამოიძევენ და — ყველანი დავიღუპებით...

კევორქმა ამოისუნთქა. მისი გაბმული ჩუმი ხმით ლაპარაკი ანუშაჯს ამ ჟამად კოლოს მირინებულ წუწუნს აგონებდა, მაგრამ გულს შიში არ შეჰპარვია. მხნედ იყო და თითქოს გუნებაში მოსწონდა კიდეც ქალის ასეთი გამბედაობა, ასეთი შეჯიბრება ბედისა.

ხმა არ ამოუღია. კევორქი-კი ისევ აწუწუნდა:

— ეხლა ეს როგორი მოსაწონია?! ნამდვილად გამიფრთხება ხელიდან ამისი მხევლის, თაფლოს გატაცება... მერე, იცი რაჰა ვკარგავ?.. აბუბექრისთანა შეძენილი სულტანის შვილი, ამ უამად ბევრი არ მოიპოვება აღმოსავლეთ ადარბადაგანში... იცი, ამ ზეიმზე არც მას და არც მის ბიძას ყიზ-არსლანს, დიდ ათაბაგს და სულტანს ადარბადაგანისას, წარმომადგენელი არ გამოუგზავნია... ეს არ არის კარგის მომასწავებელი... აქ-იქ იმასაც კი ამბობენ, — ყიზ-არსლანი და აბუბექრი საქართველოსთან საომრადაც-კი ემზადებიანო. აბა, მაშინ დავიღუპე, აი!.. თაფლო კი არა, შეიძლება გაუმარჯვდეს

და მაშინ უტანდარიც მისი იქნება და თვით თამარიცა... თაფლოს ზედ ვიღა დახედავს. ან ჩემი სამსახური რალად უნდა!.. თვით დაიპყრობს და თვით წაიღებს ყოველსავე! უნდა ვიჩქარო... აი, ზანქანიც სულ იმის წუწუნშია. ერთი მორჩეს რომ გორმე ეს დაწინდვაა, თუ რაღაც ჯანდაბა, ერთი მალე გადავასახლო იურიკა მეფის სასახლეში, ჩემი გავინაღდო, თორემ ყიზ-არსლანი, მისი ძმისწული აბუბექრით ხეირის დაკრას არ უპირებენ არც ახალ სიძე-ბატონს და არც მისი მეუღლის საბრძანებელსაც... მე რადა უნდა ვქნა!.. ეგ ძალიან ცუდი მითხარი, რომ თაფლო ალარ დაჰყვება უტანდარს შენთან... აჰ? ღმერთო? კიდეც ეგ არისდა... უთაფლოდ გაეჩვია რუსთან შეხვედრას. ხან შენ გასაქმებს და ხან მე... არა, ეს ასე არ ეგების... თაფლო დროით უნდა მივგვარო აბუბექრს... ჰო და, ანუშაკ... ისევ შენ უნდა მოახერხო, რომ თაფლო მოიტყუო როგორმე... ან ესენი ხომ არ შეწყვეტენ მომავალშიც აქ სიარულს. გაუჭირდებათ? ნუ გეშინია. მოახერხებენ.. ჰო-და უნდა მოახერხო უტანდარმა გამოიყოლიოს. მხოლოდ, როდესაც ნამდვილი გეცოდინება, მაცნობებ და მაშინ, გაგიხარიან მოვქუსლო დიდებული ძღვენით აბარბადაგანისაკენ...

ანუშაკი დაჰპირდა და კევორქის წუწუნიც შეწყდა.

სანთიობოდან უკვე კიბეზე ჩამოდიოდნენ მოპაემნენი.

კევორქი გახარებული დაბრუნდა სახლში, რადგან იმ დღეს უხიფათოდ გადარჩნენ. ხოლო მეორე დღით, სლამოთი, თავისი თვალით ნახა — ორასამდე წარჩინებული ცხენოსანი იმერელი, დადიანის მეთაურობით და კუზმა-რუსის თანხლებით, იური-გიორგისთან ერთად მწყობრად გადიდა ქალაქიდან.

მაშასადამე ყოველივე რიგზე იყო.

თავი ოცდამესამე

რა მოკვდა დაფიქდვას

ია

იწყო მზემან დასვლად.

ხოლო ოქროს სალამოისას ისე ვერ დაეგანძნა არემარე, რომ შეენელებინა ხალისიან სიმწვანეში თეთრ ნუგეშად გამომყურე ქალაქის მაღალ-კოშკებიანი და ფართო ბანიანი შენობები.

იგი მხოლოდ უცხოდ აელვარებდა მეტეხით და ისნის სასახლით მოყოლებულ ნუშის ხეივანს, რომლის მოლურჯო ქვით ფენილი გზა მტკვრის მარცხენა ნაპირით სულ მცხეთამდე მიუყვებოდა.

უბრალო დროს აქ ვერ გაივლიდა უბირი ვინმე მგზავრი გარდა მეფისა, კათალიკოსისა და მათი ამალისა.

ტყუილა კი არ ეძახდნენ სამეუფო ხეივანს.

ამ ჟამად კი, ამ შემოდგომის ტკბილ საღამოზე, თვით დიდუბემდე მწყობრად თავ-თავისად იყო გაყოლებული უცხოეთით მოსული საპატიო სტუმრები და სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

მფელი ეს კრებული ქალაქის პირველ გალავან გარეთ იყო მოქცეული, ანჩის ხატის დასათავართან და მისი წვერი მიბჯენოდა ქალაქის მეორე გალავანს — დიდუბესთან.

ორთავ გალავნის კარები ფართოდ იყო გაღებული, მხოლოდ მესამე და ქალაქის უკანასკნელი კარი — შურის ციხის გალავანისა, — ამ ჟამად დახშული იყო და დარაჯად ორმოცამდე ბრგე მოყვანილობის ყივჩაყი ადგა შეიარაღებული, თითქო აღმოსავლეთს გზას უკეტავს მცხეთისაკენო.

დიდუბეში კი ჯარი იდგა, უმთავრეს შვიდ საერისთაოსგან, მსახურთ-უხუცესის დადიანის ბრძანებით მოყვანილი...

ქალაქით გამოსული იური-გიორგი თავისი მხლებლებით დადიანმა სწორედ ამ ჯართან შეაჩერა.

ჯარი ოთხ დიდ სვეტად იყო გაყოფილი, ისე, ვითარ საომარი წესია: ცოტა წინ-წამოწეულად, შუაში იდგნენ შესხნი და კლარჯნი ბოცო ჯაყელის წინამძღოლობით, მათ გვერ-

დით ქართლელნი რატი სურამელის მეთაურობით, მარცხენა მხრით მდგომ კახ-სომხითართა ლაშქარს წინ დასდგომოდა უზარმაზარ რაშზე მჯდომი ზაქარია მხარგრძელი და მარჯვენა მხარეზე ჩამწკრივებულ იმერთა რაზმს — ბედიანი.

მივიდნენ თუ არა, დადიანმა იური-გიორგის ორასი თანმხლე იმერლობა შეუერთა მემარჯვენე რაზმს.

იური, კუზმა-რუსი, და მისი უკვე განუყრელი ამხანაგი შარაგანი, მოედნად დარჩენილ შუაალაგას შეაჩერა.

თვით კი წინ დაუდგა იმერელ ჯარს და შეკრებილი ლაშქრის წინ რიგებს ესე ხმამაღლა შესძახა:

— ყოვლისა საქართველოს სახელოვან ლაშქარს ჩემი სალამი!..

კუზმა აქაც სიხარულის განცვიფრებას დაეპყრო. ეს ამდენი ლაშქარი, რომლის თავიც აქ, ამ ტრიალ მინდორზე იწყებოდა, ბოლო კი სადღაც გორაკების ფერდობზე იკარგებოდა,.. აბა, ამათ დადიანი რას გააგონებს? მაგრამ შარაგანის შეკითხვა აღარ დასჭირდა. მის ყურს მოესმა, რომ დადიანის სიტყვებს სხვები იმეორებდნენ, ჯერ უფრო ახლო, შემდეგ უფრო მოშორებით და მერმე სადღაც იკარგებოდა ბოლონდელი გამყივანი ხმა.

კუზმამ შემდეგში გაიგო, რომ თვით მცხეთამდე იყო ასეთი მღაღადებელი რამდენიმე ადგილზე განწესებული... და მცხეთის მიდამოში შეკრებილი ზღვა ხალხი სულგანაბული ისმენდაო დადიანისაგან აბგერებულ სიტყვებს, მღაღადებელთა მიერ შეუმცდარად გადმონაცემსაო.

კუზმამ აქ ისიც შეამჩნია, რომ დადიანი კაკალ-კაკალ გამოიტყოდა სიტყვებს და ერთ წინადადებას რომ იტყოდა, უცდიდა მის განმეორებას.

ამიტომ მეტისმეტი საზეიმო ხასიათი მიიღო ესეთმა მოქმედებამ. ამ მზის დასავალზე, სულგანაბული ლაშქრის წინაშე, თითოეული სიტყვა მოქნეული ლახტივით გუგუნებდა ჰაერში, თითქო მთების გამოძახილიაო და სამუდამოდ ეჭდობოდა მსმენელთა ხსოვნას.

„უთუოდ ასე მოიქცა მოსე წინასწარმეტყველიც, როდესაც სინას მთაზე ისრაელთ მცნება წაუკითხაო“, — ფიქრობდა კუზმა.

დადიანი ულოცავდა ჯარს, ამიერითგან მირონცხებული

სარდლის ყოლას. სხარტულად განუმარტა ვინც იყო გიორგი რუსი, რა ღირსებისათვის შეიუღლა დიდმა თამარმა, რას მოელოდნენ მისგან სახელმწიფოს წარჩინებულნი.

კუზმას, უკვე შეჩვეულს დადიანის გონებამაღლობასა, ბევრად არ გაჰკვირვებია ესეთი ლამახი ხერხი იური-გიორგის სახელის ჯარში განმტკიცებისათვის. კუზმას კარგად ჰქონდა გაგებული, რომ დადიანმა სწორედ ლაშქარზე, და განსაკუთრებით დაქირავებულ ყივჩაყებზე, დაამყარა მთელი ამ ამბის მოგვარება, და თუ ეხლა უკვირდა, უფრო ის, რომ მთელი ეს ლაშქარი სარმრად იყო შეიარაღებული.

კარგად დაუკვირდა და რა არ შეამჩნია: ჯავშანი და ხაფთანი, მოჭედილი მუზარადები და წვრილთვალას ჩაბალახები, პოლიტიკნი და საბარკულნი, ჩუგლუგი და ხიშტი, ხმალი და მახვილი, ლახტი და გურზი, ჰოროლი და შუბი, მშვილდისარი ულევი, უამრავი და ნაირ-ნაირი.

ამ ისართა სხვადასხვაობამ, ნაირობამ ვერ მოათმენინა და, სანამ უმთავრესს შეიტყობდა შარაგანისაგან, მანამ ისართ დანიშნულების ამბავი ჰკითხა.

შარაგანმა აუხსნა, მხოლოდ ცალი ყური დადიანის სიტყვებისაკენა ჰქონდა.

— აი, მაგას რომ ხედავ, შენს მარჯვნით, მეომარს რომ აქვს ბუდეში ამოჩრილი, ბოძალო ჰქვიან და იხმარება მახვილ ნადირთათვის. ის კიდევ, შენს მარცხნით, მცირე რაზმს რომ აქვს გადაკიდებული, ქეიბურია, ეგეც მხეცთათვის არის მომარჯვებული. ამ რაზმის გვერდზე კიდევ, შეორე გუნდი რომ მოსჩანს, სარჩა და ქიბურჯი ჰკიდია წვრილ ნადირთათვის. დანარზენს კი, შენც იცნობ, ბრძოლაში სახმარი ისრებია და აქ საყალნოს უწოდებენ.

— ჰო და... — უკვე მიადგა მთავარ საკითხს კუზმა, — საომრად რად არის ეს ლაშქარი აღკაზმული? ან ეს ლაშქარი, ისიც ამდენი, ამ ზეიმის დროს, რა საჭიროა? შიში ხომ აღარაფერი მოგველის?.. აკი ჯარი ჩვენი მომხრეა და...

შარაგანმა ჩაიღიმა. შეგვიანებით გასცა პასუხი. ისევ დადიანის სიტყვებს უსმენდა არ გამომეპაროსო. მაინც უთხრა:

— ეს ყოველივე კარგად არის მოფიქრებული. დადიანს განაზრებულია და თამარის მიერაც დასტურდაცემულიო, ამბობენ. ერთი რომ, ეს უბრალო ზეიმი არ არის. დედამი-

წის ზურგი უნდა შეიძრას ამ ამბავზე, რადგან თვით დედამ-წის ზურგმა უნდა იცოდეს აღმოსავლეთის წინა მხარეში მდებარე ერთადერთ საქრისტიანო და მძლავრ სახელმწი-ფოში რა ხდება, რა კეთდება. უნდა იცოდეს იმისთვის, რომ ზოგს გააქვს აქედან მისთვის საჭირო რამე, ზოგს შემოაქვს, ზოგს კიდევ გზა და ხიდად უნდა ეს სახელმწიფო გამოიყე-ნოს, ზოგს მტრულად უნდა მოექცეს და ზოგს კიდევ მოყ-ვრულად, ათასი მიზეზია. დღევანდელ ამბავსაც, მაშასა-დამე, ყველა გაფაციცებით შესცქერის... და ხომ დაინახე, აკი დაიძრა კიდეც, თითქმის დედამიწის ზურგი. კარგად იცი, რამდენი უცხო ქვეყნელი და საიდან ჩამოსულა დღე-სათვის. რაო? ერთად არ გინახავს? კარგი, მოთავდეს დადი-ანის სიტყვები და შემდეგ ცოტაზე ჩავიაროთ, თუ გინდა, სამეუფო ხეივნისაკენ. ყველა იქ არის მოთავსებული თავი-სებურის გამოჩინებით... შემდეგ, გნებავთ, ამათ დავეწიოთ, გნებავთ თამარს ვეახლოთ, მის ამალაში გავერიოთ...

კუზმას ეს აზრი ძლიერ მოეწონა. მყის გაიფიქრა: თამა-რთან ნანულისაც მოვკრავ თვალს, შეიძლება ერთადაც ვიმ-გზავროთ, თუ ეს შესაძლებელია და რაიმე წესს არ დავარ-ღვევო.

კარგა ხანი იყო, ნანული აღარ ენახა. უკანასკნელად, სიონის ტაძარში, სადაც ოსთ-ბატონიშვილის გარდაცვალების გამო პანაშვიდი იყო გადახდილი. აქამდი რა ექნა, თორე თავს ძლივს იკავებდა და ეხლა კი ამ სურვილმორეულმა ვერ მოითმინა და...

შარაგანს დიდად შეეჭვდა — მომიხერხე ქალაქისაკენ, ჩვეით ჩავლაო...

შარაგანმა თანხმობით თავი დაუქნია. შეწყვეტილი გან-მარტება განუგრძო:

— ამდენი ლაშქარიო, რომ ამბობ, აქ მხოლოდ ჭმთავ-რესი საერისთავოების, ოთხი სადროშოს, მხოლოდ ნაწილი წარმოდგენილი...

— მაშ, ადგილობრივ კიდევ დარჩა ნაწილი? — მაინც გა-იკვირვა კუზმამ.

— რამდენიც გნებავს! ლაშქარი ერისთავებსა ჰყავთ, მა-თი ყმა და საპატრონო ლაშქრობს; და ისიც ლაშქრად მა-

შინ დგება, როცა საჭიროა. ისე კი, ისეთი ლაშქრის წევრი უბრალო მცხოვრებია ქვეყნისა, თავისი გარჯით და შრომით არსებული, და ეს ყველა თავის სახლშია ამ ჟამად. შეიძლება მათი დიდი ნაწილი ისე იყოს წამოსული მცხეთას, საზეიმოდ და სადღესასწაულოდ. აი, მცხეთაში ბევრს ნახავ.., მუდმივი და სახელმწიფოს ხარჯზე მცხოვრები ჯარი კი, როგორც იცი, როქის სპა, ჩვენიანების — ყივჩაყებისაგან შესდგება...

— მართლა, ყივჩაყებს ვერა ვხედავ, სადღა არიან?

— ნაწილი თავის ალაგას, სადაც იყვნენ, ზოგიც სხვადასხვა საერისთავოებში სამეფო ციხეებს სდარაჯობენ. ზოგიც სახელმწიფოს საზღვრებს დაცგზავნეთ. უდიდესი ნაწილი კი, გვიბრძანეს და ტფილისს და მცხეთას კარგა მოშორებით გარშემოვარტყით. ისე, რომ ეს შემორტყმა მომსვლელთათვის არც კი სჩანს... რაო? შიშიო? დიაღ! „სიფრთხილეს თავი არ სტკივა". კარგი ანდაზა აქვთ ქართველებს. მერმე, იცი? ხმები მოვიდა, ადარბადაგანის სულტანი, ყიზ-არსლანი, ომს უპირებს საქართველოსაო... ამ ამბავს ისიც მოწმობს, რომ არც მას და არც მის ძმისწულს, აბუბეჭრს, დღევანდელ ზეიმზე, თვითონ ხომ არ მოსულან, არც არავინ წარმოუგზავნიათ... აბუბეჭრიც თავის ქვეყანაში ძალიან გავლენიან და შემძლე ბატონიშვილად ითვლება... მართალია, ეს კიდევ არ ნიშნავს საომარ გუნებაზე დადგომას, ისინი მუდამ მტრები იყვნენ საქართველოსი, მაგრამ ზრდილობით მაინც შეეძლოთ თავისი პატივისცემა აღენიშნათ, თუ უნდოდათ მოყვრული პირი ეჩვენებინათ საქართველოსათვის. ადარბადაგანი ხომ თითქმის ზედ აკრავს საქართველოს საზღვარს, აი, ხლათის სულტანი, ჯრც ის არის დიდი მოყვარე ქართველებისა, მაგრამ მაინც კაცი მოუგზავნია. მე არ მინახავს, მაგრამ ჩავიცლით და გავიგებთ.

— აი, თურმე რა ყოფილა!.. — თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა კუზმამ.

— ეხლა კიდევ მთიულეთისაკენ... ოვსთა ბატონიშვილებს შემოსევაა საფიქრელი... ხომ გაიგე, რა გულნაწყენები წავიდნენ. ერთი მათგანიც ხომ ეხლახან გარდაიცვალა!.. წარმოიდგინე რა გუნებაზედაც იქმნებიან...

კუზმას თვალები აუციმციმდა.

— მაშ, ომი აუცილებლივ იქნება ან ერთის, ან მეორის მხრივ?..

შარაგანი იღიმებოდა:

— ჰაი, თუ გაიღვიძა ძველმა მეომარმა!.. ჰა, მკლავზე როგორა ხარ, კუზმა?..

— რა ვიცი... მე მგონი ერთ-ორს მოვერევი...

ორივეს გაეცინა.

შარაგანმა ერთხელ კიდევ აავლო თვალი უბაგირო საფუძვლიანად ჩამჯდარ კუზმას და დარწმუნდა, რომ კუზმას თავი დაიმდაბლა.

დადიანს სიტყვა გაეთავებინა.

კუზმა და შარაგანი ეახლნენ დადიანს და ნება გამოსთხოვეს კუზმასთვის პატივი ეცა და თამარის ამალაში მოექცია.

ესეთი განცხადება ცოტათი არღვევდა წეს-რიგს, მაგრამ საპატიო კაცს დადიანმა თანხმობა არ დაუყოვნა, მხოლოდ შარაგანი გააფრთხილა, რომ სასახლეში ჭიაბერს აცნობეთ და ის მიგიჩენთ შესაფერ ადგილსაო.

გახარებულმა კუზმამ ნუშის ხეივნისკენ აცხენს პირი უბრუნა. შარაგანი გვერდით მიჰყვა.

დადიანმა კი იური გაიწვია და კლარჯ-მესხთა რაზმს ქართული ჯარის მუდმივ მოწინავეს, თავს დაუყენა.

ჯარმა საომარი სიმღერა შემოსძახა.

ოთხსავ სადროშოს რაზმებზე გადამდინარდა ხმები ზვიადი, იერიშის მიმტანი და უდრეკელი.

ხმებში მხოლოდ გამარჯვება ეწერა.

ჰაერი თითქო დიდუბიდან ავჭალამდე გაივსო გამარჯვების გრიალით.

ამ სიმღერის დროს, დადიანმა ანიშნა და იურის მოართვეს უჯარმას საჭურჭლეთ საწყობიდან გამოღებული ვახტანგ გორგასლისეული მშვილდ-ისარი.

მშვილდი მთლივ ოქროსი იყო პატიოსან თვალთაგან შეთხზული. თავსა და ბოლოში, მოკაუჭებულ პირებზე ერთზე ლომის სახე იყო ოქროთივე გამოქანდაკებული და მეორეზე — მგელი.

გორგასალის გამომსახველი.

ზედ ისეთი ლარი ება მოზვერის ლართას ძარღვთაგან შეგ-

რეხილი და შემდეგ შეფისული, რომ მის მოწევას რვა ფუთის ამწევი ღონე სჭირდებოდა.

ისარი მთლიან ფოლადისაგან იყო ჩამოსხმული; წამახვილებული და ბასრი.

იური კინაღამ გაგიჟდა სიხარულით, ბავშვივით რიღაცის რუსულად ჭყლოპინი მორთო.

დადიანმა შეატყო, რომ იურის ეხლავ უნდოდა ეცადნა ისრის გასროლა, მაგრამ ზრდილობიანის ნიშნებით შეაყენა და მხარზე კვლავ ვახტანგისეული კაპარჭი ჩამოჰკიდა.

კაპარჭი, ცაცხვის ოთხი თხელი ფიცრისაგან იყო შეკრული, ძროში და კუთხეებში სპილენძის სალტეები ჰქონდა შემოჭირებული, რომ ისრებს ბუდე არ გაეწგრიათ და არ გაჰპაროდნენ. გარედან ხავერდისებური, გამოუხუნებული რაღაც ქსოვილი იყო შემოკრული, რომელზედაც ვერცხლის სირმით ამოქარგული იყო ვახტანგის მიერ ბაყათარ ოსის დამარცხება.

იურის ეს ბუდეც დიდად მოეწონა, მაგრამ ხელი მაინც მშვილდისკენ გაუცურდა, დრო შეურჩია დადიანს და მარტო ხელით ლარი ისე მოზიდა, რომ მშვილდის ტარმა იწყო დრეკა.

ახლო მყოფმა ბოცო ჯაყელმა დიდად მოუწონა ასეთი ღონივრობა. ეს უსიტყვოდაც გაიგო იურიმ. უცებ მოხედულმა დადიანმაც დატუქსვის მაგივრად ამ ჟამად გამამხნევებელი ღიმილით მიმართა და ჯარს ხომ ელვასავით მოედო ეს ამბავი. რაზმიდან რაზმში გადადიოდა. მოწინავე უკანს გადასცემდა: სასიძო უფლისწულმა გორგასალისეული მშვილდი მოზიდა, ხელში რვა ფუთის ღონე ჰქონიაო.

სიმღერა შეწყდა.

ეხლა ჰაწია საყვირებმა, ზროხაკუდებმა, ასტეხეს თავიანთი ყივილი.

მათი გაგონება არ იყო შესაზარი.

მხოლოდ უცნაურ ჩიტის ყივილს ჰგავდა და გამფრთხობელი იყო, ნიშანის მიმცემი.

ეგრეც მოხდა:

იური-გიორგის გვერდით ყოვლისა საქართველოსი დააბეს დროშა სვიანად ხმარებული.

და მის წინ მწყობრად იწყო დენა ჯერ ქართლის ჯარმა,

რომელს მამაცურად გაუძღვა ქართლის ამირა აბულ-ასანი ქართლისავე სასახლეტო დროშით და ალამით, და რომლის ბოლოც დაამშვენა ლიხთ-იმერით ქართლის ერისთავმა, რატი სურამელმა თავის დარბაისლური და ვაჟკაცური შესახედაობით. ამათ მიჰყვნენ სხვა სადროშონი და თითქო არა ჰქონდა დასასრული ამ აბჯარ-მოსილთა დენას.

ტფილისის მიდამოებზე გამოფენილი ხალხი, მათი შეხედვარე ამბობდა — ბევრის ბევრია, უშტის უშტიო.

ძლივს გასცილდა ლაშქარი დედაქალაქს, რომ იურის წინ გაჩნდნენ მაგარ მკერდიან რაშებზე შემსხდარნი, ჩაწკრიებული ტაძრულნი.

ზროხაკუდებმა შესწყვიტეს ყივილი.

და მოისმა ქალაქიდან ზარების რეკა, დიდუბის ტაძარმა ხმა მისცა, ზედაზენმა შეპასუხა, ჯვარის საყდარი აწკრიალდა და მცხეთის დიდმა სამრეკლომ გრიალითა და გუგუნით გადაიტანა ხერბებში ხმის ფერადები:

კათალიკოს-პატრიარქი ქალაქიდან გამოდიოდა.

ტაძრეული მისი ჯარი იყო ბიზანტიურ ჯვაროსნულად მორთული და შეიარაღებული.

უფლისწულს რომ კათალიკოსმა გვერდი ჩამოუარა, დაბმული დროშა აამაღლაურა ახოვანმა და მაგარ-მკლავებიანმა მედროშემ ფარჯანიანმა.

კათალიკოსმა ამის პასუხად ჯვარი გადასახა იქ მყოფთ და დროშას მანაც თავდახრით გვერდით ჩაუარა.

მხოლოდ ამის შემდეგ დაიძრა დროშის წინ წამძღოლით სამეფო, უფლისწული, მსახურთ-უხუცესი და სხვა ერისთავები უმთავრეს საერისთაოთა, გარდა კახაბერისა, რომელიც, როგორც მამობილი, თამარს უნდა ხლებოდა.

ამავე დროს, თითქო მიწიდან ამოძვრენო, გარს შემოეტყნენ დიდებულებს ცქვიტ ცხენებს შემსხდარი ოდიშარნი და დასძახეს მხიარული, ლალათ მოწკრიალე მაყრული.

ამათ შემდეგ დაიძრა ქარავანი ჯორ-კიდებულთა.

ქალაქისკენ შებრუნებული კუზმა და შარაგანი გვერდს ვერ უქცევდნენ. ისე გაავსეს ნუშის ცოტა მომცრო ხეივანი, თითქო ცხვრის ფარას მოერეკებიანო.

ბოლოც ვაშ არ უჩანდა.

კუზმა ჭაბუკივით ყოველივეს გულისხმიერებდა:

— ამით რა მიაქვთ?

— პერპერა ოქროსი და დინარი ვერცხლისა, თვალნი პატიოსანნი და მარგალიტი გახაჩუქებლად და დასარიგებლად. ცხადია, ზმალამიდან დაწყებული, ამ დღეებში იქნება ძღვნობანი და ნიჭებანი უხვი და უსაზღვრო.

კუზმა იმდენს ეცადა, შარაგანს აკითხვინა ქარავნის ერთერთ მხლეს და იმან მოახსენა, ამ ქარავანში სულ ცოტა, სამი ათასამდე ჯორი იქნებაო, ჯორებს მიჰყვა უამრავი აქლემები და აქლემებს კიდევ ორმოცამდე სპილო დატვირთული და დაბარგული სხვა საქონლით და ძვირფასეულით.

ეხლა გზა უფრო ხსნილი იყო და კუზმას და შარაგანს უფრო ადვილად შეეძლოთ სასახლეს მიახლოვებოდნენ.

აგერ უცხო სტუმრები. ხვივნის იქით-აქეთ გვერდებზე მიუჩენიათ შათთვის ადგილი და უცდიან თავიანთ რიგსა.

შარაგანი უხსნის კუზმას მათ ვინაობას, სადაურობას:

— ეს ერზინკის მთავარია სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს მიჯნისა. თვით თამარის მეოხებით აღვიდა ტახტზე... კარგი მეგობარია დადიანისა.

ცოტა ჩაიარეს.

— ეს შაერმანი, მცირე სომხეთის მეფე. ჭკვიანი კაცია, მაგრამ მეტად დაუნდობელია. ჩვენი სახელმწიფოსთვის მაინც. ვერ გაიგებ, როდის გმტრობს და როდის გმოყვრობს. არასოდეს ჩვენთან ღმი არა ჰქონია და ყველა ჩვენს საწინააღმდეგო თავდასხმაში იდუმალ მონაწილეობას კი იღებს. გავუგეთ და რამდენჯერ გვინდოდა ავვეკლო, ხმირად მივდგომივართ მისი სამფლობელოს საზღვარს ბასიანამდის, მაგრამ ყოველთვის თამარის ბრძანებით შევჩერდებოდით. ეხლა-კი მხარგრძელების საშუალებით, მგონი, მართლაც სრულიად მოიმხრო. ესა?.. ჰო, ეს ხლათის სულტანის წარმომადგენელია. აკი გითხარი არის-მეთქი ჩამოსული, სხვა არა ვიცი რა მაგისი.

ცოტა კიდევ გასცდნენ:

— ეს შარვანელი, სკანდიერ-ალ-მულქი... ჰოო? იცნობ მაშ?.. გვერდით ვინ უდგას? ნუთუ აქამდე არ გაგიცვნია. ახალგაზრდა ფილოსოფოსი და მგოსანია ჩახრუხაისძე უმრწვენესი. ასე ეძახიან, რადგან ჩახრუხაისძე უფროსიც არის...

ცოტა გაიხუმრა შარაგანმა.

— ის უფროსი? ჰოო... ამ ჟამად საქართველოში არ იმყოფება... ესენი სხვადასხვა, პატარ-პატარა სამთავროებია... ეგ ხვარეზმის წარმომადგენელია, ამბობენ ერთ დროს მაგათ მეფესაც ხელით უნდოდა თამარის შეუღლებაო. — საკვირველია, რომ დესპანი გამოუგზავნიათ, რადგან ეხლა მათ სახელმწიფოში დიდი, ძმათა მმუსვრელი ომია გაჩაღებული. უთუოდ სხვა მიზეზიც ექნება სარჩულად მაგის ჩამოსვლასა... ეს კიდევ ერაყის წარმომადგენელია. ესეც... ჰოო, ყარამანიიდან არის, საცა თამარის მამიდა რუსუდანი იყო გათხოვილი... ესა? ოო, ეს დიდი კაცია... უზბეგი, ზოგი ამირ-მირანსაც ეძახის. ეგ არის ყიზ-არსლანის ერთ-ერთი მემკვიდრე და ცნობილი აბუბექრის ძმა. ეგ ამ ჟამად შარვანშაა დამოყვრებია... არ ვიცი! მგონი დაჲ შეურთავს მისი... ხედავ, რა დიდი ამალით მოსულა და რა გამოჩინებით... ამბობენ, დიდი ძღვენი მოიტანა, ფასდაუდები და, სხვათა შორის, თამარს ლომის ბოკვერიც მოართვაო...

— მართლა?.. ეგ კი უცნაურია... რა უნდა უყოს მერე ლომის ბოკვერს, რომ წამოიზრდება?

— ნუ გეშინია! თამარმა იცის მხეცების მოვლაც... მისი ბაღი არ გინახავს? ოო, შესამჩნევი რამ არის... სავსეა სხვადასხვა ცხოველებით და საოცარი ის არის, რომ თვითონ უვლის ხოლმე, მაგრამ რაღა თქმა უნდა, უფრო ფრინველები უყვარს... ერთი ჩიტი ჰყავს, უცნაური რაღაც მშვენიერებაა. გარიელას ეძახის, მეტად კარგი სანახავია...

ჩიტის ხსენება კუზმას მოეწონა. ნანულიზე შეუვარდა ფიქრი და გულმა აჩქარებით უწყო ცემა. ცხენსაც ცოტა გაუჩქარა, მაგრამ მყისვე უკან ჩამორჩენილ შარაგანს მოუბრუნდა და ასე მიმართა:

— შარაგან!.. ამათ რომ ვუყურებ, გული მწყდება... ნუთუ ისე ავად არის ჩემი ძვირფასი მეგობარი და მწყალობელი მეფე ყივჩაყისა, რომ ვერ ჩამოვიდა?.. რომ მოვდიოდი, სულ იმას გვპირდებოდა — იურის ქორწილზე უსათუოდ ჩამოვალო.

— სარწმუნო იყავ, მეგობარო, რომ ფრიად საწყენია მისი ჩამოუსვლელობა, მაგას ქონდა დიდი მნიშვნელობა... მაგრამ... აი, ჯვრის წერაზე უთუოდ გვეწვევა, დღეს ხომ მხოლოდ დაწინდვაა...

ორმაგულად დაათავა შარაგანმა.

დაწინდვის გახსენებამ კუზმას ცოტა გული აუმღვრია, მაგრამ არ შეიმჩნია. წარმოსთქვა:

— საჩუქრები კი ბლომად გამოუგზავნიაო, ამბობენ...

— რასაკვირველია! — დაუმოწმა შარაგანმა და იმავე დროს გვერდით მიახედა. — როგორ მოგწონს, ხომ საუცხოვოა?.. ეგ ინდოთ მეფის დესპანია... მუდმივაც აქ იმყოფება საქართველოში და ჩვენი დიდი მეგობარია... ეხლა კი, თითქო სულ ალმასებშია ჩასმული. რა მდიდარი ქვეყანაა ეს ინდოეთი, ა? როგორი მოხდენილი ამალა ახლავს და ეს ქანგის ფერიც როგორ უხდება მათ თეთრ სამოსელს, ან თუნდ ამ აბჯროსნებს... ესენი ხომ ხატაველებია, ანუ ჩინელები... ჩინ-მაჩინიდან ხალხი იყოო, იტყვიან ზოგჯერ ქართველები... ესენი ეხლა ჩამოსულან, ეტყობა... თვალებდაწკურული, მუდამ მომღიმარი, ალერსიანი. ვერ გამოიცნობ რა უნდათ, რას მიესწრაფიან, რა სიბრძნე უმარხიათ გულში. მოუშვიათ ჭალური ნაწნავები, ჩაუცვამთ სქელ ოქრო ნემსეულის ხალათები და იტყვი ამის მეტი არა გააჩნიათ-რაო, მაგრამ ნამდვილი ჯადოსანები არიან: უეცრად ამ ხალათიდან უცნაურ ქსოვილებს ამოალაგებს, ფაიფურის საოცარ თასებს, ზედ ღრიანკალი რომ არის მოხატული, აბრეშუმის შულოებს, თვალთა პატიოსანთა, სახელმწიფოებს რომ იყიდის, ისეთი ფასისას... ესენი არ ვიცი... საპატიო სტუმრები მაინც იქნებიან, ზანჭან ზორაბაბელის მეგობრები, მაგრამ მე უფრო ხშირად ესეთი თვალთმაქცები მინახავს...

ჯიდევ წინ წაიწია.

— ესეც შენი რომი... მაინც დიდი ხალხია, ძმაო! ხომ დაკნინდნენ და დანაწილდნენ, მაინც მაგათ შეხედვაზე თაკი მოგწონს კაცს, რომ შენც ადამიანი ხარ... შენ შუბლი გასინჯე. შუბლი... ავერ კიდევ, ესეც რომის წარმომადგენელია, პაპია ნუნცი... რა ვქნა, არ მიყვარს ეგ ხალხი, მაგრამ მაგასაც დაკვირდი რამდენი მაღალ ადამიანური იერი აქვს და რამდენი ცხოვრების სიბრძნე შესდგამს მის სახეს...

უეცრად შეწყვიტა. შემდეგ თითქმის ჩურჩულით განაგრძო:

— ჰო, ჰო, ჰო! მართლა რა გადაპრეხილი ხალხია ეს ბიზანტიელები! რა ჩაუდენიათ, მთელი თავისი სიმდიდრე თი-

თქო აქ მოუტანიათო!.. გამოჩვენებაა, სახიობა, თუ რა? რა აცვიათ, რა ახურავთ? ან თავი როგორ უჭირავთ, თითქო არავის ყადრულობენო... ძლივს თავს იბრუნებენ, ძლივს ლაპარაკობენ... მოღლილი თვალები, მოდუნებული სხეული... არა, ეს ხალხი დაიღუპება...

— ეს რალა ამბავია? — შეაწყვეტინა კუზმამ, — გადავდგეთ, გადავდგეთ, თორემ წაგვლეკავენ...

რომაულ პატარა ეტლებს ოთხ-ოთხი რაში ება და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მიაქანებდნენ გლადიატორებათ ჩაცმული ვაჟკაცები. ამათ მოსდევდა ცხენით, ზოგიც ქვეითად ორასამდე ქალი და ვაჟი უცნაურად ჩაცმული და მოკაზმული, ზოგიც ნახევრად ტიტველი, ზოგიც სხვადასხვა ცხოველთა ნიღაბჩამოცმული, ზოგიც წმინდანებათა და ანგელოსებათ წარმოდგენილნი.

— ყველა ამათ ჩაიარეს ხრიალით, ყიჟინით და ხორხორით.

კუზმას მაინც დასჭირდა ახსნა, რომ ესენი ჯამბაზები, მუშაითნი და მსახიობნი იყვნენ. ამის შემდეგ შარაგანმა კუზმა გააფრთხილა — გზას დაშურებოდნენ, თორემ უკვე, ცადია მალე პირიმზეც გამობრძანდება და რიგში არავინ შეგვიშვებსო.

კუზმასაც ეს უნდოდა და რამდენადაც შეიძლებოდა იმ შეკრებულებაში ცხენის აჩქარება, იმდენადაც აუჩქარა მან.

ორ წყებად, თითო კაცზე კვლავ გამომწკრივდნენ ტაძრეულნი უკვე მეფის სასახლისა, შუა ჩაიყენეს უცხო ქვეყნელი სტუმრები; ნიშანი მისცეს და დასძრეს მცხეთისაკენ.

ცხენოსანი მესაკრავენი თან ახლდა ამ მწყობრს და რამდენსამე ალაგას, მათ შუა ჩამდგარი, მზად ულხენდნენ მათ სასნეულსა.

ის იყო კუზმა და შარაგანიც მივიდნენ სასახლესთან. რომ ფართოდ გაღებული ჭიშკრიდან იწყო დენა საომრად აბჯარმოსილმა ქალთა რაზმმა.

ეხლა-კი კუზმას მართლა გაუშტერდა თვალები, ამისთანა რამ, ჯერ აქამომდე, არც საქართველოში ენახა.

ან სად იყვნენ აქამდის? სად იმალებოდნენ? რატომ არავინ არ იცოდა მათი არსებობა?

კუზმას გაჭირვების ტალკვესს, შარაგანსაც არა სცოდნოდა

ქალთა რაზმის არაფერი. მხოლოდ ხმები მიმოქრიდა, ეს კი თქვა და თვითაც თვალი მოაშტერა ამ უცხო გუნდს:

ვეშაპის ტყავის თეთრ-ფარებიანი, ლურჯად შეღებილ წვრილთვალა გადაცმული, თეთრი სპილენძის მსუბუქი მუზარადებით, ვერცხლით მოჭედილი მარჯვე და სწორი დამნისებური მახვილებით, მომცრო შვილდ-ისარ-კაპარჭებით. ლურჯი შალვრებით და თეთრ სამოგვეებში გამოწყობილნი, ფიცხ და სწრაფ, უწინწო თეთრ ტაიჭზე ამხედრებულნი, შვენოდნენ ასულნი ივერიისა.

შარავანა გაახარებდა, კუზმასაც გაუხარია:

— კარგა ხანია მას აქეთ. ვიღრე მეფის დროს, ერთხელ თამარმა როგორღაც ბრძანა: „3000 წლის წინად, ეგვიპტეში ქალაქ ბუბასტიკს, ბანაკი ყო, საცა ვაჟებსა და ქალებს საომარ ხელოვნებას ასწავლიდნენ: მოიხრობა, შურდულით ქვის გასროლა იყო მათი სასწავლო საგანი და სახელმწიფოს დამცველს რაზმს მათგან ადგენდნენ, მშვილდ-ისრით ვარჯიშობა ქალს სიმრთელეს და ძალღონეს ჰმატებს, ამიტომ შთამომავლობაც კარგი დგებაო“, ბრძანა და ჩაფიქრდა. ყველას ჩვენ გვეგონა თამარი მაშინვე შეუდგებოდა ესეთი რაზმის შედგენას, მაგრამ დღემდე არავის არაფერი გაგვიგია... არა, მართლა გასაოცარი ქალია! როდის, სად, რანაირად?

— საუცხოო სანახავია!.. — თითქო თავის თავს დაუდასტურაო კუზმამ, — რა კისკასნი არიან, რა მარჯვე... მე მწამს, რომ მაგათ ომშიც მართლა შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ... მარტო სანახაობისათვის არ დაარაზმულან... სულ რამდენი იქნება, ნეტა?

— ძნელი სათქმელია... რაც აქ დავინახეთ, ბევრია.

— როგორ, ბევრია.

— ისე... ქართული ბევრი.

— ჰოო! — მიუხვდა კუზმა. ეს შესატყვისობა უკვე იცოდა.

იმავე დროს მტკვარს გალმა-გამოღმა კოცონები აინთო.

დღე-ღამეს ის იყო ეყრებოდა და კოცონთ ცეცხლი თვალს უსალმუნებდა.

სასახლის ეზოშიაც გაჩაღდა სატარებელი. ჩირაღდნები.

თამარს ფორაჯებიანი ლურჯა ცხენი მოართვეს. იქვე იდგა ერთი თეთრი სპილო, ლამაზ კოშკწამოდგმული. ამბობდნენ, რომ ინდოთ მეფემ საგანგებოდ ამ დღისთვის გამოუ-

გზავნა თამარისაო, მაგრამ მას სპილო აბულ-ასახის ძეულღეს უტანდარს დაუთმო და თვით კი მისი საყვარელი ტაიჭი აირჩიაო.

მართლაც, სპილოს კოშკზე უტანდარი ავიდა და ორი მოახლე აიყოლია.

რუსუდან დედოფალი ხუფგადახდილ კუბოში ჩასვეს, რომელსაც ოთხი ღონიერი მალიად-მსრბოლი ვაჟკაცი შეუდგა და რომელსაც თან ეახლა კახაბერი თავისი ამალით.

თამარი უკვე ცხენზე იყო. არც სიმღერა, არც მუსიკა, არც საზეიმო წესი.

ამაზედაც იქ მყოფნი ერთი მეორეს ჩურჩულით გადასცემდნენ: თვითონ ასე ინებაო.

მხოლოდ, როგორც კი სასახლის ჭიშკრიდან გამოვიდა, ქუჩებში მოზღვავებულმა ხალხმა, არ იყო მიღებული, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და დაიგრიალა:

— დღეგრძელდეს თამარი, პირი-მზე ჩვენი!

გაჰყვნენ ხეივანს.

აღტაცება გადამდები შეიქმნა და წყლის ორივ პირას ასეთი გუგუნი არ შეწყვეტილა.

დიდუბეს რომ მიუახლოვდნენ, იქ, საცა ერთი-ორი საათის წინ ლაშქარმა სარდლად მიიღო იური-გიორგი, მთელი ქალაქი იყო გაშენებული: სახელდახელოდ წამომდგარი ყუდეები, ფანჩატურები, თალარები, ზოგანაც ღია ცის ქვეშ დანთებული კერა, გაჩაღებული ცეცხლი. იკვლება საქონელი, იხარშება, იწვება; ცხვება ხმიადი, გომიჯები პატარ-პატარა კეცებზე, გადმოდის ღვინო თხიერიდან. ჟრიამული, სიცილი, მღერა და უცბად, თითქო ერთმა ხელმა დაიქნიაო: გაფრთხილება, რომ მეფე მობრძანდება, სიჩუმე. მთელი ყურადღების მიპყრობა მეფის გზისაკენ და უეცრად კვლავ თავ-შეუკავებელი:

— დღეგრძელდეს პირი-მზე!

— იცოცხლოს თამარმა!

გუგუნი ხალხის.

და ასე სულ. ბოლო არ ეღება.

თამარმა იკითხა. მოახსენეს:

— საოცარი რამ გახლავთ, მეფეო! მცხეთის ირგვლივ ადგილი აღარ არის, თურმე, ფეხმოსადგმელი, ოთხივ-კუთ-

ზივ ასეა ხალხი გაშლილი, ველარ ეტევა და აღმოსავლეთით თუ აქამდე უწევს, ჩრდილოეთით წიწამურამდე მიდის, არმაზისკენ-კი, თითქმის ჩოჩეთამდე გადისო. ხალხი მაინც თანდათან ემატებაო, ყოველმხრიდანო.

ამის გაგონებაზე თამარმა ზეაიხედა და გულს ჩაიფიქრა:

„ნეტა, ხალხს განსაცდელი არა შეემთხვეს რაო“.

კოცონების სინათლე თანდათან ძლიერდებოდა, იგი უკვე იპყრობდა დღის სადარაჯოს და მოწოლილ წყვდიადს თითქოს აქარწყლებდა მგზავრთა წინაშე.

ავჭალას ერთი ნაქვთი გამოეყო დამხვდურ ხალხს, თაიდიხრით წინ გაუშვა მეფე და დიდებულნი და შეუერთდა ამ ჯგუფს, საცა ახალგაზრდა მგოსნები და ფილოსოფოსები მიმავლობდნენ.

ეს იყო ჩახრუხაისძე უმრწემესი. ალ-მულქს მხოლოდ აქ ჩამოშორებოდა, რომ თავისიანებს გაჰყოლიყო.

სიყვარულით მოკითხვის შემდეგ, ერთ მის გვერდზე მომავალ ვაჟკაცს ყურში გადაუწვდინა:

— შეხედე, საქართველოს ცა თითქო სირცხვილისაგან იწვისო!

ვაჟკაცმა ზეაიხედა. მართლაც, წითელი ზეწარი გაჰკროდა ჰაერს. გაუკვირდა, ამას რათ ამბობს ჩახრუხაისძეო, მაგრამ გაახსენდა, რომ ეგ რუსის მოწინააღმდეგე ბანაკის იყო და მიუხვდა ფარულ აზრსა.

არ შედრკა, მან თავისი მიაგება:

— შენ კი ამას გაჰხედე, რამხელა ქალაქი გაიჭიმა ტფილისიდან აქამომდე. ამბობენ მცხეთამდე სულ ასე არისო. გონებაში მეხატება: ძველი სამეუფო და ეხლანდელი სატახტო ქალაქი ერთი მეორეს ძმურად გადაეხვივნენ ამ მათ შორის მოზღვავებულ ხალხის გაერთიანებით და კოცონთა მოელვარე ცოცხალ თვალების საშუალებით. შენ გაღმაც გაჰხედე, რა ამბავია: მთელი ეს დიღვამის მისადევარი და ძველი სარკინეთის ცხვირი, ქიმად რომ მოსჩანს, თითქო მართლა ერთ დიდ ქალაქად ქცეულაო...

ჩახრუხაისძემ გაიხედა. სხვებმაც მოჰკრეს ყური ამ სიტყვებს და, ისედაც დიდის სანახაობით მოხიბლულნი, უფრო გაგულისხმიერდნენ.

— ყოველივე კარგათ ბრძანე, — მიუბრუნდა ჩახრუხაისძე

ძე მოსაუბრეს, ხოლო ამ სანახაობას, თუ მე მკითხავთ, წარ-
ნასწარმეტყველური ძალაც შესწევს. მე არ მინახავს ესეთი
დიდი ქალაქი, ვეჭობ ბაღდადი და თუნდა რომიც ესე ოდენ
განზიდული იყოს, ხოლო ჩემთვის ცხადია, მცხეთამდე გაჭი-
მული ეს უცებური და ზღაპრული ქალაქი, საუკუნოებს ემუ-
ქრება — ვერ გამაკვირვებ, თუ ოდესმე გაშენდიო!

ზოგს გაეცინა, მაგრამ მყისვე თავი შეიმაგრა, უზრდე-
ლობა ხომ არ მომხვიდაო, ზოგმა ვერაფერი ვერ გაიგო მეო-
ცნებე ჭაბუკისა, ზოგიც უხეირო გუნებაზე დადგა... რას
იტყვისო! და ასტყდა საეჭვო ჩურჩული, ხოლო, როდესაც ეს
ამბავი გადასცეს წინა რიგში მიმავალს ერთს მხცოვან მწე-
რალსა, მან წარბებზე ხელი გადაისვა, თითქო აზრი მოიკ-
რიფაო, და შემდეგ წარმოსთქვა:

— ვაჟი არს ჰაზრმაღალი და ლექსთამკონი ზვიადური.
იგი ისე არა ჰგონებს, ვითარ ჩვენ. მას სულ სხვაგვარ ესახ-
ვის მომავალიც და თქვენც ამან შეგაცბუნათ. დამიძახეთ
აქა!

ჩახრუხაისძეს სთხოვეს. მან ცხენს აუჩქარა და მხცოვა-
ნის გვერდით გაჩნდა. მათ შორის მხიარული და მეგობრუ-
ლი საუბარი გაიბა და ამან უკვე სრულიად გაჰფანტა ერთ-
წუთას ჩახრუხაისძისადმი შექმნილი მის თანამოკალმეთა ცუ-
დი განწყობილება.

— როდისღა უნდა ჩავიდეთ? — ზარმაცად და თითქ-
ცოტა დაყვედრებითაც იკითხა ბიზანტიელმა დესპანმა. — კი-
დევ შორს არის?.. — და მოიხედა იქითკენ, საითაც ქართვე-
ლი საპატიო გამყოლი ეგულებოდა.

მყისვე მის წინ გაჩნდა გუზანის ვაჟი ცვატა და, რომ გა-
იგო ბიზანტიელს რაც აწუხებდა, მშვენიერის ბერძნულით
ასე უპასუხა:

— აი, მოვედით კიდეც! ხედავთ გორაკს, ცეცხლის ღი-
ლები რომ გამოსხმია?.. ეგ გახლავთ ჯვარის საყუდარი და
აი, იმის გაღმა, ცოტას წავიწევთ და თვით მცხეთის ქალაქიც
გამოჩნდება.

— აჰა... გეთაყვა, ეს მითხარით, მცხეთაში შესვლის დროს,
ჩვენ პომპეუსის ხიდზე გავივლით, არა?

— არა! რადა? ხიდი სამი სხვაც გახლავთ. ჩვენთვის უფ-
რო დასამხრობი ჩრდილოეთით, არაგვის ხიდი იქნება.

— ვწუხვარ!.. მინდოდა მენახა პომპეუსის ხიდი...

— ამაღამ არ გეცლებათ და ცვალ კი, ზეიმს მოვრჩებით თუ არა, განახვებთ, საპატიო ბატონო.

ამალამ უკვე მოუხვია ჯვარის საყუდარს.

ბიზანტიელმა ეხლა მისიანს ყურში ნელა ჩაულაპარაკა:

— დავიღალე მეტად... მომაბეზრა თავი ამ გუგუნმა. მაინც რამდენი ხალხია, სად მოურეკნიათ?

— ხალხი ვითა სკა ფუტკართა და ბუდე ჭინჭველათა... — უპასუხა მისიანმა, მაგრამ ვერ გაათავა, დესპანმა თავის გაკვირვებით ალაპ აცალა:

— დავიჯერო, ეს სულ ქართველებია? მე ვხედავ აქ, ამ ხალხში, სახეებს ეგვიპტელებისას, არაბებისას, სპარსელებისს და ებრაელებისას...

— მართალია, მაგრამ ქართველობა დიდძალი გახლავთ. აქეთ რომ მოვდიოდით, აკი გზაში მოგახსენებდით, იველია თქვენ არ გინახავთ და... სახუმრო ხალხი არ გახლავთ-მეთქი, არც რაზმდენობით, არც თავიანთი წესწყობილობით, არც საომარი ძალღონით: ალნაგობით და სიმდიდრით თუ როგორც არიან, მგონი, საკმაოდ დარწმუნდით მგზავრობის დროს.

დესპანი რაღაცას ჩაუფიქრდა. შემდეგ მოდუნებით გაიზმუვლა:

— მმ... მგონი-მეშვიდე ჟამი იყო, ტფილისიდან რომ დავიძარით... რამდენი ხანი მოუნდით გზას? ყმაწვილო, თქვენ არ იცით?

კითხვა ცვატასადმი იყო მიმართული.

— მე მგონი, სამი საათი დავყავით გზაში...

— ბევრი ხანი მოვდომებართ... მანძილი დიდი არ უნდა იყოს... მმ... იმდენი აქლემები, სპილოები და ჯორები წაგვიმძღვარეთ, რომ...

ცვატა ერთ ხანს ყალყზე შედგა, მაგრამ შემდეგ თავაზიანობით მაინც ასე უპასუხა:

— არა, საპატიო ბატონო... ისინი მცხეთაში სხვა გზით წამოვიდნენ, თორემ ჩვენ აქამდე დიდად დავბრკოლდებოდით.

— გეთაყვა, რომის იმპერატორის, ვესპასიანის ნაშენი გა-

ლავანიც არ დაგავიწყდეთ მაჩვენოთ თუ რომელია, ჰო, შენახული თუ გაქვთ?..

— შენახული საიდან ექნებათ, — გამოეხმაურა დესპანს მისი წელიწადელი მოსაუბრე, — მას შემდეგ მცხეთის თავზე იმდენმა ისტორიულმა გრიგალმა გადაიარა, რომ...

ცვატა შეწუხებული იყო, ამ ამბების მან ნაკლებად იცოდა, მაგრამ მოისაზრა და მართალი უპასუხა:

— განვაახლეთ, არის, როგორ არა!.. — ცვატამ რომელი იყო, ის არ იცოდა, მაგრამ გალავანი რომ იყო, და ისიც განახლებული, ეს-კი კარგად ახსოვდა.

— წარწერებიც არის ვესპასიანისა?

ეხლა კი იღუპებოდა ცვატა, მაგრამ სწრაფად მოისაზრა, რომ ის მხოლოდ დღეს იყო გზაში საპატიო. გამყოლად ბიზანტიელებთან მიჩენილი, ხვალ კი უფრო ხანდაზმულ და გარდასრულ დროთა მცოდნეებს ჩააბარებდა სტუმრებს და ამიტომ უფრო თამამად წარმოსთქვა:

— დიაღ, არის, როგორ არა!..

გულში კი დესპანზე გაბრაზებული იყო და იმუქრებოდა: თუ არ აღმოჩნდება წარწერილი, ეგეც შენ!.. ბარბაროსები ვგონივართ ამ მიხრწნილ ბერძენს! თუ რამ კარგი გვექნება, შენახვა არ გვეცოდინება თუ?! მაგრამ კარგად ვიცი, რასაც ამბობს ამითი: ვითომ ხიდიც უცხოელების გაკეთებული გაქვთ და გალავანიცაო... საკუთარი ხეირიანი არაფერი მოგეძევათო...

კიდევ უფრო აიმრიზა:

— რა ჩემი საქმე იყო ამათთან ხლება! მე იქ იულისთან მინდოდა, მაგრამ დადიანმა მიბრძანა ასე აჯობებსო და... აი, აჯობა...

დესპანი მისჩიანს ნელი ხმით განუგრძობდა:

— ზეიმი დასრულდება თუ არა, არ დაივიწყოთ ჩვენი განზრახვის მომხრეთა გამრავლება. ეს გადაწყვეტილია, ჩვენ უნდა ვისარგებლოთ იმ ძვირფასი ცნობით, რაც დღეს გავიგეთ... ეს მაგათი დაქირავებული ჯარი და ქართველი ლაშქარი ერთი მეორეს წავკიდოთ, ესე იგი, მეფე და ერისთავები. ერთი მეორეს გადავკიდოთ. კარგა უნდა გავაღრმავოთ ის, რასაც ჯერ მხოლოდ პირი მოუჩანს... ხომ მიმიხვდით?

— რაღა თქმა უნდა... ჩვენთვის არის ხელსაყრელი.

— ჰმ... დიაღ... მხოლოდ, რასაკვირველია, თქვენი სიფრთხილის იმედი მაქვს... თქვენ როგორა გგონიათ, ამ თავითვე, თვალსაჩინო ერისთავებში რომელთან უფრო შეგვეძლო კავშირი დაგვეჭირა?

— მე მგონია, ერზინკის მთავარი ამ საქმეში გამოგვადგებოდა...

— ოო, ეგ, რასაკვირველია... საერთოდ, მომიჯნავე მფლობელთა მთავრებთან აკი მუდამ ვცდილობთ კარგ განწყობილებაში ვიყოთ... მაგას კი, ერზინკის მთავარს, მე პირადად ვიცნობ... მმ... რასაკვირველია, საიმედო კაცია... თქვენ სხვა მიბრძანეთ, სხვა... დღეს ეს ამბავი ისე უეცრად შევიტყეთ, რომ...

შესწყვიტა. მესაუბრეს ჩააჩერდა, თითქო ეუბნებოდა — აბა, გიცდიო.

მესაუბრემ პასუხი ცოტა შეაგვიანა, რადგან ჰაერში წამოცვენილი ცეცხლი დაინახა, თითქო წვიმა მოდის ცეცხლისაო.

ცვატამ შეატყო ბიზანტიელებს შეშფოთება და აუხსნა:

— ახალგაზრდობა თავწაკიდებულ ისარს ჰაერში ისვრის, სრულიად უშიშარი რამ არის და თავს ირთობენო.

დესპანი პასუხს უცდიდა, მაგრამ მოპასუხე აგვიანებდა, რადგან ეხლა გულში ის უკვირდა, რომ ამ ცეცხლის წვიმაზე ხალხში არავითარი არეულობა არ მომხდარა, არც ყვირილი, არც წივილი. ჩვეულებრივ გუგუნი იყო გამდგარი, სიცილ-კისკისი და მოშორებით სხვადასხვა კუთხიდან მოისმოდა ხალისიანი სიმღერები.

გასცა პასუხი:

— ჩემის ცნობით, ტაოს ერისთავი შეიძლება გამოვიყენოთ...

— რომელია ეგ ტაოს ერისთავი? ამ დღეებში ჩვენთან იყო? ან სადმე გავიცანით?

— რა მოგახსენოთ, არ მახსოვს...

— არა, მე... ყველა ერისთავების და საქართველოს სხვა დიდ მოხელეთა სახელებიც კი ჩავიწერე, მხოლოდ ეგ არ მახსოვს...

— აი, ვკითხოთ ამ ჭაბუკს, — ცვატაზე ანიშნა.

— ყმაწვილო, ერთი ეს გვიბრძანე, თქვენ უთუოდ იცნობთ ტაოს ერისთავს...

ცვატას გაეცინა.

— რასაკვირველია! მამაა ჩემი.

— მამა თქვენი! — ბიზანტიელს გაკვირვება წასცდა.

— დიახ.

ბიზანტიელნი შეიცვალნენ. უეცრად ისეთი ზრდილობიანნი გახდნენ, ისეთი ალერსიანნი, რომ ცვატას ჭერყევი გული მოინადირეს.

უკვე მცხეთას შედიოდნენ.

ალმოსავლეთის ბურჯებთან, ფესვგამდგარ მაგარ მუხებივით, მკვიდრად იდგნენ ჯმუხა ქიზიყელები.

ამათ შუა სხვა საპატიო სტუმრებთა შორის ბიზანტიელებმაც ჩაიარეს.

ოთხსავ სადროშოს წინამძღოლნი და მსახურთ-უხუცესი დადიანი სამხრეთის კარებთან იდგნენ, საიდანაც უნდა შემოსულიყო თვით თამარი.

დადიანი, ეტყობოდა, მეტად კარგ გუნებაზე იყო და რაღაცას ეხუმრებოდა დიდებულებს, მაგრამ, აი, გამოჩნდა თამარის ქალთა ჯარი და დადიანმა შესწყვიტა სამსუბუქო საუბარი.

გულმა ძლიერად უწყო ცემა.

რამდენი მეტი ახლოვდება თამარი, იმდენი მეტი უახლოვდება თვით დადიანი წინასწარ განზრახვას.

ხოლო დადიანის თვალში თამარი ჰკარგავს ამ მოახლოებით, დადიანი — იძენს.

თამარის ლურჯას ყოველ ნაბიჯს დადიანისთვის მოაქვს მორჭმულობა და აღსრულება საწადელისა, თითქოს ეს ლურჯა თავის ნალით სჭედდეს დადიანის ბედსა.

მაგრამ ცუდია ნალით გამოჭედილი ბედი?

ნალბა თვითონა სჭედს და ისიც მენალბანდე.

დადიანი ამ ჟამად ამაზე არა ფიქრობს. ის ფიქრობს:

„აი, მოდის თამარ, მოდის ზეიმით, მოდის როგორც მეფე, მოდის მის საუკუნოებით სამეკვიდრო ქალაქში! ეს ასეა გარეგან, მაგრამ ნამდვილად კი მოდის, როგორც ტყვე ხელფეხ შეკრული, დაპყრობილი დადიანისაგან. ვასაქანი არსაითა აქვს და ამიერიდგან აეხადა მეფის უფლება, ეს თვით დაჭირა-

ვებულ ჯარსაც ველარ განაგებს, ჯარს, რომელიც სწორედ მეფის ერთგული, მეფის ტახტის დამცველი უნდა იყოს... მაშ, ვინ იქნება ამ ჯარის და... მაშასადამე მთელი სამეფოს გამგე? იური ხომ არა, ეს უსუსური ღლაპი, ლოთი და გარყვნილი?! თავს რად უნდა ეცრუოს... რასაკვირველია, დადიანი! იური მხოლოდ თოჯინა იქნება მის ხელში, ეგეც დროებით და შემდეგ... დაემხობა ბაგრატიონი! სულ სხვა მოდგმა ვარდანის-ძე დადიანი ალმობრწყინდება საქართველოს ტახტზე... ოჰ, ჩემო შერგილ, შვილო ჩემო... ცოტაც დამაცადე და!.. მერე, რა უცბად მოხდა ყოველივე ეს?! სხვებმა დაიწყეს და დადიანმა კი წაავლო ხელი სხვის მონაგარსა. გადამჭრელი წუთი დროით იყო ხელთ დაჭერილი... ჰმ... ყუთლუ-არსლანი, უცები კაცი! „ისანს კარავი უნდა დაუდგათო... შენ, მეფეო, მხოლოდ განიხილავდეო“... არც ერთი ესენი და არც მოთხოვნილება! ჯარი ჩემსკენ არის. ძალაც ჩემსკენ არის! გნებავა? არა და ვიბრძოლოთ! ჰა, ჰა! დიდებულები კი თათბირობდნენ!.. ბოლოდ თამარი, იმათზე ჭკვიანი და ფრთხილი... დათანხმდა. აა, ხომ დაგათანხმე!.. ეს თანხმობა შენი ტყვეობაა, ვერავინ ვერ დაგიპყრო, მე დაგიპყარი, თამარ!.. აარა! მე შენი სხეული არ მინდა... ჩემგან დაპყრობა უფრო მაგარია!..“

თვალები უელვარებდა, გული ისევ ძალზე უცემდა, ტვინი ისევ იმეორებდა:

„ვერავინ ვერ დაგიპყრო, მე დაგიპყარი, თამარ!“

„ვერა, ვერ დამიპყარი, დადიანო!“

ისევ მკაფიოდ შემოესმა ნაზი, მაგრამ მტკიცე და ურყევი ხმა თამარისა ვარდან დადიანს, რომ კინაღამ გულს შემოეყარა.

ზვიად სურვილებით აღტკინებულს არ შეუმჩნევია, როგორ მოადგა კარს მეფე-თამარი.

ეხლა მიხვდა, რომ თამარს ხმაც არ ამოუღია. ეს სიტყვები უთხრეს მხოლოდ თამარის თვალებმა.

ეხლა იგონებს, კართან მოვიდა თამარი, თითქო პირდაპირ დადიანისაკენ წამოვიდა, თითქო ცხენი ერთი წუთით შეაჩერა კიდეც დადიანთან და თვალი თვალში გაუყარა.

ო, ეს თვალები!

რად უთრთის მთელი ტანი ასე საშინლად, თითქო სცემეს და მიაგდესო? არა! ეს კიდევ უარესია. უთუოდ ასე

თრთოდა კაენი აბელის მოკვლის შემდეგ, როცა საბაოთ-ღმერთმა დაუძახა.

„შემრისხეს ამ თვალებმა?

„არა, მომიტევეს. მამცნეს, რომ ყველაფერი იციან და... მომიტევეს.

„მომიტევეს და მე უძლური ვარ!..

„რათა ვდგევარ აქ? ეს რა არის? ჰო, ცხენი ტოკავს... ეს ლაგამის ტარია.

„ჰო, აქა ვდგევარ და ცხენი ტოკავს... ლაგამის ტარი მიჭირავს ხელში...

„იმან კი მომიტევა, მომიტევა!.. სასაცილოა... მე? მოტევება?! არ მინდა მოტევება! ვინ უნდა მომიტეოს?!

„ვარდან! ვარდან! შენა ხარ?

„ეს ვინ მოდიან? ჰო, თამარის ამალაა, ჯერ კიდევ არ მოთავებულა, ბევრნი არიან, ბევრნი.

„ვარდან, ვარდან!

„ჰო, ვარდანი ვარ, ვარდანი".

ჰგონია, რომ ყვირის და იცის კი, რომ ხმას არ იღებს.

— ვარდან, რა დაგემართა?

ეს გუზანია. უეცრად:

— წადით, მოვალ!

ხმა ამოიღო ჩვეულებრივ, ვარდანისებურად, დადიანურად ზრდილობით, ლამაზი ბოხი ხმით.

ყოველივე რიგზეა.

აბა, მერანო, ეხლა შენი ჯერია!

და მათრახი სასტიკად ამოეწნა უსაყვარლეს რაშს.

ცხენი გაცოფდა. უთუოდ, არ სტკენია, არამედ ეწყინა — რა პატრონი გამიგიჟდაო?! და... გაჰქრა.

გზის პირას ჩამომწკრივებული, დღესასწაულსა და ზეიმზე ჩაცმოსულები, მხოლოდ კისრის მობრუნებას ასწრებდნენ და დანახვას ვერა. გრძნობდნენ-კი, რომ რაღაცამ ჩაუქროლათ.

ერთი საათის შემდეგ შერიგებული რაში და მისი მხედარი მშვიდად დაბრუნდნენ ქალაქ მცხეთას.

სვეტიცხოვლობა კარგი დღეა.

ლამაზი დარი დგას.

მხოლოდ ცა შეჭაღარავებულია ღრუბლებით.

უცხოელები და სხვა რჯულისანიც განკრძალვით დგანან ტაძარში.

მარტო ერთი პატარა მოხუცი ჩინელი ზანჭან ზორაბაბელს ჩასჩურჩულებს თავისი დამტვრეული ქართულით:

— ხალხი წავიდა?

— როგორ თუ წავიდა?

— გარედან ჩამიჩუმი არ ისმის.

— წირვას ისმენენ.

— გარეთ?

— ჰო, რაკი ტაძარში ვერ ეტევიან, გარედაც ფეხზე დგანან. ყ' კელგვარი ცეკვა, ლხინი და თამაში მიტოვებული აქვთ. უმეტესობა ჩუმად ლოცულობს და ელის წირვის დასრულებას. აქ კი არა, მარტო ტაძრის ეზოში, მის გარეთაც და გალმა გორაკებზე, იქაც ფეხზე დგანან და ცხოვრება შეჩერებულია...

— წამო, ერთი მაჩვენე...

— ეხლა ალარ შეიძლება.

— რათა.

— დაიცა, ბარძიმ-ფეშხუმი გამოაქვთ. ხომ იცი ეს ქრისტიანების სიწმინდეა... ხედავ, ყველამ დაიჩოქა.

ჩინელი თავსა ჰხრის.

ამბიონზე, ბარძიმით ხელში, კათალიკოსი წინ წამოიწევს, სამეფო დასადგომისაკენ თვალს მიაპყრობს.

თამარი ადის ამბიონზე, ემთხვევა ბარძიმს და კათალიკოსს ჩამოართმევს. თავისი ხელით ეზიარება. მიაწოდებენ სალუქ ქსოვილს და ბაგეებს მოიწმენდს წესისამებრ. მობრუნდება ხალხისაკენ ბარძიმით ხელში და ელოდება.

კუზმა-რუსი და შარაგანი იურის მიიყვანენ თამართან. თამარი მასაც აზიარებს.

უტანდარს სეფექალებში ყელი მოუღერებია.

ამ ხანახავზე ნელიად კისკისებს.

— რა ლამაზია, ვენაცვალე ჩვენს აწალ მეფეს!

— თამარი კი არ დავიჩრდილოთ და...

— რას დაჩრდილავს!..

ჩუმად თაღლითობენ ქალები.

— ვეჰ, ჯერ ორივენი ერთად ვნახოთ დამდგარი...

— ძუღან არა ნახე?

— ძუღან კაჟი ჩვენსკენ ზურგით იდგა...

უცხოელებში გაისმის:

— ეს რა ჩვეულება ყოფილა.

უპასუხიან:

— მეფეს შეუძლიან თავისი ხელით აზიაროს.

ბიზანტიელები აღშფოთებულები არიან:

— ეს ბარბაროსობაა!

— რა? მეფე რომ თვითონ ეზიარა?

— არა, ეგ ჩვენშიაც მიღებულია.

— მაშ?

— აი, ქალმა რომ ვაჟი აზიარა.

— ქალი რომ მეფეა!

— რა ვუყოთ! ქალია მაინც.

— ან სულ რათ ეზიარენ?

— დღეს უნდა დაიწინდნენ. თუ ჰსურთ, ამითი წესი არ ირღვევა, მხოლოდ საზიარებლად მომზადებული უნდა იყვნენ.

— არა, ეს მაინც ბარბაროსობაა, ურჯულობა!

— რასაკვირველია! აი, ხედავთ რამდენად დაშორებული ყოფილა ქართული ეკლესია მართლმადიდებელ ეკლესიასთან... ამბობენ კი რომ, ერთი არისო.

— ტრაბახობენ ქართველები...

— დაჩუმდით, ყურადღება მივიპყარით ყველანი.

— ტაძარში საუბარი რა საკადრისია!..

მაინც ერთი ვერ ითმენს:

— ჩვენი ეპისკოპოსიც ხომ იყო დღეს მწირველი? ტაბიკონით რომ დაშლილი იყოს, განა არ ეტყოდა?

— მერე, ვითომ ჰკითხეს?

— სს... ჩუმად.

წირვა დასრულდა.

— კათალიკოსი მანტიით კვლავ გამოვიდა ამბიონზე და

დაეყრდნო თავის კვერთხს. ერთ წუთს თვალი მიმოავლო იქ მყოფთ და შემდეგ ჩვეულებრივის კილოთი განაცხადა:

— დღეს იწინდების მხევალი ღვთისა, მეფე ყოვლისა საქართველოისა თამარ და უფლისწული რუსის მთავრისა, ანდრია ბოღოლიუბსკის ძე...

„ბოღოლიუბსკიჲ“ ცოტა გაუჭირდა კათალიკოსს, მაინც განაგრძო:

— უკეთუ ვისმეს საწინააღმდეგო რაიმე გაქვთ ამ დაწინდვისა, ბრძანეთ. უკეთუ ან ნათესაობითი კავშირი, ან სხვა რაიმე ასეთი დამაბრკოლებელი მიზეზი იცით, ბრძანეთ.

პასუხად — სრული სიჩუმე, მხოლოდ მოლოდინი საქმის კეთილად დაბოლოვებისა, ღიმილი სახეებზე.

ზოგი იმასაც ჰფიქრობს — რად გვაწვალებთ, ხომ ვიცით საქმე როგორც არის, მორჩით და გაათავეთო.

მაგრამ არსებული ჩვეულება და კანონი ყოველთვის დაუნდობელია. ის მაინც თავისას მშრალად გაიძახის.

კათალიკოსმა ორჯერ კიდევ განიმეორა, რაც ჰთქვა პირველად.

ჩახრუხაისძეს მოუძებნია ისევ სკანდიერ ალ-მუჭი და ყურში ჩასჩურჩულებს:

— რომ შეიძლებოდეს, ეხლავ ვიტყვი, — მე ვარ წინააღმდეგი-მეთქი. რათა? რათა და ამისთვის, ამისთვის, ამისთვის, თქვე...

სკანდიერი აქაჩდი ილიმებოდა, უკანასკნელ სიტყვებზე კი მაგრად ხელსა ჰკიდებს ჩახრუხაისძეს — არ გამექცეს და უხიაგი რამ არ ჩაიდინოსო.

ჩახრუხაისძე გონს მოდის და არას ამბობს, სხვებიც ჩუმად არიან.

კათალიკოსმა მიიწვია დასაწინდნი.

— ეხლა კი დაგრძელდება ბევრი კისერი! — ხუმრობს ვიღაცა, — აბა, ვისა გაქვთ დაბალი, ეხლა გეშველებათ...

ყრუთ იცინიან.

— რატომ არის, რომ დწინდვა და ჯვრისწერა მუდამ ესეთ სახუმარო გუნებაზე აყენებს ყველას? — ჩუმად კითხულობს მეორე.

— იმიტომ, რომ ორივე ეგ თამაშია... — პასუხს აძლევს იქვე გაჩენილი ცვატა.

— თამაშს მოგცემ მე შენა!

შარაგანი მდგარიყო წინ, იმან შეუბღვირა.

ცვატამ ენაზე იკბინა.

უეცრად...

ყველა დაჩუმდა.

თამარი წარსდგა კათალიკოსის წინაშე.

იურიც ამოუდგა გვერდით.

ტაძარმა იგრძნო დიადი წუთი.

ყველას გადაედო თრთოლვა ამ დიადი წუთისა. თითქო სულთქმაც შესწყვიტესო.

კათალიკოსსაც ხმა აუკანკალდა და ძლივს წარმოსთქვა:

— მეფეო ყოვლისა საქართველოისა, მხევალო ღვთისა, თამარ! გსურს თუ არა დიწინდულ იქნე რუსის უფლისწულის იური ბოლოლიუბისკის მიერ?

ძარღვები სულ მოიჭიმა. ლომის გული ბუდიდან ამოვარდეს.

ლოდინი:

თამარიც დიდი ხანია მოელის ამ კითხვას, პასუხიც იცის, მაგრამ ცხოვრების და მოვალეობის განუკითხავი და ტლანქი ხელი კვლავ შეეხო მისი გულის წყლულს, ახსენდება...

არა, არა, ის არ შეურაცყოფს გახსენებითაც კი აქ, ამ წუთას, მის წმინდა სახელს.

ცრემლი რომ ყელში ებჯინება? თამარ-ქალი რომ დაბრუნდა?

მეფეო, რა პასუხს აძლევ მას? იგი სამუდამოდ იღუპება? გაუხარელი, გულდამდუღრული? ნუთუ ის მხოლოდ ზვარაკია გასაწირად განმზადილი?.. ჰო, ზვარაკი მუდამ განწირულია... მუხლებზე გეხვევა, მეფეო, თამარ-ქალი... ამას, ამ გადამთიელს მაინც ნუ გადასცემ, მისი ქალწულობა მაინც შეიბრალე... მუხლი სველდება თამარ-ქალის ცრემლებით, თუ თვითონ მეფის...

არა!

თამარ-ქალი განიდევნა!

— მსურს.

ხმას არ ეტყობა არც ჯიუტური ამაღლება, თითქო რამე დაეძლიოს, არც ძლივგასაგონია, არც მოტეხილი.

ხმის ბგერა ჩვეულებრივია, თამარისებური შეიძლება ოდნავ შენელებული.

კათალიკოსი ეხლა იურის შეეკითხა.

— მსურს!

რუსულის ყრუ სიმსუქნით გამოსთქვა ქართული სიტყვა. ღიმილი დაჰკრის დამსწრეთა სახეებზე.

მხოლოდ უტანდარი კისკისებს გულში: „გე-ნა-ცვა-ლე!.. მსურს!“ დასცინის გამოთქმას. „მეც მსურს... შენი კოცნა“.

კათალიკოსს ბეჭდები გადასცეს.

მან დაწინდულთ სამგზის შეუცვალა და გამოაცხადა დაწინდულად ამიერით გიორგი და თამარი.

ამ დროს მოისმა სამინელი ჭექა და გრიალით გადაიარა ტაძარზე.

მთელი ხალხი შეიძრა.

რა იყო? ქუხილი ოქტომბერში?! იშვიათი ამბავია, თითქმის არ ყოფილი...

კათალიკოსი არ დაიბნა და თვისით კიდევ დალოცა. სწკა არც არაფერი სალოცავი, არც გალობა, არც სხვა რამ წესი მღვდელმოქმედებისა.

დაწინდვა დასრულდა.

ეხლა, მხოლოდ უკანასკნელად ჯვარი გადასახა კათალიკოსმა, ხელი-ხელს მიაცემინა დაწინდულთ და წალმა აბრუნებს სახლისაკენ.

კიდევ ერთი გულის გაფანცქალება. ეხლა ნახავენ უცხო სანახავს: როგორ შვენიან დაწინდულები ერთი მეორეს. ორივ ახოვანნი, ორივ სახოვანნი, ლამაზნი და იერიანნი.

აი, მობრუნდნენ დაწინდულნი და...

რა მოხდა?

თითქო დამბლა დაეცაო მთელს ტაძარს.

მათ წინ სდგას გიორგი, მეფე და მეუღლე თამარ მეფისა კი არა, არამედ ვიღაც ტლუ ბიჭი, სადღაც ტყეებიდგან გამოსული, ხეირიანი დგომაც კი რომ არ იცის ისეთი.

ეს პირი ისე რად მოჰღრეცია! ან მის ხუჭუჭ თმას რა დამართნია? ჩალისფერი თოკები ამ თმის მაგიერ ვინ გაუკეთა? ან ეს რა სასაცილო ტანისამოსი აცვია?

არა, არა, ამას უტანდარი ვერ უყურებს. სჯობია ისევ თვა-

ლები დახაროს და დფიქროს, ვინ გამოსცვალა მისი ბიჭი, სად წავიდა, რა ჯადოსნობა იხმარეს?!

ამ ბიჭის გვერდით — კი ვინ არის რომ დგას?

ეს რა შარავანდედი გადაჰფენია?

ეს ქალია, თუ...

არა, ნამდვილი მეფე ეს უნდა იყოს!

აგერ ბიზანტიელებსაც კი ეტყობათ სახეზე, რომ მათ იწამეს თამარი მეფედ.

ჩინელებმა მუხლთ მოიყარეს. აღმოსავლეთის სხვა წარმომადგენელნი წელში მოიკაკვნენ.

ქართველები ვერა ჰბედავენ თვალი გაუსწოროონ.

იმიტომ კი არა, რომ მრისხანია და ვერ შეჰბედეს,

არა!

იმიტომ, რომ ყველას მიუტევა.

დადიანი მოფარებით სდგას, სწორედ სვეტიცხოვლის ბოძთან და წელში იგრიხება.

არ უყურებს თამარს, არა, მაგრამ მისი მიმტევებელი თვალები აქაც სწვდება.

— ჰოი, ღვთისა სწორო პირიმზე, ღვთის მსგავსო! — იჩოქებს სიხარულით ათრთოლებული ჩახრუხაისძე და ეს სიტყვები ჩუმად, მაგრამ ზეალმტაცად იკვრება მის ბაგეზე — ჰოი, მწამხარ, ღვთაებავ, მწამხარ, ვინაიდგან თამარის სახით შენ მოგვივლინე ხატება შენი!..

— ჭიაბერ!

ელავს ილექტრო თამარისა..

და...

გაიხსნა ნასკვი ტაძრის შენასკული.

ხალხი დაიძრა.

ქარი მესამე

„და თქვა უფალმან ღმერთმან: ღაღადება სოდომისა და გომორისა განმრავლდა ჩემდა მომართ და ცოდვანი მათნი დიდ არიან ფრიად.“

შესაქმე 18—20

თავი პირველი

მზლავრი

33

ჭიაბერი დაძახებისთანავე ეახლა თამარს.

თამარმა ჩუმად ჰკითხა:

— ძუღან რა ხმა მოისმა ტაძარში ისეთი, რომ გულნი შეზარა?

— გრგვინვა გახლდათ, მეფეო... მოგახსენებენ ბაზალეთისაკენ დიდი წვიმები გახლავთ და მზლავრიც ჩამოწვაო...

— მზლავრი?

თამარის ხმას დაეტყო დაკრთომა.

— ქუხილიც იქიდან მონადენი თუ იყო... — ჩუმადვე განუგრძობდა ჭიაბერი.

— უბრძანე, სასწრაფოდ ცხენები დამიმზადონ!

ჭიაბერმა ზე აჰხედა. კარგად ვერ გაიგო.

— ამალა არ არის საჭირო: ქალთა რაზმი გამომყვეს და მკურნალების მეთაურობით მშველელთა გუნდი!

ეხლა გაიგო ჭიაბერმა, მაგრამ მაინც შეჰბედა:

— მერე, ზეიმი, მეფეო?..

— იზეიმოს, ვისაც ეზეიმება, შველა კი იქ უნდა!

ჭიაბერმა ველარაფერი შეჰკადრა და გატრიალდა ბრძანების ასასრულებლად.

თამარს ფეხი უნდოდა წინ წაედგა და დაინახა, რომ მის გვერდით დაწინდული გიორგი უმწეოდ იდგა, და შორიახლო მამიდა რუსუდანი და რატი სურამელის დედა, ხნიერი და დარბაისელი ბანოვანი, ხვაშაქ ცოქალი, თითქო მას უცდიდ-

ნენ. ისე-კი ტაძარი ჯერ კიდევ სავსე იყო და თითქო კიდევ რაღაცაც ელოდებოდნენ.

გიორგი-რუსის დანახვამ თამარს გულს სიბრალული მოჰგვარა და ლმობიერად გაუღიმა, ისე როგორც დედა გაუღიმებს თავის შემცოდე შვილს.

გიორგიმაც თითქო შეჰღიმილა თამარს, მაგრამ საქციელწამხდარს, არ გამოსდიდა.

თამარი მარტო გაემართა გასავალისკენ. რუსუდანი და ხვაშაქი გადაეღობნენ და ხვაშაქმა ჰკადრა:

— ესე მარტო როგორ მიბრძანდები?

რუსუდანმა მიაყოლა:

— სად მიხვალ, თამარ?

მაგრამ თამარი აღარ შემდგარა, მხოლოდ სიტყვა კი დაუგდო შემკითხველს:

— იქ სადაც ჩემი მოვალეობა მიმიწოდებს!

ერთ წამს ყველა გაშტერდა, მაგრამ შემდეგ ისევ ხვაშაქი მოეგო გონს:

— უფლისწული ეგრე მარტო როგორ დასტოვეს დიდებულებმა? სად არიან?

რუსუდანიც შეწრიალდა. შორს კუთხეში მარტო მდგარ რატის მოჰკრა თვალი. დაუძახა.

სხვა დიოფლებიც და მანდილოსნებიც დატრიალდნენ, დიდებულების უმეტესობა, თითქმის ყველა, ტაძარში აღმოჩნდა. მხოლოდ იმათ ეგონათ, რომ ტაძრიდან სამეუფო სასახლეშიც ზეიმით იქნებოდა სვლა და მხოლოდ ჭიაბერის ნიშანს ელოდნენ. იმათ არც-კი გაუგიათ თამარის ცალკე წასვლა.

უფლისწულს მალე ირგვლივ შემოეხვია ერისთავები და წარჩინებულები და სასახლისკენ გააცილეს. ქალებიც გამოლაგდნენ.

ყველას უკვირდა თამარის მიერ ესეთი წამოტოვება ახლად დაწინდულისა.

კუზმაც ამ გაკვირვებულთა შორის იყო და მეტად ცუდ გუნებაზეც შეიქნა.

მართალია, აღსრულდა ყოველივე ის, რასაც შეალია მთელი თავისი საუკეთესო დღენი; მისი გაზრდილი, რომელსაც შურის მაძიებლად ზრდიდა, უკვე აღიყვანა ისეთ დიდ

სიმაღლეზე, საიდანაც ყოველი მისი დასახული მისწრაფება შეიძლება უფრო ადვილად და დაუბრკოლებლად განხორციელდეს, ამიერიდგან საქართველოს მეფეს შეუძლიან ჯარი დასძრას, თავს დაესხას დასაპყრობ ადგილებს, დაიპყროს, იომოს... აქვს მისი შეძლებაც და ღონეც. მაშ, მეტი რალა უნდა? დროს იშოვნიან და ეგენიც დასძრავენ ჯარს რუსეთისკენ ანდრეი ბოგოლიუბსკის მტერთა შურის საძიებლად და განზრახული დიდი იმპერიის დასაარსებლად. აქ შემოკრბება ყველა ის მიწები, რომელთაც ფლობდა ბოგოლიუბსკი, ამას შემოუერთდება კიევი და ასე სამხრეთისკენ სულ საქართველომდე და საქართველოსთან ერთად წარმოიშვება ახალი, დიდი იმპერია. დეე, იყოს ეს სკიპტრასა ქვეშ ივერიის მეფის გიორგისა.

მაშ, რალა უნდა? ამის შესაძლებლობას ხომ მიაღწია...

ვერა! მიაღწია კი არა, სულ დაჰშორდა. ეხლა კიდევ უფრო ცხადათა გრძნობს სრულს უსუსურობას თავისი განზრახვისას. ჩრდილოეთი კი არა, ეს ხალხი, მთელი მისი ეროვნული ძალ-ღონე ბუნებრივად მიიწევს სამხრეთისაკენ.

კუზმა უკვე დაუკვირდა, კუზმამ ბევრი რამ შეისწავლა აქ ყოფნის დროს. ნათქვამებში, გადმონაცემში, საქციელში, მისწრაფებაში ატყობს, რომ ხალხი აქეთ მიისწრაფის, რომ ყოველ ხალხს თავისი ისტორიული დანიშნულება აქვს, მისი გზა და გეზი. საქართველო ბიზანტიის მაგივრობას აპირობს, ეს დადიანის ბანაკიდან უკვე იცის მან.

მაშ, სად ჩრდილოეთი, სად საქართველო და მისი მეფის მისწრაფებანი?

კარგი, ვთქვათ ეს ამჟამად არ ხერხდება, საქართველომ იარა თავისი გზით... მაგრამ თუ კიდევ უფრო გაძლიერდა, მაშინ ხომ შეუძლიან გაშალოს მეორე ფრთა?.. ოოჰ, რა იქნება, თუ ეს ნიჭიერი ხალხი იქნება მომავალი ჩვენი! რამდენს შესაძლებლობას, რამდენს საუცხოოს შესძენს კაცობრიობას!.. მანამდე — კი პირად მისი იური ხომ გაბედნიერებულია.

გაბედნიერებული?

დიაღ, მაგრამ კუზმას ეშინია ფიქრისაც კი... ვაი, თუ ღირსი არ იყოს ამ ბედნიერებისა!

დღეინდელ დღესაც კუზმასთვის ცხადი დასანახი იყო

სრული უღირსობა მისი გაზრდილისა. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ გარეგან იყო.

შინაგან?..

ვაი, თუ შინაგანაც ვერ გამოიჩინოს ღირსება? ამისი ემინიან კუზმას. ვაი თუ!.. მაინც ეს ერთი ხანია იურის თითქოსულ გაუსხლტა ხელიდგან, ცუდ ყოფა-ქცევას მიჰყო ხელი, ლოთობს, ლოთობს გამუდმებით. რამდენჯერ ამხილა, მაგრამ კუზმა ატყობს, რომ თანდათან გავლენას ჰკარგავს იურიზე... წინედ რომ არ შეუნიშნავს?.. ისე ხშირადაც ველარ ხედავს კუზმა. უფრო გუზანთან და ცვატასთან იმყოფება... იმის მაგიერად, რომ ქვეყანა შეისწავლოს, ხალხს დაუკვირდეს, გაინიმსჭვალოს მათდამი მოკრძალებითა და პატივისცემით, ეგ სულ გათამამდა, გატუტუცდა. შექცევის და გართობის ტანს არას აკლებს... კუზმას ბრალია... თვითაც ველარ იცლის. კუზმას უნდა მოასწროს, ყოველი ნაბოს შესანიშნავი, გამოიწვლილოს, გაირკვიოს, სად არ დადის, რეები არ ნახა, გასაკუთრებით თვით ტფილისში! მაგრამ უფრო კი ისინის სახლეს დასტრიალებს, იქ არის, იქ... ნანული, მისი ზღაპარი, მისი ფერია!..

განა შეიძლება იმის დათმობა? ან კი განა გულს დაეთმობა? და... როდესაც ნანული იპყრობს კუზმას ფიქრთა ჯარს, მაშინ, საოცარია, ყოველი იჩრდილება, ყოველი ჰკარგავს თავის სიმწვავეს, იურის საქციელიც, მისი გამეფებაც, თვით მოშავალი იმპერიაც კი.

აი, გუშინ და დღეს, რაც ტფილისიდან წამოსულან, გამოტყდეს კუზმა, რომ ყოველ მის მაღალ ზრახვებს წამოუტრიალებს ხოლმე ნანული, ერთი მისი ბავშვური გაღიმება, ლაყბაში რომ უხვ სიხარულათ ჩაეკეცება, მისი ჯერ ცხოვრებაში გაუგნები ჩხია თვალების გულუბრყვილო გამოხედვა, სიდინაც გამოიყურება მთის ნაზი სიო, რომელიც წელიად არხევს რაღაც მაღალ ყლორტიან, სურნელოვან მცენარეს და...

კუზმა იბნიდება. დიაღ, სწორედ ასეა, თორემ აბა რა რიგად რომ გოლიათ ვაჟკაცს ავიწყდება ყოველივე ამქვეყნიური და უნდა გამუდმებით უცქიროს ნანულის ხელშეუხებ სიჭაბუკეს. აკეთებს კი ყოველივეს, რაც უნდა გააკეთოს, რაც უბრძანებენ, რაც მოვალეობად ჩაეთვლება — მიდის, გახლება ვისაც უნდა ეახლოს, დგება თავის ალაგას, მიჰყავს, ვინც უნ

და წაიყვანოს, მოჰყავს, წარდგება, უხვდება, მხოლოდ გონებაში კი ფრთქიალებს უცხო ჩიტი, რომელსაც ეტყობა თვით არ უნდა გაეცლა კუზმას გულიდგან.

ახლოს კი მაინც ვერ გაჰკარებია. მით უფრო ეხლა, ნანული ხომ თამარის ქალთა რაზმში მოუქცევიათ. ოოჰ, როგორ შეენის ეს უცხო სამოსი!.. როგორ დაემართა, რომ ჰირველადვე ვერ შეამჩნია, მაგრამ როდესაც ამ რაზმს შორიდან უცქერი, ყველა ისე ჰგავს ერთი მეორეს, ერთნაირად გამოწყობილი, რომ ვერ გაარჩევ.

აი, ეხლაც.

არა, ნამდვილად ის არის!

ეზოში ორასამდე ქალ-რაზმელი ცხენებზე ამხედრებული გამოიფინა. მაგრამ, ეს რა ამბავია?.. ტანისამოსი გამოუცვლიათ და ცხენებიც. ორივ შავიფერის. ზურგზე კიდევ ვაშკირანი დაუკიდნიათ და უნაგირის უკანა კოჭებზე ნაბადები ხვეულად ჩაუკრავთ.

არა, ნამდვილად ნანული ეს უნდა იყოს... აი, აგერ, მარცხენა ფრთისკენ, მეოთხე... ის არის, ის!

სად მიდიან?

ეს ვინ წაუძღვა?

ვერ იცნო.

ეგეც რაზმისებურად არის მორთული.

ნუთუ?

თვითონ თამარი!

სად მიდიან?.. უსათუოდ მეც ვეახლები. ხო გამიშვებენ? თვითონ თამარს ვეხვოვ! — და ეს ვეება ჭარმაგი კუზმა სირბილით მივარდა თამარის ცხენს, რომელიც ეს-ეს არის დაძვრას აპირებდა.

თამარი გამამხნევებელი ღიმილით შეხვდა კუზმას და რაზმისაკენ მიიხედა, იქ თვალით ერთი რაზმელი გამოსძებნა და ანიშნა მოსულიყო.

ეს ქალი რუსულის მცოდნე აღმოჩნდა. ყივჩაყთა ერთერთი სარდლის შვილი იყო და მისი შემწეობით კუზმამ გააგებინა, რომ იმასაც მასთან ხლება უნდოდა.

თამარი ურჩევდა ზეიმზე დარჩენილიყო, მაგრამ კუზმა, თამართან ლაპარაკის დროს, თვალით ნანულის გაჰყურებდა და აბა, რა მოაცდევინებდა..

თამარს ერთგვარად მოეწონა კიდეც კუზმას თანხლება და ნება დართო.

ის იყო გახარებული კუზმა უნდა დაძრულიყო თავისი ცხენის მოსაძებნად, რომ თამარმა თარჯიმნის პირით ასე გადასცა:

— ნუ გეშინიან, რუსთ თავადო, მალე პირის-პირ უთარჯიმნოდაც შეგვეძლება ლაპარაკი. მე ვეცდები, რუსული შევისწავლო.

კუზმამ კინაღამ კალთაზე არ აკოცა, მაგრამ თავი იმან შეაკავებინა, რომ უეცრად გაუელვა: თუ თვითონ მეფე, რამდენიმე რუსისთვის, თუნდაც მომავალი მისი ქმრისთვის, ჩვენს ენასაც სწავლობს, მე ვიღა ვარ ქართული არ ვიცოდე, როდესაც საქართველოში ვიმყოფები და დარჩენასაც აქ ვეპირები, მით უფრო რომ...

და კიდევ გახედა ნანულის.

ეს ხომ მეფის საყვედურიანი ზრდილობაა, უნდა გამოვასწოროო და ესეც ჰკადრა:

— ხელმწიფეო, მერწმუნეთ, რამდენიმე თვის შემდეგ ბედნიერება მექნება ქართულად გესაუბროთ.

ᲔᲓ

დიდებულებს რა ექნათ, თორემ თამარის ეხლა წასვლა თავის მოჭრა იყო, განსაკუთრებით უცხოელ სტუმართ წინაშე.

იცოდნენ, რომ რაკი თამარმა ბრძანა, ასე აშკარად წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ, ეს უკვე ველურ საქციელს დაემსგავსებოდა და ან ვინ შეჰბედავდა თამარის შეზღუდვას ასე ტლანქად, ასე უხეშად.

ბრძანა მეფემ და მიდის. მოდი და წინ დაუდექი. მოდი და აუკრძალე. ხომ ვერ დაიჭერ, ხომ ვერ დაატუსაღებ და ასეც რომ მოექცე, ხომ უარესი!

ის, ვინაც თუნდაც განგებ, ყველაზე უფრო განდიდებული გინდა უჩვენო ხალხს, მას ხომ ვერ დაამცირებ საჯაროდ!

ამიტომაც ამ მხრივ ვერ დააკავეს თამარი. შეეცადნენ სხვა მხრივაც. მოახსენეს, რომ ეს ამბავი ისე ჭორად მოვიდა, თორემ დანამდვილებით კიდევ მართლა არ ვიცით მზლავრი ჩა-

მოწვა თუ არა, გრგვინვა-ქუხილი ოქტომბერში წინათაც ყოფილაო და სხვა... მაგრამ არც ამან გასჭრა.

პირიქით, თამარმა თვით დაარიგა ზეიმზე როგორ მოქცეულიყვნენ, სტუმრებისთვის როგორც მოეხსენებინათ, ხალხი როგორ გაერთოთ.

ყოველივეს ერთხელ კიდევ გამგე მიუჩინა. ჭიაბერს უბრძანა, რომ საჩუქრების გაცემა აღარ დაეყოვნებინათ ხალხისათვის და მის დასარიგებლად ცალკე გამცემი მიეჩინათ ოთხივ-კუთხივ, საცა კი ხალხი იყო გაშლილი, მთელ მის სივრცეზე თვისი ჯორ-კიდებულებით. რომ არც ერთ მხარეს, რაც უნდა შორს ყოფილიყო, ყურადღება არ მოჰკლებოდა.

რუსუდანს და ხვაშაქს დაავალა მის მაგიერ ცხენით ჩამოევლოთ ყველგან, მოდღესასწაფლენი მოეკითხნათ, გამხდარიყვნენ მათი თანაზიარნი, არ დაეშურნათ ძღვანი და ნიჭებულებანი, ხოლო აბულ-ასანს მიანდო თვით ყოფილიყო ორ დღეს მორიგედ, რომ სარანგებს ყველგან წესიერება დაეცვათ.

დადიანს უცხო სტუმრები ჩააბარა.

საერთო ლხინს და ნადიმს გამგედ ისევ ჭიაბერი მიუჩინა.

გიორგი რუსის გვერდით კი, მის მაგივრად, უტანდარის დასმა ბრძანა.

კუზმა უკვე ცხენზე იყო და ის იყო დაიძრა თამარის ასაბია, რომ მეფის წინაშე ეხლა ზანქანი გაჩნდა.

თამარს დაეტყო, რომ არ ჩამა ზანქანის დანახვა, მან ბევრი რამ ცუდი გაახსენა. თვითონ იურიც ხომ ზანქანის ჩამოყვანილი იყო და ამაზე უფრო ცუდი რაღა იქნებოდა თამარისთვის.

ზანქანი სთხოვდა: იურის მართებს ჩემი ასი თუმანი და უბრძანე, რომ გამინაღდონო.

თამარს გული უფრო აემღვრა და სიბრალულით გადაჰხედა ზანქანს, თან ბრძანება გასცა, ჭიაბერისთვის დაეძახნათ.

გუნებაში კი გადაურბინა: ეს ასი თუმანი ბაჯაღლო ოქრო ამ სოვდაგარისა მშვენიერი ხატია ყოველივე მისი, რაც მოხდა უკვე. მაგრამ ნურმც იქნების ესრე...

მოსულ ჭიაბერს აღელვებულმა მაინც ზანქანის შებრალებით უბრძანა:

— ამ სოვდაგარს გაუსწორეთ უფლისწულის ანგარიში.

და ცხენს ლაგამი მოზიდა, რაზმის შუა ჩადგა. წინამძღვრად კუზმა დააყენა: არ მინდა ვინმემ შემამჩნიოს, ეხლა ჰაგის დრო არ არის: უნდა სწრაფად გავეშურნეთო.

დარჩენილი ჭიაბერი ზანქანს მივარდა.

— რა კაცი ხარ, ზანქან, განა ეხლა შეიძლებოდა პირიმზის შეწუხება?.. ვერა ხედავ, რა გუნებაზეა?! ასე აღელვებული ჯერ არავის გვინახავს!.. და შენ კი-რაღაც ორიოდე მარჩიელისათვის შეაწუხე. ვერ მორთმენდი?

ზანქანი ჯიუტურის სიბნელით შესცქეროდა ჭიაბერს და კიდევ გაიმეორა ერთხელ ნათქვამი:

— ვაა, მე კაცი მომიყვანია, თქვენ მეფედ ამოგირჩევიათ, ჩემი ფული რად უნდა დაიწოს?!

ჭიაბერს გული მოუვიდა, რაღაც სხვა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენამ ეს გამოსთქვა:

— კარგია, ერთი! მცხეთის ტაძარს და მიდამოს არ ეკადრება ასეთი სიტყვები...

ზანქანმა ვერაფერი ვერ გაიგო. გულში კი ფიქრობდა: „მცხეთის ტაძარი რომელია?!“

შემდეგ უთხრა:

— ჰაა, იძლევი ფულს, თუ არა?

ჭიაბერი კიდევ უფრო გაბრაზდა და ზანქანს ზურგი შეაქცია. წასვლა მოინდომა. ზანქანმა კითხვა გაუმეორა.

მიმავალმა ჭიაბერმა ბრაზიანი სიტყვები გადმოუგდო:

— არაფერსაც არ ვიძლევი, ახლა?!

— მეფესთან გიჩივლებ!..

— საცა გინდა მიჩივლე!

ჭიაბერი გაეშურა, ზანქანი გამოეკიდა, მაგრამ სასახლეში რომ შევიდნენ, ჭიაბერი ერთ ოთახში აბეზარს ზანქანს შეემალა და იქ კი, ჭიაბერის ბრძანებით ზანქანი დარაჯებმა ალაპ შეუშვეს.

ბაერთოდ, მთელი დღესასწაული გაუგემურდა.

ათასი ჭორი ასისინდა და სასახლეში ყველამ იგრძნო რომ ამ დაწინდვამ კი არ შეჰკრა და შეადუღა საქართველოს ბედის მესაჭენი და ხელმძღვანელნი, არამედ გათიშა და სამტრო ფეხზე დააყენა.

უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმაც თამარის წას-

ვლამ, თუმც გაიგეს რისთვისაც იყო წასული, მაინც ის შთაბეჭდილება დასტოვა, რომ ამ სამეფოში რაღაც ხდება შესანიშნავი და მისი ძაფები ჩვენ ხელთ უნდა გვეჭიროსო. მაგრამ ყველაზე უფრო ისევ ბიზანტიელმა დესპანმა აუღო ალღო. მთელი ნადიმის განმავლობაში მასთან მჯდომ მის განუყრელ ბერძენ მესაუბრეს სხვების გაუგონრად ასე უზიარებდა:

— ცხადია, ეს უფლისწული თვით თამარს არ მოსწონს, მთელი ეს ზეიმი და გამოჩინება განგებ, თამარის სიფრთხილით არის მოწყობილი. მეორეს მხრივ რუსი უფლისწულის მომხრე ერისთავთა და დიდებულთაგანაც არის გამართული. ასე, რომ ძნელი გამოსაცნობია, რომელია უფრო ძლიერი მომავლისათვის. ორივ მხარე თითქო ერთსა და იმავე საქმეს აკეთებს, თითქო შეთანხმებით და ცხადია ორივე თავის მისაღევარს ეცნობა. აი, ჩემი წასვლის შემდეგ, თქვენ გმართებთ დიდი გარჯა. გარდა იმისა, რაც წუხელ გზაში დაგავალეთ, ჩვენი მომხრეების გაჩენა და გამრავლება, იმასაც ზედმიწევნით უნდა დაუკვირდეთ, თუ რომელი იქნება ამათ შორის ძლიერი. თამარი, ეტყობა, არც თუ მარტო ქალია. ეს ყველაფრიდან სჩანს და სწორედ ეგ მაფიქრებს. ეგრე ადვილად ვერ გამოიცნობ, გამარჯვება რომელ მხარეს დარჩება. ჩვენ კი, რაღა თქმა უნდა, ყოველთვის გამარჯვებულთა მხარეზე უნდა ვიყოთ. ვინც უნდა იყოს! პირადმა განწყობილებამ არ წაგძლიოთ. ისე კი ეცადეთ, რომ გაველვიოთ ეს უხილავი ჯიბრი მეფის და დიდებულთა შორის, რომელთაც ვატყობ სათამაშოდ იარაღად უნდა გამოიყენონ ეგ რუსის უფლისწული...

— დადიანზე კი რაღას მეტყვით?..

ჰკითხა მოსაუბრემ.

— დადიანზე?.. ჰო, ჭკვიანი კაცია. მაგრამ ყველაფერში ნუ ენდობით, აჩვენეთ კი, რომ ბიზანტიას საქართველოში მაგაზე უკეთესი მეგობარი არა ჰყავს. გაუხსენეთ მისი ძველი სამსახური ბიზანტიისადმი და ჩვენი მისდამი არა ერთ გზის პატივისცემა.

— მგონი აქედან იმერეთს გაგიწვიათ.

— დიაღ, უფლისწული მოჰყავს... წავალ, რასაკვირველია, და... იქიდან კი პირდაპირ გავეშურები ბიზანტიას... ჩემს შემდეგ გმართებთ დიდი, დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა.

ბიზანტიელებს ეტყობოდათ კმაყოფილება, მაგრამ ნაკლებ კმაყოფილი არ იყო უტანდარი.

მისი „ბიჭი“ ისევ დაუბრუნდა, თითქო ჯადოსნობა აწსნესო, ისევ ისეთი წარმტაცი და მიმზიდველი უფლისწულია, როგორიც იყო.

მართალია, ცალკე, სამეფო სუფრაზე მარტო არ დასხა ჭიაბერმა იური და უტანდარი, მაგრამ საერთო დიდებულთა ტაბლასთან კი, მაინც გვერდი გვერდს მიუსვეს: თვით თამარმა ესე ინებაო! რა სხვანაირი ქალია ეს თამარი. თუ ინება, ინებოს! იმან იქ იფხაწუროს მთებში, და უტანდარი კი აქ განცხრება, აქ, იურის გვერდით, აქ, საცა მისი სულთქმა ასე ახლოს მოუდის, მისი გულის ძგერა ასე ახლოს რომ ესმის...

ეეჰ, ჯერ დაიცადოს თამარმა!

იმავე დროს კი, გარეთ მონადიმე ხალხი უცოდინარი ყოველივე ესეთ სასახლის კარის ხლართისა, ხარობდა მისი მამაპაპეული დღესასწაულით და დღევანდელ დღეს ლოცავდა თამარის დღეგრძელობის წართქმით.

ᲐᲐ

თამარი რომ ქალთა რაზმით, მკურნალებით, მშვილელთა გუნდით და კუზმა-რუსით ბაზალეთზე ავიდა, უკვე საღამოხანი იყო.

მთისაკენ წვიმდა და ჭენჭეხი იყო გამდგარი.

წინ გულის მომწყვლელი სურათი გადაეშალათ: ფერდობები მეწყერად მომზვლეულიყო და ვაკისაკენ ჩამოშლილიყო. ფერდობებზე გაშენებული სახლებიც გადმოქანებულიყო და ზოგი გვერდელად ეგდო ხრამისაკენ პირწაშვერილი, ზოგი სრულად დახსნილიყო და მისი ნაწილები მიწა-ტალახში უსაქმურად შეჩრილიყო, ზოგიც სულ დაეფარა მეტი მაღლობიდან წამოსულ მეწყერს და თავზე მაჯლაჯუნასავით დაჯდომოდა. ყველგან ამ ნამზვლევიდან გამოდიოდა ხმა ადამიანთა კვნესისა და ყრუ კივილისა, ცხოველთა ბღავილისა და ზმუილისა. ზოგ ალაგას ნაპირებში გამოჩენილი იყო ან ხელ-ფეხი, ან მხოლოდ თავი მარტო, ადამიანებისა და პირუტყვებისა.

გადარჩენილი წალხი ზოგი ჩაუცმელი, ზოგიც წაჩქაროლდ, რაც ხელში მოხვდა იმითი მობურული, მტირალი ბავშვები, მომთქმელი ქალები დატრიალებდნენ თავის განადგურებულ მონაგარს, წამხდარ არსებობასა.

იყო წუწუნი, წყევლა-კრულვა გაჩენის დღისა, დამბადებლისა და იმისი, ვინც პირველად ამ ალაგებში ცხოვრება გააჩინა. მაგრამ შედარებით ცოტა იყო ასე გულხელდაკრეფილი მომჩივანი თავისი ბედისა.

განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობა, რჩეული ბიჭები გუნდ-გუნდად შესეოდნენ დაზარალებულ ადგილთ და ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ მცხოვრებთა შეჭირვებანი: ზოგს სათბური მოჰქონდა ჩაუცმელთათვის, ზოგს — საჭმელი ბავშვთათვის, ზოგი გულ-შეღონებულთ აბრუნებდა, ზოგიც სახელდახელო ალაჩოხს აკეთებდა, განრიდებულ და უფრო უშიშარ ალაგას თავშესაფარებლად, მაგრამ უმთავრესი სამუშაო მაინც იმ გუნდს აწვა, რომელიც ცდილობდა მეწყერში მოყოლილი ცოცხლების გადარჩენას.

თამარმა თვალი გადაავლო ყველა ამას, მაგრამ ერთგან არ შეჩერებულა, რამდენიმე საათში სულ მოიარა დაზარალებული სოფლები: აღვალა, კლობაანთკარი, ბოტორნა, ტაბი-ყურა, ორიც კიდევ სხვა სოფელი და როდესაც მთლიანი სურათი გაითვალისწინა, თვითონ უფრო დაზარალებულ სოფელ ტაბი-ყურში შეჩერდა და სხვებში, თავის ქალთა რაზმი, მეშველთან ერთად, დაჰყო გუნდებად და ყველა სოფელს ცალ-ცალკე მიუჩინა.

მკურნალები ორს მთავარ ალაგას დაგზავნა, სადაც უფრო დამხრობილი იყო დაშავებულთა დახმარება და კუზმა და თვითონ ტაბი-ყურის შველას შეუდგა.

ავერ უშველებელი სოფლური დარბაზი. მზლავრი სწორედ ზედ დასცემია ღია საკვამურს, სრულიად ამოუგლესია, ცალი გვერდიც ისე ჩაუზნექია, რომ მიწამდე სულ არ დასულა, არც შინა კედელი გაუშიშვლებია, არამედ წინა კედელია ჩანგრეული და შიგნიდან ბავშვების სხრიალი მოისმის, კივილი გამწარებული ქალისა.

თამარმა აქ კუზმა დასტოვა მისი გუნდით, რომელშიც თარჯიმანი რაზმელი ქალი და ნანულიც ერია.

თვითონ კი ამ სოფელს უფრო ბოლოდან დაუარა და

მხრით, საცა დიდი ნრამი იყო. მართლაც, ამ ნრამის პირად დარჩენილი შენობები ნაკლებათღა იდგა თავის ალაგას. ხრამში გადაცვივნული კი ბევრი იყო და სწორედ იმას უნდოდა შველა.

თამარიც ფიცხლავ აქ დატრიალდა. საჭურველი იარაღი მოიშორა, წვიმის გამო მზრუნველი ხელით მოფარებული ნაბადი გადაიგდო და თავისი ხელით შეუდგა მზლავრით დაშლილი ფიჯრების ფრთხილად გამოტანას, რომ ცოცხლავ ჩამარხულებისათვის როგორმე მალე მიეღწივნა.

ელვის უსწრაფეს მოედვა მთელს იმ მხარეს პირიმზის მოსვლა...

კიდევ უცნაური!

თითქო უკვე შველებოდეს ქვეყანას. შვების ოხვრა აღმოხდა მცხოვრებლებს, მოეცათ იმედი და სასოება შველისა, ჭირისაგან თავის ხსნისა.

ასე უხსნიდა დაკაწრულ მეფეს ას წელზე გადაცილებული მოხუცი ბოლოტუაშვილი ბერუა, რომელსაც ბევრი ხანშიშესული და ახალგაზრდა გლეხობა მოჰყვა მის საჭვრეტლად და სამსახურად.

ქალთა რაზმი ფიცხად, საზრისიანად და ღონივრად მუშაობდა. ამათ შეუერთდა ბერუასთან მოსული ახალგაზრდა გლეხობა და ძალიან სწრაფად წავიდა საქმე.

აგერ გადაიწმინდა დაღუპული სახლის ზედა-პირი... თანდათან ჩნდება შინაგნობა: ვიღაცა ტალახით მოთხუპნული ცხვირ-პირი გამოჩნდა.

— ა? კიდევა ფეთქავს! აბა, ფრთხილად, ფრთხილად.

განმგებიანობს თვით თამარი.

ნიჩბები მორიდებით, მაგრამ მარდად მუშაობს.

სულ გადიწმინდა, გამოჩნდა ჭაღარა-მოსილი სახლის პატრონი.

— ჩემი ძოგვარე გახლავთ, მეფეო, მეორე ბუდის შვილია... აქ სულ ბოლოტუაშვილები ვესახლენით ათადან-ბაბადან, როგორც ძუღან მოგახსენეთ... საწყალი კაცი... შუბლი აქვს გახეთქილი. სისხლი შეხმობია.

— საკაცე, საკაცე ჩქარა!.. — იძახის თამარი.

მოაქვთ. სდებენ. წაიღეს მკურნალებთან.

თამარი უეცრად ყურადღებას მიაქცევს: მის გვერდით,

დამკლავებული მშვენიერი ახალგაზრდა დგას. აწლად ამწვანებული ულვაშები, მგზნებარე, ბრძნული, თუმცა ცოტა ნაღვლიანი თვალების პატრონი, მშვენივრად ბუშაობს, მაგრამ თამარი გრძნობს რაღაც საეჭვოს.

ბერუას და კიდევ სხვა მოხუცებს უძლური ხელი ნიჩბებისათვის ჩაუვლიათ და მუშაობას ეპირებიან.

გაელიმება. ბერუასთან მიდის, მხარზე ხელს დაადებს და ლმობიერად დაუშლის მუშაობას, ეტყვის რომ სხვა მოხუცებსაც თავი შეაკავებინოს. ხალხი ისედაც ბლომად არის. და, თუ კი საჭირო იქნება, კიდევ მოუმატებენ თამარის რაზმიდან, ან სოფლელ ახალგაზრდათაგან.

ბერუა დაემორჩილება.

მათ წინ მოაქვთ და მოაქვთ დაშავებულები, ზოგიც უკვე შეტად დასახიჩრებული და გარდაცვალებულიც.

— ო, მეტად დიდი უბედურება დაგვატყდა, მეფეო, ნამეტნავად ჩვენ, ბოლოტუაშვილებს... ისე რო, ეხლა აღარც კი ვიცი საჭიროების დროს ჩვენ გვაროში რაზმი ვილასაგან შევადგინო, ომში რო დაგჭირდე ვილასით დაგეხმაროთ?

— შენ კარგათ იყავ, ბერუა... ჯერ ამათ მოვრჩეთ და... ომისაგან ღმერთმა დაგვიფაროს.

— ეეჰ, შენი კვნესამე! ომი რა სანატრელია, მაგრამ ეს ბიჭები გამერყვნებიან სახლში ჯდომითა...

— ბევრი ვყავს ბიჭები?

— სამოცდაათამდე მარტო ჩემი ნაშიერია. მე ის მაწუხებს, წინეთ სამასამდე მაინც დავარჩევდი ვაჟკაცებსა და ეხლა არ ვიცი, ჩემიანთ გარდა რამდენსღა შევკრებ... აი ერთი ჩემიანიც ემანდა... აი, ეგერა... აი ძუღან რომ შენ გვერდზე მუშაობდა... ჩემი შვილიშვილია, ბატონო... ასეთი ბიჭი გახლავთ, ასეთი რო... რა გითხრა!

თამარი კვლავ გაიღიმებს, ისევ უბრუნდება სამუშაოს.

თანდათან ითხრება ჩამონალეკი, თანდათან ჩნდება მოსაწლეთა კერა გაადგურებული, მცხოვრებლები დაღუპული.

აგერ რაღაც აწოწილი გამოჩნდა და თითქო შორს სადღაც ბავშვის ჭყივილი მოისმის. თამარი ნიჩბით უფრო ახლო დაიხარა, რომ აწოწილს საგანს ჩამოაშოროს ტალახი და მონალეკი.

მის გვერდით ისევ ის ჭაბუკი ჩნდება და გაცხარებული

მუშაობს, მაგრამ თამარი გრძნობს, რომ აწალგაზრდას რაღაც მოსდის.

გადაჰხედა.

ჭაბუკი ხელით მუშაობს, მხოლოდ სანე თამარისთვის მიუშტერებია და თვალს ვერ აცილებს.

უსიამო გრძნობამ ააღელვა თამარი. თავისი თავის წყევლა მოუნდა:

„რად მაქვს ეს სხეული სხვებისთვის ესე მაცთუნებელი? ყველა თვალები, უწინარე ყოვლისა ჩემს სხეულს რად შემოევლება ხოლმე?

ოჰ, ნეტა მახინჯი ვიყო და ჩემი თავის ხორციელობა არავის აცთუნებდეს!

დასაღუპი ყოფილა ეს ჭაბუკიც, თუ მან ჩემს არსებაში მარტო სხეული დაინახა!“

ამის გაფიქრება ჯერ კიდევ ვერ მოესწრო, რომ თამარს შემყურე ჭაბუკს რაღაც მოუვიდა, ერთი რეტიანივით დაბარბაცდა და შემდეგ მოსხლტილი, ჩანგრეული დარბაზის გვირგვინში ჩავარდა.

თამარს არ დაუკვლია, მაგრამ სულის სიღრმემდე შეწუხდა. მოიხედა: იმ დროს იქ არავინ იყო, ყველა თავის სამუშაოს ჩალრმავებოდა და ერთი მეორეს დაშორებოდნენ: გამოვიდა და უხმო სხვა მუშებს.

როდესაც გვირგვინი ძლივ გადაანგრიეს და ჭაბუკი გამოიყვანეს, გულშეწუხებული იყო, თავი რაღაც მაგარისათვის დაერტყა და კეფაზე სისხლი გადმონთხეოდა, ცალი ფეხი მოტეხილივით მიწაზე დასთრევდა.

თავი მეორე

სჭელ ღიგნთან

33

ჩახრუხაიძე შეუდგა თავისი სურვილის განხორციელებას: ცხოვრების აღწერილობას, მხოლოდ ჯერ კიდევ კარგა გარკვეული არ იყო მის ნაწერს უფრო მასალის ხასიათი ჰქონდა; უფრო ხშირად დღიურს წააგავდა, საცა გარემო მოვლენათა აღწერასთან ერთად პირადი განცდანი იყო დაგროვილი.

მაინც ეჭვიბარს არ იტეხდა და ფიქრობდა, რომ დაგროვილ მასალათაგან ერთ დროს არაკიან ნაწარმოებს დასწერდა.

კარგად ჰქონდა აღწერილი დაწინდვის ამბავი. ყოველივე რაც თვალით ნახა და განიცადა.

ყურადღება ჰქონდა მიქცეული ბუნების მოვლენებზედაც, რაიც მაშინ სრულიად უჩვეულო იყო, მაგრამ მას ეს უჩვეულო მეტად იზიდავდა და ქაღალდზე გადატანილი ხომ გამოუცდელი სიხარულით ავსებდა.

ისე კი მაინც გვერდს ვერ უვლიდა მატიანისებურ მოთხრობასაც. მას ჩაწერილი ჰქონდა:

„ოქტომბრის 1-ლს იყო დაწინდვა და განგრძელდა ერთ წუთსს.

იმავ დღეებში ბაზალეთის მხარეს ჩამოწვა მზლავრი და დიდძალი სოფელი დააზარალა.

დასახმარებლად გაემგზავრა თვით თამარი და ზეიმი დაწინდვისა დახტოვა ობლად, რამაც სასახლის კარზე და სტუმრებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

დიდებულებმა მაინც ნადიმი არ მოშალეს და მთელი ერთი კვირის განმავლობაში ლხინი და გართობა ჰქონდათ.

იყო სახიობანი და გამოჩვენებანი მრავალგვარი, ძღვნობანი და ნიჭებულებანი უამრავი.

განამდიდრეს გლახაკნი და შეჰმატეს ქონებულთა.

ერთი კვირის შემდეგ, დადიანმა უცხო სტუმრები და ზოგი ჩვენი წარჩინებულთაგანი, იმერეთს გაიწვია, თამარის

ანლად დასრულებულს სანაბლეში, გეგუთს, რომლის ქებაც, თურმე, ვერ ასწერს ენა. სრული და მაღალ თაღებიან, მრავალსენაკიანი, უწინარეს ყოვლისა ხიბლავს მნახველს თავისი ძვირფასი შემკულობით. კედელ-ყურენი ოქრო-ვერცხლით არის მოჭედილი და შიგ ჩასმულია იაყუთი და საფირონი, ბივრილი და ლაჟვარდი, მარჯანი და კაპუეტი მწვანე, მაგრამ შენობების გარდა თვით ეზო არის თურმე შესამჩნევი... მე ვაპირებ ვეახლო თამარს, ოდეს იგი წაბრძანდება მის სანახავად... მანამდე კი გადმომცემენ, რომ მდინარე რიონის პირად დაცემულ ჭალაზე ზღუდე-შემოვლებული ალაგი წარმოადგენს სამოთხისებურ წალკოტს, საცა შადრევნებთა სიუხვე აკვირვებს მხილველს. მხოლოდ, ყველაზე შესამჩნევი ვერცხლის ხეა, რომლის ფურცლები დრო-დროთი ფსალმუნებენ ზენაარად და ნადიმის დროს ფერსათული ყურძნის წვენი შადრევნებივით გადმოსჩქეფს მის შტოებსაო.

მიამბეს, რომ სტუმრები განცვიფრებულნი იყვნენ იმ სიმდიდრით და იმ გემოვნებით, რაც გეგუთში ნახეს. დადიანმა თავი არ დაზოგა და მთელი სიუხვე სტუმართმოყვარეობისა უცხოთა წინაშე სრულიად გადმოჰფინაო. სულ იაგუნდის და ლალ-ფირუზის ჯამებით ასვა სტუმრებს ღვინო, ნანადირევი არ დააკლო და უცხო თევზეული, გვაკლდა მხოლოდ ჩიტის რძე და სირაქლემას კვერცხიო, მეხუმრებოდა ამას წინეთ ფარჯანიანი.

მხოლოდ ნადიმობის გარდა გეგუთს სხვა საქმეებიც მოგვარებულა.

იმერლობას შეუფიცავს რუს-გიორგისათვის ერთგულება და ყველანი მიმართვის დროს საქართველოს მეფედ იხსენიებდნენო.

ამას გარდა გუზანს ბოცო ჯაყელისაგან ცნობა მოსვლია, რომ კარნუქალაქელნი, შამელნი და თურქნი გრმანიასანნი, ცხენოსანნი და ქვეითნი შემოესიენ და ივსო შავშეთის ქვეყანაო, რაზედაც თამარის უცნობლად აყრილა იმერთა დიდი ლაშქარი გიორგი რუსისა და დადიანის მეთაურობით და მტერთან შესაბმელად წასულანო.

ამასაც იხსენიებენ, რომ გალაშქრებამდე დადიანს, გუზანს და კიდევ იმერთა ზოგ წარჩინებულებს, ბიზანტიის დესპან-

თან, კვლავ თამარის შეუტყობინებლად, რაღაც საიდუმლო თათბირი ჰქონიათო.

ყოველივე ამან დიდად დააშძიმა თამარის კარზე სულიერი განწყობილება. ამ დღეებში დიდი ბჭობა ჰქონდათ თამართან კახაბერს, მარუშიანს, მხარგრძელებს და კუზმა-რუსსა. რამდენადაც მე გადმომცეს, დაუდგენიათ, რომ ესეთ თვითნებობას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. შემოსეულ მტრის დახვედრა ადგილობრივ ეროსთავის, ანუ ქვეყნის გამგებლის ვალია, ხოლო მთავარსარდლის გალაშქრება მეფის ნებადაურთველად არ ეგებისო. ამისათვის საყვედური მოხვდება უფროსადიანს, ვიდრე გამოუცდელს ამ საქმეების უცოდინარს გიორგი რუსსაო.

კუზმა, თურმე, სულ თავში იცემდა გაზრდილის ესეთ დაუდევარ საქციელზე. მაგრამ ვგონებ, რომ ეხლა ამ ფიქრებით ნაკლებ იყვეს მოპყრობილი, რადგანაც ამ დღეებში თამარის ნებართვით, სვან ციოყის დაზე, ნანულიზე ჯვარი დაიწერა და ბედნიერების წყაროს არის დაწაფებული.

მეც ვიყავ ნადიმზე. ციოყი არ ყოფილა, რადგან იგი დაწინდვის შემდეგ გიორგი რუსს ეახლა და ეხლა მასთან ერთად ომობს. ხოლო სათქმელია, რომ კუზმა და ნანულზე უბედნიერესი ცოლ-ქმარი ბოვიათად უნდა მოიპოვებოდეს. მართალია, ხნით დიდი ზღვარია მათ შორის, მაგრამ გულით კი ასეთი მახლობელნი ურთიერთისა ძნელი საპოვნია.

საოცარია ძალი ტრფობისა! რომელ ჭურჭელშიც არ უნდა ჩადგეს, მუდამ მისი ამამაღლებელია. მართლდება სიტყვანი მოციქულთა: „სიყვარული აგვამაღლებს“...

თამარმა დიდად შეიბრდღმა და შეიყვარა ორივ ცოლ-ქმარნი და უხვი საჩუქარიც უბოძა: ამომწყდარი კვირიკეს ძეებს საპატრონო კახეთში, კუზმას გადაულოცა და კუზმა თვის ვასულს პირებს კიდეც თავისი ცოლით გამგზავრებას ახალ მამულში.

გული მერჯის, რომ აღვწერო კუზმას სიყვარულის ამბავი.

კიდევ ცუდი ამბები მოვიდა გეგუთიდან. ამას წინად იქიდან დაბრუნებული ხვაშაქი ცოქალი ბრძანებდა: არ მომწონა გეგუთს უტანდარის საქციელი... ვითარ ბედავდა უფლისწულთან ეგრე უტრფრად თავის დაჭერას?! დავტუქსე რამო-

დენჯერმე და გამებუტაო. არა ვგონებ დარბაისელი აბულ-ასან გახარებული იყოს მისი მეუღლის უფლისწულთან ასე დაახლოვებისაო.

მაგრამ ამ კვირაში თვით უტანდარს შეემთხვა უსიამო წაქმე. რამოდენიმე დღე არ იყო გასული რაც ჩამოვიდა, რომ მისი საყვარელი მხევალი გაიტაცეს.

პირველ ხანებში ვერ გაიგეს, თუ ვინ გაჰბედა ესეთი საქციელი. სასახლის კარზე ყველანი აღშფოთებულნი იყვნენ ამ ამბითა. დიდი ხანია გადავარდა ეს ჩვეულება და ამ ჟამად ვით ეგებისო, მაგრამ შემდეგ ამბავი მოვიდა, რომ ეს სელჩუკიან აბუბექრის მზვერავთა ნამოქმედარია და ქალის უკანვე დაბრუნება საძნელო საქმე არისო.

ზაქარია მხარგრძელი აბუბექრის ხსენებაზე ძლივს დააკავეს, უნდოდა გალაშქრებულიყო, მოერბია ადარბადაგანი და არანი, მაგრამ გონიერმა რჩევამ სხვა დიდებულთა შეაჩერა: ერთი ტყვის გულისთვის არა გვმართებს აჩქარება, ჩვენებს ყიდევ ამ ჟამად ომი აქვთ, აბუბექრიც ეგრე ხელწამოსაკრავი არ არის. მამა მისი დიდი ათაბაგი და სულთანი ყიზ-არსლანიც მხარს დაუჭერს, საქმე გართულდება... მოვესწროთ თავის დროზე მასაც რიგიანი პასუხი გავცეთო და დაამშვიდეს.

ეხლა კიდევ რაღაც ხმები მიმოქრის კევორქ ჩუსტუზიანზე... ეს ის უნდა იყოს, ერთხელ რომ გზაში ჩემმა მოძღვარმა, გოდერძიმ გამაცნო. მაგრამ მის შესახებ ისე ბუნდოვნად ლაპარაკობენ, რომ მე ცოდვას ვერ დავიდებ და ვერაფერს გადაჭრილს ვერ ვიტყვი.

ისე კი თვალყურს ვადევნებ ამ ამბავსაც... ბოლო ხანებში დავასკვენი, რომ ჩემთვის ყოველ წვრილმანსაც კი ამ ცხოვრებისა დიდი მნიშვნელობა ეძლევა და აქედგან შეიძლება ოდესმე ბევრი რამ საგულისხმო გამოვიტანო ჩემთვისაც და ქვეყნისთვისაც.

ჰო... გავიგე იმ გატაცებული მხევალის სახელი. იგი ყოფილა ასული ბაზალეთელი გლეხის ბოლოტუაშვილისა, თაფლო, ასული სახიერი და კეკლუცი. აი, იმ ქვეყნიდან, საცა მზლავრი იყო და იმდენი დაშავებული ჩამოიყვანეს. მითხრეს, თამარს დაშავებულში ერთი სწორედ ამ ქალის ძმაც ჩამოუყვანია, სახელად შაქარა...

ჰმ... რა დამთხვევაა და-ძმათა სახელისა: თაფლო და შაქარა!

ჩამოუყვანია და საუკეთესო ქსენონში მოუთავსებია კიდეცაო.

თვით თამარი ხშირად დაბრძანდება, თურმე, დაშავებულის სანახავად, მაგრამ არაფერი იცის იმისი, თუ ეს შაქარა უტანდარის მხევლის ძმააო. არც ამ მხევლის გატაცების ამბავი იცის, თურმე, რადგან უმალავენ — საკმაოა, სასირცხვილო ამბავი მარტო ჩვენ ვიცოდეთ, თამარს რაღად აღვაშფოთებთო.

მაგრამ კიდევ უფრო საოცარი ის არის, რომ დოდო არიშიანი დაიარება, თურმე, შაქარას სანახავად და დიდხანსაც რჩება, თურმე, მასთან სასაუბროდ.

რა დაემართა ამ დოდოს? როგორ გამოიცვალა! სულ ეკლესიები, ლოცვა, მარხვა, ეხლა ქსენონი და ავადმყოფების მოვლა.

რა მალხაზი ქალი იყო!

აი, თავო ჩემო, ესეც საგულისხმიერო და ასაწერი სახე“,

ასე, ყოველდღე იჭურჭლებოდა ჩახრუხაისძის ერთი მეშვიდაკრულ ფიცრის ყდიანი, სქელი წიგნი სხვადასხვა ამბავთა, მოყოლით, პირადი შენიშვნებით, საგულისხმო თარიღებით და სხვა მისთვის საჭირო ცნობებით.

ყველაზე უფრო წიგნში შეხვდებოდით სახელს „თამარ“-ს, რომლის შემდეგ მოთხრობილი იყო რაიმე პაწია ამბავი თამარის ცხოვრებიდან, ხშირად ერთი შეხედვით თითქმის უმნიშვნელო, და ბოლოს მოწერილი ჰქონდა ხშირად — „საოცარი ქალია!“ „მიუწვდომელია!“, „ღვთის მსგავსია სწორედ!“

როდესაც ამბები ბლომად დაუგროვდა, განიზრახა გოდერძისათვის დროითი მიეწვდინა საჭირო ცნობები და აი, ეხლა პირველად დასწერა გრძელი უსტარი, საცა დაწვრილებით აუწერა დაწინდვის ამბავი და ყველა მისი მიმყოლი მოვლენანი.

უსტარი რომ გაათავა, კარგა ხანს არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: სალამი ეძღვნა მისთვის უცნობ გოდერძის ძმისწულ გულნაზისათვის, თუ არა. გაახსენდა გამოთხოვებისას როგორ უქებდა გოდერძი თავის ძმისწულს, ეხლა უფრო მი-

წვდა, რომ გოდერძის უთუოდ უნდა დავემოყვროლ, გულში ამ უცნობი ქალისადმი საამური გრძნობაც აღეძრა და გადასწყვიტა, გამოზაფხულდება თუ არა, უთუოდ ვეწვევი გოდერძის და ქალსაც მოვინახულებო.

თავი მესამე

ლირწება

ეჯ

ნაძვნარში ჩამჯდარიყო ქალაქ ოძრახეს ჩორჩანელთა ციწე-დარბაზი. ხრამის პირას გადაკიდებულ აივანზე შემოდგომის ქარბუქს იერიშები მიჰქონდა, მაგრამ ბრაზზე მოსული ბუნება სრულიად ვერ არღვევდა მყუდროებას, რომელიც გაბატონებულიყო აივანზე გამომავალ ერთ-ერთ ოთახში.

ახოვან ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, მის წინ დიდსა და რბილ სელის ხკამის თავთან, სამფეხა, დიდ და გრძელ ხის მოხარატებულ ორ შანდალში მაჯის უმსხოსი თაფლის სანთელი ჩაენთოთ, ამ სანთლებთან გვერდით სადავითნესავით მაღალი და თავწაქანებული მაგიდა დაედგათ და სკამში მისვენებული გოდერძი, თავის ძმისწულს, გულნაზს ძველისძველ იგავ-არაკთა კრებულს აკითხებდა.

ახალგაზრდა, მრთელ ფილტვებიან მკერდიდან გამოსული ქალის ხმა საამურად ღუღუნებდა მოხუცი ბიძის გასართველად და ხშირად, როდესაც მელა-ტურას ეშმაკობას წააწყდებოდნენ, გულიანად იცინოდა უმანკო ქალი და ზოგჯერ ჩაურთავდა კიდეც:

— ძალიან არა ჰგავს, ბიძა ჩემო, ჩვენის მოურავის სიმსუნაგესა!..

გულნაზიმ კარგად იცოდა ბიძა მისისაგან, რომ იგავ-არაკები ადამიანთა ჭკუის დასარიგებლად იყო შეთხზული და ყველა აქ გამოყვანილი პირუტყვი ადამიანთა ხატებას წარმოადგენდა. ამიტომაც იმ იგავ-არაკების თითქმის ყველა გმირს მის ნაცნობობაში საშაგიერო ჰყავდა. ნაცნობობა მისი დიდი არ იყო. ობლად დარჩენილს, მამა და შემდეგ ბიძაც მეტად

მონასტრულად ზრდიდნენ, მაგრამ ვისაც კი იცნობდა ახლო-მახლო, მათთან მომსვლელ სტუმრებს, ამ სოფლელებს, ან თუ სადმე რომელიმე ტაძრის დღესასწაულში თემობაზე ნანახს, ესეც ყოფნიდა, რომ მათი სახეები აქ ამოკითხულ პირუტყვების ან ფრინველების სთვის დაედარებინა. განსაკუთრებით ოფოფი ახსენებდა ერთ მის შორეულ ძალუას, საბერძნეთით მოყვანილს მანდილოსანს და არ შეეძლო ოფოფის წაკითხვაზე ის ქალი არ გახსენებოდა, ან ქალის ნახვაზე ოფოფი არ მოეგონებინა.

და მაშინ იყო, რომ სიცილისაგან თავს ვერ იკავებდა.

ახლაც... მაგრამ უეცრად სიცილი შეწყდა, სახლთ-უხუცესი შემოვიდა ოთახში.

— ბატონო...

გოდერძი შეშფოთდა:

— რა იყო? მტერი ხომ არ დაგვესხა.

— არა, ბატონო, მტერი განიდევნა... ან ჩვენამდე ვინ მოაღწევინებდა.

— მაშ, რა არის?

— სტუმრები გეახლნენ... ცვატა ბრძანდება და სამიოდე შინაყმა ახლავს...

— ცვატა? — უკმაყოფილოდ წარმოსთქვა გოდერძიმ.

— დიაღ, ტაოელი, გუზანის ვაჟი...

— რა გაეწყობა, მიიღე... ვახშამი დაუმზადეთ, საწოლი, ყოველივე... რაც დაეჭირვოს ნამგზავრზე, მიართვი და შემდეგ აქ მოიყვანე.

სახლთ-უხუცესი გავიდა.

გოდერძი ჩამოქურუხანდა.

— ვინ არის ეგ ცვატა? — შეეკითხა გულნაზი.

— აკი მიამბნია შენთვის. მეტად უღირსი ჭაბუკი... დიდი კაცის შვილია, ტაოელ გუზანისა, პაპაც დიდი კაცი ჰყავს, აი ტფილისის ამირა, აბულ-ასანი, მხოლოდ თვით კი ერთი გარყვნილი ვინმეა... ეხლა იმ გიორგი რუსს აჰყვა და ბევრს უკადრისს ჰკადრულობენ, თურმე.

გულნაზი სულ გაჩუმდა და თავის თაგში ჩაიხურა. რაკი ბიძას არ მოსწონს, უთუოდ უღირსი ყოფილა, მაგრამ თუ ესეა, რად მიიღო? გოდერძი ხომ დიდი კაცია თავის ქვეყანაში, განა არ შეუძლიან არ მიიღოს, ვინც არ ესურვება? თითქო ერთხელ

და ორჯერ არ მოქცეულიყოს ასე, უფრო მაშინ, როდესაც თვითონ რამე სწერს... ცოტა არ იყოს ამისათვის ემდურიან კიდეც.

თითქო ამის პასუხად გოდერძიმ განაგრძო:

— რომ არ მიმელო, არ იქნებოდა... მეტად დიდი კაცი არის და მერმე კიდევ ეხლა, ეტყობა გამარჯვებულიც მოდის. ომგადახდილებს კი ალერსი უნდა და გამხნევება...

ეს სიტყვები კიდევ არ ჰქონდა გოდერძის გათავებული, რომ ფეხის სრიალით და აბრეშუმის ქსოვილთა შრიალით ცვატა თავის ორიოდე მხლებლით გოდერძისთან შემოვიდა.

ასე მალე გოდერძი არ ელოდა სტუმრებს, რადგან ეგონა ნამგზავრზე ტანთ გამოიცვლიდნენ, პირს გადაიბანდნენ და ამაში დრო გავიდოდა. მაგრამ რაკი შემოსულნი დაინახა, ცოტა უკმაყოფილო, ფეხზე წამოდგა.

ცვატა შორიახლო დადგა და მიმართა:

— ბრძანე სალამი!

გოდერძიმ იცოდა — ჭალარათი, თორემ ისე მდგომარეობით და დიდკაცობით უფროსი ცვატა იყო, მაგრამ ჩვეულებისამებრ ბევრი აღარ იჯანჯლა და თითქო გულმოსულმა, მდგომარემ, ფეხი-ფეხზე გადააჭდო, ორივ ხელი წელთან ჩამოშვებულათ დაიკრიფა, თავი დახარა და სალამი პირველმა მისცა.

ცვატას დაეტყო, რომ გოდერძის უკმაყოფილება შეამჩნია, ცალ-გვერდზე ჩაიღიმილა და მხლებლებთან ერთად ევრე ფეხგადაჭდობილმა და ხელებდაკრეფილმა სამაგიერო სალამი უძღვნა.

ცვატამ რომ თავი აიღო, მყისვე გულნაზის შეანათა გახარებებული თვალები. გულნაზიმ რაღაც საშიშროება იგრძნო, თავი დახარა და ბიძამისის სელის ზურგთან სრულიად მიიკუნჭა. მაღალი იყო ტანით და ვერ დაიმალა, თორემ მის სხეულს უნდოდა გაჭრობა: წასვლა კი ვერ მოახერხა, რადგან წასასვლელად ფეხები არ ემორჩილებოდნენ.

გოდერძის ესენი არაფერი შეუმჩნევია, რადგან აწუხებდა ცვატას უზრდელობა: მგზავრობით გათქერილი, ასე პირდაბირ რომ მოვიდა მასთან.

მაინც ჰკითხა ომიანობის ამბავი.

ცვატამ უამბო, რომ გამარჯვებული გიორგი რუსი და დადიანი უკვე ტფილისს გაემგზავრნენ დიდის ალაფით, მამაც იმათ წაჰყვა. ცვატას ცოტა საქმეც ჰქონდა და მოისურვა გოდერძის ნახვა. თვითონ ომზე კი ასე ამბობდა:

— ისე გავიმარჯვეთ, რომ, როგორც იტყვიან, სულ კუდით ქვა ვასროლინეთ. სულ სამ დღეში მოთავდა ყოველივე, მხოლოდ ჩვენ ერთი კვირა კიდევ ვდიეთ თითქმის თვით არზრუმადე... — ენაწყლიანობდა ცვატა და თვალებით მაინც გულნაზის სახე-პირს და სკამის ზურგიდან გამოჩენილ ახალგაზრდა გულ-მკერდს შესცქეროდა.

გოდერძი გაიტაცა ომის ამბებმა. გაახსენდა მასაც თავისი ჭირგადახდილობა და გუნება გამოუკეთდა.

ცვატაც უამბობდა დიდს გარჯილობას დადიანისას და გასაოცარ სიმხნეს გიორგი რუსისას.

განსაკუთრებით გიორგის ახალმა მხლებელმა სვანმა ციოყმა დიდად თავი იჩინა. ერთ წუთს გიორგის არ მოჰშორებია და ჩვენს მეფესთან ერთად მრავალი ვაჟკაცობა ჩაიდინაო. მეფის ხსენებაზე გოდერძი კვლავ აიმრიზა. ვერ მოითმინა და შეეკითხა:

— რომელ მეფეზე ბრძანებ?

— გიორგიზე, სხვა რომელი მეფეა?

— როგორ?! თამარი დაგავიწყდათ? — გაისაყვედურა გოდერძიმ.

— თამარის დავიწყება ვით ეგების; ხოლო დაწინდვის შემდეგ, საქართველომ, გიორგი ჩვენს მეფეთ გამოვაცხადეთ...

— რომელძა საქართველომ? სად? როდის?.. — გაცხარდა გოდერძი.

— გეგუთს, ზეიმის დროს. ერისთავებმა და სხვა წარჩინებულებმა ყველამ შევფიცეთ. ბიზანტიელი დესპანიც იქ დაგვესწრო და ფიცის ქალალდი თავისი ბეჭდის დასმით განამტკიცა.

— როგორ?! ნერე, იქ იყვნენ კახაბერი, მხარგრძელები, რატი სურამელი, ან ჰერეთის ერისთავები?

— არა, არ ყოფილან...

— მაშ, ბიზანტიასთან კავშირი შეჰკარით რამოდენიმე დიდებულმა? რა ამბავია?! შეთქმულება თამარის წინააღმდეგ?..

აა?.. — თქვე... — რაღაც უშვერი უნდა წამოცდენოდა მას ბაგეებს, მაგრამ უეცრად გულნაზი გამოეცალა სკამის ზურგს და გოდერძის წინ დაიჩოქა.

— ბიძაჩემო! — ვედრებით მიმართა მან.

გოდერძი თავს ძლივს იმშვიდებდა.

— სტუმრები რომ არ იყოთ, არ ვიცი, როგორ მოგეპყრობოდით მაგისთანა საქმის ჩამდენთ, მაგრამ ამ ქარბუქში ეხლა სად გაგაგდოთ...

— ბიძია!.. — ლოლიაობდა გულნაზის ხმა.

— მხოლოდ ეს კია... მოისვენეთ, იყავით, პურადიღეთ. მე კი, მე ნუღა დამენახვებით!..

ცვატა აიჭოჩრა. წამოდგა. მხლებლებიც წამოდგნენ და უეცრად გაისმა მწყობრი ღიღინი: მასპინძელსა, მხიარულსა...

— სასაცილოდ მიგდებთ თუ?! გამეცალეთ!.. — დასჭექა გოდერძიმ.

ცვატა არ დაიძრა. მხოლოდ წელში გასწორდა და გოდერძის ბოროტად მიაშტერდა, თითქო ეს არის ეხლა უნდა ყელში სწვდეს და წაახრჩოს ბერიკაციო! მაგრამ თვალი გულნაზიზე ჩაუსრიალდა და სახე მისი მჭსინვარე, ბოროტი ღიმილით აელვარდა.

— გახსოვდეს, გოდერძი! ამაღამ კი აქ დავრჩებით, ნაგრამ შენს სტუმართმოყვარეობას ოდესმე გაგიხსენებთ!

სწრაფად შეტრიალდა, ერთი კიდევ თვალები შეანათა გულნაზის და ოთახიდან გავიდა. მხლებლებიც გაჰყვნენ.

გოდერძი კვლავ ფეთქავდა და სავარძელშიც ვერ მოისვენა:

— უმმ, ჯტიფარი!.. — წამოდგა, გაიარ-გამოიარა. წამოიყვირა: — სპილოები? რა ჩაუდენიათ, რა?.. გულმა როგორ მოითმინოს, გრნებამ როგორ უნდა დასთმოს!.. არა, წასვლით ვერ წავალ...

ხმამაღლა იწყო ფიქრი გოდერძიმ.

— ჯნობით კი ვაცნობებ თამარ გულისხმიერსა, რა კაცებთანაც აქვს საქმე... ეს სულ იმ ჭახრაკ დადიანის განაზრია... ვნახოთ, ვნახოთ, როგორ ჩაგივლით... ბევრმა მოიტეხა კისერი, თამარის წინააღმდეგ წავიდა... ვნახოთ თქვენც რა ხვეირი დაგეყრებათ...

კიდევ დიდხანს ბორგავდა გოდერძი, დიდხანსვე ეალერ-

ოდა გულაბი. ბოლოს როგორც იყო, ძოაბეილა, ძოაძ-
ეა ბიძამისი და სიცილით დაითანხმა, რომ კვლავ კი-
ისათვის ხელი მიეყოთ. იცოდა გულნაზიმ კითხვას რა და-
ვიდებელი გაჭვლენა ჰქონდა ბიძაზე, მაგრამ გოდერძი ამ
დ იგავ-არაკებზე არ დათანხმდა. წმინდა გიორგის „ცხო-
ბაი“ მოატანინა.
ას მეტად უყვარდა ამ ლამაზი ლეგენდის მოსმენა და
თუ გულნაზის სძულდა მისი წაკითხვა. იქ გამოყვანილ
ეს ნაზ ასულს უდარებდა თავს და მოსწონდა, რომ გიო-
ათანა ვაჟკაცი მისი გულისთვის გველეშაპს სთრგუნავდა.
ქარგა ხანმა განვლო, მოშორებით დარბაზში ცვატა და
მხლებლები, ერთის გარდა, ვახშამს შეექცეოდნენ.
ს ერთი კი, ცვატას დერეფანში დარაჯად დაეყენებინა.
ეთუხუცესმა ბევრი სთხოვა, დარაჯი რათ გნებავთ, რაზე
ცხვენთო, მაგრამ ცვატას რალაც თავისი მოსაზრება ჰქო-
და არ დაუთმო.
ახლთუხუცესის გარდა ვახშმად მხოლოდ ორიოდ ფარე-
ემსახურებოდა სტუმრებს, თორემ ამ უზარმაზარ ციხე-
ბაზში თითქო ჭაჭანება არ იყო.
ამ ჟამად ფარეშებიც რალაზედაც დაასაქმებინეს სახლთ-
ცესს და დარბაზში არ იმყოფებოდნენ.
ეცრად ცვატას მხლებელი შემოვარდა.
— მოდის! — სწრაფად მიახალა შეზარხოშებულ ცვატას.
— ჩააქრე? — სწრაფადვე შეეკითხა ცვატა და სუფრაზე
ომთ სახლთუხუცესზე ანიშნა.
— ჩავაქრე. — გაისმა პასუხი, როდესაც სახლთ-უხუცესს
ლოდნელად ცვატას სამივ მხლებელი თავს დაესხა, ხელ-
შეუკრეს და პირში შეკუმშული ჩაბალახი ჩასჩარეს.
ვატა კარებში გაძვრა და ქედელს ატყუდა.
ოდის.
ეა წყვდიადია!
ი მისი ხმა წინ გადაეღობა, კივილი
— ვინა ხარ?.. დილვარდისავ!
იჩუმე, ყრუ ბრძოლა. ქშენა ისმის, ორი თავგანწირული
ვაზრდა სხეული ერთი მეორეს ეურჩება, ჯიუტობს, იდ-
ბა, იხვევა.
ვატა გიჟდება. აგერ შემოფლეთილი გულ-მკერდი. წყე-

ული სიბნელეა, ვერას ხედავს, მაგრამ მკლავებში გრძნობს ღონიერს ად მთრთოლვარე სხეულს, მგონი, ნაწნავები ჩამოეშალა... რა სურნელებაა!

და... კიდევ საშინელი, გულის შემზარავი კივილი.

ქალ-ვაჟი უკვე იატაკზე მოქცეულან. ეტყობა ქალის კაბა ნაფლეთებად ქცეულა, ფეხებში ედებათ ორივ მებრძოლთ, ხელებში ებლანდებათ.

ეტყობა კივილმა გასჭრა.

გოდერძიმ დერეფანში გამოიხედა. სიბნელისაგან ვერაფერი დაინახა, მხოლოდ ადამიანთა ქშენისა და ბღლაძუნის ხმა გაარჩია. მყის შებრუნდა, სწრაფად სანათი გამოიტანა და დანახულ სურათზე ერთი. ისეთი დაიბღავლა, გამგონთ ეგონათ ციხე-დარბაზის თაღები ჩამოიწვრაო.

გამოცვივდნენ მსახურნი და მოახლეები.

— შეჰკარით!

უბრძანა გოდერძიმ და რამდენიმე მსახურთ ძლივძლივობით ცვატას ხელიდან გამოგლიჯეს სახეშელახძული და ნახევრად გაშიშვლებული გულნაზი.

ამ ზრიალზე ცვატას მხლებლებიც ხმალამოწვდილნი გამოვარდნენ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ყველანი ხელ-ფეხგაკრულნი დარბაზში შეჰყარეს. იქ შებოჭილი და სულ-შეგუბული სახლთუხუცესი გაანთავისუფლეს და გოდერძის შემოეხვივნენ.

გოდერძიმ არ იცოდა, როგორ მოევლო გაბრუებულ გულნაზისათვის და რა დარწმუნდა, რომ ქალს ხიფათი ასცდენოდა, ისევ ქალებს ჩააბარა მისი პატრონობა.

თვითონ კი, რაღაც აკვიატებულ აზრს დაეპყრო და ოავეს მხლებლებს ათვალიერებდა.

— აბა, ეხლა რას მეტყვით, როგორ მოვიქცეთ? — მიმართა გოდერძიმ.

— რაღა როგორ უნდა მოვიქცეთ, შენი ჭირიმე!.. — შეჰბედა მოურავმა, — გაგვლანძღა და გაგვათრია, მაგრამ ძალიან დიდი კაცი ყოფილა და... ჩემის აზრით, დილამდე აგრე ეყარნენ და დილით კი თავის გზაზე გავისტუმროთ.

— არა! — უცებ მოწყვიტა გოდერძიმ. — ლირწებისათვის ტანჯვანაგი!..

ამ საშინელ სიტყვაზე, შელახული სახლთუხუცესი წკამიდან წემოიწია და განაცხადა:

— გოდერძი, აბა, რას გვიბრძანებ?! ვით ეგების?..

— ვით ეგების... ლირწებისათვის არ ეგების?! — შეჰყვირა გოდერძიმ.

— გებით კი ეგების, მაგრამ... დიდი ერისთავის შვილია, რუს-გიორგის მეგობარი და ამხანაგი...

— არა ვიცი რა!.. ის თუ ერისთავია, მე ჩორჩანელი გახლავარ... დამნაშავე უნდა დაისაჯოს!.. აბა, შეასრულეთ!

მსახურნი, სახლთ-უხუცესის სიტყვით წაქეზებულნი, ახრიალდნენ — არ ეგების, ერისთავიაო, — მაგრამ გოდერძიმ კვლავ თავისებურად დასჭექა:

— ნუთუ, მე ჩემს სახლში ბატონი და პატრონი არ ვარ?.. მართალია, სახლი ჩემი ძმის საპატრონოა, ხოლო ჩემი ძმა ეხლა დაყუდნებულია, მაგრამ უფროსი ვიღაა აქ, თუ არ მე?.. პასუხს მე ვაგებ ჩემი მეფის წინაშე!.. ვნახოთ, იქ როგორ შეაფასებენ ან მაგას, ან ჩემს საქციელს. გასწით, შეასრულეთ!

ესეთ სიტყვებზე მსახურთ ვეღარაფერი შეჰბედეს და გოდერძის ბრძანებით ცვატას მხოლოდ მათრახით აუჭრელეს ზურგი.

იმ დროს, როდესაც ეს ამბავი დარბაზში ხდებოდა, გოდერძი მოუსვენრად მიმოდიოდა თავის ოთახში და ფიქრობდა:

— რას ჩავდივარ! პირიმზემ რომ გაიგოს? — ასე ეკადრება!.. გულნაზიმ რომ შეშიტყოს? — ასე ეკადრება! ჩემმა დაყუდნებულმა ძმამ ქრისტიანობით რომ შეიბრალოს?

დილით გასავათებული ცვატა საკაცით გადააცილეს თავიანთ საზღვარს გოდერძის მხლებლებმა და გზაში სოფლად ხმა დაარხიეს: სტუმარი უეცრად ავად გაგვიხდა და არ ინება დაცდა, თავის სამფლობელოში დაიჟინა გამგზავრებაო.

ცვატამ კი, მოიშორა თუ არა გოდერძის მხლებლები, მუქარა დაიწყო:

— დამაცადოს! მე ცვატა არ ვიქნები, თუ სასტიკად არ გადავუხადო.

თავი მეოთხე

ქუსლი

1

შუადამეა.

გიორგი რუსს არ ეძინება მის სამყოფელოში.

იგი უკვე ისნის სასახლეშია მოთავსებული და მთელი კუთხე აქვს მიჩენილი იმავ შენობაში, საცა თვით თამარი ცხოვრობს.

მხოლოდ რამდენიმე დერეფანი ჰყოფს მათ სამყოფელთ.

არ ეძინება და ფიქრობს: ნუთუ სხვა უფრო ბედნიერი ვინმე მოიპოვება ამ ქვეყანაზე?

არ უფიქრნია და მეფე გახდა.

თავი არ გამოუცდია და ამ ეხლანდელ ომში გამოცდილებს აჯობა. ყველა ამას ღაღადებს, ყველა ამას ულოცავს. გრძნობს, რომ ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო აღამაღლა მისი სახელი, თვით მტრებს შორისაც.

არ ცდილა, თავისათვის ძალა არ დაუტანებია და საუკეთესო ქალი მისი საყვარელია: უტანდარი!

სხვა რაღა აქვს სანატრი? სიმდიდრე ანუ უხვად საიდან მოდის, თვითონაც არ იცის. ჰო, ეხლა კი ბევრი ნადავლი ერგო, მაგრამ აკი დაარიგა. ოო, ბლომად დაარიგა, არავისთვის გული არ დაუკლია. განსაკუთრებით ციოყს მისცა ბევრი.

რა ვაჟკაცია! რედედიას აგონებს.

— ოოჰ, რედედია!.. — გადმოეწთხა მწვავე მოგონება, მაგრამ ეს ხომ სამუდამოდ დაღუპული ამბავია!

რისთვის ამზადებდა თავს რედედიასთან ერთად!.. ეგ ჰო, მხოლოდ კუზმა ოცნებობდა რაღაც ვლადიმირის სამთავროზე, მგონი, კიევზე და ნოვგოროდზედაც... რაღაც იმპერიის დაარსებასაც ჩასჩიჩინებდა მუდამ...

ჰო და, ეხლა ვინ უშლის, რომ დაარსოს იმპერია.

ხომ მეფე არის...

მართლა, ვინ არის მეფე საქართველოში?

აკი მეფედ მე ვარ აღიარებული. მრმილოცეს, შემომფი-

ცეს, მეფედ მახსენეს... მაგრამ ეს იქ... იმერეთს. აქ კი? აქ მეფეს არ მეძახიან თითქო. რათა? მე ხომ ვაჟი ვარ, ქმარი ქართველთა დედოფლისა... დიაღ, ქმარი! დაწინდვის შემდეგ ვაჟი ქმარი არისო, აკი მარწმუნებდნენ. მაშ, რათ არა ვარ ქმარი?

რომ არ მინდა? თამარი სულ რომ არ მომწონს, როგორც ქალი... მაშ, თუ არ ვექმრე, მეფეც არ ვიქნები.

არა, მეფე მე ვარ, რაღა თქმა უნდა! მხოლოდ ქმარი კი... არ მინდა...

ჰმ... თამარის ქმრობა! ვერ წარმომიდგენია. ტყუილად კი არ ამბობს უტანდარი, ეგ წმინდანია ვიღაც. განა წმინდანს ქმრობა შეიძლება?...

არა, ხვალ შევკრებ თათბირს და დადიანს ვეტყვი, რაღას აყოვნებს, გამოაცხადოს, რომ ამიერით მეფე მე ვარ და თამარი-კი — მხოლოდ დედოფალი.

სახელმწიფო საქმეებიც, მაშ, მე უნდა მეკითხებოდეს. ასეა! დადიანი გამოაწყობს ამას. დადიანი და ჩემი გუზანი. ოჰ, ეგეც რა ვაჟკაცია! გულდამშვიდებით ვერ შემიხედნია...

ჰა, ჰა! საცოდავი ცვატა, რა მიამბო, ეხლა რომ ჩამოვიდა! მშვენიერი ქალი კი ყოფილა, მაგრამ რომ არ დასცლია... ჰა, ჰა! ისეთი კი გაუჯოხავთ უბედური, რომ ჯერ კიდევ წელი ხეირიანად ვერ გაუმართავს... არაფერია, ვაწუგეშე. ეი ნადირობას მოვიმიზეზებ, დიდი ამბალით წავალ და გულის ბუხარს ამოგიყრი-მეთქი...

ჰააჰ! — მთქნარება აუვარდა... ტვინი ჯერ კიდევ ბურანში არ იყო. — კარგი იქნება... ეხლა კი მეძინება... დავიძინოთ.

კედლისკენ გადატრიალდა.

თვალები მოხუჭა და მყისვე ყურში მკაფიოდ მოესმა უტანდარის მომაჯადოებელი ხმა და სიტყვები.

თითქო აქ იყოს, კვლავ მის გვერდით.

ისევ აქეზებს!

მერე, რა შეუვალად, რა მომხიბლავად.

ეს ღიმილი საარაკო, წითლად გახლეჩილ ბაგეთაგან, კბილთა სალაფის შუქად, უცნაურად გადმომდინარე.

რა მიუწვდომელია თავისი ცბიერებით, რა გაუგებარი თავისი გიჟური სიყვარულით.

უყვარს და უთმობს მის საძულველ არსებას.

უყვარს და ელევა.

ჰმ... მიხვდა, მიხვდა მხოლოდ ეხლა. რამდენჯერ მოისმინა უტანდარისაგან, რამდენჯერ იფიქრა თვითონაც... აგერ ეხლაც არ ფიქრობდა? და მხოლოდ ეხლა მიხვდა პოლოვეცის ტყეებში აღზრდილი რედედიას მოწაფე:

— ეგ წმინდანი გათელე და დაიმორჩილე!

რა საშინელი ქალი ყოფილა უტანდარი! კი არ უთმობს, კი არ ელევა, პირიქით!

შეურაცხყოფა უნდა მიაყენოს თავის მძლავრ და კანონიერ მეტოქეს. უნდა გააქელვინოს თავის საყვარელს, იმისათვის, რომ ეს საყვარელი კიდევ უფრო მიისაკუთროს, იმისათვის რომ...

თამარის ტახტზე თვითონ დაჯდეს და უდედოფლოს იურის და მთელს ამ მძლავრ სახელმწიფოს.

გიორგი რუსი ხომ მეფეა ეხლა... აღიარებული ქართველობა მიერ...

რასაკვირველია, მეფეა!.. დადიანი ამას გამოაცხადებს საბოლოოდ ხვალვე.

თამარი შეურაცხყოფილი, თამარი განლიზღებული მეფის მიერ, ვით მხეცალი ვინმე უბირი და უპატრონო, თვით მის მომხრეებშიც დაჰკარგავს პატივს, სიყვარულს, მოკრძალებას.

მას ესე დამცირებულს ზურგს შეაქცევს ყველა და...

მაშინ ვინ დაუშლის საქართველოს მეფეს...

შეიყვლოს ვინც ენებება!

არა, უტანდარი ღირსია ამისი!.. და მართლაც, როგორი ვარ, რა გლახაკი ვარ...

ერთ ჭერ ქვეშა ვცხოვრობ ამ ქალთან ერთად... რა ვუყოთ, რომ წმინდანია, წავიდეს მაგისი წმინდანობა!.. მხოლოდ რამდენიმე დერეფანი გვყოფს და მე კი, ამ ქალის მეფეცა ვარ და ქმარიც...

ერთხელაც კი არ გავკარებივარ... როგორ მიბედავს?

მამაცურად მყის ზეწამოიჭრა და ნადავლში მოყოლილი, ცარმიანელ თურქთაგან წართმეული, ძვირფასი ხალათი გადაიცვა, შიშველი ფეხები ფლოსტებში გაჰყო და წასვლა დააპირა, მაგრამ მომცრო მაგიდაზე თვალი მოუხვდა.

დიდი ხელდოქით სანთლის არაყი იდგა და თვლებით შემკული, კარგა მოზრდილი, ოქროს თასი.

ერთი-ორი გადაჰკრა. კიდევ უფრო მამაცურ გუნებაზედ დადგა. ტვინში მეტის სიხშირით უელავდა:

როგორ მიბედავს?! აქ არის, ჩემია და არ გავქელო!

დერეფანში გამოიარა, დარაჯები მორიდებით თავს იხრიდნენ და არას ამბობდნენ, მხოლოდ ეტყობოდათ გულში აკვირვებდათ მეფის მეუღლის ასეთი მორთულობა.

თამარის კარებს მიადგა. აქაც დარაჯმა თავი დახარა. ამანაც მორთულობა აუთვალიერა: ეტყობოდა კი, ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ ესეც გაიფიქრა: მეფეების ცხოვრებაში ჩარევა რა ჩემი საქმეაო და პატივისცემით მოფარდაგული გადაუწია.

მოფარდაგულთან გამდელი პირი-მზისა დაბალ სკამზე სთვლემდა.

რუსის შემოსვლაზე სწრაფად ზეწამოიჭრა და უფლისწულის ხალათს ორივ ხელით ჩაეჭიდა, მაგრამ იურიმ მხრებში ხელი ჩაავლო და ერთი ისეთი მოიქნია, რომ კინალამ ტკინი კედელს შეასხმევინა.

თვითონ კი, მტკიცე ნაბიჯით თამარის შინა სამყოფიოსაკენ გასწია.

აქაც ფარდა იყო. რომ გადაჰხადა სრულიად თეთრებში გამოწყობილი უცხო ასული, მხრებზე თმებგადმოშლილი ფეხზე იდგა და სადავითნესთან რაღაცას კითხულობდა.

იურიმ პირველად ვერ იცნო და კიდევ მეტის აღტკინებით მიეჭრა ამ წარმტაც სხეულს დასაპყრობად.

აი, გაშალა კიდეც ხელები, აგერ მის თმებს თითქმის შეეხოს კიდეც...

ქალმა აიღო თავი წიგნისაგან და წმინდა რუსულით უბრალოდ უთხრა:

— განვედ ჩემგან!

პირუტყვი გაქვავდა და ადამიანი წაეფარა წინ.

ადამიანმა კი იცნო თამარი. მკლავები მოეშვა, მუხლთ მოეკვეთა და, აქვითინებული, პატიებას ითხოვდა.

— არა გრცხვენისთ? ადექით ზეზე...

იური ფეხზე ძლივს წამოდგა. თამარი კი ლმობიერად ეუბნებოდა:

— როგორ ცხოვრობ, უფლისწულო, ერთხელ მაინც არ ჩაფიქრდი? აი, რას ჰგავხარ... სასმელთაგან წარტაცებული!..

გინდა რომ იყო საქართველოს ტახტის ღირსი?.. დაიმსახურე... მალე გაივლის ეს წელიწადი.

იური თითქო ცოტა გამოცოცხლდა. პირუტყვი ისევ იღვიძებდა. ასე ახლოს, ასე შილიფად თამართან ჯერ არასოდეს არა ყოფილა, ერთ-ორი სიტყვაც კი არ უთქვამთ ერთი-მეორისათვის. ეხლა-კი, გრძნობდა უცნაურ და თავბრუდამხვევ სითბოს თამარის სხეულისას, რაიც არასოდეს, არც ერთ ქალთან არ განუცდია.

— მიზანს ის ეწევა, ვინც დაიმსახურებს...

თითქო იმედის მომცემი ღიმილითაც კი უთხრა თამარმა ეს სიტყვები.

გათამამებული პირუტყვი სულ გამოვიდა სააშკარაოზე და თამარის მოსახვევნად იურის ხელები კვლავ ალიმართნენ.

უცრად... თამარი წელში სრულიად გასწორდა, ცოტა უკუდგა, თითქო უცნაური რამ შარავანდედი გადაეფინა და შეუვალად უბრძანა:

— განვედ ჩემგან!

იურიმ არ იცის რა მოუვიდა, მხოლოდ დარეტიანებული, ერთი წუთის შემდეგ, ნაცემი მხეცივით გამოვარდა თამარის სამყოფელოდან და სულ ბურტყუნ-ბურტყუნით გაიარა დერეფნები. მიაღწია თუ არა თავის სამყოფელოს, შმაგივით შეშევარდა, რამდენიმე თასი არაყი კიდევ გადაჰკრა, შეწდეგ მაგიდას ფეხი ჰკრა და რაც ზედ ეწყო, სულ მილეწ-მოლეწა. დიდხანს იბორგა ოთახში. მერმე დარაჯს მსახურნი დაალვიძებინა, ახალი სუფრა მოითხოვა, შეჩანგენი იხმო და ცვატაძესთან კაცი გააგზავნა.

იმათ ლოდინში კი მკვდარივით ჩაეძინა.

საცოდავი, საცოდავი!.. იმეორებდა თამარის ბაგე იურის გამოვარდნის შემდეგ... და ტყავ-გადაფარებულ მარწარილოს სახელურზე ხელი ჩამოედვა.

დიდხანს მძიმე ფიქრში იყო ჩაღრმავებული. შემდეგ თავის გადიას დაუძახა:

— ხვალ დილით კუზმა მოიწოდე.

კუზმა რომ გიორგი რუსთან შევიდა, შუადღეზე ცოტა მეტი იქნებოდა. გიორგი ის იყო დგებოდა საწოლიდან, მსახური ტანისამოსს აცმევდნენ.

— აა, ძლივს არ ვეღირსე ჩემი ლალას ნახვას! — მხიარულად შემოეგება გაზრდილი.

ყმაწვილი სახე სათნოდ უცინოდა, მაგრამ თვალები მაინც ამღვრეული ჰქონდა, სახე დაჯირჯვლებული და მთელ მის შესახედაობას ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ კარგა დარეტიანებული იყო.

მაინც თან იმოსებოდა და თან ეხუმრებოდა ჭირნახულ გამზრდელს.

— სულ დამივიწყე, კუზმა... რაც ის ახალგაზრდა ქალი შეირთე, სულ ქვა მომაგდე.

კუზმას უხუმარი სახე ჰქონდა და თითქო იმას უცდიდა, სანამ მოირთვებოდეს, სთქვას რაც უნდაო.

— ციოყი მეუბნება, კუზმა, ასეთ ცოლ-ქმარს ვერ ნახავო! მართალია?.. უცნაური საქმე მოახდინე, გამზრდელო... მშვენიერი ქალი ხელთ ჩაიგდე და სახლში ჩაიკეტე... მე კი, სულ დაგავიწყდი. ამ ეხლანდელ ომშიაც კი არ იყავი.

— ომს მოვესწრებით, იური! აგერ ადარბადაგანის მფლობელებთან მოგველის ომი...

— მართლა?.. — სიხარულით შეჰყვირა იურიმ და თითქო ერთი ორად გაიზარდა.

კუზმასაც გული აუჩვილდა: ვაჟკაცად აღზრდილ [illegible] ეს... საძაგელი. მართალი მიბრძანა ამ დილით თამარმა: წასახდენი კაცი არ არისო... დიაღ, არ არის, მაგრამ რა ეშველება... რა გამოუცვლის ამას ხასიათს... კიდევ ვცდი, მოველაპარაკები...

იურიმ უკვე პირი დაიბანა და ახლად მორთმეულ საუზმეს მიუჯდა. კუზმაც მიიწვია.

პირველად უგემურად ეპყრობოდა საუზმეს, მაგრამ რამდენიმე თასი არაყი რომ გადაჰკრა, მადაც გაეხსნა.

კუზმამ არაყი არ დალია და იურისაც სთხოვა თავი შეეკავებინა. გააფრთხილა, რომ ის დიდ საქმეზე იყო მოსალაპარაკებლად მოსული და საჭირო იყო იურის ფხიზელს მოესმინა.

იური გაიბუტა, ტახტზე გადაჯდა, გულხელი დაიკრიფა და გარინდდა, თითქო ამითი სთქვა: მზათა ვარ, გისმენო.

კუზმამ მსახურნიც დაითხოვა და შემდეგ დაიწყო:

— იური, როგორ იქცევი?.. გრძნობ კი რას ჩადიხარ?.. წუხელი მაინც რა ჩაგიდენია?..

იურის გულწრფელად გაუკვირდა:

— რა ჩამიდენია?

— ვითომ არ იცი, არ გახსოვს?

— არა, არ მახსოვს... რა ჩავიდინე? წუხელი სახლში ვიყავი და ნაქეიფარზე მეძინა...

— ჰმ... გეძინა კი არა...

და მოუყვა რაც ჰქონდა ჩადენილი.

პირველ ხანად იური დიდ უარზე იყო. მართლა არ ახსოვდა, მაგრამ თანდათან კუზმას ნაამბობი ენიშნა, დაბოლოს, სიცილი აუტყდა.

კუზმა შეშფოთდა. წამოდგა,

— რა გაცინებს?.. სინანული გმართებს... ბოდიშის მოხდა და შენ კი იცინი?!

— ბოდიში? ვისთან? მე, მეფემ და სარდალმა... ვაჟკაცმა, ქალის წინაშე ბოდიში უნდა მოვიხადო!

— რომელი მეფე, აბა, რას ამბობ, იური!.. მე ხომ ვერ მომატყუებ... რა ვუყოთ, რომ გითხრეს... ეგ საჭირო იყო ზოგიერთისთვის, თორემ ჯერ კიდევ სადა ხარ!.. თამარმა რომ მოინდომოს, ანაზდად გადაგაგდებს.

— ვერც გადამაგდებს და ვერც ვერას მიზამს!.. — თანდათან ჯიუტობა ერეოდა იურის. — ეგ მხოლოდ ჩემი მეუღლეა და სხვა არაფერი!.. კიდევ დამიმადლოს, რომ წუხელის თავი შემიკავებია.

— იური!.. — კუზმას ხმაში სისასტიკე გამოისმა, — სიცრუე არ გეკადრება! თავი შეიკავე კი არა! მან გძლია თავისი ძლიერებით.

იურიმ უგემურად გაიცინა.

— როგორ, თვითონ გითხრა?

— ოჰ, იური. იური!.. რა შორსა ხარ ჭეშმარიტებისაგან!.. თვითონ მითხრა კი არა ასე იყო, თამარი ისეთი ქალი არ არის, რომ ახირებულად რაიმე შეჰკადრო, ისიც გალეშილმა

და ძალზე მთვრალმა... ხომ ასე იყო, რომ თვით ვერ შეჰბედე?

იური ცოტა მოლბა. ნათლად წარმოუდგა წუხანდელი სურათი და მისმა უმეშვეო ბუნებამ ტყუილი ვეღარ თქვა. ყრუდ ჩაილაპარაკა:

— დიაღ, ასე იყო.

— ჰო და... რისი იმედით ჯიუტობ?.. იმუქრები... ხელში რა გიჭირავს?.. რომ დაინიშნე?.. პირობებმა შეგიწყო ხელი, ყივჩაყთა ჯარმა დიდი სამსახური გაგიწია, დადიანს და აბულ-ასანსაც დიდათ უნდოდათ... იმერლობაც იმათ მოგიბრეს. ეს ყოველივე მართალია, მაგრამ ეს ასეა დღეს... ხვალ კი, თუ ასეთი საქციელი განაგრძე, ყველა მომხრეები შემოგეცლება და ისინიც შენი მტრების ბანაკში გადავლენ. მტრები კი ბევრი გყავს, იცოდე, ყველა ეს მხარგრძელები, მარუშიანი, კახაბერი და სხვა აქაური წარჩინებულებიც ჩუმად არიან, რადგან, მაინცდამაინც თამარი შენს მხარეზეა და... ელოდებიან. ერთი შენი შემცდარი ნაბიჯი და... ყოველივე დაიღუპება. შენ კი ამაზე სულ არა ფიქრობ... მარტო ლოთობას და გართობას ეძლევი, გარყვნილ ცვატასთან ერთად... საქმე მიღწევა კი არ არის, საქმე შენარჩუნებაა მიღწეულისა. შენ, როგორც ვატყობ, შეინარჩუნებ კი არა...

— მაშ, როგორ უნდა მოვიქცე? — უსუსურად წარმოსთქვა იურიმ. კუზმას გაეხარდა, რომ იური ასე მოლბა, რომ ისევ მისკენ პირი იბრუნა და პასუხი არ დაუყოვნა:

— როგორ უნდა მოიქცე და სმისაგან თავი უნდა შეიკავო... თამარს უნდა დაუახლოვდე... მხოლოდ ეგრე მხეცურად კი არა, უნდა მორჩილებით და თანაზიარათ მიხვიდე... უნდა შეეკითხო, ისწავლო მისგან სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, დიდი და მეტად დიდი საქმეა ჯარის სარდლობა, მაღლობა ღმერთს, ამაში თავი იჩინე კიდეც და ეს გშველის ამჟამად. ყველას თვალში მხოლოდ ეს საკმაო არ არის, სხვაც უნდა შეისწავლო საქმე მეფობისა, უნდა მიიღო მისგან რჩევა და დარიგება...

— ეგრე ვიქ!.. — თითქმის აცრემლებული ამბობდა იური.

— ჰო, და-ა, სწორედ ეგ იქნება საუკეთესო. — ვაჰ, რომ სამეფოდ ვერ აღგზარდე...

მივიდა კუზმა და ფერხთით წალიჩაზე მიუჯდა იურის.

— უპატრონო დარჩი... აღმზრდელი აღარავინ არ ღმრთ გიჩნდა, მე მაგისი თავი არა მჭონდა, მე მხოლოდ შენს სიცოცხლეს ვუფრთხილდებოდი... ამიტომ არა გაქვს გარჩევა კეთილისა და ბოროტისა... ვერ ერკვევი ვინ არის მტერი ვინ არის მოყვარე! არ იცი საით წარმართო შენი ჯაბუკური ძალთა-ძალი. იმიტომ რომ, აღმზრდელად მხოლოდ რედედა შეგრჩა ხელში.

რედედიას ხსენებაზე იური კვლავ შეირყა. თითქო მის წმიდა-წმიდათას შეეხნენ და მუხლი, რომელსაც ხალიჩაზე წამოწოლილი კუზმა უალერსებდა, აუძიგძიგდა. კუზმა კი განაგრძობდა:

— თამარი კი როგორ ფიქრობს შენზე. დიდად მოაწონს შენი ვაჟკაცობა...

კუზმა თითქო არბილებდა იურის, ულოლიავებდა, უგუნურებდა, მაგრამ იური სწორედ ამ ალერსის დროს თანდათან შორდებოდა, უცხო ხდებოდა მისთვის.

რედედიას ხსენებამ სულ აუფორიაქა გუნება და სულ იმ უფეთქავდა ერთგვარ აზრად: დაილუპოს ყოველივე, მე რაც მწამდა ის უნდა ვიწამო, იმას უნდა გავყვეო.

რედედიას სახეს კი უკვე წინ ეფარებოდა უტანდარი და ეს ორი სახე ერთი მეორეს სცვლიდნენ იურის სანეტარო. ამ ორში იურისათვის იყო გამოუთქმელი ნათესაობა... საშინ აღვირაშვებულის გრძნობა, შილიფობა სხეულის ნეტარებით გამახვილებული იყო უკიდურესობამდე.

სწორედ ამ დროს კუზმა ეუბნება:

— თამარი ესეთი სულიერი მეგობარია შენი და შენ კი უტანდარს თავს დასტრიალებ... არა, ამაზე ნურას ვიტყვით, ვიცი ეს ამბავი და-ნამდვი...

სიტყვაც ველარ დაათავა კუზმამ.

იური, რომელიც აქამდე თანდათან ივსებოდა უკმაყოფილებით, როგორც შეტბორებული მდინარე, უეცრად გადმოვიდა ამ ჯებირს და.

სწრაფად მუხლი გამოაცალა კუზმას, ქუსლიანი წალა რუტყვის წიხლივით გაისროლა და შიგ ტუჩებში მოაკვდინა მის ჭირნახულ გამზრდელს.

სისხლი. გაფურთხება. ჩამტვრეული წინა კბილები.

ჩაბნელებული წყენისა და ტკენისაგან, აიშალა სხეულ

კუზმასი და განურჩეველი ყრუ წყევლა აღმოხდა მკერდიდან.

გულმოკლული, ხელმოცარული, მიზანდაღუპული და აზრგანძარცული უხმოდ გავიდა კუზმა იურის ოთახიდან.

იურიმ ერთი თავისუფლად ამოისუნთქა და მუთაქაზე წელით მიესვენა.

თავი მეხუთე

ჯურში მჯდომი

6

ბაზალეთის მეწყერში დაშავებული შაქარა ბოლოტუაშვილი ამჟამად იმდენად იყო მომჯობინებული, რომ ქსენონის ოთახში სიარულის ნებას აძლევდნენ.

ამჟამად იგი გულ-აღმა თავის ლოგინზე იყო წამოწოლილი და თავის თავს ჩაღრმავებოდა.

რაც მომჯობინდა, მას შემდეგ ქსენონში ყოფნა მისთვის დიდი საწურთნელი შეიქნა.

რეები არ გაიგო, რა არ შეიტყო.

აქამდე თითქო ჯურში მჯდარიყოს. სულ არაფერი არ სცოდნია ამ ქვეყნისა.

მას ძალიან უბრალო წარმოდგენა ჰქონდა ქვეყნის ტრიალზე. ეგონა, რომ ქვეყანას მის სურვილზე მხოლოდ მეფე განაგებს, როდესაც მოესურვება ომს ასტეხავს და იომებს, როცა არა, შინ მშვიდობიანათ ზის, განცხრება და თუ ამოიგუნებებს, ან რაიმე დღესასწაულის გამო, ხალხს ხარკისაგან განთავისუფლებს, ზოგჯერ მთელი წლობითაც და ყოველსავე გასაჭირს მათ განარიდებს.

აქ კი საქმე სულ სხვაგვარ ყოფილა. ყოველივე მეფის სურვილზე არ არის დამოკიდებული. აი თვით ეხლანდელი გათხოვებაც. შაქარამ კარგად გაიგო, რომ თამარს არ უნდა, მაგრამ იძულებულია მისთხოვდეს მისთვის არასასურველ კაცსა.

შაქარამ ეხლა უკვე იცის, რომ ყოველსავე მოვლენას ცხოვრებაში ათასი ღრმა მიზეზი ჰქონია, რომელიმე ერთ

პიროვნებაზე, თუნდა მეფეც იყოს ეს პიროვნება, დამოკიდებული არ ყოფილა.

კარგად გაიგო ისიც, რომ ხალხი ამჟამად ნივთიერად ღონიერია და კმაყოფილი, მაგრამ მაინც მის ბედს მარტო მეფე კი არ განაგებს, არამედ სულ სხვა მძლავრი ხელისუფალნიც ამა ქვეყნისა, და ხშირად ეს ხელისუფალნი მისდევენ საპირადოს და ხალხის კი არა ენაღვლებათ რა.

ბოლოტუაშვილებს კიდევ რა უჭირთ, ეხლა მზლავრმა დააზარალა, ეს არის უბედურება, თუმცა თამარს დიდად დაუსაჩუქრებია ხალხი, თითქმის აღუდგენია მათი ზარალი და ბევრად უკეთესს ალაგსაც მიუჩენია სამოსახლო ადგილები, მაგრამ ბოლოტუაშვილები აზატები არიან და მაშასადამე, თავისუფალნი ყოველგვარი ბეგარისა და შევიწროებისაგან.

სხვაგან არის თურმე მეტი შევიწროება თავადთა და ერისთავთაგან. იქა-აქ ჩუმად და ფარულად ტანჯვანაგსაც ხმარობენ, ზოგან, ვითომ რაიმე მიზეზის გამო, სასჯელის მოსახდელად, გლეხებს აწიოკებენ კიდეც და მათ ოჯახებს ანადგურებენ. მამაკაცებს სხვადასხვა ციხეებში სამსახურად წლობით გადაარიგებენ. ახალგაზრდა ქალებსაც, იდუმალათ ჰყიდიან თურმე.

მართალია, თამარმა თუ გაიგო ხეირს არ დააყრის ამის მქნელსა, უპატიოთ გახდის და საპატრონოს ჩამოაშორებს, გლეხობას კი ისევ აღუდგენს ყოველსავეს რისი აღდგენაც შესაძლებელი იქნება, მაგრამ თამარის ყურამდე იშვიათად თუ მიაღწევს ესეთი ამბები.

შაქარა კარგა ვერ ერკვეოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ასეთი ამბის გახსენება მას ბრაზსა ჰგვრიდა და ერისთავების საწინააღმდეგოდ საომარ გუნებაზე აყენებდა.

არ იცოდა, მას პირადად რად აწუხებდა სხვისი გასაჭირი. თვითონ ხომ ლაღათ იყო, შეძლებული და აზატი; მაინც მასი გრძნობა ამისთანეების გაგებაზე უფრო და უფრო იმღვრეოდა და არ იცოდა რა წამალი დაედვა.

ამისთანა ერისთავები უნდა მოჰკლათ, ხშირად უელავდა ფიქრი, მაგრამ აბა საიდან... ერთი კაცი ყაჩაღად რომ გავარდეს, ყველას თავს ვერ დაუარს, თვითაც სადმე წააგებს თავსა და თვით გაჭირვებულნი და შეიწროებულნი კი, ეტყობათ რომ გლახაკებია და ვერას ჰბედავენ.

რაც დრო გადიოდა, სულ ამგვარ საგანთა გარშემო ტრიალებდა მისი ფიქრი და აზრისაგან ვერ განეშორებინა.

უნდოდა ვისთვისმე გაეხიარებინა თავისი ნაფიქრი, მაგრამ ქსენონში ისეთი ვერავინ ეპოვნა.

მხოლოდ ერთხელ ქსენონის ერთ ზემდეგს გამოელაპარაკა, მაგრამ ზემდეგი ისე შეშინდა შაქარას ნალაპარაკევით, რომ ყური მოიყრუა, თითქო ვერა გაიგო რა და დაფეთებული გაიქცა.

ისევ დოდო იყო მისი გაჭირვების ტალკვესი.

ისევ დოდო უსმენდა ფართოდ გაღებული თვალებით ბრაზნარევ მის საუბარსა. ბევრში ეთანხმებოდა, ბევრი რამ უკვირდა — ნუთუ მართლა ესე ხდებაო და ბოლოს ქრისტიანულ ნუგეშზე გადადიოდა.

მასალბუნებული იყო შაქარასათვის დოდოს სიტყვები, თითქო გულს უფონებდა, თითქო წყლული გააყუჩაო, მაგრამ სრულიად მაინც ვერ აკმაყოფილებდა, რადგან ეს არ იყო ის ზედმიწევნითი წამალი, რომელსაც შაქარას გონება დაეძებდა.

გონებას კი, გამოსავალი უთუოდ უნდოდა მოეძებნა და ბოლოს თანდათან ის აზრი განუმტკიცდა, რომ ყოველივე მის მისაზრებას მოახსენებს თვით თამარს, შეიძლება მან ბევრი რამ არც კი იცოდეს და შეიძლება ეს წამალი თვით თამარმა გამოძებნოსო.

თამარის გახსენებაზე კი გული ისევ უჩქროლავდა და უცხო რამ ნეტარება გრძნობაში ჩამდინარებდა.

თუმცა ეს გრძნობა სულ არ გავდა მის პირველ დარეტიანებას.

ეხლა ამის გახსენებაზე დასცინოდა კიდეც თავის თავს: რა მომივიდა, ვაჟკაცმა თავი როგორ ვერ შევიკავეო. ვერც ეხლა აეხსნა რა იყო ის ძალთა-ძალი, რომელმაც მაშინ ეგრე ღონივრათ შეარყია, მხოლოდ ეხლა ეს იცოდა, რომ ივი თამარისადმი იყო გამსჭვალული განუსაზღვრელი ერთგულებით, არა ამქვეყნიური მოწიწებით. ეხლაც ეგრე ჰყავდა თამარი წარმოდგენილი. არა ამქვეყნიური არსება არის, ღვთიურია რაღაც და იმავ დროს საშინელი მახლობელი, გულს ჩასასმელი და... საბრალო...

თვით უკვირდა შაქარას, მაგრამ ერთსა და იმავე დროს გრძნობდა, რომ ეს ქალი დიდად ტანჯული იყო.

ვერ აეხსნა რა იყო ტანჯული, რა ჰქონდა შესაბრალისი, მაგრამ მის გრძნობაში ასე კი იყო.

და მით უფრო მწვავე იყო თამარის გახსენებაც კი.

პირველ ხანებში, როდესაც თამარი ავადმყოფთა სანუგეშებლად ქსენონში შემობრძანდებოდა, თვალის გასწორებასაც ვერ უბედავდა და ჩაყვითლებული, ძლივს ერთ-ორ სიტყვას გამოსძებნიდა თამარის მოკითხვის საპასუხოდ. მაგრამ შემდეგ, თანდათან, როდესაც თამარი რაღაც საკვირველის მინაურობით მოექცა, ისე ვით დედა შვილს ამხნევებს და უალერსებს ხოლმე, შაქარაც უფრო გამხნევდა, გრძნობა თითქოს გადაეწმინდა და თვალ-გამართული უბრალოთ, სადათ გამოელაპარაკა.

თამართან უკვე თავს ისე გრძნობდა, თითქოს სადღაც ძალიან მახლობელთან იმყოფებაო, მხოლოდ ამ მახლობელს მოწიწება უნდაო, გულწრფელი თაყვანის ცემაო.

როდესაც თამარი წავიდოდა, მაშინ კვლავ იწყებოდა გულის ჩქროლვა ნეტარი და მოურევნელი სურვილი ამ ღმერთქალისათვის თავდადებისა.

ეხლა კი კარგა ხანია თამარი არ მობრძანებულა. დოდომ გადასცა, რომ დიდად მოუცლელია, დღე მუდმივ თათბირი აქვს დიდებულებთან, რაღაც დიდი საქმის სამზადისშიაო.

იმ რუს-გიორგიზე კი ვერაფერი კარგი ხმები დადის, ვაჟკაცი კარგი ყოფილა, ლაშქრობა კარგი სცოდნია, მაგრამ მეტად უღირსი პიროვნებაა თურმე. ლოთობისა და გარყვნილების მეტს არას აკეთებსო.

დღესაც უნდა მოსულიყო დოდო... რაღაც ამბავი გავიგე — ვითომ გიორგი რუსი თამარს ღამით სენაკში შევარდნოდეს და დაწვრილებით კი არა ვიცი რა. მაგრამ კიდევ უფრო თაფლოს უამბობაა შესაწუხარი. აქამდე დოდომ ვერა შემატყობინა-რა: მომჯობინდა, ისევ-ისეა. აგერ მე გამოვრჩი და თაფლო კი ისევ ისე მძიმე ავად არის. რაღა ორივე და-ძმა ერთსა და იმავე დროს გავხდით ავად? მაგრამ აი დოდოც.

— დოდო ბატონო, სალამი თქვენდა!

— როგორა ხარ, შაქარ? მალე გამოხვალ კიდეც ქსენონი-

დან, არა? ექიმმა მითხრა, რომ ერთი კვირის შემდეგ შეუძლიან სახლში წავიდესო...

— დიაღ, დოდო ბატონო! ეგრე მანუგეშებენ, მაგრამ ერთი თქვენს მზეს, თაფლოს ნამდვილი ამბავი გამაგებინეთ... კიდევ ვერ დაეტყო მომჯობინება?

დოდო ამ კითხვაზე უსიამოვნოდ შეირყა და ცოტა ფიქრის შემდეგ ასე უთხრა:

— შაქარ!.. მადლობა ღმერთს, ეხლა უკეთა ხარ... ვაჟკაცი ხარ და... მეც მეყოფა ამდენი ტყუილები.

შაქარა დაფეთდა, ხმის კანკალით ჰკითხა:

— რაო? ხომ არ მომკვდარა?!

— არა, შაქარ, არ მომკვდარა...

— გაიტაცეს? — კინაღამ შეხტა შაქარა. — სად, ვინ როდის?

— კარგა ხანია, მაგრამ აქამდე ვერ გეუბნებოდით და ავადმყოფობა მიტომ მოვიგონეთ, რომ არ გაგკვირვებოდა თაფლოს მოუსვლელობა. გატაცებით კი აბუბექრს გაუტაცნია...

— აბუბექრი ვინ არის? — შუბლშეჭმუხვნით იკითხა შაქარამ.

— აბუბექრი სელჩუკიანია, ადარბადაგანის მფლობელია... სულტანი იქნება მალე.

— სულტანი? ურჯულო?!

— ჰო, მაგრამ ნუ შეშინდები... თაფლო ისეთი ქალი არ არის, რომ ტყვეობამ შეაშინოს. ის ისეთი ნაჭედი პიროვნებაა, რომ თუ აწამეს, წამებას მიიღებს. ღირსეულათ და თუ შეივრდომეს, ის მარტო მხეცლად არ დაუჯდება აბუბექრს. იგი იქნება ნამდვილი მეუღლე, თვით აბუბექრს მოარჯულებს.

შაქარა ვერ დააკმაყოფილა დოდოს ნუგეშმა.

იგი უკვე სულიერად ბორგავდა და სხეულებრივათაც მოუთმენლობა დაეტყო.

შუბლზე, წარბებთან, ორი მაგარი ნაოჭი შეესკვნა და მძიმე საფიქრალს მიეცა.

არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა დაებირებინა.

დოდო მიუხვდა შაქარას, რომ წუხდა და ამაზე ასე მოუარა:

— ცხადია, სამაგიეროს გადახდა გინდა... მე თაფლოსი არ მეშინია, ის თავს არ წააგებს და შეიძლება გვასახელოს კიდეც... მაგრამ შენი სურვილიც კანონიერია. მაგასაც ეხლა ადვილად მოახერხებ. დღეს გავიგე, რომ ჩვენები თურმე სწორედ გელაქუნისაკენ აპირებენ გალაშქრებას, რადგანაც ყოველი თურქმენობა ამხედრებულა ჩვენთან საომრად. ამ ერთ კვირაში გავლენ კიდეც და აი... შენც შეგიძლია ჩვენს ლაშქარს გაჰყვე, იქიდან კი შეგიძლია აბუბექრთანაც როგორმე მოხვდე, და თაფლოც ინახულო. ხოლო თუ აბუბექრთან ბრძოლა მოგიხდეთ, სამაგიეროსაც მაშინ გადაუხდი.

ეს მოსაზრება შაქარას დიდად მოეწონა და დიდოს დაუდასტურა, რომ უსათუოდ ისე მოიქცევა, მინამ კი ისევ ძველი ნაფიქრი გაახსენდა და გულში გადაწყვიტა, გალაშქრებამდე პირიმზეს მაინც ვნახავ და ომში თუ მომკლეს, ჩემს ნააზრს ანდერძათ მაინც დავუტოვებო.

თავი მეექვსე

სილა

ნა

გაქათქათებული თეთრი კარავი, წითელ-ატლას ამოდებული, სდგას ადარბადაგანის საზღვარზე ტრიამელ მინდორში.

სამეფო ალამი ამართულია მის წინ, მაგრამ ამ ჟამად არ ფრიალებს, რადგან უბრალო სიოც კი არ იძვრის ირგვლივ.

შემოდგომაა, მაგრამ სამხრეთის გავარვარებული ცა თითქო სიცხის ზოდებს უშენს დედამიწის ზურგსაო.

გარეთ სულთქმა იკვრება და დაბანაკებული ლაშქარი სალუქ კარვების ჩრდილქვეშ მიყრილა ჭერეხივით.

საღამოვდება. სიცხე არ კლებულობს და ისეა ხალხი მოთენთილი, ლაპარაკის თავიც აღარა აქვთ.

ისედაც დიდათ არიან მოქანცული. მთელი ერთი კვირა დიდი დაჭირვებული ომი გადაიხადეს და მტერი გააქციეს.

საუკეთესო ქართველთ სარდლები და მეომრები აქ იყვ-

ნენ: ოთხივ მხარგრძელები, დადიანი, კუზმა-რუსი, თვით იური-გიორგიც, მაგრამ თურქმენთ, პირველ ხანებში დიდათ გაუჭირეს საქმე.

დიდი ზარალიც მიაყენეს ქართველ ჯარსა. საუცხოო მეომრებიც მოუკლეს და მათ შორის ახალგაზრდა ბოლოტუა-შვილი შაქარა, რომლის სიკვდილმა განსაკუთრებით ციოყს მოუკლა გული.

ამ ლაშქრობისას დიდათ დამეგობრდნენ. დიდი ვაჟკაცი იყო და მშვენიერი სამეგობრო. ციოყმა ბევრი რამ გაიგო შაქარასი. როგორ მიისწრაფოდა აბუბექრზე საომრად და თაფლოს გასანთავისუფლებლად. თან იმას უამბობდა ციოყს — წამოსვლის ხანს თამარს ვახლდი, დიდხანს ვესაუბრე და ანდერძი დაუტოვეო.

ციოყს ცოტა გულში ეცინებოდა — რა ანდერძი უნდა დაეტოვებიოს გლეხ შაქარას მეფე თამარისთვისო, მაგრამ ზრდილობით ამას მეგობარს არ უმხელდა.

და აი... ხელჩართულ ომში სწორედ მის გვერდით მოუკლეს კიდევაც მეგობარი.

ციოყი პირველ ხანებში დაიბნა, მაგრამ მაინც იმდენი იხერხა, რომ მოკლულის გვამი ომის ასპარეზზე გაუთელად არ ჩასტოვა, ცხენზე გარდი-გარდმო გადაიდო მიცვალებული და თავის ბანაკისაკენ გამოიტაცა.

მაშინ იყო, რომ მტრები მოსტყუვდნენ: გაქცეული ციოყი რომ დაინახეს, ეგონათ თუ ქართველმა ჯარმა პირი იბრუნაო და გამეხებით შემოესივნენ, მაგრამ ამის დამნახავმა გიორგი რუსმა, რომელიც განზე მარქაფა ჯარს ასვენებდა, მყისვე საბრძოლად შეუტია, გააპო წრე მოზღვავებული ლაშქრისა და მტრედის გნოლებივით მიმოფანტა მათი გუნდები.

არა, მეტად მძიმე ომი გადაიხადეს.

ეხლა როგორც არის, ამას მორჩენ, დიდი ნადავლი და შენაძენიც წამოიღეს, დიდი ნაალაფევი, მოდიან საქართველოში, მაგრამ ამ სიცხემ კი მეტად გააჭირა საქმე.

განსაკუთრებით მაინც ციოყია შეწუხებული. ჯერ ტფილისშიაც ზაფხულობით ვერ ჩერდება სვანეთის მთებში აღზრდილი მეომარი. კიდევ კარგი, რომ თამარი და საბახლის კარი

ზაფხულობით გადის ხან ტაბახმელას, ხან ჟინვანს და ხან უშგულში, თორემ აქამდე ციოყს რა გააძლებიებდა.

ეხლა კი აქ, ამ უდაბნოსავით ქვიშიან მინდორში, აგერ-აგერ გული შეუწუხდეს.

დღეს მისია მორიგეობა. მეფის კარავთან ისა სდგას, მაგრამ აგერ-აგერ წაიქცეს... მეტი აღარ შეუძლიან. ომი რომ იყოს, ხელჩართული ბრძოლაც არას დაამჩნევს, გასძლებს დიდ-ხანს, მაგრამ უსაქმურად, გაშეშებული დგომა ამ სიცხეში, ეს კი აუტანელია.

ვერ მოითმინა და ხელქვეითი რაზმელი გაგზავნა ერთ შარვანელ მეომართან. შარვანელი უფრო ცხელი ქვეყნიდან არის და შეიძლება გაუძლოს ასეთ სიცხესო. როდესაც დაბარებული მოვიდა, სწორედ ეგრე უთხრა და სთხოვა გაჭირვებიდან დაეხსნა არაქათგამოლეული მისი სხეული. შარვანელი სიტყვა-შეუბრუნებლივ შეენაცვლა და ციოყი მეფის კარავში შევიდა.

გიორგი რუსი, სრულიად მოშილიფებული ტახტზე იყო მისვენებული და თითქო თვლემდა. ციოყი რომ შემოვიდა, ცალი თვალი გააღო და საამურად შეჰღიმილა.

ხვანმაც, კარვის სიგრილით ნუგეშცემულმა, საყვარელ ბატონს ღიმილით უპასუხა, მივიდა, იურის ტახტის წინ დაიჩოქა და ორი სიტყვით ბოდიში მოსთხოვა, რომ სიცხისაგან ასე შეწუხდა და მორიგეობა სხვას გადასცა. რუსმა ბევრი ვერაფერი გაიგო მისი ნათქვამიდან, მაგრამ ეტყობა, რომ მიუტევა, რადგან მხარზე ალერსით ხელი რამდენიმეჯერ დაარტყა, შემდეგ ლოგინზე ცოტა წამოჯდა, ორივ მკლავი კისერზე მოხვია და აკოცა.

ციოყი გაბედნიერდა ასეთი ალერსით.

გულში გაიფიქრა: რა საუცხოო ჭაბუკია, რა საყვარელი. სამისთვის კი ღირს თავის დადება, ან მე როგორ ვუყვარვარ! და თავი გაინთავისუფლა უფლისწულის ბაგეთაგან, რომ სამაგიეროთ მადლობისთვის ხელებზე მთხვეოდა.

მაგრამ გიორგიმ ხელზე საკოცნელად არ მიუშვა.

და უთუოდ თავმდაბლობით მოუვიდა, რომ მეორეჯერაც ეკოცა.

[illegible] ციოყს.

ის ყოველივეს მიხვდა.

უეცრად მარცხენა ხელი ჩაავლო ბეჭში უფლისწულს, გაასწორა, თავის პირისპირ მოაქცია და მარჯვენა ხელით ისეთი სილა გააწნა, რომ ღონიერი გიორგიც უცნობი იქნა.

ციოყი გიჟივით კარში გამოვარდა და არავისთვის არაფერი არ უთქვამს, ისე მოსძებნა თავისი მერანი და საქართველოსკენ გაქუსლა.

ბანაკში არავის არაფერი გაუგია. მხოლოდ ყველას გაუკვირდა ციოყის ასე გადაკარგვა და იურის უცაბედი ავადმყოფობა. შეშინდნენ, ხომ არ დასიცხაო და მკურნალები დაასიეს.

ერთ კვირაზე ძლივს მიაღწია ციოყიმ ტფილისს, შემოვიდა თუ არა ქალაქში, არ დაუსვენია სასახლეში ისე მივიდა და თამარის ნახვა გამოითხოვა.

სასახლეში ცოტა არ იყოს შეშფოთდნენ, რომ ციოყი მარტო ნახეს მოსული. იმის წინათ მოამბე გამოეგზავნათ მხარგრძელებსა და დადიანს და გამარჯვების ამბავს იტყობინებოდნენ, ეხლა კი რომ მარტო ციოყი მოვიდა, ისიც ესე აღელვებული, ყველა ჰკითხავდა, უბედურება ხომ არ დატრიალებულა-რაო.

ციოყი თითქო ამ ქვეყნად არ იყო. დიდი დაქანცულობა ეტყობოდა, გაოგნებულივით გამოიყურებოდა. სახეც გახდომოდა, თვალები ჩავარდნოდა და ისედაც სიტყვაძვირი ეხლა სულ ვერ ლაპარაკობდა.

მაინც, როგორც იყო, გააგებინა, რომ ჯარი გამარჯვებულია და ეს თუ წამოვიდა, სულ სხვა საქმისათვის, პირადი საქმელი მაქვს პირიმზესთანაო.

თავი მეშვიდე

გარიელა

68

თამარი ბაღში აუზთან ზის და მის საყვარელ გარიელას შესცქერის.

გარიელა, ეტყობა, სიამოვნებით ეშვება აუზის ძირში, ჩაიყურჭუმალავებს წმინდა ნაკადში და ერთ წამს გაქრება, მაგრამ მეორე წამს, მეორე ნაპირზე ამოჩნდება, თითქო გაუმარჯვნიაო და ამაყად თავაღებული წყალს უწყებს მხრების ცემას და ტყაპუნს: ხან დაიხრება და ფრთების ცემით გაქან-გამოქანებული ზვირთი კისერზედ და ზურგზედ გადასდის, ცვარი წყალი კი არ ადგება ზედ. ისევ ისე ლამაზად და კოხტადაა.

ნეტა რატომ არ უხუნდება ის მუქი მწვანე საცმელი, შიგა და შიგ რომ მომხიბლავად თეთრ-წითლად მოუქარგნიათ?

გარიელა ხომ არა გრძნობს ვინ დასცქერის თავს?

ეტყობა კი რომ კმაყოფილია. აუზში ბევრი ოქროსფერი თევზი ბუდობს. ვინ დაუშლის გარიელას დაიჭიროს რამდენიც უნდა?

მაგრამ აგერ გარიელა მაღლა ჰაერს შეაჩერდა.

უცებ მხრები ჩამოუშვა და წყალზე გაშეშდა, თავი გადაიხარა, კისერი აიგრძელა და ცალი თვალი ცის უფსკრულს მიაჩერა.

თამარი ხმამაღლა გამოელაპარაკა ჩიტს, თითქო გარიელას ესმის ადამიანურიო:

— რას შესცქერი, გარიელა? თამაში რად შესწყვიტე, ქორი ხომ არ დაინახე და იმან შეგაშინა?

გარიელა ხმას არ იღებს.

— შავარდენმა ხომ არსად დაიკივლა და შენ გული შეგენძრა, ჩემო ლამაზო, რა არს შენს თავსა?

გარიელა გარინდებული და გაქვავებული ისევ მაღლა იცქირება.

— ავად ხომ არ ხარ, ჩიტუნავ!.. ვაიმე! ხომ არ მიკვდები. გარიელავ!

გარიელა კიდევ უძრავად ზის და ისევ მაღლა იხედება.

თამარმა ხელი წაავლო გარიელას, თითქო იმისი გამოფხიზლება უნდაო, მაგრამ გარიელა ისევ ცისკენ იცქირება. სხვა სიცოცხლის ნიშანი იმას აღარ ეტყობა.

თამარმა შეიხედა მაღლა, მაგრამ იქ წეროების გუნდის მეტი ვერაფერი დაინახა.

გაბმულან შორს, შორს მაღლა და მიეშურებიან სამხრეთისაკენ.

გარიელა იქნებ იმათ უცქერის?

მიდიან წეროები, მიფრინავენ. აგერ მიიფარენ თვალთაგანაც.

ბატებმაც გადაიარეს, საოთებმა, გედებმა.

გარიელა ისევ უძრავად ზის და შესცქერის ცის გუმბათს.

მზე ჩაწვერებულა და ორიოდე შუბის ტარიღა აქვს ჩასასვლელი.

აი, ფრთების ხმა უფრო ახლო მოისმა. იმათ თავზე გარიელებმაც გადაიარეს.

გარიელა უცებ გაცოცხლდა, მხრებით ერთი გაუტლაშუნა წყალს და ჰაერში აფრინდა. გაშალა მხრები, ორჯერ თუ სამჯერ კამარა გააკეთა, და ეტყობა უნდოდა თავის მოძმეებს გაჰყოლოდა, მაგრამ...

თითქოს მოაგონდა რაღაცაო და ისარ-ნაკრავივით თამარის ფეხებთან ჩამოეშვა.

აღარც სიცოცხლე, აღარც სხვა სიხარული იმას აღარ ემჩნეოდა. მხოლოდ თამარსღა შესცქეროდა, თითქოს იმისი სიცოცხლე თამარზე ჰკიდიაო.

თამარი მიხვდა.

აიყვანა ხელში, მხრებზე და გულზე თითები ნაზათ გადაუსვა და ალერსით უთხრა:

— წადი, ჩემო ტურფავ, წადი, გაფრინდი შენს ძმებთან, მე ხელს არ შეგიშლი. გაფრინდი, გარიელ! მე ძალიან გული დამწყდება, რომ შენ არ მეყოლები, მაგრამ ღმერთმა გაგაბედნიეროს. თავისუფლებას ვერ წაგართმევ! წყეული იყოს და შეჩვენებული ვინც სხვას თავისუფლება მოუსპოს, იხარე შენც, როგორც ერთი ვინმე ხარობს თავისუფლებით!

ეს უთხრა და ააფრინა ჰაერში.

გარიელამ მხრებგაშლილმა ერთი შეინავარდა, შემდეგ,

თითქო დიდი მადლობის ნიშნად, თამარს სამჯერ თავს შემოუარა, ბოლოს ერთი შეითამაშა და ასარივით აიტყორცნა ცის ეთერში თავის მოძმეებისაკენ.

თამარი დიდხანს გასცქეროდა მისგან განთავისუფლებულ საყვარელ ჩიტუნას.

სწორედ ამ დროს მოახსენეს, რომ ციოყი ეახლა.

ციოყმა, როგორც იყო, დიდხს ნახტომებით, მოკლე წინადადებებით, ამცნო თამარს რაც აწუხებდა და ბოლოს ასე დაასრულა:

— ვერ მოვითმინე, თამარ.., სწვისთვის არავისთვის მიამბნია, პირდაპირ შენ გამცნე ყოველივე... დიდი უღირსი ქაცია, პირიმზევ, და... ეხლავ უნდა... მოვიშოროთ თავიდგან...

როდესაც თამარი ყოველივეს მიხვდა, განცვიფრდა.

ციოყმა სთხოვა, ნება დაერთო, რომ სვანეთში გამგზავრებულიყო.

თამარმა ნანული შეახსენა: ნუთუ არ ნახავ საყვარელ დას, უკვე ქახეთშია თავის საკუთარ მამულში და ჭარმაგ კუზმას მოლოდინშია, შენი ნახვით გაახარებო. მაგრამ ციოყმა აუხსნა, რომ ამჟამად, იგი ისე იყო სულიერად დამძიმებული, განმარტოებას რჩებოდა.

თამარი წინააღმდეგი არ გახდომია.

ციოყი წავიდა.

თამარმა კათალიკოსი, რუსუდანი და ქახაბერი დაიბარა.

დიდხანს ჰქონდათ თათბირი და, როგორც შემდეგში გამოირკვა, უფრო თამარის რჩევით, ის დაადგინეს, რომ გიორგი რუსი დაბრუნდებოდა თუ არა, კუზმა-რუსიც დაეხმარებინათ და შეეგონებინათ, დარიგებით როგორმე უფლისწულის ხასიათი გამოესწორებინათ.

რუსუდანმა საიდუმლო ბარათით ქაცი აფრინა დავით სოსლანისაკენ.

თავი მეოთხე

ცვალებანი

63

კარგა ხანია დაბრუნდა გამარჯვებული ლაშქარი, მაგრამ გიორგი რუსი ჯერ ტფილისს არ ჩამოსულა.

ომში შერიგებულმა კუზმამ, ისა და სხვა წარჩინებულები თავის ახალ სასახლეში მიიწვია სანადიმოთ და აგერ, რაც ხანია ლხინითა და მხიარულებით ავსილი დგანდგარებს მისი კარ-მიდამო.

იგონებენ ომში მომხდარ ამბებს, ჭირგადახდილობას. უქებდენ ერთი მეორეს ვაჟკაცობას, დადიანი მხარგრძელებს უთმობს პირველობას, მხარგრძელები — დადიანსა, აქვთ ერთი მეორეში ძლვნობა და ნიჭებულება, მხოლოდ გიორგი რუსის ვაჟკაცობაზე კი ყველა ქედს ხრის.

აკვირვებთ მისი ფიცხელი შემართება, გულდაგული მოსვლა და საზრისიანი განგება შესევისა, ალყის შემორტყმისა, ჯარის წყობისა. აკვირვებთ, რომ ესეთ ჭაბუკს, ამდენი გონებამახვილობა მოსდგამს, ასეთი დაცდილი და ქედდაუხრეკელი ვაჟკაცია, სხვებრ ცხოვრებაში გამოუცდელი უფლისწული.

აგერ უკვე წელიწადი მალე გავა დაწინდვიდან და ეხლა უკვე, ომში ნამყოფთ მაინც, ეჭვი არა აქვთ, რომ წრეულ სრული ჯვარის წერაც მოხდება და საქართველოში საბოლოოდ გამეფდება გიორგი რუსი.

სხვა მისი საქციელი მის ვაჟკაცობასთან უკვე იჩრდილება ყველას თვალში. ერთ დროს გახმიანებული ამბავი, რომ ერთი ღამით ისე უზრდელათ შეეჭრა თამარს, ეხლა ისე მწვავეთ აღარავის აღელვებს და თანდათან დიდებულთა გული შერიგების გზას ადგია.

ცოყის შემთხვევა კი დიდმა უმრავლესობამ არ იცის.

ამიტომ არის ასეთი გულითადი მხიარულება კუზმასას, აწეთი უღრუბლო, უზადო ნადიმი.

მაინც რა — მასპინძელი ყოფილა კუზმა, რა გულღია,

რა ხელგაშლილი, რა თავაზიანი, რა ხუმარი და რა მიმზიდველი.

ეტყობა ჯიშიანობა, მაგრამ რაც ყველაზე უფრო მომხიბვლელია, რა ნაზი ქმარი ყოფილა.

აი, უყურებს დადიანი და ამჩნევს, როგორ თავს ევლება კუზმა ნანულის. ამას კი არ ააშკარავებს, ერთის დანახვით სულ უბრალოდ და ჩვეულებრივ ეპყრობიან ერთი მეორეს, მაგრამ დაკვირვებული თვალი იგრძნობს ამ ორ, ხნით განსხვავებულ სხეულში, როგორი ერთიანი სურვილი ფეთქავს ერთი მეორის სიყვარულით გადაწნული. აი ეხლაც, სასახლის აივანზე დგანან ორივ ცოლ-ქმარნი და სხვებთან ერთად ჩოგნით ბურთაობას გადაჰყურებენ.

არც გადახვეულნი არიან, არც ხელი-ხელს უკიდიათ. ცოტა განრიდებითაც კი დგანან ერთი მეორეზე, მაგრამ ორივ სხეულს ეტყობა ერთი მეორისკენ მისწრაფება.

დგანან, ჩუმათ არიან და... გრძნობთ, რომ ერთი მეორე უყვართ.

უეცრად შევლებული თვალი ნანულისა, კუზმას ულვაშებზე რომ ცელქურად გადასრიალდება.

ან კუზმას ერთი გადახედვა, თითქო შიშით და ვედრებით ნანულის სხეულზე აკანკალებული, ეს ბედნიერება არ დამეკარგოსო, ყველაფრის მთქმელია მისთვის, ვისაც უნდა დარწმუნდეს, თუ როგორ უყვართ ერთი-მეორე ამ ჩინებულ მასპინძელთა.

ეზოში ცვატამ ცხენი შემოაგელვა.

დამხვდურებში შეიქნა ჟრიამული. გასათხოვარ ქალებს დაეტყოთ სიხარული ლამაზი ყმაწვილის მომატებით.

კუზმას მსახურნი მიეგებნენ და ცვატას და მის მხლებელთ ცხენები ჩამოართვეს. თვით კი სასტუმრო ოთახში შეიყვანეს, საცა ნამგზავრზე დაასუფთავეს, ხელი გადააბანინეს და ბოლოს მასპინძლისკენ გამოუძღვნენ.

ცვატა ტფილისიდან მოდიოდა და ყველამ, რა თქმა უნდა, გამოჰკითხა იქაური ამბები.

ბევრი არაფერი უთქვამს ახალი, ჩვეულებრივ მშვიდობა და სიმრთელე სუფევსო. მხოლოდ ეს მოიხსენია, რომ ვულათ გაჭრილი, ოვსთ-ბატონიშვილი დავით სოსლანი, ისევ

საქართველოში გაჩენილა და ქალაქში დღე-დღეზე მოელიანო.

დადიანმა ამ ამბავზე ყური ცქვიტა, რას მოასწავებსო და თავისი თავი გააფრთხილა.

ცვატამ ისიც მოიხსენია, რომ ქალაქში ჭორი მიმოქრის, ჩახრუხაისძე უმრწემესი გოდერძი ჩორჩანელის ძმისწულს, გულნაზის თხოულობსო და ერთი მწარედ ჩაიცინა.

მაგრამ ამ ამბისთვის დადიანს ყურადღება არ მიუქცევია, ამას უფრო ახალგაზრდობა წაესია: ჩვეულებისამებრ ზოგმა მოიწონა ეს დაწყვილება, ზოგმა არა. ზოგი ჩახრუხაისძეს გამოესარჩლა, უკეთესი მეუღლე შეჰფეროდაო, ზოგიც გულნაზის მოუდგა, სულ ახალგაზრდა ქალია და ჩახრუხაისძე რა მისი ფერიაო, მაგრამ ამაზე მალე შესწყვიტეს საუბარი, რადგან გაახსენდათ, რომ კუზმას სახლში იყვნენ.

უეცრად ვიღამაც დაიძახა, შუაგულ ეზოში ბოძზე თასი დასდგეს და ვინც კარგი მოისარია, თავი ეხლა იმან უნდა იჩინოსო.

ვაჟები ეზოში ჩალაგდნენ, ცხენებს მოასხდნენ და შეათამაშეს.

გაჭენებულ ცხენზე უნდა ესროლათ ისარი და თასი ჩამოეგდოთ.

ქალები აივნის ხარიხას გადააწვნენ.

აქვე იყვნენ დარბაისელი სტუმრები და მასპინძელი ცოლქმარი.

ნანული სწორედ აივნის შუა ალაგას დადგა. ბავშვური შეფრფინვით უწყო ცქერა ეზოში მოლაღობე ცხენოსნებსა.

კუზმაც გვერდით მოუდგა და ჩუმად, თვალით მოუწონა სიხარული.

ცვატაც გაერია მოისრეებში.

დაიწყო.

მისრიალებენ ცხენები, ისრის ტყე ჰაერში ნავარდობს, მაგრამ თასი ჯერ კიდევ ბოძზე ურყევათა სდგას.

აგერ გამოჭროლა ცვატამ, მაგრამ ბოძს ისე ჩაუარა, რომ ისარი არ უსროლია.

ორჯერ, სამჯერ.

მეოთხეჯერ მოსწლტა ცვატას ლარს ისარი და თასის მა-

გვრად შხუილით ამოვარდა აივანზე ძალუმად ნატყორცნი და ნანულის გულ-მკერდს განეწონა.

კივილი საზარო, საშინელი.

რა მოხდა? რა იყო?

ღეთის რისხვა და ცოდვის განკითხვა.

როყიო ისარმა სამუდამოდ დააბნელა მზე ნანულისა. ჩაჩრო ენით გამოუთქმელი სიხარული კუზმასი.

ალიაქოთი, შეშფოთება, წრიალი.

ცხენოსნებმა უტევეს მოისრობა, ცვატა პირველი ამოვარდა აივანზე და თავში ბევრი იცა, მაგრამ გამოუსწორებელს რა გამოასწორებდა.

სრულიად ჩაფერფლილი კუზმა ჩაბნეოდა ძლივღა მფეთქავ ახალგაზრდა ცოცხლეს და მთრთოლვარე ბაგეებით ეძახოდა:

— ნანული... ნანული!.. არა, გენაცვალე, არა!.. შენ ცოცხალი იქნები... ნანული, ნანული!

ნანული კი პასუხის მაგივრად, თანდათან ცივდებოდა და ციყვარულით შგზნებარე თვალები, კუზმასადმი მიპყრობილი, თითქო მეედრებელი — არ გამიშვაო — თანდათან შრტებოდა.

პირდაპირ გულში მოხვედრილი ისარი კი მაინც არ იყო ამოღებული. დადიანმა ბრძანა, არ ამოიღოთ, ეგ ჯერ კიდევ იცოცხლებსო.

მაგრამ ნანულის ცოცხლე თურმე როდი იყო ხანგრძლივი.

ეჭვორია

ნდ

ჩახრუხაისძე მეორეთ ეპირებოდა გოდერძისთან წასვლას. ნაღდგომევს მართლა მოინახულა საყვარელი მასწავლებელი და ტურფა გულნაზიმ ხომ წარუშლელი კვალი დასტოვა მის ხსოვნაში.

ის კი არა, იგი ამ ხსოვნას სხვადასხვა ლექსებში ტურფა ყვავილებათ შლის და მისი გული ჯერ კიდევ ვერ გამძღარა. ყოველი მხარე მისი განცდისა ვერ გამოუთქვამს, გულნაზის ყველა მშვენება ვერ აუწერია.

დიდი ხანია იგი გულნაზის უგზავნის ამ თავის შენაქმთ და გოდერძის კიდევ, სხვადასხვა ამბებით ჩაჭურჭლულ უსტართ, პასუხიც მოსდის მათგან, ყოველი თითქო უთქმელად თქმულია. სამივეს ეჭვი არა აქვს, რომ ეს მიწერ-მოწერა, გრძნობათა ძაფი გაბმული, ბოლოს ცოლქმრობის ოქროს ჯაჭვათ იქცევა, მაგრამ ბოლოს ხომ მაინც თქმა უნდა ამას, წასვლა უნდა და ჯვარის დაწერა.

წასვლა კი ამ ჟამათ არ ეხერხების.

სასახლის კარზე თანდათან თითქო დამძიმდა ჰაერი...

წელიწადი დიდი ხანი შესრულდა უკვე გიორგი რუსის დაწინდვიდან. აგერ თებერვალიც კი მოდის და ჯერ ჯვარის წერა არ მომხდარა.

დიდი თათბირებია ისევ. ცალკე თამართან, ცალკე დადიანის ბანაკში.

აღარავისთვის აღარ არის საიდუმლო, რომ გიორგი რუსთან ხშირად იყვნენ კათალიკოსი, დედოფალი რუსუდან და კიდევ სხვა საპატიო პირნი, ეგებ შეეგონებინათ მისი უზნეო საქციელი უკუეგდო, მაგრამ...

სულ უკუღმართად იქცევა.

კიდევ უფრო განლაღდა და თავი აიშვა. წინეთ თუ ცოტა მორიდებული იყო, ეხლა საჯაროთაც აღარ ფარავს თავის ნაკლთა.

ყოველი მოჭირნახულე ქართველის გული შევიწროებულია და ვალალებს.

დიდებულთ ვერ მოუნახავთ გამოსავალი და არის სიმძიმილი ფრიადი, რადგან მას მაინც მხარს უჭერენ კვლავ დადიანი, აბულ-ასანი, გუზანი, ცვატაც და სხვანიც რამდენიმე.

აშკარაა ორ ბანაკათ არის გაყოფილი მთელი სამეფო. იმერლობა მაინც ცხადლივ გიორგის მხარეზეა და ყოველი გადაჭრილი მოქმედება, გიორგის საწინააღმდეგოდ მიმართული, უთუოა, გამოიწვევს დიდ აღრევას სახელმწიფოში, შეიძლება მოხდეს ძმათა მშუსვრელი ომიც.

გოდერძის ეს ყოველივე ეცნობა და მან მოიწერა, რომ თამარს ეხლავე ებრძანებინა გიორგი რუსის გაძევება.

თამარს აქვს ნანაწი გოდერძის წერილი, მხგრამ საკვირველია, მაინც არ ჩქარობს და ისევ მიტევების გზას ადგია.

უფრო საოცარი კი ის არის, რომ ამას წინათ დადიანმა ჩახრუხაისძეს უსაყვედურა, შენი მოყვარეა, მაგრამ გოდერძის უცები წერილი რად გადაეც მეფე თამარსაო და დიდად დაემუქრა კიდეც გოდერძის: ასეთი რჩევის მოცემისათვის მადლობას არ ვეტყვითო.

საკვირველია, საიდან გაიგო დადიანმა გოდერძის წერილის შინაარსი? რა იცოდა? თუმცა ესეც კია, ისე გამრავლდა ამ ბოლო ხანს ჯაშუშობა, ერთი მეორის დასმენა, რომ არ იცი, სად ვინ რას გაიგებს და როგორ გამოიყენებს.

ღმერთო, უარესისაგან დაგვიხსენ!

ყოველივე ეს მეტად ჩამაფიქრელი და გონების ამრევი ამბავი იყო, ამიტომაც ჩახრუხაისძე პირად ბედნიერებაზე იხე არ ფიქრობდა და წასვლას გოდერძისთან დღითი-დღე აჭიანურებდა.

ამასობაში მოხდა უცნაური რამ: გიორგი რუსი დიდებულებმა ახალ დანაშაულზე შეასწრეს გუზანთან.

ამის მოთმენა კი აღარ შეიძლებოდა.

თათბირი გამოცხადდა.

თავ-პირ ჩამობნელებული მოდიოდნენ საქმეს გაცნობილნი.

არა იცოდნენ რა თამამათ და ლაღათ შემოსულმა თვით გიორგი რუსმა, დადიანმა და აბულ-ასანმა.

თვით გუზანი კი, იმ ამბის შემდეგ გაქცეულიყო თავის სამფლობელოში.

ყველანი წესისამებრ რომ ჩამოლაგდნენ, კათალიკოსმა წარმოსთქვა სიტყვა და სხვადასხვა იგავებით, სოდომ-გომორის ლეგენდის გახსენებით, მოიარებით, მაგრამ მტკიცედ გამოაშკარავა გიორგი რუსის უღირსი საქციელი. მოიხსენია ისიც, რომ რამდენი შთავაგონეთ, არა გაგვივიდა რაო.

„ვკურნებდით ბაბილოვანსა და არა იყო კურნება“.

საზარელი სიჩუმე ჩამოვარდა.

აბულ-ასანმა და დადიანმა ერთი მეორეს გადახედეს. მათ მეხივით თავს დაეცათ ეს ამბავი, მაგრამ მიხვდნენ, რომ საქმე წაგებული იყო. აქ გამოსარჩლება, თავის წაგებაც იქნებოდა და ამიტომ იდუმალი თანხმობით პირი დაიდუმეს.

კათალიკოსი განაგრძობდა:

— კაცსა ესეთ უღირსს, ღვთისა და კაცთა წინაშე ესოდენ შემცოდეს ჩვენ ვეღარ ვიკისრებთ. არსებობს თქმულება ინდოთა, ცეცხლი მაინცა სწვავს, თუნდა სანდალის ხეს ეკიდებოდეს; ცუდი კაცი მაინც ცუდია, თუნდა კარგი ოჯახის შთამომავალიც იყოს. ჩვენ ვაფასებთ კაცსა კაცადსა და ვაფასებთ მის პირად ღირსებათ... ეს უღირსი ვაჟი, საკვალალოდ ჩემდა, მე დავწინდე მეუღლედ თამარისა ჩემისავე უფლებით ამიერით ამიხსნია თამარისაგან მრცემული პირობა და განცხადებული სურვილი. რუს-გიორგი ამიერით აღარ იქნების ჩვენს შიერ მიჩნეული მეუღლეთ მეფისა ჩვენისა და მეფედ ჩვენდა... ხოლო ვინც წინა აღუდგეს ჩვენსა ეხლანდელს განცხადებულსა, იყომსცა წყეულ და შეჩვენებულ უკუნითი უკუნისამდე.

დადიანს ისხლი თავში აუვარდა.

„რას ამბობენ? დაარღვიეს კაბონი დაწინდვისა? წყევლა კრულვაც მოგვაყოლეს? ვერა, მაგით ვერ შეგვაშინებთ! დადიანი ჯერ ისე არ წამხდარა, რომ ასე ახირებულად დასთმოს ბრძოლის ველი!

ჰმ... მაშ ბრძოლა გამოაცხადე, თამარ?“

და თვალები ბოროტათ შეაელვა თამარისაკენ.

აჩქარებულხარ... ეხლა კი დაგვასწარ, მაგრამ იმერეთს რას უზამ? ბიზანტიას რას ეტყვი? როქის სპისა არ გეშინიან?

მით უკეთესი! შენ თვით აჩქარებ შენს დაღუპვასა და ჩემი ბრალი აღარ იქნება.

დღესვე უნდა ყოველივე გავმწყაზრო. ყოველივე უნდა ვაცნობო იმერეთს, ბიზანტიას, ბოცოს და გუზანს.

ეხლავე უნდა დავირაზმოთ, ეხლავე უნდა შევუდგეთ სამზადისსა...“

თამარი ფეხზე წამოდგა.

თითქო სამგლოვიარო ზარი დაირეკაო იურის ყურებში.

ის მიხვდა ყოველივეს. ქართული ეხლა ცოტა მეტი ესმოდა, მაგრამ უქართულოდაც კარგად გრძნობდა, რომ ეხლა მართლა უფსკრულისაკენ გადაქანდა.

კუზმა მაინც სადა ჰყავს ახლა. ის ერთად-ერთი კაცი, რომელსაც მართლა უყვარდა თავისი გაზრდილი.

ვაგლახ!

კუზმა წელში გაწყვეტილი, კუზმა, გულმოკლული, ამბობენ, რომ გონება შემცდარივით დაფრატუნებს გრემის სასახლეში და ხან ერთ ალაგას ჩამოჯდება და უხმოდ ქვითინებს, ხან მეორეგან.

ვინ იცის რა ატირებს საბრალო მოხუცს ახე გულამოსკვნით: პირადი მისი უცებური უბედურება, უსაყვარლესი ადამიანის ასე უაზროდ დაკარგვა თუ მის საწადელთა განიავება, მის საუკეთესო ზრახვათა განადგურება, თუ ყველა ეს ერთად?

იური თავჩაქინდრული, აბუზული, საცოდავი სანახავი იყო. და მის მთელ გარეგნობას ეწერა, რომ ყოველივე გათავებულია.

თამარი თავის სიტყვას ასრულებდა:

— მე არა მიძლავს აჩრდილსა მრუდისა ხისასა გამართვად... და უბრალოდ განვიყრი მტვერსაცა, რომელი აღმექრა შენ მიერ...

ხელიდან ბეჭედი მოიხსნა და კათალიკოსის წინაშე პატრა მაგიდაზე დასდვა, თავი დაუკრა იქ შეკრებილთ და დიდი ოქროს კარებით თავის სამყოფელოსკენ გასწია.

იურიმ თვალი გაადევნა ოქროს კარებს.

მათ ერთხელ კიდევ გაიელვეს და თითქო იურისთვის წაშუდამოდ დახურეს სამოთხის კარები.

ზაქარია მხარგრძელმა ანიშნა და იურის შეიარაღებული დარაჯები შემოეხვივნენ.

თვით ზაქარია მივიდა უფლისწულის საჭურველთ მტვირთველთან და იურის ხმალი აიღო.

ჭარჭაშიდან სწრაფად ამოაძრიალა ფოლადი და მუხლით შუაზე გადასტეხა.

— შენ ამის ღირსიც არ ყოფილხარ!

დადიანი აღშფოთდა — ეს კი მეტისმეტია და მხოლოდ ზაქარიას მეტიჩრობა არისო, უნდოდა რაღაც ეთქვა. თავი შეიკავა.

ფიქრმა ისევ გაუმეორა, რომ ეხლა ზედმეტია ყოველივე საარჩლიო.

იურის პირზე ცეცხლი წაეკიდა.

ასე არაფერი წყენია. ის, რომ ეხლახან უფლება აძადეს, ის რომ მისი აუგი ასე საჯაროთ გამოიტანეს: ხმლის გადატეხამ გული მოსწყვიტა, ნუთუ მეომრობასაც მიწუნებენ, რამდენ ომში ვასახელე, რამდენი ვაჟკაცობა გამოვიჩინე, თვითონაც როგორ პირში მაქებდნენ და ეხლა კი ესე წყალში გადამიყარეს ყოველი ჩემი ნაამაგარიო?

ხმლის გადატეხის ღირსი არ ვიყავ, არა და...

ტირილი წასკდა...

თავის ბაქანზე ჭიაბერი აღვიდა:

— თქვენ უკვე მოისმინეთ მეფისა და კათალიკოსის ბრძანება. ამჟამად კი ვაცხადებ, რომ მეფის ბრძანებაა უფლისწულმა იურიმ უნდა დაუტოვოს საზღვრები საქართველოისა და ამიერით ერთმევა უფლება ჩვენს სამეფოში ფეხის შემოდგმისა. მის გასამგზავრებლად ყოველივე მზად არის, მხოლოდ უნდა გვიბრძანოს საით ისურვებს გამგზავრებას.

დადიანი განცვიფრებული იყო თამარის ესეთი სწრაფი განკარგულებით: როგორ ყოველივე მოუსაზრებია და განუჭვრეტიაო. მაგრამ მისი ტვინი არ ცხრებოდა იმის ფიქრში, რომ ყოველივე ამის გამოკეთება შეიძლებოდა და თუ ვინმე საბოლოოდ აქ დამარცხებული დარჩებოდა, ისევ თამარი.

იურიმ ვერ გაიგო რას სთხოვდნენ კიდევ.

ჭიაბერმა გაიმეორა.

უეცრად დადიანს თავში რაღაც მისთვის სასიხარულო აზრი გაეწასკვა, ვერ მოითმინა და იურის მიაძახა:

— ბიზანტიას, ბიზანტიას...

დადიანს აბურ-ასანიც აჰყვა და იმას კიდევ რამდენიმე.

ჭიაბერმა სკარამანაგი ააჟღარუნა და არგანი ზე ასწია.

— დიდებულთ ვსთხოვ ნუ ინებებენ უფლისწულის საქმეებში ჩარევას. უფლისწული თვით ბრძანებს, საითაც სურს გამგზავრება.

იურიმ ყრუდ წარმოსთქვა:

— ბიზანტიას.

ჭიაბერმა თითქო ნერწყვი გადაყლაპაო. გაპარსულ ლოყებზე ხელი შეივლო და ულვაშები გაისწორა. შემდეგ წარმოსთქვა:

— გამგზავრება მოხდება დღესვე, დაუყოვნებლივ, ამ წუთასვე. უფლისწული ნუ შეწუხდება მისთვის, რომ იგი არ არის გასამგზავრებლად განმზადილი. მწყალობელმა მეფემ ყოველივე იზრუნა მისთვის. ყოველივე წიწა დაუგო მას: აურაცხელი ლარი, სიმდიდრე და საჭურჭლე, ვით შეფერის ხარისხს უფლისწულისას. ზაქარია მხარგრძელის მეთაურობით მას გაჰყვება საპატიო დარაჯი ჰერაკლემდე და იქიდგან ჩასული ნავით ზღვად მიაღწევს კონსტანტინეპოლეს. ეკრძალვის ყველას გამოთხოვება უფლისწულისა და გამოსაუბრება მისი. აბა, ზაქარიავ, ჟამი არს მსახურებისა.

ზაქარია მხარგრძელი წინ გაუძღვა და იური დარაჯებს შუა ჩამდგარი საუკუნოთ გავიდა იმ ადგილიდან, საცა ასე ადვილად შემოვიდა ერთ დროს და საცა მას მოელოდა მეფობა და პატრონობა ქვეყნისა.

უტანდარმა თავის სახლში გაიგო, რაც დღეს მომხდარიყო. მაშინვე მოწყდა ადგილს და იურის სანახავად გაეშურა, მაგრამ იური უკვე ქალაქიდან გაეყვანათ. თამარის კარებს მივარდა, არ შეუშვეს. ცხენს მოახტა და მცირე ამალით ქალაქ გარეთ უნდოდა იურის ასაბიას დასწეოდა, მაგრამ გალავნის კარები არ გაუღეს, ნაბრძანები გვაქვს არავინ გავუშვათო, და აწრიალებული დაბრუნდა სახლში.

მაშ ეს ექსორიაა, ექსორია... გააძევეს კაცი, მეფედ გამოცხადებული და აყვანილი თამარის მეუღლედ.

რა დაუჯერებელი ამბავია! მერე რისთვის? სოდომის ცოდვას სწამებენ! რა სათქმელია! ტყუილია და მონაჩმახი, მტრების მიერ შეთითხნილი ჭორია, თორემ რა დასაჯერებელია, რომ იური შევარდენი და ვეფხვი ვაჟკაცად, ასეთ საზიზღრობას ჩადიოდეს.

უტანდარს არა სჯეროდა რაშიაც იურის ამტყუნებდნენ, ამას ყურადღებასაც არ აქცევდა და ეხლა მისი ფიქრი იქით იყო მიქცეული რა გამოეგონა ისეთი, რომ იური კვლავ დაბრუნებულიყო საქართველოში, კვლავ გამეფებულიყო და ეხლა კი მართლა დაესვა საქართველოს დედოფლად უტანდარი.

„არა, ამ საქმეს კარგი მოფიქრება უნდა და მარტო მე აქ ვერას გავაწყობ“. კიდევ აზრიანობდა გულგამეხებული ქალი და მისი ფიქრი ისევ დადიანზე შედგა.

უსათუოდ მას უნდა მოველაპარაკოო და გასწია კიდეც დადიანთან.

თათბირი რომ დასრულდა, ზანქანსაც გაეგო ყოველივე და გულგახეთქილი ჭიაბერს მივარდა:

— რას მიშვებ, კაცო, რა ჟინი გჭირს ჩემი? მიკარგავ ჩემ ფულებს? თუ ამ დროს უცდიდი...

— ფულები კი არა ტანჯგანაგის ღირსი ხარ, ხოვდაგარო!..

— რათა, კაცო, რა დამიშავებია?! სიკეთის მეტი რა მიქნია... რა ვიცოდი, თუ ეგეთი იყო... ჩემი ბრალია?.. შენ კი იმდენად დაბსაჯე, აგერ წელიწადზე მეტიც გაიყვანე, ფული არ მომეცი, არც თამართან მიმიშვი... დამლუპე კაცი რაღა... ეხლა ვინ რაღას მომცემს, სად ვიჩივლო...

— ჰო, კარგი, კარგი, ნუ წუწუნებ, ეხლა უფრო მოგცემ ფულსა, მხოლოდ უცნაურ დროზე კი მოხვალ ხოლმე ფულის სათხოვრად. მე რომ მეფე ვიყო, არ მივხედავდი შენს მოხუცებას და სულ მათრახით ზურგს აგიჭრელებდი, მაგრამ ეხლა გეყოფა წვალება. წამოდი მოგითვალო.

ზანქანი გულში გაბრაზებული იყო, მაგრამ აბა რას გაამხელდა რაკი ვალის გასანაღდებლად მიჰყავდათ.

როგლის მკერდზე?

63

დოდო ფეხით მიდიოდა ნამწუხრევს აბულ-ასანის აშენებული მონასტრიდან. უკანაც რამდენიმე მანდილოსანი მიჰყვებოდა და მათი ნალაპარაკევი წინ მიმავალ დოდოსთვის ძალაუნებურად ადვილი გასაგონი იყო.

— გაიგე, ქალო! დავით სოსლანი ქალაქს ჩამოსულა, თურმე.

დავითის ხსენებაზე დოდოს ყური უფრო გაუმახვილდა.

— ოო, შენ კი გაიხარე, რაცა ხანია დავითი ქალაქშია.

— რა ვიცი, მე კი ესე მითხრეს, ეხლახან ჩამოვიდაო.

— რას ბრძანებ, გენაცვა. ის უბედური გიორგი რო გააძევეს, მაშინაც აქ იყო, თურმე... მაგრამ ეგ რა არის, ვერ გაიგე? თამარს ირთავსო თურმე.

— ი, ირთავს კი არა!

— შენმა მზემ ეგრე ამბობენ თამარსა და დავითს ბავშვობიდანვე ერთი მეორე უყვარდათო.

დოდოს თითქმის მუხლთ ეკეცებოდა. ძლივს ადგამდა ნაბიჯს.

ჯერ ერთი, რომ დავითის ჩამოსვლა გაიგო, მეორე, რომ კვლავ იმაზე ლაპარაკობენ — დავითი თამარს შეირთავსო.

მართლაც რომ ასე მოხდეს, მაშინ რა უნდა მოიქმედოს დოდომ?

„დოდომ იცის, რაც დიდი ხანია გადაწყვიტა. ავადმყოფობის შემდეგ ამ გადაწყვეტილებას ადგია. თუ დავითი მისი მეუღლე არ იქნება, მაშინ დოდოს ამ ქვეყნად სასიცოცხლო პირი ალარ აქვს. ყოველგვარი აზრი ეკარგება მის ცხოვრებას და დოდოც უნდა განშორდეს მას. ეს უეჭველია, მაგრამ თაეს კი მაინც ვერ მოიკლავს, იმიტომ კი არა, რომ ვერ შესძლებს, იმიტომ, რომ თავის მოკვლა ცოდვათ არის მიჩნეული და ქრისტეან კაცს არ ხელეწიფების მოსპობა სიცოცხლისა. დარჩენა კი ამ ქვეყნად ძნელია დოდოსთვის... შეუძლებელია, მაგრამ არსებობს კიდევ სხვა ცხოვრება, არა ამქვეყნიური.

ეს არის მონაზვნად აღკვეცა. ეგეც განსვლაა ამა სოფლით, ხოლო ამავ სოფლისათვის სამოღვაწოა. ადამიანთა დაგროვილ ცოდვათათვის უნდა ილოცოს დაყუდებულმა, რომ შეუმსუბუქოს სულიერი სიმძიმილი შეცოდებულთა. მონაზონი იმავ დროს უნდა შეიმოსებოდეს სხვა ღვაწლითაც. მას მარტო ლოცვა არ ეყოფა, იგი უნდა იყოს შემწე და მფარველი დავრდომილთა, დაგლახაკებულთა, მკურნალი და მქადაგებელი, სწორ გზაზე დამყენებელი გზას გადამცდართა. სამკელი ბლომად არის, მომკელი მცირედ... მაგრამ, მაშ, მე დავითი არ მყვარებია, თითქო ჩემი აზრი უფრო მონაზვნობისაკენ იხრება, თითქო ამ აზრს უკვე შევურიგდი, რადგან ვიცი, რომ ბევრია გასაკეთებელი.

საცოდავი შაქარა! რამდენი რამ შემძინა მისმა ნაცნობობამ.

ისა და თაფლო!

თითქო სანთელი შემოიტანეს ჩემს აზრევნებაში და გამინათესო.

განა მათ მიერ აღნიშნულ უსამართლობას ბრძოლა არ უნდა? და ვინ უფრო მოახერხებს ამხილოს ქვეყნის დიდებულთა, თუ არ სასულიერო პირი, მომცემი სათნოების და სიკეთის მაგალითისა.

მერე?.. რაღას ვაყოვნებ!.. კახაბერმა უკვე დაამთავრა მისი დედათა მონასტერი სოფელ რგანთან, მღვიმეს. ეხლა წინამძღვარს ეძებს. ზედგამოჭრილი აღვილია ჩემთვის, მწამს, რომ სიხარულითაც ამეყვანს, მაგრამ... კვლავ მითრევს ეს საწუთრო თავის წიხარულით. ჯერ კიდევ ვუცდი, თითქო, სოსლანის მოსვლას... კიდევ ფეთქავს გულში იმედი და აგერ ეხლა აკი ჩამოსულა კიდეც. მხოლოდ რად ამიტოკდა ესე გული მისი სახელის ხსენებაზე, მუხლთ ესე რათ მეკვეთება?

და რათ შხამავს, გაელვებულ ნეტარ გრძნობას, ამბავი თამარისა?

ნუთუ მეც თამარის მეტოქე ვარ?

არა, უტანდარობა ღმერთმა დამიფაროს!.. მაგრამ ის ხომ წებსით გახდა მეტოქე თამარისა და მე კი, უწყი, ღმერთო, უნებლიე ვარ.

ამ გულს რა ვუყო, ამ გულს!

წუთუ უტანდარიც ამ მდგომარეობაში იყო?.. რა თქმა უნდა.

როგორ დავშორდით ერთიმეორეს.

ამას წინად რომ შევხვდი, ჩვენი შეხვედრა რა ცივი იყო, რა გულის გარე... ან რა გაბოროტებულა, გული როგორ გაქვავებია, რა საშინელის სიძულვილით მქსინვარებს თამარისადმი.

მითხრა, რომ ბიზანტიას აპირებს წასვლას... იური უნდა ვნახოო. ქმარიც პირდება, წაგიყვანო უთუოდო. როგორ სწამს კიდევ იურის ბედი. არ დაუმალავს, მითხრა, რომ საქართველოში კვლავ იური გამეფდებაო.

ღმერთმა ნუ ბრძანოს! არ ვაწყენინე, თორემ ღმერთმა ნუ მოასწროს ეგ დღე საქართველოს...

მე არა, თამარ, არა!

მე წინ ვით გადაგედობები, მე ვით ვარ შენი მეტოქე, მხოლოდ საცოდავია ჩემი გული ჩიტივით მოფრთქიალე, ჩემი სიქალწულე გაუხარელი!“

მოსაუბრე ქალები განაგრძობდნენ:

— დიდი ამბებია მოსალოდნელი თურმე. ხმები დადის გიორგი რუსი არ ისვენებსო... მიწერ-მოწერა აქვთ გაბმული ქართველ დიდებულებთან და თამარი იმერლობაზე გულნატკენიც არისო.

— ის კი გაიგეთ? ადარბადაგანის სულტანი ყიზილ-არსლანი და მისი მემკვიდრე აბუბექრი საქართველოზე შემოსევას აპირებენ, თურმე. იმ აბუბექრს ვიღაც ქართველი ჰყოლია თურმე ცოლად...

— არ იცი ვინ არის?

— არა.

— არ გახსოვთ ამას წინად რომ ქალაქიდან უტანდარის მხევალი გაიტაცეს, გლეხის გოგო თაფლო...

— რას ამბობთ?

— მერე ცოლად ჰყავს?

— ისეთი ქალი დამდგარა, თქვენმა მზემ, რომ ასე მოგახსენებენ, აბუბექრს რასაც უბრძანებს, იმას გააკეთებინებსო.

— ეე, ნუ იტყვით.

— სწორეს მოგახსენებთ. ამბავი მოუტანიათ, რომ სწორედ იმ ქალის ბრალია, რამდენჯერმე შეაჩერა აბუბექრის გამო-

ლაშქრება, თორემ აქამდე წუთჯერ დაგვეცემოდნენ თავზაო.

დოდოს გაეხარდა, თაფლოს რომ ასე იხსენებდნენ. მას წინათაც გაეგო თაფლოს უნარიანობა. უხაროდა, რომ თაფლომ იმედები გაუმართლა, მაგრამ ამას რას ამბობენ?

— ჰო და ყოველივე ამისათვის ჩქარობენ თურმე, დავით სოსლანისა და თამარის ჯვრისწერა მოახდინონ.

— მე ისიც გავიგე, რომ, — ჩაერია ახლა კიდევ სხვა ხმა საუბარში, — დავითი არამც თუ ჩამოსულია, რამდენი ხანია სახელმწიფო საქმეებსაც განაგებს და მეფესთან ერთად ხელს აწერს საბუთებსაო. სწორედ იმ დღეს ჩემმა მეუღლემ, მზეჭაბუკმა ბრძანა, ჩემის თვალით ვნახე ერთ საბუთს ეწერა: ვამტკიცებ მე ერისთავთერისთავი დავით სოსლანიო.

„მაშ, თუ ესეა, ფიქრობდა დოდო, — საქმე გათავებული ყოფილა და რაღას ფეთქავ, გულო, უიმედოთ?

შენი ბედი მართლა მონაზვნის სენაკი ყოფილა, შენი დანიშნულება მონაზვნური მოღვაწეობა.

ჩემი გზა ეხლა თითქო გარკვეულია, მაგრამ რათ, ბედო ჩემო, ეს ცოცხლივ დავიმარხო ყრუ ქვებთა შორის?

რათ უნდა შეჩერდეს გულის ძგერა საამქვეყნო და რად უნდა ვემსახურო მხოლოდ მოყვასთა? ჩემი საპირადო რად უნდა დაემხვეს, ჩემი სიყმაწვილე რად უნდა დასჭკნეს მხოლოდ საკმელის კვამლში?

არა! წავალ რუსუდანთან, იქ გავიგებ ყოველსავე ნამდვილს და შემდეგ ან ცრემლიანი მაპატიებლურად ჩავეხვევი კახაბერსა, ან ლომგულ დავითის მკერდზე ვპოვებ ნეტარებასა“.

დავითის მკერდის გახსენებამ კვლავ სიწითლე მოჰგვარა, მაგრამ უკანასკნელი გადაწყვეტილება მაინც შეუვალათ ძიღლო და ფეხი აუჩქარა რუსუდანის სასახლესაკენ.

ნიალი

63

მართლა უცნაური ამბები ხდებოდა საქართველოში.

თითქოს ყოველივე რიგზე მიდიოდა.

თითქოს რუსის გაძევებას არავითარი მოძრაობა არ გამოეწვიოს, არც არავინ აღეშფოთებიოს.

საქართველოს სარდლები ისევ ლაშქრობაში იყვნენ გართულნი და ომობდნენ ზემონი ზემოთ, ქვემონი ქვემოთ, შუანი შუად. ურჩობის გზაზე დამდგარ მეზობლებს იარაღით ჭკუას არიგებდნენ.

შინაობაში კი შენდებოდა ახალ-ახალი მონასტრები და ქსენონები, გაჰყავდათ სარწყავი არხები და ახალი ქვა-ფენილები.

ათინაში ისევ ისე იგზავნებოდა ახალგაზრდობა. ბრუნდებოდნენ ძველ-ოდესმე, დემნას აჯანყების დროს გაძევებული პიროვნებანი. იწერებოდა ახალ-ახალი საფილოსოფო გამოკვლევანი ახალგაზრდა მკვლევართა, თარგმანები ბერძენ ნეო-პლატონიკთა, ქართველ ავტორთა შენიშვნებით და სხოლიოებით, ახალ-ახალი პოემები და პროზაული ნაწარმოებნი, რომლებშიაც თანდათან გამოკრთებოდა თანამედროვე ცხოვრების ანარეკლი ჰანგები და თითქო ხორციელდებოდა ჩახრუხაისძის განაზრახი დაახლოვება მწერლობისა ცხოვრებასთან. ამ გვარათ საქართველო მდიდრდებოდა, ღონივრდებოდა, მსოფლიოში თანდათან იმტკიცებდა თავის სახელს და კაცობრიობის აზროვნების სალაროში შეჰქონდა თავისი წვლილი. იმავე დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და განსაკუთრებით ზემო ჭართლსა და იმერეთში, გაღდარაჭის საერისთვოსი, ეგრისსა და სამესხეთოში, ერუშეთსა და ტაოს, ხშირ-ხშირ იკრიფებოდნენ ერისთავები სხვა დიდებულნი და იდუმალ თათბირობდნენ. ნელი-ნელ ხალხს თავს უყრიდნენ, რაღაზედაც აფიცებდნენ და ისევ განუტევებდნენ. ყოველივე ეს ხდებოდა დიდის სიფრთხილით, დიდის საიდუმლოების დაცვით.

და მართლაც, ისეთის იდუმალის თანდათანობით მოზღვავდა კვანძთა ჯარი, რომ ერთ მშვენიერს დღეს საქართველოს უდიდესი ნაწილი აჯანყებული იყო თამარის წინააღმდეგ.

ამისი კი არა იცოდა რა საქართველოს მეორე ნაწილმა, მთამ და ქართლმა, კახეთმა და ჭიზიყმა. როდესაც ყოველივე გამომჟღავნდა, თავში იტკიცეს ხელი.

გაიგეს, რომ თითქმის იმავე დღიდანვე, რაც გიორგი რუსი გააძევეს, არ შეწყვეტილა მასთან მიწერ-მოწერა დადიანისა, აბულ-ასანისა და უტანდარის მიერ. არ შეწყვეტილა გზავნა შიკრიკებისა ერზინკის მთავართან და არსირუმის მფლობელთან, რომელთაც თავის მხრივ კავშირი ჰქონდათ გაბმული ქართველ ქვეგამხედველ დიდებულებთან, ბიზანტიასთან და თვით გიორგი რუსთან.

ბიზანტიელი დესპანის მიერ დატოვებული წარმომადგენელიც, თავის მხრივ, მეტად ბეჯითად მოქმედებდა, მაგრამ ყოველივე ეს ისე საიდუმლოთ იყო მოწყობილი, რომ დრომდე ვერავინ რა გაიგო.

იმავ ხანებში რაღაც საქმისათვის, თავისივე მოთხოვნით, არსირუმს გაგზავნილ იქნა აბულ-ასანი, რომელიც იქ გიორგი რუსს შეხვედრია და ყოველივეც საბოლოოთ იქ. გადაუწყვეტიათ.

ყოველივე ამის მეთაურნი კი ხალისით მსაჯურებდნენ მეფეს და ქვეყანას. იმდენი ვაჟკაცობა და უწარიანობა გამოიჩინეს ამ ხანში წარმოებულ ომებში, რომ მათი ერთგულება ეჭვმიუტანელი იყო.

უტანდარი ხომ კარგა ხანია შეირიგა თამარმა და ისიც სასახლის კარზე წინანდებურათ ტრიალებდა. მხოლოდ განსხვავება უწინდელ უტანდარსა და ეხლანდელს შორის ის იყო — იგი თითქო უფრო დადინჯდა და ძველებურ ხალისიან ცხოვრებას აღარ ეწეოდა. ის კი არა, ხშირად საპატიო დიოფალთა და მანდილოსანთა თათბირსაც ეწვეოდა და თამარის ქალთა რაზმში ერთი გუნდის უფროსობაც ჩაიბარა.

დავით სოსლანის ჩამოსვლას ხომ პირველი ესენი მოეგებნენ სიხარულით და როცა დავითისა და თამარის ქორწინებაზე ხმები უფრო განმტკიცდა, კიდევ უფრო ეცადნენ დავითის ჯგუფს მიახლოვებოდნენ. მაგრამ დავითი ფრთხილი კაცი იყო

და როგორც ყველასთან, ისე ამათთანაც, თავი განრიდებით ეჭირა.

მაგრამ აი დადგა დრო. საიდუმლო ძაფები ამოძრავდნენ და თითქო ნიშანი მისცეს ურთიერთსაო.

დადიანი გეგუთს ჩავიდა და გუზანს გაუგზავნა ლაშქარნი ქვეყნისანი, სხვაგან ყველგანაც დაგზავნა ბრძანებანი, გამწყაზრა ყოველი და უცდიდა ბიზანტიის ჯარსა და გიორგი რუსს.

ბიზანტიის ჯარს ერზინკის მთავარი წარმოუძღვა გიორგი რუსის მეთაურობით.

მოდიოდნენ ზღვის ნაპირებზე კაბადოკიით და ისპირის მთების გაყოლებით. ხოლო ხუფთას რომ მოაღწიეს, აჭარა გადაიარეს და გურიაში შესულნი, კარჩხალის მთის ძირს, ერთ გაშენებულ სოფლის ახლო, დაბინავდნენ. აქედან კი ბიზანტიის ჯარმა ფეხი არ მოიცვალა.

გიორგი რუსი და ერზინკის მთავარი ბევრსა ცდილობდნენ, რომ ქაჯეთის ციხემდე მაინც აეყვანათ ბერძენთ ლაშქარი, მაგრამ ჯარის ბიზანტიელმა სარდალმა დაიჟინა, რომ ჩემი მთავრობისაგან ბრძანება არა მაქვს შეტზე წინ წავიწიო, სანამ არ დავინახავ, კოლხიდის ლაშქარიც ამხედრდა და საომარი მოქმედება დაიწყოო.

არწმუნეს ბევრი: ყოველივე მოგვარებულია, ერისთავები მზათ არიან. ჯარი ყველას მზათა ჰყავს და თუ ერთი მხრივ ბედიიდან მოყოლებული ძველ სარაბანდამდე ქვეყანა ამხედრებულია, მეორე მხრივ ტაო-კლარჯეთიდან ლიხის მთამდე მთელი სოფლები ამდგარიაო.

მაგრამ ვერაფერმა ვერ გასჭრა და იძულებულნი იყვნენ მხოლოდ არსირუმლებით წამოსულიყვნენ გეგუთისაკენ.

ქაჯეთის ციხეს რომ მიაღწიეს, დადიანისაგან კაცი დახვდათ: ნუ აყოვნებთ, ყველა მეთაურები, გეგუთს ვიკრიბებით და იქ უნდა საბოლოოდ გადავწყვიტოთ საომარი გეგმაო. თან კვლავ სიფრთხილესა და იდუმალობას ურჩევდა, რომ უცოდინართ გუმანი არ მიეტანათ, უცხო ლაშქრის სამტროთ შემოსვლაზე: ეცადეთ ჯარმა მცხოვრებლებს არა აწყენინოს-რაო.

ამისათვის გიორგი რუსმა და ერზინკის მთავარმა ესე დააწყეს: ერზინკის მთავარს უკან უნდა დაეხია არსირუმელთა ჯარით, აჭარისაკენ. გადასულიყო სამცხეს და ოძრახეს, ჭორ-

ჩანელთა წამფლობელობათვის ალყა შემოერტყა. თვითონ კი გეგუთისაკენ გაეშურებოდა მცირე ამალით, რაიც არავითარ ეჭვს არ დაბადებდა მოსარიდალ მცხოვრებთა შორის.

ეზე დაასკვნეს და ეხლა თვითაც ორივეს გულით მოსწონდათ, რომ ბიზანტიის ჯარი მეტად კარგსა და მოფარებულ ალავას შეჩერდა. უნებურად ძალიან კარგად გამოვიდაო, ხარობდნენ ორივენი.

ეზ

აგერ გეგუთის და ქუთაისის სანახები.

ნუთუ მართლა მიაღწია იურიმ თავის საწადელს?

ისევ საქართველოშია, ისევ ისე მისი მეფე იქნება. ხოლო იქნება ეხლა კიდევ უფრო ძლიერი მეფე. მხოლოდ ერთი, დამოუკიდებელი და უთამარო.

იურის ეუბნებიან — იგი კანონიერი მეუღლეა თამარისა, დაწინდულია და ამითი ყოველივე გათავებულია. ქორწინებაში მთავარი საქმე დაწინდვაა და სხვა დანარჩენი წესი ჯვრის წერისა ეს უბრალო საეკლესიო ზეიმისა და ზარხმის ჩვენებაა. მაშ თუ იგი კანონიერი მეუღლეა საქართველოს ტახტის მემკვიდრისა, მეფეა საქართველოსი და ეს არის სწორედ მისი უფლებამოსილებაც.

ბიზანტიაშიც ამას აქცევდნენ ყურადღებას: თამარს შენი უფლება შეულახავს, ხოლო კათალიკოსს უფლება არა ჰქონდა შენი დაწინდვა მოეშალაო.

მაგრამ იური ამას არ დასდევს.

მას ხომ შეჰფიცა, სწორედ აქ, გეგუთს ქართველობამ. ყველამ არა? რა ვუყოთ მერე! ეხლა იარაღით ხელში იმათაც ქედს მოადრეკინებს.

თამარი კი არ უნდა, არა!

ჭკვიანი ქალია!

არ უყვარს ჭკვიანი ქალი. ან რაღათი უნდა ეხლა თამარი? როგორც უსუსურ ბალღს ისე გამოამწყვდევს სადმე ციხეში და... შეიძლება უბრძოლველადაც ხელში ტყვედ ჩაიგდოს.

რას უზამს?

უტანდარს მიანდობს მის ბედსა. უტანდარი აკი სწერდა კიდეც საიდუმლოდ: როდესაც ჩამოხვალ და თამარს დავატყ-

ვევებთ, მაშინ მე მომანდე მასთან მოპყრობა. საჯაროდ გა-
ვამასხარავებ, როგორც შენ გაგამასხარავა გაძევების დროს,
ჩემო თვალის ჩინო, შემდეგ მონაზვნად აღვკვეცოთ და ეგეც
ბიზანტიაში გავაგზავნოთ ირინეს მონასტერში, საცა ყველა
დედათ მონასტერზე უსასტიკესი წესებია დამყარებულიო.
მაგასაც ხომ მუდამ ლოცვა და ხატები უყვარს და სხვა რა უნ-
დაო.

თვით უტანდარი კი მასთან იქნება, ღედოფლად უტანდარს
აიყვანს.

ოო, ეხლა კი იცის როგორც მართოს სახელმწიფო. ბიზან-
ტიაში ბევრს რასმე გადაჰხედა. მართალია, იქ ცოტა არ იყოს
უფრო მშრალია და ცივი ცხოვრება, ვიდრე საქართველოში.
აქ მეტი სილაღეა, მეტი ჰაეროვნება ხასიათში, საქციელში
თვით მდაბიო ხალხისა. მაგრამ იქ მეტი ზვიადობა, მეტი სიმ-
კაცრეა მართვა-გამგეობაში. იქ ტანჯვანაგიც არსებობს, ასოთ-
ამოღებაც და სიკვდილით დასჯაც. საქართველოს ეს ყოველი-
ვე აკლია და უნდა უთუოდ შემოვიღო!

მაგრამ ეს ვინ არიან?.. დიდებულნი ეგებებიან!

ეგ ხომ მეფეა, მეფე საქართველოსი.

რასაკვირველია, განა ამაზე არ ფიქრობს წამდაუწუმ,
ცოტა გადაეჩვია დაჩვეულს.

ბიზანტიაშიც და არსირუმშიაც და საცა კი იყო, ამ თავის
საქმეზე, ლაშქრის საშოვრად და მომხრეების გასაჩენად, ყვე-
გან პატივისცემით ეპყრობოდნენ, მართალია, მაგრამ მეფურ
პატივისცემას მაინც ძალიან ბევრი აკლდა და ბიზანტიის კე-
ისრის სასახლის კარზე ხომ, თითქო ცოტა აგდებითაც კი ეპ-
ყრობოდნენ. ის კი არა, ზოგი მოურიდებლად წამოაყვედრებ-
და ხოლმე — რისთვის გამოგაძევეს ქართველებმაო?

აჰ, არა, აქ სულ სხვა არის.

როგორი ზეიმით ეგებებიან.

მუსიკა უკრავს, მუსიკა!

აგერ მისი საყვარელი ბარბითი, ნესტვი, ნაღარა, ყვირო-
ტვირი, ჩაღანა და წინწილ-ჭოსი...

გაახსენდა ქართული საკრავების სახელები.

როგორ უყვარდა მუდამ-ჟამს მათი მოსმენა. ერთ დროს
ზოგზე თვითაც შეისწავლა დაკვრა. იცნო ყველა, იცნო...

მაგრამ კიდევ უფრო იცნო დამხვდური ადამიანები. აგერ

ბედიანი, ჩნეტიძეები... ცვატა, მისი გულის მეგობარი ცვატა!..

როგორ დავაჟკაცებულა!

ოო, რამდენი ხანია არ ყოფილა საქართველოში!

ჰგონია, რომ მთელი საუკუნოები გავიდა, მაგრამ აი ხომ ჩამოვიდა ეხლა და ამიერით აქ დარჩება, მათთან, მის საყვარელ ქვეშევრდომებთან.

როგორ უღიმის დამხვდურთ სახეები. როგორ იღიმება თვით მზეც საქართველოსი. თითქო იმანაც იგრძნო, რომ მოვიდა სასურველი ვაჟი თავის სამფლობელოშიო...

გზაში დახვედრილმა ხუთასამდე თავად-აზნაურმა დიდის გამოჩინებით შემოაცილეს იური გეგუთის სასახლეში.

60

იურის ნამგზავრზე მოუსვენეს.

მის კარებთან მუტრიბი ქალნი ჩამოსხეს, რომელთაც უნაზესი ძილის პირები უმღერეს, რომ საქართველოს მეფეს ნებივრად ჩასძინებოდა.

სასახლე, ეზო და უცხო წალკოტი ავსებული იყო ხალხით.

ყველას უჩვეულო აღელვება ეტყობოდა. ემჩნეოდათ, რომ ამ ჟამად განცხრომისთვის არ იყვნენ შეკრბილნი. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ დაყოფილნი და ყველგან ცხარე კამათი იყო გამართული. ხშირად გაისმოდა სიტყვები!.. „თამარ“, „დადიანი“, „ბიზანტიის ჯარი“, მაგრამ ერთ ჯგუფს კი ეტყობოდა, ყველაზე უფრო „დაწინდვის“ საკითხი აწუხებდა.

კამათობდნენ:

— დაწინდვა კიდევ არ ნიშნავს შეუღლებას.

— რისი დაწინდვა, რას ამბობთ, ჯვრისწერა იყო ნამდვილი!.. მე იქ არ ვიყავ, მაშინ მცხეთას?

— ვინ არ იყო მაშინ იქა!

— ჰო და თუ იყავით, არ გახსოვთ, კათალიკოსმა რა დიდის ზეიმით დასწერა ჯვარი. რა გამოჩინება, რა ზეიმი, რა მგალობლები!

— პა-პა-პა-პა! მგალობლები სულაც არ ყოფილა!

— ეხლა შენ მასწავლი?!

— არა, მე ვამბობ დაწინდვაზე-მეთქი, თორემ იწე, მგალობლები როგორ არ იყვნენ...

— არ გეკადრებათ! აბა, რად იტყვით სიცრუეს. მე იქ არ ვიყავ, მაგრამ კათალიკოსის მიერ ჯვრისდაწერა სულ ტყუილი ამბავია...

— რატომ, რატომ!

— კათალიკოსი ბერია და ჩვენი რჯულით ბერს უფლება არა აქვს ჯვრის დაწერისა.

სიცილ-ხარხარი.

— კარგს იტყვის, თქვენმა მზემა!..

— რაც იყო, იყო... ეხლა გვმართებს სიმარჯვე...

— დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებთ, რადგან სიმართლე ჩვენს მხარეზეა...

— რასაკვირველია! უსამართლოდ მოექცნენ რუსთ უფლისწულსა... მტრებმა რალაც საზიზღრობა დასწამეს რომ დაეჩაგრათ, მაგრამ სიმართლე თავის გზას არ დაჰკარგავს...

— აკი არ დაჰკარგა! ჩამოვიდა კიდეც.

— ბიზანტიიდან იმდენი ჯარი ჩამოუყვანია, რომ სამოცზე ბევრი იქნებაო.

— მე მითხრეს ოთხმოციო...

— რა საჭირო იყო ბიზანტიელი ჯარი, ჩვენ კი ვერ ვეყოფოდით?

— რად ბრძანებ მაგას?.. თამართან შებმა ხუმრობა ხომ არა გგონია!

— მაინც ეს ჩვენი, ქართველების, საქმე იყო... უცხო ჯარი რად გვინდოდა... ჩვენვე გამოვრიგდებოდით.

— ძალიან კი დავაჟკაცებულა ჩვენი მეფე...

— მეფე? რომელი?

— მეფე რომელი იქნება, გიორგი რუსზე ვიტყვი... თუ მეფედ არ მიგაჩნია?..

— ეტყობა, არ შეუფიცნია...

— ვინა სთქვა? რამდენი ხანია შევფიცე კიდეც და გავათავე.

— მართალი სთქვით, დიდად დავაჟკაცებულა მეფე ჩვენი...

— გოლიათია, გმირი და სათნო ფრიადი...

— თამარი კი აღარ უნდა გვეყოლოს მეფედ?.. ბაგრატიონია, ძმობილო, ჩვენი სისხლი და ხორცი...

— ეე, შენც იტყვი ერთი...

ამ დაუსრულებელს გამოკამათებაში გადიოდა დღე.

მხოლოდ დადიანი არ იმჩნევდა სულიერ მოუსვენრობას და ბიზანტიის წარმომადგენელს დინჯად ჰადრკს ეთამაშებოდა.

რომ ცოტა მოღამდა, იურიმ გამოიღვიძა, დადიანმა ჰადრაკს მყისვე თავი დაანება და საქმის მეთაურნი სათათბიროდ გაიწვია.

იური მეფის ალაგას დასვეს და პირველი სიტყვა დადიანმა გამოითხოვა:

— უფლება გათელილი, უსამართლობა ჩადენილი, ღვთისა და კაცის წინაშე აუცილებლივ უნდა გამოსწორდეს. ბგერ თითქმის წელიწადნახევარია ამაზე ვმოლვაწეობთ ყველანი, ვისაც კი მართლა შეგვჭირს ჩვენი ქვეყნისა, და აი, შეწევნითა ღვთისათა და ჩვენი გარჯილობით შევძარით ქვეყანა და მოვაგროვეთ ლაშქარი აურაცხელი... განუყრელი ჩვენი მეზობელი და ერთმორწმუნე ერი ბიზანტია, როგორც სჩვევია, ამ ჟამადაც გამოვიდა მოსარჩლედ გათელილის უფლებებისა და გამოგვიგზავნა შემწედ ჩვენს წმინდა საქმეში თავისი ჯარი. ასე რომ ჩვენ ყოვლად განმზადილნი ვართ საწადელის მიახლებლად, მხოლოდ ჯერ არს ვიცოდეთ მოწინააღმდეგე ბანაკის მდგომარეობაც. მართალი არის, ჩვენ მოგვიხერხდა და შათდა ყოვლად უცოდინრად კარს მივადექით ამოდენა ლაშქრით, ხოლო მაინც უნდა გავითვალისწინოთ, რა შეუძლია მათ წინ დაგვიყენონ. მათი ძალა არც ისეთი სახუმაროა. მხოლოდ ამ ჟამად შეუკრებელია და ამასთან კარგა ძალი მეომრებისა, წვევითა ასათ გრიგოლის ძისათა ზემ კერძო რახსისა პირს მასისამდე ომობენ. ეს გარემოებაც ჩვენი ხელის შემწყობელია. მაგრამ მათ შეუძლიანთ მაინც შემოჰკრიბონ ჰერეთ-ჭართლით და სომხეთით საკმაო ჯარი. ამას გარდა როქის სპაყივჩაყთა უკვე ისევ თამარს ემხრობა, უთუოდ ოსებიც ამ ჟამად თამარის მხარეზეა და ყველა ეს დიდად მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს. ამისთვის გვმართებს, სანამ გონს ვერ მოსულან, მანამ სწრაფად მივიტანოთ იერიში და მტერი ჩავაჩოქოთ. მაშინ ისევ დავიბრუნებთ მეფე გიორგის და განვაგებთ ყოველსავე, ვით ეგების. მხოლოდ, სანამ საომარი მოქ-

მედება არ დაგვიწყვია, გიორგი მეფემ უნდა შემოგვფიცოს და ეხლავე გუჯარი მოგვცეს, რომ გვიმტკიცებს იმ მოთხოვნილებათ, რომელთაც მას ჩვენ წარვუდგინეთ.

გიორგისთან მოენე ჰყავდათ მაინც მიჩენილი, და როდესაც გაიგო დადიანის უკანასკნელი წინადადება, ბევრად არაფრად იამა. თან მოუთმენლად მოუნდა გაგება — ნეტა რა უნდა იყოსო.

დადიანმა წარჩინებულთა სახელით წარადგინა თითქმის იმეთივე მოთხოვნილება, როგორიც ერთ დროს ყუთლუ-არსლანს დასმა თამარს გამოსთხოვა.

ტურიმ ყურები ჩამოყარა და მოეშხამა სიხარული, მაგრამ იმდენი გონება კი მიაწვდინა, რომ ეხლა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელიაო და ყოველივეზე თანხმობა განაცხადა. წინასწარ დადიანის მიერ გამზადილ საჭირო გუჯარზეც ხელი მოაწერა.

როდესაც ხელს აწერდა, სადღაც შორეულად კუზმა გაახსენდა და თითქო გული ჩასწყდა.

ეხლა ბიზანტიელმა დაიწყო.

დიდათ შეაქო ქართველი ხალხი, მაში სულიერი სიმაღლე, სახელმწიფოებრივი მომზადება, აღნიშნა დიდი მნიშვნელობა დღეს დამტკიცებული გუჯარისა, ეს თქვენს უაღრეს მომწიფებას ნიშნავს და გეტყობათ ხართ სამართლის მოყვარული და უფლებათა დამცველიო.

შემდეგ გადავიდა ბიზანტიაზე, რომ ის მუდამჟამ საქართველოს სიკეთისა და აყვავების მოსურნე იყო, რომ ისტორიულად დაკავშირებულნი არიან, რომ ერთმორწმუნეობა ამისათვის ხელს უწყობთ, რომ ბიზანტიისა და საქართველოს მეფეებს ხშირად ერთი მეორეში ნათესაობაცა ჰქონიათ, დამოყვრებიან ერთი-მეორესა და სხვა ამ გვარი სიტყვა ჭრელობანა.

მხოლოდ ბოლოს ის გამოვიდა, რომ ძველი დამსახურებისა და ეხლანდელი დახმარებისათვის საქართველოს მათთვის უნდა დაეთმო ნავთსაყუდარი ჰერაკლია, მისი მისადგომი თვით დიოსკურიამდე. თქვენ სახელები გასინჯეთ, ნაჭდვილი ბერძნულიაო, ამტკიცებდა ის და სამხრეთით კიდევ ხუფთადან დაწყებული ტრაპეზუნტამდე. ერთის სიტყვით, მთელი შავი ზღვის ნაპირი საქართველოსი. ამ ნაპირში კი მხოლოდ ციხე-ქალაქი ფუთი დასთმო და თვითვე განაცხადა,

რომ ეს ძველთაგანვე ოდიშის წამფლობელოა და ჩვენ არ ვეცილებითო.

ბიზანტიელის ესეთმა განცხადებამ მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა დარბაზში, იური თითქო მზად იყო თანხმობა განეცხადებინა, მაგრამ დადიანმა არ დააცალა და ბიზანტიელს ზრდილობიანი, მაგრამ გადაუჭრელი პასუხი გასცა.

— ეს ყოველივე, რაცა ბრძანეთ, დიდად საგულისხმიეროა და საქართველო არასოდეს არ განდრკება, რომ ბიზანტიას ასიამოს რითაც შეეძლება, მხოლოდ ამ საკითხთა გარშემო, ჩვენ მეფესთან ერთად ყოველსავე კარგა ასწონდასწონის დღეს დამტკიცებულ გამგეთ დასი, მოიფიქრებს და პასუხს მოგართმევსო.

ბიზანტიელს არა უთქვამს რა, მაგრამ გულში კი გადაწყვიტა, თუ ეს არ შესრულდება, ბიზანტიის ჯარი დრომდე უსაქმოდ იდგება გურიაში და ამ მეამბოხეთ ერთი ისარსაც არ შეაწევსო.

დადიანმა კვლავ მოითხოვა სისწრაფე მოქმედებისა და ასეც დაასკვნეს:

მეორე დილით გიორგი რუსის წინამძღოლობით ნაწილი ლაშქრისა გადადიოდა ლიხის მთის იქით შიდა ქართლში და გაემართებოდა ნაჭარმაგევით ტფილისისაკენ, მეორე ნაწილი კი, დადიანის მეთაურობით, წავიდოდა რკინისჯვარით სამცხეს, საცა თამარის მომხრე ჩორჩანელთ სამფობელოს დაიმორჩილებდა, შემდეგ შეუერთდებოდა ბოცო ჯაყელსა და გუზანს, იქიდგან ჯავახეთით გაერთიანებულის ძალით ალყას შემოარტყამდნენ ალგეთს და აგარანს, საცა იმ ჟამად თამარ იმყოფებოდა... და იქ მოიმწყვდევდნენ.

ასეც მოხდა...

სისხამ დილით ორივე მხრისკენ უამრავი ჯარი გავიდა გეგუთიდან, რომელთაც გზადაგზა, სოფელში თანდათან უერთდებოდა გიორგი რუსის მომხრე რაზმელები.

მხოლოდ წასვლამდე იური და ცვატა კინაღამ წაიჩხუბნენ, რადგან, იური დარწმუნებული იყო, ცვატა მას წაჰყვებოდა, ცვატამ კი დადიანთან წასვლა არჩია და როდესაც იური გაეზუტა, ცვატამ ამითი ანუგეშა: სამცხეში ცოტა საქმე მაქვს და მოვრჩები თუ არა, უსათუოდ შენკენ გამოვბრუნდებიო.

რკინისჯვართან რომ თავისი ჯარით დადიანი მივიდა, ცხე-

ნი შეაჩერა და ოძრახეს სანახებს გადაჰხედა, ცვატა მოიხმო და ესე მიმართა:

— მაშ, ძალიან გულით გინდა ოძრახე შენ დაიპყრო?

— ორი დღეა გეხვეწები, დადიანო...

დადიანი ცოტა ჩაფიქრდა, შემდეგ წარმოსთქვა:

— მე თვითონ მინდოდა ჩასვლა... ამბობენ, რომ გოდერძი ჩორჩანელს, თითქოს უცხოეთით დაბრუნებული ჩახრუხაისძე უხუცესი და შოთა რუსთველი წვეოდნენ, ვითომ თვით თამარს ებრძანებინოს მათი დაბრუნება... გულით მინდოდა თამარის ეს სამივე ერთგული გამოჩენილი მგოსნები და ფილასოფოსნი ცოცხლივ დამეჭირა და ასე უპატიოთ მიმეგვარა თამარისათვის, მაგრამ ამდენ ჯარს ესეთი პატარა საქმისათვის ვერ მოვაცდენ. მე ციხისჯვარს გადავიყვან ჯარსა ივანე ყვარყვარესთან, შენ კი გასწი ოძრახეს! მცირე რაზმს გაგატან. იქ ახლომახლო ერზინკის მთავარია არსირუმელთა ჯარით, ისინი დაიხმარე და გაფიცებ... დასწვი და გაანიავე ოძრახეს ქალაქი...

ცვატას ამის თქმა არ ესაჭიროებოდა.

მის გულში კიდევ უფრო სხვა ჯოჯოხეთი იყო.

დადიანი განაგრძობდა:

— გოდერძი და ერთბამ ჩორჩანელნი ღირსნი არიან მაგისი. მუდამ ჩვენს წინააღმდეგ მეფის ტახტს ამაგრებდნენ... ნურავის ნუ დაზოგავ, არავინ არ დაინდო!..

ცვატას შარბათად ეწვეთებოდა დადიანის სიტყვები.

— ოღონდ, გახსოვდეს, ცვატა! თვით გოდერძი და, თუ მართლა იქ არიან, ჩახრუხაისძე უხუცესი და შოთა რუსთველი, იმათ ერთი ბეწვი თმაც კი არ უნდა შეერხეთ. ისინი ცოცხლივ უნდა ჩამოიყვანო, მხოლოდ უპატიოდ. ესეც ეყოფათ... არსირუმელები ხელში მაგრად დაიკავე, თორემ დაუნდობლები არიან... მაგათი სიკვდილი ყოვლად შეუწყნარებელია... ხალხი განსწავლულია და ბრძენი. მათი მოკვლა არ ეკადრება არც ჩვენს ქვეყანას და არც ჩვენს ღირსებას... კარგად დაიხსომე, რაც გითხარი!

გახარებულმა ცვატამ, დადიანს გამოეთხოვა თუ არა, თავპირის მტვრევით ჩააქანა ცხენი ოძრახეს დალმართისაკენ.

მწოლიარე გოდერძი სიცხით გავარვარებული შფოთავდა.

ერთ კვირაზე მეტია, რაც გაცივდა და ლოგინად არის ჩავარდნილი.

იქრგვლივ კი ჯარი მოადგა, ალყა აქვს შემორტყმული და მცირე მეციხოვნეთა რაზმით იცის, რომ ვერას გააწყობს.

კარგად რომ იყვეს, გაასწრებდა სადმე და თავის ძვირფას გულნაზისაც გახიზნავდა, მაგრამ ეხლა ავადაც არის და თან დაგვიანებულიცაა.

გზა შეკრულიაო, ეუბნებიან.

მოხდეს, რაც მოსავალია! ოღონდ, ქვეყანავ მშობელო, ჭირნახულო! ასე ნუ შეიცვლები!

ნუთუ ძალამ უხეშმა დასთრგუნოს სათნოება?

— ნუთუ გარყვნილ იურის ქვეყანა ზნე-ქველსა და მაღალ მწვერვალ თამარს დაამჯობინებს?

ნუთუ მოიღებს თავის გულსა და შიგ ქვას ჩაიდებს?..

ნუთუ წესიერებას და ქვეყნის აყვავებას დასჩაგრავს უგანაგებობა და განიავება მონაგართ?

გოდერძის სიცხიან გონებას კიდევ ბევრი „ნუთუები“ აქვს და ვერ ისვენებს. საბანს ხშირ-ხშირად იხდის, ბორგავს, ტრიალებს.

გულნაზი თავს დასდგომია და ჰშველის, რაც შეიძლება.

უეცრად შემორბის სახლთუხუცესი.

— დავიღუპეთ, ბატონო. წახდა ყოველი! ოძრახე იწვის...

— აა! იწვის?! — ერთს ამოიხვნეშს გოდერძი. — ოჰ, ეგ პირუტყვები... თავისთვის მაინც რათა სწვავენ?! ჯარი მოსჩანა?

— დიაღ, უკვე ქალაქს შემოესია...

— ვინ არიან?

— არსირუმლები უნდა გახდნენ, ბატონო. აქაც შემოვლენ, — და სახლთუხუცესი ცოტა ხმას უკლებს, არ უნდა გულნაზის გააგონოს.

— ოოჰ!.. — კვლავ ხვნეშის გოდერძი, — დაუნდობლები არიან... გულნაზი! დილვარდისა... სახლთუხუცეს!.. ეხლავ, სწრაფად გულნაზი ხარდაფში ჩაიყვანეთ... ცხრა კლიტულსა იქით... საიდუმლო ჩასასვლელი რომ აქვს...

გულნაზი ჯიუტობს. არ უნდა ბიძის მოშორება, მაგრამ

გოდერძი საშინლად ბრაზდება... დილვარდისას და სახლთუხუცესს თითქმის ძალით გაჰყავთ გულნაზი.

— სანოვაგეც წაიძღვანეთ! — მიაყვირებს გოდერძი.

— იქ გახლავთ ყველაფერი! — ყვირილითვე შორიდგან პასუხობს სახლთუხუცესი.

ფეხის ხმა მიწყნარდა. ცოტა ხანს სიჩუმეა.

თითქო ოდნავ დამშვიდდაო გოდერძი. გულნაზი მაინც სამშვიდობოს ეგულება. ურჯულოები ვერ მიაგნებენ.

უეცრად კარებზე ყვირილი, კვნესა, ხმლის ჩახი-ჩუხი.

გოდერძი პერანგის ამარა წამოვარდება ლოგინიდან და კედლის ხალიჩაზე გაფაციცებით ეძებს რალასაც. აგერ მამაპაპეული გორდა. რამდენი ხანია ხელთ არ აუღია.

რა მძიმეა!

ეჰ, ძალა ჰღალატობს, თუ რა არის? ერთ-ორს მაინც გაუპობს მკერდს.

მირბის ხმლიანი კარებისაკენ ვაჟკაცურად, მაგრამ უეცრად წაბარბაცდება და ბუხრის წინ დაეცემა.

გაზაფხულის ნელი სიო, აივნის კარიდან შემოდენილი, ნაზად არხევს მარმაშის ფარდას.

ველურ-ყვავილთა სურნელება ეჭრება ოთახს.

უეცრად ცოფიანივით შემოვარდება გასისხლიანებული ხმლით ცვატა და დაფეთებული ვიღასაც ეძებს.

ათიოდე არსირუმელიც შემოსდევს.

ცვატა დაინახავს გულწასულ გოდერძის და მხლებლებს ანიშნებს:

— მოასულიერეთ!

გოდერძის აიღებენ, ლოგინზე დააწვენენ, ზოგი ყურს უსრესავს, ზოგიც ჩქმეტს ტანზე, ვიღაცამ წყალი შეასხურა.

გოდერძი თვალს აღებს, ცვატას დაინახავს და ისევ დაწუჭავს. ცვატაც ბრძანებას იძლევა:

— ხელ-ფეხი შეუკარით და ლოგინზე დააკარით მაგრა! ეხლა კი გასწით, ჯარი დააბანაკეთ და შესწყვიტეთ ბრძოლა... აქ ხომ აღარავინ არის?

— სულ ამოვჟლიტეთ.

— კარგი. გასწით და საუზმე გამომიგზავნეთ.

ყველანი გალაგდნენ. მარტო დარჩნენ შეკოჭილი, ავადმყოფი გოდერძი და გამარჯვებული ცვატა.

ცვატამ თითქო დამშვიდებით ოთახში გაიარ-გამოიარა.

— გოდერძ! სად არის გულნაზი? სადა გყავს დამალული?

სიჩუმე.

გოდერძი თვალდახუჭულია.

მხოლოდ მარმაშის ფარდა ძლივს გასაგონად შრიალებს.

— კარგი! არ გინდა მითხრა? მე თვით მოვძებნი.

პასუხად გოდერძის კბილების ხრჭიალი მოისმის.

საუზმე შემოაქვთ.

ცვატა დამშვიდებით ჯდება და საუზმეს არხეინად შეექცევა.

გადის ცოტა ხანი.

ცვატა ბრძანებს:

— ასისთავს დამიძახეთ!

შემოდის ახმახი არსირუმელი.

ცვატა რაღაცას ყურში ეუბნება, არსირუმელი იღრიჭება, თავს უკრავს და გადის.

ცვატა საუზმეს განაგრძობს და ღვინოს ეძალება.

— შენი სადღეგრძელო იყოს, გოდერძ! კარგი მასპინძლობა იცი...

გოდერძი ტოკავს. ხმას მაინც არ იღებს.

შემოჰყავთ გულნაზი.

სრულიად დამშვიდებულია. ეტყობა, წამებას მოელის და მაგრად უნდა დახვდეს. თვალები დახრილი აქვს, ცოტა ფერწასულია.

— ტანთ გახადეთ!

ბრძანებს ცვატა.

ქალს შუბლი ეჭმუხნება, თვალს აიღებს და ცვატას დანახვაზე ოდნავ შეკრთება. ეტყობა ამას არ მოელოდა.

ქალს სამოსელი შემოაძარცვეს, თან ჯაჭვებით ისევ გაკავებული ჰყავთ. ქალს სძლევს კდემამოსილება და თითქო უნდა შიშველი ტანი ამით დაჰფაროსო, თავს ქვეით ჩაჰკიდებს. გრძელი ნაწნავი წინ გადმოვარდება, მაგრამ არ იშლება და ძუძუს ფერდობზე გადაისრიალებს.

გოდერძი გაქვავებულია. ამჟამად თვალები ღია აქვს, გაფართოებულიც, მაგრამ არაფერს კი არ უყურებს, არამედ

წიცწისაგან მგზნებარე, უსაზღვრო გაოცებით გამოშტერებული.

ცვატა გემრიელად ილუკმება და ქალწულის მკვრივსა და მოყვანილ ტანს ხარბად შესცქერის. ატყობს ამ სხეულს, როგორ უვლის სირცხვილის ალმური, აგერ თეძოებისკენ თითქო წითლად გაიელვა.

მიდის ცუდი ღიმილით და ქალწულს ძუძუებზე ათრთოლებულ თითებს შეახებს.

გულნაზის სხეული აკანკალდება, თითქო ზიზღისაგან, მაგრამ ეტყობა შინაგან ვიღაც უბრძანებს მოთმენას და ქალწულიც მოთმინებით დგას.

— ქალი მეორე ტახტზე დააკარით!.. თქვენ წადით ყველანი!

ბრძანებს კვლავ ცვატა და, როდესაც მხლებლები გადიან, ნელ-ნელა, თითქო ეპარებაო, მიდის ქალწულ სხეულთან და მიაქვს თავისი ვნებამორეული სურვილი.

ტახტზე დაკრულნი თითქო გაქვავებულნი არიან, თითქო პირი შეკრესო.

არც კივილი ქალისა, არც ხვნეშა ან წყევა-კრულვა გოდერძისა, არამედ ერთგან მორჩილება საწამებლად გამზადებულისა და მეორეგან გაოცება, გაოცება გონების წამრთმევი, ადამიანისადმი ყოველივე რწმენის დამკარგავი.

ეხლა ცვატა აღარ არის ოთახში.

გულწასულ და ტახტზე მიგდებულ ქალს უკვე თმები ჩამოშლია და აკუწულ ნაბადივით აქვს წამოსხმული.

მარმაშის ფარდას ძლივგაყოგონათ აშრიალებს აივნიდან მოდენილი ნაზი სიო.

ველური ყვავილების სურნელება ეჭრება ოთახს.

გარეთ ეზოში ცვატა ცხენზე ჯდება:

— რამდენია სულ ჩორჩანელი დახოცილი?

— სულ თვრამეტი გახლავთ...

— ჰო, მეტი არც იყვნენ... ამოწყდა მაგათი სახსენებელი, ორიღაა: ეგ გოდერძი და მისი დაყუდნებული ძმა ზარზმის მონასტერში... დასრულდა ჩორჩანელთა ამბავი... მართლა როგორც გითხარით, ცოტა ხნის შემდეგ ახვალთ და ორივეს ხელ-ფეხს შეუხსნით. მხოლოდ შემდეგ მცველები დაუყენეთ, რომ თავს არა აუტეხონ რა... ავადმყოფს მკურნალი მიუჩი-

ნეთ, დადიანს კი აცნობეთ, რომ ჩანრუხაისძე უწუცეწი და შოთა რუსთველი ჩვენ აქ არ შეგვხვედრია. ეხლა კი ნაჭარმაგევისაკენ...

და ბედაურს ჭუსლი ოდნავ შეახო.

Ω

ალგეთთან აგარაზე ამ შუალამისას დიდი ამბავია.

სასახლის ფერდობ ეზოში, თითქო ცხენთა ჯოგი მოურეკნათ, იმდენია, ეტყობა, მოსულები.

თვით სასახლეში დიდი შესვლა-გამოსვლაა.

ზოგი სიჩქარით გამოდის, მოახტება ცხენს და მიჭენობს თავდაღმართში, ალბათ, რაღაც დიდი მოვალეობა დააკისრეს.

ზოგიც აქეთ მოაჭენებს და სასწრაფოდ შედის სასახლეში, ალბათ, ამას აქეთ მოაქვს მეტად საჭირო რამ ცნობა.

პატრონთა გაოფლიანებული ცხენები მხლებლებს დაჰყავთ ეზოში და ერთი მეორეს გადასცემენ უცნაურ ამბავსა — გიორგი რუსი ბიზანტიის ჯარით თავს დასხმია საქართველოს!

დერეფანში ჩურჩულია გამდგარი და კუთხეებში გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლაა მომხდარი ამბის გაშემო.

სასახლის დიდი დარბაზი წმინდა სანთლებით ჩასმული ჭაღებით არის გაჩაღებული.

შუაგულ ალაგას გრძელი მაგიდა დგას, ზედ საქართველოს დიდი რუქაა გაშლილი. თამარი, ფეხზე მდგარი, ამ რუქას დასჩერებია, თან ცალკე ჭალალდზე, ქალმით ხელში, რაღასაც ანგარიშობს. ნაწერი ამჟღავნებს: ჰერეთის საარისთავო — ამდენი და ამდენი ჯარი, ქართლისა ამდენი... შარვან ს სამფლობელო, ოსები, სომხითარნი...

მის გარშემო კი, თუმცა მორიდებით, მაინც თითქო ფუტკართ ბზუილი გაისმოდეს.

უკვირთ, უკვირთ, უკვირთ!

იმდენად ის კი არა, რომ ბიზანტიელი ჯარი საქართველო-

ში გიორგის მეთაურობით შემოვიდა, არამედ ამდენი ქართველი განდგომილი საიდან გაჩნდა...

თანდათან მეტი ამბები მოაქვთ: ბედიანი, დადიანი, ჩხეტიძეები, ბოცო ჯაყელი, გუზანი, ივანე-ყვარყვარე...

მთელი სამცხე, ტაო-კლარჯეთი, ოდიში, თაკვერიწა, არგვეთის ნაწილიც კი... თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო.

კიდევ შემოდის ახალი შიკრიკი: ახალი გვარი, ახალი განდგომილი.

რა ამბავია? იქცევა ქვეყანა?

თამარი ისევ რუქას ჩასჩერებია. ისევ ანგარიშობს: ყივჩაყნი, მთა...

მის გვერდით დავით სოსლანი დგას და ზაქარია მწარგრძელი. დრო-გამოშვებით, როდესაც მეფე შეეკითხება, ისინი უხსნიან სად და სად უნდა იდგეს ამ ჟამად მტრის ჯარი,

კიდევ ახალი მოსული, კიდევ ახალი ამბავი.

აბულ-აბანი გაქცეულა, უტანდარიც...

უტანდარი?

— დოდო სადღაა? — მოულოდნელად კითხულობს თამარი. — მგონი უტანდარის მეგობარი იყო... ისიც ხომ არ გაჰყოლია?

დოდოს ხსენებაზე ცოტათი შეირხევა დავით სოსლანი, მაგრამ არას ამბობს.

— დოდოს, თამარ შემოგევლე, გუშინ წესი აუგეს. — პასუხს აძლევს რუსუდანი.

— როგორ?! როდის გარდაიცვალა?

— არა, კი არ გარდაცვლილა, მონაზვნად აღიკვეცა და კახაბერს მიჰყავს კიდეც თავისი ახალი მონასტრის, მღვიმეს წინამძღვრად...

თამარმა კახაბერს გადაჰხედა მწოლოდ.

კახაბერმა მაინც მოახსენა:

— ეგრეა, მეფევ! გუშინ წავიდა კიდეც იმერეთს. მაშინ არ ვიცოდით ეს ამბავი, მაგრამ ნაჭარმაგევს და გორს როგორ გაუცდება, ძნელი სათქმელია, სულ მტრის ლაშქრით არის, თურმე, სავსე.

— უჰ, რა გაუოხრებიათ ის არემარე! — წარმოსთქვა ჭიაბერმა. — გორს მაინც ვეღარ ვიცნობთ თურმე.

ამ სამგლოვიარო ამბავზე მძიმე დუმილი ჩამოვარდა, იქაიქ ხვნეშა გამოისმა.

თამარმა სიჩუმე დაარღვია და ყველანი სმენად იქცნენ:

— მაშ ასე! სოსლანი წავა მთიულთა ლაშქრით პირისპირ უბედურ ვაჟთან შესაბმელად ნაჭარმაგევისაკენ, გზაში ჯადაროსი ოსთა ჯარით შემოუერთდება. დავითსვე თან ეახლება ნაწილი როქის სპისა. ოთხივე მხარგრძელები ჰერეთლებით და სომხითარნით გადავლენ თრიალეთს, რომ ჯავახეთს დროით მიატანონ და მტერს მოულოდნელად თავს დაესხნენ. მათვე გაჰყვება რატი სურამელი, რაც შერჩა იმ ქართლის ჯარით, ამათაც, ლორეთს გადასულნი, რამოდენიმე დღეში მოეშველებიან შარვანელნი. ჩვენ კი დაუყოვნებლივ მივაშურებთ ტფილისს მიდამოებს. დანარჩენი როქის სპითა და თან გვახლდება სარდლებად, საყვარელი მამობილი კახაბერი, ჭიაბერი და სხვა დანარჩენნი ხელის მსახურნი. ხოლო მანამდე კი, სანამ ამ მზადებაში ვართ, კვლავ მივმართოთ ჩვეულებრივსა მოლაპარაკებას და გავგზავნოთ ანტონ ქუთათელი და ჭყონდიდელი განდგომილთა მეთაურებთან მოსალაპარაკებლად, ეგების ავიცდინოთ ეს სავალალო ძმათა მმუსვრელი ომი.

ცოტა შეჩერდა. შემდეგ უბრძანა:

— ჭიაბერ! ხვალ უბრძანე გახსნან ჩემი პირადი სალარო და დაურიგონ პერპერა და დინარი უხვებით, დავრდომილთა და სნეულთა, ქვრივთა და ობოლთა. გამოაცხადე აგრეთვე საყოველთაოდ, რომ ვინც საქართველოს ერთგულია, მისთვის მიპატიებია სამი წლით ყოველგვარი ხარკი სამეფოს სალაროსთვის შეხაკრები და გამინთავისუფლებია ყოველგვარ დაჭირვებათაგან.

შემდეგ მოუბრუნდა იქ დამსწრეთ და ლმობიერად თვალი გადაავლო:

— იყავით მხნედ და მეტსა აღელვებასა ნუ მიეცემით. მართალია, მტერი ამ ჟამად მეტად მარჯვედ მოიქცა. დიდად თვალსაჩინო შვილნი ქვეყნისა დააბრმავა უთუოდ თავისი სახარბიელო და მატყუარა დაპირებით და თავისკენ გადაიბირა. ამის გამო ჩვენი საჭირო სიფრთხილე მიაძინა განდრეკილთა და ქვეგამხედველთა ჩვენ მიერ ნდობის გამო, მოულოდნელად თავს დაგვესხა და საქართველო შუაზე გათიშა. განსაცდელი მეტად დიდია, მაგრამ, უკეთუ ქვეყნის ერთ-

გულნი იქნებიან შემჭიდროებით და წინდაბედულობით მოქმედნი, მუხანათთ არ გაუმარჯვდებიან. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ეხლა დრო არის მხოლოდ აწონილ-დაწონილის, მაგრამ სწრაფი მოსაზრებისა და ყოველი დაყოვნება შთაგვაგდებს უარესს განსაცდელსა. უნდა დაუტევოთ ყოველი დრტვინვა, ჩივილი, და მხნედ და ერთსულოვნად მოვიგერიოთ თავს დატეხილი ჭირი. ტყუილუბრალოდ კი ნუ ავჩქარდებით, ნუ შევიქმთ საერთო შიშსა, ნუ დავიბნევით, ყველამ თავისი მოვალეობა პირწმინდად და გულწრფელად აღვასრულოთ და სრულიად მწამს, რომ გავიმარჯვებთ. ეხლა კი მშვიდად და წყნარად დავიშალნეთ და დავალებულნი მყისვე შეუდგნენ ნაბრძანების შესრულებასა!

მართლაც, ყველანი დამშვიდებით, დინჯად წარემართნენ, არც აურზაური ცხენების მოპოებაში და მხლებელთა დაძახებაში, არც ტყუილუბრალო ლაყბობა და კამათი.

ხალხი დატვირთული მოვალეობით და პასუხისგებით გამოვიდა სასახლიდან.

დავით სოსლანმა ჭიაბერი განზე გაიყვანა:

— შენ გეცოდინება, გარდა განდგომილთა და ლტოლვილთა, გარდა კუზმა რუსისა ვინ იყო გიორგი რუსთან დაახლოვებული? ზანქანი ვიცი... ეხლა ქალაქს მივდივარ და მე თვით დავატუსაღებ, ხოლო სხვებია საჭირო. მიმიხვდი?

— განა თქმა უნდა? — უპასუხა ჭიაბერმა. — ყველა, ვინც კი გიორგი რუსს თავს დასტრიალებდა, უნდა დატუსაღებულ იქნას, რომ ჯაშუშობა ვეღარ შესძლონ. მხოლოდ, დავით, ტანჯგანაგს ერიდე. თამარმა თუ გაიგო...

სოსლანმა რაღაც წართქვა, მაგრამ ჭიაბერმა ვერ გაიგო. დავითი ამისთანას რას მოიქმედდა. გული კიდევ უფრო აუფორიაქდა, როდესაც დავითმა სთხოვა, რომ თამარს ნურც ამ ჩემი განზრახვის ამბავს გადასცემ, რომ ხალხს ვატუსაღებ, ნუ გააგებინებო.

ჭიაბერმა მხოლოდ შემდეგში მოიფიქრა და სოსლანს თანახმა გაუხდა. ზანქანის გარდა, ერთი ორიოდე სხვაც დაუსახელა და დანარჩენთათვის ურჩია, რომ ქალაქის სარანგოს უფროსისთვის მიემართნა.

ორი დღის შემდეგ სოსლანი ქალაქს იყო და, იმის გარდა, რომ ნაჭარმაგევისაკენ სალაშქროდ ემზადებოდა, სარან-

თა უფროსის ბინაზე მთელი სასამართლო ჰქონდა გაჩაღებული.

სარანგთ უფროსის მითითებით განუწყვეტლივ მოჰყავდათ ალხი და ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, ეჭვის და მიხედით, ზოგს დილეგში ამწყვდევინებდნენ და ზოგსაც უბრალო პატიმარში.

ზანქანი ქალაქში არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, კევორქ ჩუსუზიანი შემოიყვანეს.

სარანგთ უფროსმა დავითს აუხსნა:

— აი, ერისთავთ-ერისთავო! ეს არის რაც არის... რამდენერ მყავდა ხელში მომწყვდეული, მაგრამ დადიანი და აბულსანი ხელს აფარებდნენ და ვერა გავაწყე რა. ზანქანის მარვენა ხელი ეს იყო და ათას ბნელ საქმეებს აკეთებდა: ტყვებსა ჰყიდდა, ქალებით ვაჭრობდა, ხაშხაშის იდუმალი საქიბაქოები ქალაქში გაფანტული ჰქონდა. ამასვე აბრალებდა ალხი უტანდარის მხევლის, თაფლოს გატაცებას და აბუბექზე მიყიდვას, მაგრამ ვერაფრით ხელში ვერ ჩავიჭირე.

სოსლანმა კევორქს დაკითხვა დაუწყო. ცხვირპირ ჩამობელებული კევორქი გაჯიუტდა და არაფერში არ გამოტყდა, ელიმას გაიძახოდა:

— მე ერთი უბრალო ნოქარი ვიყავ ზანქანისა, უბრალო ღებ-მიცემობას ვეწეოდი და სხვა არა ვიცი რაო.

— სად არის ზანქანი?

— არ ვიცი.

— მისი ნოქარი ხარ და არ იცი სად წავიდა შენი პატრონი?!

კევორქი ხმას არ იღებდა.

მაშინ კი სოსლანმა სარანგთ უბრძანა, რომ კევორქი გაჯახათ. კევორქი ჯერ კიდევ მაგრად იყო, მაგრამ ზურგი აუტიტვლეს და ერთი-ორი მოხვდა თუ არა, ყვირილი მორთო:

— მაპატიეთ, ყველაფერს ვიტყვი!

ხელი შეუშვეს.

აღმოჩნდა, რომ ზანქანი ორი კვირაა, რაც არსირუმს წასულა თავის სიძესთან, მთელი თავისი ჯალაბობაც იქ წაუყვანია და თუ რამ სარჩო-საბადებელი ჰქონდა, თან წაულია.

ისიც დამტკიცდა, რომ, გიორგი რუსის გაძევების შემდეგ,

ზანქანსა და ჩუსტუზიანს დაჰქონდათ საქართველოდან გაგ
ზავნილი წერილები გიორგი რუსთან და იქიდანაც მოჰქონდათ
პასუხი და სხვადასხვა საჭირო ცნობანი, როცა სავაჭრო მის
ნით კონსტანტინეპოლში მიდიოდნენ.

თაფლის გატაცებაც აღიარა. ქალებით და ხაშხაშით ვაჭ
რობაშიაც გამოტყდა.

სოხლანმა ბრძანა, კევორქისათვის ყოველი ქონება ჩამო
ერთმიათ, საწელმწიფო სალაროში გადაერიცხათ და თვით
კევორქი თავისი ცოლშვილით საქართველოდან სამუდამო
გაეძევებინათ.

ამის გაგონებაზე კევორქმა ერთი საშინლად თავში წელ
შემოიკრა და მუხლებში ჩაიკეცა. ის იყო წუწუნი დააპირა და
უნდოდა სოხლანისთვის პატიება ეთხოვნა, მაგრამ, მის სახე
პირს რომ აჰხედა, ენა სასასთან მიაკვდა.

სოხლანმა ზანქანის ქონებაზედაც, თუ კი რამ სადმე დარ
ჩენილი აღმოჩნდებოდა უძრავ-მოძრავი, ბრძანება გაცა სა
ხელმწიფოდ გადაერიცხათ.

კუზმა რუსის დასატუსაღებლად კახეთში სანდო რაზმი
გაგზავნა.

ᲝᲐ

ანტონ ქუთათელისა და ჰყონდიდელის მოციქულობა
ვერ გასჭრა.

გიორგი რუსმა არც კი ინახულა და სხვა მეთაურთაგან
ორჭოფული აზრის გარდა, ვერა გამოიტანეს რა.

ამასობაში თანდათან იკრიბებოდა თამარის მომხრე ლაშ
ქარი და, როდესაც მშვიდობიანმა მოლაპარაკებამ უქმად ჩა
იარა და შემოსული ლაშქრის მიერ ქვეყნის აოხრება სცნე
თვითონ ნაჭარმაგევამდე, საცა სამეფო საზაფხულო სასახლე
იყო, თამარის ნებართვით, სპასპეტის ჯარმა ჯავაზეთისაკე
თრიალეთით სავალი გზა გრიგალებრ გადაიარა და მტრის
ბანაკის პირდაპირ მტკვარგაღმა შეჩერდა.

მხოლოდ აქ მოეგო გონს ამირსპასალარი გამრეკელი
ნახა თუ რა საშიშროება იყო მათ წინ, რა აწლო მოსულიყო
განდგომილთა ჯარი ალგეთთან, სადაც თამარ უმრუმო იმყო
ფებოდა.

ვერ ისვენებდნენ მხედრები გამრეკლის სპისა. უნდოდათ, ეხლავე, დაუყოვნებლივ მიტევებოდნენ მტრის ლაშქარსა, რომელიც მტკვარ გალმა იყო გაშლილი და შესვენებული.

თვალცხადლივ უყურებდნენ განდგომილ ლაშქარს და ვერაში კი არ შეეძლოთ მიეტანათ.

წყალი ჰყოფდა მათ.

წყალი ამ ალაგას ღრმა კალაპოტში მიმდინარებდა, შეტბორებული და მორევიანი. მხოლოდ ერთი იმედი დარჩენოდათ:

ქვის, ვიწრო, შერკალებული მყარი ხიდი, საცა რვა ცხენოსანი ერთი მეორის გვერდით ძლივ დაეტეოდა.

თვით ცხენებიც კი, წყლის პირას, უდროოდ შეჩერებულნი, ტორს ურტყამდნენ მიწას და ადგილზე ვერ ისვენებდნენ, თითქო ამბობდნენ: გაგვიშვით, მივეტიოთო.

გასავალი კი ვიწრო იყო.

ამირსპასალარი აღარავის ეკითხებოდა და ცალთვალ მოჭუტული გაჰყურებდა ხიდის მოედანს, მის კიდეგანსა.

ეტყობა, მტკვარგალმა დაბანაკებული ჯარიც შეწუხებულა. თითქო მისთვის მოულოდნელი იყო ამდენი მოწინააღმდეგის წინ გაჩენა, და სანამ გამრეკელი რაღმე გადაწყვეტდა, სანამდე ბოცო ჯაყელმა ხიდს თავისი მოწინავე რაზმი შეასო.

გამრეკელმაც ბრძანა და...

ისკუპეს მხედრებმა.

მკერდგადაშლილი, ქედმორკალული ბედაურები ორივე მხრით ეკვეთნენ ხიდის იწროებს.

რვა-რვა მიდიოდა რვა ათასის გასაყვანად.

შმაგი იყო მათი ჭენება, გამტანი და გამთელავი წინ მდგომი დაბრკოლებისა.

პირველი შეხვედრილი რვა წყვილი ორივ მხრისა მხოლოდ მრისხანედ შეიქოჩრნენ ხიდის შუაგულ, შექმნეს სახე ჩოჩხილ კიბის და გაისრულნი ორნივ გადაიღუნენ მტკვრის ხალღებში.

ამას მოჰყვა სხვა რვა... და ასე დაუსრულებლივ.

რაზმები ორივ მხრივ სცვლიდნენ ერთი-მეორეს, გააფთრებით ეჯახებოდნენ და სამუდამოდ იღუპებოდნენ ცხენიან-

მხედრიანად ერთი მეორეზე გადაჭდობილნი, თურმე იმის-თვის, რომ ძმებს ერთი მეორის მზე დაებნელებინათ.

იღუპებოდნენ ასეული წყვილნი ხიდის იწროებში. მაინც ვერც ერთმა მეორე ვერ განდრიკა.

უეცრად, ამ გახურებულ ბრძოლაში, ჩამოალამდათ.

უეცარი იყო ეს ჩამოღამება მებრძოლთათვის, რადგან ისინი ამას არ მოელოდნენ.

მხოლოდ, ვინც ბრძოლაში არ იყო ჩართული, მას არ დაუწყებია მიღებული წესი და, ბინდმა მოატანა თუ არა, ორივე მხარეს გასაყარსა ნაღარას ჰკრეს და მათ დამღუპველ, ბედითს ხიდს ჩამოშორდნენ.

მყისვე ორივ მხრივ სამხედრო ბჭობა გაიმართა და ორი სხვადასხვა გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი:

განდგომილებმა უკან დახევა ირჩიეს და მახლობელ ციხეებში გამაგრება.

მაგრამ ჯერ კარგა არ იყო ციხიერი შეთეთრებული, რომ ზიდგაღმა ისეთი ცარიელი მინდორი გამოჩნდა, თითქო ძაღლის ენით აუსლეჭიათო.

განდგომილები იმ ღამესვე გაპარულიყვნენ.

თამარის ჯარი სწრაფად გავიდა ხიდზე და მტერს დაედევნა.

მთელი ორი დღის განმავლობაში განდგომილებმა ბრძოლა არ მიიღეს და სულ უკან იხევდნენ.

ამბობდნენ, ბოცო ჯაყელის სიფრთხილის ბრალიაო.

დადიანი თავისი ჯარით ჯერ კიდევ ციხისჯვარს არის, თორემ აქამდე შეუტაკებლობას არ მოითმენდაო.

ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ განდგომილთა ჯარში, თამარის ლაშქრისა და საქართველოს დროშის დანახვაზე, ბევრი შეწრფა და მერყეობა დაიწყო. უფრო კიდევ იმიტომ, რომ განდგომილთა გზაზე მდებარე ბევრი სოფელი ისევ თამარის ერთგულად იყო დარჩენილი და თამარის ჯარი გამოჩნდა თუ არა, აშკარად მათ მხარეზე გადავიდა.

ბევრ ბრძოლაში გამოცდილი ბოცო ჯაყელი ხერხიანად არიდებდა თავს მეტად სახიფათო ბრძოლას.

მაგრამ აგერ იგი თავისი ლაშქრით ხინგრის წყალთან მოხვდა, თმოგვსა და ერუშეთს შუა, ფართოდ გადაჭიმულ ნიალ ველზე.

ნელი-ნელ მიდიოდა განდგომილთა ჯარი საფარისაკენ.

უეცრად ლორედან გადმოსული ივანე მხარგრძელის ჯარი წინ შემოეფეთა და იძულებულნი შეიქნენ, რომ ბრძოლა მიეღოთ.

მაგრამ ივანეს ჯარი არც ისე დიდი იყო, რომ ბოცოს მისთვის რიგიანი წინააღმდეგობა ვერ გაეწია.

ბოცოს მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ამ ტრიალ მინდორზე ბანდდებოდა და ძალაუნებურად უკანით მოწოლილ თამარის ჯარსაც უნდა გამკლავებოდა.

ასეც მოხდა.

სწორედ შებინდებისას დაეწია მათ თამარის ჯარიც გამრეკელის, რატი სურამელის და დანარჩენ მხარგრძელთა წინამძღოლობით.

მაგრამ, დალამდა თუ არა, კვლავ წესისამებრ, გასაყარსა ნალარასა ჰკრეს და ის იყო განსვენებისათვის უნდა თავი მიეცათ, რომ განდგომილთა ბანაკში გაისმა რაღაც ყიჟინა, დაფდაფების ხმა, ღოროტოტოთა ღრიალი და უეცრად...

ცეცხლის ტყე გამოემართა თამარის ჯარისაკენ.

ამირსპასალარი გამრეკელი შეშფოთდა, მაგრამ არ დაიბნა და ჯარს უბრძანა კვლავ ამხედრებულიყვნენ.

სულ-გაკმენდილი ლაშქარი, ანაზდად, დასტა-დასტა დაწყობილი, ამ ღამის წყვდიადში, ციხე-ბურჯივით შემკვრივებული, გამზადდა იერიშის მისაღებად.

ცეცხლი თანდათან ახლოვდებოდა.

მისგან გამონაკრთომი შუქი უკვე წითლად ღებავდა თამარის ჯარის წინა რიგებს.

მზვერავმა ამბავი მოიტანა, რომ დადიანი დიდი ლაშქრით ჩამოსულა, გადაუწყვეტია ღამითვე შეტაკება და ამისთვის მთელი რაზმი ჩირალდოსანთა გაუმზადებიაო.

მოარული ცეცხლი ცოტაზე კიდევ მოახლოვდა. უეცრად შედგა და შემდეგ-კი ციმციმით გაიბნა, მოედნის მშვილდუროდ შემომრკალველი.

— ჰკა მაგას!

ეხლა სინათლეს უკვე იმდენი ძალა ჰქონდა, რომ რამდენიმე ალაჯზე ყოველივე მშვენივრად იხედებოდა.

გაისმა დადიანის რაზმიდან საომარი შეძახება და თით-

ქო ნიალვარივით მოსწყდა ერთი დიდი ტალღა განდგომილთა ჯარს.

და გაჩნდა ჯოჯოხეთი ნიალის ველზე.

გმინვა, ხვნეშა, შეყვირება, ხმლების ჩხრიალი, გურზთა ბათქი-ხუთქი, ცხენების მკერდთა შეჯახება, გადათელვა, დაკოდვა, სიკვდილი, ყოველივე ერთი მეორეში აირია და გამოსცემდა ხმას უცნაურს, ვაებისაგან შედედებულსა.

ორი ახოვანი ერთი მეორეს შეეფეთა. ცხენები ყალხზე შედგნენ და ერთი მეორის ტორ-დასარტყმელად განემზადნენ.

მაგრამ ერთმა მწედარმა ცხენს ალარ აცალა და განზე გააბევინა, მხოლოდ იმავ წამსვე შემოტრიალდა და ოროლით თავისი მოპირდაპირის გასაგმირად გამოექანა.

მოპირდაპირემ თითქო იგრძნო, რომ ზურგიდან მუხთლურად ეპარებოდნენ, თვითაც ცხენი შეატრიალა და ოროლს განზე გაუსხლტა, თან მიაძახა:

— გიცან, ივანე მხარგრძელო! აწ სადღა წახვალ ჩემ ხელთაგან!

— მუხანათ დადიანს მე არ გავექცევი! — შეჰყვირა ივანემაც, გაქანებული ცხენი შეაკავა, ოროლი გადააგდო და გურზ-მოქნეული მიუხტა.

დადიანმა ფარი იფარა და... გაუძლო.

მხოლოდ სპილენძის ფარმა საზაროდ გაიჟღრიალა.

ივანემ ეხლა გურზიც გადააგდო და ლახტს მიმართა.

დადიანმა ელვის უსწრაფეს ხმალი ამოიღო და ლახტი შუაზე გადაუჭრა, თან შესძახა:

— მუხთალი ხარ, მაგრამ მაინც დაგინდობ, მხოლოდ ნიშანს კი დაგაჩნევ!

და, სანამ ივანე ხამაგიერო ხმლის ამოღების მოასწრებდა, დადიანმა ხმალი გვერდელად ზურგზე გადაარტყა და ერთი გოჯის სიღრმეზე ბეჭებში ჩაიყვანა.

ივანე ცხენს გადაეკიდა.

დადიანმა მასთან მხლე რაზმელებს ივანეზე უბრძანა:

— შეჰკარ, შეიპყარ!

რაზმელებმაც ივანე შეჰკოჭეს და ბრძოლის ასპარეზიდან გაიყვანეს.

ჩირაღდნოსანნი მოხერხებით არიდებდნენ თავს შუაგულ

ბრძოლაში მოხვედრას და თითქო ფერხული აქვთ გაბმულ და ცეკვავენო, ისე გან-განზე დავლურს უვლიდნენ.

მაგრამ მაინც, ხან ერთი ბრძოლის ველით წარმოწადენი ტალღა წააჯირგალებდა ცხენიან-კაციან სიწათლის მფრქვეველ სანათურებს და ხან მეორე.

გადავიდოდა დასტა საზღვარს ასპარეზისას, მაგრამ მყისვე, ეხლა ამ რკალს-გარეთ, ჩნდებოდა სხვა ჩირაღდნოსნები და სინათლე ერთბაშ არ ილეოდა.

ბრძოლა კი თანდათან მწვავდებოდა.

წამგზავრობით და უძილობით გაშხამებულნი, სასოწარკვეთილებით ეტეოდნენ ერთი-მეორეს, თითქო ამით ამბობდნენ, — მოვიდეს ბარემ, რაც მოსასვლელიაო — და თავს აღარ იზოგავდნენ.

ორივ მხრივ მებრძოლთ რაზმებს თანდათან ემატებოდა მარჭაფად დაყენებული ჯარები და ეხლა ესენი უკიდებდნენ ცეცხლს რომელიმე ფრთას, საცა უკვე შენელებული იყო ბრძოლის მაჯისცემა.

ასე გასტანა გაწთიადამდე.

მხოლოდ განთიადისას გამოჩნდა მთლიანი სურათი ბრძოლის ველისა.

ნიალის უშველებელი მინდორი აღარ მიწდვრობდა, თითქო ჯადოსანს მთები დაედგა ამ ტრიალ ველზე. ხოლო ეს მთები იქა-აქ ჯერ კიდევ ფეთქავდა, თითქო დველფშფრქვეველი, ჩამქრალი ოლრო არისო.

მთების გარშემო, სათითაოდ, ბევრი იყო მიმოფანტული ბალახებსა და ჯაგნარებს შორის, აგრეთვე ამ მთებს შუა ბევრი იყო ცალ-ცალკე გუნდად ხელჩართვით ცოცხალი მებრძოლი.

გამრეკელმა ბრძანა, საერთო შეტევაზე გადასულიყვნენ და გაბნეული გუნდები, ზურგის ჯარის შესევით გაეერთიანებინათ.

დადიანმა რომ მტრის ზურგის ჯარის დაძვრა დაინახა, კაცი აფრინა ჩირაღდნოსნებთან და ისიც მოსწყდნენ და-უყოვნებლივ თავიანთ ალაგს და მომხრე ჯარის შუაგულისკენ ერთ ბურთათ შეიწასკვნენ.

ეს ცეცხლის ბურთი, განთიადით ფერმიღებული, შურ-

დულივით წამოგორდა გამრეკელის ალმისაკენ და ყიჟინით გამოქანებული ზურგის ჯარს შეეჯრა.

ჩირაღდნოსნებმა იარაღის ნაცვლად ეს ცეცხლი დაუშინეს ჯარს და დიდი ზიანიც მიაყენეს. ცეცხლისაგან მტრის ცხენები დაფრთხნენ, აირ-დაირივნენ და ჩირაღდოსანთ ზურგი უჩვენეს.

მხედრებმა ვერაფრით ვერ შეაჩერეს დაფეთებული ბედაურები და ისე გამოვიდა, თითქო განდრკა ზურგის ჯარი და პირი იქციაო.

— სწორედ იმავ დროს დადიანი, აბულ-ასანის თანხლებით და თავისი დასტით, გაქცეულ რაზმს დაედევნა, თან გაქანებულებმა უკუქცეულთ ისრები სეტყვასავით დაუშინეს.

ბოცომ და ბედიანმა, ეს რომ დაინახეს, მათაც უკანასკნელი ღონე მოიკრიფეს და ყველა სამარქაფო ჯარი შუაზე გაწყვეტილ გამრეკელის ლაშქარს მიუტიეს. მაგრამ თავგანწირულ მებრძოლთ მაინც ვერა დააკლეს რა.

მხოლოდ დადიანი და აბულ-ასანი მისდევდნენ უნებლიედ პირშებრუნებულებს.

ფერდობებზე კი ძლივს შესდგა ცეცხლით დაფეთებული ცხენები და მხედრობა ერთის კაცივით მწყობრად შემოტრიალდა.

ეხლა კი კვლავ გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ხელჩართული ომი.

ორივ მხარე ისევ მარჯვედ იყო და ვერავინ ვერ იტყოდა, თუ რომელ მხარეზე იყო გამარჯვება. აგერ ზვიადი სავარსამძე! მან თვალი მოჰკრა აბულ-ასანს. დაუმიზნა და მარჯვედ მოსხლეტილი ისარი პირდაპირ გულს განუწონა. მკვდარი აბულ-ასანი ცხენს გადაეკიდა. მის დანახვაზე დადიანი გაშმაგდა და ზვიადისაკენ გაიწია.

მაგრამ, აი, განზე მდგომმა, რატი სურამელმა თავისი მარქაფა რაზმით დადიანის ჯარს ზურგიდან დაუარა და ალყა შემოარტყა.

დადიანი მიხვდა, რომ ხაფანგში მოემწყვდა. მის მომხრეთა დანარჩენ ლაშქარს კარგა მანძილზე ჩამოშორებოდა, გამოდევნებას გაეტაცნა და ეხლა მტრის შუაგულ იყო მომწყვდეული.

ისიც შეატყო, რომ მომხრეთა ჯარი მას ვერ მიეშველე-

ბოდა, რადგან გამრეკელი და მწარგრძელები დიდად აწვებოდნენ და მისკენ არ უშვებდნენ.

ამ მოსაზრებამ რომ ელვასავით გაურბინა, ზურგიდან მოესმა:

— დამრჩი, დადიანო! — რატის ხმა იყო.

დადიანი შემოტრიალდა. ცხენი შეაყენა. ამოწვდილი ხმალი ხელიდან გააგდო და მკლავები გაშალა.

რატიმ უბრძანა, ბრძოლა შეეწყვიტათ.

მისი მომხრე ყველა შეჩერდა. დადიანის რაზმელებმაც, დაინახეს თუ არა, რომ აღარ ეომებოდნენ, ბრძოლა შეაჩერეს.

ბრძოლა მართლა შეწყდა და ყველა დადიანს შემოეხვია, მისიანიც და მოწინააღმდეგეც.

რატი სურამელი კიდევ უფრო მიუახლოვდა და პირში შეაცქერდა დადიანს.

აჰა, იგი დგას იმ კაცის წინაშე, რომელზედაც მუდამ ეჭვი ჰქონდა და ხელთ კი ვერ დაეჭირა.

ეხლა კი, აგერ დგას მის წინაშე მკლავებგაშლილი, ხელცარიელი და სულიერად სრულიად გაშიშვლებული.

აჰა, მისი ზრახვანი, აჰა მისი საწადელი!

მაგრამ ეხლაღა, ეხლა რაღას იზამს?.. მხოლოდ როგორა დგას მაინც!

თითქო რატის კი არ დაემორჩილა, არამედ ბედისწერასაო. თითქო რაცა სწამდა, მაინც სწამს და კი არ ემორჩილება გამარჯვებულს, არამედ აღარ ეწინააღმდეგებაო.

ოო, ეს ქედმაღლური ზვიადობა!

ამას რა მოჰხრის რა?!

თითქო მისი სახე ამას გამოიტყოდეს: რწმენა კი არ დამარცხებულა და მტრისა კი არ მეშინიან, თვით მე შევცდი, საომარ ხერხს დავაკელ, სურვილებმა გამიტაცა და წავაგე... ვიცი, რომ მტერი დამსჯის, მეც ასე მოვიქცეოდი. ეხლა მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ, მოვალეობას დამარცხებულისას და აჰა, გნებდებითო.

რატის, ჯერ საბრძოლველად წამოსულიც არ იყო, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, განდგომილ დადიანს შევხვდები თუ არა, ჩემის ხელით შეურაცხყოფას მივაყენებო.

ზგერ ეწლა ეს ბედნიერება ერგო კიდეც; დადიანი ის წელთაა რასაც უნდა, გარდა სიკვდილით დასჯისა, ყოველგვარ სასჯელს მიაყენებს, მაგრამ ენა არ უბრუნდება, ხელი კერ შეუმართავს.

ატყობს, რომ დადიანი არ ანანებს. მაინც კი ამ ქამად ჰისი ხელის წლება შეუძლებელია. უსათუოდ დიდი კაცია და ამ დიდ კაცს მხოლოდ საპატიოდ უნდა დატუსაღება.

ასეც მოიქცა. გული დაიცხრო, და ალყაშემორტყმული დადიანი, დამორჩილებული და იარაღაყრილი მისი რაზმით, ტყვედ წაიყვანა.

თითქო დადიანის დატყვევებამ გადასწყვიტა ნიალის ბროლის ბედი.

კიდევ ერთი სასტიკი შეტევა და ნიალზე მყოფ განდგომილთა თითქმის ყველა მეთაურები თამარის ჯარს ხელთ ჩაუვარდა.

მათ შორის არ იყო მხოლოდ გუზანი.

გაქცევა მოესწრო.

მათი მომხრე ლაშქარი კი მეთაურთ შემდეგ უბრძოლველად დანებდა და სინანული გამოსთქვა განდგომის გამო, კვლავ ერთგულება გამოაცხადა და გამრეკელის სპას შეუერთდა.

განდგომილ ერისთავთა ალაგს, გამრეკელმა თამარის ბრძანებამდე, ერთგული ხალხი ჩააყენა და ერთგულივე რაზები დასტოვა.

ორი დღის დასვენების შემდეგ ტყვეები და ჯარი ტფილისისაკენ წამოასხეს. თამართან კი გამრეკელმა სამახარობლოდ შიკრიკი აფრინა.

ᲥᲑ

თამარს მახარობლებმა ალგეთს ვერ ჩაუსწრეს. ის უკვე ტფილისს იყო წასული და მხოლოდ იქ გაახარეს მიტანილი ამბით.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი, რადგან ნაჭარმაგევიდან სოსლანისაგან არაფერი ამბავი არ იყო მოსული და თვით გიორგი რუსი დიდძალი მხედრობით ჯერ კიდევ იქ იმყოფებოდა.

მაინცდამაინც უმთავრესი გაკეთებული იყო. ეხლა გიორგი რუსი და ბიზანტიის ჯარი იყო საქმე.

მაგრამ ნიალზე გამარჯვებით გახარება მაინც დიდი იყო. მხოლოდ ვერ იყო გახარებული ნაჭარმაგევის მიდამოზე დაბანაკებული გიორგი რუსის ჯარი.

აქაც მერყეობა, რწმენის გატეხა, სიმტკიცის გაბზარვა.

ბიზანტიის ჯარი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

რამდენჯერ გაუგზავნა იურიმ ბიზანტიის ჯარს მოციქული მომეშველეთო, მაგრამ იქიდან მხოლოდ იმას ითვლევინებოდნენ, რომ მათი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ, შავი ზღვის პირი მათთვის გადაეცათ და ისიც, მარტო გიორგი მეფის ხელის მოწერით კი არა, არამედ იმ პირთა დასტურით, რომელნიც გეგუთის სამეფოს გამგებად იყვნენ დასახელებულნი.

იური თვითონ მზად იყო ესეთი ხელწერილი მიეცა. შეუთვალა კიდეც, მაგრამ ბიზანტიელები არ დათანხმდნენ. დადიანისაგან და სხვათა მიერ ამ ჟამად თანხმობის მიღება კი იურისათვის ყოვლად შეუძლებელი იყო.

მაგრამ აი, ამცნეს, რომ თამარის ჯარი ნაჭარმაგევს მოდისო.

მაშინვე თათბირი გამართა. ხმები გაიყო — თვითონ და ცვატას უნდოდათ, რომ ეხლავე და აქვე შებმოდნენ თამარის ჯარს, მაგრამ ქართველებმა არ მოინდომეს, პირიქით გადასწყვიტეს კვლავ გეგუთისკენ დაეხიათ და ისევ ბიზანტიელთ ჯარი როგორმე დაეძრათ ადგილიდან; ან დადიან-ბოცო-ბედიანის ამბავი გაეგოთ.

იური იძულებული იყო დათანხმებოდა, რადგან უმათოთ ბრძოლა ვისით უნდა ეწარმოებინა და დასძრა ჯარი.

ლიხის მთას არ იყვნენ გადასულნი, რომ ნიალის დამარცხების ამბავი მოუვიდათ.

ამან ყველანი დიდად დააღონა და ჯარი ხომ მეტად დააშინა. ასე რომ როდესაც იურიმ გეგუთს მიაღწია, გზაში ისე გამდნარიყო მისი ლაშქარი, თავიანთ სოფელში ისე გაპარულიყვნენ, რომ გეგუთში ჩასვლისას მხოლოდ რამდენიმე ასეული-ღა ახლდა და ათიოდე უერთგულესი წარჩინებულთაგანი.

დავით სოსლანმა კი, იურის უბრძოლველად უკან დახევა

რომ გაიგო, სურამი კარგა გაამაგრა და თვითონ ისევ ტფილისს დაბრუნდა, მით უფრო, რომ ნიალზე გამარჯვება მასაც აცნობეს და განიზრახა, ბიზანტიის ჯართან შეტევის საქმეს და იურისთან გამკლავებას დაბრუნებულ სარდლებთან ერთად თამართან გადავჭრითო.

ამასობაში კი არც სვანეთს ეძინა.

ციოყს, კახაბერის საპატრონოსთან ერთად, ორი ათასამდე კაცი შემოიკრიფა და ერთ ღამეს უგრძნობლად გეგუთის სასახლეს ალყა შემოარტყა.

იურისთან მყოფ რაზმს მაინცდამაინც გულით არ უბრძოლია, ეს უფრო საბოდიშო, პირგამოსაწმენდი მოქმედება იყო და ადვილად დანებდნენ ციოყს.

ციოყი თვითონ შევარდა ნამთვრალევზე ჩაძინებულ იურის საწოლში და თავის ხელით შეკოჭა, ოდესღაც მისი სალმერთებელი, თამარის მეუღლე და საქართველოს მეფე.

ციოყს ბევრი აღარ დაუყოვნია და რამდენიმე დღეში თამარს მოჰგვარა ტფილისს „ღვლერჭ“ ჩაბმული უფლისწული.

ერთ კვირაში ყველა ტყვექმნილი განდგომილი ტფილისს იყო ჩამოყვანილი.

თამარს აცნობეს, რომ ტყვეები დიდად დაშინებულნი არიან, პატიებას არ გამოელიან, სათავდებოდ თხოულობენ კათალიკოსს, დედოფალს რუსუდანს და ხვაშაქ ცოქალის მათთან მისვლას, რათა გულდამშვიდებული იყვნენო. განსაკუთრებით თხოულობენ გიორგი რუსის დაუსჯელობასო.

თამარი სწორედ ასე მოიქცა.

საპატიო ქალნი გაუგზავნა და კათალიკოსს ბარძიმზე დააფიცებინა, რომ ყველა ისინი მეფის მიერ პატიებულნი იყვნენ.

მხოლოდ ამის შემდეგ გაჰბედეს პატიებულთ თამარის თვალთა წინაშე წარდგომა.

თავი მეთორმეტე

ეს მეორედ...

23

თამარმა ისინიც დიდს დარბაზში მიიღო.

თვით კვლავ ტახტზე დაჯდა და სხვებიც თავ-თავის ალაგას დასხდნენ, მხოლოდ ტყვეყოფილნი კი შორიახლო, საჯო ალაგას ფეხზე იდგნენ შეჯგუფულნი.

ჭიაბერმა გამოაცხადა სია პატიებულთა. ყველასათვის ეპატიებინათ, მათ შორის კუზმა-რუსიც იყო.

თამარმა უეცრად იგრძნო, რომ მის ხელს ვიღაც შეეხო და, ამბორის ყოფასთან ერთად, ცრემლი დააწვეთა ხელის ზურგზე.

ძლივს იცნო, რომ კუზმა იყო: დაჩაჩანაკებული, წელში მოხრილი, გამხდარი და წვერმოშვებული.

თამარმა ლმობიერებით გადაჰხედა და უთხრა:

— შენ რათ დაუტუსაღებიხართ?.. შენ არაფერი დაგიშავებია, მხოლოდ ერთგული იყავ შენის გაზრდილისა და აქ რა არის საუგო... მხოლოდ მან ვერ გაგიმართლა იმედები...

ყველამ იურისკენ მიიხედა.

თავჩაქინდრული, ჯიუტად იდგა ცვატას გვერდით.

ამჟამად თითქო ის ახალგაზრდული იერიც წართმეოდა, რომლითაც პირველ მოსვლისას ასე მოხიბლა დარბაზის ერი.

თამარი განაგრძობდა:

— გასწი, კუზმა, ისევ შენს ახალს მამულში და... მშვიდობით დალიე შენი დღენი...

მთელის ტანით აძიგძიგებული კუზმა, ეხლა კაბის კალთაზე ემთხვია თამარს.

ამავე დროს დარბაზში შემოიყვანეს მხარბეჭ აწვეული ივანე მხარგრძელი და საპატიო ალაგას დასვეს.

ჭიაბერმა არგანი აამაღლა, მასთან მივიდა ჭაბუკი კარის კაცი, გაშალა ხელთწერილი გრაგნილი და საამურის ხმით, მკაფიოდ წაიკითხა:

„ბრძანებითა ყოვლისა საქართველოის მეფის თამარისათა, ამ უკანასკნელ განსაცდელის ჟამს ჭირ-გადახდილობისა და საერთოდ ქვეყნის ზნე-უცვლელ ერთგულებისათვის ებოძოს მანდატურთ-უხუცესს ჭიაბერს ქალაქი ჟინვანი და ციხე მის შემავალ მრავლითა მთიულეთითა! ზაქარია ვარდანის-ძესა გაგი ქურდ-ვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროითა ქალაქებითა, ციხეებით და სოფლებითა! სარგისის-ძეს ივანეს, მხარგრძელსა, მიენიჭოს მსახურთ-უხუცესობა და ებოძოს საპატიო კაენი და კაიწონი გელაქუნით და სხვათა მრავალთა სახარაჯოთა ქალაქიოა და ციხით, რომელ ცალკე ნუსხაში არის მოხსენებული“.

ყველამ ეხლა დადიანს გადაჰხედა, რადგან მის ხარისხსა და მამულზე იყო ლაპარაკი.

იგი ცოტა პირქუშად, მაგრამ ღირსეულად იდგა და ამ განცხადებაზე წარბიც არ შეუხრია. მოახერხა და თამარს თვალებშიაც კი შეჰხედა, მაგრამ ეს აღარ იყო მტრული შეხედვა, არც იყო შეშინებული — თამარი კვლავ მომიტევებსო. გამომეტყველება თითქო ასეთი იყო:

მძლიე, თამარ! კარგად იქცევი, მე უარესი მოვიქცეოდი!

თამარის თვალები კი კვლავ მიუტევებდა, მაგრამ ამ ჟამად დადიანი ამას უკვე შერიგებული იყო.

ივანე მხარგრძელმა გაიხუმრა:

— დადიანი დამემუქრა კვალს დაგამჩნევო და, თურმე, თავისი ხმლით ბეჭედი დაურტყამს, რომ მე მისი სამეკვიდროს მიმელო...

არავინ არ გაიცინა.

თამარს შუბლი ოდნავ მოეღრუბლა.

დადიანმა თითქო ყურადღებაც არ მიაქცია.

ჭიაბერმა ეჟვნები გააჟღარუნა.

ივანემ კი თამარის მოღრუბლვა შეამჩნია და მიხვდა, რომ მთლად რიგიანი არ იყო ამ დროს მისი გახუმრება.

მკითხველი ჰაბუკი კვლავ განაგრძობდა კითხვას, საცა ამგვარადვე დაცვლილი და საპატრონო წართმეული იყო სხვა განდგომილი ერისთავები და საცა ჩამოთვლილი იყვნენ მამულობით და დასაჩუქრებით — წირქვალელნი, ზარტიბის ძენი, გრიგოლის ძენი, მახატლის ძენი, თორღაის ძენი და სხვანი მრავალნი.

ამის კითხვა რომ მოთავდა, დადიანმა ნება გამოითხოვ თამარს მიმართა:

მე არას გეტყვი ამ ჟამად ჩემს საქციელზე... შთამომა ლობა დაგფასებს, რაც მინდოდა ჩემი ქვეყნისთვის და რ გორ ვიღვწოდი მე იმისთვის...

— ვარდან! შენ არ გწამდა, ქალი მეფედ, — გაისმა ხვ შაქის მტკიცე ხმა, — და ამან დაგღუპა! არ გწამდა შენ ქალ სულიერი ახრვანება, ამიტომაც ვერ იწამე თამარი!..

დადიანმა არ უპასუხა. თამარმა ხვაშაქს გადახედა და ის გაჩუმდა.

დადიანმა გაწაგრძო:

— ამ ჟამად ეს მაქვს სათხოვარი: ნუ გამაძევებ, შეფე მე წავალ ოდიშს და მარტვილის მონასტერში დავეყუდნე ბი...

ხმა არ უკანკალებდა, მაგრამ თამარმა იგრძნო, თუ დიანს რათაც უჯდებოდა ეს განცხადება, არაფერი უთხრ მხოლოდ თავი დახარა.

ეს იყო მისი თანხმობა.

სხვა პატიმრები არავინ იყო გაძევებული, გარდა გიორგ რუსისა და ცვატასი.

გოდერძი ავადმყოფი ჩამოეყვანათ და თამარმა უკვე ყო ველივე იცოდა.

ამ მძიმე წუთის შემდეგ, ჭიაბერმა გამოაცხადა:

— ჩვენმა მოციქულებმა ამბავი მოიტანეს, რომ ბიზან ტიელებმა, რაკი მათ განდგომილთა დამარცხება გაიგეს, ჯა რიც გაიყვანეს საქართველოდანო.

უეცრად თითქო დარბაზი სულ ერთიან შეიცვალა. წალ ხინო ხმები დაჰკრეს შესაკრაფეთ და ჭიაბერმა ჩვეულებრივის ზეიმით გამოაცხადა:

თამარისა და დავით ხოსლანის ჯვრისწერის დღე.

იქვე მდგომი ჯადაროსი, დავითთან დიდი ხნით შერიგე ბული, სიხარულით ფეხზე აღარ იდგა.

თორმეტმა ცხენოსანმა გადააცილა საქართველოს საზღვარს იური და ცვატა.

საზღვარზე სალამი მისცეს და თავის ქვეყანაში შემობრუნდნენ. დარაჯთა მოშორების შემდეგ, იური შეეკითხა:

— ეხლა, საით ჩვენი გზა, ცვატა?

— ბიზანტიას არ გინდა წახვიდე?

— საიდან? ქართველებმა რომ არ გაგვიშვეს?.

— ჩვენც არსირუმით მოვუაროთ.

— მერე, არსირუმზე როგორ გადავიდეთ?

— თუ არ ვცდები, მე აქეთ არ მივლია, მაგრამ ჩვენ ადარბადაგანის საზღვარზე უნდა ვიყვეთ. აქ უფრო ახლო გულისტანია, შარვანთ ქალაქი, მაგრამ ჩვენ იქ არ მიგვესვლება... ისევ ადარბადაგანზე ვიაროთ და საფუნდუკოს სადმე რომ წავაწყდებით, გზებსაც იქ გავიგებთ...

იურის მოეწონა ცვატას რჩევა და ეგრეც მოიქცნენ.

ერთი დღის სავალზე, მართლაც, საფუნდუკო მონახეს და ღამის გასათევად იქ მოიკალათეს.

— ღმერთო ჩემო! თქვენ ბრძანდებით, უფლისწულო? — რუსულს ენაზე იკითხავდა ვიღაცა.

— ოჰ, კევორქ!..

— ჩუსტუზიან!

გულწრფელის გაზარებით წარმოსთქვეს იურიმ და ცვატამ და ხვევნა-კოცნა გაუჩაღეს, ერთ დროს მათზე ჭირნახულ ადამიანსა.

საუზმე შეუკვეთეს, შარბათი მოიტანეს. კევორქს სადღაც არაყიც აღმოაჩნდა და გაუცხოველდათ საუბარი.

კევორქს ბევრი რამეები სცოდნოდა, მათთვის მეტად საჭირო.

სწორედ ბედი სწყალობდათ, ესეთ გაჭირვების ტალკვესს წააწყდნენ.

თვით კევორქი აქ მხოლოდ სტუმრად იყო, ეგეც ღამის გასათევად ჩამოსული, თორემ მას ამ ჟამად ადარბადაგანსა და არსირუმს შორის მიმოსვლა და მცირე ვაჭრობა ჰქონდა მოწყობილი. ასაღებდა, მიჰქონდა, მოჰქონდა, მაჭანკლობდა, ტყვეებს ჰყიდდა და სხვა ამგვარი. არსირუმს კი,

იქ დაბინავებულ ზანქანთან და თავის სიძესთან ჰქონდა დამოკიდებულება, ადარბადაგანში — კვლავ თავის ძმასთან და თვით აბუბექრის კარზე.

— ოო, თაფლო უნდა ნახო ეხლა, თაფლო, — ენა წყლიანად მოუთხრობდა კევორქი, — ველარ იცნობ! სულ იმას ვეხუმრები: ფეხები უნდა დამიკოცნო, რომ ადარბადაგანში გაგადედოფლე, თორემ ვილაც გლეხუჭას ცოლი იქნებოდიმეთქი. ო, რა ქალია! როგორ უყვარს აბუბექრს... თავზე ჰყავს დასმული... მხოლოდ ერთი კი არ ვიცი, როგორ მოუვათ საქმე იმას და უტანდარს... როგორ? არ იცით?! აბულ-ასაბი ხომ, თქვენ გეცოდინებათ, ეხლა-ხან ომში მოუკლავთ. უტანდარი მაშინ გუზანის, აი ცვატას, სახლში ყოფილა და როდესაც დამარცხების შემდეგ გუზანი ციხიდან აბარგებულა და გამოქცეულა თავისი ცოლშვილით, უტანდარს დაუჟინია, რომ თაფლოსთან წავალ ადარბადაგანშიო. გუზანს ბევრი უთხოვნია, ჩვენთან წამოდიო. მაგრამ... რა მიბრძანე? გუზანი? მაჭა შენი შაჰარმენთან გაიქცა ცოლ-შვილით... დიაღ... ჰო-და, უტანდარს თავისი გაუტანია, გუზანსაც მხედრები უახლებია და აბუბექრთან გამოუსტუმრებია. როგორ არის? იქიდან არ მოვდივარ ეხლა! მესამე დღე არის... კარგად, კარგად!.. მეც იმას ვამბობ, ეს არ ვიცი თაფლო და უტანდარი როგორ მოეწყობიან მეთქი... აბუბექრი რას დაზოგავს!.. მაგრამ უტანდარი და თაფლო მეგობრები იყვნენ და გამორიგდებიან...

კევორქი უეცრად ჩაჩუმდა.

იურის შეატყო, რომ სახე მეტად შეეჭმუხნა და... გაახსენდა, როგორ მომივიდა იურისთან უტანდარზე ასე დავიწყე ლაპარაკიო. რაღაც უნდოდა ეთქვა, იურიმ არ დააცალა:

— ცვატა! მე უტანდართან მივდივარ... ყოველ მიზეზს გარეშე!

— ბიზანტია, იური?

— ბიზანტია? — სწრაფად მოისაზრა, — ბიზანტიაში შენ წახვალ... აი, არსირუმს... ზანქანთან და იქიდან კი ყოველივე გაგიადვილდება. თვით ბიზანტიაში შენ უთუოდ დიდი პატივით მიგიღებენ, როგორც საქართველოს ერისთაკს და განაპირა კუთხიდან გაძევებულ მებატონეს. ოო, ეს მშვენიერი დაწყობილი იქნება... თვით საქართველოს მკვიდრი, თამარის უსამართლობისაგან განაწყენებული, მოდის ბიზან-

ტიაში მფარველობის სათხოვნელად... ა? — იური, თვით გაკვირდა, რა დალაგებით მოვისაზრეო და შემდეგ განაგრძო ახლად შეთხზული გეგმის გადაშლა:

— მე კი უტანდართან წავალ... არა, ძმაო, მისი უნახაობა არ შემიძლია მოვითმინო... წავალ უტანდართან და აბუბექრს მოველაპარაკები... აკი ამბობენ ისა და ყიზ-არსლანი, სულტანი, მისი ბიძა, საქართველოს დაუძინებელი მტრები არიანო... ჩემი მეფობის დროს ხომ სულ მაგის მოლოდინი იყოო, აგერ შემოგვესევა აბუბექრი, ა, აგერო... თვით რომ ვიწინდებოდი, იმ დღესაც, არ გახსოვს? ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ.

— რას ბრძანებ, უფლისწულო! ომიო?... დანამდვილებით ვიცი, აბუბექრი უკვე ჯარს აგროვებს და ამ ერთ თვეზე გაილაშქრებს კიდეც საქართველოსაკენ.

— ოჰ! — სიხარულისაგან ველარ იშვენებდა საწადელთან კვლავ მიახლებული იური და ჩვეულებისამებრ არაყს მიეძალა.

მაინცდამაინც სამივემ ესე დაასკვნეს: ხვალ დილით ცვატა წავიდოდა არსირუმისაკენ ზანქანთან ბიზანტიას გადასაკვლელად, იური აბუბექრისაკენ უტანდარის სანახავად და აბუბექრის ლაშქრის წინ წამოსაძღოლად, კევორქი როგორმე ცნობას გადააწვდენდა საქართველოში კამბეჩოვანში მცხოვრებ ყივჩაყებს — იურისთან კვლავ კავშირი დაეჭირათ და მოხმარებოდნენ, რისთვისაც იური სხვადასხვა დასაპირს ალუთქვამდა, და ბოლოს, გამარჯვებულნი უნდა შეყრილიყვნენ საქართველოში:

იური, როგორც კანონიერი მეფე ამ ქვეყნისა,

უტანდარი, როგორც მეუღლე და დედოფალი საქართველოსი,

ცვატა, როგორც ამირსპასალარი იურის სამეფოსი.

დილით ყველანი თავთავის გზას დაადგნენ. კევორქიმ ცვატასაც და იურისაც გზის მაჩვენებელი უშოვნა და თვითაც შარვანში გადავიდა, საიდანაც დიდის მოხერხებით საიდუმლო კავშირი გააბა კამბეჩოვნელ ყივჩაყებთან.

იურიმ მიაღწია აბუბექრის სამყოფელოს, საცა უტანდარის მეოხებით დიდის პატივით იქნა მიღებულ და საცა მისი განზრახვანიც მოიწონეს.

ასე რომ ცოტა ხნის შემდეგ, აბუბექრი დათანხმდა საქართველოში წინასწარ, იურის მეთაურობით, ერთი ორი ათასი კაცი გაეგზავნა სათარეშოდ და შემდეგ თვითაც დაიძროდა მართლა საგრძნობელი ჯარით, რადგან აბუბექრს საზუმროდ არა ჰქონდა საქართველოსთან ომი გადაწყვეტილ, იგი მთელს სამუსულმანოს აერთიანებდა საქართველოსადმი მტრობით და მათ შესამტკიცებლად ღაზოთ ხალიფას დროშასა გამოელოდა.

ამიტომაც იურის ჯარი მალე შეუგროვა, დალოცა და მეგობრობის ნიშნად მოკლე, მოღუნული, წელში გასარჭობი, ბასრი ფოლადი აჩუქა.

უტანდარი სიხარულით ეთხოვებოდა საყვარელ ვაჟკაცს და შეფრფინვით მოელოდა საწადელის მიღწევას.

ᲥᲔ

იურიმ შეატყო. რომ ეხლა კი გაიწირა.

მთავარი ძარღვის ფეთქვა უკვე ნამდვილად შეწყდა.

მესამე დღეა ებრძვის თითქო ერთ მუჭა რაზმს მახატელის ძეებისას და ორი ათასი კაციდან ორასიღა შერჩა.

დავით სოსლანს დაუფიცნია, რომ ერთსაც ცოცხალს არ გავუშვებო.

რომელი არის ეს დავით სოსლანი?

მას რომ არასოდეს არ უნახავს თამარის კარზე!

ახსოვს, საქართველოში ყოფნის დროს, რომელიღაც ოსი რაინდი, იურის გამეფებით გაცამწყრალი, „ველად არის გაჭრილიო“.

ჰო, ეხლა კი კარგად ახსოვს უტანდარიდან: ეს არის მძლავრი მეტოქე, თამარის ხელის მაძიებელი და, მგონი, უკვე ჯვარდაწერილიც, ხმები მიმოქრის.

ან კი როგორ დაავიწყდა! მაგრამ რომელია? სად არის? რა ხელთ დაუჭერელი ვინმეა! ვერსად ქართველებთან ომში რომ ვერ შეხვდა! ან შეიძლება არ იყო? თუმცა თანდათან ნათლად ახსენდება:

ციოყმა რომ ღვლერჭი ჩააბა, იმ დღეს იქ დავით სოსლანიც უნდა ყოფილიყო. კარგად ვერ გაარჩია, ან რა იმიზი სცხელოდა.

აქ კი, აი, რამდენი ხანია ამბავი მოაქვთ მის მზვერავებს, რომ დავითი ხან აქ დაეცა ჩვენს რაზმს, ხან იქაო.

— ოჰ ნეტა შემახვედრა!

ბრაზისაგან კბილთა ღრჭენა აუტყდა იურის.

იმის ჯავრი მაინც ამოიყაროს!

თამარს მოუკლას მისი ახალი სპასპეტი.

შეიძლება ქმარიც მისი!

დასვას გლოვად და ატიროს გამწარებული!

მაგრამ სად არის, სად?! რომელია?

და კისერ გაწვდილი კვლავ უკვირდება ფერდობზე შეფენილ ქართველთა ჯარსა.

ფერდობიდან ისარი კვლავ მოშხუის, თითქო ამის პასუხად.

სხარტად მოაფარა თავი მის წინ მდგარ მსხვილ ძელქვას, თორემ წაწვდილი კისერი შეიძლება შუაზე განეგმირა მრისრიალებულ მტრის მოციქულსა.

ფიქრები მაინც ფუსფუსებენ თავში.

საოცარია!

თითქო მისმა საომარმა ნიჭმა უღალატაო: არაფერი არ მოსდის თავში.

მას შემდეგ, რაც მაშველი ჯარის მოსვლის იმედი დასწმინდა, კამბეჩოვანში ჩასახლებულმა ყივჩაყებმა უღალატეს.

თავში ფეთქს არა ვაჟკაცური აზრი:

„გაქცევის მეტი საშველი არ არის!

ჯერ კი თავის სიცოცხლეში იური გაქცეული არასოდეს არ ყოფილა, მტრისათვის ზურგი არასოდეს არ უჩვენებია!

ყოფილა ძლეული, ყოფილა შეპყრობილიც, მაგრამ გაქცეული?.. არასოდეს!

ეხლა კი გრძნობს, რომ გაქცევაც ზოგჯერ ვაჟკაცობაა. არ დაუთმო მტერს უკანასკნელ გადამჭრელ წუთამდე, მხოლოდ უნდა დროით მიუხვდე ამ წუთს.

აი, მიხვედრილია, მაგრამ საით გაიქცეს?

გზა-კვალი რომ არ იცის?!

ეს რა უხეირო ალაგას მოიმწყვდიეს!

საფარი კარგია. ეს ძელქვები თითქო განგებ ჩარაზმულან ამ გორაკზე, მტერიც ჯერ ერთის მხრით არის, ქვევით, მოტი-

ველებულ ფერდობზე და მოდის იერიშით ამ ალმართზე, მხოლოდ უჭირთ კი ამოსვლა.

— ჰა, ჰა! — კინაღამ მწარედ გაეცინა.

თითოეულ ძელქვას თითქო ისრები გამოსხმია და უწყალოდ უშენს ფერდობსაო.

აარა, ეგრე არ დაგნებდებით!

მხრლოდ ერთხელ კიდევ მოიხედა იურიმ ზურგისაკენ:

აი, ამ მხრით-კი სულ მოტიტვლებულია! ეს არის საშიშო..

აქედან არ დაგვიარონ!

სადღეისო ნუგეში ერთია:

ღამდება!

ოჰ, ერთი მალე დაღამდეს! ცოცხალი გადარჩება და შემდეგ...

შემდეგ კიდევ ამოიყრის საქართველოს ჯავრსა!

რითი? როგორ? ვისი იმედით?

ყველგან რომ ხელი მოეცარა: ბიზანტია არ გაიკარებს, აბუბექრი აღარ ენდობა. თვით საქართველოში მისი მომხრე თითქმის აღარავინ არის. დადიანი უფლება ახდილია, სადღაც მონასტერშია დაყუდებული, აბულ-ასანი მოკლულა, გუზანი — პატივაყრილი და სამთავრო წართმეული აზიაში დაძრწის, კუზმა ხომ დიდი ხანია გადაუდგა... ან კი, რა სიკეთე ახსოვს კუზმას იურისაგან?! ცვატასაგან კიდევ ბიზანტიით არაფერი ამბავი არ მოსულა.

ეჰ, რა დროს ამის ფიქრია!

ჩუ! ეს რა არის?

ყვირილი სასოწარკვეთილი, ყიჟინა გამარჯვების.

ხმლების ჩახი-ჩუხი, აგერ... ყურთან...

გათავდა!

აღსრულდა!

თავს დაგვიარეს!

ერთი კი თითქო დაიდასტურაო იურიმ და...

ხმალამოღებული, ელვის სისწრაფით მოსწყდა ალაგს, მხეცივით რაღაც საზარო დაიბრდღვინა და ქვეითი შეუვარდა თავდამსხმელ ცხენოსანთა რაზმს.

თითქო მთიბავი ითიბავსო... მის წინ ცხენი და მხედარი ორივ მხრივ გაპობილი ეცემოდნენ.

მოქნევა მისი იყო ელვა, ნაკრავი მისი აუმცდარი.

მოულოდნელობით თავბრუ დაეხვა, თავდამსხმელ ცხენებსა და მხედრებს გადარჩენილებიც კი ვერ ასწრებდნენ ხელის შებრუნებას.

თითქოს ხელოვნური ხეივანი გაკეთდაო მის წინ დაჭრილ-დაკოდილთა ზედახორაზაგან და იგი...

მეფე და თავადი ამ სისხლიანი ხეივნისა...

ლაღად და დინჯათ მისეირნობს გულის გასართველადაო.

მის წინ თანდათან გზა გაიშალა, მხოლოდ, ცოტა მოშორებით, ორივ მხრივ ხელ-ჩართული ომი იყო გაჩაღებული.

ღამდება, ღამდება!

ნუგეში იძვრის გულში სადღაც, შორეულად.

უეცრად!

თითქო მიწიდან ამოძვრნენო, მის წინ გაჩნდა ორი მისი ერთგული მხლებელი და, თვით ცხენებზე შემსხდართ, შეკაზმული ბედაური მოართვეს.

— ბატონიშვილო, გავიქცეთ!

შეუვალად სთხოვეს.

არ დაუყოვნია, ცხენს შემოახტა.

სამხრეთისაკენ იბრუნა პირი.

ბედაურები თითქო მიწას გაეკვრნენო.

ლაგამმიშვებულებმა თავი მისცეს ღორღიან, მოტიტვლებულ მინდორს.

ჭარი ყურში ზუზუნებს.

მალი-მალ უკან იხედებიან გაქცეულები:

— მოგვდევს ვინმე? დაგვინახეს?

ბედი!

ნამდვილად გაუსხლტნენ. ომში გართულებმა ყურადღება ვერ მიაქციეს ანაზდად ლტოლვილთ.

სულგანაბული მიჭენობენ.

ან ლაპარაკი აქ საიდან შეიძლება. რას იტყვი, რას გაიგონებ.

მაინც ერთი მხლებელი მოწყვეტილად ჩააწვდენს იურის:

— ძალიან დაგეძებდნენ, ბატონიშვილო!

მეორეც მოჰგლეჯს სიტყვას:

— გკითხულობდნენ, სულელები!..

იური არაფერს ამბობს. თვალები სიხარულით უელავს:

ღამდება, ღამდება!

ნაკვთები შორიდგან აღარ ირჩევა.

ფერდობიდგან ძლივს ხედვენ დაცემულ მინდორს. აი ეხლავ უნდა გადათელონ.

რა არის? კარგად არ მოსჩანს. ჯაგნარია? ბალახია? მაღალი ყანაა?

რაღაც კი ირხევა მოშავოდ.

— გადავრჩით, გადავრჩით!.. — ძიგძიგებს გაუბედავი შეგრძნობა. უეცრად:

ბურის ცხენი მოსხლტა ფერდობს და თითქოს უფსკრულმა ჩაყლაპაო.

მხლებელთა გაჭენებული ცხენები კვლავ თავქვე მიჰქრიან, ვერ შეიკავებს. მხოლოდ ჩავაკებულზე ძლივს დააწყნარებს გაგიჟებული ადარბადაგანული ტაიჭები.

შემობრუნდნენ. შედგნენ. ცოტა ითათბირეს. ბოლოს გადაწყვიტეს:

— ჯარი დაილუპა, ეგეც უფსკრულში გადაიხაფრა... ჩვენ დაყოვნება არ გვარგებს... მტერს ნუ შევუსრულებთ მის ქადილსა: ისე ამოვწყვიტოთ, რომ მოამბეც აღარ გავუშვათო.

მიუშვეს ცხენები და... მოქუსლეს.

თავი მეცამეტე

აბობოქრება

23

აბუბექრი ჩვეულებისამებრ ბოჭკოიან წალიჩაზე გორაობდა.

ნებიერი კვლავ მეჩანგეს უსმენდა.

მეჩანგეც მისი ბრძანებით ისევ თამარის ამბებს ლექსაობდა და ჩანგის სიმებს ხალისიანად აჟღერებდა.

აბუბექრი ფიქრს ნელიად უყოლებდა თამარის ამბებს და მის თავში სახელმწიფოებრივი და სქესობრივი ზრახვანი ერთი მეორეს ეთხზოდნენ.

აბუბექრს ვერ წარმოედგინა სქესობრივ სურვილაღუძვრელად თუნდა ერთი ნაბიჯის გადადგმაც.

მთავარ ხელმძღვანელ აზრად მშვენიერი ქალის სხეული იყო, რომლის დამორჩილებას უნდა მოჰყოლოდა ან რაიმე ომი უწყალო და სასტიკი, დაპყრობა და დამონება რომელიმე ერისა, ან რჩეული ლამაზი ასულის სასახელოდ, ან დასამცირებლად უბრალო თარეში და თავდასხმა მაინც, შემდეგი ვაჟკაცობის გამოსაჩენად.

ყველაზე უფრო ისევ მაინც საქართველო აწვალებდა, მის საარაკო „დედოფალ“ თამარით.

რომ ვერ იქნა, აქამდის ვერ ჩაიგდო ხელში!

მიზანს ნელ-ნელა უახლოვდება.

ჯერ თაფლო ჩაუვარდა ხელში, ეს მთიული ჯეირანი.

შემდეგ თვით უტანდარი მობრძანდა თავისი ფეხით, კუშტი და გაცამწყრალი.

ორივემ გადარია, ორივემ გააგიჟა და ეხლაც არ იცის, ამ ორ შუა რომელს მისცეს უპირატესობა.

დამცხრალი ვნებათა ღელვა კი ამ ჟამად უფრო უტანდარისაკენ იხრება, რადგან სხეულებრივ ის ჯერ კიდევ მისი არ არის.

ის ჯერ არც მის ჰარამხანაშია ჩარიცხული.

იგი მხოლოდ საპატიო სტუმარია. ჟამთა ვითარებისაგან გამოქცეული, საქართველოს წარჩინებულ აბულ-ასანის ქვრივი-მეუღლე და რუსი უფლისწულის ტრფიალი.

მაგრამ...

დაუნდობლად გაიღიმა აბუბექრმა:

— უჩემობას არ გავატან ჩემთან მოსულ უცხო ასულსა, მით უფრო თუ ამ უფლისწულმა ომი ვერ მოიგო და დამარცხებული დაბრუნდა.

აბუბექრი თითქო მიუხვდაო უტანდარს: ეგ ეხლა ყველაფერზე წავა, ოღონდ საქართველოზე შური იძიოს. რუსი უფლისწულიც შეიძლება გასწიროს, ოღონდ თამარის ქონი იყაროს.

— ამაზე უკეთეს დამხმარეს ვის ვიშოვნი?!

კიდევ ერთხელ გაუმტკიცდა ეს აზრი.

— ჩვენი გზები ამ მხრივ შეერთებულია და ეგეც თავისი ნებით მოვა. დაცდა უნდა ცოტა.

სამაგიეროდ, თაფლო ხომ გვერდით ჰყავს.

ჰმ... თაფლო!

— ეს სულ სხვა ნაკვეთია. გამაგიჟებელია მასთან ყოფნა. Სამოთხედ წამყვანი, ზე-ამტაცი და... საკვირველი!

მასთან თითქო რბილდებაო აბუბექრი.

თითქო უცხრებაო ჟინი სისხლის ღვრისა, შურისძიებისა, განუწყვეტელი ლაშქრობისა და, რაც ყველაზე საოცარია, საქართველოსადმი მოყვრული გული შეექმნება. უნდა მისი ბიკეთე, ამაღლება, აყვავებაც კი...

მხოლოდ მეორე წუთს მოჰბერავს სურნელოვანი სიო არა ამ ქვეყნიურ თამარის ამბებისა, რომელთა შინაარსი მეჩანგეთა პირში ზღაპრულ იერს ღებულობს და...

აბუბექრი კვლავ უბრუნდება თავის თავს:

ისევ ის ჟინი მიუღწეველნი სურვილის დაკმაყოფილებისა, ისევ ის დაპყრობითი აღტყინება საქართველოსადმი.

მაშინ აღარ სჯერა თაფლოს ნაამბობიც თამარზე, რომელსაც შორიდგან, მაგრამ მაინც თავისი თვალით უნახავს ქალიშვეფე საქართველოსი და მისი დიდებულება.

პირიქით, უფროც აღიზიანებს ესეთი, სინამდვილესთან ახლო მდგომი, დასურათება თამარის ცხოვრებისა.

და ისევ ხელდება, ისევ ველურდება.

უტანდარის ნაამბობი სულ არ ეკარება მის გულს, რადგან აქ, გრძნობს, გაბოროტებული ქალის გულბიწობაა და გაზვიადებული წარმოდგენა საგანთა.

მას სულ სხვა უნდა სანახავები.

ის თითქო ტანშიაც ერთი ორად იზრდება, იზიდება. სადღაც მაღლისაკენ, თითქო მარტო სურვილმაც თამარისამ აამაღლაო.

მაშინ არის, რომ თვალთ ემღვრევა, სისხლი უდუღს და შმაგობს ბელჩუკიანი, დიდი ილდიგუზის შთამომავალი.

აი ეხლაც.

მარტო ამ მოზღვავებულმა ფიქრმა აიტანა გოლიათი კაცი და მთელის სიგრძით აწაზდად ზეაღიმართა.

იმ მყოფთ შეატყვეს, რომ საშიკეთო არ იყო მბრძანებლის ესეთი უეცარი ზე-წამოჭრა.

მუხლები აუკანკალდათ, გული აუთრთოლდათ, კიდევ უფრო მოიკაკვეს და ჭლოდნენ — მეხი საით გავარდებაო.

არც ერთმა არ იცოდა, რომელს უბნელდებოდა მზე. ყველანი უფსკრულის პირას იდგნენ.

მეჩანგემაც შეშინებულმა უცნაური ბგერით უკანასკნელად შეანჯღრია ჰაერი.

დადუმდა იქაურობა.

— თავი გააგდებინეთ ჩემი ძმის, უზბეკის, მოციქულს! წეზე არ გასდგთ მისი მძოვრი საპატიო ფრინველთა გამოსაკვებად. სადმე ხნარცვში გადააგდეთ, რომ მტაცებელმა მხეცებმა სძიძგნონ ამყრალებული... ამყრალებულისვე გამოგზავნილი!

ცოტა შეგვიანებით, მძიმეთ დაუმატა აბუბექრმა.

ირგვლივ თავისუფლად ამოისუნთქეს: ვადა მათი სიცოცხლისა გაგრძელებული იყო.

ცოტათი თავი აიღეს, თვალის შევლება გაუბედეს. ეტყობოდათ, მოსწონდათ გარეგნული იერით მბრძანებელი. თითქო ფიქრობდნენ:

მრისხანე ღმერთი ამას უნდა ემსგავსებოდესო.

— მოჭრილი თავი კი აქ მომიტანეთ... — უკანასკნელად გაიგრგვინა აბუბექრმა.

გაცვივდნენ მონები შესასრულებლად.

ეტყობოდა, დღეს კიდევ არ იყო სრული გაშმაგებული აბუბექრი... მარტო ერთი კაცის თავი მოითხოვა და იხიც ისეთი კაცის, რომელსაც მართლა ერგებოდა სიკვდილით დასჯა:

აბუბექრის ძმას უზბეკს, ანუ ამირ-მირანს მოციქულად ჰყავდა კაცი მოგზავნილი და მის მაგივრად, რომ ყოფილიყო დინჯი და დამამშვიდებელი ორ ძმას შუა, ისე ამაყად ეჭირა თავი, თითქო აბუბექრს ზედამზერსო და, რასაც ეუბნება, კი არ ურჩევს ან გამოთხოვს, თითქო უბრძანებსო, ისე გამოდიოდა.

კიდევ ბევრი უთმინა აბუბექრმა.

პირველად დიდის პატივით მიიღო. მოთმინების ფიალა რომ აღივსო, მაშინ კი ჩასვა ციხეში და, რომ არ მოტყდა, ეხლა აი... რა ბედს ეწვია.

ამირ-მირანის მოციქული უთუოდ ღირსი იყო ესეთი მოპყრობისა.

ან თვით ამირ-მირანს რა აწუხებდა: საცაა მისი და აბუბექრის ბიძა სულთან-ათაბაგი, ყიზილ-არსლანი გარდაიცვლება და მთელი მისი საათაბაგო მის ძმისწულებს, ესე იგი,

აბუბექრს და მის ძმებს დარჩება გასაყოფად. ჯერ ეხლავეა მიჩენილი ძმების გასაყოფი საზღვრები. სულ სამნი ძმანი არიან: ხუტლუ-ინანჩი, აბუბექრი და ამირ-მირანი, უზბეკად წოდებული.

ხუტლუ-ინანჩს უკვე მიჩნეული აქვს ერაყით ხორასნამდის და ბაბილონამდე, აბუბექრს — ადირბეჟანი სომხეთამდის, აკი ეხლაც აქ მფლობელობს, და ამირ-მირანს — არანი გურგანის ზღვით გელაქუნამდე, ისიც აქ ბატონობს.

სხვა რაღა უნდა უმრწემეს ძმასა? აკი, ყველა ამას გარდა, შარვანშას მფლობელს დაუმოყვრდა, სიძეა მათი და მაშასადამე, საქართველოს მეგობარიც არის, ზურგი კარგა აქვს მომაგრებული.

მაგრამ არა, მაინც არ ისვენებს, სულ უჩხიკინებს აბუბექრს. ხან მცირე რაზმით სადმე მის სამფლობელოს დაეცემა, რამდენიმე სოფელს აუწიოკებს და ისევ გაიპარება, რადგან ეშინია აბუბექრის ვაჟკაცობისა. თვით მხდალია მეტად. ხან კიდევ ასეთს თავზედ მოციქულებს უგზავნის და აბრაზებს, გულზე ხეთქავს თავის სისხლ-ხორცს.

ეეჰ, ყოჩაღია აბუბექრი. მწარედ გადაუხდის ხოლმე თავის მტერს. უმთავრესი მტრები კი მისი ძმებია, მაგრამ ეხლავე ეტყობა, რომ ათაბაგობა აბუბექრს დარჩება, ყიზ-არსლანის შემდეგ.

აკი ხალხშიაც ასე სწამთ.

თვით ძმების სამფლობელონიც ნატრულობენ აბუბექრის ბატონობას და ყიზ-არსლანსაც აბუბექრი უფრო უყვარს თურმე.

ამბობენ.

თორემ აბუბექრი, აგერ მესამე წელიწადია ბიძას არ გაჰკარებია, რადგან... ყიზ-არსლანი უწყრება — მართლმორწმუნე მაჰმადიანი ღვინოს როგორა სვამსო.

აი, ეხლაც, ეს მესამე სავსე თასსა სცლის.

დიაღ, ღვინის სმა და... ქალები...

ამან თუ არ დაღუპა, ნამდვილი სასულტნო კაცია აბუბექრი!

ამ ფიქრებში იყო გართული აბუბექრის შემხედვარე მისი შარჯვენა ხელი, ერთგული მულიდი, ყია-კურჩუკი, რომ გა-

სისხლიანებული თავი უზბეკის მოციქულისა წითელ ქეჩაზე დადებული შემოიტანეს.

აბუბექრმა ცოტა გვიან მოიხედა ხმაურზე.

მოჭრილი თავი რომ დაინახა. არ აჩქარებულა, ზანტად მობრუნდა ხალიჩაზე ჩამომჯდარი, მხოლოდ ცალ ულვაშში ჩაიღიმილა.

თავ-დადებული ხალიჩა ახლო მიუჩოჩებს.

აბუბექრი ზიზღით დააშტერდა დაღუპული ადამიანის სახეს. მოჭრილი თავიც, თითქო ჯერ კიდევ სიცოცხლე არ დაჰკარგვიაო, მჭსინვარედ შეჰყურებდა აბუბექრს.

და იყო კარგა ხანს თითქო ერთი მეორეზე მიტყვევებული, ორი წყვილი თვალი.

ერთი ცოცხალი, მაგრამ ამღვრეული და მთვრალი,

მეორე უკვე სიკვდილ-დაუფლებული, ცოტაზე მოჭუტული და მიმქრალი.

აბუბექრს ეტყობა მოსწყინდა ამაო ჯიბრი თავ-მოკვეთილის თვალებთან და ქოშის წვეტი ამოჰკრა გვერდზე.

თავი უმწეოდ გაგორდა წითელ ქეჩაზე.

— აბო... ბაქარ! მბრძანებელო!

გაისმა ალერსიანი ქალის ხმა.

თაფლო იყო.

თავისებურ ქართულად, ორი მამაკაცის სახელისაგან ჰქონდა მრისხანე აბუბექრი გადაკეთებული. „აბო“ და „ბაქრი“. ეს ეადვილებოდა მის ენას. თაფლოს გაეგონა, რომ ეს სახელებიც არ იყო წმინდა ქართული, მაგრამ მისთვის მაინც ქართულობდა. ეს უფრო საალერსოც იყო მისთვის და იცოდა, რომ აბუბექრს უყვარდა თაფლოსაგან ესეთი „გაქართულება“ მისი სახელისა.

— ახლაც...

თითქო ჯადო იხმარესო, აბუბექრი ჰაბუკივით ზეწამოიჭრა და სახეზე გამოეხატა მხოლოდ სიყვარული, მხოლოდ ალერსი, მორჩილება საყვარლისა.

მკლავები გაშალა, მიეგება, ნაზად წამოიყვანა.

თაფლოს თვალი მოხვდა გაგორებულ თავს.

აბუბექრმა იგრძნო, რომ გნოლი ათრთოლდა მის ვაჟკაცურს მკლავებში.

ცოტა შეკივლება. ფერი სულ წასული. თვალები სიყვარულით მოსაყვედურე.

მხოლოდ ჩურჩული ატყდა თაფლოს შეწამულ ბაგეზე:

— კიდევ!.. აბო... ბაქარ!..

ხმაშიაც ათრთოლდა საყვედური და სიყვარული სახელებში ჩაქსოვილი.

აბუბექრს სულ დაავიწყდა. მოკვეთილი თავისკენ გადაიხედა. თვალით შეუვალათ ანიშნა გაეტანათ.

მონები გალაგდნენ.

აბუბექრმა ყია-კურჩუკსაც თვალით უბრძანა იმიც წასულიყო.

მარტოდ დარჩენილ აბუბექრს თაფლო განუგრძობდა:

— რით ვერ დაგცხერ, მბრძანებელო...

გაჩუმდა. თვალი თვალში გაუყარა. ატყობდა, რომ დიდ ველურს კვლავ იმორჩილებდა... თავიდანვე სწორედ ამან იყო, რომ გული შეუგდო აბუბექრზე.

ჯერ შესახედობამ კიდეც შეაშინა და კიდეც დაიპყრო.

შემდეგ შეამჩნია საარაკო სინაზე გულისა ამ მრისხანე გოლიათს, ბავშვური გულუბრყვილობა და იგრძნო თაფლოს უმეშვეო ბუნებამ, რომ ამ ნიადაგზე დაყრდნობა შესაძლებელი იყო.

ბევრი გაიგო აბუბექრის ცხოვრებისა ჰარამხანაში, მისი თითქო დაუნდობლობა ქალებისადმი, მაგრამ მან მაინც ირწმუნა აბუბექრის შინაგანი სიკეთე, სიწმინდე და თავისი ძალაც.

ძალა, რომელსაც თანდათან თითქო უნებლიედ ემორჩილებოდა ახოვანი სელჩუკის შეგნება.

თაფლომ ირწმუნა, რომ საყვარელ ქალს მართლაც შეეძლო აბუბექრის სასახელო და სათნო ადამიანად ქცევა.

მთელი თავისი ნებისყოფაც აქეთ მომართა. თან ხშირად დოდო ახსენდებოდა. მისი სათნო სახე, მისი დარიგება, თაფლო ჰხედავს ეხლა, როგორ გამოძდგა.

აკი აბუბექრი, ყველას გასაკვირად, ნაკლებათ ღა იჩენს სისასტიკეს. ბოლონდელი მისი საქციელი საერთოდ სამართლიანია და გაგნებული.

მხოლოდ ეხლა რა მომხდარა, რა იყო მიზეზი?

ამას უსაყვედურებდა და თან უალერსებდა:

— აბო-ბაქარ! არ გეკადრება... არ შეგშვენის... ვინ არის, რას დაგაკლებს მაგისთანა ვიგინდარა?! სიცოცხლეს კი რათ ართმევ?... შენ ისედაც დიდად ამაღლდები, მერწმუნე, შენ იქნები სულტანი ბიძა შენის შემდეგ...

გაგრძელება არ დასცალდა.

ᲝᲖ

უტანდარი შემოიჭრა.

მთელი მისი სხეული დაფარულ მრისხანებას გამოსთქვამდა მოზიდული მშვილდის ხიფათი ტანს გასჯდომოდა, მისი სახე ძნელად ფარავდა ამ გარემოებას.

თაფლო ალერსით წამოუდგა, მაგრამ უეცრად მწვავედ იგრძნო, რომ უტანდარი მას განშორებოდა.

ის უტანდარი, რომელიც იქ, საქართველოში, თავს ერჩია და აქ რომ ჩამოვიდა, მას შემდეგ ხომ კიდევ უფრო დაუმეგობრდა მხოლოდ ამ ქამად, როგორც ტოლი და ბადალი და არა მხევალი, მოსამსახურე.

იყო მეგობრობა ნაზი და გაზიარებული, თითქო არაფერი ჩრდილავდა მათ განწყობილებას, მხოლოდ ხანდახან შორეული ეჭვი, აბო-ბაქარს და უტანდარს არა მოუვიდეს რაო, გაიფრთქიალებდა გალიაში ჩამჯდარი ჩიტივით, მაგრამ ამ ფიქრს, გალია ჰქონდა აქამდე და გარეთ არ გამოსულა.

ეხლა რა მოხდა ესეთი უეცარი? საიდან? რა?

ყოველივე ეს ხელთ დაუჭერელია, უმიზეზოა. არც საბუთი, არც საფუძველი, მაგრამ თაფლო მაინც მწვავედ გრძნობს...

აი, უყურებს და თანდათან რწმუნდება:

უტანდარი შორეული კი არა, მისი მტერია.

ეს სხეული ასე გამეხებული, ეს მოზიდული მშვილდი, თაფლოს არწმუნებს, რომ მხოლოდ მის სამტროდ არის მომართული.

რად? რისც ვის!

გამოუცნობია, საოცარი, დაუჯერებელი, მაგრამ ჭსათუოდ ასე არის.

ეს უკვე უეჭველია თაფლოსთვის.

და თითქო გული ჩასწყდაო. თითქო წარხდაო თაფლოსთვის ყოველივე ამ ქვეყნად.

ველარ ითმენს, ცრემლი ყელში ებჯინება და მწარე მდუღარება აგერ-აგერ წასკდება თვალთაგან.

თითქო მოიკუტა თაფლო. აბუბექრის კალთას უჩუმრად აკოცა და

თითქო იდუმლად მოფარდაგულს მიეფარა.

გვიან შეამჩნია აბუბექრმა თაფლოს გაპარვა. იგი სრულიად დაპყრობილი იყო უტანდარის საკვირველებით.

უტანდარს კი თაფლოს წასვლაზე თითქო ბოროტმა ღიმილმა გადაურბინაო.

უეცრად თავი მოიბრუნა და აბუბექრს შეუვალად უბრძანა:

— სად გყავს მეჩანგენი?.. დაუძახე!

აბუბექრმა ბავშვივით შეუსრულა სურვილი.

— დღეს უნდა ვიცეკვო, აბუბექრ...

აბუბექრს თვალები გაუფართოვდა. იგრძნო, რომ სადღაც სიხარულის წინ იდგა.

მაგრამ სწორედ ამ დროს შემოვარდნენ საქართველოდან ლტოლვილი იურის მხლებლები და მუხლის ცვეთით და მუცელზე ხოხვით აბუბექრს მოახსენეს სრული განადგურება გაგზავნილი ჯარისა და უფსკრულში გადახაფვრა, დაღუპვა რუს-ბატონიშვილისა.

მედგარ აბუბექრს სახე ჩამოუბნელდა, ერთის გასისინებით ლეკვებივით გააგდო ამბის მომტანნი, შემდეგ გაქვავებით მდგარ უტანდარს ცეცხლმოკიდებული თვალებით ჩაყლაპვა დაუპირა და მეჩანგებს უბრძანა დაეკრათ.

მეჩანგენი აირივნენ. არ იცოდნენ, რომელი ჰანგი აეჟღერებინათ, ცოტა წაიჩურჩულეს და ბოლოს გადაწყვიტეს, ამ სამგლოვიარო წუთს უთუოდ რაიმე სევდიანი შეეფერებაო და ძველი ზღაპარი აქლემის დაღუპვისა სიმებზე ააკვნესეს.

უტანდარი ერთ ხანს გაოგნებული იყო. თითქო აგერ-აგერ წაიქცევაო. აი ცალ მუხლზე თითქო წაიჩოქა კიდეც, ლამაზ თვალთა ტბა თითქო აგერ-აგერ წარმომდინარდეს, მაგრამ...

უცნაური!

მკლავები უტანდარისა ფართოდ გაიშალა, რიტმულად და კვლავ ჩამოეშვა.

ერთი-ორჯერ და... სევდიან ჰანგზე, დაკოდილი ჩიტივით თანდათან გამოცოცხლდა.

უტანდარმა დაიწყო ცეკვა.., საოცარი, ჯერ უნახავი აბუბექრისთვის.

მეჩანგენი მხოლოდ მიუყვებოდნენ უტანდარის საცეკვაო განზრახვებს.

ჯერ ეს იყო გლოვა, გლოვა საშინელი, დაკარგული ბედნიერებისა, რომელიც შეიცვალა სულ ახალი მოფიქრებით.

მუსიკამაც იცვალა ფერი. ნელი ფეთქვა გაძლიერდა რუხებით.

უტანდარი დასცურავდა, ვით აბობოქრებულ ზღვაში დასაღუპად განწირული ნავი.

მაგრამ აგერ, თითქო იალქანს ქარმა შემოუბერაო, ნავი გაემართა ნავთსაყუდისკენ და გიჟური ტრიალით, ლოყებ გაწითლებული, უცნაურ ღიმილგადაფენილი, მოღლილი და მოთენთილი უტანდარი, მიეგდო აბუბექრის გულმკერდზე.

მეჩანგენი დაჩუმდნენ. აბუბექრმა ანიშნა და გაიძურწნენ.

უტანდარს თითქო მირულებოდა.

აბუბექრმა დაავლო ხელი და უნდოდა მოკუტული ქალი გაესწორებინა, მაგრამ უტანდარი უეცრად გამოფხიზლდა, მკერდზე ხელი ჰკრა, ჩამოიშორა, მუხლებზე დადგა და სასტიკი გამომეტყველებით აბუბექრს თვალებში შეაჩერდა.

აბუბექრმაც გაუძლო ამ გამომეტყველებას.

ასე კარგა ხანს გაზომეს ერთი მეორე და... ერთი-მეორეს დაეტაკა ორი სხეული გიჟურად აღტყინებული.

ეს არ იყო სიყვარულით შეთხზვა ერთი მეორესთან...

ორივეს სძულდათ ერთმანეთი. აშკარად, უეჭველად... ამას ორივ ნათლად გრძნობდა...

იყო ჭიდილი ორი მაგარი სხეულის კუნთებისა, ჭიდილი სამკვდრო-სასიცოცხლო...

მხოლოდ სხეულის წეტარების მოციქულობით გატარებული

სიძულვილი, დავალებული სიყვარულზე.

მტრობა, მონდობილი მეგობრობაზე.

მათ ალარ ახსოვდათ არაფერი, გარდა თავისი თავისა, მაგრამ ეძლეოდნენ კი ერთი მეორეს.

ვეღარც კი გრძნობდნენ სილამაზეს და სილაღეს თავისი სხეულისას, მხოლოდ თითეულ მათგანს ეგონა, რომ სწო-

რედ ის არის დამპყრობი, ის არის გამარჯვებული, ძლევამოსილი და როგორც ორი ცეცხლმფრქვეველი ოღრო, თავიანთ ღველფით შაშრავდნენ ერთი მეორესა...

ᲥᲒ

მოფარდაგულს გადასწია თაფლოშ და... თითები ფარდაზე მიუშეშდა.

კივილი უნდოდა, ვერ დაიკივლა, წასვლა უნდოდა ვერ წავიდა.

იდგა აქ და აღარაფერს აღარ უყურებდა.

ის უყურებდა შინაგანი თვალით მხოლოდ თავის ბედს დახურულს, თავის ცხოვრებას დასრულებულს.

უკვე მოვიდა აბუბექრის ნამდვილი პატრონი, თაფლო მხოლოდ პატარა ვარსკვლავი იყო სელჩუკიანის ნამგლიან ცაზე, გაიციმციმა და... ეხლა უნდა გაქრეს.

უნდა გაქრეს, რადგანაც მისთვის სხვა აღარაფერი აღარ არსებობს.

არც წყენა, არც ეჭვი. მხოლოდ გაოცება, რომ აღსასრული ასე მალე მოვიდა.

დიაღ, მოვიდა. აი, აგერ, მის გვერდით ხოგას. გათავდა ყოველივე და როგორი ნათელია ეს გათავება.

თაფლოს სულ დაეწმინდა თითქო გონება. სულ გამოლაგდნენ იქიდან ყველა აზრები და აი, ეხლა გრძნობს, სადღაც შორეულად მხოლოდ ამას, რომ თითები ძლივს მოაშორა მოფარდაგულს, ეხლა მიდის მტკიცე ნაბიჯით, მიდის, იცის საითკენაც.

რიჟრაჟი ჩიტთა ხმაურით უკვე ფრთქიალებდა, რომ ორივ სხეული კვლავ ჭიდაობდა.

ერთი ფიქრობდა, ჩემი გამარჯვება ნიშანია საქართველოს დაპყრობის, მისი ტახტის ხელში ჩაგდებისო.

მეორე აზრობდა, ჩემს მიერ ძლევა ნიშნავს უფრო სწორე გზაზე დადგომას, მართლა ნიშნავს საქართველოში ჩემს გადედოფლებასო.

აბუბექრმა და უტანდარმა მხოლოდ შუა დღისას გაიგეს, რომ თაფლოს მისი ცეცხლისებური მსხვილი ნაწნავებით თავი ჩამოეხრჩო.

უტანდარმა თვით ნაწა, როგორ სისწრაფით რკალად შემოწწოლოდა თაფლოს ლამაზ ყელს მისივე მამშვენებელი წითელი თმის გრეხილი.

მწოლოდ მისთვის ამასაც არ დაუშლია იმავე დღეს აბუბექრთან, ეთათბირა, თუ როგორ სამალიოდ შემზადებოდნენ საქართველოზე გამოლაშქრებას.

თავი მეთოთხმეტე

ჯრასიანი

ჯი

საქართველოში კი ზეიმია და გამოჩინება.

კახელ მახატელის ძეებმა ახლად ჯვარ-დაწერილს დავით სოსლანს ამბავი მიუტანეს კამბეჩოვანში რუს-გიორგზე გამარჯვებისა.

იურიმ კი, არ იცის რამდენი ხანია აქა ძევს, ამ ლიყიან აყალო მიწაზე.

ეს მწოლოდ ეხლა შეამჩნია და პირველად ეს დაიდასტურა, რომ ეს აყალო მიწაა, დასველებული, თითქო შეზელილი და თანდათან ქვეით იწევს. იური უკვე გრძნობს, რომ ეს აყალო მიწა ისე ეხვევა და თავისკენ იზიდავს, თითქო კარგი მეგობარიაო.

ხელი უნდა როგორმე მოიმარჯვოს, ფეხი უნდა როგორმე მოიკიდოს, მაგრამ, ეს რაა?

ფეხები არ მუშაობს.

ო, რა საშინლად გაუჭირდა თავის აწევა. ტალახმა ძლივს გაუშვა.

თან ტკივილი იგრძნო... დიდი.

ხერხემალიც სტკივა!

რა დამართნია?

თავმა ძლივს დაინაწა, რომ ფეხები აბია. მაშ, რად არ მუშაობს.

თანდათან გააზენდა ყოველივე. ნათლად, მეტის მეტი აშ-

ცარად. თითქო ამ წყვდიადში ათასი ჭაღები შემოიტანეს და გრძნობის ყველა ხვრელები გაუნათესო:

„მაშ, ცხენს ფეხი დაუსხლტა... ეს კარგად გაიხსენა...

ფეხი დაუსხლტა და ამ ლიყიან უფსკრულში გადავვარდი...

აქ უნდა ჩავიღრჩო ამ საზიზღარ ჭაობში?

ასე უვაჟკაცოდ ამდენი საქმის მოქმედი?

არა, ასე არ ეგების! აქ ხომ არ დავრჩები მართლა?! ცხენი სადღაა?“

გაუჭირდა და ტკივილებმაც მეტად შეაწუხა, მაგრამ მაინც კარგა ძალზე წამოიწია, წელიც კი აართვა ტალახს და თითქმის წამოჯდა.

ძალიან ბნელოდა, მაგრამ მაინც გაარჩია, რომ ის მთლად უფსკრულის ძირას არ იყო მოქცეული. ხრამი მის ქვეშ იყო და თვით კი, ერთ რაღაც ხის ფესვებს გამოსდებოდა, რომელიც, უთუოა, ოდესღაც მეწყერს უნდა ჩამოეტანა.

ამ ფესვებმა გაახარა. თვალი გააყოლა და შეამჩნია, რომ აყალო მიწას ეს ფესვები ზევით არშიასავით ღვლარჭნილად მიუყვებოდა.

მაღლა აიხედა. თავზე ამ რაღაც უცნაური წის თუ ხეების ფოთოლთ ხშირი გუმბათი გადმორკალულიყო და... ერთგან სადღაც, პაწია ჭვრიტიმალში, ვარსკვლავი ძლივს დასანახად მოკიაფობდა.

კიდევ მეტი იმედი მოეცა იურის!..

ადგილმდებარეობა ცოტაოდნად გაიცნო. ეხლა თავისი ღონე უნდა ესინჯა. ცხენი ხომ ხრამშია, მის ქვევით... მარტო თავისი იმედი-და უნდა ჰქონოდეს და... ეტყობა, მარტო თავისი ხელების.

გრძნობს, რომ ფეხებს წყალ ვერა სძრავს, თუმცა თითქო არცა სტკივა, ან შეიძლება იმიტომ, რომ აყალო მიწა იკრავს გულში ესე მასპინძლურად.

თითქო გაეღრიჭა... სადღაც გულში. თან უმატებს:

— უბედურებამ იცის ღრეჭა.

რა დროს ეს არის!..

კვლავ ზევით აიხედა. ფესვები, რამდენადაც მიუწვდებოდა, თვალით გაზომა. ხელი შეახო უახლოესს. სველია და ისხლეტს, მაგრამ ეს არაფერია, ისე ჩაეჭიდება... მარწუხივით, საქმე ფეხებია.

სცადა. თითქო მოზიდაო და იგრძნო საშინელი ტკივილი. რა არის? მომტვრეულია? ნაღრძობია? თეძოა ამოვარდნილი?

სულის მწარით მოუნდა უფსკრულიდან ამოსვლა, ბავშვურის ჟინით, გაგიჟებით.

და რამდენიც რწმუნდებოდა, რომ ზევით ამოსვლა მისთვის თითქმის შეუძლებელი იყო, იმდენად მეტი ჟინი ერეოდა შესრულებისა.

ორივ ხელი მაგრა წაავლო მომსხო ფესვებს. ხელის გულები რომ კარგა გამოიმსო და მძლავრი თითებით შერკინა, ისეთის სიმძლავრით აწყია ტალახში ჩაფლული ტანი, რომ ორ მწყრთაზე ზევით აიწია და ფესვებიც ასხლტნენ აყალს.

ტკივილს აღარ უყურებდა და მეტის სიჯიუტით მიბობღავდა ზევით, მაღლა.

მაგრამ აგერ ფესვები შეინძრა, მიწა მომზლავრდა და იურიმ მიწიან-ფესვიანი ძირს ზღართანი მოიღო.

საშინელი იყო მისი სხეულებრივი ტკივილი, მაგრამ კიდევ უსაშინელესი — გრძნობა ამ ძირს ჩამოვარდნისა.

„კაცის ტვინი უცნაურია!“

ფიქრობს ასომიხდილი, ქვედანარცხებული იური:

„რად მაგონებს ჩემი ცხოვრების ბედს ეს ეხლანდელი ქვეჩამოვარდნა? რა მაღლა ვიყავ და რა დაბლა ვარ ეხლა! აარა! უნდა ისევ ავიდე!“ — და...

ისევ მოძებნა სხვა ფესვი, ხელი ძლივს მიაწვდინა. კარგა გასინჯა. შემდეგ კვლავ საარაკო ძალის მოკრეფა, ნებისყოფის უცნაური მოზიდვა და იური უკვე თითქო სამშვიდობოს არის.

სამშვიდობოა უკვე ეს მინდორი ჯაგნარიანი და რაღაც ბალახი რომ შრიალებს მოშავო.

ასვლამდე ერთხელ კიდევ მოსხლტა იური.

„მაშ ორჯერ მხოლოდ“.

ეხლა კი მაინც უკვე მინდორზეა ამობობღებული.

ეს ორჯერ კი... ორჯერ რომ დავმარცხდი საქართველოში, დეე, ამას ნიშნავდეს. ეხლა-კი, აი, როგორ დამციმციმებენ ვარსკვლავები.

„რა კარგი ჰაერია, როგორ უფრო ნათელი... აარა! ჩემი ბედი ერთხელ კიდევ გამოციმციმდება, გამობრწყინდება“.

თითქო ტკივილებმაც უკლო. ცოტა კიდევ მეტი გაიწია მინდვრისაკენ. უფსკრულის ნაპირს ჩაშოშორდა.

მხოლოდ ეს არის, ფეხზე ვერ დგება კიდევ, მაგრამ ხომ ადგება ოდესმე...

როდის?

თეთრი და შავი, თეთრი და შავი!..

მირბიან, მიჯირითობენ ფიქრები...

უეცრად, თითქო წამოჯდაო იური, მაგრამ მყისვე განზე თავი გადააგდო და გულამოსკვნილი, ბავშვური, საცოდავი ტირილი მორთო.

მთელმა ცხოვრებამ თვალწინ გაურბინა ერთ წუთს და დაენანა თავისი თავი.

რამდენი მზიანობა, რამდენი სიწარული, უცხო სანახავები... გასახსენებელი ბევრი რამ აქვს...

ცრემლები მოიწმინდა, მწარედ ჩაიქნია ხელი, და შეეცადა თავის შეკავებას.

მოქნეული ხელი მაღალ, მოშავო ბალახს მოხვდა.

თითქო ჯავრი უნდა იყაროსო, ჩაბღუჯა, და, რაც მოხვდა, სულერთიან მოჰგლიჯა და გადაყარა.

ხელი ისევ თავთან მიიდო.

განცვიფრებამ შეიპყრო: ეს რა სუნი მოუვიდა. მეტად ნაცნობი სუნია.

ხელზე უდის? საიდან? რისაა? აა, ბალახის?

თითქო გამოცოცხლდაო, თითქო ტკივილებიც დააკლდაო.

კვლავ მოჰგლიჯა.

„ნამდვილად პრასაა, პრასა!

მერე აქ რა უნდა პრასას? გარეულია თუ დათესილი? დათესილს რომ არა ჰგავს? რა უცნაური ქვეყანაა!..“

თითქო მხიარულ გუნებაზე დადგაო.

„მაშ სადა ვარ ეხლა? პრასიანში?“

გაეღიმა და მყისვე ღიმილი დააკვდა მის ტუჩებს.

ცხენების თქარა-თქური იქვე... ყურთან.

იურიმ ეხლა მეტად იგრძნო ტკივილები მთელს ტანში. მეტად იგრძნო უძლურება თავისივე ყოფისა.

ყველაზეგან მიტოვებული და დამარცხებული, შერცხვენილი და დავრდომილი!

უეცრად საშინელი სიშავე ჩაიღვარა ტვინში და ხელმა შეასრულა სწრაფი მონაფიქრი.

წელიდგან აღმოსავლური, მოღუნული, აბუბექრის ნაჩუქარი პაწია ბასრი მახვილი გაიძრო და ორთავ კაპიწზე, ძარღვები გადაიჭრა.

გაშმაგებით გადაჰხედა არემარეს:

„ცოცხალი თავით არ დაგნებდებით!“

ეს იყო მისი უკანასკნელი მტკიცედ ნაფიქრი.

მერე დაიწყო ტკბილი ბურანი, საცა კვლავ მოესმოდა ქაოტიური ბგერა რედედიას ტყის სიმღერისა.

ცხენოსნებმა სწორედ რამდენიმე ნაბიჯზე ჩაუარეს წისხლისაგან დაწრეტილ ადამიანს და სულაც ეჭვი არ აუღიათ, რომ მათ გვერდით,

ქიზიყის პრაისიანში,

სულსა ლევდა, ოდესღაც ბრწყინვალე ჭაბუკი, უფლისწული იური და ამიერით საქართველოს მემატიანეთათვის,

გიორგი რუსი.

1916 — 1926 წ.

სურამი — ბაქო — ახალციხე — მოსკოვი — თბილისი

რაც მამახსენდა



წინასწარი

И как-то весело и больно
Тревожить язвы старых ран!

Лермонтов.

მემუარული ლიტერატურა, როგორც ცნობილია, დიდად მიჩნეული რამ არის მხატვრულ მწერლობაში.

ერთ დროს იყო ისეთი მიმდინარეობაც მსოფლიო ლიტერატურაში, რომ საერთოდ ბელეტრისტიკას ეს ჟანრი (მემუარული) დაჰფარავსო, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეს ასე არ მოხდა და, მე რომ მკითხოთ, არც შეიძლება მომხდარიყო.

ბალზაკი, ზოლა, ჰიუგო, ლევ ტოლსტოი, გოგოლი, დოსტოევსკი, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, ყაზბეგი და სხვა ასეთები მუდამ უჭკნობი ყვავილები იქნებიან მწერლობით შემოქმედებაში. ეს მომავალშიაც ასე იქნება და განა ამის დამამტკიცებელი არ არის ჩვენში საბჭოთა რუსული და ქართული საბჭოთა პროზა? ამას თითქმის ჩამოთვლაც არ უნდა.

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მემუარულ ლიტერატურას თავისი დიდი ღირსება და სიმძიმე არა ჰქონდეს.

მე კი პირადად თუ ვბრიყვდები და ამ მონაქცევზე ვკიდებ ამ ჟანრს ხელს, იმისათვის კი არა, რომ საერთოდ ჩემი ბიოგრაფია თითქო მდიდარია სხვადასხვა მომხიბლავი სათავგადასავლო შემთხვევებით, არამედ იმისათვის, რომ მკითხველის ყურადღებას წარვუდგინო თუ ჩვენში, ჩემ დროს (1890 — 1957-მდე) როგორ გამოვლინდა ერთი შუათანა კაცის ცხოვრება ჩვენს საზოგადოებრივ ასპარეზზე, მით უფრო, რომ ეს ადამიანი (ე. ი. მე) გამოსული იყო იმ წრიდან, რომელიც არც თუ ისე მისდევდა (გარდა მამიჩემის ოჯახისა) მწერლობას, თეატრს და საერთოდ დემოკრატიულ მუშაობას ხალხისათვის.

ამას გარდა, მე მომიხდა კარგა ხანგრძლივი ცხოვრება ამ ქვეყნად და ბევრი რამე ვნახე და განვიცადე, ბევრი ვინმე რჩეულთაგანიც გავიცანი და მათი გახსენება, რაღა თქმა უნდა, ერთგვარ ხალისს შეძენს ამ ნაწარმოებს.

ერთი კია, რაც აქ იქნება გახსენებული, იქნება სწორუტყუარად და გულწრფელად გადმოცემული, თუმცა... როდის იყო, რომ გულწრფელად არ ვწერდი, თვით უბრალო გამოსვლებშიც კი.

თვით ნაწარმოები იქნება დაყოფილი ეპიზოდებად ბავშვობიდან მოყოლებული ჩემ დღეინდელ დღემდე და ყოველივე მოთხრობილი იქნება იმის მიხედვით, თუ როგორ რა გამახსენდება.

იმიტომაც ვარქმევ ამ ნაწარმოებს „რაც გამახსენდა“.

პირველი მოგზაურობა

სულ პირველი რა მახსოვს ბავშვობისა?

ჩვენი ოჯახის ცხენებით მოგზაურობა.

მამას ხშირად დავყავდით სოფლიდან სოფლად იმერეთში, სამეგრელოში, ქართლშიაც, ხან ჩვენს, სამემკვიდრო სოფლებში, ეს უფრო დასავლეთ საქართველოში, ხან სტუმრად, ნათესავებთან.

გვიხდებოდა აგრეთვე მატარებლითაც სიარული სოფლებიდან ქალაქებში, უფრო ქუთაისს და თბილისს, ამიტომაც ბავშვობიდანვე შემიყვარდა მოგზაურობა და ეხლაც ხახდაზმული მისი „ტრფიალი ვარ“ (ილიას სიტყვაა). ეხლაც არ ვერიდები შორეულსა და ხანგრძლივ მგზავრობას.

ერთ დროს ხომ „მოგზაური“ დასიც მყავდა. მართალია, მის დაარსებას სხვა, უფრო საზოგადოებრივი ხასიათის მიზეზები ჰქონდა, მაგრამ არ ითქმის, რომ ამ საქმისათვის ჩემს მგზავრობაში დაუზარებლობასაც ხელი არ შეეწყოს.

ბავშვობის დროის მოგზაურობიდან კი ყველაზე პირველად მახსენდება იმერეთში, სოფ. სვირიდან სადგურ აჯამეთზე გამგზავრება. ნათლად მახსოვს, ლაზარე რატიანს, მამიჩემის ამ ერთგულ კაცს, ვუჯექ ცხენზე უნაგირის წინ.

ლაზარე რატიანზე უთუოდ შემდეგშიაც მომიხდება

ვრცლად ლაპარაკი, აქ კი ვუბრუნდები ამ ჩემი პირველი მოგზაურობის ამბავს. თუმცა აქ საამბობიც არაფერია. მხოლოდ თუ ვიხსენებ, იმისათვის, თუ რა ჩამაჩნდა გუნებაში.

შეიძლება ისეთ თითქო უმნიშვნელო შთაბეჭდილებიდან შემდეგ ირკვეოდეს, თუ როგორ მუშავდება ადამიანის ზნე, ხასიათი, სულიერი მიდრეკილება. მეც მიტომ მინდა აღვნიშნო, თუ რა რისგან შედგა ჩემში.

ეს ნაწარმოები ხომ ჩემი ცხოვრების შეჯამებას ემსახურება, ამიტომ არ მინდა გამოვტოვო არც ერთი წვრილმანი, რაც კი ოდესმე გულს ჩამჩნევია. ამ წიგნის სხვა რუბრიკებში საზოგადოებრივი მოვლენებიც იქნება მოთხრობილი, მანამ კი პირადად ჩემთვის საჭიროა ვიცოდე, თუ ის კაცი, რომელიც მე „მებარა“ (ჩემ თავზე ვამბობ, რასაკვირველია) მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, როგორი იყო ბოლოს და ბოლოს, და ან მე მას კარგად ვიცნობდი, შესწავლილი მყავდა თუ არა.

ხომ არის დიდ მოაზროვნეთაგან ნათქვამი — თავის თავის ცნობა მეტად დიდი რამ არისო. მე დავუმატებ, თუნდაც მონაქცევზე-მეთქი და ამით აქ მოვჭრი სიტყვას.

ვერ ვიტყვი მაშინ მსიამოვნებდა უნაგირის კოტასთან ჯდომა თუ არა, შემდეგში, სხვა დროს, ძალიან გამჭირვებია ხოლმე, რადგან უთუოდ, რაკი წამოვიზარდე, ველარ ვეტეოდი, მინდოდა თვით მე მემართა ცხენი, დამოუკიდებლად, ე. ი. მარტო ვმჯდარიყავ, და აკი შედარებით მალე მოვიპოვე „ავტონომია“. 8—9 წლის ბიჭი უკვე თავისუფლად ვაჭენებდი ცხენს ჩვენი ფართო ეზოს მიდამოში სოფ. ბეთლემს (ბერთემს) უბელოდაც კი.

ამ მოგზაურობისას კი ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ უკვე დღე ღამეს ეყრებოდა და ბინდბუნდი იყო, სადღაც ცის კიდურს კიდევ აჩნდა მზის ნათელი, ცოტა მოწითალო კვალი. მის აქეთ კი ტყვიისფერი ღრუბლები ირეოდნენ, ეს უთუოდ დასავლეთისაკენ იყო, ეტყობა ამ მხარისაკენ მივდიოდით, მხოლოდ ჩვენს უკან, მაშასადამე, აღმოსავლეთისაკენ, ცა სულ ჩაშავებული გახლდათ და, ამის შემხედვარე ბავშვის ნორჩი გონება ერთგვარი გაურკვეველი შიშით იყო შეპყრობილი.

გაურკვეველი შიშით, რომ ვამბობ, ამას აქვს თავისი მი-

ზეზი, რადგან ჩვენს ოჯახში არავინ არასოდეს არ გვაშინებდა პატარებს ჯოჯოხეთით, ან რაიმე სხვა ზღაპრული ჯანდაბებით და მისი ურჩხულებით. ეს მამიჩემისაგან ყველას აკრძალული ჰქონდა და ამიტომ იყო ჩემი შიშიც გაურკვეველი, უფრო ცხოველურ-ინსტიქტიური.

ისე კი, ეხლა მახსენდება, იმდენად მიტაცებდა მგზავრობა და ისიც ვაჟკაცის გულ-მკერდს ამოფარებულს, რომ მაინცდამაინც დიდ შედრკომას არა ვგრძნობდი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნათელ ცის კიდურისაკენ ვიყურებოდი.

ცხენების ფეხების თქარათქურში თითქო ცოტათი მთვლემდა კიდეც და შორეული ჯუჯუმკალის ხმა თითქო მინანავებდა.

აი ეს ჯუჯუმკალი ჩემთვის დაუვიწყარია. პირველად ვისმინე მისი ხმა ამ მოგზაურობისას.

მე შემდეგში გავიგე, მოჩიტულზე, რომ დედამიწის ზურგზე (ჩვენს ცდომილზე) სანამ მუსიკალური ბგერა ბულბულის მომხიბლავ სტვენამდე ამაღლდებოდა და შემდეგში ადამიანის ყელის ხმათა კრიმანჭულით დაგვირგვინდებოდა, პირველი მომდერალი, ანუ ხმის გამომღები, ჯუჯუმკალი იყო და მერმე ისიც მურუჟღ სინათლეში. მას ჰგონია, თურმე, რომ ეხლაც პირველყოფილი დროა და შებინდდება თუ არა, იწყებს თავის ფეხების ხახუნს და გამოსცემს ნაზსა და თითქო სევდიან კილოს.

მე მაინც ასე მეჩვენება და, შეიძლება საკვირველია, მაგრამ მიყვარს მისი მოსმენა. უთუოდ მიტომ, რომ მახსენებს ჩემს უმანკო ბავშვობას.

მაშასადამე, ამითი დაიწყო ჩემი შეგნება — მურუჟღ სინათლეში ჯუჯუმკალის გალობა!

შეიძლება ამას სიმბოლიური მნიშვნელობაც ჰქონდა ჩემს ცხოვრებაში.

ვნახოთ!

ჯუჯუმკალმა გამახსენა: მე მიყვარს აგრეთვე ღამით ჭოტის ყივილი.

საზოგადოდ კი მიჩნეულია, რომ ჭოტის ყივილი თუ საზარლად არა, არასასიამოვნოდ მაინც მიაჩნიათ და სოფელში ზოგიერთებს, მგონი დღესაც, მისი გაგონება ცუდი რამის ზომასწავებლად აქვთ განკუთვნილი.

მე კი იგი მსმენია პირველად იმერეთში, სოფ. კულაშში, საოცარ, თილისმიან მთვარიან ღამეში, დიდ მყუდროებაში, როდესაც ობლად გაისმის ამ უწყინარი ფრთოსნის ვითქო გულსაკლავი კვნესა.

დღესაც მისი მოსმენა მაგონებს რომელიღაც, თითქოს ჩემთვის დაკარგულ, პირად ბედნიერებას, რომელიც შეიძლება მღირსებოდა, მაგრამ ხელთ ვერ ვიგდე.

ნაზ, გულის მომწყვლელ მოგონებათა აღმძვრელია.

კიდევ ერთი რამ, მაგრამ ეს სულ სხვა ხასიათისაა: მსიამოვნებს მაზუთის სუნი.

ზოგიერთს გულს ეყრება, თუ ოდესმე მოედინება მისი სუნი.

მე კი ესეც ჩემს ბალღობაში მაქვს შეძენილი.

ერთ დროს მამა ზესტაფონში ცხოვრობდა. სწორედ იმ ქალაქში, სადაც მე ვარ დაბადებული და სადაც მივიღე ქართული ანბანის პირველი „განარკვი“.

მამა გაკვეთილს განარკვს ეძახდა. მეც უფრო მართებულად მიმაჩნია და ამიტომ ვხმაროб: გაკვეთილი ხომ გაჭრილს თუ მოჭრილს ნიშნავს, განარკვი კი გარკვეულს, განმარტებულს, და ჩემის ფიქრით ეს უფრო შეეფერება სინამდვილეს.

თუმცა „გაკვეთილმა“ უკვე ისეთი მოქალაქეობა მოიპოვა, რომ მე აღარა ვდაობ. გახსენებისათვის კი საჭირო იყო.

3 — 4 წლის ვიქნებოდი მაშინ, როდესაც პირველად მაზუთის სუნი მომედინა.

რკინიგზის სადგურთან, მაღლობზე ვცხოვრობდით და ყოველდღე ვუყურებდი მატარებლის მიმოსვლას, განსაკუთრებით ცალკეული ორთქლმავლის „მანიოვრებს“.

აქ იყო მისწრაფება, მოძრაობა და... მაზუთი.

შემიყვარდა ეს ყოველივე. მისი „ბრუნდი და მართალი“,

მართალმა „მყრალიც“ გამოიყოლია. მე კი შემიყვარდა. არა! მსიამოვნებს.

ესეთი უცნაური კაცი ვარ.

აქედან უთუოდ დასაწყისია ჩემის უხეირო გემოვნებისა.

მაგ., ქალებში ხშირად ულამაზო ქალები მომწონებია. რასაკვირველია, მთლად მახინჯი არა, მაგრამ ისეთები, რომელთაც სხვები თითქო ვერ ამჩნევდნენ, რადგან უზადო ლამაზებისაკენ მიიზიდებოდნენ.

მე კი „ძალიან“ ლამაზი ეგრე რიგად არ მიპყრობდა.

მაგრამ მე გამონაკლისი არა ვარ თურმე. მახსენდება ერთი ამბავი.

მყავდა ერთი ბიძა, იასონ წულუკიძე, კაცი დარბაისელი, ჭკუამახვილი, ძველებური მოშაირე, მოცეკვავე, მომღერალი, კარგი ცხენოსანი და მონადირე. წარმოსადეგი ვაჟკაცი, მხოლოდ სახით შავი ძალზე და არც თუ ძალიან სახიერი. დები კი ლამაზი ჰყავდა. ეს დები ხშირად ეხუმრებოდნენ თურმე — შე უბედურო, რა გეშველებოდა, ქალად რომ გაჩენილიყავიო. იასონი კი ამით ანუგეშებდა: — ნუ გეშინიანთ, მაინც გავთხოვდებოდი, აგერ სეფე მაჩაბელი უსათუოდ შემირთავდაო. ამ სეფეს კი საოცარი, ერთი რაღაც დოღრიალა დედაკაცი ჰყავდა თურმე ცოლად.

მაგრამ მე ძალიან წინ გავრბივარ. ეს უთუოდ იმიტომ, რომ მეჩქარება, ვაც კი აქამდე ჩემში მოგონება მოზღვავებულა, აღუნიშვნელი არ დამრჩეს, 68 წლის კაცს მეშინია ამისი[1].

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

1

მახსენდება კიდევ სხვა მგზავრობაც. ესეც სოფლად და ესეც ცხენებით.

მხოლოდ ამ ხელად მამამ სხვაგვარ გვამგზავრა მე და ჩემი და.

მამა ხომ ადრე დაქვრივდა და შვილებთაგანაც მხოლოდ ჩვენ ორნი შევრჩით, მე და მაშო, შემდეგში ცნობილი სა-

[1] როდესაც ამ ნაწარმოების წერა დავიწყე, ამ ხნის ვიყავი. ავტ.

ზოგადო მოღვაწე აფხაზეთში და განსაკუთრებით ქ. სოხუმში, სადაც დიდი ამაგი მიუძღვის ძველ, ცარიზმის დროს, ქართული სკოლის დაარსებასა, ქართული თეატრის მოწყობასა და სხვა ამგვარ კულტურულ საქმიანობაში, მარიამ ანჩაბაძისა.

მივემგზავრებოდით სოფ. რგანში საზაფხულოდ, სადაც მამას დედისაგან მემკვიდრეობით დარჩენილი მამული ჰქონდა და სადაც შემდეგში შავი ქვა აღმოჩნდა.

მივდიოდით ზესტაფონიდან ესრეთ წოდებულ დიდწიფლის გზით, მაგრამ მაშინ ასე ადვილი არ იყო მგზავრობა, ისიც ცხენებით და მთელი ოჯახითა და ბარგი-ბარხანით. მაშინ მაინც ასე ეჩვენებოდათ და ამიტომ რაღაც 30—40 კილომეტრის მანძილზე ერთი სამჯერ მაინც სადმე უნდა დაბანაკებულიყვნენ და ღამეც გაეთიათ. ჩვენ კი, რაკი გზადაგზა ნათესავები გვყავდა, რასაკვირველია, მათთან შევუხვევდით ხოლმე. უამისობა არც შეიძლებოდა, მამას უგულობასაც შესწამებდნენ. ეს იყო გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურული და მაშინდელ თავადაზნაურობას, განსაკუთრებით ზემო იმერეთში, ჯერ კიდევ კარგა „სული ედგა“.

ჩვენი მარშრუტი ესეთი იყო: ზესტაფონიდან — დილიკური, ჯოყოეთი, კაცხი და შემდეგ რგანი.

ჩვენ სულ აბაშიძეებში უნდა გვევლო. ესენი იყვნენ ჩვენი უფრო მახლობელი ნათესავები:

დილიკურში დავით აბაშიძესთან, პოეტ გრიშა აბაშიძის მამასთან (კიტას ბიძა იყო.)

ჯოყოეთში — კონსტანტინე აბაშიძის ოჯახში, იასონ და გრიგოლ აბაშიძეებთან.

კაცხში — ან კოსტა ან ალექსანდრა აბაშიძესთან.

დავითი, გრიშას მამა, განათლებული კაცი იყო, მშვენიერი მოლაპარაკე, სახიერი, ტურგენევს ჰგავდა, ევროპულად ჩაცმული. თუმცა ბევრი არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ძალიან მიყვარდა დავითის და მამას საუბარი. მივცუცქდებოდი იქვე ახლო მოსაუბრეებთან და ყურს ვუგდებდი. თითქო ვგრძნობდი, რომ კარგ რაღასაც საუბრობდნენ და კარგადაც ლაპარაკობდნენ. დავითს უკვირდა თურმე ჩემი ესეთი „სერიოზულობა“ და მე კი მეფერებოდა, მაგრამ მამას საყვედუროებდა თურმე, მეტისმეტად დინჯად ზრდი შვილებს, ბავშვი უნდა

ცელქობდეს, მინდორ-ველს მოედოს, ტოლ-ამხანაგებში „ბურჭალაობდესო“. მამა ამისი არც ერთის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ არც ამ „სერიოზულობას“ მიშლიდა.

ჩემის ესეთის საქციელით ერთხელ, ეს სხვა დროს, ცნობილი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელიც გავაკვირვე თურმე. ის მაშინ პეტერბურგიდან იმისათვის იყო ჩამოსული, რომ მეგრული ენის მეცნიერულად შესასწავლად მასალები შეეგროვებინა და, სხვათა შორის, დახმარებისათვის მამაჩემსაც მიმართა.

მახსოვს, ქუთაისში, მამას კაბინეტში, მაგიდას უჯდა ერთი ლამაზი, შავწვერა, სათვალებიანი ვაჟკაცი და მამას ესაუბრებოდა, თან იწერდა რაღეებსაც. ეს ხდებოდა ხშირად საღამოობით და მაშინ, როდესაც ესეთ მუშაობის დროს კაბინეტში არავის მომსვლელს არ უშვებდნენ, მე კარგი ასისტენტივით მაგიდასთან წამოსკუპებული ვიყავ და რაკი მაგიდას ხეირიანად ვერა ვწვდებოდი, მაგიდაზე ხელები მეწყო, ზედ კიდევ თავი მქონდა ჩამოდებული და ესე შევცქეროდი ხან მამას და ხან პროფესორს. მეცნიერს ის უკვირდა თურმე, რომ მე არ მეძინებოდა. საკვირველია, რა უნდა აინტერესებდეს ბავშვსო. მე კი თურმე ისე გულისხმიერად ვიყავი, თითქო ყოველივე გამეგებაო.

მაგრამ მე ძალიან დავცილდი ჩემს მგზავრობას.

ვიმგზავრეთ კი ასე: ერთ ცხენზე გარდიგარდმო გადაკიდებული იყო ორი მჭიდროდ მოწნული კალათი, შიგ რბილად მოგებული საჯდომით. კალათებში ჯი ცალ-ცალკე ვისხედით და-ძმანი, ნელად მივეჭანებოდით დიდწიფელის „გაწმოდიალებულ“ გზაზე.

ჩვენ უზრუნველყოფილი ვიყავით გადავარდნისაგან და ცხენს კი მიუძღოდა ჯილავში ხელჩავლებული რომელიმე გამრცდილი მამის მხლებელთაგანი.

თურმე დიდ ხალისსა და მოწონებას იწვევდა მნახველებში ჩვენი ესეთი მოგზაურობა. ოღრო-ჩოღრო გზაზე და აღმართ-დალმართებზე მარდად სიარული კარგი ცხენოსნისათვისაც მოსარიდებელი იყო, განსაკუთრებით ღამე.

ყველაზე უარესი გზა იყო ჯოყოეთში ჩასასვლელი. სოფელი დაბლობშია გაშენებული და მისასვლელი კი ირგვლივ გორებიდანა აქვს. მე ესე მახსოვს.

სრულიად დაღამდა, ჯოყოეთს რომ მივუახლოვდით. მართალია, რბილად ვიჯექით, მაგრამ მაინც მომწყინდა მგზავრობა. გზა გრძელი მომეჩვენა. როგორც იყო, თქვეს — შევდივართ სოფელშიო, და მართლაც შორიდან აქა-იქ სადღაც გამოჩნდა სინათლე, სადღაც შორს ძაღლმა მიაყეფა, მეგონა თუ მივედით კიდეც, აი საცაა შევალთ სადმე ეზოში, მაგრამ სწორედ ამ დროს უეცრად სრულიად დაბნელდა და სადღაც კიდევ უფრო თავქვე ჩავეშვით. ეს გზას არც კი ჰგავდა, ცხენს ხშირად ქვებზე ფეხი უსხლტებოდა. ეხლა რომ ვიგონებ, ეს უთუოდ ნაღვარევი უნდა ყოფილიყო და სწორედ მისგან გზად გაკვერილი. ზევიდან კი უზარმაზარი ხეების შტოები გადმოგვფარვოდა და ეს იყო, რომ ღამეს კიდევ უფრო გვიბნელებდა. მივდიოდით თითო-თითოდ გამწკრივებული და ხშირად გვესმოდა შეძახილი, რომ ხის შტოებს არ წამოვდებოდით, მოვრიდებულიყავით. მაინცდამაინც ამ სიბნელესაც, ეტყობოდა, თვალი შეეჩვია და უკვე ვარჩევდი გზადაგზა კიდევ უფრო ჩაშავებულს რაღაც დაკლაკნილ საგანს.

„აჩუ!“ ეძახდა ჩვენი გამძღოლი ჩვენს ისედაც მშვიდსა და ჰკვიან მერანს და თან ჩვენ გვაფრთხილებდა: — არ შეგეშინდეთ, ეს ხის ფესვებია, გველეშაპი არ გეგონოთ, ან ღრიანკალიო. მაშინ არც ერთი არ ვიცოდი, რადგან, აკი ვთქვი, ესეთი ურჩხულებით მამა არასოდეს არ გვაშინებდა-მეთქი. ამიტომაც უთუოდ მიკვირდა გაფრთხილება; მხოლოდ გამოუცნობის გამოცნობა, ცხადია, ძალზე მინდოდა. ბავშვისთვის მაინც ეს ხომ დიდად სანუკვარია.

შემდეგში განთქმული მხატვრის გუსტავ დორეს ბიბლიურ ნახატებს რომ დავკვირვებივარ, იქ მინახავს ამისთანა დაღრაკნილი ხეები და მისი ფესვები.

დასრულდა ეს ნაღვარევი და უცბად კონსტანტინე აბაშიძის ფართო ეზოში კი შევედით...

ამ ოჯახში გამაკვირვა იმან, რომ ერთი მომცრო ოთახი ვნახე, სადაც მხოლოდ ხატები იყო, მაჩვენა თვითონ დიდმა დიდედამ, კონსტანტინეს მოხუცმა ქვრივმა.

ოჯახში არსად მინახავს, ამდენი ხატები ჰქონოდეთ. ეკლესია ჰქონდა, მაგალითად, სოფ. კულაშში ალექსანდრე მიქელაძეს თავისივე სახლის ერთ-ერთ დარბაზში — კანკელი, ტრაპეზი და ყოველგვარი საეკლესიო მოწყობილობა.

ეკლესია მინახავს ძალიან ხშირად ესეთ ოჯახებში, ეზოებში, ცალკე, პატარა განკუთვნილი შენობა. კარის ეკლესიას უწოდებდნენ.

სახლში კი არ მინახავს. მაგრამ ალექსანდრე მიქელაძეს ხომ თეატრიც ჰქონდა აგრეთვე თავის სახლში.

თუმცა ამ თეატრზედაც უთუოდ თავის ალაგას ვიღაპარაკებ.

კაცხში მახსოვს პირველი ნახვა შემდეგში ცნობილი პოეტის გრ. აბაშიძისა. მაშინ ის გიმნაზისტი იყო და, რამდენადაც მახსოვს, მეტად ცოცხალი და დაუდეგარი. ჩვენი მასპინძლისას, ალექსანდრა აბაშიძისას, (გრიშას ბიცოლა იყო) ბევრი ქალიშვილი იყო თავმოყრილი, გრიშა სულ მათ შორის ტრიალებდა და იყო ერთი გახურებული სიცილ-კისკისი, სხვადასხვაგვარი გართობა: ქორობუდობია, ქალაქობია და სხვა ამისთანა. აგრეთვე პირველად იქ გავიგონე შემდეგი ზეპირი, სიტყვიერი ვარჯიშობა:

„— ანზე ვისი ხარ?
— ალავიძის.
— შენი სახელი?
— ანტონი.
— საიდან მოდიხარ?
— არგვეთიდან.
— სად მიდიხარ?
— არადეთს.
— მშვილდი რისი გაქვს?
— ატმის.
— ისარი?
— არყის ხისა.
— რას მოკლავ?
— არჩვს.
— რაში კრავ?
— აპკში.
— ვის მიუტანთ?
— ამირაჯიბს.
— რას გაჩუქებს?
— ალმასს“.

ერთი სიტყვით მთელი ძველებური „ვიქტორინა“.

როგორც ხედავთ, აქ საჭირო იყო ვარჯიში გეოგრაფიაში, ნადირთა სახელების ცოდნაში, ქართული სახელებისა და გვარის გახსენებაში, ხე-ტყის ცნობაში და აგრეთვე სხვადასხვა ნივთთა ცოდნაშიაც.

ეს, რასაკვირველია, შემდეგმა დაკვირვებამ დამანახვა მაშინ კი ზოგიერთის სხარტული, სწრაფი პასუხი მაკვირვებდა, განსაკუთრებით გრიშასი და, ცხადია, უფრო სიტყვათა ბგერა მახალისებდა.

ეს თამაში კი გრძელდებოდა საზოგადოთ, მანამ მთელი ქართული ანბანი არ ჩამოითვლებოდა და ძალიან ხშირად ბევრი დიდხანს ჩერდებოდა და „თავს იმტვრევდა“. ხან ხსარი შემოაკლდებოდა, ხან ნანადირევი, ხან საჩუქარს ვერ გამოძებნიდა და სხვ.

მე არ მახსოვს სად შევითვისე ასეთივე თამაშობა „ბერი ჩამოხტა“-სი.

„— ბერი ჩამოხტა.

— სად?

— ბეთლემში.

— მონასტერი სად ააშენა?

— ბერიწყუზე.

— მონასტერს რა ჰქვია?

— ბეთანია“.

და აქაც მთელი ანბანი უნდა ჩამოთვლილიყო. ეს უფრო იოლი შესასრულებელი იყო და უფრო ჩემი ხნის ბავშვებს ავარჯიშებდნენ ამაში.

იმჟამად კაცხისაგან სხვა არაფერი შერჩენია ხსოვნას, გარდა კიდევ ერთი აბაშიძისა: სახიერი კაცი იყო, წვერგაპარსული და სქელი, შავ-ულვაშებგადავრეხილი. ქართული კაბა ეცვა და საუცხოოდ მოჭედილი ხანჯალი ერტყა. ეს უმეტოდ მახსოვს, რომ ამ ხანჯალს ძალიან ვეტრფიალებოდი და როდესაც მისი პატრონი, გედეონ აბაშიძე, თავისთან ახლო მიმიყვანდა, მე ამ ხანჯალს ვეთამაშებოდი.

მახსოვს, იმ დღეს გედეონი ძალიან გამხიარულდა სუფრაზე. უთუოდ თამადა იყო, რადგან ეხლა მახსენდება, რომ ის მითაურობდა იქაურობას. რაღაც უცნაური სასმისებით

სვამდა ღვინოს, ხუმრობდა, მღეროდა, ცეკვავდა და მამას რაღეებსაც ეხუმრებოდა, რაც მამას, საერთოდ დინჯ კაცსა და ღვინის სმის სრულიად არა მოყვარულს, ეტყობოდა, ამხიარულებდა.

შემდეგში გავიგე ამ გედეონის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი: რომელიღაც გლეხთან მას მიწის თაობაზე დავა ჰქონდა და ამის გამო სასამართლოში ხშირად დადიოდა. სასამართლო კი მაშინ იმ არემარეზე მხოლოდ ქ. ზესტაფონში იყო და კაცხიდან იქამდე კარგა დიდი მანძილი გახლავთ. დანიშნულ დღეს გედეონი, რახაკვირველია, ცხენით მიემგზავრებოდა, მისი მომჩივარი თუ მოპასუხე გლეხი, ეგეც, რასაკვირველია, ფეხით მიჩანჩალებდა, მაგრამ გედეონი დაინახავდა თუ არა ფეხით მიმავალ თავის მოწინააღმდეგეს, შემოისვამდა ცხენზე და ისე მიიყვანდა ზესტაფონამდე.

— შენ, ბიჭო, ფეხით როდის მოხვალ და შენ რომ არ იქნები, შეიძლება მოსამართლემ საქმე გადამიდვასო.

შემდეგ, როდესაც სასამართლო დასრულდებოდა, სულ ერთია, როგორი განაჩენიც უნდა ყოფილიყო, ამ გლეხს მაინც არ გაუშვებდა და სადმე სამიკიტნოში გლეხთან ერთად კარგა მშვენივრად გადაკრავდა.

როდესაც სხვებს ამისთანა მისი საქციელი აკვირვებდათ, გედეონი უპასუხებდა თურმე:

— დალოცვილებო, მე ამ გლეხის წახდენა კი არ მინდა, მეცოდება კიდეც. მხოლოდ თუ ვედავები, მაგას კი არა, მე რუსის კანონს ვებრძვი, რომ ასე სადავიდარაბოდ გაგვიხადა საქმე მეც და ამ გლეხსაც.

2

კაცხის შემდეგ ჩავიდოდით სოფ. რგანს და აქ ვისვენებდით თითქმის მთელი ზაფხული.

სააგარაკოდ სოფ. რგანი მართლაც საუცხოოა. თითქმის გამუდმებით მშვენიერი ამინდები დგას და მეტად გრილი ზაფხული იცის. იქაური მთის ჰაერი მარგებელი რამ არის. საუცხოო წყაროები სოფლის ყოველ კუთხეში, დიდრონი წაბლისა და ცაცხვის ხეებით დაყურსული ეზოები, ხავერდო-

ვანი მდელოთი დაფარული არემარე. მშვენიერი გადასახედავი სოფ. წირქვალისაკენ, თაბაგრებისაკენ, ხრეითისაკენ! ეს განსაკუთრებით აქაურ მებატონეთა სახლ-კარიდან. ეს სოფელი ერთ დროს სულ მთლად საბაშიო იყო, ჩემსობას კი აქაურ აბაშიძეთაგან მხოლოდ ერთი დათა აბაშიძე იყო დარჩენილი და შემდეგში მისი ვაჟი სანდრო, თორემ ისე დანარჩენი აქაური მამული სამემკვიდროდ ღოღობერიძეებს, ნიჟარაძეს, შემდეგში ამის მემკვიდრე ამილახვარს და დადიანს, მამიჩემის სახით, რგებოდათ.

ეს სოფელიც ბავშვობიდანვე მყავს შეყვარებული, რადგან აქ გამომჩენია ტოლ-ამხანაგებიც ჩემს ბავშვურ „ბურჭალობაში“: კავთელაძეებში, ხვედელიძეებში, სამხარაძეებში, გველესიანებში, ყიფშიძეებში და სხვა. მაგრამ ბავშვობაში მყავს გაცნობილი და გამეგობრებული აქაური მოზრდილებიც.

უწინარეს ყოვლისა, ჩემსობას ღრმად მოხუცებული, მაგრამ მეტად ჭარმაგი, ცოცხალი და მოძრავი, ბოყოჩა მენაფირე.

დიდად ხალისიანი კაცი იყო: ოხუნჯი, მომღერალი, შაირების მთქმელი და მეზღაპრე. ეტყობოდა ყველას უყვარდა და ჩვენ, ბავშვები, ხომ სულ არ ვცილდებოდით, როგორც კი ის ჩვენსა გამოჩნდებოდა.

ბევრ რასმე გვიამბობდა — ზღაპრებს, ანდაზებს, თავის თვალით ნანახ ამბებს. სამწუხაროდ, მათი უმეტესობა ხსოვნიდან გამომქარდა. მახსენდება მხოლოდ ერთი პაწია შემთხვევა პირადად მისი ცხოვრებიდან:

სადღაც შეკრებილებაში იყო თურმე. უეცრად ეზოში უპატრონოდ მიგდებული აღვირი ნახა. მიიხედ-მოიხედა, ახლო-მახლო არავინ იყო. აიღო და ჩოხის კალთა მიაფარა. გადადგა ნაბიჯი, მაგრამ გაახსენდა — დამალვა არ ეგებისო და ხმამაღლა წამოიყვირა: „ვ ი ი ს ი ა? ვ ი ი ს ი ა?..“ შემდეგ ხმადაბლა, თითქოს ჩურჩულით დაუმატა „აღვირი“. ასე ხმამაღალი „ვისიათი“ და ნაჩურჩულევი „აღვირით“ შემოიარა იქაურობა და ბოლოს ნანახი მიითვისა.

ერთხელ კიდევ ბატონს ვიღაცამ ხაჭაპურები მოართვა. ბატონი ნაწილს შეექცა და ნაწილი კიდევ ბოყოჩას მიაბარა ბეღელში შესანახად. გავიდა ერთი დღე, ბატონმა ხაჭაპურები არ მოიკითხა. ბოყოჩას ეგონა, რომ ბატონს ხაჭაპურე-

ბი დაავიწყდა, თვითონაც ყმაწვილი იყო, სულმა წაძლიან და ხაჭაპურები თანდათანობით გაანადგურა. მეორე დღეს ბატონმა მოთხოვა ხაჭაპურები ბოყოჩას, თან უბრძანა: — ცივი იქნება და გააფიცხეო! ბოყოჩა ამოეფარა ბელღის ყურეს და დიდ საფიქრებელს მიეცა; რომ შეაგვიანდა, დაიბარებს ბოყოჩა. შინაყმებმა მოსძებნეს და მიჰგვარეს ბატონს.

— რა უყავ, ბოყოჩა, ხაჭაპურები?

— ფიცხდება, ბატონო.

— კარგი, მალე მოიტანე.

კიდევ რომ შეაგვიანდა, მიხვდნენ როგორც იყო საქმე და მახსოვს ბოყოჩას დასათავარი:

„ხაჭაპურები ვერ გავაფიცხე, მაგრამ მე კი შემიფიცხეს გვერდებიო“.

ასეთ მოგონებათა შემდეგ დაგვსვამდა საქანელაზე, რომელსაც თვითონ ზემოიმერულად „საკორწიალოს“ ეძახდა და გვაქანებდა. ზოგჯერ ისე მაღლა აგვისროდა, რომ მაგალითად მე „სული შემეკვროდა“, მაგრამ თან გახარებულიც ვიყავი, რომ ასე ცაში ავიტყორცნებოდი ხოლმე.

სამაგიეროდ, როდესაც ბავშვებს ასე გაგვახარებდა, ახლა თვითონ ჩამოჯდებოდა და მარტოკა „კორწიალობდა“. მუხლებს ჰკუმშავდა, შემდეგ სწრაფად წინ გაისროდა ფეხებს და კარგა მაღლა ქანაობდა. თან გულით ისე ხარხარებდა, რომ ჩვენც გადაგვედებოდა მისი სიცილი და უმიზეზოდ ვკისკისებდით.

აქავე უნდა გავიხსენოთ ერთი მშვენიერი ადამიანი. წარმოსადეგი ახალგაზრდა, შავთვალწარბა, მხარბეჭიანი, ნიჭიერი და მახვილი სიტყვის პატრონი გოგიტა. სამწუხაროდ გვარი აღარ მახსოვს. ეს სვირელი გლეხი იყო და ბებიაჩემს, მარიამ აბაშიძის ქალს, ხაბაზად ჰყავდა. მუდამ მხიარული, ხალისიანი და საკუთარი შაირების გამომთქმელი. ყველას უყვარდა და მე ხომ თითქმის არ ვიშორებდი, რადგან დიდი გამომგონებელი და გამკეთებელიც იყო სხვადასხვაგვარის სათამაშოსი: ხან მეტად მოხდენილს ფანჩატურს ამიშენებდა, გვიმრის ფოთლებით გადახურულს, მხოლოდ ისეთ მომცროს, რომ შიგ თითქმის მარტო მე ვეტეოდი, ეს შალვას სასახლეაო და ზედ არავის არ აკარებდა, სანამ ზაფხულის თქეშმა არ ჩაგვინგრია საბურველი და გაანადგურა ჩემი ყურე.

შეიძლება „შალვას ყურეს“ სიყვარული აქედანაც ჩამენერგა[1].

ერთხელ კიდევ ხის ორთქლმავალი გამომიკოპიტა. ეს, ახლა რომ ვიხსენებ, მართლაც საუცხოო მოდელივით იყო გამოყალიბებული. საყვირიც კი მოაწყო. მაგრამ ჩემთვის ყველაზე გამხარებელი მისი ორ-ორ წყვილად მორგებული ბორბლები იყო, რომელთაც კბილანა ამოძრავებდა. სხვადასხვაგვარ ბურთებს, ბეწვეულის თუ წითელ-ყვითელ მეშისას ხომ ხშირად მიკეთებდა და აგრეთვე ნაირ-ნაირ ბზრიალებს. დაატრიალებდით მიწაზე, ან კიდევ უფრო კარგად ხის ძატაკზე. და დიდის სისწრაფით „დაკვიწიალდებოდა“. ან ზონარგაბმული თხილის კაკალი, ძაფების გაწევ-გამოწევით თან რომ ტრიალებდა და თან რომ „ღუდა“.

მამამ ამ გოგიტას ქართული წერა-კითხვა ასწავლა უკვე 22 — 23 წლის ვაჟკაცს და უნდოდა სადმე ზეინკლობა მაინც შეესწავლებინა თურმე, აქედან გაიკვლევს გზასაო, მაგრამ გოგიტას დედამ შვილი მალე დაუცოლშვილა და თითონ გოგიტასაც, საერთოდ, დიდხანს არ უცოცხლია.

მისი ნაშაირევიდან მხოლოდ ერთი სახუმარო ლექსი შერჩა ხსოვნას.

ზესტაფონში იმ დროს ცხოვრობდა მერაბ ლორთქიფანიძე, მამა ჩვენი ცნობილის მწერლის ნიკ. ლორთქიფანიძისა. მას, სხვათა შორის, ერთი ლამაზი უფროსი ქალიშვილიცა ჰყავდა, სახელად ივდითი. რომელსაც, ცხადია, იმ არემარის ახალგაზრდობა ეტრფიალებოდა. გოგიტას, რასაკვირველია, იმ დროს და იმ მდგომარეობის კაცს, როგორიც თვითონ იყო, მერაბის ოჯახთან ხელი არ მიუწვდებოდა, მაგრამ გული მაინც ასე მოხოხა თურმე:

„დედალ-მამალო ფუტკარო,
ლორთქიფანიძეს უთხარო:
ან მომეც შენი ივდითი,
ან ზესტაფონში ნუ ხარო!“

რგანში კიდევ მახსოვს გველესიანების მშვენიერი, იმერულ კილოზე გალობა ადგილობრივ ეკლესიაში და მათ მიერ

[1] ერთხელ „შალვას ყურე“ დავარქვი პაწია აგარაკს, თბილისის მახლობლად სოფ. ბაგებში.

შესრულებული „სძლისპირები“ ოჯახებში, ჰურად-ღების დროს.

ეს არ ჩამოუვარდებოდა შემდეგში ჩემ მიერ მოსმენილ განთქმულ დუმბაძეების, დიდო ჭალაგანიძის, წერეთლის, ხუნდაძისა და მეძმარიაშვილის მიერ შესრულებულ საეკლესიო და საერო საგალობლებს.

ასეთივე საამური და წარმტაცი იყო ჩემთვის სოფ. ლაშეში დავით აბაშიძის (ლაბუაშვილის) მეთაუროზით ნამღერი ქართული ჰანგები.

ყველა ამათ იმთავითვე შემაყვარეს მშობლიური სიმღერები და ბოლომდე მათი ტრფიალი დავრჩი.

ერთ დროს, როდესაც დავჭაბუკდი, საგალობელთა ესეთი არტისტული შესრულების დროს, სულ ის მესახებოდა, რომ ჩვენი სახელოვანი წინაპრები სტკბებოდნენ ამ ჰანგებით და იკმაყოფილებდნენ ესთეტიურ მოთხოვნილებას. ამ დროს განსაკუთრებით მახსენდებოდა დავით აღმაშენებელი, თამარ შეფე, რომელთა კულტიც იყო ჩვენს ოჯახში გამეფებული.

ეს იყო ჩემი რომანტიკა.

ამას, ცხადია, დიდად ხელს უწყობდა ის გარემოცვა, ის სულიერი განწყობილებანი, რომელთაც მამაჩემი ამყარებდა თავის ოჯახში. და, როგორც ეხლა ვფიქრობ, ეს უფრო იმისათვის — შვილებში გაეღვიძებინა, აღეზარდა დიდი სიყვარული საქართველოს წარსულისა და მის ზნე-ჩვეულებისადმი. ასე ვიყავ დიდხანს, სანამ საგანგაო უფრო ახლოს გაცნობამ, შედარებით შესწავლამაც არ გამძარცვა ზოგიერთი ილუზიისაგან და არ მომცა ხელში ერთადერთი შიშველი სიმართლე, მოუკაზმელი და შეულამაზებელი.

3

რგანში პირველად ვნახე სიმინდის წითელი ტარო და ისე შევიყვარე, რომ დიდხანს თავიდან არ ვიშორებდი. აქავე უფრო ახლოს გავეცანი ღორებსა და ინდოურებს. ინდოურის ჭუკებს თითქო ციოდათ მაღალ ფეხებზე შემდგართ და ძიგძიგებდნენ, თან თუ რამე საკენკს იშოვნიდნენ, ჩაუნისკარტებდნენ, გადაყლაპავდნენ და შემდეგ თითქო უკვირთო, ყრანტალებდნენ — ეს რა კარგ რასმე წავაწყდითო. მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო მართობდა, რასაკვირველია, მა-

მალი ინდოურების გაფხორვა, მანქანის ძრავისებური დაჭმინება და შემდეგ თითქო შეტევაზე გადასვლა. თავისიანებზე ეტყობა გავლენა ჰქონდა მათ მრისხანებას, მაგრამ მე კი, 3 თუ 4 წლის „ვაჟკაცი“, ვერ დამაშინეს. სამაგიეროდ, ერთმა ღორმა ძალზე დამიბრიყვა. ეს იყო ჩვენებური, მოგრძო ღორი და არა ჩამრგვალებული და ზანტი იორკშირულ „მაშკა“-სავით, ჭონისაგან საძრაობა რომ აღარა აქვს. ცოცხალი იყო, მოძრავი, ფიცხი, მტვრის ფერი და შავზოლებიანი, რკოს მიირთმევდა ხშირ მუხნარში. რომ მივუახლოვდი და ახლო დაკვირვება დავუწყე, თითქო იუკადრისაო არა მკითხეს მიახლოება, ერთი შემომიტია, ერთი დამიფრინა ისე, რომ ჩვენს ოდამდე სულ „ქუდმოგლეჯილი“ გავრბოდი. შემდეგში უფრო პატივისცემით ვეპყრობოდი ჩემს გამწბილებელს, კარგა დავიხსომე მისი „ვინაობა“, მაგრამ საერთოდ კი ღორების კრებულს, მათ ღრუტუნს, მათ ტალახში ჩუჩქნას, საღაფავით მათ დაპურებას, სულწასულობით ერთიმეორეს რომ კბენენ ზოგჯერ და აჭყვირებენ, შორიახლო სიამოვნებით შევცქეროდი. მხოლოდ კიდევ უფრო მახარებდა ჯირკვივით მიგდებული დედა-ღორის დანახვა, გოჭები რომ მკერდს მისევიან და თავისებურ ბედნიერებას რომ განიცდიან დედაც და შვილებიც. მართალია, მაშინ მათი „ბედნიერების“ მე არა მესმოდა-რა, მხოლოდ ვგრძნობდი ინსტიქტიურად, რომ აქ რაღაც კარგი ამბავი ხდებოდა და იყო სიმშვიდე და... „სათნოება ქვეყანასა ზედა“.

ამგვარად შევეჩვიე შინაური პირუტყვებისა და ფრინველების სიყვარულს, რაიც ბოლოს დაგვირგვინდა კეთილშობილი ცხენის დიდი ტრფიალით.

ზოგიერთი ცხენი ჩემთვის მაინც ისევე სიყვარულით არის გასახსენებელი, როგორც რომელიმე ჩემი კარგი მეგობართაგანი ადამიანებში. ზოგი ცოტა ხნით, ზოგი უფრო ხანგრძლივ შემხვედრია და გაუტაცნივარ, ისე როგორც რომელიმე მოხდენილ, მიმზიდველ ქალს ცხოვრებაში და ამიტომ მათ ისე ვერ შეველევი, რომ გზადაგზა საუცხოო არსებანი არ გავიხსენო.

ჯერ კიდევ ვიგემე პირველად ვენახში ჩასვლა და იქ მოწეული ყურძნის ხლება. ეს იყო ბიჭია ლეჟავასას. ამ მთაკაცმა, — ძალიან წარმოსადეგი ვინმე იყო, — თვითონ ჩამიყ-

ვანა თავის ვენახში და ჩემი ხელით მომაწყვეტინა გაჭარვის-ფერებული საუცხოო მტევანი ბუდეშურისა.

იქვე გავეცან საოცარ სოკოს — ნიყვს, მინდვრად, ტყის ახლოს. გაფცქვნილ კვერცხივით თეთრად რომ წამოგორებულა და შემდეგ, როცა დრო მოვა, ეს კვერცხის ცილა რომ თავში გასკდება და პაწია წითელი ქოლგა თავს ზევით ამოყოფს. ცხელ კეცზე მარილწაყრილს მოსწვავდნენ და გემრიელი რამ იყო, მაგრამ იმას მაინც არაფერი შეედრებოდა, როდესაც ბებიაჩემის, მარიამ აბაშიძის ქალის გადია, მამისეული, როგორღაც შეჰკაზმავდა პაწია ნაჭრებად ქოთანში ჩაჭრილ ნიყვის სოკოებს და უცნაურ რამ შეჭამანდს შემოგვიძღვნიდა. მამისოულისაგანვე მახსოვს ქოთნითვე მოდუღებული რძე. უ, რა გემრიელი იყო! მას შემდეგ რამდენჯერ დამილევია სპილენძის კარდალში მოდუღებული რძე, მინახავს ამ კარდალში როგორ ქაფქაფებს ეს შემრგო სითხე, მაგრამ მამისოულის ქოთნით მოდუღებული მაინც სულ სხვა იყო. უთუოდ ძალიან ძლიერია ბავშვობის პირველი შთაბეჭდილება და ისიც გემოვნების სფეროში.

თვითონ მამისოული? რატომ არ მახსოვს უფრო გარკვევით? ან რატომ არ ვიცი ამ საუცხოო პიროვნების მეტი ასავალ-დასავალი? მახსოვს ერთი ტანმორჩილი, თმათეთრი, პირმწყაზარი მოხუცი, აგურისფერი კაბა ეცვა მუდამ, ჩემ მახსოვრობისას, ამისთანავე თავსაფარი და იყო მეტისმეტად ალერსიანი და ჩვენი გამნებივრებელი.

მადლობით მიიღოს ჩემი სიყვარულით გახსენება მისმა უთუოდ კეთილმა გულმა, ვაი, რომ ნირვანაში ჩაღუპულმა, მაგრამ ჩემთვის მაინც მცოცხლებმა და საამურად მოსახსენებმა.

რგანში სააგარაკოდ სხვა მებატონეებიც მოდიოდნენ და მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, მახსოვს დათა აბაშიძე, მეტად თამამი კაცი, ერთ დროს რუსეთის ხელმწიფის კარზე „კანვოით“ ნამყოფი და სამხედრო პირი.

მიუხედავად თავისი თავადიშვილური დარდიმანდობისა, ხელგაშლილობისა და სხვა ასეთი ჯენტლმენური ღირსებისა, ბევრი სხვა კვლავ თავადიშვილური ნაკლულოვანებაც ახლდა: იყო ამპარტავანი გლეხებთან და თუ გაუვიდოდა, დაუნდობელიც. სურდა გლეხს მუდამ ეგრძნო, რომ ის ბატონი იყო,

„არ იმისი დასადარი“ და ერთხელ... ჩემ პატარაობისას ჩვენს ეზოში ესეთი სცენის მოწმე გავხდი:

დათა აბაშიძეს ყურში ხელი ჩაუვლია ერთი კარგა მოყვანილი ვაჟკაცისთვის და ჩვენი ოდიხაკენ მიჰყავს. თან „ვირო, ვიროვო!“ ეძახის.

ვაჟკაცი მორჩილად მოჰყვება.

არ ვიცი, რა იყო მიზეზი თავადის ასეთი შემოწყრომისა, მხოლოდ ეს კი მახსოვს, აივანთან მიიყვანა მისი „მსხვერპლი“, იქ ხელი უშვა, კიბესთან დატოვა, თვითონ ზევით ავიდა და იქიდან გადმოსძახა: შენი ბედი, რომ დადიანის ჯმა ხარ, თორემ ჩემი რომ იყო, შენ სეირს გაჩვენებდიო.

ეს „ყმა“ როსტომ კავთელაძე იყო. თავმრმწონე გლეხი, შეძლებული და სოფლის თვალსაჩინო პიროვნება. ოდესღაც ჩვენი ოჯახის ხელოსანი, ეხლა მამიჩემის მიერ სრულიად განთავისუფლებული და, მაშასადამე, არამც თუ სხვისგან, არამედ საკუთარ მებატონისაგანაც დამოუკიდებელი, მაგრამ უთუოდ ისე ღრმად იყო მის პიროვნებაში ძველი ბატონყმური დამოკიდებულება გამჯდარი, რომ კნიაზ კაცს, ჩინოსანს და ისიც აბაშიძეს, შეურაცხყოფაზე სამაგიერო არაფერი ჰკადრა და პაწია ბავშვივით გაჰყვა, ყურში ხელჩავლებული;

აბაშიძე!

მე შემდეგში შევიგენ, რომ ს. რგანში, განსაკუთრებით მოხუცებულები, სწორედ აბაშიძეებს თვლიდნენ, თუ ვინ შეიძლება ითქვას, თავის მემკვიდრეობით ბატონებად. სხვები კი, განსაკუთრებით ლიბერალი ღოღობერიძეები, და მაშინჩემიც, რომელთაც „გლეხობაც ადამიანებად მიაჩნდათ“, ვერ იწვევდა მათში მებატონეების შთაბეჭდილებას. თუმცა ეს მათ ხელს არ უშლიდა, რომ მათი რიდი და პატივისცემა ჰქონოდათ. მაგრამ ამ გრძნობებს სულ სხვა სათავეები ჰქონდა. აბაშიძე კი მათი ღვთის მიერ მინიჭებული ბატონი იყო, უწინაესი პიროვნება და მათი შიში და კრძალვა ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი.

უთუოდ ამით აიხსნება მაშინდელი კავთელაძის მორჩილება-მეთქი, მინდა ვთქვა.

როსტომ კავთელაძეს კი თავისი ტრაგიკული თავგადასავალი აქვს.

თავაღერებული კაცი იყო, ფეხმოდგმული და თავისიანებში დაურიდალი.

ჰყავდა ერთი მეზობელი, ჯღერიას ოჯახი, რომლის დაცოლშვილებული უფროსი ვაჟი წლობით იყო შორეულ რუსეთში საშოვარზე გადავარდნილი. შინ კი უმცროსი, მცირეწლოვანი ძმა და ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა დატოვებული. აი ამ ქალს დაუახლოვდა ჭარმაგი როსტომი და ვინ იყო მათი ხელისშემშლელი, მაგრამ ბოლო ხანებში ქალმა და როსტომმა შეამჩნიეს, რომ ახალგაზრდა ვაჟმა მათ საქციელს ყურადღება მიაქცია. იფიქრეს — გაგვცემსო და ერთ მათთვის საშინელ ღამეს ნაჯახით დაჰკლეს მცირეწლოვანი ვაჟი. რასაკვირველია, ეს საქმე არ დაიმალა, გადაეცა სასამართლოს და ორთავეს ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტეს.

მახსოვს, ჭუთაისში, ჩვენს ბინაზე, პირჩამობნელებული როსტომი რომ დადიოდა და, როგორც შემდეგ გავიგე, ბებიაჩემს სთხოვდა ესაშვალნა მისთვის მამას მეოხებით. ბებიასაც ებრალებოდა თურმე წვრილი ცოლ-შვილის პატრონი, მისი ნაერთგულევი როსტომი, მაგრამ, ცხადია, ღვთისმოსავმა და ქრისტიანული მიტევების გრძნობით აღსავსე ბებიამაც ვერ უშველა აშკარა დამნაშავეს.

მთელი ეს ეპიზოდი იმიტომ გავიხსენე, რომ ეს ტრაგედია ადამიანისა პირველი იყო ჩემს ცხოვრებაში, ე. ი. მისი გაცნობა, და მთელს მის სიგრძე-სიგანეს მაშინ კარგად ვერ ვგრძნობდი, მაგრამ გულში გაურკვეველ სევდის მომგვრელ შთაბეჭდილებად მაინც ჩამრჩა.

4

სხვა კიდევ ვინ მახსოვს სოფ. რგანში ჩვენი ბავშვობის დროისა? — სახიერი, გვარად ხვედელიძე (სახიერი — ეს სახელია). ხვედელიძეები რგანში ბლომად ესახლენ სხვადასხვა უბანში და ერთი მეორის გამოსარჩევად, გვარის გარდა, სხვა შერქმეული სახელებიც ჰქონდათ. მაგ. ხვედელიძე — ნადირაშვილი, ხვედელიძე — ბაბილუა და სხვ.

საერთოდ აქაურ გლეხებს ესეთი შერქმეული სახელები ან მთელ მოდგმას ან ცალკე პიროვნებას თითქმის ყველას ჰქონდა. მაგ., ჯღერია, ბაჭია, კოტორა და სხვა.

ესეთივე შერქმეული სახელები გამიგონია დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და სამეგრელოშიც, მაგრამ აქ თავადაზნაურებშიც იყო გავრცელებული ეს ზედმეტი სახელები, თუმცა ზემოიმერეთში, მაგ., იმავ აბაშიძეებსაც ჰქონდათ ესეთები: ამილაბრიშვილი, ღაბუაშვილი და სხვ.

სახიერი ბაბილუების ბუდის იყო და დიდი ოჯახიცა ჰქონდა, პატრიარქალური გლეხის გაუყოფელი ოჯახი. მთელი მოდგმა ამ ხვედელიძეებისა ერთ ჩაფერდებულ კუთხეში ცხოვრობდა ჭიათურის გადასახედსა და სოფ. ნავარძეთს შორის. მთავარ ეზოში, რომელიც ამ მთელი ოჯახის უფროსსა და პაპას, სახიერს ეკუთვნოდა, იდგა ერთი კარგა მოზრდილი ფიცრული, შემდგარი რიყის ქვისაგან აგებულ კედლებზე. მხოლოდ ერთი მხრით ფიცრული შენობა პირდაპირ ეზოში გადიოდა, მეორე მხარეს კი ორსართულიანი ნაგებობის იერი ჰქონდა, რადგანაც ქვის კედლები ამოყვანილი იყო ეზოს ჩაფერდებულ ნაწილში. ამ ქვემო სართულში უფრო ზამთრობით ცხოვრობდნენ, ზაფხულობით კი იყო ოჯახის საწყობი თუ საკუჭნაო, საერთოდ საჭირო საოჯახო ნივთთა შესანახი. პური ბეღელში ჰქონდათ, ამ ფიცრულის ცოტა მოშორებით მდგარ პაწია, კოშკისებურ შენობაში. სიმინდი — სასიმინდეში, რომელსაც საჩხერულს უწოდებდნენ. ეს იყო, როგორც ჩვენში, ისე ყველგან მაღალ ოთხ ბოძზე შემდგარი დიდი ყუთივით ნაგებობა, ყავრით გადახურული. კედლები, კალათივით ვიწრო წნელით ჰქონდა ლამაზად მოწნული და ჰაერის დენა შიგ დიდი იყო, რომ სიმინდის ტაროები არ „ჩახურებულიყო“. მე მგონია თანამედროვე ქართველმა მკითხველმაც იცის, რომ ესეთ სასიმინდეებში სიმინდს ტაროებით ინახავდნენ და არა დაფშვნილ, კაკალ სიმინდს. ისეთი გადარჩეული სიმინდისა და ფქვილისათვის ბეღელი იყო განკუთვნილი, ანუ ხულა, სადაც საერთოდ სურსათ-სანოვაგე ინახებოდა. ამავე ეზოში იყო ბოსელიც, საღორეც და სხვა ასეთი საოჯახო შენობები.

წყალი ახლობელ საუცხოო წყაროებიდან მოჰქონდათ. რაგანში ხომ ყოველ კუთხეს თავისი საკუთარი და მშვენიერი წყარო აქვს. არ არის არც ერთი ისეთი მოსახლეობა, უბანი მცხოვრებთა, რომელთაც თავიანთ საცხოვრებლის შუაგულ წყარო არ ჩამოუდიოდეს და ასე იყო ბაბილუებშიაც.

თორნე კი უთუოდ გადაბურულ რომელსამე ესრეთ-წოდებულ „სამზად“ შენობაში აქვთ მოთავსებული. აქვეა ვარცლი ფქვილის მოსაზელი და ხშირად აქვე კერის შუა ცეცხლი, სადაც ჯაჭვზე ჩამოკიდებული კარდალი ჰკიდია სხვადასხვა რამის მოსახარშად, თიხის ქოთნები, ჩამწკრივებული ცეცხლის პირად, კვლავ სხვადასხვა საჭმლის დასამზადებლად, და პატარა-პატარა კეცები, ეს უკვე ხაჭაპურებისა და ადგილობრივი, განსხვავებული გომიჯების გამოსაცხობად.

გომიჯს ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეშიაც ეძახიან ერთგვარ პურის ნამცხვარს, მაგრამ რგანულ გომიჯისთანას კი არსად შევხვედრივარ.

ჯერ ერთი, რომ ეს გომიჯი უსაფუაროდ ცხვება მრგვალ, მომცრო კეცზე, გამომცხვარს თითქო ურმის თვლის სახე აქვს და, როგორც ახლად გამომცხვარი, ისე შემდეგშიაც, მაგტად გემრიელია და, როგორც რგანში იტყვიან „პოხიერი“. მთავარი კი ის არის, რომ კარგა მშრალ ალაგას შენახული ეს გომიჯი თითქმის მთელი კვირა ინახება და საჭმელად გამოსადეგია. ხანდაზმული მკვიდრნი ამბობენ: — მათ დროს ესეთი გომიჯები ძალიან გამოსადეგი იყო, ომის ან ხანგრძლივი მოგზაურობის დროს.

მაგრამ მე ძალიან ავცდი სახიერსა და მის პიროვნებას.

ჩემსობას, ეს უკვე როდესაც მე დავაჟკაცებული ვიყავი, სახიერი ამბობდა, ას წელიწადს გადაცილებული ვარო. ანგარიშობდა 110 თუ 112 წელიწადს. მე ბავშვობიდან მახსოვს მისი მართლა სახიერი, მწყაზარი სახე, ნამდვილი ქართული იერისა; წვერგაპარსული მუდამ სუფთად, თვით ღრმა მოხუცებულობის დროს, ლოყებსავსე, წითური კაცი, ხუჭუჭა თეთრი თმებით და მოგრძო, ხშირი ულვაშებით. არ აკლდა არც თვალს და არც კბილს. მუხლმაგარი კაცი იყო, მაჯავი ქვეითი, სიარული არ ეზარებოდა; და საერთოდ თავის დროზე თურმე მეტად გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანიც იყო. ყველაფერი „ხელიდან გამოუდიოდა“, მოუწყინარი ყანის მუშა, ვენახის იშვიათი მომვლელი, საჭიროების დროს დურგალიც კი, აჩაჩა ურემს ხომ სიამოვნებით „გამოჩლოგნიდა“ ხოლმე და, თუ გაჭირდებოდა, რკინის მჭედელადაც გამოდგებოდა.

საზრიანი კაცი იყო, დაკვირვებული, დინჯი მოსაუბრე,

ტკბილ-მოქართულე, მოუფიქრებლად სიტყვას არ იტყოდა, მაგრამ ეს გულჩახურულობის გამო კი არ მოსდიოდა, პირიქით, მეტად თანაზიარი კაცი იყო, ხალისიანი, ერიდებოდა მსუბუქ ლაყბობას და არც სხვისი მოსწონდა ხოლმე. მოწმე ვარ მისი, რომ თუ ვინმე ესეთ, მისი აზრით, უშინაარსო ლაპარაკს მოჰყვებოდა, თუ შინაური იყო, ლმობიერად შესტუქსავდა და გააჩერებდა, თუ გარეული ან მოსარიდალი, მაშინ დიდის მოხერხებით საუბარს სხვა საგანზე გადაიტანდა.

მის ოჯახში პურ-მარილი უხვი იყო და საქმელ-სასმელი „თავსაყარი“, განსაკუთრებით სტუმრებთან; მაგრამ მეტის-მეტი ღვინის დალევა მას არ უყვარდა. რა თქმა უნდა, ეს პურძვირობით არ მოსდიოდა.

ხომ არ იყო ეს იმის მაჩვენებელი, რომ ჩვენს წინაპრებს, უმეტეს დროში, ლოთობა არ ჰყვარებიათ. არც მაღალ ფენებში, წარმოიდგინეთ, და ეს ძველი ჩვეულება კარგა ხანს იყო ჩვენს გლეხობაში შემორჩენილი, განსაკუთრებით ისეთ ადამიანებში, როგორიც სახიერი იყო.

თავიანი კაცი რომ იყო სახიერი, ეს იქიდან სჩანს, რომ დიდ, გაუყრელ ოჯახს სიკვდილამდე თვითონ განაგებდა.

ჰყავდა შვილები, შვილიშვილები, ამათი შვილები, რძლები, სიძეები, მგონი ორმოცდაათ სულამდე იქნებოდნენ ყველანი და ამ პაწია ლაშქარს ყოველ ცისმარე დღეს სახიერი ანაწილებდა სხვადასხვა სამუშაოზე: ყანაში, ვენახში, სამწყემსურად, წისქვილში, ტყეში, ბაზარზე, ქალებსაც უჩენდა თავთავიანთ საქნარს: ხორბლის დარეცხვას, გაშრობას, საქსოვი მასალის მიჩენას, სადილ-სამხრის თუ საუზმის დამზადებას და სხვა საოჯახო საქნარს.

ყოველ დილით, ალთონზე, პირდაბანილი, დასუფთავებული, დიდი ყავარჯნით ხელში, თუ ზაფხული იყო, ჩამოჯდებოდა სახლის წინ მდგარ რომელიმე ჩრდილოვან ხის ქვეშ, ეცვა ლურჯი ლაინის გულისპირი და ზედ შინ მოქსოვილი შალის ჩოხა, უფრო რუხი ფერისა, თავზე რაჭული იერის, ფრთებჩამოშვებული შალისავე ქუდი, ფეხებზე კვლავ შალის პაჭიჭები, შინაურივე მოქსოვილი მატყლის წინდები და ტყავის, კიდეებში მოგრეხილი, თასმიანი ქალამანი, წელზე ერტყა ტყავის სადა ღვედი და ცალ გვერდზე, შუათანა ზომის ქარქაშიანი დანა. არავითარი სხვა იარაღი ხელი არ ჰქონდა.

არც ხანჯალი, არც დამბაჩა. ლეკურს ხომ საერთოდ გლეხები არ ატარებდნენ. ეს თითქო თავადაზნაურობის პრივილეგია იყო. ჩოხასაც საჭრელები ჰქონდა მოკერებული, მაგრამ შიგ მასრები თითო-ოროლას გარდა არც ჰქონდა გაკეთებული. ამ თითო მასრაში, ქილაში კი უფრო ხშირად იყო სადგისი და ზოგჯერ თოფის წამალიც მოთავსებული.

სახიერი კი იჯდა და ოჯახის მუშა წევრებს განკარგულებას აძლევდა — ვინ სად წასულიყო და რა საქმე გაეკეთებინა.

როგორც ვთქვით, ასე იყო სულ სიკვდილამდე და მისი ავტორიტეტი ოჯახში, როგორც შემდეგში მისი ნაშიერები გადმომცემდნენ, ერთხელაც არ შერყეულა. ისეთი იყო მაშინ ადათი, ჩვეულება.

მისიანები შემდეგშიაც მაინც სათნოდ იგრნებდნენ გარდაცვლილ პაპას.

სიკვდილითაც მეტად უცნაურად მოკვდაო, მეუბნებოდნენ.

— კარგად იყო, ჭარმაგად, ჩვეულებისამებრ იმ დილითაც ყველანი დაგვარიგა და გაგვარიგა საქმეებზე, ისაუზმა და შემდეგ ცოტა „მიირულა“. ეს იყო და ეს, შემდეგ აღარ გამოუღვიძნია. თავის სადარაჯოზე დალია სული. არც ერთი კვნესა, არც ერთი ოხვრა არ აღმოხდენია, არავითარი „სულთა ბრძოლა“, მომაკვდავებს რომ სჩვევიათ ხოლმე. ნატრობდა კი ბოლო ხანებში, დრო არის მიმიღოს უფალმაო, და თითქო სრულიად არ ეშინოდა სიკვდილისა, თითქო მის შესაგებებლად მზად იყო.

კარგი სიკვდილია, როცა შეურიგდები შეურიგებელს და დაძლევ შენს თავში ცხოველურ შიშს გაჭრობისას. ამას დიდი სულის ძალ-ღონე უნდა და ზოგიერთებს უთუოდ შესდგამთ ესეთი.

მე მჯერა ესა!

თუმცა მეცნიერებაც ხომ ამას ამბობს, რომ ადამიანი ამჟამად არ კვდება ნორმალური, ბუნებრივი სიკვდილით. მისი ბუნება, თუნდა ძლიერ დაავადებულიც იყოს, ჯერ კიდევ არ არის გაცვეთილი, ანუ უკეთ, სრულყოფილი და საზღვარს მისული, სადაც უნდა ბუნებრივი დასასრული მოვიდეს. მეცნიერება უნდა ეცადოს, ამ ბუნებრივ დასასრულამდე ისე მიიყვანოს ადამიანი, რომ მისთვის აღარ იყოს სიკვდილი მტკივ-

ნეული. მეცნიერებაც უბუოდ ცხოვრების დაკვირვებებიდან გამოდის და, ჩემის ფიქრით, სახიერიც ერთ-ერთი საობიექტო მოვლენაა მეცნიერებისათვის.

5

სახიერის გარდა რგანში ჩემთვის გასახსენებელია მეორე პიროვნება. ეს არის სისო შეყრილაძე. ეს სულ სხვა ტიპის, დაღურდანა, ეშმაკი, მაგრამ მაგარი გონების პატრონი. ის კაცი ბავშვობიდანვე მყავს გაცნობილი სწორედ რგანში, მაგრამ მას შემდეგ ჩემს ცხოვრებაში დიდხანს ვიყავ მასთან მეგობრად, რგანის გარდა, საჭიროების დროს, ხშირად მეწვეოდა ხოლმე ქუთაისს, სამეგრელოში და ამის გამო ის ეცნობოდა სხვა ჩემს მეგობარსაც. ერთმა მათგანმა კი სისოს გაცნობის შემდეგ მითხრა — მაგას რომ სწავლა-განათლება ჰქონდეს, ბისმარკივით კაცი იქნებოდაო. ბისმარკობისა არ ვიცი, მაგრამ სისო მართლა შეიძლება ერთი მაგარი ქართველი ინტელიგენტი გამოსულიყო თავისი გონებაგამჭრიახობის გამო და ფილოსოფიური აზროვნების მიდრეკილებით. საოცარი ლაპარაკი იცოდა: მკვეთრი, შეუპოვარი, დამცინავი და ზედმიწევნილი. აღებული საგანი თითქოს თავის ფართო, ნიჩაბივით გაშლილ ხელისგულზე ჰქონდა ათამაშებული, ხოლო როდესაც უნდოდა რაიმე თავის სასარგებლოდ „მოეკვარახჭინებინა“, მაშინ ისე დაბურდავდა ნათელ საქმეს, რომ თუ კარგა არ ჩაუკვირდებოდით საგანს, ვერც თავს გაუგებდით და ვერც ბოლოს.

თუ ვინმეს ხელის გადაფარება უნდოდა თავის სოფელში, ისე მოგაჩვენებდათ, რომ მასზე უსაწყლესი კაცი არავინ იყო, და თუ ვინმეს მტრობა ჰქონდა გულში ჩადებული, იმაზე უბოროტესი ამ ქვეყნად აბა ვინ იქნებოდა.

ძველი დროის სამინისტრო კაცი იყო!

მე იმას ერთი პატარა ჰერცოგი ვეგონე და ამიტომაც მინისტრულად მექცეოდა.

მან იცოდა, რომ მე კნიაზი ვიყავ, მემამულე, რგანში შავი ქვა დამრჩა სამემკვიდროდ; ეთოეხვევში — გიშერი, სავანესა და ცხაში — კვლავ სამემკვიდრო, სამეგრელოშიც ცოტა რამ და აბა როგორ არ უნდა ემლიქვნელა ჩემს წინაშე,

როგორ არ უნდა ეხმარა ყოველგვარი ხერხი სასახლის კარის კაცის დიპლომატისა. მხოლოდ ხშირად „პირში ჩალაგამოვლებული“ რჩებოდა, როდესაც შემატყობდა, რომ სხვაგან ჰქროდა ჩემი გონება „ჩემმან თავისა წონამან“ (თეატრი, მწერლობა). ყოველდღიური პრაქტიკული ცხოვრება არ მიტაცებდა. ცუდი მესაკუთრე ვიყავ. ამის შეგნება ცივ წყალს გადაასხამდა მის აფორიაქებულ ოცნებას და... ცხადია, მთვლიდა უღირს მემკვიდრედ ფეოდალ აბაშიძეებისა. და უთუოდ გულდათუთქული იყო, მაგრამ რას იზამდა, უნდა შერიგებოდა ესეთ სუსტსა და თავის ინტერესების შეუგნებელ მებატონეს.

ხშირად გულში მეცინებოდა: სისო არის ჩემი ვიტტე, ეს მოჭახრაკებული მინისტრი ნიკოლოზ მეორისა, მე კიდევ მაგის ხელში ნიკოლოზი ვარ, რომელსაც ეშინიან თავის მინისტრისა.

ვინ იცის, შეიძლება, მინიატურულად ვგავდით კიდეც ამ ხალხს ჩვენს როლში, მე და სისო.

ეს კია — მე არ მეშინოდა სისოსი, მიყვარდა კიდეც. მხოლოდ ძალიან მაინტერესებდა მისი მძლავრი პიროვნება, რომელიც ცხოვრების სიდუხჭირემ მიაბა სოფლის წვრილმანებსა და მურეხ საქმეებში.

მე ის მახსოვს ბავშვობისას ფეხშიშველი, შეტად ღარიბი ოჯახის შვილი, შემდეგ, როდესაც ერთგვარ ხელოსანივით იყო ჩვენს ოჯახში, ქალამანიც ჩაიცვა და ბოლოს, როდესაც ჩემი ჩიჩერონე გახდა ზემოიმერეთის სოფლებში, ეცვა უკვე ბაზარში ნაყიდი ექვსაბაზიანი ჩუსტები.

ბოლო ხანებში კარგადაც დაესახლა და, რაც მთავარია, შვილებს ასწავლა და ფეხზე დააყენა.

ისე კი თვითონ არსად არ უმუშავნია. არც შავქვაში მუშად, არც გადამზიდველად, როდესაც მისი მეზობლები, მიუხედავად მრეწველთა ექსპლოატაციისა, მაინც იძენდნენ ფულებს და ოჯახს რგებდნენ, არც თუ მაინცდამაინც ყანის მუშაობაში იწუხებდა თავს. ის უფრო გამრიგე იყო, შუამავალი გლეხობაში, მედიატორე სადავო საქმეებისა და მებატონეებთანაც საჭირო კაცი — მიწის გაყიდვაში, შავი ქვის იჯარით გაცემაში და სხვ. ამეებში კი იღებდა გასამრჯელოს და სხვის პურმარილზე ხომ გადაყოლილი იყო.

მართალი უნდა ითქვას. თვითონაც, თავის ოჯახში, ხელ-

გაშლილი კაცი იყო, მაგრამ როგორც ღარიბსა და ხელმოკლეს, ერჩია სხვისას სტუმრობა.

ჩემი ჩასვლა მისთვის ერთგვარი დღესასწაული იყო, რადგან ზოგი ჩვენი ოჯახისადმი პატივისცემის გამო და ზოგიც ჩემთან რაიმე საქმის გასაკეთებლად — შავი ქვის ნაკვეთის იჯარით ასაღებად ან სულ შესასყიდად, ხშირად მპატიჟობდნენ და ჩემთან განუყრელ სისოს ხომ სწორედ ეს უნდოდა. ის კი არა, სისო ზოგჯერ თვითონ შეთხზავდა ისეთ გარემოებას, რომ ვისმეს უთუოდ უნდა მივეწვიე და ამის პირველი ავან-ჩავანი სწორედ სისო იყო.

ძალიან უყვარდა ღვინის სმა და მართლაც კარგადა სვამდა. ტყუილი არ იქნება რომ ვთქვა, რომ ერთ კოკა ღვინოს ერთ იჯრაზე თავისუფლად დალევდა და... არაფერი. ამის შემდეგ შეეძლო თავის დინჯი ნაბიჯით რგანიდან საჩხერემდე (კარგა დიდი მანძილია, მგონი 12—15 კილომეტრი იქნება) ფეხშიშველად ევლო და იქაც საქმე გაეკეთებინა.

ეხლა როგორი პატივსცემა იცოდნენ სოფლად. მასპინძელი ხომ გვმასპინძლობდა შეძლებისამებრ და ყოველივე უხვად იყო, მაგრამ ეხლა ახლო მეზობლები მოიტანდნენ თავიანთ ჩილს, თითოეული მათგანი ცხრა გომიჯს, ცხრა ხაჭაპურს, ერთ მოხარშულ დედალს და ერთ ხელდოქ ღვინოს. ამ ხელდოქში ერთი სამი ლიტრა მაინც ჩადის უთუოდ. ეხლა წარმოიდგინეთ, რა ხორაგი დაგროვდებოდა სუფრაზე და რამდენი ღვინო.

ერთხელ მე ეს ყოველი ზედმეტად მივიჩნიე და ცალკე ვუთხარი სისოს, რომ ამას ნუ სჩადიან. თუ ჩემგან რამის გაკეთება უნდათ, მე შემიძლიან ისედაც გავუკეთო-მეთქი, თორემ ხალხს ხარჯი მოსდის და რატომ უნდა შევაწუხოთო-თქო.

სისოს სახე მოეღრუბლა, არ მოეწონა ჩემი „შეხედულება“ და მორიდებით, მაგრამ მაინც შემომიტია:

— ბატონო რას ბრძანებ, როგორ გეკადრება! შენი რისხვა არა მაქვს, თუ ასე არ მოიქეცი, სულ აგიგდებენ, არაფრად არ ჩაგაგდებენ, იმ მამულსაც ხელში ჩაიგდებენ, შენდანებადაურთველად დაიმუშავებენ და, შენი ამბავი რომ ვიცი, ახლა სუდებში არ წახვალ საჩივლელადო.

ამგვარად სისომ ჩემს სიჭაბუკეში პირველად გამაცნო, თუ

რა დიდი მნიშვნელობა აქვს პურ-მარილს ადამიანთა ცხოვრებაში და ისიც განსაკუთრებით იმერეთში.

მე შემდეგში კარგად გავიგე, რომ პურ-მარილზე იყო ბევრი რამ დამოკიდებული.

სისოზე კიდევ ბევრი რამ ითქმის, მაგრამ ჩემი ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდში უთუოდ კიდევ შევხვდებით ამ შესანიშნავ პიროვნებას და ამიტომ კვლავ ვუბრუნდები ჩემი ბავშვობის ამბებს.

6

რგანიდან მაწსრვს, ერთ ზაფხულს სოფ. სავანეს გავემგზავრეთ. ცხენებით, რასაკვირველია. ჭიათურისაკენ ფერდობს რომ გადავადექით, მახსოვს, რალაც უსიამოვნო ქარი ჰქროდა.

საკვირველია! რატომ არის, რომ ზოგჯერ სრულიად უბრალო რამ ასე ძლიერ დაგამახსოვრდება, რომ შემდეგ მთელს შენს სიცოცხლეში გახსოვს. ისევ ეს სიქსიქა ქარიც, თითქო ეხლაც უსიამოვნოდ მივლის მთელ ტანში. ქარი შემოდგომის იყო, რადგანაც სავანეში რო მივედით, იქ უკვე რთველი იყო გაჩაღებული, აქ კი, რგანიდან, რომ გადმოვედით, საღამო ხანი იყო და არა სასიამოვნოდ უბერავდა, მაგრამ სავანეში დაგვიამდა და როდესაც მასპინძლის სახლში შევედით, იქ ხომ სულ გამომიკეთდა გუნება. მრავალრიცხოვანი ოჯახი, კარგი შესახედაობის ადამიანები, მხიარული და თავაზიანები, ქალები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ქალაქურად დართულები, შაშინდელის ტიურნურებით და წელში გამოჭირებული კორსეტებით. ცეკვა, სიმღერა, გართობა, ეს ყოველივე უცბად დატრიალდა ჩვენს გარშემო და უთუოდ დაღლილიც ვიქნებოდი 5—6 წლის ბალღი კარგა მანძილის გავლით და მგზავრობით, მაგრამ საერთო ხალისიანმა გარემოებამ მეც მიმიპყრო.

ეს იყო ხახული აბაშიძის ოჯახი, შეძლებულის და დარბაისელი აზნაურისა. გ. წერეთელს ამისთანა ტიპებიც ჰყავს „კუდაბზიკებთან“ ერთად თავის რომანებში, როდესაც ზემოიმერელ აზნაურებს ეხება.

ხახული ბიძად ერგებოდა ჩვენს განთქმულ არტისტს ვასო აბაშიძეს და მე სწორედ ამ სოფელში მაქვს ნახული ვასოს

მაჩის, ალექსი აბაშიძის ორსართულიანი და გრძელაივნიანი სახლი, რომელიც ხახულის ეზოს ზედ ეკრა.

იქვე ვნახე პირველად ყურძნის დაწურვა: ფართო და გრძელ საწნახელში იდგნენ ფეხშიშველა სოფლის ახალგაზრდები და ქარვისებურ მტევნებს ჭყლეტდნენ ფეხით. საწნახელს გამოსადინარში გრძელი ხის ღარი ჰქონდა მიდგმული და იქიდან შორიახლო ჩამარხულ მარნის ქვევრებში მიმდინარეობდა ტკბილი ნაქარი.

ამის ცქერამ ერთხანს დიდად გამართო.

აქვე გავიცან პირველად აქაური გლეხი, მამას მორდუ, ჭალარა კაცი იყო და თავზე თურქული ფესი ეხურა. სხვას ვერას ვიტყვი მასზე შესანიშნავს, რადგან მეტი არაფერი მახსოვს მისგან. ეს კი ვიცი, რომ მას მორიდებით და პატივისცემით ეპყრობოდა ყველა, რადგან ის მამას მორდუ იყო და მორდუ ხომ ჩვენში საერთოდ მეტად საპატიო კაცი იყო გაზრდილის ოჯახში და გაზრდილის მეგობრებისათვის.

ასეთივე პატივისცემით ეპყრობოდნენ აქაურსავე გლეხს, დათია ამყოლაძეს მამაც და ჩვენი მასპინძლებიც. ის ერთ დროს ხელოსანი ყოფილა ბებიას ოჯახისა და თავისი დარბაისლური გონებითა და გამჭრიახობით დაუმსახურებია, როგორც შემდეგში გავიგე, ადგილობრივი გლეხებისა და მეპატრონეების პატივისცემაც კი. უთუოდ დიდი დიპლომატიური ნიჭი გააჩნდა ამ ღირსეულ კაცს, რომ ასეთი სიყვარული ჰქონდა წაძღვანილი „გზად და ხიდად“ ორ შეურიგებელ ფენას შორის. შემდეგში ეს პატივსაცემი ადამიანი მახსოვს სამეგრელოშიაც, როცა ის იმერეთიდან ჩამოგვიტანდა ჩვენს სამამულოში მოწეულ საპალნეებით ჩალვადარის ცხენებზე პურსა და ღვინოს, ტკბილისკვერს და ჯანჯუხებს და ესეთი თავის მოსვლით დიდად გაგვახარებდა დიდსა და პატარას.

7

სავანედან წაველით საბაჭოს, აქ ცხოვრობდა ქსნის ერისთავი კონსტანტინე, რომელსაც ცოლად ჰყავდა ჩვენი ნათესავი, ნიჟარაძის ქალი ნატალია, საუცხოო სილამაზის ქალი, ახოვანი და წარმოსადეგი. მისი ქმარი სამხედრო კაცი იყო, მაშინ უკვე სამსახურიდან გამოსული და ეწეოდა სოფლის

მეურნეობას. როგორც ამბობდნენ, იყო მეტად ჰუმანური მებატონე, ლიბერალურად განწყობილი, ძმა ელიზბარ ერისთავისა, რომელიც იყო აქტიური წევრი 1832 წლის შეთქმულებისა. კოტე ერისთავი, უფრო ასე ეძახდნენ კონსტანტინეს, შემდეგში, მოჩიტულზე, მინახავს ქუთაისშიაც, იყო ჩინებული მოსაუბრე, ბევრის მნახველი და ამ ნანახთა უცხო გადმომცემი, ასე რომ მასთან მიყვარდა დარჩენა და მოსმენა მისი ნელის ჰუმორით შეზავებული ნაამბობისა, მაგრამ, სამწუხაროდ, თავის დროზე არც ერთი ისინი არ ჩამიწერია, მეგონა, ისედაც დავიხსომებდი, რადგან — საკვირველია! — ზოგჯერ გგონია, ამას რა დამავიწყებსო, გაიხედავ და ხსოვნიდან კი გამქრალა, რაც გინდოდა რომ გხსომებიყო. კოტე ერისთავის ნაამბობი კი ბევრი უთუოდ საყურადღებო იყო, რადგან შეეხებოდა მისი დროის ბევრ საზოგადოებრივ მოვლენას.

აქ, საბაჟოში კი, დამახსომდა ქათმების ინკუბატორი. წიწილების ხელოვნურად გამომჩეკი აპარატი ჰქონდა და დაათვალიერებინა მამას, მაშასადამე, ჩვენც, ბავშვებს, მე და ჩემს დას. ჩვენ, რასაკვირველია, გვიხაროდა წიწილების ნახვა და მიალერსება.

მაგრამ რაც აქ უფრო გულს ჩააჩნდა, ეს იყო თვით მისი სასახლე. ეხლა რომ ვიგონებ, ეს იყო მართლა სასახლე, გუმბათიანი შუშის სახურავი ჰქონდა, რგვალსვეტებიანი ერდოზე და დიდ დარბაზში. ეს დარბაზი თითქო საპარლამენტო დარბაზად არის განკუთვნილიო, ისე იყო შემორგვალებული და კედელთან სავარძელჩამორიგებული. შუაზე დიდი ბროლის ჭაღი იყო ჩამოკიდებული და მის ბროლისავე შანდლებში ყვითელი, თითქო საეკლესიო სანთლები იყო ჩარჭობილი.

საერთოდ ამ შენობამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, რადგან სოფლად ჩვენში მანამდე არსად მენახა ესეთი გრანდიოზული ნაგებობა და უთუოდ ეს იყო ჩემი პირველი სახუროთმოძღვრო განცვიფრება.

ასეთივე განმაცვიფრებელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემს ბავშვურ გონებაში ერისთავიანთ დიდმა ეკიპაჟმა. ეს იყო კარგა სრული ლანდო, რომლითაც გამოგვისტუმრეს თავაზიანმა მასპინძლებმა მამა-შვილნი რკინის გზის სადგურამდე. მაშინ ჭიათურის რკინის გზა არ იყო და ეს შეიძლება ქართლის გომი იყო. ერთის სიტყვით, ეს არ მახსოვს, მხოლოდ

ლანდოთი მგზავრობა კი, ეტყობა, ძალიან ჭკუაში დამიჯდა, რადგან თავს ისე ვგრძნობდი რბილ ბალიშებზე, რომ, როგორც ვიგონებ, დიდხანს არ მინდოდა ეკიპაჟიდან გადმოსვლა.

ასეთივე კარგი მოსაგონარია ჩემთვის სოფ. ლაშე, კვლავ ზემო-იმერეთში, ხორაგაულსა და ძირულას შორის, დავით ღაბუაშვილის ოჯახში. პირდაპირ კლდეზე გადმოკიდებული ძველი, ორსართულიანი ოდა, რომელიც გადაჰყურებს მდინარე ჩხერიმელას ლამაზ ხეობას. ეს შენობა ეხლაც მოსჩანს ხორაგაულის სადგურის შემდეგ.

8

და აგრეთვე ქართლში სოფ. ცხრამუხა. ესეც აბაშიძიაანთ მამული, მხოლოდ ქართლელი აბაშიძეებისა. ეს სოფელი თავისი მდებარეობით ბევრს ვერას დაიჭადნის, რადგან დაცემულ ვაკეშია, მტკვრის პირად გაშენებული და არც გადასახედი და არც ტყე თავისებური სილამაზისა მას არ მოდგამს, მაგრამ თუ რამ კარგი მახსოვს იქაური, ეს არის თვით ჩვენი მასპინძელი, სალომე აბაშიძისა, დარბაისელი, ძველი ქართველი ქალი, მეტად კეთილი და სათნო ხასიათისა. იმავ დროს მახსოვს იქაური გემრიელი, ქართლური ლურჯი პური, მახობელა და... სალომეს მსახური, შავულვაშა რომანოზა.

სახელი დამახსომდა მისი და გარეგნული იერი. „რომანოზა!“ ეხლაც მესმის ყურში ეს დაძახილი. ხშირად ეძახოდნენ და ასაქმებდნენ რასმე. ისიც სწრაფად და დაუზარებლად ასრულებდა.

ცხრამუხაში მახსოვს კიდევ ერთი რამ. ეს ჩემი შერცხვენის ამბავია.

სალომეს სტუმრები ჰყავდა. სხვათა შორის, ერთი მოხუცი, თავადი, გრძელ თეთრულვაშებიანი, მუდამ წმინდად გაპარსულ სახე-პირით, ქართულ კაბაში გამოწყობილი. ცოტა მკაცრი სახე ჰქონდა და ვერიდებოდი. ის კი ცდილობდა ჩემს ალერსს, მაგრამ მე გავურბოდი. ერთხელ ნაშუადღევს დამიძახა. რომ მივედი, მკითხა: „შალვაჯან! გშივა პური?“

ვერაფერი ვერ გავიგე და ვერც ვერა ვუპასუხე რა. თან მერიდება ამ კაცის, თან მრცხვენია, რომ მეკითხება და პა-

სუხი ვერ გაბიცია. ვწითლდები, ვყვითლდები, თან „ჭირის ოფლს“ მასხამს.

მან კითხვა გამიმეორა. მე ეს ორი სიტყვა შეერთებულად მესმის: „გშივაპური“, ფრანგული მგონია. მაშინ ფრანგი დედამძუძე უკვე გვყავდა და ვიფიქრე — ამ ძიას უთუოდ ჰგონია, რომ ფრანგული კარგად ვიცი და იმიტომ მომმართა ფრანგულად-მეთქი.

მამაც მაშინ იქ არ იყო და ამიტომ დასავლეთელმა ქართველმა ვერ გავიგე აღმოსავლურად ნათქვამი სრულიად უბრალო შეკითხვა: „პური გშიანო?“

შევრცხვი „ყაზახი“.

მახსოვს, როდესაც ყველაფერი გამოირკვა, როგორი სიცილი დამაყარეს. ამან კიდევ უფრო შელახა ჩემი თავმოყვარეობა და კიდევ უფრო გამაწითლა.

9

ეხლა სამეგრელო. აქაც ცხენები. მთვარიან ღამეებში კიდევ უფრო ზღაპრულად გამომყურებ მთები, გორები და ტეხურის მომხიბლავი ხეობა.

სოფელში ყოველთვის ახალსენაკის სადგურიდან მივდიოდით. ეს იმიტომ, რომ ჩვენ უფრო ქალაქის მცხოვრებნი ვიყავით: პირველ ხანად და შემდეგშიაც მამას სამსახურის და აგრეთვე ჩვენი აღზრდის გამო, სოფელში, საერთოდ, ერთი-ორი ზამთრის გარდა ხილად ჩავდიოდით, ისიც უფრო ზაფხულობით, ანდა რაიმე საოჯახო დალხინებისა თუ დამწუხრების გამო (ტირილი, ქორწილი).

ახალსენაკში ჩვენი სოფლიდან მუდამ შემოგვეგებოდნენ ხოლმე ჩვენი ოჯახის ერთგულები მოკეთეები და აგრეთვე მოსამსახურეები.

არსებობს ერთი ფოტოგრაფიული სურათი, ანუ უკეთ არსებობდა. მე აღარა მაქვს: ამ სურათზე გადაღებულია ჩვენი ერთ-ერთი ჩამრსვლა ახალსენაკში, სადაც აღბეჭდილნი ვართ როგორც ჩამოსულები, ისე დამხვდურებიც. კარგა დიდი ჯგუფია და ამ ჯგუფში იმყოფებიან მამას და ბებიას დაზრდილები, ნათლულები, მე და ჩემი დის ძიძები და მორდუები და, საერთოდ ჩვენი ოჯახის ერთგული და საყვარელი ხალხი:

ჩამოვთვლი ბარემ. მკითხველისთვის ეს სახელები ბევრის არაფრის მთქმელია, მაგრამ ჩემს გულს კი გაახარებს მათი დასახელება და მათი ვინაობის ახმაურება კი ქალაქზე, ჩემი ხელით, ჩემთვის ერთ კოხტა პოემის დაწერას უდრის.

აი როგორ ვიყავით სურათზე წარმოდგენილნი: შუაში მამა და ბებიაჩემი მარიამ აბაშიძის ქალი. იქით-აქეთ მამას მამიდა ნინო ფარავასი და მისი ქალიშვილი ნატალია. ესენი ყველანი სხედან. მათ კი ირგვლივ თავს ადგანან: მღვდლები მაქსიმე გოგინავა თავის მეუღლით დარიათი და თედორე როგავა აგრეთვე თავის მეუღლით. მათ შემდეგ მურზაყან ბარკალაია თავის ლამაზი ცოლით ბურდღათი. ესენი ჩემი დის მაშოს გამზრდელებია, ძიძა და მორდუ. აქვე არიან აგრეთვე არანაკლებ ლამაზი ჩემი ძიძა კატია ადამიას ქალი და გვერდით უდგას ჩემი მორდუ, ნიკოლოზ მზარელუა. ესეც მწყაზარი სახის და მოცინარე თვალების პატრონია. აქავეა თავის დროზე სამეგრელოში კარგა ცნობილი, განსაკუთრებით სენაკის მაშინდელ მაზრაში, სტეფანე ჯინორია. ყირიმის ომის მონაწილე, სარდალ პეტრე ხეციას (მხეიძის) ერთგვარი ადიუტანტი და განთქმულ უტუ მიქავას აჯანყების ერთ-ერთი თანამგრძნობი და ხელის შემწყობი. მას მამაჩემთან აერთებს მისი მწიგნობრობა და ერთგვარი მიდრეკილება სიბრძნისმეტყველებისადმი. მე ვცდილობ ჩემს რომან „ურდუმში“ მოვსახო ამ საყურადღებო პიროვნების პორტრეტი.

კიდევ არიან სურათის ჯგუფში ჩვენი ოჯახის ხუროთმოძღვარი, ხელობით ჩინებული დურგალი, სოფ. რგანიდან ჩვენთან შემოკედლებული, ბებიას ნათლული დიმიტრი გველესიანი და მამას უერთგულესნი ტეტუია და ლაზარე რატიანი, ეს შემდეგში მამას მარჯვენა ხელი, მოურავი და პირადი მდივანი.

ყველა ამათ წინ ვდგავართ პაწიები — მე და მაშო.

ჩვენზე წინ კიდევ ფეხმოკეცილი, ფარდაგზე მჯდარი ბებიას ნათლული სოფიო განგიას ქალი.

ეს სურათი გადაღებულია ერთ-ერთ სენაკელ ხეციას (მხეიძის) ეზოში.

ვაჟების უმრავლესობას აცვია ჩოხა-ახალუხი, მხოლოდ არალი, გარდა მორდუებისა, არც ერთს არ აკრავს. ეს სტი-

ლი მამას ოჯახის. მამა თვითონ არავითარ იარაღს არ ხმარობდა, რადგან მუდამ ევროპულ ტანისამოსში იყო გამოწყობილი, არც ინახავდა სახლში და უთუოდ ამის გამო მისი ერთგული ხალხიც არ ატყუებდა. მღვდლები ხომ ანაფორებით იყვნენ და არც ჯვრები ჰქონდათ გულ-მკერდზე ჩამოკიდებული. ჯვარი შემდეგში დაჰკიდა ჩვენებურ მღვდლებსაც რუსეთის მეფემ.

ქალები კი, თითქმის ყველა, მეგრულ ყაიდაზე იყვნენ გამოწყობილი: სრული ქვედა-კაბა, პატარა გულისპირიანი ჯუბა, წელზე კიდევ ორი ვიწრო სარტყელი ჩამოფრიალებული და თავზეც აბრეშუმის ბადე-ქსოვილი, რომლის წვეტებიც ყურებს უკან იყო გადაგდებული და იქ კი ორი ნაწნავი საკუთარი თმებისა, წელამდე ჩამოშვებული.

მე პირადად აქ, გადაღების დროს, დიდი მარცხი მომივიდა.

მამამ მე და ჩემს დას ყურძნის დიდი მტევნები მოგვცა ხელში და ისე დაგვაყენა.

აკი სხვაგანაც მაქვს აღნიშნული, რომ მამა განსაკუთრებულის მეთოდებით გვზრდიდა და აქაც უთუოდ უნდოდა, რომ საერთოდ მოთმინებას ბავშვობიდანვე შევჩვეოდით. მაშინ ფოტოგრაფი დიდხანს უნდებოდა ჭვრეტას და ობიექტივის მორგებას, ასე რომ გადაღებამდე შეიძლება რამდენიმე ათეული წუთიც გასულიყო და უთუოდ აქაც ასე მოხდა.

მე კი ვერ გავუძელ ცთუნებას და მტევნის კუმპლებს დავუწყე კენკა. სურათში მეტად შემოძარცული მოსჩანს ჩემი მტევანი.

შემდეგში მითხრეს, რომ როცა მე ყურძენს ჭამა დავუწყე, მამა მაშინ არ იჯდა თურმე ჩვენთან, ფოტოგრაფთან იყო და იქიდან აწესრიგებდა ჯგუფის განლაგებას. მე კი თურმე ჩემმა ძიძამ — უთუოდ შევეცოდე — წამჩურჩულა მეგრულად: „ჭკომი, ჭკომი ქოგალეე!“ (ჭამე, ჭამე, შემოგევლეო) და თან მეორე მტევანი დამანახვა. ვითომდა შეჭმულის მაგივრად საფოტოგრაფიოდ მეორეს მომაწოდებდა, მაგრამ ეს არც ერთს არ დაგვცალდა. მამა მოვიდა, თავის ალაგას დაჯდა, ძიძამ ვერ მოასწრო ახალი მტევნის მოწოდება და ფოტოგრაფმაც გადაიღო სურათი. მითხრეს, რომ მამამ ძალზე დატუქსაო ჩემი ძიძა.

მაშინ კი, ჩემი და, თავის სიმაღლეზე დარჩა და მოთმინების კარანტინი ჩინებულად გაიარა.

10

გული არ მითმენს, რომ აქ ერთ ადამიანზე არ შევჩერდე ცოტა ხანგრძლივად. ეს არის მღვდელი მაქსიმე გოგინავა.

ჩემს მკითხველს გაუკვირდება, შეიძლება, რომ მე ჩემს მოგონებებში ზოგჯერ სრულიად უცნობ და თითქო უმნიშვნელო პიროვნებებზე ვჩერდები, მაგრამ ამისათვის მაქვს გასამართლებელი მიზეზები.

ჯერ ერთი, რომ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებზე, რომელთაც კი შევხვედრივარ ჩემი ცხოვრების გზაზე, თავის ალაგას მექნება ზოგზე მოკლე, ზოგზე ვრცლად გამოთქმული ჩემი შეხედულება და მექნება აღნიშნული ფაქტები, მეორე კი, მე თვით მჭირდება საზოგადოებრივად უცნობ და ან ძალზე დავიწყებულ პიროვნებათა ასახვაც, რადგან ეს პიროვნებანი გარკვეულ დროს და ალაგას შეადგენდნენ ჩემს სულიერ არეს და თვითონ იყვნენ ან ბუნებით, ან სწავლით, ან მდგომარეობით საყურადღებონი. ამიტომაც ვერ ველევი მათ.

ამჟამად კი ვიხსენებ მაქსიმე გოგინავას.

ეს იყო უსათუოდ ნიჭერი, გონებამახვილი და გამჭრიახი ადამიანი. ბავშვობიდანვე მამაჩემთან ერთად იზრდებოდა თურმე ჩვენს ოჯახში და მამასთან ერთად ვითარდებოდა მისი გონებაც და მისი „სჯის კიდე-განიც“. ბოლოს ხომ სამეგრელოში ერთ-ერთ თვალსაჩინო პიროვნებად ითვლებოდა კიდეც და მას ძალაუნებურად ანგარიშს უწევდა მთელი ოდიშის სასულიერო იერარქია. უებარი ლოგიკის პატრონი იყო, მეტად ცხარე მოკამათე და თავისი შეუვალი საბუთებით მოწინააღმდეგეს მუდამ ამარცხებდა. ამიტომ ერიდებოდათ, მაგრამ პატივსცემდნენ. რაც მღვდლად ეკურთხა, მას შემდეგ ჩვენს ოჯახს ჩამოშორდა, რასაკვირველია, რადგან დაცოლშვილდა და თავის სახლში უნდა ეცხოვრა, სოფ. უშაფათში, მრევლი კი იქვე ახლო, მეზობელ სოფელში, ფოცხოში ჰყავდა, ასე რომ ჩვენთვის მოუცლელი იყო, მაგრამ როგორც კი დროს ჩაიგდებდა ხელში, უთუოდ მოაკითხავდა მშობლებს.

თან სასაუბრო დ, „სულის მოსაბრუნებლად", საკამათოდ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე და ზოგჯერ რჩევის საკითხავადაც. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს შეეხებოდა სასულიერო სასწავლებლის ბედიღბალს. ამ სასწავლებელს ხომ მაშინ საერთოდ სასულიერო წოდება პატრონობდა, რადგან მათი შვილები უმეტესად აქ სწავლობდნენ. მახსოვს, ერთხელ მთავრობის სენაკის სასულიერო სასწავლებელი ფოთში უნდოდა გადაეტანა და ამაზე საწინააღმდეგოდ დიდად ალესილი იყო მამა მაქსიმე. ან კიდევ, როდესაც მეგრულად ათარგმნინა უწმინდესმა სინოდმა სახარება, ლოცვები და მთელი ტიბიკონი ლიტურგიებისა ვითომდა მეგრელთა გასაგისობისათვის. აქაც მაქსიმე პირველი თაოსანი იყო მოწინააღმდეგე ჯგუფისა და სულ თვალები უბრწყინავდა, როდესაც მამამ თავის ერთ მოხსენებითს ბარათში, რომელიც შემდეგში ეგზარქოსს გადაეგზავნა და მაშინდელ რუსულ გაზეთებშიაც იყო დაბეჭდილი, მეგრულიდან რუსულად თარგმნა სლავურიდან გადამეგრულებული ზოგიერთი ლოცვა და ასეთის მოიარებით დაამტკიცა სრული მიუღებლობა მეგრულად წირვა-ლოცვის წარმოქმისა, რადგანაც მეგრულად ეს ლოცვები პირდაპირ პორნოგრაფიული რამ გამოდიოდა.

აგრეთვე დიდად გახარებული იყო მაქსიმე, როდესაც მამამ პრესაშიაც გაილაშქრა საერთოდ სამეგრელოს სკოლებში მეგრული ენის შემოღების წინააღმდეგ. ასეთ მეგობრად და თანამოაზრეებად დარჩნენ მთავარ საკითხებში მამა და მაქსიმე სულ სიკვდილის კარამდე.

მაქსიმე ამაყობდა, რომ ის გაბრიელ ეპისკოპოსის ნაკურთხი იყო. ცნობილია — გაბრიელი მღვდლად ისე არავის აკურთხებდა, რომ არ გამოეცადნა და მისი სათანადო მომზადება არ შეემოწმებინა. მღვდლობა კი მიტომ ჰქონდა მაქსიმეს თურმე არჩეული, რომ ეს ხალხის წმინდა სამსახურად მიაჩნდა და აკი მღვდლის მაღალ მოწოდებაზე ხშირად ჰქონიათ საუბარი მაქსიმესა და მამაჩემს. თან ნაღვლობდნენ, რომ ბოლო ხანებში მღვდლები იქცნენ „ჩინოვნიკებად" და მეფის რუსეთის მთავრობის აგენტებად, რომ უკვე მოწოდების გამო და ხალხის სამსახურისათვის კი არ მიდიოდნენ მღვდლად, არამედ ანგარებისა და კეთილმოწყობის მიზნით, და მღვდლადაც მომზადების შეფარდებით კი აღარ აკურთხებდნენ, არა-

მედ ქრთამის გაღებისა და სხვადასხვა ხასიათის შეძღვნათა გამო.

ასეთი მახსოვს მაქსიმე გოგინავა საზოგადოდ და მამასთან. მაგრამ მივიდეთ ამ კაცთან კიდევ უფრო ახლოს. როგორი იყო ის კერძო ცხოვრებაში? ამის შესახებ ამ საყურადღებო ადამიანის ცხოვრებიდან რამდენიმე შტრიხი გადმომცა მისმა სიძემ, ჩვენს უნივერსიტეტში მომუშავე მეცნიერმა სოკრატ ძიმისტარაშვილმა:

ზაფხულში, სიმინდის ყანის გახურებული თოხნის დროს, მღვდელი მაქსიმე დილის გარიჟრაჟზე ჩადის თავის ყანაში და სანამ მზე ამოწვერავს, პერანგ და ქვედა საცვლის ამარა დილის სიგრილეში თოხნის. ისეთი მარდი მუშაა, რომ მზის ამოსვლამდე უკვე ნახევარი ყანა გათოხნილი აქვს.

შემდეგ მოდის თავის ეზოში და იქ, სადაც მსხლისა და ვაშლის ხეებს, ერთიმეორეზე გადაჭდობილთ, ერთგვარ თაღის ქვეშ მშვენიერი ჩრდილი შეუქმნიათ, ეძახის მოსამსახურე გოგოს. გააშლევინებს ხალიჩას და ნებივრად გადაგორდება. თან ეტყვის ავიდეს ხეზე და ხილი ჩამობერტოს. გოგო ადის. მწიფე ხილი ცვივა, მაქსიმეც სიამოვნებით შეექცევა უბიწო, ცვრით დანამულ ხილს.

ხშირად ეუბნებიან შინაურები: „ბატონო, მიირთვი რამე, სამზარეულოში დამზადებული ნახელოვნები“, მაგრამ მაქსიმე იმ აზრისაა, რომ თვით ბუნების მიერ უშუალოდ მიწოდებულ ნაყოფს ვერაფერი ადამიანის მიერ დამზადებული ვერ შეედრება.

შემდეგ, როდესაც ოჯახი დილის საუზმეს მიუჯდება, მაქსიმეც მიდის მათთან, მაგრამ მხოლოდ ბოღლინწოს[1] შეექცევა და სხვა რამეს კი არ ეკარება. ამის შემდეგ იძინებს ცოტა ხნით ჩრდილში. სადილობამდე კი წამოდგება, შედის თავის ოთახში და აქ კი ნუ გაეკარებით: შემოუწყვია წიგნები, სასულიერო თუ ისტორიული ხასიათისა, და შიგ ჩაღრმავებულა.

მაქსიმე დიდი ნაკითხი კაცია, უფრო ქართულში. კითხულობს საერო წიგნებსაც და ძალიან უყვარს ილია ჭავჭავაძე. განსაკუთრებით მისი „გლახის ნაამბობი“, სადაც იდეა-

[1] ბოღლინწო — ღვინოში ჩაწებული პური. ავტ.

ლური მღვდელია გამოყვანილი. ისე უფრო ძლიერია საეკლესიო ლიტერატურაში. მშვენივრად იცის ქრისტიანობის ისტორია, კათოლიციზმი, გრიგორიანობა, მონოფიზიტობა და სხვა მწვალებლური მოძღვრებანი. ის ამეების კარგი ცოდნით არის აღჭურვილი მაშინ, როდესაც სამეგრელოში სხვა მღვდლებმა, ხარისხით დაწინაურებულებმა (ბლაღოჩინებმა, დეკანოზებმა და სხვ.), თვით სემინარიელებმაც კი, ასეთები ნაკლებ იციან.

იმ დროს, როდესაც მაქსიმე წიგნებშია ჩაფლული, სადილადაც არ გამოდის სხვებთან. იქვე უნდა მიუტანონ ცოტა რამ, ბევრი არა უნდა რა. საღამოთი კი, მზე გადაიხრება თუ არა, მაქსიმე კვლავ გაქრება. ის ისევ ყანაშია და ბინდბუნდისას, როდესაც შინ დაბრუნდება, ყანის მეორე ნახევარიც უკვე გათოხნილია.

და ასე სულ, უბრალო, მომჭირნე გლეხივით თავს დასტრიალებს თავის მეურნეობას ყოველდღიურად და შრომაში ატარებს თავის წუთისოფელს.

ისე კი სრულიად არ არის სხვა მღვდლებივით ანგარი, სულ სვავი და გაუმაძღარი, მარტო მოხვეჭაზე რომ იყვნენ გადაგებულნი. რასაც მისცემენ მრევლში, მითი კმაყოფილდება, ღარიბებს ხომ სრულიად არაფერს ჯრთმევს და ეს იწვევს დაკვნის საყვედურს, მაგრამ ის ამას არ ეპუება. დავრდომილსა და ავადმყოფს თვითონ ეწევა ხოლმე. ამიტომაც თავის დღეში არ გამდიდრებულა, არც ჩასუქებულა სხვებივით. იყო ასკეტივით ერთი გამხდარი კაცი და სარჩოც იმდენი ჰქონდა, ისიც თავის შრომით შეძენილი, რამდენიც მთლად ულუკმაპუროდ არ სტოვებდა ოჯახსა და თვითონ მას.

11

როგორცა ვთქვი, სამეგრელოში ახალსენაკს (დღევანდელი ცხაკაია) ჩავდიოდით რკინის გზით. იქ ჩამოვხტებოდით ვიწმე ლაბახუას სასტუმროში. ეს ერთი დაბალი ერთსართულიანი სახლი იყო და იმ დროს მგონი ერთადერთიც მთელს დაბაში. მაშინ ახალი სენაკი სამაზრო ცენტრი იყო, მაგრამ დაბად ითვლებოდა, ქალაქად ეხლა მოიწონა თავი, 900-წლებში, თორემ წინათ ნაგებობით და ქუჩებით ბევრს არას წარ-

მოადგენდა. ქუჩაც მხოლოდ ერთი გრძელი ქუჩა იყო, დაბის შუაგულ და პატარა შესახვევები უფრო რკინის გზის სადგურისკენ იყვნენ გაისრულნი. რკინიგზის სადგური მაშინ ქალაქის განაპირად იყო მოთავსებული და მის გადაღმა ქალაქი აღარ იყო, არამედ ცხოვრობდნენ შეძლებული თავადი მხეიძეები თავიანთი მოხდენილი კარ-მიდამოთი გაწმარტოებულად. მშვენიერი და ფართო ეზოები ჭადრისა თუ ცაცხვის ხის ხეივნით, ხეხილით შემკული და შიგ ლამაზა, იმერულ ყაიდაზე აგებული ოდებით.

მხეიძეები საერთოდ სამეგრელოში ერთი წარჩინებულ გვართაგანი იყო და ერთ დროს ატარებდნენ თავადის ხარისხს. ამ გვარის წევრები სამეგრელოს ორივე მაზრაში — ზუგდიდსა და სენაკის მაზრაში ცხოვრობდნენ და ორივეგან შეძლებულ მებატონეებად ითვლებოდნენ. ზუგდიდის მაზრაში ყველაზე უფრო გაწთქმული იყო პეტრე მხეიძე, ყირიმის ომის გმირი, რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ხარისხით დაჯილდოებული და გარდა ესეთი წარჩინებული მდგომარეობისა, საერთოდ სამეგრელოში ყველასაგან პატივცემული მისი პირადი ღირსებების გამო. ზრდილი, გონიერი, გამჭრიახი და როგორც მებატონე, თურმე, არც თუ ძსეთი სასტიკი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო.

ის ჩვენი, ბერთემელი დადიანების, მახლობელი ნათესავი იყო. ცოლად ჰყავდა მამიჩემის მამიდა სიდუ (სიდონია), თავის დროზე მოწინავე ქალად ცნობილი, თავისი მწიგნობრობით და ხელსაქნარით ცნობილი მთელს იმ არემარეზე და დიდად მიჩნეული პიროვნება. ცნობილი იყო აგრეთვე მისი დიდი მეგობრობა ჩემს ბებიასთან, მარიამ აბაშიძის ქალთან, რომლის სულიერი ავლა-დიდება, შეძლებისამებრ, მე აწერილი მაქვს ჩემს „ნიკო დადიანის სილუეტში“. ასე რომ, საერთოდ პეტრე მხეიძის ოჯახთან ჩვენი ოჯახები უფრო დაახლოებული იყო, ხშირად დადიოდნენ ერთიმეორეში და კარგი ნათესაური დამოკიდებულება ჰქონდათ.

სენაკელ მხეიძეებთან კი ნაკლები ურთიერთობა ჰქონდათ ბერთემელ დადიანებს. მართალია, დიმიტრი და ბესარიონ მხეიძეების დედაც დადიანის ქალის შვილები იყვნენ, მაგრამ ის ჯოლეველი დადიანების სახლთა შვილი იყო და ნათესაობითაც შორს იყვნენ ჩვენგან. ასე რომ, მე რომ წამოვი-

ჩიტე, შემდეგ ვიცნობდი ხსენებულ ორ პიროვნებას და სხვა მათ ბიძაშვილებთაც, მაგრამ დაახლოება მაინც შემთხვევას არ მოუტანია. ვიცოდი კი, რომ მათი ოჯახი იყო დიდად სტუმართმოყვარე და ხსენებულ ორ ძმას სიკვდილამდე ეჭირათ მაშინდელ დროისთვის თვალსაჩინო თანამდებობა. ერთი, დიმიტრი, ჩემსობას იყო თითქმის უცვლელი წინამძღოლი სენაკის თავადაზნაურებისა და მეორე, ბესარიონი, მომრიგებელი შუამავალი. იმავ დროს ორივ რუსის არმიის ნასწავლი ოფიცრები იყვნენ. საზოგადოებაშიაც დიდი გავლენა ჰქონდათ და უმეტეს წილად საზოგადოებრივი საკითხები სენაკის მაზრაში მათი გავლენით გადაიჭრებოდა ხოლმე.

აქვე უნდა ითქვას, რომ მეგრელი მხეიძეებიც, ისე როგორც იმერეთის მხეიძეები, თავის თავს ჩვენს ისტორიაში ცნობილ გმირების, სამშობლოსათვის რომ ეწამნენ მურვანყრუს დროს, დავით და კონსტანტინეს ჩამომავლად თვლიდნენ და ამითი თავი მოსწონდათ კიდეც. სენაკში მახსოვს კიდევ გაცნობა ერთი უთუოდ საყურადღებო პიროვნებისა. ეს იყო ნესტორ ახვლედიანი, ერთ დროს სენაკში სასამართლოს ბოქაულად ნამყოფი. მამა ჩავიდოდა სენაკში თუ არა, ის მაშინვე გაჩნდებოდა მასთან და იყო მათი დაუსრულებელი ბაასი და ხშირად კამათიც. ნესტორი განათლებული კაცი იყო და ცოტა ნიღილისტური, მაგრამ მაინც განსაკუთრებული შეხედულება ჰქონდა მაშინდელ ქართულ საქმეებზე: ბანკზე, რომელიც იმ დროს ჩვენში თითქო „ზემსტვოს“ მაგიერობას ეწეოდა, პრესაზე, თეატრზე და სხვ. უფრო ხშირად მცდარი იყო მისი აზრი ამა თუ იმ საგანზე, მაგრამ ბუნებით ნიჭიერი კაცი იყო, მახვილი ენის პატრონი და ცოტა. სუსტი აზროვნების პატრონს ადვილად აიყოლებდა.

ბავშვობისას მე ყოველთვის მიხაროდა მასთან შეხვედრა, რადგან არსებითად ბუნებით კეთილი კაცი იყო, ახალგაზრდობის მოყვარული, და როდესაც მარტო ვრჩებოდით, დიდად მართობდა და შემიქცევდა თავისი საყურადღებო საუბრით. მხოლოდ შემდეგში, ჩემი დავაჟკაცებისას, შევამჩნიე, რომ მე არავითარ მაცთურ აზრს არ მინერგავდა. ბოლოს ის თბილისში გადმოსახლდა, ჩაერია იქაურ ინტელიგენციაში, მაგრამ მათ საქმიანობას სიტყვიერად მუდამ კრიჭაში უდგა და თითქო განზე იყო გამდგარი.

ბოლოს დავრწმუნდი, რომ ბუნებით შემკული კაცი, მომზადებულიც, მაშინდელი დუხჭირი დროის წყალობით გზას იყო აცდენილი და, უთუოდ თავისი რბილი ხასიათის გამო, თავისი თავი ვერ გამოეყენებია საზოგადო ცხოვრებისათვის, თუმცა ამისი შესაძლებლობა ჰქონდა. არც თუ პრაქტიკულად იყო ძლიერი. ცოლთან არ იყო გაყრილი, მაგრამ მაინც, განსაკუთრებით თბილისში, უოჯახოდ ცხოვრობდა. იყო შეყუჟული სადღაც ძალიან იაფფასიან სასტუმროს №-ში და დღითი რომ გამოვიდოდა გოლოვინის პროსპექტზე (ეხლანდელი რუსთაველი), გვიან ღამემდე თითქმის შინ არ შედიოდა, არსად არ მსახურებდა. იყო ნამდვილი „ბულვარდიე" — ბოჰემურის მიდრეკილების პატრონი. თუმცა მოწინავე ინტელიგენციაშიც ხშირად ტრიალებდა და ამ ინტელიგენციას ერთგვარად უყვარდა კიდეც, ოღონდ ნანობდნენ, რომ ამ კაცმა, რომელიც ერთ დროს თავის დარგში კარგ იმედებს იძლეოდა — (აგრონომი იყო უმაღლესი განათლებით) ერთ დროს თბილისის ახლოს, კიკეთში, საუცხოო სანიმუშო ფერმაც კი გაიჩინა და მეყველეობის საქმე სანიმუშოდაც კი დააყენა თურმე — შემდეგში ბოლო ვერ მიაყოლა ამ სამუშაოს და... არჩია ბოჰემობა, თუ უნებლიეთ გახდა ესეთი უსაქმური... თუმცა ბოლოს და ბოლოს რითი ცხოვრობდა ეს ადამიანი, რა სახსარი გააჩნდა საცხოვრებლად? თბილისში ეს ეწეოდა ესრეთწოდებულ კომისიონერობას: თუ ვისმე სახლი ჰქონდა გასაყიდი ქალაქში, რაიმე მამული სოფლად, ან ბანაკში დასაგირავებლად, ან რაიმე ძვირფასი ნივთები, ამგვარებში ის მუდამ შუამავალი იყო და ამისათვის, როგორც მაშინ ეძახდნენ, ერთგვარ „კურტაჟს" — გასამრჯელოს ღებულობდა. ერთ დროს სამეგრელოში სიმინდის აღებ-მიცემობის საზოგადოების დაარსებაც მოინდომა, მთავრობას საზოგადოების წესდებაც კი დაამტკიცებინა, მაგრამ საქმემ როგორღაც ვერ იხეირა.

ერთის სიტყვით, საზოგადოდ ხელმოცარული კაცი იყო.

სენაკში კი ჩემი ბავშვობისას სხვა ისე გარკვევით არ მახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ მამა ჩავიდოდა თუ არა სენაკში, „ცა და ქვეყნის" ხალხი ესია.

სენაკიდან მივდიოდით უმეტეს წილად პირდაპირ ბერთემს, პირველ ხანებში ცხენებით და შემდეგში უკვე ეტლე-

ბით. მივდიოდით ბერთემს, მაგრამ მამას ჩემი ბავშვობისას საკუთარი სახლი არ ჰქონდა, მის ყმაწვილობისას ცეცხლს გაენადგურებინა მამა-პაპეული სახლი და ამიტომ ჩვენც რომელიმე ბიძის სახლს შევეხიზნებოდით ხოლმე მთელის ზაფხულობით. ზამთრობით კი ვიყავით ქალაქებში — ქუთაისში ან თბილისში.

და აი ბერთემი!

მე, როგორც ნათქვამი მაქვს ბევრს ჩემს ნაწერში და როგორც ჩემს ბიოგრაფიებში წერია, ამ სოფელში არა ვარ დაბადებული, არამედ იმერეთში, ქ. ზესტაფონს, მაგრამ ამ სოფლის სიყვარული დღეინდელ დღემდეც მიღვივის გულში.

ცხადია! ბავშვობისა და ყრმობის წლები უმეტეს წილად ამ სოფელში მაქვს გატარებული და, რაც ბავშვობისას „სულს დააჩნდებიან", ის საბოლოოდ განუყრელია ადამიანისათვის.

სენაკიდან ბერთემს რომ მივდიოდით, ისეთი ბუნებით შემკული არემარე უნდა გაგვეარნა, რომ...

განა ეყოფა ჩემს კალამს პოეტური ძალა, რომ ავწერო ამ ედემის (საერთოდ ჩვენი ქვეყნის და, კერძოდ, სამეგრელოს და მისი ბერთემის) სიმშვენიერე და მომხიბვლელობა?

მე ყოველთვის, ჩემს მხატვრულ ნაწარმოებებშიაც, ძალიან ვუფრთხი ხოლმე ბუნების აღწერას. ამაზე ზოგი მისაყვედურებს კიდეც. მაგრამ თუ მაინცდამაინც ზოგჯერ ბუნების აღწერას ვცდილობ, უფრო მაშინ, როდესაც მინდა რომელიმე ჩემი მოქმედი პირის განცდა გადმოვცე, მისი სულიერი განწყობილება, თუ ის (ჩემი მოქმედი პირი) ამა თუ იმ გუნებით როგორ აღიქვამს ხოლმე მის მიერ ხილულ ბუნებას, ან მის მოვლენებს.

პირადად მე კი ბუნების აღწერას იმიტომ ვერ ვახერხებ, რომ ეტყობა ცუდი პოეტი ვარ. თუმცა... სინამდვილეში ჩემზე ბუნებას დიდი გავლენა აქვს და მისი სიტურფით თუ ლამაზი უცნაურობით დიდად მოხიბლული ვარ ხოლმე. თან მგონია, რომ ძალიან დიდის სინაზითაც ვგრძნობ მის სიმშვენიერეს თუ გრანდიოზულობას, მხოლოდ ამის გადმოცემის უნარი არ შემწევს.

ეტყობა ვგავარ იმ მწყემსს, ალფონს დოდე რომ ამბობს: დიდი მომღერალი იყო, მხოლოდ არავის მისი სიმღერა არასოდეს არ გაუგონიაო.

თუშცა ამ დიდი ფრანგი მწერლის დამოწმება რად გვინდა! განა ქართველებს არა გვაქვს ანდაზა: „ამირან გულში მღეროდა, ყრმანო, ბანი მითხარითო!“

12

ახალსენაკიდან ბერთემამდე სულ ალმოსავლეთისკენ უნდა იაროთ ნოქალაქის (ნაქალაქევი) „გოჭკადილამდე“ (გაჭედილი). აქ ხიდია მდ. ტეხურაზე გადებული და ამას ეძახიან გაჭედილს.

აქ ერთი გზა კვლავ პირდაპირ მიდის; ხიდგალმა მარტვილისაკენ (დღეინდელი გეგეჭკორი), ლებარდემდე, სადაც სამკურნალო წყლები ამოჩუხჩუხებს, და მგონი თვით ასხაძეასხი ერთ ჩინებულ მთას ჰქვიან ამ არემარეზე, სადაც ზავზულობით საძოვარზე ცხენებსა და სხვა საქონელს მიერეკებიან ადგილობრივი მეგრელები.

მეორე გზა კი გოჭკადილთან ჩრდილოეთისკენ უხვევს და მიემართება სულ განთქმულ სალხინოსა და კურზუმდე, საერთოდ კვლავ ტყეებით დაბურულ მთიან ადგილებისაკენ. ამ კუთხეს ნაწილობრივ უწოდებენ „ლაკადას“ და სალიპარტიანოს. ლაკადა, ეტყობა, შთიულეთს ნიშნავს საერთოდ და სალიპარტიანო კი იმიტომ, რომ ეს არემარე ერთ დროს ეკუთვნოდა თურმე ლიპარტიანებს, რომლებიც განსაზღვრულ დროში სამეგრელოს მთავრებად ითვლებოდნენ. და რატომღაც აქაურ მოსახლეებს ეხლაც თავი მოსწონთ, რომ ამ კუთხიდან არიან, მართლაც ერჩევიან სხვა, დაბლობში მცხოვრებ მეგრელებიდან ტანადობით, იერით, სიდარბაისლით. აქაური მეგრული ენის სიწმინდე ხომ განთქმულია, როგორც საერთოდ სენაკისა და ზუგდიდის ყოფილ მაზრათა მთიულეთისა: ჩხოროწყუ, მოიდანახე, ხაბუმე და სხვ.

და აი თქვენ გაუხვიეთ გოჭკადილიდან ჩრდილოეთისაკენ, რომ ბერთემს ჩაალწიოთ და შეუდექით დედამოკას გზატკეცილს. მაგრამ მე ჯერ ის არ მითქვამს, თუ ხსენებულ ხიდამდე რა გზა გამოიარეთ.

გზა ასეთია:

სენაკიდან გამოხვალთ თუ არა, მაშინვე მოხვდებით მშვენ-

ნიერ სანახაობის სოფ. შხეფში. ჩრდილოეთით გორებმოზღუდული, დობილოებშეფენილი სოფელი, ქვეით, გზატკეცილის მარჯვენა მხარეს ფართო, დაცემული ჭალა მდ. ტეხურამდე, რომელიც სოფელზე კარგა დიდი მანძილით არის დაშორებული. შხეფის შემდეგ კი ქვაშიხორი თავის კარგა მოზრდილი ძველებური ციხის ნანგრევებით. ამ ციხეს ზოგჯერ შხეფის ციხესაც ეძახიან, მაგრამ სინამდვილეში ის ქვაშიხორია, რადგან „ქუაში ოხორუუ“ მეგრულად ნიშნავს ქვის სამოსახლოს, სადაც ერთ დროს უცხოვრიათ სამეგრელოს მთავრებს და იმ დროს, როდესაც ირგვლივ წნელით მოწნულ ფაცხაში ცხოვრობდნენ მოსახლეები, მთავრებს ქვის სასახლე ჰქონიათ და სასახლესთან ციხეც. ციხე მათი თავდასაცავი სიმაგრეც იყო და იმავ დროს დასასჯელ პირთა საპატიმროც.

არსებობს გადმოცემა, რომ ერთ დროს, როდესაც საქართველო უკვე დაწიწილაკებული იყო რამდენიმე კუთხედ— ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო და სხვ. ყველა ამეებს ერთიმეორეში საძმო ომი ჰქონდათ ხშირად გაჩაღებული და ხან ერთი კუთხე მიემძლავრებოდა მეორეს, ხან მეორე. ერთ ასეთი ომის დროს მეგრელებს დაუძლევიათ იმერლები, მათი მეფე ხელში ტყვედ ჩავარდნიათ და სწორედ აქ, ქვაშიხორის ციხეში ჩაუმწყვდევიათ. ეს მეფე მგონი მომკვდარა კიდეც ტყვეობის დროს ქვაშიხორში. ამ ამბით კი დიდხანს თავს იწონებდნენ ჩემი ბავშვობისა და ყრმობის დროს ხანდაზმული მეგრელი აზნაურები.

ამ ამბის გადმოცემა არსებობდა ჩემ დროს, მხოლოდ თუ ამავე ქვაშიხორის ციხეში რამდენი უსამართლოდ დასჯილი გლეხი, ან მთავრის ურჩი თავადი, ან აზნაური დაღუპულა: თვალები დაუთხრიათ, ან თავი მოუკვეთიათ, ან ხუნდებზე დაუსვამთ და უჭმელ-უსმელი, სრულიად უპატრონოთ ციხეში ჩაულპიათ — ამაზე არავინ არაფერს ამბობს და ჩვენი მატიანეები ხომ სრულიად სდუმან ასეთ მოვლენებზე. არც არის გასაკვირი, რადგან მატიანეებს, როგორც ცნობილია, უმეტეს წილ წერდნენ მეფის, მთავრის, ან რომელიმე გავლენიანი მებატონის ერთგული და „შეთეღერებული“ ხმები, თუ იმ დროის ერთეული დაყუდებული ბერები, ან „კარიერისტი“ ხუცები.

ქვაშიხორში, სხვებთან ერთად, აგერ ახლამდე კიდევ ცხოვრობდნენ დადიანების შთამომავლები.

ხოლო ქვაშიხორს რომ გაცდებით, თქვენ მოხვდებით პატარა ქალაქის მსგავს ალაგზე. ეს არის ძველი სენაკი. წინათ სენაკი ერთი ყოფილა სამეგრელოში და ეს სენაკი იყო კიდეც ერთ დროს საბაზრო და სავაჭრო ადგილი ამ არემარეზე. აქ მოდიოდნენ იმერლები, მოჰქონდათ ღვინო, ჰყიდდნენ და სამაგიეროდ ყიდულობდნენ ხარებს, ძროხებს, ზოგჯერ ცხენებსაც, ნაპარავს თუ „არგამას“, ე. ი. ლეგალურს; მოდიოდნენ ბერძნებიც და იძენდნენ აბრეშუმს, სიმინდს და სხვ. თვითონ მოსახლეობა აგრეთვე ჰყიდდა შინაურ ფრინველებს, შინ მოქსოვილ საჩოხე შალებს, პაჭიჭებს და სხვ. ერთის სიტყვით, აქ დიდად გაცხოველებული აღებ-მიცემა იყო გაჩაღებული აგვისტოს 1-დან 15-მდე, ე. ი. მარიამობის მარხვაში, როდესაც იმ დროს სოფელს ყანებში საქმე არა ჰქონდა და თავისუფალი დღეებით სარგებლობდნენ.

აქვე ჩემსობას იდგა ახლადგახსნილი ორსართულიანი, ოთხკლასიანი ესრეთწოდებული სათავადაზნაურო სასწავლებელი, რომელიც დიდის ამბით გაიხსნა წერა-კითხვის საზოგადოების მეთაურობით და რომლის გახსნასაც დაესწრო არამც თუ მაშინდელი სამეგრელოს მოწინავე საზოგადოება, არამედ თბილისიდან ჩამოსული ისეთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი, აკაკი წერეთელი და სხვები. ყველა ამათ გარემოების შესაფერი სიტყვები წარმოთქვეს თურმე და უკვე წინასწარ მოკრებილი მოწაფეები ჩააბარეს გამოცდილ პედაგოგებს — აგლაძეს, შარაშიძეს, გოგოლაშვილს და მათ მეთაურს, ცნობილ პედაგოგსა და ჟურნალისტს, სამსონ ყიფიანს.

ასე რომ, მაშინ ასეთი სკოლის დაარსება სამეგრელოში დიდ ეროვნულ გამოფხიზლებას უდრიდა და აკი ცოტაოდნად თავმოღერილ მეგრელს, ესმოდა, თუ არ ესმოდა მნიშვნელობა ამ გარემოებისა, თავი მოსწონდა და საზოგადოებაში ტრაბახობდა კიდეც.

მხოლოდ თვითონ ძველი სენაკი იმ დროს მეტად მოუწყობელი რამ იყო, ახლა გაიზარდა, გამშვენიერდა, საავადმყოფოცა აქვთ, აფთიაქიც, კლუბიც და ეწევიან სხვადასხვა კულტურულ საქმიანობას.

ჩემ დროს კი მას ძველი სეხაკი ერქვა და ახლაც ასე ჰქვიან. სახელი სენაკი ერთ დროს, როდესაც ფოთისაკენ რკინის გზა იქნა გაყვანილი, წაართვა თეკლათმა, მაგრამ თეკლათი კი არ დაირქვა, არამედ ახალსენაკი და იმიტომ ძველ სენაკს სიტყვა „ძველი“ მაინც შერჩა, თუმცა ახალსენაკმა სულ სხვა დიდი სახელით მოინათლა თავი და ერთი მისი ღირსეული შვილის, მიხა ცხაკაიას სახელი დაირქვა.

ეხლა ყველგან ასე ახსენებენ კიდეც. ერთხელ მოსკოვში ყოფნის დროს დამჭირდა ტელეგრამის გამოგზავნა და მარტო „ცხაკაია“ დავაწერე, მაგრამ ფოსტის თანამშრომელმა გამისწორა და დამაწერინა — „მიხაცხაკაია“ ერთად.

რა იცოდა იმ თანამშრომელმა, რომელსაც მიხა ცხაკაია ერთ სიტყვად აქვს მიჩნეული და ადგილის უბრალო სახელწოდება, ჰგონია, რომ მიხა ცნობილი რევოლუციონერი და ბოლშევიკია და მით უფრო ის სულ არ იცის, რომ ეს მიხა ჩემი ყრმობისა და სიჭაბუკის მეგობარია, მაგრამ ამაზე შემდეგ. ახლა კი, ფოსტის თანამშრომელთან, მეყო იმდენი თავდაჭერა, რომ ტრაბახი არ დამიწყია.

13

ძველსენაკიდან გახვალთ თუ არა, იწყება სორტა, აქედან იწყება უნაყოფიერესი მიწა-წყალი სულ მარტვილამდე ფართოდ გაშლილი ჭალებისა.

სორტა ისტორიულად იმით არის შესანიშნავი, რომ ერთ დროს აქ დაბანაკდა თავისი ამხანაგებით სამეგრელოს ქაკერიას ავტორი უტუ მიქავა. და აქედან იყო, რომ სამმა მეთაურმა — უტუ მიქავამ, უტუ თოდუამ (იგივე „მართალი თოდუა“) და კოჩა თოდუამ ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და, რამდენიმე თვის განმავლობაში, განაგებდნენ მთელ სამეგრელოს ბედ-იღბალს.

აქიდანვე იყო, რომ ქვაშიხორში მყოფ მაშინდელ სამეგრელოს დედოფალ ეკატერინესთან მოლაპარაკება გამართეს წელგამართულებმა. მართალია, ამის შემდეგ დედოფალი რუსეთს გაიქცა და შემდეგ რუსის ჯარის შემწეობით მოაქვრეს აჯანყება და თავადაზნაურობაშიაც შემდეგში გლეხთა ლაშქრის დაცინვით „უტუს ჯარი“ უწოდეს, მაგრამ სამეგრელოს

ქედა ფენის გმირულ სულში ამ მოძრაობამ წარუშლელი კვალი დატოვა და ხალხის შეურიგებელ სულს ტირანიის დამხობამდე ქედი არ დაადრეკინა.

სორტას შემდეგ მოსდევს კოტიანეთი და ბოლოს გამოღმა ნაწილი ნოქალაქისა (ნაქალაქევი) „გოჭკადილამდე". აგრეთვე მთაგორიანი და კოხტა სოფლები, მეგრული ოდებით დამშვენებული გზატკეცილის პირზე გადაკოინდრებული ეზოებიანი, ისეთი ფაქიზი და თითქო ისეთი გამოწმენდილი, ენა რომ დააწო იქაურ მიწას, არავითარი ჭუჭყი არ აგყვება.

ეს ხომ განთქმულია, რომ დაბლობ სამეგრელოში, ისე როგორც ქვემო-იმერეთშიც, ეზოები მეტად სანუკვარად გამოიყურებიან ოდის, ან თუნდა ჯარგვალის, ან პიტაფიცრიდან აშენებულ ქოხის წინ, ეზოს შუაგულ საჩრდილობლად რომ ურგიათ რომელიმე დიდი ხე — მუხა, ცაცხვი, ლეღვი, ან წიფელა; თუნდა თხმელაც. და მათთან შინ რომ შებრძანდები და ღამესაც გაათევ, ისეთი წმინდა ქვეშაგები, აბრეშუმის პირით შეკერილი საბნით, თავის გაქათქათებული ზეწრებით და საურებით მოგერთმევათ, რომ, როგორც იტყვიან, „თვალი ზედ დაგრჩებათ". რაც უნდა ღარიბი იყოს მეგრელი, ქვეშაგებს მეტად ფაქიზად ინახავს.

და აი მივედით „გოჭკადილთან".

როგორც ზემოთაც ვთქვი აქ გზატკეცილი ორად იყოფა, მდინარე ტეხურის პირას, სადაც ხიდია გადებული, ჩემსობას, ხიდამდე ერთი ორიოდე სამიჯნო იყო ჩამოდგმული და ხიდს გაღმა კი მოსჩანდა ძველი, მგონი მეცხრე, თუ მეათე საუკუნეში აგებული კარგა მოზრდილი, შესამჩნევი გეგმით აგებული ეკლესია. მას ორმოცის ეკლესიას ეძახდან, რადგან მტრისგან განაწამები, ეკლესიის მიერ წმიდანებად ჩარიცხული ორმოცი გმირია შიგ დამარხული. მათ საფლავს ეკლესიის ქვედა სართულში ეხლაც უჩვენებენ. ამ მოწამეებს არაბების შემოსევის, მურვან-ყრუს დროს მიაწერენ.

ამ ეკლესიიდან იწყება დიდი ციხის გალავანი, რომელიც გარს ევლება იქვე ამართულ კარგა მაღალ მთას, რომლის წვეროკანაზეც კარგა მოზრდილი ციხეა წამოდგმული. აი, ამ ადგილს ჰქვიან ნაქალაქევი, ანუ მეგრულად ნოქალაქი, და შემდეგ ეს სახელი გადაედვა მთელ ეხლანდელ სოფელსაც და ამ მთის ძირს მდებარე სამკურნალო წყლებს. ეტყობა აქ

ოდესღაც ძველებური ყაიდის ქალაქი იყო გაშენებული, რადგან იმ დროს ქალაქები ზვითონ წარმოადგენდნენ ერთგვარ ციხე-სიმაგრეს და ბურჯადაც ერთი დიდი, ჯარის მეომართა შესანახი და მოსახლეობის თავშესაფარი ნაგებობა ჰქონდათ, როგორც აქ მთის წვერზე წამოდგმული ციხე-ბურჯი, რომელიც ირგვლივ, ოთხივე მხრივ გადაჰყურებს სამეგრელოს აქაურ კარგა დიდ ნაწილს და თვალი მიუწვდება იმერეთისა და გურიის საზღვრებამდე. კარგ ამინდში კი, ფოთისაკენ, შავი ზღვაც ადვილი დასანახია. ამბობენ, ამ მთის პირდაპირ კლდეზე ახლაც ინახება სახომალდო რკინის ღუზაო. მაგრამ ეს ღუზა, რასაკვირველია, არ ეკუთვნის არც ამ ორმოცის ეკლესიის და არც ციხის აგების დროს. ის უფრო სხვა დროისაა, თუნდაც წარმოვიდგინოთ პირველი საუცხოო სილამაზის და ხასიათის ქალის მედეას, რომლის მამას ბერძნული გამოთქმით ოეტეს და ჩვენებურად ოტიას ოქროს მატყლიანი ვერძი ჰქონდა თავის ხასახლის კარზე ჩამოკიდებული და რომლის მოსატაცებლად ბერძენი არგონავტებიც კი ჩამოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში და, მაშინდელ კოლხიდას მარტო ოქრო კი არ წაართვეს, არამედ მათმა ერთმა საუცხოო ჭაბუკმა — იაზონმა — მედეაც კი გაიტაცა. აი ამ დროს ზღვით იყო მოფენილი აქური არემარე და ღუზაც იმ დროინდელი უნდა იყოსო, ამბობდნენ ჩემს დროს აქაური ხნიერი ადამიანები.

თვითონ ციხეს კი, ჩვენს მატიანეებს თუ დავუჯერებთ, ჰქვიან გოჯის ციხე, ანუ ქუჯისა. ეს ქუჯი ხომ ლეგენდარული ვინმეა და იხსენიებენ როგორც საქართველოს არა ნაკლებ ლეგენდარული პირველი მეფის, ფარნავაზის სიძეს. ასე რომ, პირველი მეგრელის სახელი ჩვენს ისტორიაში ქუჯუიმ მოიკუთვნა და მეც ჩემს სიჭაბუკეში, ამით გაბრიყვებულმა, პირველად ჩემს საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისას ფსევდონიმად ქუჯი ავირჩიე. მით უფრო, რომ ქუჯის ციხე ნაშვილაქევის მთის მეორე მხარეზე, ზედ ჩემს სოფელს, ბერთუბანს დაჰყურებს. მხოლოდ შემდეგ შევატყვე, რომ არც „წალვა დადიანი“ იყო მაინცდამაინც შემარცხვენელი და ამ „მარკით“ დავდივარ ეხლაც.

დიდი გალავნის შიგნით, ეკლესიის ეზოში, კიდევ არის ერთი უფრო მომცრო გალავანი, რომლის თავიც ზევით, მთა-

ზე, პირდაპირ ციხე-ბურჯს ებჯინება და ბოლო კი ხიდის ქვემოთ, პირდაპირ მდ. ტეხურზე გადის. ეს თურმე გვირაბია, საიდუმლო გასასვლელ-ასასვლელი ციხისა, რომ მტრის შეუმჩნევლად, საჭიროების დროს, ხალხით და წყლითა თუ სხვა რამ საკვები მასალით მოემარაგებინათ დასაცავი ადგილი. გარეშე მტერი, ეტყობა, უფრო სამხრეთიდან ადგებოდა ციხეს, ეს გვირაბი კი მათგან მოფარებული დასავლეთისკენ მდებარეობდა. იმავ დროს ამ გვირაბის პირად მდ. ტეხური დიდად ღრმაა და მორევად არის ქცეული, გვირაბის პირიც კლდოვან ადგილებშია გაყვანილი. ასე რომ, გვირაბის შემჩნევა უცნობისთვის არც დუ ისე ადვილია ეხლაც-კი, და ძველ დროს ხომ კიდევ უფრო შენიღბული იქნებოდა.

ამ ციხის ძირს ომი ხშირად ყოფილა თურმე კოლხიდს არემარეზე. ერთ დროს ბიზანტიელები და სხვა დროს არაბები ჭეთ მოისწრაფოდნენ, ეხლანდებურად რომ ვთქვათ, თავიანთი აგრესიული მიზნების განსახორციელებლად, განსაკუთრებით არაბები, მურვან-ყრუს ჯარების შემოსევის დროს. მურვან-ყრუს სახელი, როგორც სასტიკი და განუკითხავი მტრისა, დღემდე ხალხშიაც იყო შემორჩენილი და ჩვენი მატიანეები ხომ დიდხანს ჩერდებიან ქვეყნისთვის ამ დიდი შეჭირვების ამბებზე. ამბობენ, რომ იმერეთში ხსენებული არაბების შემოსევის დროს არიან გმირულად დაღუპულები დავით და კონსტანტინე მხეიძეები და, ვინ იცის, კიდევ რამდენი დღეს უხსენებელი ვაჟკაცი, ვინ იცის რამდენი მათგანი ემსხვერპლა არაბებთან უსწორო ბრძოლას! ასე იყო იმერეთში, ასე მოხდა სამეგრელოშიაც. ჩვენი მატიანე იხსენებს ნაქალაქევთან ომის დროს არაბების ერთ რომელღაც მძვინვარე სარდალ მერმეროეს, რომელიც რამდენჯერმე შემოესია თავისი ჯარით ქუჯის ციხეს, დიდი ზიანიც ჰიაქენა ჩვენს ლაშქარსა და მოსახლეობას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ დაიმორჩილა ხალხი. ცნობილია, რომ არაბებმა თითქმის მთელი საქართველო დაიპყრეს ერთ დროს და კარგა ხანსაც ბატონობდნენ, მაგრამ კოლხიდის ამ კუთხეში მაინც ვერ იბოგინეს.

ჰმ! მერმეროე! არაბების სარდალი! ჯერ თქვენ სახელი გასინჯეთ!

ჩემს ყურში დღესაც ზღაპრულად ხმაურობს ეს მრავალ-ბგერიანი სახელი.

და აი ამ ადგილებიდან იწყება გზა ბერთემისაკენ. ეს ის ადგილია, სადაც ლამაზი ტეხური თავისი ლურჯი, ანკარა ზვირთებით გამოსულა კლდოვანი მთების ვიწროებიდან, ორმოცის ეკლესიის ძირას თავისუფლად შლის თავის მჩქროლავ ნაკადულებს და ეშვება ფართო ჭალებში და მერე ლაღად მიექანება შავი ზღვისაკენ.

„გოჭკადილთან“ ბერთემს გამგზავრებული სწორედ ამ ტეხურის ნაპირს უნდა გაჰყვეს და შეუდგეს აღმართს, რაიც ამჟამად კარგა ფართო გზატკეცილად არის გაყვანილი „ლაკადისაკენ“, სალიპარტიანოსაკენ.

გზატკეცილი მიუყვება მდინარის პირს, მაგრამ თვითონ კარგა მაღლაა აწეული სანაპიროდან და კლდოვან მთის ფერდობებს უვლის გარშემო. მთელი გზა ძალიან მოგაგონებთ განთქმულ დარიალის ხეობას. მხოლოდ მინიატურულად, რა თქმა უნდა, რადგან ამ გზის მანძილი ერთ რაღაც 4 — 5 კილომეტრით თუ განისაზღვრება. მხოლოდ თავისი იერით მოგაგონებთ აღმოსავლეთ საქართველოს ხსენებულ სამხედრო გზას: იქით-აქეთ კარგა მაღლა ამართული მთები, ერთი მხრით უფრო კლდოვანი და მომცრო ხეებიბა და ჯაგებით შემოსილი, მეორე მხრივ კი წიწვოვანი ნაძვნარით და ფიჭვნარით თავმოწონებული. ხეობა კი თავისთავად ვიწროა, მაგრამ მაინც თვალს ხიბლავს აქაური ბუნება და ფილტვებით ხომ ატყობთ, რომ როგორღაც თავისუფლად სუნთქავთ. ასე, კარგა ხანს, მიდიხართ ესეთ გარემოში, მაგრამ უეცრად ხეობა კიდევ უფრო ვიწროვდება და მაღლობებზე მიმავალი გზატკეცილიდან უეცრად დაინახავთ რომ ის ტეხური, რომელიც აქამდე კარგა ფართო კალაპოტში იყო გაშლილი, უეცრად ისე დავიწროებულა, რომ აქედან ისე მოსჩანს — ადამიანმა ერთი კიდიდან ფეხი რომ გადააბიჯოს, მეორეზე დაადგამსო. გეუცნაურებათ მოზრდილი მდინარის უეცრად ასე პატარა ღელედ ქცევა.

ამ ადგილს ჰქვიან „დედა-მოკა“ და ამის გამო მთელს ამ გზას „გოჭკადილიდან“ სოფ. ბერთემამდე იგივე სახაელი ეწოდება: „დედა-მოკა“.

„მოკა“ ანუ უკეთ „მონკა“ მეგრულად მძიმეს ნიშნავს.

სიტყვა დედის დამატებით კი, აქ უკვე, ფეხმძიმე ქალის გამომსახველია. ჭართულში ფეხმძიმეს ორსულ ქალს ვუწოდებთ ხომ? მეგრულში „ფეხმძიმეს“ სიტყვა „ფეხი“ მოშორებული აქვს, მხოლოდ „მძიმეს“ მეგრელი უმატებს „დედასა“ და ამით ორსულ ქალს წარმოიდგენს. საკვირველი კია, ქორწილის დროს ფეხის შესახებ მეგრელი კიდეც მღერის: „კუჩხა ბედნიერი“ თუ „კუჩხი ბედნიერი“. აქ კი კუჭხზე, ფეხზე სრულებით არ არის ლაპარაკი. ორსულს კიდევ თავის სახელი აქვს მეგრულში: „უსენო“, მაგრამ ამის გარკვევა შორს წაგვიყვანს!

„დედა-მოკას“ სახელწოდების გარშემო კი არსებობს ასეთი ლეგენდა:

მურვან-ყრუს დროს, როდესაც მერმეროე გარს ადგა ქუჯის ციხეს და აღებული არა ჰქონდა, ციხესთან ჩრდილოეთის მხრიდან მცხოვრებლებს, ეტყობა, მსვლელობა შეწყვეტილი არა ჰქონიათ და აი ერთ დღეს სწორედ ჩრდილოეთის მხრიდან, რომელიღაც სოფლიდან, შეიძლება ბერთემიდანაც, ციხესაკენ მიდიოდა ერთი ორსული ქალი. ეს დაინახეს თურმე იმ არემარეზე მოთარეშე არაბმა ჯარისკაცებმა და ქალს დაედევნენ. ქალმაც შეამჩნია მდევრები და ფეხს გაუჩქარა, მაგრამ აქ კი მდ. ტეხურს მიადგა. ახლა რა ქნას? „წინ წყალი, უკან მეწყერიო“, რომ იტყვიან, ესეთ მდგომარეობაში ჩავარდა და უკვე სასოწარკვეთილმა ქუჯის ციხეს მიაპყრო თვალი. ციხეში წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაც იყო თურმე და სწორედ ამ წმიდა გიორგის შეთხოვა შეშველებაო.

ლეგენდა ამბობს, რომ სწორედ ამ ქალის ვედრების დროს მოისმა საშინელი ჭექა-ქუხილი, შეირყა დედამიწა და ტეხურის ორივე მხრიდან გადმოცვივდა კლდეების უზარმაზარი ქვები. ამ ქვებმა კი ისე დაავიწროვა ტეხურის კალაპოტი, რომ ქალმა თავისუფლად გაადგა ფეხი და მეორე მხარეზე გადავიდა, მხოლოდ როდესაც მდევრებმაც მიაღწიეს ამ ალაგს, დავიწროებულმა მდინარის კალაპოტმა კვლავ იმდენზე შეიწყია, რომ ადამიანი იქ ვეღარ გადააბიჯებდაო.

ამ ამბის შემდეგ დაერქვა ამ ადგილს — „დედა-მოკა“ და შემდეგ მთელ კლდოვან გზატკეცილსაც.

მამაჩემს უნდოდა ამ ლეგენდის შინაარსზე დაეწერა პო-

ემა. დაიწყო კიდეც, მაგრამ, როგორც სხვა ბევრი საგულისხმო ნამუშევარი, ესეც დაუწერელი დარჩა.

მკითხველს ცოტა გაუკვირდება უთუოდ — რას გვიამბობს ეს შალვა? რა დროს ისტორიული ეპიზოდები და ლეგენდებია, ის გვიამბობს, რაც მას თვითონ გადახდა, როგორ წარიმართა მისი ცხოვრების გზაკვალი.

მაგრამ ჯერ ერთი იმ ადგილს, სადაც მიცხოვრია კი არა, გზად გამივლია, მისი მდებარეობისა და ავლა-დიდების ამბები გულს ჩამრჩენია, ამასაც მგონი, მნიშვნელობა აქვს ჩემი „თავგადასავლისათვის“, და მეორე კიდევ ის, რომ თქვენ მთელს ამ ჩემს ნაწერში შეამჩნევთ, რომ სამეგრელოს სიყვარული ჩემთან მოფრინდება ხოლმე „მსუბუქ ფრთითა“ და... ვერ ველევი. ამას გარდა ვიღაცამ თქვა: მოხუცებს უყვართ მონოლოგებიო.

და... იყოს ესრეთ!

მაშასადამე, „დედა-მოკას“ გზაზე ჩვენ წავაწყდით ერთგან მდ. ტეხურის ძალზე მევიწროებულ კალაპოტს, რომლის გარშემოც ოდესღაც უფეთქია ხალხის ლეგენდას, შემდეგ რამდენჯერმე მოუხვევია მარცხნით და მაშინ, როდესაც ერთის მხრით ისეთი კლდოვანი ფერდობია, გგონიათ თითქო უფსკრულს გადაცქერისო, გეშინიათ, რომ რითაც თქვენ მიემგზავრებით — ცხენით, ეტლით თუ ავტოთი — გზის კიდეზე არ მოსხლტეს და უფსკრულში არ გადაიჩეხოსო, უეცრად, ერთერთი ფერდობის შემდეგ, კარგა ფართოდ ჩავაკებულზე, გაშლილნდება მდინარის პირას დიდი და ლამაზი მინდორი, ლამაზი და ხალისიანი, თითქო გიწვევთ თავისთან: აქ ჩამობრძანდითო, საამური ადგილია და დრო გავატაროთო, მაგრამ, ეტყობა, მარტო დროს სატარებლად არ ჰქონდა ამ მინდორს თავი განკუთვნილი. მის ფართო გულ-მკერდზე ხშირად იყო მოვენიერი სიმინდის ყანები აბიბინებული და ეგეც აძლევდა მუშტრომელებს საზრდოს, თან როგორც ამბობდნენ, მეტად უხვსა და კარგ ხარისხისას. ამ მინდორსაც თავისი სახელი ჰქონდა და უთუოდ აქვს დღესაც: „ჯავახეთი“. ეს კი ვერაფრით ვერ გავარკვიე, თუ საიდან მოვიდა ოდიშში ეს მესხური სახელი. ასე მაკვირვებს მე გურიაშიაც სოფლის სახელი „საჯავახო“. სამეგრელოს ზემოხსენებულ მინდორზე კი გამიგო-

ნია, რომ ერთ დროს აქ გვარად „ჯავახიებს“ ედვათ ყანებიო. შეიძლება ეს ასეც იყოს.

14

ამ მინდვრის შემდეგ გამოჩნდება კოხტა ბერთემი.

ერთი 15—20 კილომეტრის მანძილზე თვალი წვდება აღმოსავლეთ-სამხრეთის მხრივ მდ. ტეხურის ნაპირის გაშლილ ფართობს, მეორე მხრივ კი ჩრდილოეთისაკენ კვლავ მთებსა და გორაკებზე შეფენილ სამოსახლოებს.

ლამაზი სანახავია და ვიწროებიდან გამოსულს გიხარიათ, რომ ასეთ შნოიან ბუნების წიაღში მოხვდით.

„დედა-მკას“ გზიდან ბერთემში შესვლისას, უწინარეს ყოვლისა, თქვენ თვალში გეცემათ პატარა აგარაკზე წამოსკუპებული ციხე-კოშკი. ეს ადგილი ყოფილა ბერთემელი დადიანების მამამთავრის, გიორგის სამოსახლო თავისი მაშინ აუცილებელი ციხე-კოშკით, რადგანაც, როგორც ცნობილია, ესეთი კოშკები იმ დროის ფეოდალს უთუოდ უნდა ჰქონოდა. ეს იყო მისი ღირსების მაჩვენებელი და იმავ დროს ერთგვარად დამცველი უფრო შინაური მომხვდურებისაგან. ეს მომხვდურები იყვნენ უფრო ხშირად ადგილობრივი, დროდროთი აჯანყებული გლეხები, ყმები ფეოდალისა, ან სხვა თავადები, რაიმე მიზეზის გამო გადამტერებულები, ზოგჯერ თვით მკვიდრი ძმები. და აი ასეთი საგვარეულო ციხე-კოშკი ჩემსობასაც შემორჩენილი იყო ს. ბერთემს მეცხრამეტე საუკუნეშიაც.

ხსენებულ გიორგის ჰყოლია ორი ვაჟი — ალექსი და კოსტა და აი მხოლოდ ამ ორის შთამომავლები ვცხოვრობდით ამ სოფელში. ჩემსობას ბერთემში სულ ვიყავით ხუთი მოსახლე: ალექსის შვილებში — ბესა (ბესარიონ), დუტუ (დიმიტრი) და მამაჩემი ნიკო, ბესა და დუტუს ძმისწული, ტაიას (ტარიელის) შვილი, კოსტას შვილებში კი — სამსონი და დავითი. კოსტას შვილებს შვილები არა ჰყავდათ, უძეოდ გადავიდნენ. ალექსის შვილებში კი შვილებიანი იყვნენ ბესა, დუტუ და მამაჩემი. მაგრამ რაკი დუტუს მხოლოდ ერთი ქალიშვილი ჰყავდა — პარტყუნია (ნათლობით ივლიტა), ვაჟებიანი მხოლოდ ბესა და მამა დარჩა. ბესას ჰყავდა ვაჟი პეტ-

რე, სამხედრო სამსახურში მყოფი, პოლკოვნიკის ხარისხისა და დარჩა მასაც ორი ვაჟი: გულიკო (კონსტანტინე), ინჟინერი, და კოტიკო (ნიკო), მუსიკოსი. მამას კი ვაჟთაგან ძხოლოდ მე ვყავარ. ამჟამად კი ბერთემელ დადიანებთაგან ამ სოფელში აღარავინ ცხოვრობს. ჯერ კიდევ რევოლუციამდე ამოვიდგით იქიდან ფეხი და გავიფანტენით.

მეც ჩემი ბავშვობა ნაწილობრივ ზემოხსენებული ხუთი დადიანის ოჯახებში გამიტარებია. ერთი კია, ჩემი ტოლი და ჩემი ხნის ყმაწვილები მათ შორის არა ყოფილან. პეტრე იყო და, ჯერ ერთი ის ჩემზე ხნით უფროსი გახლდათ, მერმე კიდევ ჯერ სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა, შემდეგ კი პოლონეთში მსახურობდა და ჩვენი დაახლოება და მეგობრობა იწყება უკვე მონაქცევზე, როდესაც ის სამსახურიდან გამოვიდა და მეც ცხოვრების დიდ ასპარეზზე ვიყავ გამოსული. ასე რომ, ვიმეორებ, ბერთემში, ჩემს ნათესავებში, არავინ „მფსონი“ არა მყოლია. სამაგიეროდ კარგა ძალი ამხანაგები მყავდა იქაურ გლეხებში, მაგრამ სანამ მათ მოვიხსენიებდე, საჭიროა, ჩემი ფიქრით, დავახასიათო ჩემი ბიცოლა-ბიძაჩემი, რადგან მათი ხასიათი და ცხოვრება აქამდე გამოჰყვა ჩემს მახსოვრობას.

აქ მოსახსენებელი ის არის, რომ არც ერთი ბერთემელი დადიანი არ იყო ყოყლოჩინა და კუდაბზიკა. თავიანთი იმ დროს მიჩნეული დირსება იცოდნენ და საზოგადოებაში ამით შეიძლება თავმომწონეობდნენ კიდეც, მაგრამ ამას მაინცდამაინც არ იმჩნევდნენ, თვალში არავის არ ეჩხირებოდნენ და მათი ხასიათი უფრო ლმობიერებისა და სათნოებისაკენ იხრებოდა.

მე შემდეგში დიდად გამაკვირვა ქართველი ბელეტრისტებისაგან აღწერილმა მებატონეებისა და გლეხების ალმაშფოთებელმა დამოკიდებულებამ. ბერთემში მიღებული შთაბეჭდილება სრულიად ეწინააღმდეგებოდა მწერლობის მიერ აღწერილ სურათებს.

ეგზეკუცია! ეს საშინელი რამ, ნამდვილი „ღვთისრისხვა“ გლეხებისათვის, ჩვენს არემარეზე ხომ არამც თუ არ განუცდიათ იქაურ მშრომელ მოსახლეობას, არც კი მოჩვენებიათ, მაშინ როდესაც სხვა შორეულ სოფლებისთვის თავადებისაგან გამოთხოვილი ჯარი, ბოლო ხანებში მაინც 1905 წ. მო-

ახლოებით და შემდეგაც, არც თუ ისეთი ოშვიათი მოვლენა იყო.

რა იყო ამის მიზეზი, რომ ბერთემელი დადიანები არ მისდევდნენ თავის ყმებში მაინცდამაინც დიდ სისასტიკეს?

ჩემის ფიქრით, მეტად კეთილი გავლენა ჯერ ბებიაჩემის, მარიამ აბაშიძის, მისი ჯანსაღი შეხედულება საერთოდ ადამიანზე, რომ მას გლეხიც ადამიანად მიაჩნდა — ბებიას კი უჯერებდნენ, რადგან თავის უმწიკვლო ზნეობით დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ირგვლივ მოპოებული; შემდეგ კი თვით მამაჩემის, რომელმაც, სხვა რომ არა ვთქვათ რა, ყველა მისი ყმა, სადაც კი იყვნენ, სრულიად უსასყიდლოდ გაანთავისუფლა და საერთოდ ხშირად გლეხების ინტერესების დამცველად გამოსულა თავის სიცოცხლეში როგორც საზოგადო შეკრებულებაში, ისე შინაობაშიაც. მამაჩემი კი ესახელებოდათ საერთოდ სამეგრელოში და მისიანებში ხომ კიდევ უფრო, ასე რომ ძალიან ძნელი იყო ესეთი კაცის საქციელის წინააღმდეგის რისამე ჩადენა.

საერთოდ თითქმის ყველა ესენი გულკეთილი ხალხი იყო და მათგან მიმძლავრებული გლეხი, ან ვინმე თავადთან, თუ აზნაურთან არავითარი მათი ფიზიკური შეტაკება ნე არ გამიგონია და არც მახსოვს.

ეს არც იმით აიხსნება, რომ ისინი სხეულებრივ დაჩაგრულები ყოფილიყვნენ ან სულით გლახაკები, რომ არ შეძლებოდათ ვისიმე გამკლავება, განსაკუთრებით ალექსის შვებლებში. ბესა არაფერ იარაღს არ ატარებდა, მაგრამ სამაგიეროდ კარგად ჩამკვრივებული სხეულის პატრონი და მეტად მწყაზარი სახის მქონე, ლამაზიც კი, ისეთი ღონიერი იყო, რომ ამბობდნენ, რვა ფუთიან სიმძიმის აწევას ადვილად ახერხებდაო. დუტუ კიდევ მშვენიერად მოყვანილი ვაჟკაცი, ტანადი, ახოვანი, იერიანი. მისი მცწრობნი ამბობდნენ, დუტუ რა შეკრებილებაშიაც უნდა ნახო, უთუოდ იკითხავ — ეს კაცი ვინ არისო. თავის დროზე მთავარ დადიანის კარზე მსახუროობდა დედოფლის საგარეო მხლებლად, სროლასა და ხმლის ხმარებაში განთქმული იყოო.

არც თუ ღვინოს ეტანებოდა ეს ორი ძმა — მხოლოდ მაშინ, როდესაც სახლში სტუმრები ჰყავდათ, ან თვითონ იყვნენ სადმე წვეულნი ჭორწილში ან დღეობაზე.

კოსტას შვილებში უმცროსი, დავითი, მეტად კეთილი კაცი იყო. სულ თავს დატრიალებდა თავის პატრონა, მაგრამ შემოსავლიან მამულს ბერთემსა და უშაფათში. ამ ორ სოფელში ჰქონდათ სამემკვიდრო ბერთემელებს. ამიტომ ყოველდღე დავითი თავის განუყრელ მაჯაგ ჯორზე შემჯდარი, ჩამოუვლიდა თავის მიწა-წყალს და ცხადია, შეივლიდა ხოლმე თავის ნაყმევების ხან ერთ ოჯახსა და ხან მეორეში. იქ კი უთუოდ მოართმევდნენ თავის ნაბატონარს ან იზაბელას (ადესას) ღვინოს, ან კიდევ უკეთესს, განთქმულ ოჯალეშის ტოლს გუდაათუროონს. და დავითიც შეჭიკჭიკებული თავის საყვარელ „იჯოუყუზეიტ“-ს შემოსძახებდა. ეს იყო მისგან ხუმრობით გამოგონილი ვითომდა აფხაზური სიტყვა. მისი უფროსი ძმა სამსონი სულ სხვა ხასიათის იყო. ტანით ერთი ჩინ, გამხდარი და არც თუ ძალიან სახიერი, როგორიღაც გულჩახურული კაცი იყო. ესეც თავს დატრიალებდა თავის მიწა-წყალს, მაგრამ უფრო ხშირად კი ახალსენაკში იყო სასამართლოში, სადაც მუდამ განუწყვეტელი დავა ჰქონდა გაბმული ან თავის ნაყმევებთან, ან ხიზნებთან, ან მეზობელ აფაქიძეებთან, ფალავებთან და სხვ. ეტყობა, ესეთი საქმიანობა თუ არ ახარებდა, ართობდა მაინც და თითქოს ამაზე იყო გადაგებული. ბესა და დუტუ კი დასცინოდნენ, ახალსენაკის სუდია ბერიძე რუსულად „კნიაზ-სუტიაგა“-ს გეძახისო. სამსონმა გაიგო „სუტიაგას“ მნიშვნელობა, მაგრამ არა წყინდა, ამ დაცინვაზე ერთს ჩუმად ჩაიცინებდა წვერ-ულვაშში.

„სუდია ბერიძე“!

თავის დროზე მთელი მაშინდელი სენაკის მაზრა უმეტეს წილ ეშვილიერებოდა თურმე: მეტად სამართლიანი კაცი იყო. საქმეს მუდამ საფუძვლიანად გაარჩევდა და უმეტეს შემთხვევაში მხარეების მორიგებას ცდილობდა. თან საქმეების გარჩევის დროს დინჯად ხუმრობდა კიდეც და ამ ხუმრობაში სიმართლეს არკვევდა.

ეს კაცი ერთ დროს გაბედულად შემოვიდა ქართულ ლიტერატურაში. ილია ჭავჭავაძის პირველ ჟურნალ „საქართველოს მოამბე“-ში კარგა მოზრდილი ესრეთწოდებული სათავგადასავლო რომანი მოათავსა: „უცნაური ნიშნობა თფილისის მესაიდუმლეთაგან“.

მამაჩემს წყინდა: ამ კაცს ცხოვრების ცოდნა ჰქონდა, კარგი მხატვრული თვალი, კარგი ენაც, და ბოლოს თავისი თავი მარტო მართლმსაჯულებას გადააგოო.

აი ამ კაცმა დაარქვა ერთ ბიძაჩემს „სუტიაგა“.

ბიძა-მეთქი, რომ ვამბობ, ასე ვიყავ დაჩვეული ბავშვობიდან და ასე ვეძახდი ყველა ბერთემელ დადიანს, თორემ ალექსის შვილები ბაბუაჩემის, ტაიას ძმები იყვნენ, კოსტას შვილები კიდევ მათი ბიძაშვილები, მამას კი ძმა არა ჰყოლია, ერთადერთი ვაჟი იყო ოჯახისა, ასე რომ მამით მკვიდრი ბიძა არასოდეს არა მყოლია.

არც მამიდები. თუმცა მათ ყველას ბაბუდებს, მამიდას ვეძახდი ბავშვობიდან. ერთი მათგანი ხომ, ნინო ფალავა, სულ თითქმის განუყრელად ჩვენთან იყო, ხან ჩვენსა სოფლად და ქალაქად, ხან ჩვენ მასთან, მის ოჯახში, სოფ. ბანძაში. ეს უფრო იმიტომ, რომ ნინო და მამაჩემი ხნით ტოლები იყვნენ, ბავშვობიდანვე ერთიმეორეს შეჩვეულნი და მამა სხვა მამიდებზე უფრო ამასთან იყო დაახლოვებული.

ახლა ბიცოლები ყველანი ეგენი თავადის ქალები იყვნენ, რადგან იმ დროს სამეგრელოშიაც თავადისაგან თუ არ თავადის ქალის თხოვნა, სხვა წოდებიდან „არ ეგებოდა“, მით უფრო დადიანებისაგან. და აი ბესას ჰყავდა ანჩაბაძის ქალი, ერთ დროს ლამაზი და ეშხიანი, მაგრამ მე ის მუდამ, ზამთარ-ზაფხულ, ყოველ ცისმარე დღეს, მწოლიარე მახსოვს. იშვიათად თუ წამოდგებოდა თავის სახლში და გარეთაც რაიმე დიდ დღესასწაულზე თუ წავიდოდა ეკლესიაზე, რძლებთან ხომ თითქმის არ დადიოდა. არც ჩვენსას მახსოვს მისი ამოსვლა, იმიტომ კი არა, რომ სამდურავი ჰქონოდეს რძლებთან ან ვინმესთან, ისე, რატომღაც განდეგილივით უყვარდა ცხოვრება და ჩემსობას შინაც თავისი შვილები არა ჰყავდა, გარდა ერთი უფროსი ქალისა, პასიკოსი, რომელიც მხოლოდ დედის გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგ გათხოვდა და ისიც ცოტა ხანში შესული, წაიყვანა გურულმა შალიკაშვილმა და ბედნიერად დალია თავისი დღენი. ბუნებით კი მეტად მხიარული, მეჩანგურე და მომღერალი ქალი იყო და თავის კეთილი ხასიათის გამო მთელ სოფელს უყვარდა, მეც მისგან ძალიან განებივრებული ვიყავი. სხვა შვილები, ვაჟი, მაგალითად, პეტრე, როგორცა ვთქვი, მეტწილად ჯერ გიმნა-

ზიაში იყო, შემდეგ სამხედრო სასწავლებელში და, ბოლოს, სამხედრო სამსახურში, ასე რომ შინ იშვიათად ბრუნდებოდა. დანარჩენი ორი ქალიშვილი კი ადრე დათხოვდნენ.

და აი ერთხელ, მონაქცევზე, მუდამ მწოლარე ჩემს ბიცოლას, ბესას მეუღლეს, ანჩაბაძის ქალს, მოესურვებინა სამურზაყანოს წასვლა თავის ქალ დესისთან. წასულა კიდეც, ცოტა ხანი მოუთევია კიდეც თავის შვილთან, მაგრამ გამხდარა ავად და გარდაცვლილა კიდეც. აქ მოხდა ერთი კურიოზი: სიძემ, როგორც იტყვიან, „არც აცივა, არც აცხელა“, არავის ჭირისუფალს არ შეატყობინა ადამიანის გარდაცვალება, თავის სახლშიაც, სოფლის ჩვეულებისამებრ, არ მოუწყო შეცხადება და შეტირილი, კუბოში უჩუმრად მოათავსა მიცვალებული და პირდაპირ გაბოლდგა გზას სოფ. ბელიიდან ბერთემისაკენ. ამათ შორის კი დიდი მანძილია და ადამიანი ცხენითაც ერთ დღეს ვერ ჩააღწევს, ამიტომ სიძემ ზუგდიდს მიაღწია თუ არა, გაახსენდა რომ სოფ. ყულისკარში ცხოვრობდა ბესას სიძე — პეტრე მხეიძე და ღამის ბინდბუნდში პირდაპირ მიაყენა მის სახლს მიცვალებული. მხეიძის სახლში მამაკაცთაგანი არავინ იყო, შინ იყვნენ მხოლოდ მოხუცი დადიანის ქალი სიდუ, ბესას და, თავის მოხუცივე მოახლით. კუბოს დანახვაზე თურმე ორთავენი კინაღამ ჭკუიდან შეიშალნენ. მაგრამ სიდუ გონიერი ადამიანი იყო და როდესაც გაიგო სინამდვილე, შარვაშიძეს არ აგრძნობინა მისი უხეშობა და ჩვეულებრივი ჭირისუფლობა გამოიჩინა. მკვდარი-აღარ დაანება სიძეს ბერთემს წასაღებად, თვითონ გაგზავნა კაცი ძმასთან უბედურების შესატყობინებლად და ტირილის დღეც თვითონ დანიშნა თავის სახლში. დანიშნულ დროს ბერთემიდან ჩამოვიდა ბესა ფავისიანებით, სხვა ხალხიც შემოკრბა სატირალში და შემდეგ პატივისცემითა და სამგლოვიარო „ზარის“ გალობით წასვენებული იქნა მიცვალებული სოფელ ბერთემს თავის სამარხში.

სიძეს უძრახავდნენ მის უცნაურ საქციელს, მაგრამ გამოცდილები ამბობდნენ „რა მოეთხოვება კვაჯი შარაშიას, ერთი სოფელში აღზრდილი აფხაზი „შიშტიბუქა“ თავადიაო“.

მეორე ბიცოლა, ეს უკვე ბესას უმცროსი ძმის, დუტუს ცოლი იყო, მინადორა, ფაღავას ქალი. საერთოდ კი შინაუ-

რებშიც და გარეშენიც გრძელი სახელის მაგივრად ხელოკლებით მინას ეძახდნენ.

ლამაზი ქალი იყო, კოპწია. უყვარდა კოხტა ჩაცმა-დახურვა. თან მეტად ზრდილობიანი და მომხიბვლელი ქალი იყო, მაგრამ რატომღაც თავის ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა. თუ ძალიან საპატიო სტუმრები არ მოუვიდოდათ ოჯახში, ისე თავის ოთახიდან ფეხს არ გამოდგამდა და ამის გამო ხშირად უსიამოვნებაც შემთხვევია ქმრისაგან, სადმე წასვლაც ან ნათესავებში, ფაღავებში, მაგალითად, ან რაიმე ღვინასწაულზე, თუ არ დიდის გამოჩენებით, არ უყვარდა: უთუოდ საუკეთესო კაბა უნდა ცმოდა, საუკეთესო ცხენი და საქალო უნაგირი, ევროპული სუდლო, ძვირფასად მოქარგულის ასალით (თოქალთოს ზემოთ ცხენის გავაზე გადასაფარებელი ქსოვილი) ჰქონოდა, თან კარგა ძალი ამალაც უნდა ხლებოდა თავის ქმრის წინამძღოლობით, ადგილობრივი აზნაურები: ბარკალაიები, შავდიები, და ასე გამომზეურდებოდა. არც თუ დიდი მფოჯახე იყო, მაგრამ მუდამ ჰყავდა მეოჯახეობაში დაბელოვნებული ვინმე ხანში შესული დედაკაცი დადის იყო ღერძი ოჯახისა. თვითონ მხოლოდ განკარგულებას იძლეოდა.

შვილი ერთი ჰყავდათ, ულამაზესი გოგონა, სახელად პარტყუნია. ეს დედის მიერ საალერსოდ შერქმეული სახელი იყო, მეგრული სატყვიერებიდან გამომდინარე. ბი ამ შვილის დიდი სიყვარული ჰქონდა, თვალიდან არ იშორებდა, სულ თავზე დატრიალებდა და ამის გამო, როგორც ყველა დედის კაბასთან მიკედლებული ბავშვი, ისიც დედის ერთა, საბოლოოდ გამოვიდა სახით მშვენიერი, მაგრამ მეტად განებივრებული და საკუთარ ნებისყოფას მოკლებული ადამიანი. მაინცდამაინც მინამ პარტყუნიას იმ დროის სათავადაზნაურო პირობების მიხედვით ბრწყინვალე გათხოვება მოუწყო. მითხოვა ისევ დადიანს, ზუგდიდის მაზრის, წალენჯიხელ დიდად შეძლებულ დიმიტრი დადიანის ვაჟს — ბაძუს.

მე მახსოვს მათი ჯვრისწერა და დიდი ქორწილი იმ დროის მიხედვით. პირველად ვნახე ჩვენებური მაშინდელი დროის ნადიმი. სამ დღეს გაგრძელდა. შვენოდა დუტუს დიდოდის ფართო დარბაზს უცხო სტუმრები, ჩამოსული იმერეთიდან, აფხაზეთიდან, გურიიდან. იყო საუცხოო სიმღე-

რები, ცეკვა და ქართული ჰუმორშეზავებული სიტყვათა თამაში.

პარტყუნიას ქმარიც ბაძუ ჩამოესახლა ბერთემს, თუმცა თავისი მშვენიერი მამული წალენჯიხაში არ მიუტოვებია და მთელი ოჯახი მორიგისით ხან ბერთემს ცხოვრობდა და ხან წალენჯიხას. ასე რომ, ამ ოჯახის ცხოვრება მშვიდად და უღრუბლოდ მიმდინარეობდა. საწყენად ის ჰქონდათ, რომ პარტყუნიას შვილი არ გაუჩნდა და დიდძალი შეძლება ბიძაშვილებზე გადადიოდა საბოლოოდ, მაგრამ ცხოვრება მაინც აუმღვრეველად მიმდინარეობდა, სანამ თვითონ დუტუ, შედარებით ახალგაზრდა, ფილტვების ანთებით არ გარდაიცვალა. მას შემდეგ შინაც ლოგინად ჩავარდა და ცუდმა ავადმყოფობამ, წყალმანკმა, ბოლო მოუღო.

დუტუს დამარხვაზეც დიდი ტირილი იყო მოწყობილი, მრავალი სტუმრებით, მოზარეებით და ქალების მეგრული მოთქმით აკვნესებული.

ვეჟლა ეს ამბავი „ტაბუდა რაზასავით“ გულს მაჩნდებოდა უკვე ყრმობაში შესულს და მაცნობდა ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებს.

შესამე ბიცოლა იყო მიქელაძის ქალი, ნასა. ეს სულ სხვა ტიპის ადამიანი იყო. უდრეკი ხასიათის, დიდი ნებისყოფის პატრონი და უყვარდა მბრძანებლობა. ყველანი ერიდებოდნენ და ანგარიშს უწევდნენ. დიდი პატივმოყვარე ქალი იყო და სამაზრო ქალაქიდან ბერთემისაკენ ისე არ დაიძვრებოდნენ მაზრის უფროსი, მომრიგებელი მოსამართლე ან პოლიციის ბოქაული, რომ ნასასთან არ გამოევლოთ და იქ სტუმართმოყვარე მასპინძლის გულუხვობა არ განეცადათ.

თვითონ ნასა კარგი ახოვანი მოყვანილობის და მწყაზარი, მაგრამ ცოტა მკაცრი სახის პატრონი იყო და მისი ქმარი სამსონი, აი ის, რომელსაც მომრიგებელი მოსამართლე ბერიძე „სუტიაგას“ ეძახდა, ერთი ჩია კაცი იყო და თავის ცოლთან ისე გამოიყურებოდა, როგორც ერთი ვინმე მისი შინაური მხლებელთაგანი.

ნასამ კი არ დაუფასა ქმრობა და მთელი მისი მამული და შეძლება ოფიციალურად თავის თავზე დაამტკიცებინა. ასე რომ, ბერთემში ეხლა საძმო მამულში ნასა გამოდგოდა ერთერთ მემკვიდრედ.

ნასამ დიდხანს იცოცხლა. ძოუსწრო 90ა წლის ოქტომბრის რევოლუციამ და თავის სახლ-კარიდან გაძევებული, თავის ქმრის სიკვდილის შემდეგ, რომელიღაც მისი ერთგული გლეხის სახლში გარდაიცვალა თითქმის სრულიად გაღარიბებული და უპატრონო.

შვილი არა ჰყავდა. შვილობილად აყვანილი ჰყავდა თავისი ძმისწული კიტუ მიქელაძე, მშვენიერი და სახიერი ვაჟკაცი, მაგრამ ჯერ კიდევ ნასას და სამსონის სიცოცხლეში რომელიღაც თემობაზე ცხენმა გადმოაგდო და მოკვდა.

ახლა კიდევ ერთი ბიცოლა, სოფიო, მიქაძის ქალი, სამსონის ძმის დავითის მეუღლე. ესეც ლამაზი და ცოცხალი ადამიანი. ჩემი ნათლია იყო და მისგან, როცა ბერთემს ჩავიდოდი, დიდად ვიყავ განებივრებული.

მხოლოდ საქმე ის არის, რომ მე ჩემი ნათლობაც მახსოვს, რადგან 4 წლის ვიყავი, როცა მომნათლეს.

ძველ დროს მშობლები საერთოდ იპარავდნენ თავიანთი შვილების წლოვანებას და დაბადების თარიღს ყოველთვის მოგვიანოდ აღანიშვნინებდნენ ადგილობრივ მღვდლებს. ეს იმისათვის, რომ სასწავლებელში მიღების დროს ასაკს არ დაებრკოლებინა მოსწავლე. მაგრამ მამაჩემს ამისთანა სიცრუე არ დაჭირვებია და ამიტომ მეტრიკაში დაბადების თარიღად მიწერია 1874 წ. და ნათლობისა კიდევ 1878 წ.

ნათლობა ასე მახსოვს: საღამო ხანი იყო. ბიძია დუტუს კარის ეკლესიაზე ხალხი შეკრებილიყო. მეც წამიყვანეს და სანთლებით გაჩაღებულ ტაძარში მოვხვდი. ამბიონთან ემბაზი იდგა, ის დიდი ჭურჭელი, სადაც მოსანათლავი ბავშვი უნდა ჩაუშვან. მახსოვს, ჩემმა მორდუმ, ნიკოლოზა ზარეცლუამ შემოიტანა კოკით წყალი და ემბაზში ჩაუშვა. ეტყობა ცივი წყალი იყო, რადგანაც შემდეგ დიდი თუნგით აორთქლებული ცხელი წყალი ჩაასხა და ამითი შეაზავა ადამიანის სხეულისათვის ადვილად ასატანი სითხე.

მომკიდეს ხელი ბიცოლა სოფიომ და გიორგი წულუკიძემ, დედიჩემის ძმამ, ესეც თურმე ჩემი ნათლია ყოფილა, მიმიყვანეს ემბაზთან და ძიძამ ტანისამოსი გამხადა. მღვდელმა რაღაც წაილოცა, მგონი ჯვარიც გადმომსახა და შემდეგ წყალში ჩამიშვა. ნელთბილი წყალი მეამა და ჭყუმპალაობა დავიწყე, მაგრამ მამამ შემაჩერა და მიბრძანა, რომ მღვდლი-

საათის ყური დამეგდო და რასაც ის მეტყოდა, შემესრულებინა. მეც ასე მოვიქეცი. მღვდელმა კიდევ რაღაც ლოცვები აღავლინა. შემდეგ სახეზე და ხელზე ჯვარის სახედ წამცხო ნელსაცხებლად წოდებული ზეთი — მირონი, შემდეგ ამომიყვანა ემბაზიდან და ნათლიებს გადამცა. იმათ ტანთ ჩამაცვეს და მღვდლის წინამძღოლობით სამჯერ შემომატარეს ემბაზის გარშემო.

ყველაფერი ეს ძალიან მართობდა, მაგრამ უეცრად მღვდელმა ხელი დამავლო და ეკლესიის საკურთხეველში შემიყვანა. იქ ძალზე ბნელოდა, მღვდელმა ხელი გამიშვა და მარტო დამტოვა. აი აქ კი ვეღარ შევიქენი კბრგ გუნებაზე და თითქო მორიდებით, მაგრამ მაინც ზლუქუნი მოვრთე. ამ მდგომარეობიდან იმავ მღვდელმა გამომიყვანა, კვლავ სინათლიან ტაძარში მომახვედრა და მეც... ავდარმა გადაიღო და საქციელწამხდარმა, ხალხის დანახვაზე თითქო ღიმილი მოვინდომე, მხოლოდ ლოყებზე მსხვილი კურცხლები მაინც მცვივოდა. ამის დანახვაზე მომვარდა ციცა და „უი, უი, შენ გენაცვალოს!“ ძახილით ცრემლები მომხოცა. ირგვლივ კი ყველანი ხარხარებდნენ, ხელში ავყავდით და განსაკუთრებით ქალები პირდაპირ ტუჩებში მკოცნიდნენ.

ოო, რა შემეზარა მაშინ ეს ტუჩებში კოცნა და დიდხანს ვარიდებდი ტუჩებს, როდესაც შემდეგში ვინმე ქალი მოინდომებდა ჩემს მოალერსებას და კოცნას.

ეს მანამ... სანამ მე თვითონ კარგა არ წამოვიჩიტე. მაგრამ წამკითხველს რად სჭირდება ამის ახსნა-განმარტება.

ბიცოლა სოფიომ დიდხანს იცოცხლა ბედნიერად თავის კეთილ ქმართან დავითთან, მაგრამ შვილი არც იმას ჰყოლია. მანაც შვილად ერთი მისი მონათესავე ქალი, სახელად შუშუ აიყვანა. ესეც რომ დაქალდა, გათხოვდა, მაგრამ არც ამას ჰყოლია შვილი, ისე გარდაიცვალა.

ამგვარად, ბერთემელი დადიანების, როგორც იტყვიან, „ნატისუსალი“ ალარ არსებობს.

ამჟამად იქ არცერთი ბერთემელი დადიანი არ ცხოვრობს. თუმცა გამოვტეხილვარ, ძალიან მიზიდავს ბერთემს ჩაბრუნება. კარგი იყო ჩემი უკანასკნელი დღეები იქ გამეტარებინა, იქ, მამაჩემის საფლავის ახლოს და მეც იქ დავმარხული-

ყავ, მაგრამ ეს, ვატყობ, რომ განუხორციელებელი ოცნებაა... „მიზეზთა გამო სხვისა და სხვისა“.

აქ არ შემიძლიან არ გავიხსენო ერთი ჩემი ჩანაწერი ჩემს დღიურში. თითქოს ჩემი ცხოვრების ერთგვარი შეჯამება გამიკეთებია (ნაუცბათევად)...

15

მომყავს დღიურიდან ამონაწერი:

„ერთხელ თაგუნას ვუთხარი... ეს იყო მაშინ, როდესაც მე რესპუბლიკის თეატრების გამგედ ვმსახურობდი განათლების კომისარიატში და ჩემი „უბედური რუსიც“ ახალი გამოსული იყო.

ვუთხარი: ბედნიერი კაცი ვარ-მეთქი!

— ერთი ალმაცერად შემომხედა. ჩემთვის არ უთქვამს, მაგრამ უთუოდ გაიფიქრა: რა გულუბრყვილო კაცი ყოფილა ეს შალვა, როგორ პრიმიტიულად აზროვნებსო. მე კი ხუმრობით ასე მომმართა: „მართალი ხარ, შალვა, შენც შენი ბედნიერება სხვის „უბედურებაზე“ ააშენეო. მივხვდი, რომ ჩემს რომანზე ლაპარაკობდა“.

მე მაინც მის შემდეგაც ჩემი თავი ბედნიერ კაცად მიმაჩნია. რა არის ბედნიერება?

უთუოდ ის, რომ დარწმუნდე — ტყუილა არ გიცხოვრია ამ ქვეყანაზე, ბევრს არა, მაგრამ ცოტა რასმე მაინც შენც აკეთებდი ხალხის სა' ვებლოდ და ეს დაგიფასდა.

თან... პირადად შენ დიდხანს გაძელ და ფიზიკურად ჯანმრთელი კაცი იყავ. ნუ დავმალავთ ამ მონაჭცევზე მაინც: ჩემი საერთოდ მოკრძალებული ცხოვრებიდანაც კი ბევრი სიამოვნება მიმიღია.

ამგვარად, როგორც ამ მინაწერის გადაკითხვის შემდეგ დაინახავთ, არ ვიყავ მთლად უბედური კაცი. მაგრამ სჯობია, რომ ვთქვა „უბედო“-მეთქი.

„ბედი“ თითქო მწყალობდა და... გამიტანა, ტკბილ სიბერეს მიმაღწევინა.

რალა თქმა უნდა, დიდ ბრწყინვალე ვარსკვლავად არ ვანათებ, მაგრამ პატარა ლამპიონად მაინც შევიმჩნევი.

ჩვენი პარტიისა და მთავრობისაგან მოალერსებული ვარ

და ხალხი ხომ — არც ამას ვტრაბახობ — სადაც კი გამოვჩნდები შეკრებილებაში და სიტყვით გამოვდივარ დამსწრეებს პირზე ღიმილი დაკრთებათ...

ეს ჩემი ბედნიერებაა!

ეტყობა ვუყვარვარ.

თუმცა ჩვენი ხალხის სიყვარულს კარგა ხანია ვგრძნობ. განა რა გავაკეთე ისეთი? შეგნებული მაქვს, რომ მეტის და უკეთესის გაკეთება შემეძლო, მაგრამ ესეც ვიცი, რომ ეს „ჩემდამი სიყვარული“ ჩვენ ხალხს მისი მაღალი, ნიჭიერი შუბლის და მისი მეტად ფართო გულის მეოხებით მოსდის და... მეც აქ ვჩუმდები.

მხოლოდ აი, როდესაც პირადად მე ფიზიკურად სრულიად დავჩუმდები, ესეც ვიცი, რომ ჩვენს ქვეყანაში ერთხელ კიდევ შევიტან აფორიაქებას: — „სად დავმარხოთ?..“

„ბერთემში, ბერთემში!“ გაიძახის ჩემი მკვდარი გული. მაგრამ ამას მკვდარს კი არა, ცოცხალსაც არ დამიჯერებენ.

ამხანაგები კი გაანაგრძობენ: „როგორ დაემარხოთ, პირველი გამოსათხოვარი სიტყვა ვინ თქვას?“ და სხვ.

მაშინ ვინმე გაიხსენებს და იტყვის: — რა დასანანია, რომ შალვა აღარა გვყავს, თორემ ჩვენი (მწერლების) პრეზიდიუმის დაკინებით მუდამ შალვა იყო ჩვენ მრცვალებულთა დასაფლავებაზე სიტყვის წარმომთქმელად განკუთვნილი...

ჰა, ჰა! (ეს მე ვიცინი!)

ვიცი, რომ კარგად იტყოდაო!

არა, ყმაწვილო, არა! არ გამადლით ჩემს სიტყვებს, ზოგჯერ ესეთ შემთხვევაში თქვენი დაძალებითაც წარმოთქმულს.

თქვენ მუდამ გეზარებოდათ მიცვალებულზე სიტყვის წარმოთქმა.

გასაგებია!

მე კი... სიტყვები არ მინდა, მაგრამ რაკი ვიცი, რომ ილაპარაკებთ...

ილაპარაკეთ!“

16

ახლა ერთი სათაყილო ჩვეულება მინდა გავიხსენო, რომელსაც სამეგრელოში ჩემი ყრმობისას შევესწარი, მხოლოდ

ახლა „მადლობა ღმერთს!“ — ეს ჩვეულება ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრილია ჩემს მშობლიურ კუთხეში.

ეს არის გასული საუკუნის 80-90-ან წლებში კარგა გავრცელებული ცხენის ქურდობა. ბევრი მისდევდა ამ „ხელობას“, დიდი, პატარა, განსაკუთრებით თავად-აზნაურობის წრიდან და მისი ამყოლი გლეხობაც. ზოგი დიდი თავადი მფარველობდა კიდეც ქურდებს და მთელ თავის გავლენას ხმარობდა, რომ ჩავარდნილი დამნაშავე დაეხსნა სასჯელისაგან. ეს კიდევ უფრო იმიტომ, რომ ცხენის ქურდობა შემოსავლიანი იყო. აფხაზეთში მოპარული ცხენი ქ. ხონში „არმაგად“ იყიდებოდა და ზოგჯერ უფრო შორსაც, მაგ., ზემო იმერეთში, ზესტაფონში. „არმაგი“ ამ შემთხვევაში უდრის „არალეგალურს“, თუმცა ესეთ არმაგებს ზოგჯერ ყალბი მოწმობებიც თანა ჰქონდა დაყოლილი.

როგორც ვთქვით, იმ დროს ცხენის ქურდობა ძალიან გავრცელებული იყო სამეგრელოში და ამ ლეგალურად მოჩვენებულ „ხელობასაც“ ჰქონდა თავისი წესები. მაგ., ქურდი ცხენს თავის სოფელში, ან მის ახლომახლო არ მოიპარავდა, არც თუ ვინმე გამოჩენილ პიროვნების ცხენებს გაეკარებოდა. ეს სირცხვილი იყო, რადგან ცხენის მოპარვა ქურდ-ბაცაცობად კი არ მიაჩნდათ, ეს მათის წარმოდგენით ვაჟკაცური საქმე იყო და ყოველი ესეთი საქციელი თითქოს გმირული ქმედობისა პოეტურ სამოსელში იყო გახვეული. ცნობილ მწერალს უიარაღოს (თათარიშვილს). „მამელუკის“ განთქმულ ავტორს, აქვს სამეგრელოს ცხოვრებიდან ცხენის ქურდობისადმი მიძღვნილი დიდი რომანი და... ერთ დროს სამეგრელოში ბევრი ემდუროდა უიარაღოს, საჯაროდ „გამოგვაჭენაო“, მაგრამ იმას კი არ უკვირდებოდნენ, რომ ეს მახინჯი მოვლენა მეგრელების სახასიათო თვისება კი არ იყო, პირიქით გაჭმომდინარეობდა სამეგრელოში არსებულ იმ დროის პოლიტიკურ, სოციალური და ეკონომიური მდგომარეობიდან.

მე კი ერთხელ, ჩემი სიჭაბუკის დროს, დავესწარი დიდ ეზოში მშვენიერი ცაცხვის ძირას (ზაფხულში, რასაკვირველია), დარბაისელ აზნაურთა საუბარს, სადაც, სხვათა შორის, ცხენის ქურდობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. მართალია, იმ დროს უკვე გადავარდნილი იყო ეს ჩვეულება, მაგრამ უნდა მოგესმინათ, როგორის აღფრთოვანებით და შთაგონებით ლა-

პარაკობდნენ იმ მოვლენაზე... განსაკუთრებით ერთი ზრრბა, კარგა ჩასუქებული აზნაური, სახელად კვიტინია. ამ კაცს ნათლობის სახელიც ჰქონდა: ალექსი, მაგრამ საზოგადოდ საქართველოში, და განსაკუთრებით სამეგრელოში, ხომ აგერ ახლამდე უფრო ამ შერქმეული სახელით იცნობენ ერთიმეორეს.

მან, ამ კვიტინიამ, ბევრი საოცარი შემთხვევა გაიხსენა ცხენიპარია ადამიანების ცხოვრებიდან, ბევრი სასაცილოც, ბევრი ჩავარდნის ამბებიც, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ყველა ამ ამბებში ის მეტ ყურადღებას საქმის ვაჟკაცურ მხარეს აქცევდა, სახიფათო მდგომარეობიდან მათ მიერ თავის დაღწევას და სხვ.

ვწუხვარ, რომ გაგონილი ეპიზოდები მაშინვე არ ჩავიწერე ჩემ „საკუჭნაოში“. ახლა უკვე გამომჭარდა ხსოვნიდან. საგულისხმო კი იყო.

რაღა თქმა უნდა, ცხენიპარიებს სდევნიდა მაშინდელი პოლიცია, მაგრამ სოფლის მოსახლეობა ყოველთვის ცდილობდა, რომ შემჩნეული პიროვნებები არასოდეს არ გამოემჟღავნებია და თუ სოფელში საიდანმე მოპარული ცხენი აღმოჩნდებოდა, მას პატრონი ველარ ცნობდა, რადგან პირველი დაღი (ტავრო) ყოველთვის ახლად იყო მეორე დაღის დაკვრით შეცვლილი და გადასწორებული. ასე რომ, ნამდვილ პატრონს ხშირად უჭირდა იმის დამტკიცება, რომ ცხენი მისი საკუთრება იყო და მისი ოჯახიდან მოპარული. ცხენიპარიები კი, ზოგი განსაკუთრებით, ისე იყვნენ დახელოვნებულები, რომ ნაცნობების კი არა, უფრო შორეულ მეპატრონეთა ცხენების ნაკვალევსაც კი არჩევდნენ და გამოიცნობდნენ — ეს ამა და ამ კაცის ცხენის ნაკვალევია.

ასე რომ, ცხენის ქურდობა და ამ ნაქურდალის „ალებმიცემობა“, თუ შეიძლება ესე ითქვას, ძალიან გავრცელებული იყო, მაგრამ ქურდ-ბაცაცობა კი მოსახლეთაგან ძალზე იდევნებოდა, ქათმის თუ ყველის ქურდი, თუნდა თხილისაც... „თხაპარია მეგრელი“ — ეს უფრო დაცინვითი და დამამცირებელი სახელწოდებაა მეზობლების მიერ შერქმეული. ჰოდა, ესეთ მეწვრილმანე ქურდს სოფელში არ გააჭაჭანებდნენ. ასეთი ქურდობა მეტად საძრახისი იყო და ესეთ „სულწასულებს“ სოფელი (მშობლები და სხვა მახლობლები) თვი-

თონა სჯიდნენ. ასე რომ, როდესაც სამეგრელოში დრომოჭმულ ქურდობაზე გვაქვს ლაპარაკი, მხოლოდ და მხოლოდ ცხენიპარიობა უნდა ვიგულისხმოთ. რადგანაც, როგორც ზევით მოვიხსენიე, ეს ვაჟკაცურ საქმედ მიაჩნდათ.

უბედურება კიდევ ის იყო იმ დროს სამეგრელოსათვის, რომ ხალხი სწავლას არ ეტანებოდა. უმეცრებისა და ცრუმორწმუნეობის სიბნელით იყო ხალხი მოცული. არც თუ სკოლები იყო სოფლებში, თუ არ ვიანგარიშებთ სამრევლო სკოლებს, ისიც მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში შემოღებულს. მაგრამ ეს სკოლებიც თავის სიმაღლეზე ვერ იდგა და ბავშვები ქართულ წერა-კითხვას თუ ითვისებდნენ, ისიც გაჭირვებით, უფრო საეკლესიო ლოცვებს ზეპირობდნენ, და სკოლიდან გამოსვლის შემდეგ აქა-იქ „მამაო ჩვენო“ თუ ახსოვდათ.

არც თავად-აზნაურთა წრე მისდევდა სწავლა-განათლებას. იშვიათად. უფრო სამღვდელოების ვაჟები სწავლობდნენ ჯერ სასულიერო სასწავლებელში (მარტვილსა თუ ახალსენაკში) და შემდეგ თბილისის სემინარიაში, ისიც აქა-იქ. მხოლოდ ეს კია: ამათგან შემდეგში უმეტეს ნაწილად რევოლუციონერებისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა კადრები იქმნებოდა.

მარტო ერთი მიხა ცხაკაიას დასახელება რად ღირს.

მე კი, როდესაც ბერთემში ვცხოვრობდი, ყმაწვილობიდან უფრო გლეხების ბავშვებში გავერიე და მათგან შევიძინე ტოლ-ამხანაგები. სამწუხაროდ, მათი უმეტესობა ცოცხალი აღარ არის. ჩემ ხანამდე თითქმის ვერც ერთმა ვეღარ მოაღწია, მაგრამ ჩემს ხსოვნაში ისინი მაინც დაუვიწყრებად დარჩნენ, განსაკუთრებით ივანე კვატიძე, ერი ბაღათურია, ჯოტი ხუბუნაია, ერმილე გვაძაბია, ერთი-ორი კიდევ როგავათა ოჯახებიდან და მღვდლის შვილები ევტროპი და თეოფინე როგავები.

ამათთან მითამაშნია, მიბურთავნია, მიჭიდავნია, სირბილის შეჯიბრში მიმიღია მონაწილეობა, უხუმრიათ და მიხუმრნია, აგრეთვე ზოგჯერ მათ უამბნიათ ჩემთვის რაიმე უცნაური ზღაპარი ან მათ მიერ შეთხზული სათავგადასავლო რამ და ჩემთვისაც უთხოვნიათ, რომ მათთვის რაიმე მეამბნა ან წამეკითხა „დედა-ენიდან“ თუ „ბუნების კარიდან“.

ასე რომ, ერთიმეორეში მჭიდრო მეგობრობა გვქონდა

ბია და ეს დრო ჩემთვის ერთგვარ მითოლოგიურ მოვლენას წარმოადგენს. თითქო მიბნედილს, დაუჯერებელს, მაგრამ რეალურ საფუძველზე კი დამყარებულს.

ზემოდასახელებულთაგანს ზოგიერთს მე ვასწავლე ქართული წერა-კითხვა. ეს მას შემდეგ, რაც ცოტა უფრო წამოვიზარდე და მათი ერთგვარი მადლობაც დავიმსახურე. ამისათვის ჩვენს ოჯახში მოსული სტუმრები მაქებდნენ და მამხნევებდნენ; ეს გულს უხაროდა, მაგრამ გარკვევით მახსოვს, ამისათვის თავი არ მომიწონებია და ჩემი პიროვნება თითქოს კულტურტრეგერად არასოდეს არ წარმომიდგენია.

ისე კი ზოგჯერ დავდიოდი მახლობელი გლეხების ქოხებსა თუ უფრო მოხდენილად აშენებულ „პიტაფიცარა“ სახლებში და საერთოდ თითქო უნებლიეთ ვეცნობოდი მათ კარგ მდგომარეობას.

ერთ დროს, სიყმაწვილისას, ერთი უხეირო ლექსიც კი ვუძღვენი ასეთ მოსახლეობას. მახსოვს, ასე იწყებოდა:

ხრჩოლავს კვამლი, ბეჭუტავს ცეცხლი
მიქელას დაბალ სახლში...“

ცხადია, ეს „ნაწარმი“ უფრო რაფ. ერისთავის ჰანგებით იყო მონაბერი.

ძალიან ღარიბულად ცხოვრობდნენ. ხარ-კამეჩი იშვიათად თუ ჰყავდა რომელიმე მათგანს, ყანებს ერთიმეორეში ნათხოვარი ხარებითა და სახნისით თუ ხნავდნენ. ბეროხებიც არ გააჩნდათ. ყველსა და რძის ნაწარმს: ყველს, მაწონს, ნადუღს და სხვ. ძალიან ეტანებოდნენ, მაგრამ ამასათვის თითქმის უმეტესობას თხებზე ჰყავდა და ამითი გადიოდნენ ირლად, მაგრ სადილი თუ ვახშამი კი უფრო მოხარშულ ლობიოსა და სქელ კეცის მჭადისაგან შედგებოდა, ან „ლეჭკერისაგან“ — ეს იყო კანაფუხალი მწნილად ჩადებული, დაძმარული, და ამითი ამოიყორავდნენ კუჭს. რძე და ფაფა კი უფრო ბავშვებისათვის იყო განკუთვნილი. ღვინოს არ ეწყობოდნენ, რადგან იმჟამად ვენახები არა ჰქონდათ, ობმა და ცილოქსერამ გაანადგურა თურმე, აქა-იქ მაღლარი იზაბელასა ან ადესის ვაზი ხეირობდა, როგორც უფრო მაჯაგი ჯიში და მისი ღვინო ჰქონდათ. მაგრამ ყველას მაინც არ მოეპოვებოდა.

სამაგიეროდ ს. ბერთემს ორი მდინარე ჩამოუდის, ერთი

კარგა მოზრდილი, ლაქვარდოვანი ტეხური და მეორე, უფრო მომცრო, გურიემია. ეს უკანასკნელი უფრო ხშირად მღვრიე იყო, რადგანაც მის სათავეში უფრო ხშირად წვიმდა ხოლმე და ამის გამო დიდი მომატებაც იცოდა. ზოგჯერ დაბლობში ყანებს გადუვლიდა და ნათესს წალეკდა, სამაგიეროდ მისი ნალექი დიდად ანაყოფიერებდა საყანეებს.

და აი ამ ორ მდინარეში კარგა ძალ თევზს იჭერდნენ. იყვნენ ისეთი გლეხები, რომლებიც ამ თევზაობაზე იყვნენ გადაყოლილნი და თავიანთი კვების საქმეს ამით იმხუბუქებდნენ, მაგრამ ყანის მუშაობაშიაც ყოჩაღები იყვნენ. საახლგომოდ, მარტში, აპრილში, ბევრს თავიანთი ყანები სიმინდით დათესილი ჰქონდათ. სათესურად ჩემსობას ბერთემში სიმინდის გარდა სხვა არაფერს არ ხმარობდნენ, აღარც ღომს, აღარც ფეტვს. ღომი იშოვნებოდა, მაგრამ იშვიათად, ისიც თავაღების ოჯახში. სხვაგან ღომისღომის მაგივრად სიმინდის ფქვილის ღომს შეექცეოდნენ. ფეტვის ნამცხვარს „ქუმეს“ მე ბავშვობაში გხლებივართ, მაგრამ ეს უფრო ჩემი ძიძის სახლში და მამიდასას ბანძაში.

ოო, ძიძასთან სულ სხვა ამბავი იყო. უთუოდ ჩემი და ჩემიანების წვევის გამო. ჩემი ძიძა და მორდუ სხვა სოფელში ესახლნენ, მაშინდელს უფალიკარში და ჩვენი სტუმრობა იყო ზეიმობა და ზადიკობა, დიდი სტუმრიანობა. ჩვენ გარდა იკრიბებოდნენ ყველა მეზობლები ჩემი მორდუსი, განსაკუთრებით მისი მოგვარეები. სიმღერა, ცეკვა, მხიარულება იყო გაჩაღებული. სუფრა ხომ სავსე იყო ნაირ-ნაირი სანოვაგეებით. აი ფეტვის ნამცხვარი, პირველად იქ მახსოვს. თაფლში მოზელილი ფეტვის ნაფქვავი, მგონი მოხარშული და არა გამოცხობილი, მეტად გემრიელი იყო და ბავშვს ტკბილეულის ჭამა მახარებდა.

ამგვარად, მე ბავშვობაში თითქო კარგა შევეჩვიე სოფლურ, პრიმიტიულ ცხოვრებას და ერთ დროს მე თვითონ მიწის დამუშავებასაც მოვკიდე ხელი. ჩვენს ეზოში საბოსტნე და საყვავილე ადგილი მივიჩინე, მე თვითონ დავბარე და თოხით გავაფხვიერე კვლებად ამოყვანილი დასათესი თუ დასარგავი ადგილები.

ასეთს ჩემს მუშაობას გლეხები ალმაცერად უყურებდნენ: ნებივრობს ბატონიშვილი, თორემ მაგისგან მიწის მუშა

აბა საიდან გამოვაო! თავად-აზნაურები კი პირში დამცინოდნენ, განსაკუთრებით სტუმრად მოსულები და მიძრახავდნენ ჩემს მებოსტნეობას. მამასაც უძრახავდნენ ჩემს ასეთ საქმიანობას. მე არ ვიცი ამაზე რას ეუბნებოდა, მაგრამ მე კი არ მიშლიდა, პირიქით, მამხნევებდა და ერთ დროს „იმერ და კომპანიის“ ორგანიზაციიდან საუკეთესო თესლებიც, შემოწმებული და გამომდგარი, გამომიწერა მოსკოვიდან. თან თვითონ მასწავლიდა რა-როგორ დამეთესა, შემდეგ როგორ უნდა გადამერგო და სხვ. ასე რომ, როდესაც „ჭირნახული“ (უთუოდ ჭირნახული; საქმის შესაფერი სიტყვაა!) მოვიწიე, ისეთი კომბოსტოები გამოვიდა, თითო თითქმის ერთ ფუთს მაინც აიწონიდა და ნესვები ხომ... ისე ჩაყუდებულიყო ბოსტანში, როგორც რომელიმე კარგა მოზრდილი ლოდი ან საშენი ქვა, და დამწიფებული თავისი ფერით და სურნელებით მნახველებს იზიდავდა. ასეთი ჩემი „მოსავლიანობა“ მეზობელ გლეხებსაც მოეწონათ და თუმცა ჩემი „მოხანდეობისა“ (მუშური უნარისა) არც თუ ისე სჯეროდათ, მაგრამ თესლი და ნერგები კი წაიღეს და თვითონაც შემდეგში მოიყვანეს მაღალხარისხოვანი ნიმუშები მცენარეულობისა.

11—12 წლის ვიქნებოდი, როდესაც ამ მებოსტნეობას შევუდექი, მაგრამ მარტო მე რას გავაწყობდი და აი ჩემი ზემოთ დასახელებული ძმა-ბიჭები მეხმარებოდნენ, განსაკუთრებით უფრო მურუხ საქმის კეთებაში; ნაკელის მოტანა ურიკებით, სარწყავი წყლის მოზიდვა სარწყულებით და სხვ. ისე რომ „ბატონკაცობა“ სრულიად გულუბრყვილოდ, მაგრამ მაინც შემინარჩუნეს ჩემმა გულწრფელმა და ძვირფასმა ამხანაგებმა.

მე კი დიდად მოხიბლული ვიყავ მათი ყანების დამუშავებით და განსაკუთრებით მიყვარდა სიმინდის თოხნის დროს მათი ნადური სიმღერები, ყველაზე უფრო მათი „ოდოია“. ოდოია ხომ ჩვენის მითოლოგიით მიწის ღმერთი ყოფილა და ეს გუნდური სიმღერა თუ გალობა, უფრო გალობა ჩემის ფიქრით, ამ ღმერთის ჰიმნი უნდა იყოს.

რა სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით არც ერთს ჩვენს ნიჭიერ კომპოზიტორს არ გამოუყენებია ეს მძლავრი ჰანგი თავის ნაწარმოებში, როგორც ლეიტმოტივი რომელიმე შრომის პროცესისა.

და აი 12 წლის მოზრდილი ყმაწვილი (ჩასკვნილი და ჩამკვრივებული არ ვიყავ, მაგრამ კარგა მაღალი ვიყავ, „გაგონგილებული“) ვეწეოდი მხოლოდ მიწის მუშაობას და სხვა ყოველივეს თითქო ჩამოშორებული ვიყავ: გონებრივი სამუშაო, წიგნი, სწავლა!

სწავლაზე აქაც უნდა ვთქვა ის, რაც რამდენჯერმე მიღიარებია საჯაროდ:

სრულიად უსწავლელი კაცი ვარ!

ე. ი. არ მიმიღია არავითარი სისტემატური სწავლა-განათლება და არც არასოდეს არავითარ სკოლაში არ ვყოფილვარ...

ჰა, ჰა!

აქ მახსენდება ჩვენი ნიჭიერი პოეტის კარლო კალაძის ნამახვილევი. ის ხომ ცოტა კვიმატიანია და გახსენების დროს ყოველთვის გვიამბობს ხოლმე შემდეგ ეპიზოდს:

„ერთხელ რომელიღაც საღამოზე მწერლები ვიყავით მიწვეული და ჩვენ შორის გვერივნენ — გრიშაშვილი, ქუჩიშვილი და დადიანი. გამოვიდა შალვა და სხვა თავის ნაწერების წაკითხვის დროს ესეც მოიხსენია, „მე სრულიად უსწავლელი კაცი ვარო“. შემდეგ გამოვიდა ქუჩიშვილი და ამანაც თავისი მჭუხარე ლექსების წაკითხვის შემდეგ განაცხადა, რომ უსწავლელი კაცია. ბოლოს გამოვიდა გრიშაშვილი და ამანაც არ გაურია თავის ნაზ ლექსებში სიტყვა, უსწავლელი ვარო? დანარჩენი მწერლები შევწუხდით: რას ჩადიან ეს ყაზილარები, ხალხს სწავლით აღსავსე ადამიანებად მივაჩნივართ, ბრძენთა უბრძნესებად, ფილოსოფოსებად და ესენი კი თითქო ტრაბახობენ: არ მისწავლია, არ მისწავლია, სრულიად უსწავლელები ვართო. რას იტყვის ხალხი? კაცო, ეს ადამიანები ჩვენ მწერლებად მიგვაჩნია, ზოგიერთი მათგანი თვალსაჩინოდაც, ესენი კი რას ამბობენ, ან როგორია ამის მოსმენა ახალგაზრდობისათვის? ხომ იფიქრებს ახალგაზრდობა, რომ სწავლა „არაფერი საჭირო არ ყოფილაო“ და სხვ.“

მე პირადად 4 წლის ვიყავ, რომ წიგნიერი გავხდი და ისიც შინაობაში. თუ როგორ მოხდა ჩემი პირველი გაცნობა ქართული ანბანისა, ეს მე მრავალჯერ მაქვს ნათქვამიც და დაწერილიც, ისე რომ ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

არითმეტიკა კი გამაცნო ს. ბერთემში ათონის ქართულ მონასტრიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა ბერმა ჭანტურიამ. ის

ბიძაჩემს ბესოს შვილს უნათლავდა და ჩვენს ოჯახთან დაახლოებული იყო. რომ შემატყო, არითმეტიკასთან მწყრალად ვიყავი, გამაცნო მისი ოთხივე მოქმედება, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ შემდეგში ვერ გავამართლე მისი იმედები და დღესაც ნაწევრების დაყოფა-გამრავლება ძალიან მიძნელდება.

ინგლისელი მწერალი ჯერომ-ჯერომი ამბობს, ბავშვობისას ჩვენ დიდად გვაწუხებს ზოგიერთი საგნის შეთვისება თუ ათვისება, განსაკუთრებით გრამატიკისა და არითმეტიკისაო, მაგრამ რომ წამოვიზრდებით, დიდები გავხდებით, მაშინ ვიგრძნობთ მათ სარგებლობასო.

ეს მართალია, მაგრამ მე, განსაკუთრებით არითმეტიკა, არასოდეს არ გამომდგომია ისე, რომ უმისოდ საძრაობა არა მქონოდა.

ეს უთუოდ იმიტომ, რომ დიდი პრაქტიკის კაცი არ ვიყავი. ჰა, ჰა! ბოლოსდაბოლოს მთელი ჩემი დღენი ჩიტივით ვცხოვრობდი და მოგეხსენებათ, რომ ბეღურებს, მაგალითად, არითმეტიკისა ძალიან ცოტა რამ უნდა ესმოდეთ...

მხოლოდ უსწავლელობა კი არაფერი სატრაბახოა და თუ ამაზე კარლო კალაძე დაიცინებს, მართებულიც არის და ჩვენ, მისგან დასახელებული სამი მწერალი თუ ვალიარებდით ჩვენს უსწავლელობას, იმიტომ კი არა, რომ ეს „გვეტრაბახნა“, არა! ეს ჩვენ მოვიყვანეთ მხოლოდ როგორც ფაქტი ჩვენის ბიოგრაფიისა.

რატომ დავრჩი უსწავლელი ანუ უკეთ რატომ დამტოვა მამაჩემმა უსწავლელად? მამა ზოგჯერ თავის ხარჯითაც კი საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში აგზავნიდა სხვა ყმაწვილებს, შორეულებს თუ ახლობლებს, მეგობრები უძრახავდნენ — შენს შვილს რად არ ასწავლიო. მამა კი იმას იმიზეზებდა, რომ დღეინდელი ჩვენი სკოლა (ცარიზმის დროის) ტვინს ულაყებს ბავშვებს განსაკუთრებით ბერძნულისა და ლათინურის ენის გაკვეთილებით და საერთოდაც ეს სკოლები დღეს უფრო რუსიფიკატორულია, რათა ახალგაზრდობისაგან ჯარგი მოხელეები, „ჩინოვნიკები“ გამოიყვანონო.

რაც თავი მახსოვს, მამა სულ ევროპისაკენ მიისწრაფოდა. უნდოდა ემოგზაურა ევროპაში და ჩვენც, თავისი შვილები, და-ძმანი თან წავეყვანეთ, რომ გაეცნობოდით იქაური

კულტურის დონეს და შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულებს, ჩვენი მოწოდებისამებრ აგვერჩია რომელიმე დარგი სამუშაოდ და ხალხის საკეთილდღეოდ.

17

ოო, ხალხი! ხალხის სამსახური! ეს იყო უდიდესი დედააზრი ცხოვრებისა ჩვენს ოჯახში, მამას მიერ დადგენილი და განმტკიცებული.

ოღონდ ამის შეგნება გვიან მოვიდა ჩემამდე.

ეს უფრო უნდა მივაწერო იმ დროს, როდესაც უკვე სცენაზე მუშაობა დავიწყე, როგორც პროფესიონალმა მსახიობმა და სალიტერატურო ასპარეზზე გამოვედი.

მართალია, ამ შეგნების პირველ გაღვივებას ხელს უწყობდა ჩემი საკუთარი, ხელნაწერი ჟურნალის „მოზარდის“ გამოცემაც, მაგრამ მაშინდელი ჩემი ყმაწვილური მწერლობაც და სცენით გატაცებაც უფრო, ჩემის ფიქრით, წაბაძულობით იყო უმთავრესად გამოწვეული. პროგრამული იდეა ხალხის სამსახურისა კი უფრო შეგვიანებით არის შეძენილი და ეს უთუოდ უფრო რელიეფურად მაშინ გამოჩნდება, როდესაც ჩემს მწერლობასა და თეატრალურ მუშაკობას ცალკე გავიხსენებ.

მანამ კი ვიყავ ისე „ტლუ ბიჭი“.

მართალია, მალე შევიყვარე კითხვა, ისიც მხოლოდ ქართულ ენაზე, რადგან რუსულს გვიან დავეუფლე, მაგრამ ეს კიდევ არ იყო, ის დვრიტა, რომლის მეოხებით შემდეგ ჩემი საზოგადოებრივი მუშაობა უნდა წარმემართა.

ამიტომ თითქო მხოლოდ სოფელში ვიყავ ჩატრიალებული.

სოფელში კი ბერთემის გარდა სხვაგანაც ბევრგან მიცხოვრია, თვეობით, მთელი ზაფხულობით. მხოლოდ განსხვავება ის იყო, რომ სხვა სოფლებში შემთხვევას არ მოუტანია. რომ ტოლ-ამხანაგები გამეჩინა, განსაკუთრებით ისეთები, როგორიც ბერთემში მყავდა: უბიწონი, გულწრფელნი, უეშმაკონი და საკვირველად დინჯი ხასიათისა. მე არ მახსოვს, რომ იქეშმე მათ რაიმე აყალმაყალი აეტეხათ, ან ერთიმეორეს წაჰკიდებოდნენ, ხელით შეჰხებოდნენ. ყოვლად წესიერი და გულღია ხალხის შვილები იყვნენ.

ერთხელ, ჩვენთან, ბერთემში სტუმრად იყო მწერალი დუტუ მეგრელი და მე და ჩემს ამხანაგებს რომ დაგვაკვირდა, იხუმრა თურმე: საიდან შეურჩევია შალვას ასეთი ბიჭები? ყველანი ფილოსოფოსებად გამოიყურებიანო.

აქ ჩემი დაცინვაც იყო, რადგან მე ბავშვობაში, როგორც ზემოთაც მაქვს ნახსენები, ბავშვისათვის უჩვეულო, მეტად სერიოზული სახე მქონდა.

ახლა ვიგონებ: რა გაურყვნელები იყვნენ ეს ჩემი ამხანაგები. შემდეგშიაც, როდესაც მე მათ, სხვაგან გაძგზავრების გამო, დროებით ჩამოვშორდებოდი, როცა ყველა ჩვენ წამოვიზარდენით, სქესობრივად რა სპეტაკები იყვნენ — არავითარი გახუმრება გოგოებთან, არავითარი ლაზღანდარული სიტყვა და საქციელი მათ არა ჰქონდათ. თუ კი ვინმე ჩვენი ხელზე მოსამსახურე ვაჟი, ან რომელიმე სტუმარი მათ ამ საგანზე ჩამოუგდებდა „საკიჭიმაჭიკო“ საუბარს, ერთბაშად წითლდებოდნენ, ყვითლდებოდნენ, ან უეცრად გაიქცეოდნენ და მიიმალებოდნენ.

მე კი ჩვენს სტუმრებში, უფრო თავადაზნაურთა წრისაგან ან შინამოსამსახურეთაგან ხშირად შევუგულიანებივართ და წავუქეზებივართ სქესობრივ აღტკინებისათვის, მაგრამ დახუთ ჩემი ამხანაგების გავლენას (მე იმათ ვაწერ აქას), არაფერი არ გამეგებოდა და მათი უხეირო ღრეჭა და გამასხრება სულ სხვა, საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ტოვებდა ჩემზე.

აკი ვამბობ „ტლუ ბიჭი“ ვიყავი-მეთქი.

სხვა სოფლებში — ბანძას, საწულუკიძეოს, ჯიხაიშში უფრო მარტო ვიყავ ჩემთვის. ამ ადგილებში უფრო სხვა წრე მეგვია გარს: თავად-აზნაურობის წარმომადგენლები. ბანძაში — ფალავები, საწულუკიძეოში — წულუკიძეები, ჯიხაიშში — ლოლობერიძეები, ლორთქიფანიძეები. ყველა ეს ენი ჩემზე უხნესი ადამიანები იყვნენ და მე, შედარებით ბალღს, თავს არ მიყადრებდნენ.

მე კი მათი მომწონდა მშვენიერი თვალტანადობა, გამოწკიპული ჩოხა-ახალუხი, უფრო ხშირად იმ დროს მოსირმული წუღა-მესტი და კოხტა იარაღი. თან საკვირველი ხრდილობიანი საქციელი, განსაკუთრებით უფროსებთან და ქალებ-

თან. მათი მხიარულება, ცეკვა-თამაში, ფალავებში ხომ მათი შემხიბვლელი და გულში ჩამწვდომი მეგრული სიმღერები, განსაკუთრებით ნელი ღიღინი სხვადასხვა მუსიკალური ნიუანსებით აღსავსე.

ამ სიმღერებმა მეც გამიტაცა და, მართალია, ეტყობა, რომ ბუნებით მუსიკალობა შემდგამდა, მაგრამ საამისო ხმა არა მქონდა და მეც უფრო ბანის პარტიას შევეკედლე. ეს რომ შემამჩნიეს, თვითონ დამიწყეს გავარჯიშება. მეც და ჩემს დას მაშოსაც, რომელსაც მშვენიერი ძლიერი კონტრალტო აღმოაჩნდა და ძალიან მალე გურულ „ხელხვავს“ საუცხოოდ ასრულებდა. ასე რომ, ამის შემდეგ ფალავებში არ იყო ისეთი წვეულება, რომ უფროსებთან ერთად ორივ და-ძმანი არ მივეწვიეთ და განსაკუთრებით მაშოსთვის არ ემღერებინათ ახლად შეთვისებული სიმღერები.

სიმღერის ჩვენი მასწავლებლები იყვნენ: დათა ფალავა, ქიშვარდი ფალავა და მათთან ხან გუჯუ და ხან კოწი ფალავა.

მეტად საამური მოსასმენი იყო მათი ჰანგები. ხან გულმოწყლული ქვეყნის დარდით „შავო დილა, შავდილა!“, ხან „გულო, შავ-გულო, გამოაცხადე ვინ შემოგავლო სევდის ბადე“, ხან საკისკისო „პატარა საყვარელი“ და ხან გამყივანი „ხელხვავი“ თუ „კუჩხი ბედნიერი“ და სხვ.

ყველა ამათ დიდი მუსიკალობაც შედგამდათ და კარგი ხმებიც ჰქონდათ, მაგრამ მათ შორის მეტად უზადო და ძლიერი ტენორის პატრონი იყო ქიშვარდი.

რა დასანანია, რომ იმ დროს ამ კაცს არ შეეძლო მუსიკალური განათლება მიეღო და ღირსეული და დიდი ადგილი დაეჭირა ჩვენს ვოკალისტებში.

ეეჰ, დუხჭირი დრო! რამდენი ნიჭი დაღუპულა გაუფურჩქნავად!

განა მარტო მუსიკაში, მწერლობაში, გნებავთ ფილოსოფიაში და სხვ.

ერთხელ, მონაქცევზე, სულწასულობამ დამძლია და განსვენებულ აკადემიკოსს ჩვენს გამოჩენილ ისტორიკოსს ივანე ჯავახიშვილს ვკითხე: შეგრელი სტუდენტობა რაიმეში იჩენს თავის უნარს თუ არა-მეთქი?

მან თავისებურის ზრდილობიანობით მიპასუხა: ბატონო

შალვა, მეგრელ სტუდენტებს აქვთ მიდრეკილება სიბრძნისმეტყველებისადმი.

— როგორც ვიცით, ძვირფასი ივანე ქართულად ფილოსოფიას სიბრძნისმეტყველებას უწოდებდა.

ამგვარად ჩემთვის ბანძა იყო ის კუთხე, რომელმაც პირველად ჩვენებური ხალხური სიმღერების სიყვარული ჩამინერგა. თუმცა მამაჩემს თვითონ უყვარდა მუსიკა, სახლში მუდამ გვქონდა მუსიკალური ინსტრუმენტები: პიანინო, ფისგარმონია. ეს უკანასკნელი უფრო იმისათვის, რომ ხალხური სიმღერების შესრულება ამ საკრავზე უფრო მოხერხებული იყო და მამაც პიანინოსა და ფისგარმონიაზე კარგის ოსტატობით უკრავდა ხოლმე ჩვენებურსა თუ უცხოურ ჰანგებს. სიმღერით არა მღეროდა, მაგრამ დიდი მუსიკალური გემოვნება რომ შედგამდა, ეს კი ცხადია. თვითონაც თხზავდა მუსიკალურ ნომრებს და ზოგიერთ მათგანს მე და ჩემი და ვმღეროდით კიდეც: „ოჰ, სახიერო!“, „მინდორ-მინდორ მივდიოდით“ და სხვ. მაგრამ აქ აღსანიშნავი ის არის, რომ ჩვენ, მამა-შვილები, ორკესტრანტულ მუშაობასაც ვეწეოდით. აქ უკვე გამოყენებული იყო ჩვენებური ჩანგური, ჩანგი და გიტარა. მამა საუცხოოდ ფლობდა ჩანგურს და შემიძლია ვთქვა, რომ პირდაპირ ვირტუოზობით ასრულებდა განსაკუთრებით ქართულ ჰანგებს, ჩემი და უკრავდა ჩანგს, მე კი გიტარით აქაც ბანის პარტიებს ვასრულებდი.

საკვირველი ის არის, რომ მე თითქოს შემდეგშიაც ცხოვრებაში მუდამ დამხმარე ელემენტად ვიყავ გამოვლინებული. არც სიმღერაში — დაწყება ან მოძახილი მე არ შემეძლო, მხოლოდ ვეხმარებოდი ბანით და თამამად ვიტყვი, რომ ცოტა სამკაული არ შემჭონდა გუნდის სიმღერაში.

მაგრამ ბანზე ერთ დროს მაქვს დაწერილი პატარა მინიატურა. ეს თითქო გამართლებაა ბანის როლისა და... თავის დროზე ეს შეიძლება საამაყოდაც მიმაჩნდა.

აქ ვერ ვითმენ, რომ ჩემი მინიატურა სრულად არ მოვიყვანო:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტში“ მყოფმა ლაღად დაიწყო თავისი საგალობელი.

„მისი კრიალა ხმა ისარივით გაელდა ცის კამარაში და იქ ათას ბგერად განიბნა.

„მაგრამ აგერ მოძახილმა შემოუკრიმანჭულა, გაუწვა და ჩაეგრიხა პირველ ხმაში.

„დახატა და მორთო-მოკაზმა.

„ეს იყო შეყვარებულთა მთრთოლვარე გულ-მკერდი, ერთიმეორეზე გადაწნული.

„მათი სულთქმა-ოხვრა, მათი სიხარულით შეკივლება იყო. უცხო ჰარმონია გულისა და სულის დამატყვევებელი.

„მაგრამ აგერ ბანმა წამოუღუღუნა.

„თითქო გვირგვინი დაადგაო შეყვარებულთ.

„თითქო ამ უცხო და საკვირველ შენობას, შექმნილს ორის ხმისაგან, გუმბათად მოევლინაო.

„და წარიზიდნენ ეს ხმები.

„პირველი წკრიალებდა, სრიალებდა დაურიდებლად. მეორე თან მისდევდა, მისი მომრთველი, მხატვარი. მესამე კი, ბანი, თითქო ამ ორის სადავე ხელთ უჭირავსო, ცოტა აკავებდა გალაღებულ ხმებს, ცოტა აცლიდა მათ სიმკვეთრეს, გამყივანობას. უგურგურებდა, უყვავებდა კუთხე-ძგიდეებს, აჩუქურთმებდა ხელოვნურად.

„დიაღ, ბანი ცოტა კონსერვატორი იყო და უფლების მოყვარულიც. თვით კი მაინც მათი შემამკობელი იყო.

„სადავეს ხშირად წევდა უკან, მაგრამ ბრძოლის სულს მაინც არ ახშობდა. სიმამაცის თვით იყო გამომხატველი.

„თვითონ თავისით კი არას წარმოადგენდა, როგორც მეფე, რომელსაც სამეფო აღარა აქვს, როგორც სარდალი, რომელსაც ჯარი არა ჰყავს.

„მაგრამ მათთან მაინც მეფე იყო, მაინც სარდალი, სამკაული და მშვენება გალობისა — ბანი.

„და ბგერდნენ სამივენი ხმაშეწყობილად. ახლა კი ზოგჯერ სპარსული ბაიათი ესმის ყურს.

„გულსაკლავია მისი კილოვნება, ბევრი მოთქმა-კვნესაშიგ.

„მაგრამ მაინც განმარტოებით ბგერის თავისთვის, როგორც თვითონ მისი გამომთქმელი სპარსი, ქვისმტვრეველი მუშა.

„ან კიდევ ზოგჯერ იტალიური რომანსერო შეეხება სასმენელს.

„წარმტაცია, ვნებათაღმძვრელი.

„მაგრამ ჩემთვის მაინც სულ სხვაა გადაშლილს სივრცეში ლაღად მოკრიალე ხმა, მოძახილით შეკრიმანჭულება და ტკბილი ღუღუნი დინჯის, მამაცის ბანისა".

ამგვარად სიმღერაში ბანი ვიყავ, მსახიობობაში უფრო რეზონიორი, რომელიც პიესაში თითქმის უმეტესად დამხმარე ელემენტად გვევლინება, ერთის სიტყვით, მთავარი როლი მას არ ეკუთვნება. და მწერლობაშიაც, მაგ., დრამატურგიაში, ჩემსობას ქართული რეპერტუარის სიმცირემ მის დასახმარებლად ჩემი უნარის გამოყენება მიმაჩნევინა საჭიროდ, შემდეგ ბელეტრისტიკაშიაც...

მაგრამ ამეების შესახებ ხომ ცალკე მექნება უთუოდ საუბარი ამ ნაწერში.

ერთის სიტყვით დამხმარე ადამიანად ვიყავ თითქო გაჩენილი... თავს მაინც სასარგებლო კაცად ვგრძნობდი.

ილია ჭავჭავაძე ჩემს ხსოვნაში

სოფ. ბანძაში ჩემი ბავშვობისას მომიხდა ერთი თითქო უცნაური შემთხვევის განცდა.

ეს ის იყო, რომ ილია ჭავჭავაძე, ეს ბუმბერაზი კაცი იმ დროისა, მთელ საქართველოს მიერ პატივცემული და დაფასებული მისი საზოგადო მოღვაწეობისა და მწერლობის გამო, პირველად ვნახე... სამეგრელოში, სოფ. ბანძაში ჩამიდა ნინოს სახლში.

მე კი ბავშვობიდანვე ვიცნობდი მის სახელს, მარტო ნაწერებით კი არა.

ჩვენს ოჯახში, დიდ აკაკისთან ერთად, დიდებულ ილიას კულტი იყო გამეფებული.

მამაჩემი პირადი მეგობარი იყო ილიასი და ხშირად გვიამბობდა მის ნათქვამს, მის ნამოქმედარს.

აკი მამამ თავის „საამდროო გამოცანებში“ (ზმაკიდურებში) ასეთი აღტაცებული სტრიქონები უძღვნა მას:

„იმას ვერა ჰგავს ვერავინ გრძნობის მცოცხლები მწერალი:
ლომია, რდეს განრისხდეს, მუდამ ძმობისა მღერალი.
იტყვის მართალს და გზიანსა, უპყრია მართლის მწვერვალი,
არის ზნე-ქველი, მხნე-მსრბოლი, მედგარი, მოუფერალი“.

მახსოვს, როგორი აღფრთოვანებით ვკითხულობდი 1888 წ. გაზეთ „ივერია“-ში ფელეტონებად ჩამომწკრივებულ „ოთარაანთ ქვრივს“, და მამა როგორ ქება-დიდებას ასხამდა ამ საუცხოო ნაწარმოებს.

და სულ ასე. ილიას მოწინავე, ილიას პოლემიკური წერილები, განსაკუთრებით „აი ისტორია“ და „ქვათა ღაღადი“ იყო ჩვენს ოჯახში აღტაცებისა და ქება-დიდების საგანი.

აქედან ჩამენერგა სიყვარული და მოწიწება ამ რჩეულ კაცისადმი.

და აი, ილია პირველად ვნახე... სამეგრელოში...

თბილისიდან კომისია იყო ჩამოსული მინგრელსკის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად.

ცნობილია, რომ თავისი მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა, აღსავსე ძველის მანუსკრიპტებით, მინგრელსკიმ შესწირა მაშინდელ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომლის თავმჯდომარედაც იყო ილია და რომლის კომისიასაც მეთაურობდა იგი იმჟამად.

ბანძაში ვიყავით სტუმრად ნათესავებში. გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ფართო ეზოში ცხენი შემოაჭენა ერთმა წერწეტა მეგრელმა და მამას გადასცა „ჭანჭანიძე“ მოდის შენთანო.

ჩვენ ვერ გავიგეთ ვინ იყო ეს „ჭანჭანიძე“, მაგრამ მამას სცოდნოდა, რომ ილია უნდა ჩამოსულიყო, დიდად გაიხარა და ჩვენც გვახარა ეს ამბავი.

მართლაც ცოტა ხნის შემდეგ ეზოში შემოვიდა ასე 20—25 ცხენოსანი, რომელთა შორის, სხვებზე ცოტა წინ, იონა მეუნარგიას თანხლებით, გამოჩნდა კარგ ბედაურზე მჯდომი პირბუდაღი და თვალებმცინარე ადამიანი.

მამა რომ მიეგება, ვიცანით, ეს ილია იყო.

გავიგე აქ ყოფილხარ, ნიკო, და გულმა არ მომითმინა არ

მენახეო, დააბლოებით ასეთი იყო ილიას პირველი სიტყვები.

და გაჩაღდა საუბარი, რამდენადაც მახსოვს, ჩასაბარებელ ბიბლიოთეკაზე, საერთოდ ძველ მწერლობაზე და განსაკუთრებით ერთ ძველს შესამჩნევ წიგნზე „ნებროთიანზე“, რომელსაც მამა დიდად აქებდა; ბავშვობისას ჰქონდა თურმე წაკითხული და მოელოდა, რომ მინგრელსკის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდებოდა.

ზოგს ეხლანდელს მკვლევარს ზღაპრად მიაჩნია „ნებროთიანის“ არსებობა, შეიძლება იმიტომაც, რომ დღეს აქამომდე არ აღმოჩენილა, ზოგი მას „ადამის წიგნსაც“ უწოდებს, მაგრამ მამა ამბობდა, რომ ეს იყო რაღაც შესანიშნავი კრებული, მგონი უფრო აპოკრიფული ხასიათისა და ზოგჯერ იგონებდა კიდეც იქიდან სხვადასხვა მხატვრულ ნათქვამს და შაირს.

მამას თვით ჰქონია ეს წიგნი, მაგრამ როდესაც მისი ბიბლიოთეკა ცეცხლს უმსხვერპლია, „ნებროთიანიც“ იქ დაღუპულა.

შემდეგში ისტორიკოსმა თედო ჟორდანიამ მამას სიტყვით აღწერა ეს წიგნი თავის „ქრონიკებში“, მაგრამ თვით ხელნაწერი, როგორც ვთქვი, დღემდე მაინც დაკარგულია, თუმცა უკუვაგდოთ ეს „სიტყვის მოტანილი“ ამბავი.

ამ წიგნის გარდა, მახსოვს, საუბარი გადავიდა თანამედროვე საკითხებზე: ბანკი, თეატრი, გაზეთი, ქართული ენა; უმთავრესად კი თვით სამეგრელო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი.

და აი აქ იყო, რომ პირველ დაირხა ილიას შესამჩნევი ფრაზა: სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავო.

* * *

მეორეჯერ ვნახე ილია უკვე თბილისში, მის სახლში, მაშინდელ ნიკოლოზის ქუჩაზე, № 21, საცა „ივერიის“ რედაქციაც იყო მოთავსებული.

რაღაც დღესასწაული იყო, მამა უქეიფოდ იყო და მე გამგზავნა თავის მაგიერ მისალოცად.

უნდა გენახათ ჩემი გაბარებაც და ჩემი შეწუხებაც.

შეწუხება იმიტომ, რომ, გამოვტეხილვარ, ჭაბუკობისას მეტისმეტი მორცხვი და უკანდახეული ვიყავი. აბა ილიასთან როგორ უნდა მომება თავი სიტყვებისათვის!

შეველ დიდ დარბაზში. რასაკვირველია, ევროპულად, მაგრამ სადად იყო მორთული, არაფერი გადამჭიჭული, არაფერი ბრჭყვიალა, გარდა იმ მძივებისა, თაღთან რომ იყო სალუქ ფარდასავით ჩამოკიდებული და დარბაზს ორად ჰყოფდა.

ძალზე ცხელოდა და მეც ორმაგ ოფლში ვიწურებოდი: ცალკე სიცხისა და ცალკე მოკრძალებისაგან, თან დიდი უბედურება:

ცხვირსახოცი დამვიწყებოდა.

ამან ის სითამამეც კი წამართვა, რაც გზაში მოვიმარაგე, მაგრამ საქმეს რას უშველიდა.

დარბაზში ილიას მეუღლე დამიხვდა და ერთი შუახნის წარმოსადეგი კაცი; როგორც შემდეგში გამოირკვა, კონსტანტინე ჩიკვაიძე იყო, მგონი, უნივერსიტეტით ილიას ნაამხანაგარი.

ილიას მეუღლემ ჩვეულებრივის თავაზიანობით მიმიღო და, წარმოიდგინეთ, მაშინვე ილიას მოსაყვანად წავიდა. მამიჩემის პატივისცემისათვის თუ!..

მართლაც არ გასულა დიდი ხანი, რომ მძივებმა გაიწკრიალეს და ილიას ჩასკვნილი და ბრგე ფიგურა გამოჩნდა.

გამომკითხა მამის ამბავი, დაინანა, რომ უქეიფოდ იყო, ბოლოს ერთი-ორი სიტყვა ჩიკვაიძეს გაუზიარა და შემდეგ ისევ მე ამხედ-დამხედა.

ოფლმა იწყო წკურწკური. უთუოდ ვწითლდებოდი, ვყვითლდებოდი, ავიწურე, საქციელი წამიხდა. ოფლსაც ვერ ვიხოცავ.

ილია მეკითხება:

— სად სწავლობ, ყმაწვილო?

მოგეხსენებათ, რომ მე არსად სკოლაში არასოდეს არ ვყოფილვარ და ესეც მოვახსენე, თან გულს მომეშვა, მივხვდი, იმიტომ ამხედ-დამხედა, რომ ეგონა რაიმე მაშინდლური სასწავლებლის ფორმაში ვიქნებოდი გამოწყობილი. მე კი, 14—15 წლის ვაჟს, ცივილური ტანისამოსი მეცვა.

როცა გაიგო ჩემი ვითარება, შემდეგი წარმოსთქვა:

— მამათქვენი ჩვეულებრივი ბილიკით მავალი კაცი არ არის.

ეს იყო და ეს. ეს იყო პირველი და უკანასკნელი საუბარი ილიასი ჩემთან.

ნახვით კი კიდევ ვნახე ორჯერ.

* * *

ერთხელ თბილისის ბანკის კრებაზე, როცა პირველად დაიწყო მაჩაბლის და ილიას შეტაკება.

ქართული თეატრის დარბაზში ხდებოდა სხდომები, იქ, საცა ახლა გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამაა. არწრუნისეული შენობა, თვით ილიას ინიციატივით, ახლად იყო შეკეთებული, ჭერზე მსოფლიო გიგანტი მწერლები იყო მოხატული.

პარტერში ისხდნენ ბანკის წევრები და სხდომაზე ხმის მქონენი, ლოჟებსა, აივანსა და ქანდარაზე კი დანარჩენი საზოგადოება.

გულის ფანცქალით ვუგდებდი ყურს ორატორებს. ვუკვირდებოდი, ვეცნობოდი ხალხს, ზოგი ძალიან მჭევრმეტყველი იყო, მაგრამ უფრო რუსულად. მიკვირდა ეს ამბავი, რადგან იმაზე წინ ქუთაისშიც დავსწრებივარ საბანკო კრებებს და იქ თითქმის ყველა ქართულად იყო მოსაუბრე. ჩვენთვის დაუვიწყარია ქუთაისში: კირილე ლორთქიფანიძე ცოტა გრძლად, მაგრამ დასაბუთებით და მშვენიერის ქართულით მოლაპარაკე, მიხეილ დარახველიძე, ცხარე და ნიჭიერი ორატორი, ან დარბაისელი მოქართულე ლეჩხუმელი ივანონ გელოვანი და ბევრი სხვა.

აქ კი ასე არ იყო! მხოლოდ როგორც კი გამოჩნდებოდა ტრიბუნაზე ან ილია, ან მაჩაბელი, მაშინვე მთელი დარბაზი ახრიალდებოდა: ქართულად, ქართულადაო. და ისინიც იწყებდნენ ოშვიათი ორატორული ნიჭის ქართულად გადმოშლას.

მაჩაბელი ფიცხი ორატორი იყო, ტემპერამენტიანი, სწრაფი მოლაპარაკე. გამიგონია, ფრანგი საზოგადო მოღვაწე,

გამბეტა, ერთ წუთში რამდენიმე ასეულ სიტყვას წარმოსთქვამდა, მაგრამ ისე მკაფიოდ, რომ ყველასათვის გასაგები იყოო. მე მგონი ასეთი იყო მაჩაბელიც.

ილია კი პირქით: აუჩქარებელი, დინჯი, ტემპერამენტი თითქოს სულ არ ეტყობოდა, თუმცა შინაგან აუცილებლად ბობოქარი, თითქო მტკვარსავით მდორედ, მაგრამ მძლავრად, წამლეკავად მიმდინარე.

დაუვიწყარია ჩემთვის მაჩაბლის მაშინდელი პირველი გამოსვლა ილიას წინააღმდეგ: სახე — გაფითრებული, მღელვარე ხმით იწყებს იგი, რომ იძულებულია გამოვიდეს იმ კაცის წინააღმდეგ, რომელსაც მთელი საქართველო აფასებს და რომელსაც, როგორც უებრო მწერალს, თვით იგი თაყვანს სცემს, შემდეგ კი გადადის ბანკის საქმეებზე და მოჰყავს საბუთები ილიას თითქოს სიზარმაცისა, დაუდევრობისა, განსაკუთრებით „კონვერსიის“ საქმეში. მე ამ „კონვერსიის“, საბანაკო ოპერაციებისა და ბალანსისა ვერა გავიგე რა, მაგრამ ჩემი ჭაბუკური გული კი დაატყვევა მაჩაბელმა. ეს დამმართა უფრო მისმა წინასიტყვაობამ, რადგან ვიწამე მისი გულწრფელობა.

მაგრამ აგერ გამობრძანდა ილია.

საოცარია!

ხუმრობს. თითქოს არაფერი საბუთი. ხალხი ხარხარებს, მაგრამ თანდათან გრძნობთ, რა გამანადგურებელია ეს ხუმრობა.

სხვათა შორის, ილია ამბობს: ჩვენ ასეთი დამფასებელიცა გვყავდა, რომელიც მამულის შესაფასებლად ასეთ ცნობებს გვაძლევდა: ამა და ამ ალაგას ერთი შენობა დგას, რომელსაც ოთხი კედელი აქვს და ოთხივე ერთიმეორეს შეჰყურებსო.

ხარხარი.

თურმე ეს დამფასებელი ერთ დროს ვანო მაჩაბელი ყოფილა, ილიას თქმით; თუმცა, ცხადია, ეფექტისათვის იყო ეს დახასიათება ილიას მიერ მოყვანილი.

ანდა თავის სიზარმაცეზე, სამსახურში გვიან მოდისო, რომ ამტყუნებდნენ:

— ზოგი კაცი შეიძლება გვიანაც მოვიდეს და მხოლოდ

ერთი საათი დაჰყოს სამსახურში, სამაგიეროდ იმდენი შეიძლება გააკეთოს, რასაც მეორე მთელი ერთი კვირის განმავლობაში ვერ გააკეთებს, რაგინდ ადრეც მოდიოდეს სამსახურში და სულ შიგაც ტრიალებდესო.

დაახლოებით ასე.

ახლა ილიამ მომხიბლა საერთოდ მთელი თავისი ნათქვამებით ამ კრებაზე, თავისი შეუვალი ლოგიკით და გამანადგურებელი ჰუმორით.

და ასე მერყეობდა ჩემი სიმპატია ამ ორ კაცს შუა, და განა მარტო ჩემი, გამოუცდელის, ახლადშეღერებული ჭაბუკისა, არამედ ბევრად ჩემზე გამოცდილებისა, თან დიდად სწყინდათ, რომ ილიასა და მაჩაბლის შორის ესეთი დავა ატყდა და თანდათან მწვავე ხასიათს იღებდა.

დანაღვლიანებულებში ერია მამაჩემიც და მისი ნადვლიანობა მის შვილებს, მე და ჩემს დასაც, გვასევდიანებდა.

* * *

კიდევ შევხვდი დიდ ილიას ქუთაისში. გაბრიელ ეპისკოპოსს მარხავდნენ.

მე უკვე 22 წლის ახალგაზრდა ვიყავ და სხვა ბევრთა შორის მეც მინდობილი მქონდა მოწესრიგედ ვყოფილიყავ. და უნდა გენახათ, როგორ ვამაყობდი, რომ მკლავზე საამისო ნიშანი მქონდა და სადაც გავივლიდი, ხალხი ჩემს განკარგულებას ემორჩილებოდა.

ჰე, რა ხარ, ახალგაზრდობავ! რა პატარა რამ გართობს და თავბრუს გახვევს!

ეკლესიაში ვართ, გელათში. უკვე მოთავდა სიტყვები სასულიერო პირებისა: რუსი ეგზარქოსისა, ეპისკოპოსებისა და სხვ. ხალხში გაისმა: „ილია, ილია სად არის?“. მამამაც მანიშნა, წადი, მოძებნეო; ხალხი გაირღვა და ილია მოვძებნე ეზოში, ვთხოვე, წამობრძანებულიყო, ვიცოდით, რომ სიტყვა უნდა ეთქვა; ჯგუფში საუბრობდა ხალისიანად და მე რომ მივადექი ბოქაულივით, უეცრად ეს კაცი შეიცვალა, სახე კუშტი გაუხდა, თითქო წარბებიც შემოუქურუხანდა, მაგრამ სიტყვაშემოუბრუნებლივ მორჩილად წამომყვა.

ახლა იმის მოვდივარ, როგორ ვამაყობ! იცით, ვინ მომყავს?

გაიწით, მოგვეცალენით!

რასაკვირველია, ამას ხმამაღლა არ ვამბობ, მაგრამ ან განა საჭიროა გაფრთხილება? უბირმაც კი იცის, ვინ მოდის — ახლა ირგვლივ ისმის: „ილია ჭავჭავაძე!“ თუ არც გაუგონია, მაინც გრძნობს, რომ ვიღაც დიდი კაცია, რადგან ისეთი მოკრძალებით და სიყვარულით არის ნახსენები.

აი შევედით ტაძარში. გზა გავუჭერ და მივაყენე ამბიონთან, მეც გვერდით ამოვუდექ.

განა ახლა წავალ სადმე? ასე ახლოს და ისიც ვისთან?

ვინა სთქვა, ილია ტემპერამენტიანი არ არისო?

ჯერ არ იწყებს სიტყვას, მესმის მისი გულის ბაგაბუგი. მკერდი ადის და ჩადის, ეს რა არის? შეკრთა? რა სათქმელია!

ეს ის არის, რომ შინაგან მოზღვავებული სათქმელი ბობოქრობს და ეძებს თავის მხატვრულ გამოსავალსა.

დაიწყო, გარეგან თითქო დამშვიდდა. მაგრამ მკერდი ჰაინც ადის და ჩადის. ისე ახლოს ვდგავარ, რომ თვალნათლივ ვხედავ, მესმის მისი გულისძგერა, ამ მკერდიდან აღმომხდარი ხმები.

რა ბედნიერი ვარ ამ წუთას!

და დაუვიწყარია ჩემთვის ეს წუთი. მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ბუმბერაზის გულისძგერა მომისმენია ესე ახლოს და თითქოს შევჭრილვარ მის ლაბორატორიაში, სადაც ითხზვებოდა ჩემი თანდასწრებით ილიას ნაჭედი სიტყვები.

მან დაახლოებით ასე დაიწყო: „დიდბუნებოვანი კაცი იმითაც არის შესამჩნევი, რომ რომელი მხრიდანაც არ უნდა შეუარო, ლამაზი სანახავია“.

მეც ამით გავათავებ, მხოლოდ ამჟამად მისი სიტყვები დეე თვით მასვე მიუდგეს.

ისევ სოფლებში

გარდა ბერთემისა სხვა სოფლებში ცხოვრებამ ვერავინ ამხანაგი ან დაახლოებული მეგობარი ვერ გამაჩენინა. განსაკუთრებით ჩემი ტოლი, ჩემი ხნის ყმაწვილი და ვიყავ განმარტოებული, თავისთავის ამარა. და...

ასე დავრჩი სულ ჩემი ცხოვრების ბოლომდე, თითქო „სულით ობოლი". რაღა თქმა უნდა, შემდეგში მეგობრები თითქო გამიჩნდა. მათ ჩემდამი დამოკიდებულებას, რასაკვირველია, ზრგიერთებისას, დიდად ვაფასებ, მათი გულთბილი მოპყრობა ბევრჯერ განმიცდია, მათი გამოცდილებითაც ბევრი შემიძენია, მაგრამ მაინც ვიგონებ ხშირად პუშკინის ამ მუნასიბს:

Всегда так было бывало
Таков издревне белый свет:
Ученых много, умных мало,
Знакомых тьма, а друга нет.

და ეს თითქო უმეგობრობა იმიტომ კი არა მჭირდა, რომ მე ჩემი თავი რაღაც განსხვავებულ კაცად მყავდა მიჩნეული და თითქო სხვებს ვეუკადრისობდი — ღმერთმა დამიფაროს! — ან იმიტომ რომ, მე პირადად ძალიან გულჩახვეული კაცი ვიყავ, მიუკარებელი. პირუკუ! ვინც კი მიცნობდა, იმან იცის, რომ მე მუდამ დიდი თანაზიარი ვიყავ ადამიანებისა, გულახდილი და... ამყოლ-დამყოლი, მავრამ როდესაც საკუთარ თავთან მარტო ვრჩებოდი და ჩემს ცხოვრებას თვალს გადავავლებდი, მწვავედ ვგრძნობდი სულიერ მარტოხელობას:

სოფ. ბერთემის გარდა, სხვა სოფლებში უფრო თავადაზნაურთა წრის ხალხი ტრიალებდა ჩემ გარშემო. მათ შორის, რასაკვირველია, მე, ჯერ ბავშვსაც და შემდეგ უფრო მოჩიტულსაც, მეტწილად ახალგაზრდობა მიზიდავდა. უწინარეს მათი გარეგნობა, მწყაზარი სახე, ტანადობა და შემდეგ ჩაცმულობა — წელში გამონაკვთული ჩოხა-ახალუხი, წუღა-მესტი, ქამარ-ხანჯალი, ლეკური, მათარა, მათრახი და სხვ. ყოველივე ეს ჩემთვის ისეთი მაცთური რამ საგნები იყო, რომ ბავშვობიდანვე მისი ტრფიალი შევიქენ და დიდხანს ვნატრობდი, რომ მეც მათებრ მრვრთულიყავ; ეს კი მხოლოდ

ჩემს სიჭაბუკეში შემიხერხდა და ამაზე იყო, რომ თავ
დროზე დიდებული აკაკი წერეთლისაგან ლმობიერი სა
დურიც მივიღე.

დიდებულ აკაკიზე ჩემს „რაც გამახსენდა“-ში ცალე
ვი მაქვს განკუთვნილი, მაგრამ აქ გული არ მითმენს, რომ
პატარა ეპიზოდი არ მოვიყვანო:

ქუთაისში ვარ, ახალ ცოლშერთული, და უფრო ხშირ
ჩოხა-ახალუხს ვატარებ. შუადღეა. ზაფხული. თეატრში წ
მოდგენები არ არის და მეც გამოვდივარ ბულვარში, რ
მელსაც გიორგი წერეთელმა თავის „ედიშერ ქვველაძეს
რომის ფორუმი უწოდა. რომის ფორუმისა რა მოგახსენო
და, თავის დროზე ეს ბულვარი მართლაც იყო შესაკრებე
მთელი ქუთაისის მოწინავე საზოგადოებისა.

კოხტად „გამოკანკლულ“ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებს გა
და, რომლებიც, ცხადია, უფრო საარშიყოდ და საალერ
იკრიბებოდნენ, აქ იყრიდა თავს ქუთაისის მაშინდელი ინტ
ლიგენცია, რომელთაც ჰქონდათ მსჯელობა პოლიტიკურ ს
კითხებზე, ადგილობრივ „საჭირბოროტო“ საგნებზე — ქალ
ქის თვითმმართველობის საქმეზე, საადგილმამულო ბან
ვითარებაზე, ქუთაისში გაზეთის გამოცემაზე და სხვ
გვარზე. აქვე მოისმენდით ჩვენს მწერლობაშიც თავის დ
ზე კარგა ცნობილი, ერთ-ერთი თერგდალეულთაგანის,
რილე ლორთქიფანიძის დამჯდარს, ჭკვიანურს და შუაგ
ლოდიკით სავსე საუბარს, ცნობილი ადვოკატის ბოლე ქო
ძის „გამყივან კამათს“, კოტე მესხის სხარტულ გამოთქ
და სხვა.

აქვე იყვნენ საზაფხულოდ ჩამოსული სტუდენტები,
მელთაც დინჯ საუბარში შემოჰქონდათ თავიანთი მღელვ
პროტესტის ჰანგები, რაიც იქცა რევოლუციონურად მი
თული ახალგაზრდების უფრო მძლავრ იერიშებად დ
ლაქის ბაღი ბოლოს გადაიქცა ამ რევოლუციონერთა
მთავარ, ვითომდა ლეგალურ თავმოსაყრელად, სადაც ჩ
ბას ცნობილი მიხა ცხაკაია თავისებური დინამიტური საუ
ლით აიარაღებდა მის მიმყოლ ჯგუფებს.

ყოველივე ამის გამო ქუთაისის ბულვარი იზიდავდა
სხვადასხვა აღზრდისა, მსოფლმხედველობისა და მდგომა
ობის ხალხს.

მეც ამ „მიზიდულებში“ ვერიე.

მოვდივარ ჩერქესკიანი და იარაღში ჩამჯდარი. ლეკური, ხანჯალი ზედ მკერდია, ახალგაზრდა ვარ და უთუოდ ნაბიჯიც მტკიცე მაქვს და შესახედაობაც „დამოუკიდებელი“.

დავინახე აკაკი ჩემს პირდაპირ, მარტო მობრძანდება.

მივეგებე. ღიმილით ხელი ჩამომართვა, ამხედ-დამხედა, ჩაიქირქილა:

— როგორ ცოტნე დადიანიყით გაბოწყაბილხარ?

ვიგრძენ საყვედურის კილო და ცოტა შევწითლდი. მან უფრო მტკიცედ განაგრძო:

— სულ მიატოვე საზოგადოებრივი საქმიანობა? თეატრი? მწერლობა?

გულმა რეჩხი მიყო: ვაიმე! აკაკიც ტანისამოსს აქცევს ყურადღებას... ღმერთი-რჯული, შეძლებისდაგვარად არც ერთი არ მიმიტოვებია, მაგრამ ჩემმა ჩოხა-ახალუხმა, უთუოდ ლეკურ-ხანჯალმა მიყო ეს „საჯაყი საქმე“ რომ აკაკის აღარ მოვეწონე.

ეს მისთვის არ მითქვამს. თავი ვიმართლე, არც ერთი არ მიმიტოვებია-მეთქი, მაგრამ არ ვიცი დარწმუნდა თუ არ დარწმუნდა!

მახსოვს, თითქმის მთელი დღე მოწამლული მქონდა. ვიცოდი, რომ „ჩერქესკიანობა“ თავადაზნაურული მუქთახორობის, „ლოთობისა და სკანდალისტობის“ სინონიმი იყო უმრავლესობის თვალში, მაგრამ უმრავლესობა ხომ სხვა იყო და აკაკი სხვა, რად უყურებდა ისიც ჩოხოსანს ასეთი „ავი თვალით?“ განა ტანისამოსს ასეთი მნიშვნელობა აქვს? შინაარსი უნდა იყოს საქმე და არა გარეგნობა.

ასე ვფიქრობდი მაშინ.

რატომ აკაკიმ ვერ გამიგო-მეთქი და... ვწუხდი.

* * *

იმავ დროს მხიბლავდა აგრეთვე ამ ჩოხოსნების მოხდენილი ცეკვა — ქართულიც და ევროპულიც. მაგ. ს. საწულუკიძეში იყვნენ ახალგაზრდა ანტონ წულუკიძე, რუსხელმწიფის კარზე „კონვოის ოფიცრად“ ნამყოფი, კარგი მოყვანილი ჯაჭკაცი, რომელიც საუცხოოდ ცეკვავდა განსაკუთრე-

ბით მაზურკას; შემდეგში იმერეთში განთქმული მოცეკვ
ლეკურისა ნიკო ფალავა. მეც ამიყოლია მათმა ხელოვნებ
ვბაძავდი, ზოგჯერ კიდეც კინაღამ ფეხები დავიმტვრიე, მ
რამ ხეირიანი მოცეკვავე ვერასოდეს გამოვედი. მიუხედავ
იმისა, რომ მამამ თვითონ შეადგინა მუსიკა კადრილის ყვე
ფიგურისათვის, თვითონ უკრავდა და შინაობაში გვაცეკვ
და ყველას. შემდეგშიაც, როცა ქუთაისში რეჟისორობა
ვიწყე და კარგად მქონდა შეგნებული, რომ მსახიობს თ
სი ტანის მოქნილობა უნდა შედგამდეს და, მაშასადამე,
ველგვარ ადამიანურ ცეკვა-როკვასაც დაუფლებული უნ
იყოს დასისათვის მოვიწვიე სპეციალისტი, ცეკვის მას
ლებელი ალელოვი და ვამაცადინებდი დასს, მეც ვლე
ლობდი ვარჯიშში მონაწილეობას. ბევრმა დასის წევრმა კ
გად შეითვისა ეს ხელოვნება, მე კი, როგორც ზემოთაც ვთქ
რიგიანი მოცეკვავე მაინც ვერ გამოვედი. ეტყობა ამაში შ
ჭო ვიყავ და ვერც თუ ისე მიმიზიდა.

ამ შემთხვევაში მაინც „ტლუბიჭად“ დავრჩი და სე
ოზულ ნაადრევ „ფილოსოფოსად“. ჰა, ჰა, ჰა!

* * *

უფრო ხნიერებაში კი ჩემთვის ხსოვნიდან წარუშლე
დედით ბიძაჩემი, დედიჩემის ძმა, გიორგი წულუკიძე.
სახლობდა სოფ. საწულუკიძეოში, ჰქონდა მშვენიერი სა
კარი და საკუთარი ჩარხის წისქვილი თავისი ფართო ე
გვერდით, სადაც არაერთხელ ვმჯდარვარ ბიძაჩემთან ერ
და ვისმენდი მის ტკბილ სასმინარ საუბარს; ხანაც მარტ
ღარებში მოჩუხჩუხე წყალის მაცქერალი ან თვით წისქვი
ბორბლების ტრიალსა და სარეკელას მიჩერებული, მივწ
ვარ „ფიქრთა გვრიობას“.

ბიძაჩემი გიორგი, როგორც სხვა იმდროინდელ სოფლ
ში მცხოვრები თავადი, ჩოხოსანი იყო. ისეთი ფაქიზი მა
რებელი ტანსაცმლისა და მთელი სხეულისაც იშვიათად
ნახავს, კარგა დიდი წვერი ჰქონდა მოშვებული, ჩემს
სრულიად გათეთრებული, მაგრამ ისეთი სპეტაკი, რომ დ
ხანს თვალს ვერ მოაშორებდით. ასეთივე კარგი მრჩვნ
იყო თავისი ოჯახის ავეჯეულობისა, საწოლისა, პირსაბანი

ისა, თუნგეულობისა და სანოვაგისათვის განკუთვნილი ჭურჭ-
ეულობისა. ამას ყველას თვითონ კი არ უვლიდა, არამედ
ს მეუღლეს და ოჯახის შინა-მოსამსახურეებს ჰქონდათ და-
ლებული, რომ არც ერთ საოჯახო საგანს არასოდეს არა-
თარი ლაქა არა ჰქონოდათ და არც დამტვერიანებული გა-
ეტანათ. ასევე უვლიდა თავის იარაღს. ატარებდა უფრო
მიტ და ვესონის“ სისტემის გრძელ რევოლვერს, რომელიც
ახის ჩერქეზულ ქამარზე ჰქონდა დაკიდებული თავისი მე-
ს ბუდით, იმავე ქამარზე ჰქონდა დაკიდებული საშუალო
ყვანილობის ხანჯალი, უბრალო მეშის ქარქაშში ჩადებუ-
ი, მხოლოდ სახელური ჰქონდა სპილოს ძვლისგან გაკეთე-
ილი. სხვა იარაღს, მაგ, ლეჯურს, არ ატარებდა, მაგრამ რა-
ც ატარებდა, ის იარაღიც არასოდეს არც ჩემსობას და
ერმე არც სიყმაწვილეში არ უხმარია და ბუდიდან არ ამო-
ეია.

ასეთივე დაკვირვებით უვლიდა თავის ცხენ-უნაგირს. და
ენები ხომ, რომ იტყვიან „თავს ურჩევნოდა“ და მუდამ
ე გავარჯიშებული ჰყავდა, რომ საამური იყო. მე თვით
ახავს, რომ მეჯინიბესაგან სამურვლით და ძაგრისით გაწ-
ბდილი ცხენი მას კიდევ გაუსინჯავს თავისი ხელსახოცით
შეუმოწმებია, ცხენის გავა-ტანი ჭუჭყიანი ხომ არ არი-
. ცხენების სადგომი თავლაც სუფთა, დაგვილი, მოწმენ-
ლი იყო.

იცოდა ცხენების შერჩევაც და მუდამ საუკეთესო ჯიშის,
ყვანილი და ცქვიტი ცხენები ჰყავდა.

ამიტომ ამბობდნენ ირგვლივ, გიორგი საუკეთესო „ბზინ-
რი“ არისო — ეს იყო ძველებური სახელი ცხენების კარ-
შემნახველის და მომვლელისა.

თვითონ კი, მგონი ქუთაისის გარდა, ეტლში არასოდეს
ად არა მჯდარა, თუმცა მისობას ეტლები უკვე ჰყავდათ
ნსი, სოფ. საწულუკიძეოსა და ახლომახლო სოფლებშიც
იძო მეპატრონეებს. ის, სულ ბოლომდე, უფრო ხშირად,
ენით დაიარებოდა.

საერთოდ კი დიდი მოგზაური კაცი არ იყო, არც თუ
იროზას ეტანებოდა.

მხოლოდ ერთხელ წამიყვანა საკურდღლოდ, ისიც იმის-
ს, რომ ჩემთვის გაეცნო სპორტის ეს სახეობა. უფრო კი

თავის სახლში იჯდა სოფ. საწულუკიძეოში, თავს დასტრ
ლებდა თავის კარ-მიდამოს, განსაკუთრებით მის ჩარხის წ
ქვილს. სტუმართმოყვარე იყო, პურმარილიანი, მაგრამ ღ
ნოს დასათრობად არც თავის სახლში და არც სხვისას
ეტანებოდა. რესტორანში თუ სადმე სოფლის დუქანსა
სამიკიტნოში შესვლა არ უყვარდა, მიუხედავად იმისა, რ
მისი ბიძაშვილები; ადგილობრივი თავადაზნაურობა გა
ყოლილი იყო ღვინის სმასა და ქეიფს.

სახლში კი სტუმრები მუდამ ბლომად ჰყავდა და იმ
უხვად უმასპინძლდებოდა, მაგრამ რაკი იცოდნენ მისი
სიათი, მაინცდამაინც დასათრობად ღვინოს არც სტუმრ
ეძალებოდნენ.

ჩვენ, მისი ნათესავები, უფრო პატარები — მისი დისწ
ლები — ზაფხულობით მასთან ხშირად ვიყავით და ესიც ხ
რად გვეხუმრებოდა. მაგ., სადილობისას, სანამ მთავარ კერ
შემოიტანდნენ, შევექცეოდით ყველსა და პურს ან რამე ფ
ლეულს, ერთ-ორ ლუკმას პირში ჩაიდებდა თუ არა, ვითო
და ძალიან კმაყოფილი წამოიძახებდა:

— უჰ, მეც გავძეხი და ჩემი სტუმრებიც!

რაზედაც ჩვენ ყველანი ავხუვლდებოდით:

— არა, ბიძია, არა! რა დროს გაძღომაა... — და სხვა.

სამაგიეროდ ჩვენც გავუგეთ, რომ ხუმრობა უყვარდა
დილ-დილობით უმღერდით ხოლმე:

წვიმს, თოვს, ხოშკაკლავს;
მასპინძელი ხბოს დაკლავს! —

რაზედაც ის გაცინებული წამოიწევდა სკამიდან, ვითო
ჩვენ საცემრად და შემოგვიტევდა:

— დიახ, თქვენმა მზემ! ხბო კი არა ის არ გინდათ?! მ
მეკარგეთ, თქვე ცინგლიანებო, თქვენა!

და აგვიტყდებოდა ხარხარი და ვეძლეოდით მხიარულე
დიდხანს გაძლო. მგონი ოთხმოც წელს მიაღწია და
ჩავიდა საფლავში, რომ მეზობლებისა და მისი მცნობი
მიანების პატივისცემა არ მოჰკლებია, როგორც ცხოვრე
ყოვლად პატიოსანს და უმწიკვლო ზნეობის კაცს.

თავის სიცოცხლეში არავითარ საუკუღმართო საქმეში
გარეულა, მაგ., ცხენის ქურდების მფარველობაში, ყაჩაღ

ჭადამალვაში თუ სხვა რამ ამისთანებში, მაშინ, როდესაც ბრგვლივ მისი რანგის ხალხი, განსაკუთრებით თავად-აზნაურები, ასეთ „საქმიანობას“ არ ერიდებოდნენ.

არც თუ მისი რომანებისა გაუგონია ვისმე. ის იყო დიდი ერთგული ოჯახისა და მეტად მოყვარული თავისი მეუღლის, ვატმან წულუკიძის ქალისა. მეუღლე მაზედ ხნით უფროსი იყო და არც თუ ძალიან სახიერი, მაგრამ მათს დამოკიდებულებაში შავ კატას არასოდეს არ გაურბენია და ორთავენი, ერთიმეორის ერთგულნი, შეჰხაროდნენ თავის ერთადერთ ალიშვილს ლუბას. საწყენად მხოლოდ ის ჰქონდათ, რომ ს მშვენიერი, ახოვანი და პირმწყაზარი ქალიშვილი გაუხოვარი შემოაბერდათ. ლუბა არც მათი გარდაცვალების ემდეგ გათხოვილა, ამის მიზეზი, ჩემის ფიქრით, უწინარეს ოვლისა ის იყო, რომ თვითონ ლუბას, მიუხედავად იმისა, ომ მთხოვნელები კარგა ბლომად ჰყავდა ახალგაზრდობისას, ვალში არავინ არ მოსდიოდა და მისი გული მათ არ ეკაებოდა; მხოლოდ რომ შებერდა, შემდეგ, რა თქმა უნდა, თხოვნელებმაც იკლო, თუმცა მას საქმრო უთუოდ აღმოჩნდებოდა, რადგანაც კარგი სახლ-კარისა და გვარიანი მაულის მემკვიდრე იყო: გარდა საწულუკიძოსი, რაჭაშიც ქონდა მამული და ანგარების გამო მაინც შეირთავდნენ, მაგამ თვითონ ლუბა იყო უცნაური ხასიათის: მამაკაცური საქიელი ჰქონდა და ქალური სინაზის მიმზიდველობა სრულიად რ გააჩნდა. პირუკუ! ის მუდამ ვაჟებს ეჯიბრებოდა ცხენოსობაში, ბურთაობაში, ნადირობაში და სხვ. ასე რომ, მასთან ოფ ვაჟს ასეთ ვაჟურ ადამიანთან არშიყობა არ შეეძლო აეწყო და თვითონ ლუბა სრულიად ვერ გრძნობდა ასეთ ითხოვნილებას. მისი ასეთი ხასიათი უფრთხობდა საქმროს და ისინიც ერიდებოდნენ.

ბიძია გიორგისას მე ვყოფილვარ პატარაობისას, შემდეგ ჭაბუკეში და ბოლოს მოწიფულობის დროს, უფრო ზაპულობით და ხშირად თვეობითაც, მაგრამ ამ საყვარელ კაცს ვისი ცხოვრების ნირი არასოდეს არ შეუცვლია.

ზოგჯერ, როდესაც დავაჟკაცებული ვიყავი და მას შევხვებოდი ან მისას, ან ჩვენსა ქუთაისში თუ სოფელ ბერმში, ჩამოშიგდებდა ხოლმე რევოლუციურ მოძრაობაზე ბაარაკს და ბევრ რასმე მეკითხებოდა. ეგონა, რომ მე დიდი

მცოდნე ვიყავი ამ ისტორიული ამბებისა და მისი მიმდინა-
რეობისა. შემდეგ იტყოდა:

— არა, რაღაც კარგს კი აკეთებენ ეს ახალგაზრდები,
მაგრამ მე მაინც ბევრი რამ არ მესმის. აი თუნდა გიგო-
შვილი საშა (შემდეგში ცნობილ რევოლუციონერ საშა წუ-
ლუკიძეზე ამბობდა) — რაღაცა კარგი განზრახვები კი აქვს
ვატყობ... ჰა, ჰა, შენც იმისთანა ხარ, ბიჭო... — და სიყვა-
რულით აღსავსე თვალებს შემომანათებდა.

— არა, ბიძია, არა, მე მხოლოდ სცენაზე ვჩხიკინობ რა-
ცხას...

„რაცხა!“

თუ ეს სიტყვა წამომცდებოდა, მაშინვე გამახსენდებოდა
ჩვენი სასიქადულო არტისტი ლადო მესხიშვილი, იმერლებს
რომ დასცინოდა ასეთ ჭართულს:

„ვინცხა, რაცხა, საცხა!“

ბიძია კი მეუბნებოდა:

— ჰო, ვიცი, ვიცი! არც შენ ხარ პატიოსანი კაცი! სულ
ჩვენ, თავადაზნაურობას რომ დაგვცინი სცენიდან! თუმც
რა? ერთხელ მეც მათამაშეს სცენაზე. წულუკიძეებმა დავ-
გით ხონში გიორგი ერისთავის „გაყრა“ და მე სულ „ვა-
არა აქ შენ პავლესა, ჰოო!“ მაყვირეს...

— ბიძია, ეგ ხომ გროტესკული როლია... შენისთანა და-
ბაისელი კაცი და მაგისთანა სათევარი?

— რაო? სათევარი? ეგ რაღა არის?

— სათევარი, ბიძია, ჭართულად როლს ჰქვიან და ჩემი
ფიქრით, „თევა“ ღამის თევისაგან უნდა იყოს წარმომდგა-
რი. ჯერ როლის შესწავლისათვის რომ ათევ ღამეს და შემდე-
თვითონ წარმოდგენის დროს...

— ჰო, ჰო, რას არ იტყვის ეს ბიჭი!

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მე აღარ ვაცალე.

— აა, ახლა კი მივხვდი... სასცენოდ შენი ნიჭი გამო-
ყოლია, ბიძია!

— ოჰ, დაიკარგე იქით! — ვითომ გაჯავრებულმა შემო-
ტია. შემდეგ ისევ მოძრაობის ამბებზე გადავიდა და ბოლო
მაინც მდაბიური შეხედულება გამოთქვა: — მხოლოდ ეთე
არ წააგოთ, ბიჭებო, თავი! ხომ იცი კულაშელი ურიებ

ეუბნებიან შენისთანა ახალგაზრდებს: „რას შობით, ბოშო, თქვენ? თქვენ მეერევით რუს-ხენმწიფეს?“

და ხშირად ასეთ სახუმარო დიალოგად იქცეოდა ჩვენი საუბარი.

სოფ. საწულუკიძეოში ცხოვრობდნენ სხვა წულუკიძეებიც და რაკი მე უფრო მათ შორის ვტრიალებდი, ბარემ იმათზედაც ვიტყვი ერთ-ორ სიტყვას:

იყო კიდევ სხვა გიორგი წულუკიძე. ესეც ამ სოფელში ესახლა, მაგრამ ბიძაჩემ გიორგისაგან რომ განესხვავებინათ, „მაღალს“ ეძახდნენ. მართალია, არც ბიძია გიორგი იყო ტანდაბალი კაცი, მაგრამ ეს მეორე გიორგი მართლა რაღაც არაჩვეულებრივად მაღალი იყო და შეეფერებოდა კიდეც ეს შერქმეული სახელი. ისე კი, ეს მაღალი გიორგი, მეტისმეტად თავმდაბალი და დემოკრატი კაცი იყო. არ თაკილობდა ფიზიკურ მუშაობას ყანაში, ტყეში. თვითონ ხნავდა, თვითონ თესავდა და მოჰყავდა ჭირნახული, თვითონ ჭრიდა ტყეში საშენახე მარგილებს, შეშას და სხვ. გლეხობაში მეტად პოპულარული იყო. ბედნიერად და მშვიდად ცხოვრობდა თავის კეთილ ცოლთან ერთად. მათი ერთადერთი საწუხარი ის იყო, რომ შვილი არა ჰყავდათ.

ამის მიღმა ცხოვრობდა დათა წულუკიძე, ოდესღაც მგონი მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლად თუ იმავ წოდების დეპუტატთა საკრებულოს დეპუტატად ნამყოფი. ჰყავდა ორი ვაჟი — ალექსანდრე და ივანე, ესენიც ცოლ-შვილიანები — და ეწეოდნენ ჩვეულებრივ იმ დროს მიღებულ თავადაზნაურულ ცხოვრებას: სტუმრიანობა მათ ოჯახებში და სხვაგანაც მათ მიერ წასვლა, ნადესაობაში კულაშს, ჯიხაიშს თუ სხვაგან, რასაკვირველია, საქეიფოდ და დროს გასატარებლად. იმავ დროს არც ერთი მათგანი არ იყო ნასწავლი. საშუალო სკოლის კურსიც კი არ ჰქონდათ დამთავრებული, როგორც საერთოდ უმეტეს ნაწილს თავადაზნაურობისას, — თითქმის ყველანი გიმნაზიის თუ სხვა სკოლის მეოთხე კლასიდან ყოფნენ გამომხტარნი, ან პირდაპირ გამორიცხულები.

ეს მეოთხე კლასი თავად-აზნაურთა ახალგაზრდობისათვის თითქმის გადაულახავი რაღაც ჯებირი იყო და ამაზე ხშირად ერთიმეორეში დაიცინებოდნენ კიდეც. დათას ერთ ვაჟს კი 70-იან წლების რუს-თათართა ომში ჰქონდა მონაწილეობა

მიღებული და წმიდა გიორგის ჯვრით იყო დაჯილდოებული. ეს ჯილდო კი ძალიან სასახელოდ იყო მიჩნეული, რადგანაც მას ომში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის აძლევდნენ.

დათა წულუკიძის მიღმა, სოფლის პატარა მოედნის მეორე მხარეზე, ესახლა სამსონ წულუკიძე.

არსებითად არც სამსონის ოჯახი განსხვავდებოდა სხვა იმერელი თავადებისა და მისი მოგვარეების — წულუკიძეების ოჯახებისაგან: იგივე სტუმართმოყვარეობა, ქეიფი, ბზოლოდ უფრო თავშეკავებით, ვიდრე სხვა ოჯახები, სადაც მამაკაცები თვრებოდნენ უგრძნობელობამდე და ხშირად ერთიმეორეზე ხანჯლებიც დაუტრიალებიათ.

ასე არ იყო ამ ოჯახში. მას უფრო სხვანაირი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „წესიერი“ ელფერი ედვა და ამის მთავარი მიზეზი იყო სამსონის მეუღლე ეფროსინე, ლორთქიფანიძის ქალი — ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის თანამოსაქმის, ძველი „თერგდალეულის“, კირილე ლორთქიფანიძის და.

ძალიან მინდა მოვხაზო ამ საუცხოო ქალის სურათი, თუმცა გამიჭირდება კი, რადგანაც ის არ ჰგავდა არც იმ ლოცვა-ვედრებასა და ოჯახის მურეხ საქმეებზე გადაყოლილ მანდილოსნებს, რომელთაც ამის გარდა თითქმის სხვა არა ახსოვთ რა ცხოვრებაში. ასეთები კიდევ იყვნენ ეფროსინეს დროს, თუნდაც ჩემი ბიცოლა, ბიძია გიორგის მეუღლე ფატმან, წულუკიძის ქალი: მეტად გულკეთილი და ადამიანთა თანაზიარი, მაგრამ დილით, სისხამ დილაზე რომ წამოდგებოდა და რაღაც საშინაო ფრიალა კაბას გადაიცვამდა (როგორც შემდეგში დავაკვირდი, ევროპული „პენიუარის“ მაგვარ რაღაცას წარმოადგენდა), თავსაც რომ წაიკრავდა თეთრი მანდილით, დაუტრიალდებოდა შინამოსამსახურეებს და ყველას თავის საქმეს მიუჩენდა, განსაკუთრებით ქალებს. ერთი მუნჯია ჰყავდა, ქალი, და მისი საქმე იყო ბამბის პენტა და საბან-ლეიბის ბამბის ამოდება, კერვით ამ საბან-ლეიბებს შემდეგ სხვა ქალები ჰკერავდნენ. მეორე ჯუჯა-ძატუ, ეგეც ქალი, განაგებდა სამზარეულოს, იყო მისი შეფი. ჩემთვის აქამდე დაუვიწყარია პატარა, წკირებივით წვრილ შამფურებზე მის მიერ წამოცმული და შემწვარი ქათმის კუჭმაჭი, რაიც

ჭონის უცნაურ ბადეში იყო გახვეული ხაჭაპურები ხომ... „თითებს რომ ჩაატანდი“, იმისთანა. კიდევ ბევრ სხვა სანუგბაროებსაც აკეთებდა ძატუ განსაკუთრებით პატარა თიხის ჭოთნებში, „კვაწიებში“, მხოლოდ ხორცეულის დიდი ნაჭრების კეთება, ძატუსავე მეთვალყურეობით, დათმობილი ჰქონდათ შამაკაც მზარეულებს, ისე, როგორც პურის — გომიჯების და ლავაშების ცხობა — ხაბაზებს. ყველა ამგვარებს რომ მოისაქმებდა ბიცოლა ფატმანი, შემდეგ პირს დაიბანდა, ანუ უკეთ — მოსამსახურეები დააბანინებდნენ, ისიც თმებს გადაივარცხნიდა, პატარა ნაწნავებს ყურებზე ამოივლებდა კავებივით, ზედ დოლბანდს და ხელმანდილს გადაიხურავდა, ტანზედაც კაბას გამოიცვლიდა, უფრო საგარეო იერისას, ფოსტლებსაც გაიხდიდა, დაბალქუსლიან ფეხსამოსს ჩაიცვამდა და უსმელ-უჭმელი, უზმოზე, გაემართებოდა მისი ოთახის აღმოსავლეთით მაღლა კედელზე მოთავსებულ ღვთისმშობლის ხატისკენ.

აი აქ იწყებოდა „ლიტურგია“:

ფატმანი იდგა ხატის წინ, ხშირ-ხშირ პირჯვარს იწერდა, ჯერ რაღაც გრძელ ლოცვებს ზეპირად „აღავლენდა“, შემდეგ კი სასულიერო წიგნებიდან „ჟამნი“-დან თუ „კუთხევანი“-დან კითხულობდა გაუთავებელ, გაჭიმულ „მოწოლოგებს“. თან მეტანიასაც აქა-იქ ერთგულად ატანდა. ასე რომ, ეს ფატმანის ლოცვა ზოგჯერ ისე გრძელდებოდა, რომ ბიძია გიორგი იძულებული იყო სასადილო ოთახიდან დაეძახნა: „ფატმან, ბეჩა! ნუ მრმკალი შიმშილით“. წესად იყო შემოღებული, რომ უფატმანოდ „პურად ღება“ არ შეიძლებოდა.

ზოგჯერ ლოცვის დროს, პატარაობისას, მე შევიპარებოდი ფატმანის „სამლოცველოში“ და თვალყურს ვადევნებდი მის საქციელს. ის კი დამინახავდა თუ არა, მაშინვე ასე მიმართავდა ღვთისმშობელს: „დედაო ღვთისავ, შეიწყალენ პატარა შონა შენი შალვა, შალვა დადიანი, საცოდავ ლიდიას (ეს დედაჩემის სახელია) ერთადერთი ვაჟი. მიეცი ჯანმრთელობა და გაზარდე სასახელო კაცი“... და კიდევ რაღაც ამგვარი.

ასეთი ჩვეულებისა და საქციელისა იყო ბიცოლა ფატმანი და აქა-იქ საქართველოს ყველა კუთხეში კიდევ იყვნენ ასეთი

გადამჭიჭებული მლოცველები და ღვთისმოსავები, მხოლოდ ეფროსინე არ იყო ამისთანა.

არც იმისთანა იყო, როგორიც სულ სხვაგვარი ხასიათისა და საქციელის კნეინები იყვნენ: კოპწიები, პრანჭიები, სულ უმარილით თუ სხვა ემულსიებით რომ ცდილობდნენ გალამაზებას, უკანასკნელი მოდის კაბებით და „შლიაპებით“ რომ ირთვებოდნენ და თან... მამაკაცებთან არშიყობას არ ერიდებოდნენ... უფრო ხშირად ესრეთ წოდებულ „ფლირტზე“ რომ იყვნენ გადაგებულნი.

არა, არც ესეთი იყო ეფროსინე!

სახემწყაზარი ქალი იყო და არც არავითარ საღებავს არა ხმარობდა. მშვენიერი ტანადიც. იცვამდა ქართულ კაბას თავის გულისპირით და წელზე ჩამოშვებული ფართო, მოქარგული სარტყელებით. თავზეც თავსაკრავს ხმარობდა თავის ჩიხტიკოპიანა და თავიდან წელამდე საუკეთესო ხარისხის ლეჩაქი ჰქონდა გადმოფარებული.

სიტყვა-პასუხი ზრდილი ჰქონდა და ხმის ტემბრიც არც გამყივანი, ზოგჯერ კაპასობის იქით რომ იმალება, და არც მოდუდუნე, გაუბედაობისა და დარცხვენის მაუწყებელი რომ არის.

საამური იყო მისი დინჯი საუბარი, ის უფრო ქართულად ლაპარაკობდა და არც კი ვიცი, რუსული იცოდა თუ არა. მე ისიც კი არ ვიცი, სადმე სასწავლებელში ნასწავლი იყო თუ არა, მაგრამ დაკვირვებული კაცი შეატყობდა, რომ საკმაოდ განათლებული, გონებაგახსნილი ქალი იყო. ეს ეტყობოდა მის პაწია ბიბლიოთეკას, სადაც ჩვენი ქართველი მწერლების მაშინდელი დროის პატარ-პატარა წიგნაკები იყო დალაგებული: გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, მგონი ცნობილი მწიგნობარის ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული; იაკაკი, უფრო სოსიკო მერკვილაძის საფასურით დაბეჭდილი მომცრო ბროშურები: ილიას პროზა: „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“ სხვა რამ იმჟამად ცალკე წიგნად ილიასი არა იყოროა; გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი“ და ალ. ყაზბეგის რამდენიმე მოთხრობა.

ოო, მე თვითონ შევსწრებივარ, ეფროსინე თავის ფართო და გრძელ აივანზე რომელიმე კუთხეში მიმჯდარი, სახეზე

სხივგადაფენილი რომ კითხულობდა ყაზბეგს. ვინ იცის მერამდენეჯერ!

მგონი რომ ეფროსინე ბუნებით რომანტიკოსი იყო.

ამას გარდა გამიგონია, რომ ეფროსინემ მშვენიერი მოსაკითხი ბარათების წერა იცოდა თურმე. დეიდაჩემის თეოლინასაგან გამიგონია. ესეც თავისებურად განვითარებული ქალი იყო და მხატვრული ლიტერატურა ძალზე უყვარდა. ამან რუსულიც კარგად იცოდა და აი ამას უამბნია ჩემთვის, ეფროსინე რომ მოსაკითხ ბარათს დასწერს, ეს მარტო მოსაკითხი კი არ არის, პატარა-პატარა ამბებია შიგ მოთხრობილი, ნამდვილი ნოველებიაო.

საუბარში კი არ ეტანებოდა ამბების მოყოლას და ჭორიკანობა ხომ მისთვის ისე მიუღებელი იყო, რომ აკი მეზობლები, კნეინები თუ სხვა დედაკაცები, მასთან ჭორიკნობას ვერ ბედავდნენ.

როგორ შეძლო მან ამის მიღწევა, ჩემთვის გამოუცნობია. აგრეთვე ჩემთვის გაურკვეველია თუ საიდან ჰქონდა ოჯახში დამყარებული საოცარი დისციპლინა და წესიერება მოსამსახურეებში, თვით სტუმრებშიაც კი. ყველამ იცოდა, რომ ის არასოდეს არ უნახავთ მყვირალი და „გაკაპასებული“. მიუხედავად ამისა, ყოველივე თავის რიგზე იყო მის ოჯახში. ყველაფერი თავის განსაზღვრულ საათებში: დილის ტუალეტი, ჩაი და საუზმე, სადილი, საღამოს ჩაი და ზოგჯერ, თუ სტუმრებიც იყვნენ, ვახშამიც. თან ყოველივე თავის დროზე მოკვირვებული — სურსათ-სანოვაგე, შესაკერავი ქსოვილები და სხვა რამ. მის სახლში მყოფთ ყველას რაიმე საქმე ჰქონდა მიჩენილი და ისინიც უყვირლად, შეუშფოთებლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას.

არც ბევრი მოსამსახურე ჰყავდა: მოურავი, ან უფრო სამნეო ნაწილის გამგე, მზარეული და ერთი-ორი გოგო, მრეცხავი და ხელზე მოსამსახურე, მაშინ, როდესაც სხვა თავადების ოჯახებში ბუზებივით ირეოდნენ შინაური და გარეული „დამხმარეები“ და ხშირად იყო ერთი აურზაური ერთმანეთში, შური, ჭორი და ხშირად დიდი უსიამოვნება, რაც ხშირად მთელი მეზობლების „საკბილო“ ხდებოდა, მათი დაცინვისა თუ განსჯის საგნად. ბატონყმობა დიდი ხნის გადავარდნილი იყო, მაგრამ სოფლის ჩამორჩენილი ელემენ-

ტები — ზარმაცები, მუქთახორები — მაინც ეტანებოდნენ მე-ბატონის ოჯახებს, სადაც ასე თუ ისე, ცოტა რამ გამოსარჩენს მაინც მოელოდნენ.

ეფროსინესას, როგორც ვთქვით, ასე არ იყო.

და დიდის სიამოვნებით ეტანებოდა მის ოჯახს უფრო ინტელიგენცია, ადგილობრივი თუ სტუმრად ჩამოსული, ნეტწრელად ხონის პედაგოგები. იმ დროს ხონში არსებობდა ესრეთ წოდებული საოსტატო სემინარია და იქაური მასწავლებლები საღამოობით ხშირად მოდიოდნენ ეფროსინე დასამსონისას. ამათში იყვნენ რუსებიც, და მათ შორის, ეროვნულ თურმე მეტად საყურადღებო კაცი, დიდად განათლებული და ნათელი პიროვნება. ვინც იცნობდა, ყველა ემადლიერებოდა. ის იყო ხსენებულ საოსტატო სემინარიის უფროსი, ხელმძღვანელი, და ისე ჰქონდა საქმე დაყენებული, რომ მასწავლებლებიც კარგა მომზადებულნი და შერჩეული ჰყავდა და მოწაფეებსაც ღირსეულად ამზადებდნენ. ამ სასწავლებელმა შემდეგში ბევრი მისცა საზოგადოებას ერთგული მუშაკი საზოგადოებრივ ასპარეზზე. ზოგი შესანიშნავი პედაგოგი გამოვიდა, ზოგი მეტად საყურადღებო ლიტერატორი და სხვა.

მე კი სემინარიის ამ ხელმძღვანელის ნახვამ (სამწუხაროდ, გვარი აღარ მახსოვს) პირველ ხანად ძალიან გამაკვირვა. შედარებით ახალგაზრდა კაცი იყო, სახელრი, კარგად ჩაცმული, ზრდილობიანი, მაგრამ ავადმყოფი. ესეთ ახალგაზრდას თავი უძიგძიგებდა... განუწყვეტლივ... და სანამ არ მიეჩვეოდით, მანამ ძნელი იყო ყურება. მიეჩვეოდით მხოლოდ მაშინ, როდესაც დაილაპარაკებდა. მისი აზრიანი და შინაარსიანი ლაპარაკი გავიწყებდათ მის თავის ძიგძიგს.

და აი ამ კაცმა ერთი ხონელი ულამაზესი, ახალგაზრდა ქალი შეირთო ცოლად. ყველა გააკვირვა ამ ამბავმა და ბოროტი ენები ამბობდნენ, ქალმა კარიერისთვის, ე. ი. საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის გაჰყიდა თავი და მალე ნახავთ, იმ თავმოძიგძიგეს ოჯახს ლომებივით „კავალრები“ როგორ შეესევიანო, მაგრამ... ამ მშვენიერი ახალგაზრდა ქალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ქმრის ნამდვილი და ერთგული მეუღლე გამოდგა.

ცუღლუტ ახალგაზრდა ვაჟებს მხოლოდ ის ჰქონდათ დარ-

ჩენილი, რომ დაიცინებდნენ: „როგორ კოცნის ეს ლამაზი გოგონა ამ თავძიგძიგას? რას უშვრება, თავს გაუჩერებს თუ როგორ?“ ზოგი ამტკიცებდა — ვერ გაუჩერებს, ტუჩებს ააცდენსო, და იყო ამაზე ერთი ხიცილ-ხარხარი.

ამათ გარდა, როგორც ვთქვი, ადგილობრივი სხვა ინტელიგენტებიც იყრიდნენ თავს სამსონისა და ეფროსინეს ოჯახში. ეს უფრო საღამოობით და იყო საუბარი მიმდინარე პოლიტიკისა თუ საზოგადოებრივ საკითხების გარშემო.

ეფროსინე თვითონ ესეთ საუბარში აქტიურ შონაწილეობას არ ღებულობდა, მაგრამ, თითქოს შეკრებილთა იდუმალი შეთანხმებით, იქ მყოფთა თავმჯდომარედ ითვლებოდა და ამის გამო საუბარი ცხარე კამათში თითქმის არასოდეს არ გადადიოდა.

ქმარი ეფროსინესი იყო ერთი უწყინარი, ბუნჩულა კაცი, ოჯახში მისი ყოფნა თითქმის არ იგრძნობოდა. არც ყვირილი, არც გაჯავრება ვისმეზე, არც კი ერეოდა ოჯახის მართვა-გამგეობაში. ის მსახურობდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკში დამფასებლად და ჯამაგირი, რასაკვირველია, სახლში მოჰქონდა, თან ყოველდღე მიდიმოდიოდა ქუთაისს და ხონს შუა. ამ ორ ადგილს შუა მხოლოდ 25 კილომეტრია და სამსონი ასწრებდა დილით სამსახურში მისვლას ქუთაისში და სადილობისას შინ დაბრუნებას.

ასე რომ, ოჯახის საქმე ეფროსინეს ეკითხებოდა და ჩვენ უკვე ვიცით ისიც, თუ როგორ უყვარდათ ის და რა სათნოებით უძღვოდა ამ საპასუხისმგებლო საქმეს ეფროსინე. სამსონს კი, სტუმრებთან საუბრისას ცოტა ხნის შემდეგ, უყვარდა ქალაქდის თამაში და მსურველთ ეთამაშებოდა ნაკლებ აზარტულ სათამაშოს: პრეფერანსს, რამსს და სხვ., ამას მოჰყვებოდა ვახშმობა უფრო შეზავებული ხუმრობით და მახვილსიტყვაობით და ნაკლები ღვინის სმით.

ზოგჯერ ქუთაისიდანაც ეწვეოდნენ სამსონის ოჯახს მოწინავე ადამიანები, მათ შორის კირილე ლორთქიფანიძე, ძმა ეფროსინესი, დაგით წულუკიძე, ევროპაში განსწავლული ინტელიგენტი, ზოგჯერ ნიკო ნიკოლაძეც სოფ. ჯიხაიშიდან, სადაც მაშინ მას სოფლებისათვის გაჰყავდა მდინარე ცხენისწყლიდან სარწყავი არხი და საწულუკიძეოც მის რჩევა-დარიგებას მიჰყვებოდა; ზოგჯერ თვითონ აკაკი ეწვეოდა... და

მაშინ ხომ „გაბედნიერებული“ იყო ეფროსინე, მთელი მისი ოჯახი და მეზობელი წულუკიძეებიც.

აკაკის, რაღა თქმა უნდა, შეჰქონდა დიდი სხივი ყოველგვარ დიდსა თუ პატარა შეკრებილებაში, თავისი მარადი აზროვნებისა, მახვილგონიერებისა თუ მახვილსიტყვაობისა, ზოგჯერ კი კვიმატიანი მოსწრებულ სიტყვებისაც. ამიტომ უყვარდათ ყველგან, ამიტომ ვერ ელეოდნენ, ამიტომ ესიენ გარშემო.

გარდა ყველა ამეებისა, ეფროსინეს ძალიან უყვარდა საერთოდ ამბების მოსმენა, თუ კი ვინმე კარგი მომთხრობელი იყო ამბებისა, და აკაკის აბა ვინ დაეტოლებოდა...

ის კი არა, როცა მე უკვე დავვაჟკაცდი, შეხვედრისას, ყოველთვის რასმე მაამბობინებდა ეფროსინე. მაგრამ აქ საყურადღებო ის არის, თუ როგორი უშუალო მსმენელი იყო ეს დარბაისელი ქალი. ამბის ყოველ ნიუანსს მასზე დიდი გავლენა ჰქონდა და პატარა სამწუხარო დიდად დაამწუხრებდა, სამხიარულო ხომ ზოგჯერ თითქმის თავშეუკავებელ სიცილ-ხარხარს იწვევდა.

ერთხელ ვუამბე რომელიღაც რუსულ ლიტერატურულ ჟურნალში ამოკითხული ანეგდოტური ამბავი. მოთხრობას რუსულად „господин скромник“ ეწოდებოდა და შიგ გამოყვანილი იყო ერთი მეტისმეტად მორიდებული ყმაწვილი კაცი. მის უფროსს და მის თანატოლ ამხანაგებს ყველას უყვარდა ეს ყმაწვილი, რადგან ის იყო უმწიკვლო ზნეობის ადამიანი, დაკისრებულ მოვალეობათა ზუსტი შემსრულებელი და სხვ. თავის მორიდებული ხასიათის გამო ხშირად უხერხულ მდგომარეობაშიც ვარდებოდა, მაგრამ მისდამი სიყვარულსა და პატივისცემას ეს არას აკლებდა. სამსახურში მის უფროსსაც ძალიან მოსწონდა და ხშირად ეპატიჟებოდა თავისთან, მაგრამ ეს მაინც ვერ ბედავდა მისვლას, მხოლოდ ერთხელ კი, როგორც იყო, გაბედა და ეწვია. ზაფხული იყო, ახალი ნასადილევი, და უფროსიც თავის აივანზე გრილოში იყო წამოწოლილი. ყმაწვილი რომ ეწვია, დიდად გაიხარა და საუბარი გაუბა. „სკრომნიკიც“ აძლევს ლაკონიურ პასუხს, „ჰო, არა“, თან ოფლი წკურწკურით ჩამოსდის სახეზე და ხშირ-ხშირად ცხვირსახოცით იმშრალებს. უფროსმა შეამჩნია, რომ ყმაწვილ კაცს ძალზე სცხელოდა, შორიახლო ჭი-

ქით წყალი იდგა და მიუთითა: გასაგრილებლად დალიეო, „სკრომნიკმა“ ბევრი იუარა, ბოდიშიც ითხოვა შეწუხებისათვის, მაგრამ უფროსი ისე ჩაიცივდა, რომ ძალიანძალით დაალევინა. სმის დროს „სკრომნიკს“ კინაღამ გული აერია, მაგრამ მეტი ჩარა არ იყო. მოითმინა და ისევ თავის სკამზე დაჯდა. ამ დროს ოთახიდან გამოვიდა ოჯახის დიასახლისი და მაგიდას მიაშურა. დაცლილი ჭიქა რომ დაინახა, თითქმის შეჰკივლა: „ვინ დაცალა ეს ჭიქაო?“ საქმის ვითარება რომ გაიგო, ერთი საოცრად გადაიკისკისა: „ეს რა გიქნიათ, ჭიქაში ხომ სასაქმელი ზეთი იყოო“. უფროსი ძალიან შეწუხდა: „ჩემი ბრალია, მე დავაძალე, მეგონა თუ გაციებული ლიმონადი იდგა ჭიქაშიო“ და... შეწუხდა, თუმცა „სკრომნიკს“ დიდხანს აღარ დაუცდია და შინისაკენ მოკურცხლა.

მეორეჯერ კიდევ ეს „სკრომნიკი“ ეწვია თავის ტოლს, ახალგაზრდა თანამოსამსახურეს საღამო ხანს. მასპინძელ ცოლქმარს გაეხარდათ მისი მისვლა და არ იცოდნენ, რითი ეცათ პატივი. ჩაი დაალევინეს, ტკბილი ნამცხვრები და მურაბებიც მიართვეს. მსუბუქმა საუბარმა და ხუმრობამ კარგა ხანს გასტანა. მაგრამ მოთავდა ყველაფერი. სასაუბროც შემოელიათ. დაღამდა კიდეც, აგერ უკვე 9 საათია. „სკრომნიკი“ კი ზის თავის სკამზე გაუნძრევლად. შესრულდა ათიც. მასპინძლები შეშფოთდნენ: სტუმარს ხომ ვერ გააგდებენ, არა-და სტუმარი არ ინძრევა. ამაზე მასპინძელთაგან ქმარი ხმამაღლა ამბობს:

— უჰ, უკვე ათი საათია. მეთერთმეტე იწყებაო, გესმით? ტრამვაის ხმა ნაკლებ ისმის...

ცხადია, ეს ნიშანია იმისი, რომ სტუმარს დაგვიწყდა შინ წასვლა, დრო არის უკვეო. ეს კარგად ესმის სტუმარს, მაგრამ არ ინძრევა.

ცოტა ხნის შემდეგ მასპინძლის ცოლი ეკითხება „სკრომნიკს“:

— როდესაც თქვენ სახლში გაგვიანდებათ, როგორ შედიხართ თქვენს ბინაში? მეზობლებს აღვიძებთ თუ თვითონა გაქვთ ცალკე გასაღები?

სტუმარი ამაზე დიდის მორიდებით და ზრდილობიანად უპასუხებს: „ცალკე მაქვს გასაღებიო“ და თან სკამიდან წამოიწევა.

მასპინძლებს ჰგონიათ, ახლა კი გვეშველა და წავალო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! — სტუმარი ისევ ჯდება და თითქო უფრო საფუძვლიანად.

გადის კიდევ ცოტა ხანი და უკვე შეშფოთებული დიასახლისი წამოდგება და ამბობს:

— უკვე ძალზე გვიანია. ახლა სადღა წახვალთ. მართალია, ჩვენ ძალიან ვიწროდ ვცხოვრობთ, მაგრამ აგერ ტახტზე დაგიგებთ და მოისვენეთ...

ამის საპასუხოდ „სკრომნიკიც“ მარდად წამოდგება ძირიდან და დიასახლისს მოახსენებს:

— მე დიდი ხანია მინდოდა წასვლა, მაგრამ თქვენ ჩემ ქუდზე იჯექით და ვერ შეგაწუხეთ!..

ამაზე ეფროსინეს აუტყდა სიცილი, მაგრამ როგორი სიცილი? უშუალო, ბავშვური და მოურევნელი.

ამ სიცილში მე დავინახე ეფროსინეს სრული უზრუნველობა და სპეტაკი პიროვნება.

ამ ჩემი „სკრომნიკის“ ამბავს ეფრსინესთან ერთად ისმენდნენ მისი ქმარი სამსონი და ერთიც მისი ბიძაშვილთაგანი, ოხუნჯი იასონ წულუკიძე.

მე ამბავი დავასრულე, ეფროსინე კიდევ იცინოდა. ამ დროს იასონი დემონსტრატიულად წამოდგა თავისი სკამიდან და ვითომ სერიოზულად ხმამაღლა წარმოთქვა:

— კაცო, ვიღაცის ქუდზე ვზივარ. მგონია შალვას ქუდია, არ დაგვიანდეს, ბიძია, წადი სახლში...

მაგრამ ვერ გამაბრიყვა.

— არა, ბიძია, არსადაც არ მივდივარ და ჩემი ქუდი აი აგერ ჰკიდია.

ვუჩვენე სადაც ეკიდა და... ატყდა ხელახალი სიცილ-ხარხარი და იმ ღამეს ვახშმადაც კი დამტოვეს.

ასე რომ სოფ. საწულუკიძეოში და მის არემარეზე ეფროსინე წულუკიძე ერჩეოდა სხვა ქალბატონებში თავისი თითქო უბრალოებით, მაგრამ იმავ დროს შესანიშნავი სულიერი სიმაღლით, და საღამოობით მის ოჯახში სტუმრებს თავმოყრას რიგითი და ჩვეულებრივი ქეიფის ხასიათი კი არა ჰქონდა, არამედ უფრო როგორიღაც მაღალი დინის ელფერს ეძლეოდა. აქ შეკრებილებში, როგორც ზემოთაც ვთქვი, უფრო ინტელიგენტები სჭარბობდნენ და მათი საუბარი მეტ-

წილად მიმდინარე საზოგადოებრივ საკითხებს ეხებოდა. ასე რომ, მე რომ მკითხოთ, ეფროსინეს „საღამოები“ უფრო სალონურ ხასიათს ატარებდნენ და თვით ისიც შეიძლება მინიატურულად, მაგრამ არსებითად მაინც საფრანგეთის განთქმულ ქალს მადამ რეკამიეს მივამსგავსოთ.

მთავარი საზრუნავი კი მაინც ეფროსინესა და სამსონისათვის მათი ერთადერთი ქალიშვილი — ცუცუნია იყო. შინ ასწავლიდნენ და ამისთვის ჰყავდათ დაქირავებული დედამძუძეებით თუ ისე, პირდაპირ მასწავლებლები, როგორც დედისერთა, მეტად განებივრებულად იზრდებოდა. აქ ეფროსინეს დასძლია დედობრივმა სანტიმენტალობამ და ქალიშვილი სათანადოდ ვერ აღზარდა. ნებისყოფას მოკლებული, მერყევი ხასიათის ქალი დადგა შემდეგში.

ერთხელ ამ გოგონას მასწავლებლად ჰყავდა მეტად მოხდენილი ქალი, თამარ მესხი. ადგილობრივი ახალგაზრდობა თავს დატრიალებდა და, ისიც, უთუოდ, თავმომწონეობდა, მაგრამ შავის გულის ქარი მაინც არავის გაუღრ, რადგან მას ჰყავდა საქმრო, საუცხოო, განათლებული ყმაწვილი კაცი და მისი ერთგული იყო.

აქ გული არ მითმენს, რომ ჩემი „გატაცებაც“ არ მოვიხსენიო. მე უკვე სცენაზე გამოსული ჭაბუკი ვიყავი და, რასაკვირველია, მეც მოვიხიბლე „თამარით“ და ერთ დროს ვითომ ლექსად ასეთი ზმა ვუძღვენი:

ვითა მარადის ცაზე მზე
მე სხივითა ვარ მოსილი.

არ გაჭრა, მხოლოდ ზრდილობიანი ღიმილი გამოიწვია.

ქალაქად

გახულის საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებიდან, სოფლებში ხანგრძლივ ცხოვრებას თითქმის სულ ჩამოვშორდი, ხანდახან ზაფხულობით თუ მომიხდებოდა იქ ყოფნა. და აი 1892 წლიდან ქუთაისში დავიწყე ცხოვრება. ქალაქებში მანამდეაც მიცხოვრია. მაგალითად: თბილისში, ქუთაისში ისიც ხამთრობით, ბავშვობისას. 1881 წ. მამამ თბილისში ირჩია

ცხოვრება და აქტიურად ჩაება საზოგადო მუშაობაში: გაზ. „დროების“ რედაქციაში და „ვეფხის ტყაოსნის“ პირველ სარედაქციო კომისიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა მხცოვანი გრ. ორბელიანი და წევრებად იყვნენ: ილია და აკაკი, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, ს. მესხი, დ. ერისთავი, ი. მეუნარგია და სხ. ყველა ამათთან დაახლოვებამ გამოიწვია ჩვენს ოჯახში ამ ხალხის ხშირი სტუმრობა და მეც, ჯერ კიდევ ბავშვი, გავეცანი ამ სასახელო ხალხს, რასაკვირველია, მე მაშინ არ გამეგებოდა თუ ვინ იყვნენ ისინი, მაგრამ მამაჩემის მათთან დარბაისლური საუბარი და ერთი მეორესთან განკრძალვითი დამოკიდებულება მეც თითქო მანიშნებდა, რომ განსხვავებულ ხალხთან გვქონდა საქმე. ხშირად საუბარში ისინიც იცინოდნენ, კარგადაც ხარხარებდნენ, განსაკუთრებით აკაკის ან მეუნარგიას ლაპარაკის შემდეგ, მხოლოდ მე ერთს არ მეცინებოდა, რადგანაც (გახსოვთ?) „ტლუბიჭის“ ფილოსოფიური განწყობილება ჯერ კიდევ თან მახლდა. თუმცა ყველა ისინი რიგრიგობით მეფერებოდნენ, გამომესაუბრებოდნენ კიდეც, მაგრამ ყველაზე მეტი დაახლოვებული მაინც იონა მეუნარგიასთან ვიყავი. ილიას მოფერება მხოლოდ ერთხელ მახსოვს. საყელოში თითი ჩამიყო და თითქო მომიღიტინა. მე ეს დიდად არ მსიამოვნებია, მაგრამ ის მხიარულად იღიმებოდა და მეც თავი შევიკავე. ზოგჯერ ნატო გაბუნიაც ერია ამ კრებულში და როდესაც თხოვდნენ, დაირაზე დაკვრას, ისიც ამღერდებოდა და დიდის ხელოვნებით ასრულებდა სხვადასხვა ქართულ ჰანგებს. მე მათი მუსიკალობის ძალიან ცოტა მესმოდა, მაგრამ სინარნარე ნატოს მიერ შესრულებულ ჰანგებისა, მეც მხიბლავდა.

ამ სტუმრებში ხშირად ერია ერთი რუსი, ვინმე სიმბორსკი. ძალიან კარგი ჟურნალისტი და იუმორისტი იყო თურმე და ყველა ამ წრის ხალხს უყვარდათ. განსაკუთრებით მეგობრობდა იონა და სტუმრებში, თითქმის მუდამ, ერთი მეორის გვერდით ისხდნენ და ჩუმათ ერთი მეორეს რაღაცას ეხუნჯებოდნენ. იონა ჩვენსას ძალიან ხშირი სტუმარი იყო, მე ვუყვარდი და ძალიან მანებივრებდა. ისე არ მოვიდოდა, რომ რაიმე სათამაშო არ მოეტანა ჩემთვის და ამ კრებებზედაც, როდესაც ვინმე ორატორობდა, ხშირად დამიძახებდა და, მუხლებ შუა დამიყენებდა და რაღაცას მეხუმრებოდა.

იქვე მჯდომი სიმბორსკი ამის გამო დამიახლოვდა და მეც ეს კაცი როგორღაც შემიყვარდა.

ოო რამდენი ვიტირე, როდესაც ჩვენთან ამბავი მოიტანეს — სიმბორსკიმ თავი მოიკლაო. არა მგონია, რომ ჩეხეთში დიდი ჭირისუფალი მას ყოლოდეს ვინმე. არც ეხლა ვიცი მიზეზი მისი თვითმკვლელობისა, მაგრამ მაშინ კი ბალღს, როგორც მახსოვს, დიდად გული დამწყვიტა.

ამ საღამოების გარდა მამაჩემთან ხშირად მოდიოდნენ ცალკეული პიროვნებანიც, რადგან თბილსელები პირველად გაეცვნენ მამაჩემს ამ ხანებში. ეტყობათ მოეწონათ, მიტომ, რომ მამას ჭრუდიტის დიდი სახელი გჯუვარდა, განსაკუთრებით ქართული ენის მეცნიერული მცოდნისა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მამას დიდი ბიბლიოთეკა დარჩენია მემკვიდრეობით ძველი მანუსკრიპტების თუ წიგნებისა და რა კი საოცარი მეხსიერების კაცი იყო, თითქმის ზეპირათ ახსოვდა ზოგიერთი ძველი შესანიშნავი წიგნის შინაარსი და ცალკეული ადგილებიც. მაგალითად ზეპირად იცოდა ადგილები „ნებროთიანიდან“. სამწუხარრდ ეს „ნებროთიანი“, — სხვა მის მდიდარ ბიბლიოთეკასთან ერთად, ცეცხლს ემსხვერპლა, როდესაც მამაპაპეული სახლი დაეწვა. მამას, როგორც ვთქვი, სახელი გაუვარდა ძველი ქართულის დიდი მცოდნისა და მის სიცოცხლეში არ გამოსულა ძველი ლიტერატურიდან ქართული წიგნი ისე, რომ მისთვის რჩევა არ ეკითხათ. საერთოდ კი ენის შესახებ ხშირად უხდებოდა ბაასი ჩვენს მოწინავე მწერლებთან და ის არ იყო მომხრე არქაისტული სიტყვების აღდგენისა, მაგრამ ზოგიერთი, თითქმ ძოძველებული სიტყვის ხმარებას, მაინც იცავდა, რადგანაც ეს სიტყვები ნამდვილი ქართული წარმოშობისაა და აღებულ საგანს სწორ-უტყუარად გამოსახავსო.

აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ თბილისის ზოგიერთ ოჯახებს მე და ჩემი დაც პატარაობისას გავეცანით. ამ ოჯახებში უფრო ხშირად დავყავდით ჩვენს მფარველს და მოსიყვარულეს იონა მეუნარგიას, მისი წყალობით ჩვენ ვესტუმრეთ სამეგრელოს უკანასკნელ მთავრის დას ნინოს, მუხრანბატონის მეუღლეს, და აგრეთვე ჩვენს სასიქადულო პოეტს ილ. ორბელიანს. მახსოვს მისი ჭარმაგი მოყვანილობა გენერლის საშინაო ფორმაში; მხიარულად მიგვიღო ბავშვები.

რაღაცები გაგვეხუმრა კიდეც, მხოლოდ როდესაც მე მის პატარა „ეტაჟერკას“ ჩაკეკებით დაუწყე ცქერა, გაიღიმა და მითხრა: „ოჰ ყმაწვილო! ეგ ნაწერები ჩემსავით ბებერი და დამტვერიანებული არისო“.

ამ წელიწადს თბილისში პირველად ვიყავი და ქუთაისის გარდა ასეთი დიდი ქალაქი, რასაკვირველია, მანამდე არ მენახა. ღამე იყო, როდესაც ჩვენი მატარებელი თბილისში ჩამოდგა. ჩვენ უნდა წავსულიყავით მაშინდელ სასტუმროს „კავკაზ“-ში. სასტუმროს გამგემ მამას ლანდო გამოუგზავნა. მე ამის დანახვაზე დიდად გავიხარე, რადგანაც მკითხველს ახსოვს, რომ ლანდოს იმერეთში, სოფელ სავანეში კოტე ერისთავის ოჯახში გავეცანი.

მკითხველს უთუოდ გაუკვირდება, ვინ არის ეს შალვა დადიანი, რომ თავის პატარაობისას სულ ლანდოთი „დაგულაობდაო“. უთუოდ თავის ალაგას მკითხველს გავაგებინებ თუ ვინ ვარ მე და რა წრიდან წარმოშობილი.

თბილისში ჩამოსვლისას დიდად გამაკვირვა ქალაქის სანახაობამ: მეტად გაბრჭყვიალებული იყო. ჯერ ერთი: მაშინ თბილისს აირის (გაზის) ლამპიონებით ანათებდნენ, თანაც იმ დღეს თურმე ხელმწიფის კარის რაღაც დღესასწაული იყო და ამიტომ წითელ-ყვითელი ქაღალდის ფარნებით არემარე იყო მოჭიკჭიკებული, ამისთანა მე არაფერი მენახა და ამიტომ ეს დიდხანს ჩამრჩა გულში.

მეორე: მკითხველს მოეხსენება, რომ 1881 წ. მოკლეს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე, იმის გამო, სწორედ ჩვენი სასტუმროს პირდაპირ, მაშინდელ ერევნის მოედანზე, გამართული იყო პარადი. ჯარებით ივსებოდა მოედანი და ეტლებით მოქრიალებდნენ ნაირ-ნაირი გენერლები. მე სასტუმროს ნომრის აივნიდან გადავყურებდი მთელ მოედანს. გამოჩნდა თუ არა, მაშინვე შევიცანი ჩემთან უკვე „დამეგობრებული“ გრ. ორბელიანი. ამანაც ძალიან გამახარა მხოლოდ გამაკვირვა, რომ სპილენძისებური ქვაბი თავზე ეხურა და ზედ რაღაც დიდი ფოჩები ჰქონდა გადმოფენილი.

ამას გარდა კიდევ მახსოვს ქ. თბილისში დიდი მეგობრობა მამიჩემის და სერგეი მესხისა. ეტყობა ძალიან უყვარდათ ერთი მეორე, რადგან ხშირად შემოდიოდა სერგეი და მხიარულ ბაასში იყვნენ გართული.

მახსოვს: სოფ. ბერთემს მამა შეუძლოთ იყო და იწვა. ფოსტიდან მოგვივიდა გაზეთები. ლაზარე რატიანმა მამას წაუკითხა ცნობა, რომ აბასთუმანში გარდაცვლილა სერგეი მესხი. ავადმყოფი მამა წამოჯდა ლოგინზე, და დიდხანს იჯდა ხმა ამოუღებლივ. ცრემლი არ შემინიშნავს. იმავე დღესვე მამამ დაწერა ლექსი მიძღვნილი სერგეი მესხის ხსოვნისადმი და გაგზავნა კიდეც რედაქციაში, მაგრამ, რამდენადაც მახსოვს, ლექსი არ დაუბეჭდავთ, ვითომ იმის გამო, რომ სერგეი მესხის სიკვდილს ძალიან ბევრი გამოეხმაურა, მამას ლექსიც ცოტა გვიან იყო მისული და ამდენი „გახმაურება“ საჭიროდ არა სცნეს. ეს ჩვენ შემდეგში გავიგეთ. მამა კი დიდად შეწუხებული იყო.

პირველი გაცნობის შემდეგ, მე ხშირად ჩამოვდიოდი ამ ქალაქში, ბოლო ხანებში კი გამუდმებით. ჩვენს დედაქალაქში ვცხოვრობ, მაგრამ თბილისზე მე ამ ნაწერშიაც უთუოდ ბევრჯერ მექნება ლაპარაკი.

სოფლის დატოვების შემდეგ, როცა 16—17 წლის ვიყავი (ეს იყო 1892 წ.) გადავსახლდი ჭუთაისს, მაშინ მამა ცოცხალი იყო და პირველ ხანებში მე და მამა სასტუმროში ვცხოვრობდით. შემდეგ მამამ დაიქირავა თეთრ ხიდთან აწლოს მშვენიერი ორსართულიანი სახლი, საუცხოვო ბაღით და ეზოთი—დები ნიკოლაძეებისა. და მეც მთელი სიჭაბუკე ამ ბინაში გავატარე. ამ სახლში ერთხელ მოეწყო საქველმოქმედო სალამო, რომელსაც დიდი საზოგადოება დაესწრო. აქ, ამ სალამოზე მომივიდა ერთი „კონფუზი“. რალაც ბარათებს ყიდდენ ქალიშვილები. ერთ-ერთი მათგანი მომბდგა მეც და მიიბრა—ერთ-ერთი ბარათი შეიძინეთ თქვენცო. მამა შვილების აღზრდის საქმეშიაც თავისებურ პედაგოგიურ აზრს ადგა და ასეთ მოწიფულ ვაჟკაცსაც, როგორც მაშინ მე ვიყავი, ჯიბის ფულს საბარჯად არასდეს არ მაძლევდა,—ყმაწვილს ფულის სიყვარული არ გაუჯდესო. მე კი ქალიშვილის მომართვაზე გავწითლდი, გავყვითლდი. რა მიმეცა, როდესაც ჯიბეზე არაფერი მქონდა, მაგრამ ისევ ქალიშვილმა გამომიყვანა უხერხულ მდგომარეობიდან: „თქვენ უთუოდ წვრილი ფული არ გაქვთო“ და თვითონ გასრიალდა. მე კი შევრცხვი „ყაზახი“!

ამგვარად თავისუფლად ითქმის, რომ ჩემი სიჭაბუკე ქუ-

თბისში გავატარე. ნიკოლაძის სახლი, სადაც ჩვენ დავსახლდით, მოცულობით დიდი იყო: მამას ჰქონდა საკუთარი კაბინეტი — სამეცადინო ოთახი თავის დიდი ბიბლიოთეკით და აქვე ღებულობდა თავის სტუმრებს, საზოგადო მოღვაწეებს და ავადმყოფებს. უნდა ვიცოდეთ, რომ მამა მრავალმხრივ განათლებული კაცი იყო და, სხვათა შორის, შესწავლილი ჰქონდა სამედიცინო მეცნიერებაც. ამიტომ მას დიდი სახელი ჰქონდა განთქმული მოსახლეობაში და დიდძალი ხალხი ესეოდა, როგორც სოფლად მყოფობის დროს ისე ქუთაისშიდაც. მათ მამა, რასაკვირველია, სრულიად უფასოდ ღებულობდა და უწერდა რეცეპტებს აფთიაქიდან წამლების მისაღებად. მამას ჰქონდა მრავალი სამედიცინო წიგნი, და სხვათა შორის, რამდენიმე კრებული რეცეპტებისა, აქედან მამა ამოიწერდა ყოველ ცალკეულ ავადმყოფისთვის საჭირო წამლებს და რეცეპტს ზედ წააწერდა ლათინურად „Copia". ეს იმისთვის, რომ მამას ოფიციალური ნებართვა არა ჰქონდა ექიმობისა, თუმცა ჩვენი აფთიაქები თანდათან მიეჩვიენ მამას მიერ დაწერილ რეცეპტებს, შეეკითხნენ კიდეც გუბერნიის ექიმთა მთავარ სამმართველოს, მან განკარგულება გასცა, დადიანის რეცეპტები არ დაებრკოლებინათ, რადგან დარწმუნდნენ, რომ დადიანის დიაგნოზი შეუმცდარი იყო. ცნობილი ექიმი სამსონ თოფურია აღტაცებული იყო მჭმიჩემის ასეთი სპეციალური ცოდნით და ხშირად თვითონ უგზავნიდა საეჭვო და მძიმე ავადმყოფებს გასასინჯად. რომ წამოვიჩიტეთ მამა ხშირად მე და ჩემს დას გვესაუბრებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგებზე, ანატომიაზედაც დაგვიწყო ცნობების მოწოდება, — მაგრამ მე და ჩემმა დამ ანატომიას გული ვერ დაუდევით. ჩემი და მუსიკით იყო გატაცებული, მე კი ჩემთვის ვლიტერატოროზდი და განვაგრძობდი ჩემი ხელნაწერი ჟურნალის გამოცემას.

ამ დიდ სახლში იყო სხვა ოთახებიც. ერთი დიდი დარბაზი საერთო სტუმრების მისაღები, მეორე კარგა მოზრდილი დარბაზი სასადილოთ განკუთვნილი და სხვა ოთახებიც ჩვენი ოჯახის წევრთათვის. ერთი მათგანი მამამ მეც მომიჩინა, სადაც მე ვატარებდი ჩემს ლიტერატურულ მუშაობას, მაგრამ მე ასეთი ჩაკეტილი მუშაობით არ დავკმაყოფილდი, გავეცანი ქუთათურ გიმნაზიელებს, ვისაც მწერლობა და ლი-

ტერატურა აინტერესებდა დავიახლოვე და თითქმის კვირაში ერთი დღე დავადგინე შესაკრებად. ამაში იყვნენ უფროსი კლასების მოწაფეები: პართენ გოთუა, სიმონ ჯაფარიძე, გიორგი ავალიანი, სილოვან გაბუნია და საშა წულუკიძე და კიდევ სხვები, რომლებსაც ამჟამად ვერ ვიხსენებ, გარდა ნიკო ლორთქიფანიძისა, რომელიც, როგორც ხნით უმცროსი, შემოგვიერთდა შედარებით უფრო მოგვიანებით.

გიმნაზიელებს ჰქონდათ თავიანთი ხელნაწერი ორგანო. არ მახსოვს რა ერქვა და წამოიჭრა აზრი, რომ ჩემი „მოზარდი“ და მათი ორგანო გაგვეერთებინა. ამ საკითხს რამდენიმე სხდომა მოვანდომეთ, მაგრამ ორგანოს სახელი ვერ გამოუძებნეთ, დასახელებული იყო სიტყვა „უყი“, ამ სიტყვას უფრო დასავლეთ საქართველოში ხმარობენ და ნიშნავს ხელუხლებელ და დასამუშავებელ მიწას, ანუ ყამირს. ამ სიტყვას კი ჩვენ ისე არ მივეტანეთ და საერთოდ ამ ორგანოს გამოცემა არ განხორციელდა, რადგან ზაფხულმა მოაღწია და გიმნაზიელები დაიქსაქსნენ. მე კიდევ სცენამ გამიტაცა და უფრო აქტიურ მუშაობას იქ შეუდექი.

ზემოხსენებულ ამხანაგებში: პართენ გოთუა შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი და რედაქტორი რუსული გაზეთებისა. ჩემ დროს კი ის წერდა პიესებს. ერთერთი პიესა — „კენჭის ყრა“ მგონი ცალკე წიგნათ გამოსცა კიდეც. თავის მემკვიდრეთ კი დაგვიტოვა საუცხოო ახალგაზრდა, ნიჭიერი დრამატურგი და რომანისტი ლევან გოთუა.

სიმონიკა ჯაფარიძე იყო ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე ჭიათურაში.

გიორგი ავალიანი, იყო სცენისმოყვარე და კარგი სასცენო მომავალიც ჰქონდა, მაგრამ ეს არ ინება და გახდა თვალსაჩინო ფარმაცევტი.

სილოვან გაბუნია — სტუდენტობის დროს მოსკოვში გამიამხანაგდა და სტუდენტების წრეში მიაღებინა ჩემი თავი. თვითონ იყო ამ წრის დიდი ავან ჩავანი. შემდეგში, როდესაც მთავრობამ ეს წრე დაშალა, სილოვანიც დაატუსაღეს, მაგრამ მერმე მაინც აღიდგინა თავი და იურიდიული ფაკულტეტი დაასრულა და თბილისში ადვოკატობას შეუდგა. მხოლოდ დიდხანს არ დაცლია და მალე გარდაიცვალა.

საშა წულუკიძე. — მე ის გავიცანი მაშინ, როდესაც ორი-

ვენი ბავშვები ვიყავით. ის იყო ვაჟი ხონში ცნობილი მებაღეობის თავად გიგო წულუკიძისა. მე კიდევ ზაფხულობით სანადირო წულუკიძეოში ბიძაჩემ გიორგი წულუკიძესთან ჩამიყვანდნენ ხოლმე. ამ ორ ოჯახს ერთი მეორეში მსვლელობა ჰქონდა. საშა და მე თითქმის ტოლები ვიყავით და ბავშვურ თამაშობაში ერთი მეორეს შევეჩვიენით, ასე რომ, ამის შემდეგ, ჩვენი მეგობრობა თანდათან უფრო მტკიცდებოდა. ის ძალიან მალე წავიდა მოსკოვს და დაბრუნდა უმაღლეს ცოდნით აღჭურვილი, რევოლუციონერი მარქსისტი. ამის შემდეგ მისი რევოლუციური მოღვაწეობა საერთოდ ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში და ამის აღნუსხვას მე აქ არ შევუდგები, მხოლოდ ვიტყვი, რომ ცოტა გულდაწყვეტილი ვარ: მე მისი ცხოვრებიდან დავწერე პიესა „იდეა გაიმარჯვებს“ (ეს მისი სიტყვებია, რომელიც სიკვდილის დროს წარმოსთქვა). პიესა ეხება, რასაკვირველია, მის რევოლუციურ მოღვაწეობას; მწერალთა კავშირი და ჩვენი თეატრები იცნობენ ამ პიესას; თითქოს მოსწონთ კიდეც, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს პიესა არც არსად დადგმულა და არც დაბეჭდილა...

ზემოხსენებულთა გარდა, შემდეგ, როგორც ზემოთაც მოვიხსენიე, ჩვენ წრეს შემოემატა, ჯერ გიმნაზისტობის დროს, შემდეგ ხარკოვის უნივერსიტეტში ნამყოფი და ავსტრიის ლიობენში უმაღლეს სწავლამიღებული ნიკო ლორთქიფანიძე, რომელმაც თავი ისახელა თავის საუცხოვო ბელეტრისტიკით და ჩადგა მოწინავე ქართველ მწერალთა რიგებში. მე მასთან ნათესაური კავშირიც მაახლოვებდა. ის იყო ჩემი დეიდაშვილი, და როდესაც ჩვენი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა მამას მეთაურობით, მაშინ ნიკოს ოჯახთან კიდე უფრო დაახლოვებული ვიყავით. საერთოდ ეს ოჯახი ითვლებოდა ერთ მოწინავე ოჯახათ, ნიკოს მამა მერაბ ლორთქიფანიძე მსახურობდა მომრიგებელ შუამავლად და მრავალრიცხოვან შვილებს მიაღებინა სათანადო სწავლა. ვაჟებიც ხომ სუყველა მშვენიერი საზოგადო მოღვაწენი გახდნენ, ალექსანდრე, ივსონი და ბოლოს თვითონ ეს ნიკო. ნიკო ჩემზე უმცროსი იყო ხნით, მაგრამ თავიდანვე მე უფრო დაახლოვებული ვიყავი მასთან, ვიდრე სხვა ძმებთან. ამას უთუოდ უწყობდა ხელს ჩვენი პროფესია. უფროსი ძმები კი, თავის დროზე თვალსაჩინო მოღვაწეები იყვნენ საზოგადოებრივ ასპარეზ-

ზე; ამგვარად მე იმ ხანებში დავუახლოვდი ქუთაისის მოწინავე ახალგაზრდობას და განსაკუთრებით საშა წულუკიძის მეოხებით ვესწრებოდი სხვადასხვა რეფერატებს და დისკუსიებსაც -კი, რომელიც ეწყობოდა მოწინავე ოჯახებში. რეფერატი უფრო განკუთვნილი იყო ლიტერატურულ თემებზე, იმ დროის მწერალთა — დავით კლდიაშვილის, შიო არაგვისპირელის და სხვათა ნაწერების გარჩევაზე; საერთოდ მაშინდელი ქუთათური ინტელიგენცია წარმოადგენდა მეტად საყურადღებო ჯგუფს, რომელიც თავდადებულად მუშაობდა ქართული კულტურის ამაღლებისათვის. ისინი ბევრნი იყვნენ, მაგრამ მე აქ ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს: გიორგი ზდანოვიჩი, ძველი რევოლუციონერი და ნაკატორღალი, შემდეგში ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი მაიაშვილის ფსევდონიმით და აგრეთვე რომორც თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე; დავით მიქელაძე, ლიტერატურაში „მეკვლეთ“ ცნობილი, ილია ჭავჭავაძემ მიიწვია თავის „ივერია“-ში და ერთ დროს ფაქტიური რედაქტორობაც კი დაუთმო ამ გაზეთისა; გრიშა აბაშიძე, მეტად ნიჭიერი პოეტი და ძალიან მახვილი სიტყვის კაცი. ამის დასასურათებლად უნდა მოვიყვანო ერთი ეპიზოდი: ქუთაისში იყო აგრეთვე ერთი მშვენიერი ახალგაზრდა ინტელიგენტი — სიმონ ქვარიანი, ის საზღვარგარეთ იყო ნასწავლი და ქუთაისის საზოგადო მოღვაწეობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, მწერლობდა კიდეც, წერდა ლექსებს, მოთხრობებს; პუბლიცისტურ წერილებს და სხვა. ერთხელ ჩვეულებრივი დისკუსია ეწყობოდა ხსენებულ წრეში ქართული ლიტერატურული ენის სიწმინდის შესახებ და სხვათა შორის ერთმა წინადადებაც კი შემოიტანა — ქართული ანბანისათვის ჩამოეშორებინათ ძნელად ასაბგერებელი ანბანები — „ჰ“, „წ“, „ე“, ამან დიდი აურზაური გამოიწვია. გრიშა აბაშიძემ ხმა აიმაღლა და მიმართა სხვებზე უფრო შეხუმრებულ სიმონ ქვარიანს. „საყვარელო სიმონ, ქართულ ანბანს „ძ“ რომ გამოვაკლოთ, როგორ იქნება? ვთქვათ მინდა მოგწერო წერილი: „ძვირფასო სიმონ! როდესაც „ძ“ არ მექნება, მოგწერ — ვირფასო სიმონ!“ და შეიქნა ხალხში ხარხარი. გრიშა აბაშიძე დიდი მეხსიერების კაცი იყო, ის ხშირად ღებულობდა კოტე მესხის წარმოდგენებში მონაწილეობას ქუთაისში და საკმარისი იყო

გადაეთვალიერებინა როლი, რომ ზეპირად ცოდნოდა. ერთხელ კოტე მესხმა თეატრში მოიტანა ზუდერმანის პიესა „მშობლიურ ჰერ ქვეშ“. ეფემია მესხს გადასცა როლი არტისტი ქალის, რომელსაც ერთ ალაგას საუცხოო, მაგრამ მოცულობით ძალიან დიდი მონოლოგი აქვს განკუთვნილი, ეფემია მესხი დაეჭვდა — ამხელა მონოლოგს რა დამასწავლისო, მაგრამ გრიშა შეეშველა: მოყვა და მოყვა და ეს უზარმაზარი მონოლოგი ხელად ჩააბულბულა...

რასაკვირველია, მე შემეძლო სხვა ქუთათურ ინტელიგენტების დასახელება, მაგრამ ეს ძალიან შორს წამიყვანს, და თუ მათგან ზოგიერთი დავასახელე ეს იმიტომ, რომ მათ ჩემზე ერთგვარი გავლენა ჰქონდათ თავის დროზე, უთუოდ მეც აქამომდე იმათი რაღაცა მაცხია.

მკითხველო, რა მენაღვლება, ვიტრაბახებ მეც. ჩემი ხნის ამჟამად ქვაც აღარ გორავს. ასე რომ, ზორბა ტყუილებიც რომ ვთქვა ვინ გამისწორებს, ვინ არის მომსწრე?

თუმცა ვეცდები ნაკლები ვიცრუო.

ამიტომაც აქედანვე გადავეშვები იმ სამყაროში, რომელმაც იმ დროს ასე მოურევნელად გამიტაცა.

ეს არის ქართული თეატრი.

თეატრის გარშემო

თეატრს კი გავეცანი ჩემი ბავშვობიდან. მამაჩემი უცნაური კაცი იყო: 3—4 წლის შვილები დავყავდით დიდ თეატრში. მაგალითად: თბილისში ოპერაში და რუსულ დრამატიულ თეატრშიაც. 14—15 წლის ვიყავი მამამ ქართულ წარმოდგენაზე რომ წაგვიყვანა, ეს მოხდა ასე: რაღაც ეკლესიის დღესასწაული იყო მეორე დღეს და წინადღით მამამ ეკლესიაში მწუხრზე წაგვიყვანა. აკი ვამბობ — მამა უცნაური კაცი იყო მეთქი: რას გაუგებ მის პედაგოგიურ ძოსაზრებებს! წაგვიყვანა ეკლესიაში და მთელი მწუხრი მოგვასმენინა. მერე ფეხით მოგვიყვანა ქართულ თეატრში. ეს იყო ეხლანდელი გრიბოედოვის თეატრის შენობა. მე სიონის ეკლესიის შთაბეჭდილებით ვიყავი აღსავსე: ეფისკოფოსის ჩაცმულობით, რომელსაც რამდენიმე მღვდელი ემსახურე-

ბოდა. მთავარი დიაკვნები თავიანთ კვერექსებს, როგორც თეატრში აქტიორები თავის გრძელ მოხოლოგებს, ხმამაღლა წარმოიტყოდნენ და საცეცხლურით ხალხს გუნდრუკს აქმევდნენ. იმავე დროს საქართველოს ეგზარქოსის საუცხოვო მგალობელთა გუნდი, განთქმულ ლოტბარ აუშეფის ხელმძღვანელობით რუსულ დიდებულ საეკლესიო საგალობლებს ასრულებდა. მე დიდხანს ვიყავი საეკლესიო რიტუალის ცერემონიებით მოხიბლული და ხშირად, როდესაც მარტო დავრჩებოდი ჩემს ოთახში ბავშვობისას, ჩემებურად მთელ წირვას ჩავატარებდი. იმ საღამოს, როდესაც მამამ ფეხით მოგვიყვანა სიონიდან თეატრში, მე ჯერ კიდევ საეკლესიო რიტუალებით ვიყავ მთვრალი და გზაში მარტო იმას ვნატრობდი — ამდენი ცარიელი ფაიტონები მორიხინობს და რა იქნება ჩაგვსვას მეთქი, მაგრამ ამ ფიქრში ჩვენ უკვე მივედით თეატრში. იქ თურმე წარმოდგენის დაწყებამდე კარგა ხანი რჩებოდა, ამიტომ მამამ შეგვიყვანა ბუფეტში და ჩაი დაგვალევინა, ესეც ჩემთვის ახალი ამბავი იყო. საერთოდ, ოჯახების გარდა ჩაი არსად მქონდა დალეული. აქ კი ყველაფერმა გამაკვირვა, ცალჯე მაგიდებმა, ლაქიების თეთრმა ფუსტმალებმა და ჩაიზე შიტანილმა სხვანაირმა ბისკვიტებმა. ამასობაში, ეტყობა, წარმოდგენის დრომაც მოაღწია და მამამ შეგვიყვანა ლოჟაში, როგორც შემდეგში გავიგე, თურმე თბილისში ახლად ჩამოსულ სიმონ სვიმონიძის სადებიუტოდ იდგმებოდა დავით მესხიშ ისტორიული პიესა „ბაგრატ მეორე“. აქ მე მომეწონა ვასო აბაშიძე, რომელიც ასრულებდა ტუსაღის როლს. საპატიმროში ჯაჭვით მიბმულს ეტყობა ძალზე შირდა და ხმა მაღლა ნატრობდა სხვადასხვა ქართულ გემრიელ საჭმელებს, მხოლოდ ამ ნატვრას ისე გადმოსცემდა, რომ მე ლოჟაში მჯდომი სიცილით ხმამაღლა ვჭყლოპინებდი, რამაც ხალხში გამოიწვია მეტი ხარხარი. თვითონ დებიუტანტი სიმონ სვიმონიძე, მშვენიერი შესახედაობის ვაჟკაცი, ქართულ ჭულაჯაში გამოწყობილი, რალაც იგრიხებოდა და ერთ ჩიხტაკოპიან ქალს ეხვეოდა და კოცნიდა. ეს თურმე საქართველოს დედოფალი ყოფილა, და ეს მე სულ არ მომეწონა, რადგან ჩვენს ოჯახში თამარ მეფე, ქეთევანი და შუშანიკი სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი. აგრეთვე აქ მომეწონა სცენა — ქართველ დარბაისლების მიერ დარბაისლური სა-

ლამის მიცემა. ეს ერთი რაღაც გაჭიმული ცერემონია ყო-
ფილა და მეც ბევრი ვიცინე და ვაცინე ხალხიც. მაგრამ თე-
ატრში იმ ჟამად ისე არაფერი მომწონებია, როგორც ოპერა-
დემონში აფოთეოზის სცენა, როდესაც თეთრ ღრუბლებზე
დაწოლილი თამარი ზეცაში მიჰყავთ ანგელოზებს.

ქუთაისშიც წაგვიყვანა მამამ რომელიღაც ქართულ წარ-
მოდგენაზე და თუმცა პიესის შინაარსისა არაფერი გამიგია,
გულიანად ვიცინოდი, რადგანაც ცხოვრებაში ჩემი საყვარე-
ლი კაცი სიმონიკა მიქელაძე, სცენაზედაც კომიკურ როლს
ასრულებდა. სიმონიკა მამასთან ხშირად დადიოდა და გუ-
ნებით ხუმარა კაცი იყო და მე მიჩვეული ვიყავ მის ოხუნ-
ჯობას. მხოლოდ აქ, ქუთაისში გამაკვირვა ფარდის წინ რა-
ღაც მორგვალებული საბუდარივით რომ იდგა. ფარდის ად-
დის შემდეგ, ამ ბურულიდან მოისმოდა კაცის ხმა, და ჩვენ
გვესმოდა ის სიტყვები, რომელსაც სცენაზე მდგომი ადა-
მიანები ლაპარაკობდნენ.

ამავე სიმონიკა მიქელაძემ სცენიდან ბევრი მაცინა სო-
ფელ კულაშში, სადაც თავის დროზე კარგათ ცნობილ ალექ-
სანდრე მიქელაძის ოჯახში მამაჩემი შვილებით სტუმრად იყო
მიწვეული,— აი ამ ალექსანდრემ, ერთ საღამოს, უთუოდ
მამაჩემის გასართობად, თავის დარბაზის სცენაზე, გაითამაშ-
შა რაღაც ვოდევილი. უნდა ვიცოდეთ, რომ ალექსანდრე დი-
დებულად ესახლა, ჰქონდა ერთ ეზოში ორი სასახლე. ერთი
იყო განკუთვნილი მისი ოჯახისათვის, მეორე კი მომსვლელ
სტუმრებისათვის, სადაც ოთახები დაყოფილი იყო სახტუმ-
როების მსგავსად, იმავ დროს ერთ სახლში ჰქონდა დიდი
დარბაზი სცენის ბაქანით, და მეორეში კი პატარა კარის საყუ-
დარი, რომელსაც კარის ეკლესიას უწოდებდნენ. როგორც
ზემოთ ვთქვი, ალექსანდრემ გაითამაშა ვოდევილი, აქტიო-
რებათ მხოლოდ ორნი იყვნენ: თვითონ ალექსანდრე და ზე-
მოთ მოხსენებული სიმონიკა. ალექსანდრე ასრულებდა სა-
დალაქოში შემოსულ მუშტრის როლს, სიმონიკა კი თვითონ
დალაქს; ორივემ თავიანთი მანჭვა-გრეხით სიცილით დახოც
ხალხი. მე ხომ ჩვეულებრივისამებრ ხმამაღლა ვხარხარებდი.

ყველა ამეებმა, უთუოდ, უნებლიეთ შთამინერგა მსახიო-
ბის სიყვარული და შემდეგ მოჩიტულზე 14—15 წ. ვაქე
როცა შემთხვევა მომეცემოდა, ქართულ წარმოდგენას უთუ

ად ვესწრებოდი. აქ კი შემიყვარდა ზოგიერთი მსახიობი, უწინარეს ყოვლისა მაკო საფაროვი. — შეუდარებელი ნიჭის პატრონი. არა ნაკლებ ტალანტის მქონე ნატო გაბუნია, სწორუპოვარი კომიკი ვასო აბაშიძე და ვალერიან გუნია, — მაშინ სრულიად ახალგაზრდა, მშვენიერი შესახედი, მომხიბლავი ბარიტონალური ხმის პატრონი და ძალიან მომწონდა მეც მეთამაშნა და გუნიასთანა მსახიობი მეც გავმხდარიყავი.

იმავ დროს თბილისში ჩამოვიდა მთელ მსოფლიოში განთქმული ტრაგიკოსი ერნესტო როსი. მას თითქმის მთელი მისი რეპერტუარი შექსპირის პიესებისაგან ჰქონდა შედგენილი. მამაჩემი რას გაუშვებდა, რომ, როგორც შექსპირის დიდ თაყვანისმცემელს და ზოგიერთი მისი პიესების მთარგმნელს, ეს წარმოდგენები უნახავი გაეშვა. შვილებიც თან დავყავდით. მე თან დამჭირდა რუსული თარგმანი შექსპირის პიესებისა და რაკი იტალიური არ ვიცოდი, წარმოდგენის სცენებს მოკრიჭისით მივყვებოდი და ხან როსის ვუსმენდი და ხან ტექსტს ვკითხულობდი.

როსი უკვე ხანში იყო შესული და ყველას გაუკვირდა, როდესაც გამოაცხადა, რომ „რომეო და ჯულიეტაში“ შეასრულებდა რომეოს როლს, მე დიდათ გაოცებული დავრჩი ერთ სცენაში როსიმ ჯულიეტას რომ აკოცა. ეს კოცნა ხანგრძლივი იყო, და როდესაც ტუჩი მოაშორა ჯულიეტას, რომ თითქოს რალაც სიხარულის ოხვრა ამოხდა. ეს დიდათ მოეწონეს გაზეთების რეცენზენტებმა, უქეს „რეხლიზმი“ და თეატრში ხომ ოვაციით დააჯილდოვეს.

აქ უნდა დავიტრაბახო რომ ერნესტო როსი პირადად გავიცანი. ეს ასე მოხდა. ანტრაქტებში რომისთან შედიოდნენ ხშირად საზოგადო მოღვაწეები და მისი თაყვანისმცემლები, ულოცავდნენ, ქებას ასხამდნენ. ისიც სამაგიერო პასუხს აძლევდა. ერთხელ მამასთან ლოჟაში შემოვიდა, თავის დროზე ჯარგათ ცნობილი ჟურნალისტი, ალექსანდრე აქფითიატროვი და თხოვა მამას, რომ წაჰყოლოდა და როსის გასცნობოდა, მამა დაეთანხმა და თან მეც წამიყვანა, გაეცნო, ცოტა ხანს ისაუბრეს და შექსპირზედაც ილაპარაკეს. თარჯიმნობა აქფითიატროვმა იკისრა, ბოლოს რომ მე ამხედ-დამხედა და იკითხა ვინ არისო, სცენა ხომ არ აინტერესებსო, მამამ უპასუხა — მგონი ასე უნდა იყოსო. მაშინ ერთი ჯიდო

ამხედ-დამხედა მუშტრის თვალით და, მე რომ მკითხოთ, მაინც და მაინც ვერაფერი შვილი სანახავი ვიყავი, ერთი რაღაც გაგინგილებული გამხდარი ჭაბუკი ვიყავ. მან მხარზე ხელი დამადო და თქვა — შეიძლება აქედან აქტიორი გამოვიდესო — „აქტიორ ტრიბუნ“! ეს ასეც გამოვიდა, როდესაც შემდეგში სცენაზე დავიწყე მუშაობა — რეზონიორების ამპლუაში ვიყავ უფრო მარჯვე. „აქტიორ ტრიბუნიც“ ამასვე ნიშნავს.

ჩემი დიდ სცენაზე გამოსვლა ქუთაისში მოხდა. მე ხომ მწერლობით ვიყავ გატაცებული და გარდა საკუთარ ნაცოდვილარებისა, ზოგ ზოგ რამეს ვთარგმნიდი. ერთხელ გადავთარგმნე კი არა, გადავაკეთე, როგორც მაშინ იყო მიღებული, უცხო სახელები ქართულ სახელებით შევცვალე და დავარქვი „სიო გმირი“ (ალფონს დოდეს „ლილია“).

მაშინ ქუთაისში კოტე მესხმა ჩამოაყალიბა პროფესიონალური დასი და ყველა მონაწილეს დაუნიშნა გასამრჯელო. საქმეს კარგი პირი უჩანდა; ცნობილი მსახიობი ფეფიკო მესხი მაშინ დაწინაურდა, „მარგარიტა გოტიე“ და სხვა ასეთი საპასუხისმგებლო როლები მან ამ სეზონში დიდის ნიჭიერებით განახორციელა, შემდეგ თბილისის გასტროლებზე თავი დიდათ ისახელა. დასში სხვებიც იყვნენ ნიჭიერები: დესპინე ივანიძე, შემდეგში ცნობილი შემსრულებელი დრამატიული და კომიკური როლებისა; ევგენია ჩხეიძე, დედა ჩვენი სახალხო არტისტის ნინო ჩხეიძისა, ადრე გარდაცვლილი მაშო ჩხეიძე (უფროსი და ნინო ჩხეიძისა). კაცთაგან: ვასო ბალანჩივაძე, მეტად ნიჭიერი, სახასიათო როლების ჩინებული შემსრულებელი. მისი ფილიპე ბარბაჭაძე ჭლდიაშვილის პიესაში, დღესაც დაუვიწყარია. დათიკო ჩარკვიანი — „ლუბოვნიკების“ შემსრულებელი. ვასო გორგაძე, მაგარი რეზონიორი, დათიკო მესხი უფრო იმერულ როლების გამსახიერებელი და საერთოდ დიდათ ნიჭიერი კაცი თეატრში, დეკორატორი, რეკვიზიტორი, ბუტაფორი, მთარგმნელი, ავტორი პიესების, ლექსების და სხვადასხვა საესტრადო ნომრებისა. იმავ დროს იგი იყო მშვენიერი ჟურნალისტი. კიდევ იყვნენ სხვებიც: მინდელი, ჭურციკიძე, გაბაშვილი, მაღრაძე, გაბიჩვაძე და შემთხვევიდან შემთხვევამდე პოეტი გრიშა აბაშიძე და სხვანი. თვითონ კოტე მესხი ხომ იყო

პრემიერი, რეჟისორი და ხელმძღვანელი თეატრისა; დგამდა კარგ პიესებს და საერთოდ ანსამბლს აქცევდა დიდ ყურადღებას. აი ამისთანა თეატრში მივიტანე ჩემ მიერ „გადმოკეთებული“ „სიო გმირი“. გავიდა ხანი და ერთ საღამოს ბულვარში კოტე მესხმა დამიძახა და მითხრა — „ქუჯი“, შენ კარგი პიესა გაგიკეთებია, მაგრამ სიო გმირის შემსრულებელი 15 წლის ვაჟი არა მყავს და შეიძლება შენ მოკიდო ხელიო. მე, როგორც ყველა ახალგაზრდამ, ასეთ შემთხვევაში დავირცხვინე, დავფრთხი, უკან დავიხიე, მაგრამ კოტემ გამამხნევა: აი ხვალ მოდი ჩემთან დილის რეპეტიციაზე და მაშინ ვნახოთო. მეც მივედი დანიშნულ დროზე და მაშინ კი მითხრა — სიო გმირს ჯერ დავეთხოვოთ და ეს როლი მანამდე აიღე, რომ სცენას გაეჩვიო, თან „მარგარიტა გოტიეში“ ერთი ეპიზოდური როლი გრაფ დეჟირეისა გადმომცა. უხდა გენახათ რა სისწრაფით შევისწავლე ეს როლი, რომელიც რაღაც ფურცელნახევრისაგან შესდგებოდა და მორიგ რეპეტიციაზე ისე ჩავატარე, რომ ერთხელაც არ წავბორძიკებულვარ. როდესაც ჩემი სათევზარი გავათავე, შევატყვე, რომ ძნიარულად შემომცქეროდნენ და განსაკუთრებით დათიკო მესხი გამამხნევებელი გამომეტყველებით და თითქო დაცინვით მიყურებდა, შემდეგში მონაწილეზე ვეკითხებოდი დათიკოს და ისიც მიხსნიდა, რომ მას აგონდებოდა ქართული ახდაზა — ახალი ცოცხი კარგად გვისო; ეჰ, ჩემო შალვა, ჯერ რა იცი მენ სიცოცხლეში რამდენი ტექსტის შესწავლა დაგჭირდება, განსაკუთრებით თუ ოდესმე შექსპირს ეზიარეო...

ამგვარად, გრაფის როლით შევდგი ფეხი ქართულ სცენაზე და პლებეები თითქმის აღარ მიკადრებია. ბთელ ჩემ ცოცხლეში სცენაზე არც ქართული თეატრის ცნობილ მსახიობ ვასო ბალანჩივაძესავით იმერული წამისევია და არც ქართლელ მსახიობებივით „შენმა მზემა“ მითქვაძს, არ გამომდიოდა და უფრო დიდმა ტრაგიკოსმა რომ დამარქვა „აქტიორ ტრიბუნ“ ასეთი დავრჩი ბოლომდე. მეც თითონ არ ვცდილვარ მოტრფიალე ვაჟთა როლების შესრულებას... ერთხელ ქართული თეატრის ულამაზესმა, „ჟენპრემიერშამ“ ბაბო ავალიშვილისამ დიდათ გაიკვირვა, როდესაც „ურიელ აკოსტაში“ მოხუცი ფილოსოფოსის დე-სილვას როლი გადმომცეს, როგორ ესეთი ახალგაზრდა შეასრულებს მოხუც-

საო, მაგრამ სცენაზე ისე წავიდა ჩემი საქმე, რომ ერთ დროს „მეფე ლირამდე“ ავმაღლდი.

და აი ამ დებიუტიდან „მარგარიტა გოტიეში“, ეს იყო 1893 წლის 3 მარტს, ფეფიკო მესხის ბენეფისზე, ქართულ სცენას არ ჩამოვშორებივარ თითქმის მთელი 30 წლის მანძილზე.

ეს პირველი გამოსვლა სცენაზე მაშინდელმა რეცენზენტებმა გაზეთ ივერიაში დიდათ დააფასა და მომავალი სასცენო მუშაობა ქებით დამილოცა. ასე რომ, მკითხველებო, იცოდეთ — ქართულ სცენაზე მე ქებით ვარ შემოსული, მხოლოდ უნდა გამოვტყდე — ვერაფერი შვილი აქტიორი ვიყავი, მაგრამ ერთგული ხიიკი ვიხმარე, და სცენას თუ არ ჩამოვშორდი, იმისათვის, რომ უფრო რეჟისორობას მივყავი ხელი, სეზონების ხელმძღვანელობას და დასების ჩამოყალიბებას. ეს ეშმაკობა ვერ გამიგო თეატრმა და თავისთან დამარჩინა. არ ითქმის, რომ მისი საქციელი გამართლებული არ იყოს, რადგან მე მასთან მყოფმა პიესების წერასაც მივყავ ხელი, ამბობენ ზოგიერთი მათგანი ისე კარგია, რომ დღესაც კი იდგმება ქართულ სცენაზე. აი მაგალითად, როდესაც მე ამ ფრაზას ვწერ (1958 წ. 27/VI), მარჯანიშვილის თეატრში საყვარელ ვერიკოს და ვასო გოძიაშვილის მეოხებით ჩემი „კაკალ გულში“ კვლავ აპირებს მომავალ სეზონისათვის „ვაჩხრიალებას“.

საერთოდ, მე სცენაზე მუშაობა დამაწყებინა, ჩემი შეგნებით, სასცენო ძალთა სიმცირემ. რეპერტუარი მეტათ ღარიბი ჰქონდა ჩემსობას თეატრს. ქართულ ორიგინალურ პიესას თითებზე ჩამოითვლიდა კაცი, ასევე ეყო სცენის მუშაკებითაც: გარდა ჩვენი ბუმბერაზებისა, საერთო შემადგენლობა დასში ყველგან მეტათ მდარე ხარისხის იყო. ვაჟებთაგან მცირე ცოდნის და სასცენო უნარმოკლებულნი ეტანებოდნენ, უფრო ხშირათ სასწავლებლის მეოთხე კლასიდან გამოსულნი, ისინი, რომელნიც ვერსად სამსახურში ვერ მოეწყვნენ... ქალაქებშიდაც ასევე — ბელეტრებივით შემთხვევით მოფრენილი ჩიტუნები; უფრო ამან გამაბედვინა სცენაზე დარჩენა, თუმცა, როგორც ვთქვი, ვერაფერი დიდი აქტიორი ვიყავ, მაგრამ ცოდნით და განვითარებით ბევრ სხვებს ვჯობდი. ამისათვის დავრჩი კიდეც თეატრში. სხვა რა მოგითხროთ ჩემი სასცენო „მოღვაწეობისა?“ მთელი საქართველო

მაქვს შემოვლილი თეატრალური გასტროლებით. სეზონობით ვმსახურობდი თბილისში, ქუთაისში, ბაქოში, ბათუმში, ჭიათურაში. ეს ზამთრობით, მხოლოდ როგორც კი გამოზაფხულდებოდა მე და ჩემი ამხანაგები მოვედებოდით მთელ საქართველოს და ხან ქართლის რომელიმე სოფელში ამოვყოფდით თავს, ხან კახეთში, ხან სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში, აფხაზეთში, თვით სვანეთის მისადგომებშიაც კი. ერთხელ კავკავსაც კი მივაღწიეთ (ახლანდ. ორჯონიკიძე). ჩემთვის დაუვიწყარია ჩვენი დასის იქ ყოფნა. ერთი რომ იმ ჟამად კავკავში დიდძალი ქართველობა ცხოვრობდა, მთელი კოლონია ჰქონდათ შექმნილი და ჰქონდათ თავიანთი ეკლესია, სკოლა, დრამატიული წრე, ბიბლიოთეკა და სხვა. ჩვენი ჩასვლისთანავე კავკავის მოწინავე ინტელიგენციამ თავისი გულის კარი ფართოდ გაგვიღო, მათში ერია ერთი ფრიად განათლებული სასულიერო პირი — მღვდელი ნათიძე, ის დიდათ გვეხმარებოდა სცენის მოწყობაში, მაგრამ ერთხელ მეტად გამაკვირვა იმ მდგომარეობამ, რომ კვირა დღეს, წირვის დროს, ამბიონზე გამოვიდა საწოსელით შემოსილი მღვდელი ნათიძე და ხალხს გამოუცხადა: „ყმაწვილებო, არ დაგავიწყდეთ, რომ დღეს ჩვენი სკოლის სცენაზე წარმოდგენას გამართავენ ქართული თეატრის მსახიობები შალვა დადიანის მეთაურობით“ და ამის შემდეგ ხალხს მოუყვა — რა პიესა იდგმებოდა, ვინ რა როლს ასრულებდა და საერთოდ ქართულ თეატრს რა მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი სიტყვით ქართულ დასს საოცარი რეკლამა გაუკეთა ეკლესიის კათედრიდან სასულიერო პირმა და თან კოხტა ლექციაც ჩაუტარა. და სანამ კავკავში ვიყავით ჩვენს სპექტაკლებს ასე მოყვრულად ეკიდებოდა ქართული ეკლესია.

კავკავში მგზავრობიდან კიდევ უნდა აღვნიშნო ერთი ეპიზოდი. მატარებელში ჩვენთან ისხდნენ ჩოხოსანი ლეკები. ჩვენ, ვაჟი მსახიობები, ულვაშგაპარსულნი ვიყავით. ეტყობოდა ეს არ მოსწონდათ ლეკებს და შეგვეკითხენ — რა ხელობის ვიყავით. როდესაც ვუხსენით, დიდხანს ვერ მიგვიხვდნენ თუ რა პროფესია იყო ჩვენი პროფესია. ბოლოს სხვებზე უფრო ხანდაზმულმა თაგის ამხანაგებს თითქო ცირკი დაუხატა და ჩვენ ტაკიმასხარებად გამოგვიყვანა... ეს ჩვენებმა იწყინეს და ჩვენი შეთანხმება არაფრით არ მოხერხდა. დი-

დათ გვიძრახავდნენ ულვაშგაპარსულობას. ბოლოს კიდევ, რომ გაიგეს, რომ მე კნიაზი კაცი ვიყავი, სულ მუხლებზე ირტყეს ხელები და ერთი მათგანი კიდეც ძალიან შემომეხვეწა: თუ კაცობა გწამს და, თუ ძმობა იცი, ამიერიდან ჩემი ხათრით ულვაშები მოუშვიო. მეც შევპირდი და სიტყვა არ გამიტეხია: ზაფხული დგებოდა, სეზონი არსად მოგველოდა და მეც ულვაშების გაპარსვა დიდხანს არ დამჭირდებოდა.

ულვაშის გაპარსვა კი არამც თუ სოფლელ ლეკებში, არამედ თვით ქუთაისის ინტელიგენციაშიც კი საძრახ საქმეთ ითვლებოდა; ასე რომ, თვით ჩვენი მსახიობებიც კი, გარდა ლადო მესხიშვილისა, თითქმის 905-მდე არავინ ულვაშს არ იპარსავდა. ის კი არა, ზოგიერთ მსახიობთაგანს ისეთი წვერები ჰქონდათ მოშვებული რომ თვით კათალიკოსს ეკადრებოდა. უნდა გენახათ ქართველი მსახიობის გაჭირვება მაშინ, როდესაც რომაელთა ცხოვრებიდან პიესა იყო წარმოსადგენი, ზოგიერთ მსახიობს თავის სქელ, ულვაშებზე ჯერ სქელი წებო უნდა წაესვა და შემდეგ ზედ ტილოს ნაჭერი დაეკრა, რომ უულვაშო გამოჩენილიყო, მაგრამ ეს არაფერი, სიმწარე მაშინ ადგებოდა, როდესაც ეს ტილო უნდა მოეხსნა და ულვაშების ნაწილი ძალაუნებურად მოეწიწკნა, უნდა მოგესმინათ ასეთი მსახიობის ლანძღვა და თავბედის წყევლა! ამის შემხედვარე ლადო მესხიშვილი გულიანად ხარხარებდა — „რა არის ყმაწვილებო, გაიპარსეთ ეგ ულვაშები, რას გიკეთებთ?“ მაგრამ ვასო ბალანჩივაძე როგორ გაიპარსავდა მის სქელ ულვაშებს და პატარა ბლანჟეს, როდესაც ის, გარდა აქტიორობისა, გიმნაზიაში პედაგოგობდა და მხატვრობას ასწავლიდა, ამასთან მთელი ქუთაისიც თავიდანვე იცნობდა მის წვერულვაშით გამწყაზრულ სახეს! ასე იყვნენ სხვებიც, მაგალითად ულამაზესი ყმაწვილკაცი, სცენის მოყვარეთ შემოსული კოწია ქურციკიძე, რომელსაც ისეთი წაბლისფერი წვერები ჰქონდა ორ მტკაველზე ჩამოშვებული, რომ ავ თვალს არ დაენახვებოდა. მას ამითი მოსწონდა თავი საზოგადოებაში, ქალებსაც ამ წვერებით აწონებდა თავს და განა ამისთანა სამკაულს შეელეოდა? მეტნაკლებათ ასე იყვნენ სხვებიც, და მეც იმ წვეროსანთა შორის გავერიე, მეც დიდხანს ვატარებდი ჩემს პატარა გაწკეპილ ულვაშებს, ახალგაზრდა

ვიყავ და ვიცოდი, რომ ხალხში ჩემ ულვაშებსაც ჰქონდა გასავალი.

და ეს კიდევ არაფერი, რომ სხვა მხრივ მაინც ხელშეწყობილი ყოფილიყო ქართულ სცენაზე სპეციალურად ჩემუშავე. კოტე მესხს უფრო სცენის მოყვარეები ჰყავდა, მან მათ მხოლოდ 1892—93 წ-ში დაუნიშნა ჯამაგირი, თორემ პროფესიონალი არც ერთი არ იყო და ეს ასე იყო ქუთაისში კი არა, თვითონ თბილისშიაც, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში 70-ან წლებში დაარსდა პროფესიონალური დასი და მას შემდეგ არსებობა არ შეუწყვეტია; დასის ხარჯებს ძირითადში ჰფარავდა წარმოდგენების შემოსავალი, მაგრამ, როდესაც ეს შემოსავალი ვერ გასწვდა ხარჯს, ილია ჭავჭავაძემ, დიმიტრი ყიფიანმა და სხვებმა დააარსეს ესრეთ წოდებული „დრამატიული საზოგადოება“, ეს საზოგადოება კრებდა საწევროს თავის საზოგადოებაში, და რაც მთავარია, აწყობდა საქველმოქმედო საღამოებს, სეირნობებს და ამ შეწირულობით უძღვებოდა სეზონის საქმეებს. სეზონები მაშინ რამდენიმე თვე გრძელდებოდა. იწყებოდა სექტემბერ-ოქტომბერში, ხან უფრო გვიან და წყდებოდა აუცილებლად ან თებერვალში, ან მარტში, რადგან ამ თვეებში დიდი მარხვა იწყებოდა და მაშინდელი მთავრობისაგან დიდ მარხვაში საათეატრო წარმოდგენები და სანახაობები სასტიკად აკრძალული იყო; მაშასადამე მაშინდელ ქართველ მსახიობს 5—6 თვის განმავლობაში ჰქონდა სახსარი არსებობისა და ისიც მეტათ შეკვეცილი. ჩემსობას მე არ მახსოვს რომ დასის უპირველეს წევრს, რომელიმე დიდ მსახიობს, ან რეჟისორს ჰქონოდეს 100 მან. მეტი. საერთოდ ჯამაგირები იწყებოდა 10—15 მან. და ძლივს ძლივობით მიაღწევდა 50—60 მან. იყო ერთი შემოსავლის წყარო — ეს მაშინ, თუ მსახიობი თავის ნიჭით, სასცენო ოსტატრბით დაიმსახურებდა საზოგადოებს ყურადღებას, მას უმართავდნენ ბენეფისს. მსახიობს ეძლეოდა ერთი საღამო სხვადასხვა პირობებში, უმთავრესი კი ის იყო, რომ ამ საბენეფისო შემოსავლიდან უმეტესი წილი მობენეფისეს ეძლეოდა.

ეს იყო და ეს. თბილისშიაც, ჩვენს დედაქალაქში ასე იყო, რაღა თქმა უნდა, ქუთაისშიაც ასე იყო. ქართული წარმოდგენები საზოგადოების უმეტეს ნაწილს სამაღლო საქმედ

მიაჩნდა და საზოგადოდ მსახიობები უყვარდა, მაგრამ ჰათი ხელობა მაინც სათაკილოდ მიაჩნდა; ჩემსობასაც განსაკუთრებით ქალებს, უძრახავდნენ სცენაზე შესვლას.

ამგვარად იყო მსახიობებში ფრაზა — ერთი ორი თვე თორემ მერე თვითონ არ ვიცით რითი ვცხოვრობთო, ცისა და მიწის შუა ვართ ჩამოკიდებულიო. ამიტომ იყო, რომ კარგი, ნიჭიერი, განსაკუთრებით ნასწავლი ახალგაზრდა თეატრში სამუშაოდ არ მოდიოდა.

მსახიობთა შორის უთუოდ უნდა დავასახელოთ ყოვლად ღირსეული, მაღალი ნიჭის პატრონი ეფემია (ფეფიკო) მესხი. გარეგნობით ეს იყო საშუალო სიმაღლის და წისქის ადამიანი. სახე ფართო ჰქონდა და როდესაც გრიმს გაიკეთებდა, სცენიდან ლამაზიც მოსჩანდა. ამას, რასაკვირველია, ხელს უწყობდა მისი მწყაზარი, ლამაზი, გრძნობიერი გამომეტყველების თვალები. საქციელი და მიხვრამოხვრა ქართულად ზრდილი ქალისა, ხმა ჰქონდა მშვენიერი — არც ძალიან წვრილი და არც მაინცდამაინც ბოხი, თითქო უფრო კონტრალტო, მაგრამ ისე მსუბუქი, გეგონებოდათ მეტათ სალუქ ქსოვილში ვეხვევიო. ნასწავლი იყო, ქალთა გიმნაზიის საშუალო სკოლა დამთავრებული ჰქონდა და მხატვრულ ლიტერატურას როგორც კლასიკურს, ისე თანამედროვეს, კარგათ იცნობდა. ამისათვის მისთვის ადვილი იყო ტიპების გარჩევა და შედამ სწორუტყუვრად იძლეოდა რეალისტურ სახეებს. მრავალმხრივი უნარი ჰქონდა მოქმედ პირთა გამოსახვისა, და არასოდეს არ ემსგავსებოდა მისი ერთი როლი მეორეს. ის სულ სხვა იყო მედეაში და სულ სხვა იყო „მარგარიტა გოტიეში“, ასევე ზეინაბში სხვა და „ჭირვეულის მორჯულებაში“ — კატარინას როლში — სხვა.

პირად ცხოვრებაში იყო მეტად სამეგობრო, კარგი მრჩეველი და მაღალი გემოვნების ადამიანი, თუმცა თვითონ, მიუხედავად მისი დიდი არტისტობისა, მუდამ ჩრდილში იდგა და თუ პირადათ მას არ მიმართავდით არასოდეს აო იჩემებდა საზოგადოებრივ საკითხების გადაჭრას. იმავე დროს, როგორც მთელი ოჯახი მესხებისა, ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას, თარგმნიდა პიესებს, მოთხრობებს და სხვ.

მეორე მსახიობი ქალი ხშირად იმავე ხანებში მყავს გაცნობილი, როდესაც გავეცანი ფეფიკოს. ეს იყო ბაბო ავალი-

შვილი — პირველი პროფესიონალი ქართველი მსახიობი ქალი, იგი პირველი შევიდა მუდმივ მსახიობად ქართულ სცენაზე. გარეგნობით იყო ერთი ულამაზესი ქალი, მაღალი, წერწეტა, გულშვერად სავსე და საერთოდ ახოვანი ადამიანი. განათლებული ქალი იყო, კარგათ ერკვეოდა როლების ახსნა-განმარტებაში, და თითქო არაფერი აკლდა მის სასცენო ოსტატობას, მაგრამ ერთი მთავარი კი აკლდა: ეს იყო მადლი ნიჭიერი მსახიობისა! ის ყველა როლებში ერთნაირი იყო. გარეგნობით მუდამ ლამაზი და კაბით თუ შეიცნობდით რომ სხვადასხვა როლს ასრულებდა. რორგორც ადამიანი, პირდაპირ სანიმუშო იყო. კარგი სამეგობრო. უანგარო, გაჭირვების ამტანი და სხვა. დიდხანს ემსახურა ქართულ თეატრს და სანამ სხვა ნიჭიერი ქალები შემოვიდოდნენ თეატრში, მანამ პირველი და წამყვანი როლების შემსრულებელი იყო. განსაკუთრებით ლადო მესხიშვილს დიდხანს ბაბო ავალიშვილისთანა პარტნიორი არა ჰყოლია.

ბოლოს მძიმედ გახდა ავად, ახლობელმა ამხანაგებმა და განსაკუთრებით ცნობილმა ექიმმა სიმონ თოფურიამ დიდათ მოუარეს, მაგრამ ავადმყოფობამ თავისი გაიტანა.

მესამე ჩემი საამაყო ცნობილი ქალი ქართულ თეატრში, ხნით ჩემზე უმცროსი, ჩვენი სასახელო და სასიქადულო ნუცა ჩხეიძეა. მე არ ვიყავი თეატრში, სეზონ გარეშე გამოსულიყო ერთ საქველმოქმედო წარმოდგენაში და თავი ესახელებინა.

მაგრამ სანამდი საყვარელ ნუცაზე ვიტყოდე ერთ ორ სიტყვას, მინდა გავიხსენო დედა მისი ევგენია ჩხეიძისა და ნუცას უფროსი და მაშო. ევგენია არ იყო მუდმივი წევრი პროფესიონალური დასისა, მაგრამ სხვადასხვა ხასიათის როლებს კოხტად ასრულებდა.

სულ სხვა იყო ნუცას უფროსი და მაშო. ეს იყო პირდაპირ შექმნილი ახალგაზრდა როლების შემსრულებლად, რომ ეცოცხლა, ნუცას არც ის ჩამოუვარდებოდა თავის ნიჭით. მაგრამ აი ერთ საღამოს მე და განსვენებულ მაშოს მოგვიხდა კოტე მესხის საბენეფისოდ პიესა „რუსთაველში“ კარგა საპასუხისმგებლო როლების შესრულება, მე ვთამაშობდი ლიპარიტ ორბელიანს, ის კი ახალგაზრდა ქალის

როლს, რომელიც ვაჟურად იყო გადაცმული და სახელად მალხაზს ეძახდნენ.

ის თეატრი, სადაც კოტე მესხი სეზონს ატარებდა, ხის იყო, სპეციალურად იმპერატორ ალექსანდრე მესამის ჩამოსვლისათვის შიგ ქალაქის ბაღის შუაგულში აშენებული. ძალიან ლამაზი ნაკეთები იყო. მშვენიერი ჩუქურთმებით შემკული, მაგრამ ეს იყო საზაფხულო პავილიონი და ზამთრობით არ თბებოდა. ორთავენი — მე და მაშო ჩხეიძე — იმ ღამეს გავცივდით თეატრში და ორივეს ფილტვების ანთება მოგვივიდა. სამწუხაროდ მაშო ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა, მე კი „გამოვძვერი“ და აი ხომ ხედავთ, რამდენი ხნის შემდეგ, რამდენი ხნის კაცი რამდენს გელაპარაკებით.

თუმცა საჯარო ლაპარაკსაც სწორედ იმ ხანებში დაუეჩვიე. სწორედ საცოდავ მაშოს დამარხვაზე წარმოვთქვი ჩემი პირველი საჯარო სიტყვა. და მერე ისეთი სახელი გამივარდა მიცვალებულებისათვის სიტყვის თქმისა, რომ ახლაც კი მწერალთა კავშირი მუდამ მე მაგზავნის სამგლოვიარო სიტყვების სათქმელად, სხვა ოქროპირი ორატორები კი ჩუმად არიან...

ახლა ჩემსობას გამოსული დიდი სახალხო არტისტი ქალი ნუცა ჩხეიძე... ის პირველად გამოვიდა ჭუთაისის სცენაზე ზაფხულში, როდესაც სეზონი დასრულებული იყო, უთუოდ ამიტომ მეც ვერ მივიღე მონაწილეობა ამ წარმოდგენაში. ჰა, ჰა! უჩემოდ ისკუპა და გაანათა ქართული სცენა, რაც საქველმოქმედო წარმოდგენა უნდა ყოფილიყო, იდგმებოდა ჯიაკომედის პიესა „დამნაშავის ოჯახი“ (კორადო), სადაც ნუცა ასრულებდა კატორღელის ქალიშვილის როლს. იმ დღევანდელი მოწონება თან დაჰყვა მის არტისტულ ნიჭს და დღემდე ეს შარავანდედი მას არ ჩამოსცილებია; მართალია ის ამჟამად ხანდაზმულობის გამო სეზონებში აღარ ირიცხება, მაგრამ ყოველი მისი გამოჩენა საზეიმო სალამოებზე დიდ აღტაცებას იწვევს. ახსენდებათ მისი ზეინაბი, მედეა, მარგარიტა გოტიე, ლევანი, სამეგრელოს მთავარი და სხვა შრავალი, დრამატიულ-ტრაღიკული როლები; პატარა, მაგრამ მშვენიერი აგებულების მქონე, მომხიბვლელი თვალების, გულში ჩამწვდომი ხმის პატრონი, მართლა დედოფლობდა ქართულ სცენაზე და უცხოეთიდან ჩამოსულ მნახველებსაც კი აკვირვებდა მისი გულწრფელი განცდა განსახიერებულ

ადამიანებისა, მისი ხერხი რეალისტურ ხელოვნებისა. ასე რომ, დღესაც მისი არტისტული სახელი მომაჯადოებლად დარჩა ქართულ თეატრის ისტორიაში.

ნუცა ჩხეიძეს გარდა სცენისა, ფეხი უდგია ქართულ მწერლობაშიაც და ამას წინად გამოსცა ძვირფასი მოგონებანი თავისი ცხოვრებისა.

ჩემთვისაც დაუვიწყარია მაშინდელი ქართული წარმოდგენები ქუთაისის თეატრში, კოტე მესხის, და შემდეგ ლადო მესხიშვილის მეთაურობით.

კოტე მესხს არ დასცალდა დიდხანს ჩვენთან მუშაობა, რადგანაც ის ლამაზი ხის პავილიონი, სადაც ჩვენ წარმოდგენებს ვმართავდით, დაიწვა და კოტე მესხიც თბილისში გადასახლდა. ასე რომ, ჩვენ, ქუთაისის სცენის სხვა მოყვარულები, უხელმძღვანელოდ დავრჩით, მაგრამ რადგან დიდი სურვილი გვქონდა თეატრში მუშაობისა, ამიტომ დარჩენილებმა შევადგინეთ ამხანაგობა და ხარაზოვისეულ მინგრეულ თეატრში დავიწყეთ წარმოდგენების მართვა.

საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ზემოხსენებული ვასო ბალანჩივაძე (კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის ძმა) და მალაქია ბოლქვაძე, შემდეგში რუსეთში ცნობილი ჟურნალისტი, მაშინდელი სახელმწიფოს სათათბიროს ბეჭდვითი ორგანოების ხელმძღვანელი. სხვებიც იყვნენ ჩვენთან წევრებათ, მაგრამ მათი უმრავლესობა ჩვენ არ შეგვრჩა, რადგან ჟესახსრობამ მათ სხვა სამსახური მოაძებნინა. რევოლუციამდე ჩვენთან იყვნენ და საქმეს უანგაროთ ემსახურებოდნენ მიხეილ ჯანოევი (ნემო), გიორგი თუთბერიძე, კოწია ქურციკიძე, ვასო აბულაძე, ბოჭორიშვილი და სხვანი.

ყველა ამათ ერთი მეორეში ძალიან კარგი ამხანაგობა გვქონდა და ჩვენი საქმისათვის ნამდვილად თავდადებულები ვიყავით. ქუთაისში გავმართეთ ერთი-ორი წარმოდგენა საჭირო თანხის შესაგროვებლად და გავსწიეთ სამოგზაუროდ შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში. რეპერტუარში გვქონდა ერთი რაღაც ძველი პიესა ჯორჯაძისა „ჰაეროსტატი“ და ვალერიან გუნიას „ვაის გავეყარე, უის შევეყარე“: ეს პიესები იმიტომ იყო არჩეული, რომ ორივე პიესაში ორ-ორი ქალის მეტი არ არის და ჩვენ გვყავდა ივანიძის ქალი, უკვე კარ-

გათ გამოცდილი მსახიობი და ერთიც ახალგაზრდა ცომაიას ქალი.

აქ უნდა მოვიხსენიო ერთი ჩემი სამარცხვინო საქციელიც: მამა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ჩემს აქტიორობას არ უყურებდა მაინცდამაინც კარგი თვალით. ყოველთვის მეუბნებოდა — შალვა აქტიორობა კარგია, მაგრამ ხალხი შენიდან მეტს მოელისო, ამიტომაც ჩვენი არტისტული მოგზაურობის შესახებ არაფერი მითქვამს მამისთვის. სამოგზაუროდ ფულების წესხება დაგვჭირდა, ერთმა ჩემმა გიმნაზიელმა მეგობარმა, რომელიც თანაუგრძნობდა ჩემს თეატრალურ მუშაობას (პატარა რუსული ბროშურაც კი მათხოვა, სადაც ინგლისის განთქმული არტისტის გარიკის ცხოვრება იყო აღწერილი), მომცა მამამისის ვერცხლის პორსიგარი, რათა დამეგირავებინა და ფული შემეტანა სამოგზაურო ფონდში. მეც ასე მოვიქეცი, მაგრამ ვინც ფული მომცა, იმან გამგზავრებამდე შემიყვანა სადღაც დუქანში, ვითომ და გზის დასალოცად არაყი დამალევინა, მე მაქვს ნათქვამი, რომ ღვინოს უკვე ვსვამდი, მხოლოდ არაყი არ მქონდა გასინჯული. და აქ კი ერთ კვანჩხს (რიუმკას) მეორეც მოყვა. უჩვევს მიამა და რამდენიმე ერთად გადავკარი, ამან კი ისე შემათრო თურმე, რომ მეგობარი მიხვდა — სახლში მარტო ვერ წავიდოდი, ჩამსვა ფაიტონში, მომაჯდა თვითონ და შინ მიმიყვანა. მე ჩვენ ბინაზე ცალკე ოთახი მქონდა განკუთვნილი, ამ ოთახს შესავალიც ცალკე ჰქონდა. როდესაც მსახურმა ასეთ დღეში მყოფი დამინახა, ჩუმად შემიყვანა ოთახში და ოთახის ქუჩაზე გამავალი ფანჯარა გააღო; ამასობაში დასის წევრებმა ვაგზალში დამიწყეს თურმე ძებნა — სად არის რატომ არ მოდისო, რომ კარგა შევიგვიანე კოწია ჭურკიკიძე და მეორე ამხანაგი გამოგზავნეს ჩემს სახლში, იმათ იცოდნენ ჩემი ოთახი საითაც იყო და გაღებული ფანჯრიდან მე რომ მწოლიარე მნახეს, ამიყვანეს და ფანჯარაში გადამაძვრინეს, მერე არ ვიცი როგორ, მგონი ეტლით, ვაგზალში მიმიყვანეს; აქ მეც გამოვფხიზლდი და შევუდექით მოგზაურობას. მხარულად ვიმოგზაურეთ, რადგან ვასო ბალანჩივაძე და მიხეილ ჯანოევი ძალიან ხალისიანი ადამიანები იყვნენ.

ერთხელ ფოთიდან სუფსაში დაგვჭირდა გასვლა, აქ ეტლით მოგზაურობა გვჭირდებოდა და რადგან ღამე იყო, ჩვენც

გათენებამდე გზის პირად მდებარე დუქანში დავბინავდით. ზოგი მიწვა-მოწვა, ზოგიც საუბარში გაერთო, ზოგმა კერძი მოითხოვა. მე არაფერი მინდოდა და ტახტზე წამოვწექი, ზედ ვიღაცის ნაბადი წამოვიხურე. ცოტა ხნის შემდეგ ვიგრძენი, რომ ჩემს ნაბადში ვიღაც შემოძვრა, იმანაც თავი მიდვა ძილად, ამასობაში ვიღაც ხნიერი კაცი შემოსულიყო დუქანში და ვასო ბალანჩივაძეს და მის ამხანაგებს სუფრაზე მიჯდომოდა და განკარგულებებს იძლეოდა როგორც მასპინძელი; ეს მოიტანეთ, ეს მოართვით „ვეი, პლეჩ!“ ჩვენიანებს ეს კაცი გაუშასპინძლდა. როდესაც გათენებამ მოაწია და სინათლე შემოვიდა დუქანში, გაიხედეს და ეს მასპინძელი სადღაც გამქრალიყო, რაღას იზამდნენ, მთელი დანახარჯი მოგზაურმა დასმა გადაიხადა.

უკვე წასვლის დრო იყო. მე დამიწყეს გაღვიძება, დაუწყეს ძებნა ცომაიას ქალს — სად დაგვეკარგაო, ამ დროს მე წამოვდექი, ნაბადი გადავიხადე და ცომაიას ქალიც ჩემთან დაწოლილი აღმოჩნდა.

არა, მკითხველებო, არა, ორთავენი ისეთი უბიწონი ვიყავით, როგორც ანგელოზები. თუმცა ხარხარი გამოიწვია ჩვენმა ერთად წოლამ.

მოვიარეთ ბათუმი, ფოთი, სოხუმი, სადაც არც თუ განებივრებული იყვნენ იმ დროს ქართული წარმოდგენებით ეს ქალაქები, და ჩვენს დასშიდაც არ გვერია ესეთი საზელოვანი მსახიობი, რომ მის სახელს მიეზიდა საზოგადოება.

დიდებული აკაკის არ იყოს „ჩვენ უჩინონი“ ჩავდიოდით საგასტროლოდ და აფიშების გარდა ჩვენ წარმოდგენებს სხვა რეკლამა წინ არ უძღოდა, მაგრამ თვითეული ამ ქალაქში გამოგვიჩნდებოდა თითო გულშემატკივარი, და იმ დარბოდა ოჯახებში, ხალხს აგულიანებდა წარმოდგენაზე წასასვლელად და ბილეთებსაც ასაღებდა. ასეთები იყვნენ: სოხუმში ანტონ ჭარცივაძე, მაშინ სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილკაცი, ჩოხოსანი, თითქო მარტო კარტის მოთამაშე და მოქეიფე, მაგრამ თეატრალური საქმის მართლა მოყვარული კაცი, შემდეგ ბათუმში ნატარიუსად ნამყოფი და ერთი კარგი ინტელიგენტთაგანი; ფოთში კოწია მიქაბერიძე, იმ დროისათვის უკვე კარგათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე და სამხედრო ექიმი, და ბათუმში — ადგილობრივ სცენისმოყვარეთა მეთა-

ური სტიოპა ხარაზოვი, და ჩვენი სასახელო მწერალი დავით კლდიაშვილი.

ყველა ამათი მეოხებით თითქმის უზარალოთ თავდებოდა ჩვენი გასტროლები, მაგრამ ფოთში ერთი მანდილოსანი ჩაგვაცივდა, მის რომელიღაც ღარიბ სტუდენტის სასარგებლოდ, ერთ-ერთი ჩვენი წარმოდგენა გაგვემეორებინა, ბილეთებიც წაიღო გასასაღებლად, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა და წარმოდგენის მთელი ხარჯები ჩვენს ამხანაგობას დააწვა კისერზე. ამის შემდეგ ჩვენ სოხუმში უნდა წავსულიყავით და სამოგზაურო ბილეთების ფული ძლივს მოვხიკეთ ერთიმეორეში. თვითონ სოხუმში კი, ზემოხსენებულ ქარციევაძის მეოხებით, ადგილობრივ ბანკში გაგვიხსნეს კრედიტი. ჩემის ხათრით, როგორც დადიანს, ალექსანდრე შარვაშიძემ მოგვიწერა ხელი ვექსილზე და როგორც მაშინ ვასი ბალნჩივაძე ამბობდა „ვალებიდან ამოვტყაპუნდით".

ქუთაისში დაბრუნების შემდეგ ჩვენი ამხანაგობა შეუდგა მომავალ სეზონზე ზრუნვას, მაგრამ რა კი ვიცოდით, რომ ჩვენ, ახალგაზრდებს, როგორც არტისტებს, ისეთი ნდობა საზოგადოებაში არა გვქონდა, ამიტომ გადავწყვიტეთ დასის მეთაურად თბილისიდან ლადო მესხიშვილი მოგვეყვანა.

ის მაშინ უკვე დაავადებული იყო, თავისი საუცხოვო ხმა დაკარგული ჰქონდა. თბილისში უანგაჟემენტოდ ცხოვრობდა, არავინ არ იწვევდა. ჩვენ კი ვირისკვთ და ერთხელ რომელიღაც წარმოდგენაზე საგასტროლოდ მივიწვიეთ, მაგრამ ძალიან შევწუხდით რომ ის ამ დროს მართლა ჩიფჩიფებდა და ხალხს ნაკლებად ესმოდა მისი სიტყვები, მაგრამ ისეთი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ჯადოქარი არტისტისა, რომ ამ წარმოდგენაზე ხალხი თეატრში არ ეტეოდა.

შევადგინეთ ამხანაგობა, ჩაგუმატეთ ახლებიც და ლადოს ხელმძღვანელობით გავხსენით სეზონი, ეს იყო და ეს; ლადო მართლა მონდომებით ჩაუდგა სათავეში სეზონის წაყვანას. თითონაც ხმა თანდათან გამოუკეთდა და ხალხს უკვე უხაროდა მისი სცენაზე გამოსვლა, იმავ დროს თან შემოიზარდა შემდეგში სახელმოხვეჭილი არტისტები: ნუცა ჩხეიძე, საშა იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი და სხვები და ამგვარად რაღაც ათი წლის განმავლობაში ქალაქ ქუთაისში

ისეთი ბრწყინვალე სეზონები ჩაატარა, რომ თვითონ თბილისის თეატრსაც კი შურდა.

თვითონ იყო საუცხოვო სილამაზის პატრონი, მისი დიდრონი და აზროვანი თვალები საჭიროების დროს სცენაზე იყვნენ გამომეტყველნი სიყვარულისა და სათნოებისა, სიძულვილისა და ბოროტებისა, მრისხანებისა და სასოწარკვეთილებისა და ყველაფერი ეს დიდის ძლიერებით მიდიოდა მაყურებლამდე და მაყურებლის გულს ატოკებდა, ამშვიდებდა, მრისხანებას გვრიდა... შუა ტანის კაცი იყო, მაგრამ მკვრივად ჩასხმული, კარგი ტანადი და უთუოდ ამიტომ ყოვლგვარი ტანისამოსი, კლასიკური და თანამედროვე, ერთნაირის სიკოხტავით აჯდა მის სხეულს. აგერ კლასიკური პეტრონიუსი — რომაულ მანტიებში გამოხვეული, გაიოზ ფაღავა — ჩვენებურ ჩოხა ახალუხში გამოკოხტავებული, ლევან ხომშიაშვილი — ქართული ქულაჯით დამშვენებული, მელანქოლიური ჰამლეტი, საშუალო საუკუნეთა ჯუბასა და მოსასხამში. ხან სამხედრო ჯავშან-აბჯარში გამოწყობილი და ხან თანამედროვე პიჯაკსა და ჰალსტუკში, — ყველა ამეებში მუდამ საუცხოვო სანახავი იყო.

მაგრამ, ეს შეეხება მხოლოდ გარეგნობას, შინაგანი განცდების გადმოცემა ხომ საოცარი იცოდა. მისი უსიტყვო პაუზები ხომ განთქმული იყო. მეცა მაქვს ეგ აწერილი მისთვის გასნკუთვნილ წერილში.

ისე ცხოვრებაში იყო მეტად სასიყვარულო კაცი, ნაზი სულისა და გულჩვილი, მეტად თანაზიარი ადამიანებისადმი და მუდამ მზადმყოფი შეჭირვებულთა დასახმარებლად. არც იყო ყოყლოჩინა და გაამპარტავნებული ხალხის მოწონებით. თუმცაა იმავ დროს ის იყო ამაყი სულიერად და იცოდა თავისი ფასი და არც არასოდეს ის არ უნახავთ უფლებამოსილ დიდ კაცის წინაშე მოკუნტული და დაკნინებული. იმავ დროს ის იყო ფრიად განათლებული. ის იყო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეორე კურსიდან გამოსული, და გარდა ამისა, იყო საერთოდ საზოგადოებრივ საკითხებში გარკვეული და განვითარებული ადამიანი, ასე რომ, ის არ იყო შეზღუდული მარტო სააქტიორო ჭირ-ვარამით. მას შეეძლო თამამად დასწრებოდა როგორი დონისაც გინდათ შეკ-

რებილებას, და თავის ცოდნით და შეგნებით ღირსეული ადგილი დაეჭირა.

მის დროს არამც თუ ჩვენში, საქართველოში, არამედ რუსეთში და ევროპაშიდაც კი, ნიჭზე არ ვამბობ, ეს ხომ თავისთავად იგულისხმება, ინტელექტუალურად ამისთანა მომზადებული არტისტის მოძებნა ძნელი იყო. ყოველივე ამისათვის ძლიერად უყვარდა ჩვენს ხალხს. სადაც კი წარმოითქმებოდა ლადო მესხიშვილის სახელი, ხალხს თითქო რაღაც ბედნიერება მიანიჭესო, სიხარულის იერი გადაეფინებოდა სახეზე.

ეს იყო, მართლაც რომ საქართველოსათვის ერთი უშესანიშნავესი ფიგურა.

ქუთაისში ჩემი თეატრში ყოფნის დროს კიდევ იყვნენ სხვა საყურადღებო მსახიობები: მიხაკო (მიხეილ) ჯანოევი („ნემო“) და გიორგი თუთბერიძე; მიხაკო ჯანოევი უნივერსიტეტის რომელიღაც კურსიდან ავადმყოფობის გამო იყო გამოსული. გონებამახვილი, ფრიად განათლებული კაცი. ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, თორემ ცხოვრების რომელიმე დიდ დარგში იქნებოდა უსათუოდ შესამჩნევი პიროვნება, მაგრამ სტუდენტობის დროს გამხდარა მგონი ტიფით ავად, ძლივს მოურჩენიათ, შემდეგში დიდათ განერვიანებულა, ისე რომ უბრალო გაფაჩუნებაც კი მასზე გავლენას ახდენდა და შეაწრიალებდა; როდესაც მას გარდაეცვალა მისი უნცროს დათაგანი, მეტის მეტი ნერვიული გახდა, ფუმცა უაქამეს, გამოაბრუნეს, მაგრამ ხელების ძიგძიგი მაინც შერჩა, ბუნებით კი მაინც ხალისიანი და ცოცხალი კაცი იყო, ვერ გაძლო უსაქმოთ და სცენას მოაშურა. ის, შთამომავლობით სომეხი, იყო, ქუთაისში დაბადებული და აღზრდილი, მესაჯუთრეც კი, ასე რომ, ვინ არ იცნობდა მას ქუთაისში. გადახრუებულ ბებერ დედაკაცებიდან პატარა გოგონებამდე. სახლიდან გამოსული ყოველ დილით ჩამოუვლიდა ამ ხალხს და შეჰქონდა მათში დიდი ოპტიმიზმი, იყო დამცინავი და ჰქონდა დიდი ნიჭი წაბაძვისა. ესახლა ქალაქის ცენტრიდან მცირე მოშორებით, პატარა შეღმართის ქუჩაზე, ყოველ დილით უნდა გაევლო მთავარი ქუჩა თავის ბულვარით და მიეღწია თავის თეატრამდე, გზაში შეხვედრილებს გააცინებდა, გააჯავრებდა, წაბაძავდა, ებრაულ სცენებს წაუკითხავდა, აქა იქ განგებ

ჰორსაც ჩაურთავდა და თითქმის მთელი ქალაქი აფორიაქებული ჰყავდა. განსაკუთრებით ეხერხებოდა ებრაელების ცხოვრებიდან სცენების გადმოცემა და ისე შეზავებული ჰქონდა ეს სცენები, რომ ებრაელებში არავითარ შეურაცხყოფას არ იწვევდა და იმავე დროს მათი ყოფაცხოვრების გამომხატველი კი იყო. უნივერსიტეტიდან დაბრუნების შემდეგ, ის ჯერ სცენისმოყვარეებში ღებულობდა მონაწილეობას, შემდეგ კოტე მესხის დასში, ბოლოს ჩვენ შემოგვიერთდა და თითქმის სიკვდილამდე ქუთაისის თეატრს არ ჩამოშორებია. ყველასათვის საყვარელი კაცი იყო, დასის ყველა წევრთან შეხუმრებული იყო, მაგრამ იგრძნობდით, რომ ყველას მისი დიდი პატივისცემა ჰქონდა. მე ხომ თავიდანვე დამეიმეგობრდა და უნდოდა, როგორც გამოუცდელი ახალგაზრდა, სწორ გზას არ ავცდენილიყავ, ამისათვის ქადაგებას კი არ დამიწყებდა ხოლმე, როგორც უფროსებმა იციან, არამედ ამხანაგურად სახუმარო ამბების მოყოლით თან მაცინებდა, თან ჩამაფიქრებდა ხოლმე. მეც მას ვეტანებოდი და ხშირად დამყავდა მამაჩემთან, რომ ამ ორი სხვადასხვა კაცის ნაფიქრი და ნაცადი სიტყვები მომესმინა.

ჩვენთან დასში იყო სასულიერო სემინარია-დამთავრებული გიორგი თუთბერიძე. ეს იყო მეტად დინჯი ახალგაზრდა, მუდამ წიგნებში ჩაღრმავებული და მიღებული როლებით გატაცებული. უყვარდა უფრო მარტოობა, მაგრამ საზოგადოებაში, ნადიმებზე მშვენიერი მომღერალიც იყო, ძალიან კარგი ტენორი ჰქონდა. საერთოდ ჩვენს დასში იყვნენ კარგი ხმის მქონენი და როდესაც საერთო სუფრას მიუსხდებოდით, ჩვენს სიმღერას სიამოვნებით ისმენდნენ სხვა სუფრაზე მსხდომნიც.

უთუოდ მოგეხსენებათ, რომ ქუთაისი, დიდებული აკაკის თქმისა არ იყოს „საეარდო და სამაისო“ იყო. ჩემსრბა აც, თანაც მეტათ ხალისიანი და მომღერალი ხალხით სავსე. ამათ მომღერლებისაგან შესდგებოდა ერთი წრე ახალგაზრდა ბოქვეიფე თავადებისა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ბონდო მიქელაძე, კოკინა მიქელაძე, კოტაჯი შებლაძე, მინა ბოლქვაძე და სხვა. ამ წრეს ჩვენი დასის მომღერლები არ ჩამოუვარდებოდნენ, და ამ მხრივაც, მსახიობობის გარდა, ხალხში ცნობილნი ვიყავით.

ერთი მეორეში გვქონდა კარგი და მჭიდრო მეგობრობა, თითქმის ყველა ჩვენგანი ღარიბი იყო და ხშირად ჯიბეცარიელი, მაგრამ გულს არ ვიტეხდით, საზოგადოებაში მაინც ამაყად გვეჭირა თავი და იმ დროის პოლიტიკურ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე ჩვენც დიდი კამათი გვქონდა ხოლმე. ვასო ბალანჩივაძის გარდა თითქმის უცოლოები ვიყავით, თითონ მიხაკოც კი, მაგრამ მათ სასახელოთ უნდა ითქვას, რომ ყველანი სპეტაკი საქციელისანი იყვნენ, ერთი რამ უზნეო და უხეში რამ ჩადენილი მე არ გამიგონია მართლაც; გულუბრყვილო და სულიერად წმინდა ადამიანები იყვნენ, მარტო თეატრს შეჰხარობდნენ, ხელოვნებას შეტრფოდნენ, ლადო მესხიშვილისთანა არტისტული ხელოვნება უნდოდათ შეესწავლათ და საერთოდ ქართულ თეატრს თავიანთი შრომით გამოდგომოდნენ.

მე პირადად, მამა რომ გარდაიცვალა და ჩვენი ოჯახი დაიშალა ქუთაისში, გიორგი თუთბერიძესთან ერთად დავიქირავე ოთახი და პირველად დავიწყე დამოუკიდებელი ცხოვრება. სრულიად გამოუცდელი ვიყავი, მაგრამ გიორგისთან ყოფნამ ბევრი რამ სასიკეთო შემძინა: დისციპლინიანობა ჩემს საოჯახო ცხოვრებაში, წესრიგი, დროს განაწილება კვებისა და მუშაობისათვის, არავითარი ზედმეტი, არავითარი ხელზე გადაყოლა არ არსებობდა გიორგის კოდექსში და მეც ამან ამიყოლია. საკვირველია კიდევ ერთი რამ, მე ხომ მსახიობი ვიყავ და ისიც ახალგაზრდა, ეტყობა მეც მოვწონდი ახალგაზრდა გოგოებს და მომდიოდა მათგან სატრფიალო „უსტარები“, მაგრამ მე მათ არ გამოვხმაურებივარ, როდესაც ქალთა გიმნაზიის კართან ჩამოვიარდი მარტოხელა, გიმნაზიის სხვადასხვა ფანჯრებიდან გადმოყოფდნენ თავს გიმნაზიელი გოგოები და ცალცალკე გაიძახოდნენ — „დადიანი დუშკა“, „დუშკა დადიანი“. მე ამეებს არ ვიმჩნევდი და, როგორც მოაზროვნე ფილოსოფოსი თავის აზროვნებაში ჩაღრმავებული, ამაყად ჩავიარდი მათ წინ.

ეჰ, რა კარგი დრო ყოფილა თურმე.

აი ასეთ ხალხში ვერიე და ასეთ ცხოვრებას ვეწეოდი ჩემს სიჭაბუკისას ქუთაისის თეატრში.

მაგრამ მთლად უმანკოები არ ვიყავით ქუთათური ყმაწვილები, ღვინოს ხშირად ვსვამდით, ვთვრებოდით კიდეც,

მხოლოდ საღამოობით რეპეტიციების ან წარმოდგენების შემდეგ. ხარჯს კი უსწორდებოდით, ან ჩვენს შორის მოკრებილ ფულებით, ან უფრო ხშირად, ჩვენი პატივისმცემელი ხალხის გამასპინძლების წყალობით.

ჯერჯერობით მე არ მომიხსენებია ჩემი პირველი გზის გამკაფავი და მასწავლებელი თეატრის ანაბანაში, უთუოდ შესანიშნავი ფიგურა ჩვენი თეატრისა, კოტე მესხი.

ეს იყო ტანმოჭრილი, კარგა ჩამკვრივებული სხეულის პატრონი. ბოლო ხანებში ცოტა მუცელი წამოეზარდა, თორემ ისე ყველაფერი გამოზომილი და სიმეტრიული ჰქონდა. საზე გაბადრული, წვერულვაშ გაპარსული ჩემ დროს და მშვენიერი მოყვანილობის თვალების პატრონი. ეს თვალები თითქოს საგვარეულო თვალები იყო მესხების ოჯახებისათვის! კოტე, ივანე, სერგო, ნესტორი — ეს ვაჟებში, ქალებში — ფეფრო და ნუცა ასეთი საუცხოვო და შესამჩნევი თვალების პატრონებს იყვნენ. უფრო ცისფერი ეერი დაჰკრაფდათ, ჩხია და უცნაური სითხით სავსე, რომელსაც ცვალებადობის დიდი უნარი შესდგომოდა, განსაკუთრებით მათ შორის უნცროსი დის ნუცას თვალებს.

აქვე უნდა მოვიხსენიო ერთი უცნაური ამბავი: ხსენებული ნუცა მეტად მოხდენილი ტანადი და ეერიანი ქალი იყო: გაუთხოვარი იყო და ქუთათური კავალრები თავს დასტრიალებდნენ. მთელ ქალაქს უყვარდა მისი სახის და ხასიათის გამო. ერთ ზამთარში ქუთაისისათვის უჩვეულოდ დიდი თოვლი მოვიდა, კარგა ბლომად სახურავებზე დასდო თოვლი და სახურავებიდან საწვეთეებზე ჩამოეშვა ყინულის ლოლუები, ერთ-ერთ სახლის წინ, საქმეზე მიმავალ ნუცას სახურავიდან მოწყვეტილი ერთი გრძელი ლოლუა წლიაპაზე დაეცა, თავი გაუხვრიტა და იქვე სული გააცხობიხა...

დაუბრუნდეთ ისევ კოტეს.

კოტე გიმნაზიადამთავრებული და სცენით გატაცებული პარიზს წავიდა იქაური თეატრების და ფრანგულ სასცენო ოსტატობის შესასწავლად; საქართველოში დაბრუნებულმა თან ჩამოიტანა დიდი სიყვარული ფრანგული რეპერტუარისა, უნარი სამსახიობო ხელოვნების გამოვლინებისა; ძეგლებიც პირშიაც დასციხოდხენ, რომ მას ქართული მეტყველების აქცენტიც კი ფრანგულთან ჰქონდა შეფარდებული. მხო-

ლოდ ამას კიტესთვის ხელი არ შეუშლია, რომ ქართულ სცენაზე გამოესახა უდიდესი ტიპები ევროპელ კლასიკოსების. უმთავრესად კი ის იყო სახასიათო როლების შემსრულებელი. ვისაც კი ის უწახავს, მისთვის დაუვიწყარია მის მიერ შესრულებული ნერონის როლი, პაატა წულუკიძე, ჰეტრუჩიო, აზნაურის როლი ჩეხოვის „ალუბლის ბაღში“, ნაპოლეონი და სხვა.

კოტე იყო საერთოდ მეტად განვითარებული კაცი. ამ ტიურ მონაწილეობას ღებულობდა მისი ძმის — სერგეი მეხის გაზეთ „დროებაში“ და მის მომდევნო პრესაშიაც, იმავე დროს ის თარგმნიდა და თვითონაც წერდა ორიგინალურ პიესებს, ხშირად ხელმძღვანელობდა თბილისსა და ქუთაისში დრამატიულ სეზონებს, ხან მარტო და ხან ვასო აბაშიძესთან, ან ვალერიან გუნიასთან ერთად. რეჟისორობით ხშირ ყოველთვის დასში ერთ-ერთ მორიგე წამყვან რეჟისორად ითვლებოდა. ამასთან იყო ძალიან მახვილი ენის პატრონი და მშვენიერი მოლაპარაკე. მის მომსწრეებს ძალიან კარგად ახსოვთ მისი ნამახვილევი და მოსკოვში მის მიერ ნათქვამი სიტყვა მცირე თეატრის იუბილეზე. დღესაც დაუვიწყარია მან უთხრა განთქმულ არტისტს ერმოლოვას ქალს: „როცა შენ გნახეთ ზეინაბის როლში ნათლად განვიცადე თუ საქართველოს ბედზე როგორ სტიროდა რუსის ქალი ქართულ ცრემლებით“, იუჟინს კიდევ ასე შეეხუმრა: „შენ ულალატე საქართველოს, მაგრამ ეს ღალატი შენი „ღალატით“ გამოისყიდეო“.

ერთია შესამჩნევი:

ქუთაისის ქართული თეატრი, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, ერთგვარად ემსახურებოდა ქართული ინტელიგენციის აზროვნების გაღრმავებას და სიფაქიზეს. ქუთაისი, მეტწილად, წარმოადგენდა მოვაჭრე ხალხის და დაწესებულების მოსამსახურეთა ლიანგს, მათში ერია ორეთვე მოქეიფე თავადაზნაურთა წრე და ძალიან მცირე ნაწილი ინტელიგენციისა. ასე რომ, ქუთაისის თეატრის შემადგენლობა თავის აზროვნებით მაინც ოაზისს წარმოადგენდა და, მხოლოდ მათ შორის, მათ შეკრებილებაში, თუმცა ძნელ გალურს, მაგრამ ძალიან გაბედულს სიტყვებს და იდეას აღიარებას მოისმენდით.

მართალია, მაშინ ქუთაისში მუშაობდა საშა წულუკიძის მეთაურობით არალეგალური „იმერეთის კომიტეტი“, მაგრამ ქუთაისის დასს მაინცდამაინც დიდი დამოკიდებულება არ ჰქონდა მასთან. არც თუ რევოლუციურ მოძრაობაში ღებულობდა მონაწილეობას, მხოლოდ აქა იქ, თითოოროლა დასის ახალგაზრდა წევრი ღებულობდა სხვადასხვა მარქსისტულ წრეებში საიდუმლო მონაწილეობას.

ასე მაგალითად: ჩვენთან მუშაობდა აქტიორად მეტად ცოცხალი, ნიჭიერი ახალგაზრდა ნესტორ კალანდარიშვილი, ის დაკისრებულ როლებსაც საუცხოვოდ ასრულებდა ხოლმე და ღვინის სმაში და ქეიფშიაც მონაწილეობდა. მხოლოდ ჩვენ ის გვაკვირვებდა, რომ რეპეტიციების დროსაც ნესტორი სადღაც დიდი ხნით დაიკარგებოდა, და როდესაც მას რეჟისორი უსაყვედურებდა, ის რაღაც ისე სახუმარო მიზეზებს დაასახელებდა, რომ მისი დასჯა აღარავის აღარ უნდოდა, მით უფრო, რომ მის დროს დასი ამხანაგობას ეკუთვნოდა და ჩვენ ჯარიმებს და სასჯელებს აღარ მივდევდით. ბოლოს მაინც გამოვარკვიეთ, რომ ის თურმე რომელიღაც რევოლუციონურ წრეში საიდუმლოთ ღებულობდა მონაწილეობას. და ჩვენც მეტი პატივისცემით გავიმსჭვალენით მისდამი. შემდეგში ხომ მან დიდათ თავი ისახელა ციმბირში რევოლუციონურ ბრძოლებში და კოლჩაკის დამარცხებაში, ასე რომ, მას რომელიღაც ციმბირის ქალაქში, სახელი არ მახსოვს, ძეგლი აქვს აღმართული. ისე კი პირადად ცხოვრებაში მეტად საყვარელი კაცი იყო, ჭარბი სამეგობრო, ხუმარა და ცოტა ფრცხანიც. სხვათა შორის ნარდს თამაშობდა მშვენიერად, მაგრამ როდესაც საჭირო კამათელი არ გამოუვიდოდა, ახტებოდა-დახტებოდა, კამათლებს გინებას დაუწყებდა, თავებედს იწყევლიდა, ხოლო როდესაც ცოტათი დამშვიდდებოდა თვითონვე აუტყდებოდა ხარხარი.

ამგვარად ქუთაისის დასიდან, თითოოროლა ამხანაგი, ჩვენც არ ვიცოდით ისე მუშაობდა არალეგალურ რევოლუციონურ წრეებში. ის კი არა საბრძოლო იარაღები, ხელყუმბარები და სხვა ამგვარი დიდი საიდუმლოებით მზადდებოდა ჩვენი თეატრის საბუტაფორიო და სარეკვიზიტო განყოფილებაში. ყოველივე ამას მეთაურობდა ჩვენი სცენის ე. წ. მაჭინისტი. აწ განსვენებული სერგო ჭელიძე. რასაკვირველია,

პოლიცია ამას სუყველაფერს თვალყურს ადევნებდა, მაგრამ მაინც, როდესაც თეატრში, ანტრაქტების დროს, პარტერი დაბნელდებოდა, მთელი თეატრი არალეგალურ პროკლამაციებით მოიფინებოდა და შემდეგ, როდესაც გააწათებდნენ, თვითონ ლადო მესხიშვილი გამოდიოდა (ხანდახან გრიმში მოქმედ პირის ტანისამოსში) და ხალხს მიმართავდა მგზნებარე სიტყვებით. ამის შემდეგ იყო რომ პოლიცია ერეკებოდა ხალხს თეატრიდან და ატუსაღებდა კიდეც. მაგრამ ხალხი მაინც „მარსელიოზას“ სიმღერით იშლებოდა. დატუსაღებულებში ხშირად ერია სცენის მუშები, თვითონ ჭელიძეც, მაგრამ რადგან მათ გასამტყუნებელ, ხელისჩასავლელ საბუთს ვერ უპოვნიდნენ, ხშირად ათავისუფლებდნენ თუ იმ ღამეს არა, მეორე დილით მაინც. თუმცა პოლიციის ჟანდარმერიის სისასტიკეს ვერ გადაურჩა ერთი მშვენიერი ახალგაზრდა, საუცხოო ინტელიგენტი, რომელიც ჩვენს დასში მოკარნახედ მსახურობდა — თეოფილე მშველიძე; როდესაც ის კაზაკებს მიჰყავდათ დატუსაღებული, ვითომ გაქცევა დააპირაო და გზაშივე მოჰკლეს.

ისე კი მკითხველს მოეხსენება, რომ ქუთაისში ქართული დასი მესხიშვილის მეთაურობით, კაზაკების საწინააღმდეგოთ თეატრის წინ ბარიკადებს უდგა სათავეში, მაგრამ რასაკვირველია, ასეთ ზომების მიღებაზე ყველას უარი უნდა ეთქვა, რადგანაც ცარიზმის მთავრობამ ქუთაისს და მის გუბერნიას ალიხანოვის დამსჯელი რაზმი შემოუსია.

ამგვარად ჩემი განვითარება სიჭაბუკის დროს მიმდინარეობდა უფრო ქუთაისის თეატრის კულუარებში; აქ, ცხადია, მთავარი ჩემი განმანათლებელი უფრო რეპერტუარი იყო, დრამატურგია. მსახიობებში და თეატრის გარეთაც კამათი შექსპირზე, იბსენზე, ჰაუპტმანსა და მირბოზე, რომელთა პიესებს ხშირად ვდგამდით, იყო ჩვენი შეხლა-შემოხლის საგანი. აქ, რაღა თქმა უნდა, ჩამოგვერეოდა ცოტა სუსტად მოაზროვნე რევოლუციონერი და შემოჰქონდა თავისი ამაღელვებელი ნაკადი, მაგრამ ერთ გარკვეულ აზრს მაინც ვერ ვადგებოდით. მე სწორედ ამ დროს გამიტაცა ანარქისტების მიერ გამოცემულმა პატარა-პატარა ბროშურებმა. მაშინ საქართველოში მუშაობდნენ განთქმული ძმები გოგულიები კომანდო და სხვ. და რაღა თქმა უნდა განსაკუთრებულად

კომანდო დიდად მომზადებული კაცი იყო, ძალიან გამჭრიახად წერდა... იმ ხანებში მე წავიკითხე კარგა მოზრდილი წიგნი რუსი მხატვრის სერგეი მაკოვსკისა „მშვენიერებაზე“, ეს წიგნი ისეთ გუნებაზე დააყენებდა კაცს, რომ რევოლუციონური ბრძოლა კი არაა საჭირო ადამიანთა განთავისუფლებისათვის, არამედ ხელოვნება იხსნის კაცობრიობას სიდუხჭირისაგან, მხოლოდ ამას დრო უნდა, ხალხის შემზადება; ევოლუცია და არა რევოლუცია! რადგან რევოლუცია არის ძალადობა, მიძალება და არა თვითშეგნების ნაყოფი. ასეთ გუნებაზე დამაყენა მაკოვსკიმ, მაგრამ როდესაც ანარქისტებში გავეცანი უფრო დიდ მოაზროვნეებს, როგორც კრაპატკინს, ელიზე რეკლიუსს, სულ სხვაგვარ მოვინათლე, მხოლოდ როდესაც მაკს შკილნერი გადავიკითხე, ჩემს აზროვნებაში ავხტი და დავხტი, ძალიან მომეწონა მის მიერ უარყოფა სახელმწიფოს მართვა გამგეობისა, რომ არ უნდა არსებობდეს საერთოდ სახელმწიფო ერთეული, არ უნდა იყოს სახელმწიფოს სათავეში არც ხელმწიფე, არც პრეზიდენტი, არც პარლამენტი. ხალხი უნდა იყოს თავისუფალი და ამ ხალხს უნდა შედგენდეს დიდად მომზადებული, განათლებული, თავისუფალი, დამოუკიდებელი პიროვნებანი. ანარქისტებს არც პოლიცია, არც მეომარი ჯარი ჰყავდათ გათვალისწინებული. რაიმე სახელმწიფოები არ იქნებიან, ვიღა ეომება ერთი მეორეს და რაკი ინდივიდები, ცალკეული პიროვნებანი იქნებიან დიდად მომზადებულნი, მაშასადამე, არავითარი დანაშაულის ჩადენას არ ექნება ადგილი და არც პოლიცია და არც სასაჯართლო საჭირო აღარ იქნებაო. ჩემისთანა გრძნობიერ ჭაბუკისათვის მაშინ ეს პრიმიტიული შეხედულება სახოგადოების წესწყობილებაზე მეტად მომხიბლელი იყო და კარგა ხიდხანს ვიყავ ტყვედ იმ ორი დებულებისა, რომ ეროვნული სახელმწიფო არ უნდა არსებობდეს და ქვეყანას იხსნის ხელოვნება. ესეც მანამ, სანამ მიმდინარე რევოლუციურმა ცხოვრებამ სულ სხვა რამ არ დამიმტკიცა და რეალურ გზაზე არ დამაყენა. კარგი ის იყო, რომ მანამდე ჩემ შეძენილ დებულებას არსად არ ვქადაგებდი და ამხანაგებშიაც კი ცოტა ვიტყოდი რამეს ამის შესახებ. ეს უთუოდ მისთვის, რომ ემთვის ნამდვილი დომინახტი „ხალხის საძსახურო“ იყო. ემოთაც მაქვს ნათქვამი, რომ მამას ადამიანის უდიდეს პო-

ვალეობად ხალხის სამსახური მიაჩნდა. როგორც ხედავთ მეც ამ გზას გავყევ და ამ გზაზე რაც ვნახე და განვიცადე ამაზე ვლაპარაკობ.

ასე რომ, მე უფრო ვტრიალებდი მსახიობთა წრეში და თითქმის ყოველ დღე დილიდან საღამომდე მათთან ვიყავი რეპეტიციაზე თუ სპექტაკლებზე. ისე, რასაკვირველია, ქუთაისში ვიცნობდი ზოგიერთ ოჯახებს, მაგრამ მე მათთან არ დავდიოდი, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მისაყვედურებდნენ, რატომ ჩვენთან არ დაბრძანდებითო: დავდიოდი, ისიც იშვიათად, მხოლოდ ერთ ოჯახში. ეს იყო დეიდაჩემის ელპიტის, მერაბ ლორთქიფანიძის ოჯახი. ეს იყო ერთი ჰოწინავე ოჯახი, სადაც საღამოობით ხშირად იკრიბებოდნენ ქუთათური ინტელიგენტები და ჰქონდათ სჯაბაასი და კამათი იმ დროის საქართველოს საჭირბოროტო საკითხებზე. თვითონ ოჯახიც მრავალრიცხოვანი იყო — ხუთი ქალი და სამი ვაჟი ამშვენებდა ამ ოჯახს. ჯერ თვითონ დეიდა ელპიტი განსახიერება იყო ნამდვილი ძველებური ქართველი ქალის ტიპისა. შემდეგ თვითონ მერაბ ლორთქიფანიძე, რომელიც არ იყო დიდი ნასწავლი, მაგრამ ბუნებრივი გონება და ნიჭი იმდენად ეხმარებოდა, რომ საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა. მისი ორი უფროსი ვაჟი — ალექსანდრე და იასონი ამშვენებდნენ ქართველ ინტელიგენტთა წრეს სხვადასხვა საზოგადოებრივ სამსახურით და მათი სულ უნცროსი ძმა ნიკო ლორთქიფანიძე ხომ ერთ-ერთ დიდ პროზაიკოსად გვევლინება მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში.

ალექსანდრე და იასონი მათი სტუდენტობიდან მახსოვს, როდესაც მათ ქუთაისის გიმნაზია დაასრულეს თავიანთ ამხანაგებთან ერთად თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდნენ მამაჩემთან, მათ შორის ერივნენ შემდეგში ცნობილი ნიკო მარი, მწერალი პეტრე მირიანაშვილი, რომლის კალამსაც ეკუთვნის „აბესალომი და ეთერის“ ლიბრეტო და სხვ. მათ მამასთან უფრო ძველ ქართულ ლიტერატურაზე და ძველ ქართულ სიტყვებზე ჰქონდათ საუბარი. ზოგ უცხო სიტყვებსაც აქართულებდნენ, თარგმნიდნენ და ერთი მეორეში ისე ხმარობდნენ. მე ასე ათი-თორმეტი წლის ბავშვი ვიქნებოდი, მაგრამ მეც იმათში ვერიე და ვისმენდი მათ ლაპარაკს და ოხუნჯობას. ასე მაგალითად, აქამდე მახსოვს სიტყვა „ენდალ-

მა“,, რაც ქარხულად ნიშნავდა დიპლომს. ამაზე მახსოვს ერთი მათგან შეთხზული სახუმარო ლექსი:

„შენი ენდალმა
წაიღო წყალმა,
გონს ვერ მოგაგო
სამშობლოს ვალმა“.

ჩემი აქტიორობისას მე, აგრეთვე, ასე თუ ისე, ვმეგობრობდი ქუთაისის თავადაზნაურთა ახალგაზრდობის წრეს. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილნი მშვენიერი შესახედაობის ყმაწვილები ქეიფის და არშიყობის მეტს არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ მათ შორის ყოფნა მაინც სასიამოვნო იყო, რადგანაც თბილისის ყველანი მოსწრებული სიტყვის პატრონები იყვნენ,, განსაკუთრებით პიპინია მიქელაძე და სერგია ერისთავი. ისინი მთელ ამ წრეს თითქოს მეთაურობდნენ. დათიკო მიქელაძე, ბოხდრ მიქელაძე, ნიკო ფალავა და კიდევ სხვა ფალავები და მიქელაძეები... მათი ქეიფი ხომ განთქმული იყო. საუცხოვო სიმღერები, მოსწრებული სიტყვები და ზრდილობიანი საქციელი ერთიმეორეში. არავის არასოდეს არ ახსოვს, რომ მათ რაიმე სამარცხვინო საქციელი ჩაედინოთ საზოგადოებაში. მიუხედავათ იმისა, რომ ყველა მათგანი უსაქმური იყო, ზოგიერთის გარდა. სხვა მხრიდანაც ჩამოსულ სტუმრებს აოცებდა და ხიბლავდა მათი ასეთი კეთილშობილური საქციელი, ზოგი მათგანი თანაუგრძნობდა კიდეც რევოლუციონერებს ქუთაისში.

მეც კინალამ ჩამითრია ამ წრემ თავის მიმართულებაში. სწორედ იმ დროს ცოლიც შევირთე, მაგრამ ძალიან ჩამაფიქრა ჩემმა პირადულმა მომზადებამ: რას წარმოვადგენდი? ერთი უვიცი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ისეთივე „ტლუ ბიჭი“, როგორიც ვიყავი ბერთემში. ამიტომ გადავწყვიტე წავსულიყავ რუსეთს და უმაღლესი სწავლა მიმეღო. მხოლოდ წასასვლელად მოსკოვი ავირჩიე, რადგან მჭონდა წაკითხული, რომ მოსკოვი გულია რუსეთისა, პეტერბურგი ტვინი... და აი ჩავედი მოსკოვს.

მოსკოვს მარტო მივდიოდი და ამ ქალაქს სრულიად ვერ ვიცნობდი, მაგრამ გზაში აღმოვიჩნდა ერთი კეთილშობილი პროფესორი, ვინმე რუხაძე, სამწუხაროდ სახელი არ მახსოვს,

ნოქარი დიდი ქუთათური ვაჭრების ელიგულაშვილების და ის შეიქნა ჩემი ჩიჩერონე. თუმცა გზაშიდაც არ მაკლებდა ყურადღებას, ერთად ვსაუზმობდით, ერთად ვსადილობდით და ერთად ვსაუბრობდით. ჩვენი მატარებლით პეტერბურგს მიდიოდა, აწ გარდაცვლილი, შეტად ნიჭიერი ახალგაზრდა სტუდენტი კუჭიკო მიქელაძე. ძალიან ცოცხალი კაცი იყო, ხუმარაც და თან მამის სახლში დაჩვეული იყო კარტის თამაშს. მამამისი იყო ერთ დროს დიდი მემამულე, მოქეიფე და სტუმართმოყვარე კაცი, ამ მგზავრობისას კუჭიკო ჩვენს კუპეში ჩამოჯდა და სასაუბრო რომ შემოგველია, წინადადება მოგვცა — კარტი ვითამაშოთო, ჩვენც დავეთანხმეთ და კარგა ხანს ვთამაშობდით. ძილის დრომ მოაწია და მე კარგა წაგებული ვიყავი და ჩემი მეგობარი რუხაძეც, მაგრამ თამაშის გაგრძელებას ძილი ვარჩიეთ. გათენდა თუ არა, საუზმის შემდეგ, ისევ შევუდექით თამაშს. თამაშის დროს შემოგვემატა პეტერბურგს მიმავალი ქორქია. შემდეგ კიდევ ერთი ახალგაზრდა ჩამოჯდა ჩვენთან. ჩვენ მოთამაშეებს დათქმული გვქონდა, რომ არავინ უცხო თამაშში არ მიგვეღო, მაგრამ კარგა ხანმა რომ გაიარა, რუხაძემ თავი დაანება თამაშს, არ ვიცი მოწყინდა თუ წაგების გამო. დავრჩით სამნი: მიქელაძე, ქორქია და მე, ჩვენ განვაგრძეთ თამაში, ის უცხო კი ძალიან მონდომებით გვიყურებდა, შემდეგ განაცხადა, რომ მას სურს თამაშში მონაწილეობა მიიღოს. კუჭიკომ გამოკითხა ვინაობა და იმანაც უპასუხა, რომ ის არის დერპტის უნივერსიტეტის სტუდენტი, გვარად ლაშხი. ჩვენც შემოვიერთეთ. ეს ის დრო იყო, რომ კარგა ღამდებოდა და ამ შემოერთებულმა ისეთი დღე დაგვაყენა, რომ კინაღამ ფულებიდან გავიცალენით. თითონ ლაშხი ძალიან წუხდა ჩვენს წაგებას და პირველმა იმან შემოგვთავაზა, რომ თამაში მეორე დღისათვის გადაგვედო და ჩვენც ასე მოვიქეცით. მეორე დღეს კუჭიკოს მოუვიდა ხელი და ლაშხს თითქმის მისი მოგებული სულ ჩამოართვა, მეც გამიცარიელდა ჯიბეები. ამ დროს ჩვენ უკვე მოსკოვს ვუახლოვდებოდით, მივედით კიდეც, შევედით სადგურში, მე უნდა ჩამოვსულიყავ, კუჭიკო პეტერბურგს მიდიოდა, ქორქიაც, ლაშხი კი ამ „პასაჟირების“ ფაციფუცში სადღაც დაგვეკარგა. მე და კუჭიკო ძალიან შევწუხდით, რადგან შევატყვეთ, რომ ლაშხს ფულები ალარ

ჰქონდა, მაგრამ რას ვიზამდით. კუჭიკომ მითხრა — იწ ხომ დერპტს მიდის, მაშასადამე, ის პეტერბურგს უნდა ჩავიდეს და გზაში მოვძებნი სადმეო, მაგრამ შემდეგში კუჭიკო რომ ვნახე, მითხრა — არ მინახავსო, ასე რომ, მე და კუჭიკომ უნებლიეთ „გავყვლიფეთ“ ერთი ქართველი სტუდენტი, მშვენიერი ყმაწვილი, კეთილი და ზრდილობიანი.

ჩამოვხტი მოსკოვში და მაშინვე ჩემი რუხაძე ამედევნა: „შენ ვერ იცნობ შალვა მოსკოვს, მე წამომყევი და სასტუმროსაც მიგაგნებინებო“. ჩავჯექით „ვანკაში“, მაშინ ვანკები და ლიხაჩები იყო მხოლოდ მოსკოვში. რუხაძემ ლუბიანკაზე მომიყვანა. იქვე სასტუმრო იყო, სადაც ქართველი ვაჭრები და ნოქრები ჩამოხტებოდნენ თურმე, მეც იქ დამაყენა. მოვისვენეთ, ვისადილეთ და საღამოც შეიქნა. რუხაძემ გამიყვანა სასტუმროდან და ფეხით წამიყვანა, მითხრა ასე უფრო გაეცნობი ცენტრალურ ქუჩებსო. გავედით კიდეც ტვერის, ახლანდელ გორკის ქუჩაზე და გავყევით იქ, სადაც ეხლა პუშკინის ძეგლი დგას, იმის ცოტა აქეთ იყო ელისეევის კაფე. რუხაძემ შემიყვანა, დამსვა ერთ მაგიდასთან, თვითონ გაიარ-გამოიარა და ბოლოს ორი მშვენიერი რუსის გოგო მომიყვანა სტუმრად.

ასე მეძაობით დაიწყო ჩემი ცხოვრება მოსკოვში.

მაგრამ არა, ეს ტყუილია, ამითი ნამეტანი ცილს ვწამებ ჩემს თავს, მე ამ გზას არ გავყოლივარ.

მოსკოვში უწინარეს ყოვლისა გავიცანი ქართველი სტუდენტობა, რადგანაც ვეძებდი ისეთ ახალგაზრდა სტუდენტებს, რომლებსაც ახლად დამთავრებული ჰქონდათ გიმნაზია და კარგათ ახსოვდა საშუალო სკოლის საგნები, რათა ესენი ყველა გაერკვია და ესწავლებინა ჩემთვის, რადგან სახლიდან დამშბარეს, რომ ჯერ ატესტატი აიღე და ისე გახდი უნივერსიტეტის სტუდენტი. გაცნობილ სტუდენტებში მირჩიეს ახლად კურსდამთავრებული ევგენი გეგეჭკორი ამეყვანა მასწავლებლად. ის მაშინ არც ისე აშკარად სოციალ დემოკრატიზდა. უთუოდ ამიტომ არც კი ცდილა ჩემთვის დაენერგა მისი მოძღვრება, მხოლოდ ისე კი მაქებდა თურმე: „რა ნიჭიერი კაცია შალვა, ძალიან მალე ითვისებს საგნებსო“. მე კი რა შეჭნა, თორემ ძალიან მეზარებოდა ესეთი „უჩენიკური“ სწავლა, მაგრამ შემდეგში გავიცანი უკვე უხუცესი სტუდენტ-

თაგანი ლეო ნათაძე, შემდეგ ცნობილი მენშევიკი და ჟურნალისტი, და იმან სულ დამინგრია ჩემი გეგმები, მითხრა: „რად გინდა დიპლომი ან, უნივერსიტეტში სწავლა, ისე განვითარდი, წაიკითხე შეისწავლე მაგ. პოლიტიკური ეკონომია, სხვადასხვა სოციალისტური წიგნები, მიიღე საერთო განვითარება და შემდეგში რა გზასაც გინდა იმას დაადექიო". ამასობაში მე ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში მიმიღეს და მეც მოუწყინრად ვესწრებოდი მათ კრებებს. ერთხელ მეც წამაკითხეს მოხსენება მამიჩემის ცხოვრების და შემოქმედების გარშემო, იქვე, ამ სათვისტომოში, გავეცანი პლეხანოვის ერთ არალეგალურ ბროშურას, სადაც ის სვამდა საკითხს, რომ მთელი რუსეთი გადაქცეულიყო ფედერატიულ სახელმწიფოდ, იმპერიაში შემავალ ყოველ ეროვნებათა მიხედვით, რომ ყოველ ეროვნებას თავის ფედერატიული ერთეული ჰქონოდა. მაგრამ სტუდენტობაში ყველა არ ემხრობოდა ამ მოსაზრებას, თუმცა ხარკოვის სათვისტომომ მამია ორახელაშვილის (რომელიც მაშინ ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო) მეთაურობით გამოგვიგზავნა მათი მოსაზრება და ჩვენ გვთხოვდა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი. ჩვენმა სათვისტომომ მე დამავალა ეს პლეხანოვის მოსაზრება გადამეღო ჩვენს მანქანაზე, რასაკვირველია ეს ძალიან საიდუმლოთ უნდა მომხდარიყო და მეც გამგზავნეს ერთ-ერთ სტუდენტის ბინაზე, სადაც ყველაფერი მზად დამხვდებოდა გადასაბეჭდად და შემდეგ მომეტანა სათვისტომოს ხელმძღვანელებთან, მაგრამ დახეთ ბედს. სწორედ მაშინ, როდესაც არალეგალურ ქალალდებს გბეჭდავდი, იმ საღამოს სათვისტომოს სხდომა ჰქონია, რასაც, რასაკვირველია, მე არ დავსწრებივარ, ჩემი დამზადებული ქალალდით წამოვედი სათვისტომოსკენ და გზაში შემხვდა ჩემი შეგობარი სილოვან გაბუნია და ქართულად მომაყვირა კიდეც: „ცოცხალი ხარ?" შემდეგ ამიხსნა, რომ წუხელ ჟანდარმერია თავს დასხმია სათვისტომოს და ვინც იქ იყო, ყველანი დაუტუსაღებიათ. ასე რომ, შენ სათვისტომოს სულ ნუ გაეკარები და არც შენ ბინაზე წახვიდე, იმიტომ, რომ დანამდვილებით ვიცი, შენც გაუჩხრეკიხართ და ეხლა რაც შენ მოგაქვს არალეგალური ნაბეჭდარი, სადაც გინდა იქ გააქრეო. ეს მითხრა და გამშორდა. ერთხანს ვიდექი გაცბუნებული და არ ვიცოდი რა

ზომები მიმეღო. შემდეგ გავსწიე. იქვე აწლოს ხიდი იყო მაწ-
კვა-რეკაზე და ვიფიქრე — წყალში გადავაგდებ მეთქი, მაგრამ
ხიდის მოაჯირს რომ გადავადექი, ჯერ ერთი — ხიდზე უამრავი
ხალხი მიდი მოდიოდა და არ შეიძლებოდა რომელიმე იმათ-
განს არ შეენიშნა, ის კი არა, როდესაც წყალს გადავჩერებო-
დი, ერთი ორი კაცი შედგა ჩემთან, თან მკითხეს რამ დაგა-
ინტერესა, რას ჩაჩერებიხარ მაგ მდინარესო. მეც ძლივს მო-
ვახერხე მეპასუხნა — ეგერ პატარა „პარახოდი“ რომ მოდის,
იმას შევჩერებივარ მეთქი, ამ ჩემს პასუხზე იმათ ჩაიფრუ-
ტუნეს და გამშორდნენ, უთუოდ იფიქრეს — ეს ვიღაცა ხამი
კაცია, მოსკოვში ჯერ არ ყოფილა, იმიტომაა ასე გამოშტე-
რებულიო. მე კი სიმწრის ოფლს მასხამს, როგორ მოვიშოროთ
ეს ბრალეგალური ლიტერატურა და გავწიე ისევ სილოვან
გაბუნიას ბინაზე; ის ცხოვრობდა ებრაელების ოჯახში და
მე იმ ოჯახს კარგად ვიცნობდი. იქ ქალები შემომეგებნენ და
დამიწყეს უბრალო საუბარი, მე კი გული მისკდება, სად
დავმალო, სად წავიღო? უეცრად მოვიფიქრე — მოდი ფეხს-
ადგილში შევალ და გადავაგდებ მეთქი, მაგრამ მე არც ისე
შინაური ვიყავი ამ ოჯახში და ისიც ქალებთან როგორ უნდა
გამემხილა საპირფარეშოში შესვლა და ამიტომ ეს აზრი უკუ-
ვაგდე და უფრო მოხერხებული ადგილის მოსაძებნად ქუჩაში
გამოვედი, დავინახე იმპერატორ ალექსანდრე II-ს ძეგლი
თავის გალავნით ფერდობზე; ბაღის პირად გადამდგარი. ახლო
იყო და იქ მივაშურე. ძეგლს ბაღის მხრიდან მივადექი გა-
ლავანთან. გალავანს ჰქონდა ისეთი ადგილები, უჯრებივით
გამოყვანილი, რომ მოვინდომე იქ გადამემალა, მაგრამ ზე-
ვით ძეგლისაკენ რომ ავიხედე, მოაჯირიდან თავზე ვიღაც
დამყურებდა, მე ტანში გავსწორდი; ის „ზედამხედველი“
მოშორდა მოაჯირს, მაშინ ისევ მოვინდომე გადამალვა, მაგ-
რამ ზევიდან ახლა ვიღაც სხვა გამოჩნდა. არ იქნა და არა,
ვერ მოუხერხე გადამალვა. ჰო, რა გავწვალდი, სულ თავბე-
დი ვიწყევლე, მაგრამ ბოლოს გამახსენდა და საჩქაროდ გავ-
წიე კბილის ექიმ თეიმურაზ ხორავასთან. მშვენიერი კაცი
იყო, დიდი ინტელიგენტი. რომ მივედი პაციენტები ჰყავდა,
მაგრამ მე სიამოვნებით შემეგება. იმასაც ცოდნოდა სათვის-
ტომოს დატუსაღების ამბავი და გაუხარდა, რომ მე გადარ-
ჩენილი ვიყავი. პაციენტები რომ გაისტუმრა, მე გაუზიარე

ჩემი გაჭირვების ამბავი, ბევრი იცინა, შემდეგ მიმიყვანა გერმეტიულ ფეჩთან და მითხრა მომეც შენი ავლადიდებაო და ჩემს ქალალდებს შიგ ღუმელში შეუძახა და, რასაკვირველია, მეც თავისუფლად ამოვისუნთქე.

ამის შემდეგ მთელი ერთი კვირა არ გავკარებივარ ჩემს ოთახს, შემთხვევით შემხვდა და წამიყვანა ჩემმა კარგმა ნაცნობმა ივლიანე ქავთარაძემ, რომელიც თურმე მოსკოვს დამზღვევ საზოგადოების საქმეებზე იყო ჩამოსული, იმავე დროს იყო დიდი პურ-მარილის კაცი, მოჭეიფე, კარტის მოთამაშე და ამეებში ატარებდა დროს. მეც არ გამიშვა, მითხრა: მეც ამ დღეებში მივდივარ საქართველოში და ერთად წავიდეთო, შენ ეხლა ფული არ გექნება, ტელეგრამა დაუკრათ შენს სიმამრს და სამგზავრო ფულს გამოგიგზავნისო. მეც ასე მოვიქეცი.

მოსკოვში კიდევ გავეცანი ერთ რუსის ოჯახს, ვინმე სობოლევს. ძალიან დამიახლოვდა და ხშირად მივყავდი თავის ოჯახში, მასთან საღამოობით ხშირად იკრიბებოდა ათი-თხუთმეტი ქალი და კაცი. ზოგი ინჟინერი, ზოგი ექიმი და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. მე არ მერიდებოდნენ და როგორც გამოვარკვიე ესერები იყვნენ. არალეგალური წრე ჰქონდათ და მეცადინეობდნენ. თვითონ სობოლევი ძალიან განვითარებული კაცი იყო და მისი საუბარი ლექციებს უდრიდა. მე კი ყველაფერს მასმენინებდნენ, მაგრამ არაფერს არ მავალებდნენ. ერთი რამ კი ჩამრჩა გუნებაში, როდესაც ჩამოვარდა ლაპარაკი გოლილეიზე და თქვეს დედამიწა მრგვალიაო, ერთი ახალგაზრდა წამოდგა და დაგვიმტკიცა, რომ ახლა მიწა მრგვალი კი აღარ არის, არამედ „ტეტრარდს“ წარმოადგენსო, ე. ი. თითქო ოთხკუთხოვან, გვერდებში ჩაკრებილ ფიგურასო. ამან ყველა გააკვირვა და მე კი ჩამრჩა გულში.

საქართველოში ქავთარაძე ვეღარ წამოვიდა, მე შინიდან მომივიდა ცოტა ფული და საქართველოსაკენ გამოვემგზავრე. ჩემს მეუღლეს შევატყობინე, რომ ზესტაფონში ამა და ამ დღეს ვიქნები მეთქი, მეუღლე დამხვდა ზესტაფონში, მაგრამ მითხრა: ქუთაისს უნდა წახვიდე მამაჩემთან და მე ხვალ ჩამოვალო. მეც ვიყიდე ქუთაისის ბილეთი და რიონის სადგურზე რომ ჩამოვედი, იქ დამხვდა მთელი კამპანია ჩვენი

მოქეიფე თავად-აზნაურებისა. ნაღვინევი იყვნენ, ხიმამრთან არ გამიშვეს. ჩემი ბარგი-ბარხანა კოკინია დგებუაძემ წაიღო თავის სახლში, მე კი აქ შემატოვა მოქეიფეებს, შეიპირა რომელ რესტორანშიდაც ვიქნებოდით. მეც ამ პირველ დღიდან შევუდექი ქუთაისის სავარდო და სამაისო „მოღვაწეობას“, მაგრამ სანამ ამეების აღწერას შევუდგებოდე, მანამდე უნდა მოვიხსენიო ის მცირე, მაგრამ მაინც „ბაგაჟი“, რითაც მოსკოვის თეატრალურმა ხელოვნებამ დამტვირთა და რაც მე საქართველოში წამოვიღე.

ცხადია, რომ მოსკოვში, გარდა დიპლომის აღებისა, მე პირადად უფრო თეატრებს მივეტანე, შედარებით „გამოცდილი“ აქტიორიც ვიყავი, თეატრი საერთოდ დიდად მიყვარდა და მოვინდომე იქაური წარმოდგენების გაცნობა. განსაკუთრებით სამხატვრო თეატრისა, ის მაშინ (1903 წ.) ახალი დაარსებული იყო, მაგრამ მაინც დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, თუმცა მე სხვა თეატრებშიდაც დავიწყე სიარული: მცირე თეატრში ვნახე მეტად საყურადღებო წარმოდგენებიც და გავეცანი ჩვენ სასახელო თანამემამულეს ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინს. მან როგორღაც თითქო დამიახლოვა. ის ხომ მაშინ მოსკოვში თავმჯდომარე იყო ქართული ჭაზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ყოველ 14 იანვარს მისი მეთაურობით (ახლა სვეტებიანი დარბაზი) მაშინდელ თავადაზნაურთა კლუბში იმართებოდა ქართული საღამოები. ამ საღამოებში მონაწილეობას ღებულობდნენ მოსკოვის საუკეთესო არტისტული ძალები უსასყიდლოდ, მხოლოდ სტუდენტობას ევალებოდა, მათ ხლებოდნენ და ცალ-ცალკე სათითაოდ ეკიპაჟით მოეყვანათ საღამოზე, მე მაშინ თან მქონდა წაღებული და ჩოხა-ახალუხს ვიცვამდი. ხშირად მე და ზემოხსენებული ივლიანე ჭავთარაძე (ისიც ჩერკესკით) ტვერის ბულვარზე გავისეირნებდით ხოლმე. მოსეირნეები ღიმილით და ხალისით შემოგვცქეროდნენ.

არ ვიყავით ცუდი სანახავები.

მახსოვს, ერთხელ, ერთმა გენერალმა ჩამოგვიარა ქალებთან ერთად, ცოტა ხანს შედგა, შემოგვაჩერდა და ქალებს ხმამაღლა გადაულაპარაკა „Хорошие морды“, ამაზე ჩვენც გაგვეცინა და იმათაც.

და აი როდესაც მოახლოვდა ქართული საღამოს დღე, იუ-

ჟინმა დაგვიბარა ქართული სათვისტომოს ზოგიერთი წევრი და ყველას დაგვავალა, თუ ვის რა გაგვეკეთებინა. მე შითხრა: „თქვენ, კნიაზ შალვა, ჩაიცვით თქვენი ჩერკესკა, ეახელით არტისტ ქალს მიტკევიჩს და სალამოს რვა საათისათვის მოგვიყვანეთო“. მეც ძალიან გამეხარდა, რადგანაც მიტკევიჩის ქალი იმდენად თავის არტისტობით არა, რამდენადაც თავის სილამაზით იყო განთქმული. ვეახელდი, ცოტახანი დამაცდევინა, რომ მორთულიყო. შემდეგ ჩავჯექით კარეტაში და გამოვსწიეთ საკრებულოსკენ. კარეტაში მხოლოდ ჩვენ ორნი ვართ: ეს იშვიათი სილამაზის ქალი, საუცხოოთ მორთული და საუცხოვო სურნელება მოფრქვეული და მე, ქართველი ახალგაზრდა რაინდი, მაგრამ უბედურება! ამ რაინდმა არ იცის თუ რითი გაართოს ეს წარმტაცი ბანოვანი. დიდხანს ვართ ჩუმად, მხოლოდ ისევ მან გამოიწვია სალაპარაკოდ:

— თქვენ ქუთაისიდან ხართ?

— დიახ.

— მე ვყოფილვარ ქუთაისში, გასტროლებზე და არაფერს არ დამავიწყდება იქაური დროსტარება და სიამოვნება. როგორ არის კნიაზი ბონდო?

აქ გამახსენდა თუ როგორ დატრიალებდნენ თავს ამ მიტკევიჩის ქალს ქუთაისის მოქეიფე თავადაზნაურები, განსაკუთრებით ბონდო მიქელაძე და საშა ერისთავი...

ვიცი რომ მომეცა შემთხვევა, მეც გამებია ფლირტი ამ კარეტაში, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ. თითქოს დამბლა დამეცა. უცხო ქალებთან, იხიც ლამაზებთან, ზოგჯერ მჭირდა ასეთი საჭირველი, უკან დახევა. საერთოდ ლამაზ ქალებთან ჩემ დამოკიდებულების წესებზე სადღაც ამ ნაწერში მაქვს ნათქვამი... ამასობაში ასე მდუმარეთ მიგვიყვანა ეკიპაჟმა საკრებულოში. იქ მიტკევიჩის ქალი ჩავაბარე მორიგ დიასახლისებს, იმათაც მაშინვე მიუჩინეს მას შამპანიურის კიოსკი. მის შემდეგ, არც იმ საღამოს მიტკევიჩის ქალს არ გავკარებივარ და არც სხვაგან არასოდეს არ მინახავს.

საღამო კი დიდებული გამოვიდა. მოსკოვის საუკეთესო არტისტები თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ თავიანთი ხელოვნებით და დიდ ოვაციებს იწვევდნენ. აგრეთვე მეტად კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქართველ სტუდენტთა ხო-

რომ, რომელიც მოამზადა მაშინ მოსკოვში მცხოვრებმა, შემდეგში ცნობილმა კომპოზიტორმა, დიმიტრი არაყიშვილმა.

ბოლოს გამოვიდა თვითონ იუჟინი და წაიკითხა რუსული თარგმანი ბარათაშვილის „მერანისა“. ის ხომ დიდი დეკლამატორიც იყო.

საერთოდ იუჟინი მაშინ უკვე დიდად მიჩნეული არტისტი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე იყო. დიდათ მომზადებული, დიდი გონების პატრონი. მუდამ იყო სასურველი წევრი მოსკოვის მოწინავე საზოგადოებისა, იმავე დროს იყო საქართველოს დიდი პატრიოტი, რასაც ის სიტყვებით კი არა, მოქმედებითაც ამჟღავნებდა. არა ერთი ქართველი სტუდენტი და ინტელიგენტი მოუწყვია მას სასწავლებელში თუ სამსახურში.

სწორედ იმ წელიწადს დაბეჭდა ჟურნალში მისი განთქმული პიესა „ღალატი“. დადგა კიდეც თავის რეჟისორობით მცირე თეატრის სცენაზე, მე კი იმდენად გამაბედნიერა, რომ „ღალატის“ პრემიერაზე სრულიად უსასყიდლოდ პარტერის საკარძლის ბილეთი გამომიგზავნა.

საუცხოვო წარმოდგენა იყო. პირველად ვნახე დიდებული ერმოლოვა საპასუხისმგებლო როლში. ის ასრულებდა ზეინაბს და რამდენი გულწრფელობა, რამდენი პათოსიანი ნიუანსი ჰქონდა მოხმარებული ამ დიდად რთული როლის განსასახიერებლად, დიდებული იყო აგრეთვე განთქმული ლენსკი ანანიას როლში. ნამდვილი ქართველი ჰკვიანი გლეხი იდგა თქვენ თვალწინ. სხვებზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რთარც მეგის როლს თვითონ იუჟინი არ ასრულებდა მაშინ, არამედ საერთოდ საუცხოვო მსახიობი მცირე თეატრისა რიბაკოვი, და მე ვერ დამაკმაყოფილა, რადგან ის უფრო მაგონებდა მაზეპას და არა ქართველ ფეოდალს. მაინცდამაინც მე ამ საღამოს უდიდესი ესთეტური პატრიოტული სიტკბოება ვიგრძენი ერმოლოვასა და ლენსკის საოცარი სცენიური ოსტატობით.

ამის შემდეგ იუჟინს ჩემთან ურთიერთობა არ შეუწყვეტია. მოსკოვში ყოველ ჩემს ჩასვლისას უთუოდ უნდა მენახა და ისიც უთუოდ მპატიჟებდა თავის სახლში, ხშირად სადილადაც. მისი თბილისში ჩამოსვლის დროს ხომ ვასო აბაშიძეს და მე თავიდან არ გვიშორებდა. ისე ეხლაც მაქვს

შენახული მისი საუცხოო წერილები ჩემდამი და მათ შორის სანიმუშო შეფასება ჩემი პიესის „გუშინდელნი“-სა, რომლის წარმოდგენა მას ბათუმში ენახა და აგრეთვე ჩემთვის დიდად სააშაყო მოგმართვა ჩემს საიუბილეო საღამოზე მოსკოვში. მე აგრეთვე წილად მხვდა უკანასკნელად გამოვთხოვებოდი მის ძვირფას ნეშტს, როდესაც მას თბილისზე გავლით მოსკოვს მიასვენებდნენ, თბილისის სადგურზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი მის პატივსაცემად და მე მერგო გამოსათხოვარი სიტყვის თქმა და აგრეთვე გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ სამგლოვიარო წერილის დაწერა.

მოსკოვში კი, რასაკვირველია, სხვა თეატრების გარდა მე უფრო ხშირად ვესწრებოდი სამხატვრო თეატრის სპექტაკლებს. დიდათ მოვიხიბლე ამ თეატრის რეჟისორული ხელოვნებით, საერთო საკვირველი ანსამბლით, მათ ჰყავდათ წამყვანი არტისტები, რომლებიც შემდეგში დიდად ცნობილნი შეიქმნენ, როგორც მაგალითად, კაჩალოვი, მოსკვინი, კნიპერ-ჩეხოვა, მაგრამ სხვა არტისტებიც, სრულიად უბრალო როლების შემსრულებლებიც, თითქოს დიდის უბრალოებით, მაგრამ მაღალ ხარისხოვან ოსტატობით ასრულებდნენ დაკისრებულ სათევარებს. მართალია მე მათთან არ შევსულვარ სამეცადინოდ ისე როგორც შემდეგში ჩვენი ცნობილი რეჟისორები აკაკი ფალავა და აწ განსვენებული შალიკაშვილი და წუწუნავა, მაგრამ ისე ხშირად ვესწრებოდი მათ წარმოდგენებს, რომ ჩემის ფიქრით ბევრი რამ გაუგე მათ სისტემას და სცენურ ოსტატობას, ასე რომ, როდესაც საქართველოში დავბრუნდი და კვლავ შევუდექი ქართულ სცენაზე მუშაობას, შეძლებისდაგვარად ვცდილობდი „მათი ხაზით“ მემუშავნა, განსაკუთრებით ჩემი რეჟისორობის დროს და მათი უნარით წამეყვანა სპექტაკლები; ასე რომ, მოსკოვიდან საერთოდ ხელცარიელი არ დავბრუნებულვარ. მართალია, არც გიმნაზიის ატესტატი მიმიღია, არც უნივერსიტეტში შევსულვარ დიპლომის ასაღებად, მაგრამ მოსკოვმა მაინც ბევრი რამ შემძინა როგორც საზოგადოებრივად, ისე ჩემ სპეციალობაშიაც. აქ თვითონ სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელობა, განსვენებულ ვახტანგს ძალიან დიდ გეგმებს უსახავდა; არსანიშნავია სტანისლავსკის მეტად ზრდილობიანი მოპყრობა და ხანგრძლივი საუბარი, განსაკუთრებით ქართულ თეატრზე. რაც

შეეხება ნემიროვიჩ-დანჩენკოს, იმასთან უფრო დავახლოვდი მოსკოვში მეორედ ჩასვლისას. მაშინ როდესაც ვახტანგ მჭედლიშვილის მიერ დაარსებულ ქართულ დრამატიულ სტუდიაში მიმიწვიეს ერთ-ერთ ლექტორად და მჭედლიშვილის უეცარი გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ მე მომანდო ამ სტუდიის ხელმძღვანელობა. განსვენებულ ვახტანგს ძალიან დიდი გეგმები ჰქონდა და საბოლოოდ უნდოდა, რომ სტუდიაში ოთხი წლის მუშაობის შემდეგ, თავისი საკუთარი თეატრი შეექმნა საქართველოში. ამისთვის ჩავიდა წინასწარ თბილისში და გასინჯვის შემდეგ იქ შეაგროვა მომავალ სტუდიაში მომუშავე ახალგაზრდობა.

ვახტანგ მჭედლიშვილი, როგორც მკითხველს მოეხსენება, იყო მორიგ რეჟისორად სამხატვრო თეატრში, სადაც ის იყო მარჯვენა ხელი თვითონ სტანისლავსკისა. სხვათა შორის მორის მეტერლინგის პიესა „ლურჯი ფრინველი“ სტანისლავსკის გეგმით ვახტანგის დადგმული იყო და ამ წარმოდგენას დიდი მოწონება ჰქონდა მოსკოვში.

სტუდიაში მან საქართველოდან მოსკოვში ათიოდე ახალგაზრდა ქართველი ჩაიყვანა. სხვადასხვა საგნების შესასწავლად მან მოიწვია უფრო სამხატვრო თეატრიდან სპეციალისტი ლექტორები, მათ შორის იყვნენ ბარათოვი, ეხლაც ცნობილი რეჟისორი მოსკოვში, პედაგოგი დემიდოვი, ავრეთვე პედაგოგი-რეჟისორი კოტლუბაის ქალი და კიდევ მეტყველების, ფიზკულტურის, ფარიკაობის და ცეკვის მასწავლებლები. ყველა ესენი მართლა კარგად ყავდა შერჩეული განსვენებულს და მათი ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობა უსათუოდ დიდად გამოსადეგი და ნაყოფერი იყო, მაგრამ საცოდავს არ დასცალდა, რომ თავისი დიდი საქმე ბოლომდე მიეყვანა. თურმე გულით იყო ავადმყოფი და ერთ საღამოს თავის კაბინეტში მუშაობის დროს სული დალია. ამის შემდეგ ამ მშვენიერი საქმის გაძღოლა მე დამაწვა. მეც განსვენებულის ნაკვალევს მივყევი და მისი გეგმით ვმუშაობდი, მაგრამ უნდა აქვე ითქვას, რომ ჯერ ვახტანგის სიცოცხლეშივე ბევრი მტრები გაუჩნდა ამ სტუდიას, განსაკუთრებით საქაართველოდან. — ვინ არის მჭედლიშვილი, რა გამოჩენილი ხელოვანი ის არის, ერთი მორიგი რეჟისორია სამხატვრო თეატრისა, ან რა ნივთიერი სახსრებით წაუძღვება საქმესაო.

დაბეზღება დაბეზღებაზე მიდიოდა საქართველოს მთავრობაში, მხოლოდ როდესაც მჭედლიშვილი გარდაიცვალა, მაშინ მე მომდგნენ — ვინ არის ვიღაც ძველი თავადი, რა ესმის თეატრალურ ხელოვნებისა, ის ხომ სცენისმოყვარეობდა ერთ დროს და ამისთანა დიდი საქმის ჩაბარება უშართებულოაო. ის კი არა ერთხელ ერთ დიდ კაცს მიართვეს ქაღალდი, ვიღაც დადიანი გამოგზავნეს აქ ქართულ სტუდიის ხელმძღვანელად და ის ახალგაზრდობას უქადაგებს, რომ საქართველომ თავის საკუთარი მეფე უნდა იყოლიოსო. მე გავვოცდი, როდესაც ეს ქაღალდი მე გადმომიგზავნეს. მეც შაშინვე შევეცადე, რომ მოსკოვში ჩვენს საქართველოს წარმომადგენლობას გამოეყო სპეციალური კომისია სტუდიის საქმიანობის შესასწავლად. კომისია შედგა, სასაცილოდაც არ ეყოთ დაბეზღებაში მოხსენებული ამბები, მაგრამ ამ დროს მოსკოვში იყო საქართველოს განათლების კომისრის მოადგილე მარიამ ორახელაშვილი და იმან თქვა ამ საქმეს ჩვენ საქართველოში გადავწყვიტავთო. საქართველოში კი სტუდიის მტერ-მოყვარეებმა იმდენი მოახერხეს, რომ მთავრობას გამოატანია გადაწყვეტილება სტუდიის დახურვისა.

ავრეც მოხდა, სტუდიელები დარჩნენ უპატრონოდ, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ დაიბნენ და მაინც მოსკოვში განაგრძეს მეცადინეობა სხვადასხვა პედაგოგებთან; ასე რომ, ამ სტუდიიდან არიან გამოსულნი უკვე ცნობილი თეატრალური მოღვაწეები: ბებე თუმანიშვილი, რომელიც ამჟამად მოსკოვის პუშკინის სახ. თეატრის რეჟისორია, და საქართველოში მომუშავე რეჟისორები: ნიკოლოზ გოძიაშვილი, გიორგი ჟურული, დავით სულიაშვილი და შანსვენებული ტიციან შარაშიძე, რომელმაც თავი გამოიჩინა მოსკოვის ოპერის თეატრის რეჟისორობაში. და აგრეთვე გიორგი ჯავაშვილი, რომელიც მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა თეატრებში.

აქვე არის მოხსენებული, რომ ჩვენმა მთავრობამ ერთ დროს დააარსა მოსკოვში საქართველოს კულტურის სახლი, რომლის გამგეთაც მე ვიყავი მიწვეული, მაგრამ არც ამ სახლს დასცალდა ფრთების გაშლა, თუმცა ის-ის იყო პოპულობდა მოსკოვში საკმაო პოპულარობას, მაგრამ სტუდიის დახურვასთან ერთად ეს სახლიც დახურეს.

ასე რომ, მოსკოვში ჩემი მეორეჯერ ყოფნის შემდეგ დავრჩი ხელმოცარული და გულდაწყვეტილი, მაგრამ სწორედ ამ დროს თბილისიდან მომივიდა ტელეგრამა, რომ მე საქართველოს მთავრობისაგან დანიშნული ვარ განათლების კომისარიატთან არსებულ ხელოვნების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ. თავმჯდომარედ კი იყო მეტად უზადო პარტიული მოღვაწე განსვენებული სეონ თოხაძე და მეც შევუდექი მის სამსახურს.

ამ განყოფილებაში მე წინათაც ვმსახურობდი და მებარა რესპუბლიკის თეატრების ხელმძღვანელობა, ეს იყო მაშინ, როდესაც ჩვენში პირველად ჩამოყალიბდა საბჭოთა ხელისუფლება და განრიგდა მაშინდელი კომისარიატების სექტორები და განყოფილებები, მაგრამ ამაზე სხვა ალაგას მექნება ლაპარაკი, მხოლოდ, როდესაც მეორეჯერ მიმიწვიეს ამ განყოფილებაში მე, უკვე როგორც თავმჯდომარის მოადგილე, განვაგებდი ამ განყოფილების ოთხივე სექტორს: ლიტერატურისას, ხელოვნებისას, სახვითი ხელოვნებისა და თეატრებისას. მეგობრები დამცინოდნენ კიდეც შალვა ენციკლოპედისტი გაგვიხდაო; მაგრამ ლიტერატურა და თეატრები კიდევ ხო, მხოლოდ მხატვრობას, ფერწერას და მუსიკას ვნახოთ, როგორ მოუვლისო. საყვარელი კოტე ფოცხვერაშვილი ხშირად მეკითხებოდა: „შალვა, აბა თუ იცი მუსიკაში კონტრაპუნქტი რას ნიშნავსო“, მაგრამ მე ყველა სექტორებში მრჩევლებს მყავდა მოჩენილი: ლიტერატურაში — საშა აბაშელი, სახვით ხელოვნებაში მხატვარი ჭრიკევსკი, მუსიკაში — მელიტონ ბალანჩივაძე და თეატრების საკითხებში აკაკი ფალავა და სანდრო ახმეტელი.

ძნელი დრო იყო. ზოგიერთი დამსახურებული პარტიულიც კი ვერ ერკვეოდა ხელოვნების საკითხებში და ერთხელ ასეთ კურიოზსაც კი წავაწყდი: რომელიღაც მოსკოვიდან ჩამოსული ვიოლინოს დამკვრელი კონცერტს მართავდა, ასეთ საჯარო გამოსვლებზე ნებართვა მე უნდა მიმეცა, როდესაც აფიშა მომიტანეს ხელისმოსაწერად, ჩემს კაბინეტში იჯდა ერთი ხანდაზმული ბოლშევიკი და როდესაც გაიგო რაშიაც იყო საქმე, მითხრა: „შალვა, რას ჩადიხარ, რის ნებართვას აძლევ, ვიოლენჩელო ეს ხომ ბურჟუაზიული საკრავიაო“. იყო ამისთანა სხვა კურიოზებიც, მაგრამ მე ალარ

გამოუდგები, აქ სამსახურის დროს არავითარი საყვედური არ მომხვედრია. იმავ დროს მე მომანდვეს სახალხო თეატრის რეჟისორობა, მეც ეს უფრო მიტაცებდა, ვიდრე ადმინისტრაციული გამგებლობა და მთელი სალამოობით ვიყავ რეპეტიციებზე და წარმოდგენებზე; აქ უნდა დავიტრაბახო, რომ პრესა და საზოგადოება ძალიან მხარს მიჭერდა ჩემ რეჟისორულ მუშაობაში. აქვე უნდა მოვიხსენიო მეტად ნიჭიერი და თეატრალურად კარგად მომზადებული ჩემი თანაშემწე, ან როგორც მაშინ ეძახდნენ სცენარიუსი განსვენებული ბადრიძე.

ამ მუშაობაში ისე გავთამამდი, რომ იმ დროს მოსკოვიდან გასტროლებზე ჩამოსული იუჟინი წავიყვანე ერთ-ერთ ჩემ წარმოდგენაზე. სპექტაკლი დიდად მოეწონა და მიქო ჩემი რეჟისორული მუშაობა, განსაკუთრებით მასიური სალიანგო სცენებში, თან ანტრაქტის დროს მითხრა: „რამდენი ხანია მცირე თეატრში ვცდილობთ და ასეთი მასიური ანსამბლი არ გამოგვიდისო“. შემდეგ ავიდა ფარდა ახდილ სცენაზე და ხალხს წაუკითხა თითქმის ლექცია საერთოდ თეატრების მნიშვნელობაზე და, ჩვენც, მთელი სახალხო თეატრის შემადგენლობა და მისი ხელმძღვანელობა ქებით მოგვიხსენია.

რამდენიმე წელიწადი ვმსახურობდი ორივეგან, შემდეგ მოაღწია ჩემმა პირველმა იუბილემ — ოცდახუთი წლისთავმა ჩემი მუშაობისა და მეც საიუბილეო სალამოზე სამადლობელ სიტყვაში გამოვთქვი, რომ ამიერიდან ვტოვებ მეთქი სასცენო ასპარეზზე მუშაობას. და მართლაც ამის შემდეგ, რომელიმე შემთხვევით წარმოდგენაში თუ არა, არც რეჟისორობა გამიწევია და არც სცენაზე გამოვსულვარ როგორც მსახიობი. თუმცა თეატრს საბოლოოდ არ გავყრივარ, წინათ ვწერდი პიესებს, ახლა კი სამუდამოდ გადავბარგდი დრამატურგიაში. აქ მინდა მოვიხსენიო რომ ნაყოფიერი გამოვდექი, თითქმის ორმოცამდე პიესა მაქვს დაწერილი და მიხარია, რომ ზოგიერთი მათგანი ახლაც იდგმება ჩვენს თეატრებში. მანამდე კი სად, საქართველოს რომელ თეატრებში არ მიმუშავნია! ყველა ქალაქებში, სადაც კი ხანგრძლივი პროფესიული სეზონი ეწყობოდა და ზოგანაც უფრო სცენისმოყვარეებიდან იყო შემდგარი დასი. საერთოდ იმ დროს პროფესიული მსახიობებიც სხვა დაწესებულებებშიაც მსახიო-

რობდნენ, თვითონ თბილისშიაც კი, — მაგალითად იმეთი თვალსაჩინო მსახიობები, როგორებიც იყვნენ კოტე შათირიშვილი, გიორგი კანდელაკი და სხვა. მსახიობის ჯამაგირი არ ჰყოფნიდა ადამიანს. შემოსავალ ხარჯებს ვერ ჰფარავდა, ხანდახან ილია ჭავჭავაძის მეოხებით ბანკი თუ გაიღებდა რაიმე სუფსიდიას ან დრამატიული საზოგადოება გამონახავდა რაიმე სახსარს ხარჯების დასაფარავად. იმის გამო კი რომ მსახიობებს უხდებოდათ სხვაგან სამსახური, რეპეტიციები მხოლოდ საღამოობით წარმოებდა, რითაც, რასაკვირველია, დასის მეცადინეობის დრო შალზე შეკვეცილი იყო. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა ბაქოში, სადაც ორი-სამი პროფესიონალი მსახიობი იყო მიწვეული, დანარჩენები სცენისმოყვარეთა კადრებით იყო შევსებული. მხოლოდ უხდა ითქვას, რომ ეს სცენისმოყვარეები შემკობილნი იყვნენ სწორუპოვარი სასცენო ნიჭით, მათგან ამჟამად უმეტესობა თითქმის გაცრდაცვლილია, გარდა პატივცემულ არტემ ახობაძისა, რომელიც იყო საერთოდ მომზადებული კაცი და რეჟისორების როლებში მეტად დასაფასებელი იყო. ისე კი ბაქოს შემადგენლობიდან ირჩეოდნენ: ქალებში — ნადირაძე, წულუკიძე (დედა ჩვენი მსახიობ თამარ წულუკიძისა); მამაკაცთაგან — ვ. საყვარელიძე, გიგა მატარაძე, პავლიაშვილი და ანტონ ჭუმბურიძე; ასე რომ, ბაქოს წარმოდგენები, ხშირად, თბილისის ქართულ წარმოდგენებს არ ჩამოუვარდებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოწვეული რეჟისორები იდგათ სათავეში — შალიკაშვილი, წუწუნავა და ამ სტრიქონების დამწერიც. რეპერტუარიც ძალიან ხელგაშლილად იყო წარმოებული. მაგ. აქ დაიდგა გედევანიშვილის ფეოდალ ხუციშვილი „სინათლე“, რასაც დიდი ხარჯი და მოზ დება სჭირდებოდა და აგრეთვე გოგოლის „რევიზორი“, ჭიაურელის „ივკდითი“ და სხვ.

ბაქოს სეზონებს აწარმოებდა ადგილობრივი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ისიც უნდა ვთქვათ სეზონის წრფელ მხარეს. იმ დროს ბაქოში დიდძალი ქართველობა იყო თავმოყრილი, იყვნენ შეძლებულნიც და თავის წვლილს არ იშურებდნენ საზოგადო საქმისათვის, მაგრამ ეთავარი ის არის, რომ თეატრის ხელმძღვანელთა სათავეში იდგა ერთი დიდი ქართველი ინტელიგენტი — ძველი თაობის

შვილი — მამა ჩვენი ცნობილი კომპოზიტორის ითარ თაქთაქიშვილისა, მის შემდეგ, აგრეთვე ნათელი პიროვნება ქართულ ჟურნალისტიკაში, კარგად ცნობილი ილია აღლაძე. მხოლოდ მუდმივი ლალა იყო ქართული თეატრის თავდადებული მუშაკი დათიკო თედეიშვილი. პროფესიონალთაგან კი ჩემსობას ბაქოს დასში მონაწილეობდნენ მსახიობები: კუთევან ანდრონიკაშვილი, ცაცა ამირეჯიბი, ელო ანდრონიკაშვილი და დავით აწყურელი. ბაქოს თეატრმა იარსება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშიაც, შემდეგ კი — ქართველობის უდიდესი ნაწილი დაუბრუნდა თავის საშობლოს და სპეციალური ქართული დასის ყოლა ბაქოში არ წარმოადგენდა დიდ საჭიროებას.

ახლა სულ სხვაა. საქართველოში მგონი ოცდაჩვიდმეტი პროფესიონალური თეატრია და ყველგან მეტნაკლებ წარმატებით სწარმოებს აქტიური მუშაობა. ბევრმა მათგანმა უკვე იჩინა თავი და ჩვენი თეატრალური ხელოვნება ამაყობს მათი სახელით.

მხოლოდ გული არ მითმენს აქვე არა ვთქვა, რომ მკაფიო მეტყველების საქმე ქართულ თეატრში დღემდე კიდევ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე არამც თუ პერიფერიებში, არამედ თვითონ ჩვენს ცენტრალურ თეატრებშიდაც; მაგ. როდესაც უნდათ, რომ ღრმა სულიერი განცდა მოქმედი პირისა გადასცენ, ამ დროს ხმას უდაბლებენ და თითქმის ჩურჩულში გადადიან, ისეთ ჩურჩულში, რომელიც აუდიტორიას არ ესმის და მაყურებელი ხედავს მხოლოდ აქტიორის ტუჩების მოძრაობას. აქტიორი კი დიდად კმაყოფილია, თვალები უბრწყინავს, სახე უნათის, რადგან ჰგონია, რომ დიდის ხელოვნებით გადმოსცა მეტად მახვილი დრამატიული ნიუანსი; როგორც ვთქვი ეს დიდ თეატრშიდაც სჭირთ, უფრო ახალგაზრდობიდან გამოსულ მსახიობებს. ეს ვიცი საიდან მოდის: ზოგს უნახავს და ზოგს გაუგონია, რომ მოსკოვის სამხატვრო თეატრში ძალიან უბრალო, თითქმის სასაუბრო კილოთი, ყოველგვარ პათოსის გარეშე, გადმოსცემენ თავიანთ სათქმელს და ზოგიერთ სასცენო ნიუანსების გადმოცემის დროს ხმას კიდევ უფრო უმდაბლებენ და თითქმის ჩურჩულებენ, მაგრამ სცენაზე ჩურჩულიც არის და ჩურჩულიც! სცენაზე ხომ თითქმის ყველაფერი პირობითია, მას აქვს თა-

ვიწრო კანონები და მათი განმარტივება ვულგარობამდე მიგვიყვანს ხოლმე. სცენაზე ჩურჩული კი ისეთი უნდა იყოს, რომ ქანდარაზედაც გარკვევით უნდა მოისმინოს მაყურებელმა. დიდი თეატრის მსახიობებს ბაძავენ პერიფერიებშიდაც, რაიც იწვევს მაყურებლის უკმაყოფილებას.

მეტყველებაში აქვთ კიდევ ერთი ნაკლი ჩვენს ახალგაზრდა მსახიობებს, მაგ. „ლ“ ს მეგრული შერბილებით გამოთქმამენ ხოლმე, თუნდაც გამოსათქმელი მეგრული არც კი იყოს, მაგ. „ყველაფერი“. ასეთი წარმოთქმა დიდად ეჩოთირება ქართულ ყურს.

ამეების შესახებ არაფერს არ ამბობს ხოლმე ჩვენი თეატრალური კრიტიკა და რეცენზია, თორემ თავის დროზე რომ შეენიშნა ეს ნაკლოვანება თვით დიდ მსახიობთათვისაც, მაშინ ეს უხიაგი მოვლენა ამჟამად აღმოფხვრილი იქნებოდა.

თეატრში მუშაობის დროს წილად მხვდა, ჩემის ხელმძღვანელობით პირველად გამოსულიყვნენ დიდ სცენაზე აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, განსვენებული მიშა გელოვანი და ელო ანდრონიკაშვილი, ყველა ესენი გარდა ელო ანდრონიკაშვილისა, მთელმა კავშირმაც კი იცის, თუ რა დიდი მსახიობებიც არიან და რა დიდი ადგილი უჭირავთ საერთოდ საბჭოთა კავშირის სასცენო ხელოვნებაში. განსვენებული მიშა გელოვანი იყო მეტად ნიჭიერი მსახიობი დრამატიულ თეატრისაც, მაგრამ მან ძალიან მალე გადაინაცვლა კინემატოგრაფიაში და ყველას გვახსოვს თუ რა დიდი სახელიც მოიხვეჭა. მისი გარდაცვალების შემდეგ ჩვენ, ქართველ მსახიობებს, და თეატრალურ საზოგადოებას გვინდოდა მისი ნეშთი საქართველოში გადმოგვეტანა, მაგრამ მოსკოვის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ ეს არ ინება და დიდის გამოჩინებით დაასაფლავა კიდეც მოსკოვში ნემიროვიჩ-დანჩენკოს და სტანისლავსკის გვერდით. დამარხვაზე წარმოითქვა მრავალი საუცხოო სიტყვა მოსკოველ თეატრალურ მოღვაწეთაგან და აგრეთვე საქართველოდან ჩასულ დელეგაციის წარმომადგენლებისაგან — ვერიკო ანჯაფარიძის და ვასაძეს მიერ.

რაც შეეხება ელო ანდრონიკაშვილს — ეს იყო ცოცხალი ნიჭიხს მსახიობი ქალი. ფრიად მომზადებული ადამიანი, განათლებული, საფრანგეთში, სორბონაში განსწავლილი და

დიდი ქართველი პატრიოტი. ის სანამდე არ დაავადდებოდა თითქმის მთელი ოცდაათი წელი ემსახურებოდა ქართულ თეატრს. ის სხვადასხვა სეზონებში მსახურობდა ქ. თბილისს, ქუთაისს, ბაქოსა და ბათუმში. ის მეტ წილად ახალგაზრდა ქალების როლს ასრულებდა როგორც დრამატიულს, ისე კომიკურს და თავის ნიჭის მეოხებით მუდამ სასცენო ხელოვნების სიმაღლეზე იდგა. მის მიერ შესრულებული როლები მაყურებელს იტაცებდა, იპყრობდა და ხიბლავდა. ამის დამამტკიცებელია ის რეცენზიები, რომელიც იბეჭდებოდა პრესაში და რომლებშიაც აღფრთოვანებით იყო მოხსენებული მისი სასცენო ხელოვნება. მის დასში ყოფნას ამხანაგებში შეჰქონდა დიდი ხალისის და მხიარულების გარდა, როგორიღაც სულიერი სიფაქიზისა და კეთილშობილი ზნეობის ნაკადი. ამხანაგებს დასში დიდათ უყვარდათ. ელო იყო ბუნებით თანაზიარი და კარგი საამხანაგო, მიუხედავად იმისა, რომ იყო პირდაპირი, პირში მთქმელი და არავის ცოტა გადახრილ საქციელსაც კი არ აპატიებდა. იმავე დროს, გარდა სასცენო მოღვაწეობისა, ის ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობასაც. მას აქვს დაწერილი პატარა საბავშვო მოთხრობები, რომლებიც იბეჭდებოდა ჟურნალებში „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“. ამას გარდა, იმას აქვს ნათარგმნი კარგი ძალი პიესები ჩვენი რესპუბლიკის თეატრების შესამდიდრებლად, აგრეთვე მას მიუძღვის დიდი ამაგი ერთ დროს „მოგზაურ“ დასის ჩამოყალიბებაში და ისიც იყო ერთ დროს გაწვეული ნოვოროსისკში ქართველ მუშების მიერ სხვა ამხანაგებთან ერთად საგასტროლოდ.

სამწუხაროა, რომ ელოს თავის სიცოცხლეში არ ეღირსა გარდა მორიგი ბენეფისებისა, მიძღვნოდა საჯარო სამადლობელი საღამოები, თუმცა ხანში რომ შევიდა, დაავადების მიზეზით, ჩამოშორებული იყო სცენას და ამით უნდა აიხსნას გულგრილობა მისი ხსოვნისადმი.

მგონი რამდენიმეჯერ ვთქვი ამ ჩემ ნაწერში, რომ პირადათ მე არტისტული მოგზაურობით, თავის დროზე შემოვლილი მაქვს მეთქი თითქმის მთელი საქართველო და როდესაც ბათუმში ამხანაგებთან ერთად „მოგზაური“ დასი დავაარსე, რუსეთის ზოგიერთ ქალაქშიაც გავმართე ქართული წარმოდგენები. ეს იყო პირველი გასვლა ქართული მთლიანი

დასისა რუსეთში „მოგზაური“ დასი დაარსდა 1913 წელს ბათუმში. დასში ირიცხებოდა თორმეტამდე ადამიანი: ორი ქალი და ათი მამაკაცი. მათ შორის იყვნენ ანდრონიკაშვილი ელო, ბეჟანიშვილი რუზანა, აწ განსვენებულნი ყალაბეგიშვილი სანდრო, ხარაზიშვილი სტიოპა, ხურციძე სამსონ, ურუშაძე ზაქრო და ამჟამად ქუთაისის თეატრში მომუშავე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მურუსიძე ანდრო.

უნდა ითქვას რომ მართლა კარგი ამხანაგობა გვქონდა ჯერ თვითონ ბათუმში იქაურ კარგა მოზრდილ დასში, სადაც მუდმივ არტისტებათ ირიცხებოდნენ მეტად ნიჭიერი არტისტები: მიხეილ გელოვანი, შემდეგში ცნობილი კინომსახიობი და დათიკო მგალობლიშვილი, რომელმაც აგრეთვე გადაინაცვლა მოსკოვის ოპერეტაში და გარდაცვალებამდე მოსკოვის საზოგადოებრიობაში დიდი სახელიც მოიხვეჭა. ამათ გარდა დასში ირიცხებოდნენ ოლია ლეჟავა, რონელი ბაბო, ღოღობერიძე ლიპა. იყვნენ კიდევ ჩვენთან ლადო სარელი, ალიოშა ჯაყელი, კოლია მამულაიშვილი და სხვა. ბათუმშივე საქმე ისე გამოეწყო, რომ ჩვენმა წარმომადგენლებმა ისეთი დიდი ყურადღება მიიქციეს პრესისა და საზოგადოებისა, რომ ჩვენ წარმოდგენებზე დასასწრებლათ გურიიდან, ფოთიდან და ქუთაისიდანაც კი მოდიოდნენ მაყურებლები. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ თითქო არ გვყავდა რჩეულები. არ ვიცოდით უფროს უმცროსი აქტიორის რანგები. დღეს თუ ერთი რომელიმე ჩვენთაგანი ასრულებდა წამყვან და დიდ როლს, ხვალ მეორე პიესაში სრულიათ უბრალო და თითქმის უსიტყვო როლში გამოდიოდა და ე. წ. სტატისტის როლს ასრულებდა. ამისათვის სპექტაკლები გამოგვდიოდა დიდად მწყაზარი, ანსამბლიანი. იმავ დროს ჩვენ თბილისიდან მოგვყავდა გასტროლებზე, თავთავის დროზე, ჩვენი სახელოვანი არტისტები: ფეფიკო მესხი, ნუცა ჩხეიძე, ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია და სხვ. აი ამ ბათუმის დასმა წარმოშვა „მოგზაური“ დასის შემადგენლობა. ჩვენ არ შეგვეძლო რომ ბათუმის მოცულობით დიდი დასი გადაგვერიცხა „მოგზაურში“, რადგანაც ამას დიდი ნივთიერი ღონე სჭირდებოდა. ამიტომაც მხოლოდ თორმეტიოდე კაცისაგან შევადგინეთ „მოგზაური“ და რამდენიმე თვის განმავლობაში ვდგამდით წარ-

მოდგენებს სწვადასწვა დაბა-ქალაქებში, მაგრამ ესეც ისე გაგვიჭირდა, რომ ბოლოს, უსახსრობის გამო, დავიშალენით. მაინცდამაინც ყველა ჩვენი არტისტები მოეწყვნენ სხვადასხვა თეატრებში და განაგრძეს თავიანთი სასარგებლო მუშაობა.

იმავე დროს მე აზრად მომივიდა, რომ თბილისში მოგვეწყო ქართველ არტისტების და საერთოდ ჩვენს თეატრში მომუშავე ადამიანების ყრილობა.

ამისათვის წერილი დავბეჭდე მაშინდელ გაზეთ „ცნობის ფურცელში". ამას სხვა მწერლები და არტისტები გამოეხმაურნენ და იმ ზაფხულს, მგონი 1914—1915 წ. შესდგა კიდეც ეს ყრილობა თბილისში. ყრილობის თავმჯდომარედ ავირჩიეთ ჩვენი დიდებული მწერალი აკაკი. პრეზიდიუმშიდაც აგრეთვე იყო არჩეული ჩვენი საზოგადო მოღვაწეები და თვალსაჩინო არტისტები, ყრილობამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ საქართველოში, რადგანაც ეს იყო პირველი ყრილობა არა თუ რომელიმე ოფიციალურ დაწესებულებებისა, არამედ შეკრება თეატრალური ხელოვნების გარშემო, იყო წაკითხული რამდენიმე მეტად საგულისხმო მოხსენება და აგრეთვე გაიმართა მეტად წესიერი, თითქმის აკადემიური პაექრობა ორატორებისა. სხვა ღონისძიებათა შორის ყრილობამ დაადგინა, რომ შექმნილიყო საქართველოს მსახიობთა პროფესიონალური კავშირი. დიდხანს არ გაუვლია, რომ ეს კავშირიც დაარსდა და ის მუშაობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, მთელ ჩემი სიჭაბუკე შევწირე უფრო თეატრს და ისიც მეტ წილად ამ დარგში ქუთაისში ვმუშაობდი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა თეატრმა გაიწია უნივერსიტეტის მაგივრობა. ჩემი საზოგადო აზროვნებაც აქ, ამ ატმოსფეროში მომწიფდა. ბევრი რამ შემძინა დრამატულმა რეპერტუარმა და სასცენო ოსტატობამ. ცხოვრებას კი კარგათ გამაცნო ადამიანების ერთი მეორესთან დამოკიდებულებამ და ქართული თეატრის ყოველდღიურმა ჭრვარამმა. ბევრი რამ შევიძინე. როგორც ჩვენი კორიფეებისაგან, ისე დასის რიგითი წევრებისაგანაც.

და ვიყავ ისევ და ისევ მოფილოსოფოსო „ტლუ ბიჭი",

ცოტა უფრო „ფეხმოკიდებული“. ჩემი უდიდესი მრწამსი მაინც ის იყო, რომ ხელოვნება იხსნის კაცობრიობას ცხოვრების დუხჭირ მხარეებისაგან და მეც თეატრალურ ხელოვნების ხაზით განვაგრძობდი ხალხის სამსახურს. თუმცა ცხოვრებაში ჩემ მუშაობას ჰქონდა სხვა დარგიც საასპარეზოთ. ეს იყო მწერლობა.

ჩემი მწერლობა

მსახიობობის დროსაც მე მწერლობასაც ვეწეოდი და აქაიქ ვბეჭდავდი კიდეც ჩვენს პერიოდულ ორგანოებში ჩემს ნაწარმოებებს. უფრო ნაყოფიერი მაინცა და მაინც ვიყავ დრამატურგიაში.

ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჩვენი დრამატიული რეპერტუარი საერთოდ ღარიბი იყო და თითო ოროლას გარდა, მაშინ ჩვენ არცა გვყავდნენ ქართველი დრამატურგები. ცნობილი შიუკაშვილი, გედევანიშვილი და შანშიაშვილი, ყველა ესენი ჩემ დროს თითქმის და ჩემთან ერთად არიან გამოსულნი დრამატურგის ასპარეზზე.

მე კი გავბედე ჩემი თავი დრამატურგიაში იმიტომ მეცადა, რომ მეგონა ცხოვრების საკმაო ცოდნაც მქონდა და თეატრალური ხელოვნებისაც. თან ასეთ შემოქმედებას მაძალებდა ქართული პიესების სიმცირე.

სწორედ ამ დროს არის დაწერილი „მღვიმეში“, „შენი ჭირი მე“, „გუშინდელნი“ და სხვ.

ასე რომ, რაკი ერთხელ ფეხი შევდგი დრამატურგიაში დღეისდელ დღემდე ამ ჟანრში მუშაობას განვაგრძობ. ორმოცამდე ორიგინალური პიესა მაქვს დაწერილი, ამდენივე თარგმნილი და გადმოკეთებული.

ხედაეთ როგორ ვტრაბახობ!

საერთოდ კი ვატყობ, რომ იმ კაცის ცხოვრება, რომლის აღწერაც მე ვიკისრე, ე. ი. ჩემი თავისა, მაინცდამაინც საინტერესოდ არ გამომდის.

მკითხველი უთუოდ მოელოდა, რომ შალვა დადიანი თუ შესამჩნევი არა, განსხვავებული პიროვნება მაინც იქნებოდა, მაგრამ მოტყუვდა ამ ნაწერის ავტორი. ამის გამო მო-

ტყუვდნენ მკითხველებიც. შეიძლება ისიც კი გაიფიქრონ: ბევრი ვერაფერი შვილი ყრფილა ეს კაცი.

ამისათვის მიუხედავად იმისა, რომ აღებული ცხოვრება დიდს არაფერს წარმოადგენს, მე მაინც ამ ნაწერში შუა ტყავებამდე ძლივს მივაღწიე. ამიტომ მეც და ჩემი მკითხველებიც კიდევ უნდა ბღვიჭურვოთ მოთმინებით, რომ მე ჩემი განვაგრძო.

მაშასადამე გაკვრით მაინც მინდა მოვიხსენიო, თუ რას წარმოადგენდა იმ დროს ქართული თეატრი თავის შინაარსით, შემადგენლობით და საქმიანობით.

შინაარსით მეტწილად პატრიოტული პიესები იყო გაბატონებული: „სამშობლო", „ღალატი", „და-ძმა". ყოველ სეზონში ეს პიესები უნდა დადგმულიყო და ისიც ხანდახან რამდენჯერ, მაშინ როდესაც სხვა პიესებს სეზონში ერთჯერ თუ შეხვდებოდათ რიგი დასადგმელად. „სამშობლოთი" უმეტეს ნაწილად უნდა გახსნილიყო სეზონი.

ჩვენ დროს კი მოხდა ერთი გაკვირვების გამომწვევი გარემოება: რუსთაველის თეატრმა დადგა პიესა „ფლანდრია" საიდანაც არის გადმოკეთებული ეს „სამშობლო". პიესა ეკუთვნის ფრანგ ცნობილ დრამატურგს ვიქტორიენ სარდუს, მაგრამ ფრანგულად „ფლანდრია" კი არა ჰქვია, არამედ „ლაპატი", რაიც ქართულად ნიშნავს სამშობლოს. ეს პიესა თავის დროზე ქართულად გადმოაკეთა დრამატურგმა დავით ერისთავმა. და ამბობენ, მისმა წარმოდგენამ თბილისსა და ქუთაისში დიდი აღელვება და აღტაცება გამოიწვიაო, განსაკუთრებით იმ ალაგას, როდესაც სცენაზე გამოაქვთ საქართველოს დროშა. ეს იყო ცარიზმის შავბნელ რეაქციის დროს, და ეროვნული გრძნობა საქართველოში ძლივ-ძლივ ღვიოდა, და აი ამ პატრიოტულ წმინდა გრძნობის გამოღვიძებას ემსახურებოდა მაშინდელი, უწინარეს ყოვლისა, გაზეთი „დროება", ქართული თეატრი, ილიას და აკაკის დადებული კალამი და გოგებაშვილის „დედა-ენა", „სამშობლოს" დადგმამ კი უფრო ცხოვლად იმოქმედა მაყურებელზე, და აი ხსენებულ დროშის გამოტანის დროს აუდიტორია ფეხზე დგებოდა თურმე და ცრემლმორეული ერთი მეორეს ჯხვეოდა. ასეთი დიდი სამსახური მიუძღვის პიესა „სამშობლოს" ეროვნულ გრძნობის გამოღვიძების საქმეში, ასე რომ ეს პი-

ესა, მიუხედავად მისი დრამატიულ ნაკლოვანებებისა, ქართულ თეატრს უნდა ჰქონდეს თავის დიდ საგანძურში მოკრძალებით შემონახული. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „სამშობლოს“ დადგმამ ქართულ სცენაზე დიდი განგაში გამოიწვია რუსულ რეაქციონურ პრესაში, რაზედაც ჩვენში ხმა ამოიღეს ილიას მეთაურობით ჩვენმა მოწინავე მწერლებმა და რუსეთში ცნობილმა დიდმა მოაზროვნემ და კრიტიკოსმა შიხაილოვსკიმ. ჩვენ კი ახლა დავდგით „ფლანდრია“ და როდესაც ამის შემდეგ დაიდგა „სამშობლო“ იმავ რუსთაველის თეატრის მიერ დამსწრე ახალგაზრდობამ თქვა თურმე „ოჰ, ეს ხომ იგივე „ფლანდრია“-ო. ასე რომ, სარდუს პიესის პირდაპირ თარგმანმა, იმერულად რომ ვთქვათ, გამოიწვია „გაცუცურაკება“ ქართული თეატრის ტრადიციისა.

მანამდე კი ქართულ თეატრში, როგორც ვთქვი, იმ დროს შეტწილად ისტორიული პიესები იდგმებოდა და ამან გამოიწვია მიმბაძველობა. ასე რომ, ზოგჯერ შემთხვევით მწერლების მიერ დაბალი ხარისხის ისტორიული პიესებიც იწერებოდა და იდგმებოდა.

სხვა ორიგინალური ქართული პიესები არსად სჩანდა, თუ არ ვიანგარიშებთ ჩვენი სასახელო დრამატურგის ავქსენტი ცაგარელის, ზოგიერთ მახვილ ნაწარმოებს და დიდი აკაკის გამოლიმებას ქართულ დრამატურგიაში.

დრამატურგიაში მუშაობდა აგრეთვე ჩვენი ცნობილი ხალხოსანი პოეტი რაფიელ ერისთავი, მაგრამ ის უფრო გადმოაკეთებდა პიესებს რუსულიდან და ძალიან მარჯვეთაც, ისე რომ კაცს ორიგინალათ ეჩვენებოდა, მაგრამ გადმოკეთებაში პირველი ადგილი დაიკავა ვალერიან გუნიამ. ხშირად მთელი სეზონები იკვებებოდა გუნიას მიერ გადმოკეთებული პიესებით, ამისათვის დიდი მადლობის ღირსია გუნია, რომ ქართულ იერს არ აშორებდა ჩვენს რეპერტუარს.

იმავე დროს ქართულ თეატრში იდგმებოდა უცხო კლასიკოსებიც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენი თეატრი დაამშვენა უებრო ლადო მესხიშვილმა. შექსპირი, შილერი, გუცკოვი და სხვა ლამაზ სვეტებათ ჩაუდგნენ ქართულ თეატრს, მაშინ წერდა დიდებული ილია ქართველ არტისტებზე დაახლოებით ასე:

„ჩვენმა არტისტებმა მსოფლიო გენიოსები გაგვიშინაურესო“.

რეპერტუარის მხრივ ასე იყო საქმე, ხოლო რაც შეეხება დასების შემადგენლობას, გარდა ჩვენი დიდი კორიფეებისა, შედგებოდა უფრო შემთხვევითი ელემენტებისაგან: ოთხკლასამდე მიღწეული ახალგაზრდა, რომელმაც სწავლაში ვერ იხეირა და თვითონ გამოვარდა ან გამოაგდეს სასწავლებლიდან მოდიოდა ქართულ სცენაზე, აგრეთვე მოდიოდნენ ისინიც, ვინც ვერსად სამსახურში ვერ გამოდგნენ და ეს იმიტომ კი არა რომ მათ მოწოდება ჰქონდათ სასცენო ხელოვნებისადმი ან იმისათვის, რომ ქართული სცენა მათ ნივთიერად უზრუნველყოფდა, არამედ ძვათ მსახიობობა იოლ სამუშაოდ მიაჩნდათ, ამათ გარდა თეატრში სამსახური საზოგადოებაში ერთგვარ მდგომარეობას უქმნიდა მათ, ამიტომაც დასში დენადობაც დიდი იყო, რადგან სასცენო ნიჭი იშვიათად თუ ვინმეს გამოაჩნდებოდა, არც განათლება, არც ცხოვრების ცოდნა ამკობდა მათ, თუმცა იმავე დროს ზოგიერთი მათგანი თითქმის უსწავლელი მეტად სასარგებლო წევრიც ხდებოდა ქართული დასისა, როგორც მაგალითად, ქართული თეატრის ცნობილი მოკარნახეები: კოლია გალუსტოვი და ბეგლარ ახოსპირელი, რომელიც იმავ დროს იშვ მშვენიერი პოეტი და შეიტანა წვლილი ქართულ პოეზიაში. თავის მხრივ აგრეთვე თამაზიშვილი ერთგული მუშაკი თეატრისა, რომელიც დაბალი წრიდან იყო გამოსული, მაგრამ მშვენიერი მსახიობიც იყო. ვერაფერს ვიტყვი წინანდელ მოკარნახეებზე, რომლებიც იყვნენ თავის დროზე ცნობილი მწერლები — გრიგორ ყიფშიძე და არტემ ახნაზაროვი — ისინი ჩემ დროს არ ყოფილან, მხოლოდ საყვარელი იოსებ გრიშაშვილი მგონი ერთ დროს ეწერდა ამ ხელობასაც.

ხშირად იყო ისეთი, რომ თეატრში მოვიდოდა და მსახიობად ჩაირიცხებოდა ფრიად მწყაზარი, ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა დარდიმანდი, მახვილი ენის პატრონი, მომღერალი, მოცეკვავე, გაბედული ცხოვრებაში, მაგრამ სცენაზე არაფრად არ ვარგოდა, ეს იყო ერთი ფენა, ქართულ დასში მოშუშავეთა მეორე ფენაში კი იყვნენ ბუნებით სასცენო ნიჭით შემკულნი, მომზადებულები, განვითარებულებიც, მაგრამ ისინი თეატრის გარდა მსახურობდნენ სხვა დაწესებუ-

ლებებსაც, უფრო ამის გამო იყო, რომ რეპეტიციები ქართულ თეატრში მიმდინარეობდა მეტწილად საღამოობით რადგან დასში მომუშავე ნაწილს დღისით არ ეცალა, რაც, რასაკვირველია, სასცენო მუშაობას დიდათ აბრკოლებდა.

ქალების მხრივ ხომ უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო საქმე, იმ დროს საზოგადოების ყველა ფენებში გაბატონებული იყო ის აზრი, რომ ქალს სცენაზე მუშაობა სახელის გატეხის მეტს არაფერს მოუტანს, რომ სცენაზე საერთოდ გარყვნილებაა გამეფებული და სხვ. თუმცა სცენისმოყვარეებში ერივნენ მაშინაც ნიჭიერი სათეატრო ახალგაზრდები; ისინი ჩვენ გვეხმარებოდნენ, განსაკუთრებით პროვინციაში, სადაც ჩვენ გვიხდებოდა წარმოდგენების მართვა, ზოგიერთი მათგანი სასცენო ნიჭის პატრონი იყო და გულით უნდოდათ დასში ჩარიცხულიყვნენ, მაგრამ დედმამა და ნათესაობა ამის ნებას არ აძლევდა. რამდენჯერ შევსწრებივარ მათ უმანკო ცრემლებს, მაგრამ ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის შეუძლებელი იყო ესეთი ოჯახების რწმენის შერყევა.

ახლა გავიხსენოთ თუ ნივთიერად რა ასაზრდოებდა ქართველ მსახიობს? — რასაკვირველია უწინარეს ყოვლისა წარმოდგენების შემოსავალი, მაგრამ ეს იყო ისეთი მერყევი წყარო, რომ ხშირად სალაროში შემოსულმ ფული იმ ღამის თეატრის ხარჯსაც ვერ წვდებოდა.

ამისათვის კვლავ დიდი იღიას მეოხებით, დიმიტრი ყიფიანისა და დიდებულ აკაკის დახმარებით ოთხმოციან წლებში დაარსდა თბილისში „ქართული დრამატიული საზოგადოება“. წესდების ძალით, გარდა საერთოდ ქართული თეატრალური დონის ასამაღლებელ ღონისძიებებისა, მათ ჰქონდათ დავალებული დასის ნივთიერი უზრუნველყოფა და მართლაც ზოგჯერ დრამატიული საზოგადოება თვითონ ინახავდა დასს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებით შემოსულ ფულებით, ზოგჯერ კი, როდესაც ნივთიერი საშუალება იმდენი არ ჰქონდა მაშინ, რომ სეზონი არ გამცდარიყო, მსახიობთაგან შესდგებოდა ამხანაგობა, ის უძღვებოდა საქმეს და დრამატიული საზოგადოება კი ზოგჯერ, შეძლებისდაგვარად, აძლევდა სუფსიდიას. როდესაც დრამატიულ საზოგადოებას ჰყავდა დასი თავის ხარჯზე აყვანილი, მა-

შინ თვითეულ მსახიობს ჰქონდა დანიშნული განსაზღვრული ჯამაგირი. ჯამაგირებში სხვაობა იყო, რადგანაც გამოჩენილ დიდ მსახიობებს ეძლეოდათ მეტი და დანარჩენებს კი ნაკლები. ამხანაგობის დროსაც ასე იყო მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არც ერთ მსახიობს განსაზღვრული ჯამაგირი არა ჰქონდა, არამედ შემოღებული იყო ე. წ. სამარკო სისტემა. დასი სამ კატეგორიათ იყო გაყოფილი და დიდსა და წამყვან მსახიობებს ეძლეოდათ, ვთქვათ, ათი მარკა, მეორე კატეგორიისას ექვსი და მესამეს ოთხი. ყველა ამ მარკების ჯამზე იყოფოდა შემოსავალი და ხშირად ვაინაჩროზით გაგვქონდა სეზონი.

პირადად მე ჯამაგირზე იშვიათად ვყოფილვარ და თუ მჭონია ჯამაგირი ხუთ თუმანს არ გცილებულვარ. საერთოდაც ასი მანეთი იყო უდიდესი განაკვეთი ჯამაგირისა და ეძლეოდათ ლადო მესხიშვილს ან ვასო აბაშიძეს და ზოგჯერ ვალიკო გუნიასაც, როდესაც ის იყო დასის ხელმძღვანელად და რეჟისორად.

იყო ერთი კიდევ თითქო საკვირველი სახელმწიფო კანონი. თეატრების სეზონი უნდა დაწყებულიყო შემოდგომაზე არა უადრეს სექტემბრის თვისა და დასრულებულიყო თებერვალში, როდესაც დიდი მარხვა იწყებოდა. ეს იყო სასულიერო სინოდის დადგენილების თანახმად შემოღებული. ასე რომ, ქართველმა მსახიობმა, გარდა ამ მოხსენებული ექვსი თვისა, არ იცოდა, თუ შემდეგში რითი ეცხოვრა. წარმოდგენის ნებას იძლეოდნენ მხოლოდ ნაალდგომევს და რაკი მაშინ ჩვენ არ გვყავდა ანტრეპრენიორი და არც მეცენატი ვინმე (დრამატიული საზოგადოება ზაფხულში არ კისრულობდა სეზონის გაძღოლას), ამიტომ მსახიობები იძულებული ვიყავით ამხანაგობა შეგვედგინა, მაგრამ ამ ამხანაგობასაც ხომ სჭირდებოდა ერთგვარი თანხა საქმის წასაყვანად, ამიტომ ყველა ჩვენგანი, ვისაც ამხანაგობაში შესვლა უნდოდა, შევაგროვებდით თავის წვლილს ჩვენს ოჯახებში ან როგორმე ვალად ვისესხებდით და მოვაბამდით საქმეს თავს.

ამ შემთხვევაში მე სხვებზე უფრო ბედნიერი ვიყავი, მკითხველმა ჯერ არ იცის, რომ მე ცოტაოდნად შეძლებულ ოჯახიდან ვარ გამოსული, მამაჩემს, სხვათა შორის, ჰიათურაშიდაც ქონდა მამული შავი ქვისა, როდესაც ჩემზე გად-

მოვიდა მამიჩემის მემკვიდრეობა, რასაკვირველია, შავი ქვა მეც მერგო. ცხადია, იე თვითონ არ ვეწეოდი შავ ქვაზე მუშაობას. საერთოდ ცხოვრებაში ცუდი პრაქტიკოსი ვიყავი, მაგრამ დადგებოდა თუ არა დიდი მარხვა, ჩემთან ჭიათურიდან მოდიოდნენ პატარა ძრეწველები შავი ქვისა: ბერძნებში, ქართველები და შემომთავაზებდნენ, რომ სოფ. რგანში მაგალითად „მამუკიახო“ გაქვთ (შავ ქვიანი ადგილის სახელი), ის მოგვეცით იჯარით და ხუთას მანეთს მოგართმევთო. მეც ვაჭრობას არ დავუწყებდი, სიხარულით ვართმევდი ამ ფულს. ისინი კი, რომ წავიდოდნენ, თურმე, სულ დამცინოდნენ — სულელია ეს დადიანი, „მამუკიახო“ ხუთასი მანეთი კი არა, ათასი მანეთი ღირს მისი იჯარაო. აძის გამო ჭიათურის არემარეზე იქაურ მემამულეებსა და მრეწველებს შორის დიდხანს მქონდა შერჩენილი სულელის სახელი. ძე კი მოვიგდებდი თუ არა ამ ხუთას მანეთს ხელში, დავუძახებდი ჩვენს მსახიობებს, ეს უფრო ქუთაისში, დავუძახებდი და ვეტყოდი: აბა ბიჭებო, შევადგინოთ ამხანაგობა, ხუთასი მანეთი გვაქვს, ხუთასი!.. და იყო ერთი ზეიმი და ხტუნვა-ცეკვა. თან მეხვეოდნენ და მკოცნიდნენ, რომ ასე ვზრუნავდი მათთვის.

აქვე უნდა ითქვას ქართული დასის ზნეობის შესახებ. მე არ მჯერა, რომ მსახიობებს ერთი მეორეში რაიმე ინტრიგები ჰქონოდათ, შეიძლება პატარა რამ უსიამოვნება, რომელიც არასოდეს არ გადაზრდილა დიდ შურიანობასა და სიწყარბეში, თუ კი ვინმე ამისთანა გამოჩნდებოდა ჩვენს შორის, ის ჩვენთან დიდხანს ვერ იბოგინებდა და ქალეჭის მხრივ. ხომ არც ერთ ჩვენ მამაკაც მსახიობს დასში მოსსამსახურე მსახიობ ქალთან რომანი არ გაუჩაღებია, მხოლოდ თუ ერთი მეორე შეყვარებიათ, შეუღლებულან კიდეც. ქართული დასი, განსაკუთრებით ქუთაისში, წარმოადგენდა თითქო ერთ ოჯახს, ყველანი ვიყავით ერთი მეორის დაძმანი და არასოდეს არც ერთ ჩვენთაგანს ერთი მეორისადმი დამოკიდებულება არ გაცდენია ამ კეთილშობილურ გრძნობას.

ჩემსობას ქუთაისის დასში ირიცხებოდნენ მუდმივად ჩვენი სასახელო სახალხო არტისტი ნუცა ჩხეიძე და განსვენებული დესპინე ივანიძე.

ნუცა ჩხეიძეს ხომ ხელის გულზე ატარებდა მთელი ქუ-

თაისის საზოგადოება და ჩვენ, არტისტებს ის ჩვენიანად, ჩვენი ოჯახის წევრად მიგვაჩნდა, თითქო რაღაც ნათესაურ კავშირს ვგრძნობდით მისდამი. „ნუცა უქეიფოდ არის“, „ნუცას რაღაცა უჭირს“ და თვითეული ჩვენგანი მზად იყო მთსდა სამსახურად, საზოგადოებიდან ხომ ბევრი ყავდა თაყვანისმცემელი, მაგრამ არასოდეს მათი გულისთქმა კეთილშობილ თავაზიან ქარებს არ გასცილებია. რასაკვირველია, ამის მიზეზი თვითონ ნუცას მაღალი ზნეობა იყო და იმავ დროს დასის ოჯახური მისდამი განწყობილება, ხოლო როდესაც დრო დადგა, მას შეუყვარდა ცნობილი პირველი ქართველი საოპერო მომღერლის ფილიმონ ქორიძის ვაჟი — მიხეილი, კაცი ფრიად განსწავლული, უმაღლეს ცოდნით აღჭურვილი და შემდეგში დიდი გემოვნების რეჟისორი ქართულ თეატრში.

დესპინე ივანიძე კი აგრეთვე იყო დიდი თავდაცული ადამიანი და როდესაც გულწრფელად შეუყვარდა ქართული თეატრის მსახიობი დათიკო ჩარკვიანი, მას ცოლად გაჰყვა კიდეც. ასეთივე იყო, სამწუხაროდ, ადრე გარდაცვლილი, ახალგაზრდა გვეტაძის ქალი, რომელმაც თავის სასცენო ნიჭით თავი იჩინა საზოგადოებაში და ესეც შემდეგ გათხოვდა კიდეც ერთ ახალგაზრდა მასწავლებელზე.

ზოგჯერ ქალთაგან სხვა შემთხვევითი სცენის მოყვარეებიც გამოდიოდნენ ჩვენთან დასში. ზოგი მათგანი ეტანებოდა და კიდეც ფლირტს, მაგრამ როდესაც მოხვდებოდა ჩვენს თითქოს მონასტრულ რეჟიმში, ძალიან მალე ჩამოგვეცლებოდნენ ხოლმე და ამ მხრივ ქუთაისში ჩვენი შემადგენლობა ოაზისს წარმოადგენდა.

სხვა მხრივად ქუთაისს ჩემსობას მრავალრიცხოვანი მშრომელი ინტელიგენცია ჰყავდა, მაგრამ ჩვენი დასი მათ შორისაც ოაზისს წარმოადგენდა, რადგან ჩვენ, მსახიობებმა, როდესაც მეცადინეობის შემდეგ ერთად ვრჩებოდით, თუნდაც უბრალო პურის ჭამის დროს, გვქონდა კამათი საჭარბო საკითხებზე და ვეწეოდით დიდ პაექრობას, რადგანაც თვითეული ჩვენგანი ეკუთვნოდა ზემოხსენებულ პარტიათაგანს.

...თბილისში მე სცენაზე მხოლოდ ერთხელ ვიყავ დასში ჩარიცხული, ისიც იმ დროს, როდესაც ჩვენში რევოლუციური მოძრაობა გაძლიერდა, თბილისის ქუჩებზე მაშინ ხში-

რი იყო დემონსტრანტების გამოსვლები, და ერთ დროს მათ მთავრობა ხელს არ უშლიდა. ეს ის დროა, როდესაც მაშინდელმა მეფის ნაცვალმა ვარანცოვ-დაშკოვმა რევოლუციონერებს თოფები დაურიგა, იმავ დროს შეადგინა თბილისის დამცველი ერთგვარი არალეგალური კომიტეტი, უბნებათ დაჰყო მთელი ქალაქი და თვითეულ უბანს მიუჩინა დამცველი რაზმები. ერთ-ერთ რაზმში მეც მოვხვდი და თოფი ხელში. მეც დამაჭერინეს მაშინ, როდესაც თოფის და საერთოდ იარაღის ხმარებისა არაფერი გამეგებოდა, გარდა იმისა რომ სცენაზე მჭირდებოდა ზოგჯერ იარაღის ხმარება, მაგალითად, როდესაც სცენაზე ჩემი მოწინააღმდეგე უნდა მომეკლა და ამისათვის უფრო ხშირად რევოლვერი უნდა გამომეყენებინა. მეც პიესაში აღნიშნულ დროზე ჯიბიდან ამოვიღებდი რევოლვერს, დაუმიზნებდი მოსაკლავ კაცს და ამ დროს კულისებში გაისმოდა რევოლვერის გასროლის ხმა, ჩემი რევოლვერი არაფერ შუაში არ იყო, ჩუმად იყო, მაგრამ მოსაკლავი კაცი კი წაიქცეოდა და აი ასეთი „მცოდნე" კაცი იარაღისა, მოვხვდი დამცველ რაზმში, რაზმები ღამ-ღამობით მუშაობდნენ. მე მხვდა გრიბოედოვის ქუჩის დაცვა სხვებთან ერთად, ჩემ რაზმში უფრო ინტელიგენტები იყვნენ: ექიმები, ვექილები, ინჟინრები და, როდესაც გაიგეს, რომ მე კნიაზი კაცი ვარ, იფიქრეს, რომ გმირობას ეს უფრო გამოიჩენსო და მეთაურად ამირჩიეს. უნდა ვთქვა, რომ ბუნებით თითქო უშიშარი ვიყავ, მაგრამ მეომრულ გმირობის გამოჩენაზე კი გული ნაკლებ მიმიწევდა.

დალამებიდან გათენებამდე დავდიოდით გრიბოედოვის ქუჩაზე რაზმელები და უფრო საუბრებში ვიყავით გართული, განსაკუთრებით კარგი მოსაუბრე იყო ვექილი ბერნშტეინი. რეებს არ გვიამბობდა, როგორ გულით გვაცინებდა ხოლმე. ერთხელ ღამით, შუაღამე გაცილებული იყო, სასამართლოს ქუჩიდან მოისმა თოფის გასროლის ხმა. მეც, როგორც მეთაური, მაშინვე იქით გავიქეცი, თითქო დიდი მეომარი ვყოფილიყავი და ჩემთან ახლო მდგომ ამხანაგებსაც ვანიშნე გამომყოლოდნენ, მაგრამ გასროლის ალაგას რომ მივედი, ვნახე რომ იქაური რაზმელები გულით ხარხარებდნენ. უკან მოვიხედე — დავინახე, არავინ არ გამომყოლოდა. მე კი შევუერთდი ამ მოხარხარეებს, ვკითხე, რა აცინებდათ და

თან თოფის გასროლა რას ნიშნავდა, ამიხსნეს, რომ ერთერთ რაზმელს, რომელიც ჩემსავით გამოცდილი ყოფილა, „ჩხიკინი“ დაუწყია თოფისათვის და უნებლიეთ გავარდნია; ასე რომ, არც მაშინ და არც შემდეგში არავითარი შეჯახება ჩვენს რაზმს არავისთან არ მოსვლია.

მეც ასე დავასრულე ჩემი „გმირობის“ ამბები. მხოლოდ ერთხელ მაინც შევიქენ მსხვერპლი „ჭეშმარიტ რუსების“ (იყო ასეთი პარტია) დემონსტრაციისა. ეს იყო პოლიციის მიერ შემზადებული დემონსტრაცია, ისინი მოდიოდნენ დიდი ჯიხით და სიმღერით თან მოყვიროდნენ ფურმე: „ქუდები მოიხადეთო“, რადგან მაღლა ხელით მოჰქონდათ ნიკოლოზის სურათი. მე ეს შეძახება ძრ გამიგონია და ქუდდა ხურული ბეგლარ ახოსპირელთან ერთად ვიდექი იმ ალაგას, სადაც ეხლა კავშირგაბმულობის სასახლეა. წამოვიდა დიდი ჯგლითი დემონსტრანტებისა, დამეტაკა, შუბლში ჩამარტყა რაღაც წვეტიანი და წამაქცია, კარტეფი იყო თურმე. იმავ დროს ისინი შესულიყვნენ კლასიკურ გიმნაზიაში და მოწაფეები დაერბიათ. მე კი ბეგლარმა წამომაყენა და თავსისხლიანი შიმიყვანა ჩემ ბინაზე (მე იქვე ახლოს გრიბოედოვის ქუჩაზე ვიდექი). პირველი დახმარება აღმომიჩინეს ჩემ მეზობლად მდგარ ოპერის ბალერინებმა, მერე ექიმიც როგორღაც მოიყვანეს და იარა თანდათან მომირჩა, ამ ჭრილობის ნიშანი ეხლაც აჩნია ჩემ შუბლს, როგორც დიდი მეომარის საბრძოლო ნიშანი.

ეხლა კი დავეთხოვოთ მაშინდელი თბილისის რევოლუციურ ამბებს და გადავიდეთ ჩემ მწერლობაზე.

ჩემი მწერლობა კი უფრო გაღვივდა თბილისში.

თბილისი!

რამდენი მიმზიდველობა აქვს ამ სიტყვას და შინაარსი, რამდენი მომხიბვლელობა აქვს ყოველი ქართველისათვის, თუნდაც თბილისში ის არასოდეს არ ყოფილიყოს. განაგონით მაინც იცის მორჩმულობა თავის დედაქალაქისა, ამაზე უდიდესი ქალაქი მას არ ეგულება საქართველოში.

ის დედაქალაქია!

საქართველომ შექმნა თავისი დედაქალაქი თ ბ ი ლ ი ს ი და თბილისმა შექმნა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო.

ეს იცის ისტორიაშიაც ჩაუხედავმა ქართველმაც ადითქოს

შეუგნებლად, მაგრამ ინტუიციით კი. თავი მოაქვს თავის თბილისით, განსაკუთრებით ბოლოხანებში.

აქ არის მისი საკუთარი ქართული მთავრობა ქართველების მიერ შემდგარი.

აქ არის მისი საკაცობრიო უმწვერვალესი ცოდნის კერაა: სამეცნიერო აკადემია, სამხატვრო აკადემია, სასოფლო სამეურნეო აკადემია, კონსერვატორია, ახალგაზრდობის განმაათლებელი, სპეციალური თუ საერთო დიდი ცოდნის მიმნიჭებელი უნივერსიტეტი და სხვადასხვა ტექნიკუმები და სასწავლებლები.

საუცხოვო თეატრები, მათ შორის ორი დიდი ქარდული თეატრი რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობისა. დიდი სახელი აქვთ მოხვეჭილი ამ ორ თეატრს მთელს კავშირში და იცნობენ საზღვარგარეთაც.

მწერალთა კავშირი და აგრეთვე სხვადასხვა დარგის დაწესებულებები, სადაც მუშავდება და მტკიცდება რესპუბლიკის საერთო აზროვნება, საჭირო საკითხების გადასაწყვეტად და სხვადასხვა.

მე ბავშვობისას ჩამოვედი პირველად თბილისში. მაშინაც კარგი მოზრდილი ქალაქი იყო, მაშინაც კარგი ქუჩები ამშვენებდნენ ქალაქს, განსაკუთრებით ე. წ. გოლოვინისა და მიხეილის პროსპექტები, ახლანდელი რუსთაველისა და პლეხანოვის გამზირები. გოლოვინზე იყო მაშინდელი მთავრობის საბჭოთა სამინისტრაციო სახლები ჩამორიგებული და მათ შორის დიდი სასახლე „ნამესტნიკისა“ თავის დიდი ბაღით, სადაც ახლაა პიონერთა სასახლეა მოთავსებული. მის გასწვრივ ორიოდე ნაბიჯზე სამხრეთით იყო კარგა მოზრდილი ქარვასლა სათავადაზნაურო ბანკისა, რომელსაც მეთაურობდა დიდი ილია ჭავჭავაძე. მისი მეოხებით სწორედ ამ შენობაში მოთავსდა ქართული დრამატიული თეატრი, სადაც ამჟამად გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრია და აქვე გაიშალა მაშინდელი წერა-კითხვის საზოგადოების საქმიანობა, მისი გამგეობა, წიგნის მაღაზია ძველ მანუსკრიპთა წიგნსაცავი, მუზეუმები და სხვ.

აქ ილიას კაბინეტში იკრიბებოდა მაშინდელი თბილისის და სხვა კუთხეებიდან ჩამოსული ინტელიგენციის წარმომად-

გენლები და ჰქონდათ სჯა-ბაასი მაშინდელ საქართველოს საჭირბოროტო საკითხებზე. ამ ქარვასლის პირდაპირ დავით სარაჯიშვილის სახლში მოთავსებული იყო ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიას“ რედაქცია, რომელიც შემდეგ გადავიდა კუკიის ხიდ გალმა ნიკოლოზის ქუჩაზე ნომერი ოცდაერთი, სადაც ერთხანს თვითონ ილია ცხოვრობდა.

ასე რომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს არე-მარე იყო ჭიპი ქართული აზროვნების წარმოშობისა.

თვითონ ქალაქი ჩემსობას იწყებოდა ნავთლუღიდან და თავდებოდა ვერის დალმართის დასაწყისში. მის შემდეგ კი ვერაზე თითქმის სრული სიცარიელე იყო, აქა-იქ თუ იდგა ქოხმახები.

ჩემ თვალწინ გაიზარდა თბილისი, მაგრამ განსაკუთრებით აღორძინდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ისტორიულად კი თბილისი, როგორც ვიცით, საქართველოს მედროშე იყო და ამ დროშის წართმევას ელამუნებოდა ირგვლივ შემოჭრილი მუსულმანური სახელმწიფოები: სპარსეთი, თურქეთი და ასე წარმოიდგინეთ, პატარა ლეკებიც კი, მაგრამ დედაქალაქის ამ შავბნელ დღეების აღწერას დავეთხოვოთ და გონების თვალით წარმოვიდგინოთ მშვენიერი და ბედნიერი დღეების წუთები დედაქალაქში.

აი თუნდაც ვახტანგ გორგასალის დროს: წარმოვიდგინოთ, რომ მან მცხეთიდან თუ უფლის ციხიდან თბილისის მინდვრებისაკენ გადაინადირა: თქმულების თანახმად წინ ხოხობი აუფრინდა და თავისი შევარდენი მას მიუტია. ფრინველებმა კი იფრინეს, იფრინეს, ერთმა გულგახეთქილმა, მეორემ კი საომარ გუნებაზე მდგარმა, მიაღწიეს გოგირდის ცხელ წყლებს და ხოხობი შიშისაგან შიგ ჩაფრინდა, შავარდენიც თან ჩაჰყვა და ორთავენი შიგ ჩაიხარშნენ. გორგასალიც მივიდა და ნახა როგორ დაღუპულიყვნენ ფრინველები. თქმულება ამბობს, რომ გორგასალმა მაშინ გადაწყვიტა დედაქალაქი აქ გაეშენებინა. რასაკვირველია სინამდვილეში ასე არ იყო.. აქ ქალაქის გაშენება გამოწვეული იყო სხვადასხვა სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზებით, ქართველობა გორგასლანამდენაც მოიწეოდა თბილისისაკენ, მხოლოდ უნდა ვთქვათ, რომ ვახტანგმა მათ განზრახვას თავი მოაბა.

საქართველოს მატიანეში კი სწერია, რომ ქალაქი ვახტანგის ვაჟმა დაჩიმ გააშენაო.

ასე იყო თუ ისე, მე რომ მკითხოთ, თბილისის ღერბათ ხოხობს და შავარდენს ავირჩევდი, რადგან ხოხობი მეტად ლამაზი, კოხტა და უწყინარი ფრინველია, რაც ძალიან შეეფერება გარეგნულად ქართულ სილამაზეს და მოხდენილობას, „შიგნიტიკურად“ (ილიას სიტყვაა) კი თითქოს გამოთქმულია ქართველობის ძირითადი ხასიათი (უწყინარობა). შავარდენი კი იმავ დროს ქართული გმირული სულის გამომხატველია.

მაგრამ ჩვენთვის თბილისი და მისი არე-მარე ისტორიულად საყვარელი უნდა იყოს იმ მხრივაც, რომ სხვა დიდ წინაპართა გარდა აქ ბრძანებულა დიდი დავით აღმაშენებელი და აქ გაუცია მას მისი ბრძნული განკარგულებები ქვეყნის ასაღორძინებლად; აქ უსეირნია უებრო თამარ მეფეს და თან ხლებია ამალა მაშინდელი ფილოსოფოსებისა, მხედართ მთავრებისა, პიიტიკოსებისა და მათ შორის გენიოსს რუსთაველს. და წარმოიდგინეთ ეს ხალხი ჩაცმული მეთორმეტე საუკუნის ქართულ ლამაზ ტანსაცმელში, ფარჩისა და ატლასის ქსოვილისაგან შენაკერი, თან მათი საუცხოვო ქართული მწყაზარი და ლამაზი სახეები, დინჯი, ტკბილ-სასმინარ — ქართულით მოსაუბრე და მე არა მგონია არ მოიხიბლოთ.

აქვე შეიძლება წარმოიდგინოთ, რომელიმე ბრგე მოყვანილობის ვაჟკაცი, რომელიც დგას უნარნარესი ქალწულის წინაშე ხადღაც განრიდებულ ალაგას. მარტონი არიან და ვაჟი მოუთხრობს ქალიშვილს, რომელიღაც უკანასკნელი ნადიმის ამბებს.

— შენ რატომ არ იყავ, ნაზიბროლა? — ეკითხება ვაჟი, მაგრამ ნაზიბროლა რაღაცას თავისთვის ჩაილაპარაკებს, ამას ვაჟი ყურადღებას აღარ აქცევს და განაგრძობს თავის თხრობას და ლამაზ, წარმტაც სიტყვებში გამოხატავს თავის აღტაცებას ნახულ ნადიმობის გამო. თან, ეტყობა, მის გულს ბაგა-ბუგი გააქვს, ქალი კი ზოგჯერ შეანათებს თავის სხივოსან თვალებს ვაჟის მთელ აღნაგობას და შემდეგ კი თითქოს დარცხვენით ჭუთუთოებს ჩამოუშვებს, თან წითლდება. ორთავეს ეტყობა, რომ იმას არ ამბობენ, რაც გულში აქვთ, არამედ ჩვეულებრივ საუბარში მარხავენ თავიანთ წმინდა

გრძნობებს. ასე იმყოფებიან კარგა ხანს მანამ, სანამ ამხანაგები ან უფროსები მათ არ დაუძახებენ.

აქ კარგი იყო მთვარეც მოეხსენებინა, რადგანაც ასე იყო მიღებული ძველ მწერლობაში, როდესაც განმარტოებულ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს დაგვიხატავდნენ. ახლაც ზოგჯერ მიბნედილ მთვარის შუქზე გვიჩვენებენ შეყვარებულებს...

მაგრამ მე ეხლა მოგიწოდებთ ერთ სენაკში, რომელიც განათებულია მხოლოდ ჭრაქის სინათლით და კიდობნისებურ მაგიდასთან მიმჯდარია გრძელი თეთრწვერა მოხუცი, რომელიც სწერს საქართველოს მატიანეს.

ასე სულ დღევანდელ დღემდე მიდის ჩვენი დედაქალაქის ცხოვრება მდიდარ საკაცობრიო საგანთა გამოკვლევა, და შესწავლაში, სატრფიალო უბიწო შეხვედრებში, ადამიანთა მეგობრობის განმტკიცებაში და მე არა მაქვს ზემოთ ნათქვამი, რომ იმ დროს დიდათ გაღვივებული იყო ქალაქს ხელოსნების საუცხოვო საქმიანობა და მათი ნაწარმოები: ბეჭდებით, სამაჯურებით, ცხენის უნაგირებით, მათრახებით, ქალის და ვაჟის ფარჩის და ატლასის საუცხოვო ტანსაცმელით და სხვა საუცხოვო სამკაულეთ ივსებოდა დედაქალაქი. იმავ დროს თბილისში იბეჭდებოდა და მტკიცდებოდა ქართული ეროვნული თუ საკაცობრიო სხვადასხვა გამოკვლევებზე დამყარებული მაღალი აზროვნება და კაცობრიობის ნაწილი ეცნობოდა ქართულ ეროვნულ სულს. სამხედრო მორჩილობა, ხომ ყველასათვის დასანახავი იყო და ირგვლივ მდებარე სახელმწიფოები დაწყებული ბიზანტიითა და სპარსეთიდან და გათავებული წინა აზიის პატარა სასულთნოებით მორიდებით და მოკრძალებით იყვნენ საქართველოსადმი.

დღეს ხომ საბჭოთა ხელისუფლების დროს, სრულიად განათლებული და კომუნიზმის ბრწყინვალე მზით განათებული, მოწინავე რიგებში დგას ჩვენი რესპუბლიკაც.

მე რომ ჩავედი თბილისში ჩემი მოწიფულობისას ჯერ კიდევ ცარიზმის დრო იყო ცხრაასიანების პირველი ნახევარი და მაშინდელი რუსული რეჟიმი დიდათ ხელს უწყობდა „ტუზემცების“ გარუსებას, მაგრამ საქართველოს ნაციონალური ნაკადული ძლიერი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობა-მრეწველობაში და სხვა მაშინდელ სახაზინო დაწესებუ-

ლებებში მეტწილად არა ქართველები იყვნენ, თბილისი მაინც ქართულ კულტურის კერად გამოიყურებოდა.

მეც, როგორც კი დაარსდა ქართველ მსახიობთა პროფესიული კავშირი, რაც ზევით მაქვს მოხსენებული, ცოტა ხნის შემდეგ არჩეულ ვიქენ ამ კავშირის თავმჯდომარედ და ამის გამო უკვე ჩავტრიალდი თბილისის მოწინავე ინტელიგენციაში.

ამის გამო მე გავეცანი თბილისში მცხოვრებ საზოგადო მოღვაწეებს.

იმ დროს უკვე მთელ საქართველოში, მაშასადამე, უმთავრესად თბილისში, სამი პარტია იყო ჩამოყალიბებული: სოციალ დემოკრატებისა თავის ორი შტოთი: ბოლშევიკების და მენშევიკების, ფედერალისტებისა და ნაციონალ-დემოკრატებისა. ყველა ამ პარტიას თავისი გაზეთები ჰქონდა და მე დროდროთი ყველა ამ ორგანოებში ვთანამშრომლობდი, რადგან მე არსებითად არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნოდი. ისე კი ლიტერატურული გზა გავიკაფე უფრო გაზეთ „ცნობის ფურცელში“ და ეს იმიტომ, რომ რედაქციაში ჩემ მწერლობას გაუჩნდა დიდი ხელის შემწყობი მფარველი ილია აღლაძე.

ილია აღლაძე იყო თვალსაჩინო ჟურნალისტი და იმავ დროს მეტად ნათელი პიროვნება, რომელსაც ძალიან აფასებდნენ საერთოდ თბილისის ლიტერატურულ წრეში და იყო დიდათ ხელისშემწყობი ახალგაზრდა მწერლებისა. ასე რომ, მე მისი მეოხებით თითქმის ჩემი ყველა ჩამოკრულები გაზეთ „ცნობის ფურცელში“ მაქვს მოთავსებული. ამგვარმა მისმა გამხნევებამ პირადათ მასთან ძალიან დამაახლოვა და ხშირად მისი ტკბილსასმინარი საუბარი ჩემთვის მეტად სასურგებლო იყო. ასე დავრჩით ნამდვილ მეგობრებად სულ მის გარდაცვალებამდე, როდესაც ის უკვე გაზეთ „კომუნისტში“ მუშაობდა. ბაქოშიაც ყოფნისას იქაურ სეზონების მოუწყინარი და გონიერი რეცენზენტი იყო და აქაც დიდათ ხელს უწყობდა რეპერტუარის მაღალ დონეზე დაყენებას და არტისტების ღირსეულ გაწრთვნას. იმავ დროს გარდა ჟურნალისტებისა ის ეწეოდა მთარგმნელობასაც და ის მაგალითად ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ პირველად მის მიერ არის თარგმნილი ქართულად.

ჩემი ბებერი გული დიდი მადლობით იხსენიებს მის დიდ

ამაგს ქართულ ჟურნალისტიკაში და პირადათ ჩემთვის ხომ მისი ხსოვნა წარუშლელია ჩემი შეგნების უჯრედებში.

ილია აღლაძე დიდი მუშაობის უნარის პატრონი იყო და მისი აზროვნება მუდამ იყო შეფარდებული ქართულ პატრიოტობასთან და ხაკაცობრიულ მოწინავე ზრახვებთან.

ის ერთ დროს ილია ჭავჭავაძის გაზ. „ივერიაში“ მუშაობდა და მას ჰქონდა ილიასაგან გამოყოლილი ამ დიდი კაცის ზოგიერთი თვისებები, როგორც მაგალითად: სიდინჯე აზროვნებაში, სისპეტაკე ლიტერატურულ საქმიანობაში და ქართული ენის სიწმინდის დაცვაში. ის მშვენიერი მოქართულე იყო. ცნობილია, რომ ილიას თავის რედაქციაში შემოკრებილი ყავდა მუდმივი თვალსაჩინო თანამშრომლები: გრიგოლ ყიფშიძე, არტემ ახნაზაროვი, ივანე ახალშენიშვილი და სხვა. მათ შორის ილია აღლაძეც მისი ხელდებული იყო.

ამ დროს კი მე ძალიან დავუახლოვდი გაზ. „საქართველოს“ რედაქციას. ეს უფრო იმიტომ რომ ამ გაზ. რედაქტორი სანდრო შანშიაშვილი მის რედაქტორობამდე მყავდა გაცნობილი და ერთი მეორის მეგობრად ვითვლებოდით და ვითვლებით დღესაც, მხოლოდ ეს პირადი მეგობრობა მარტო ჩვენი ცხოვრების ერთი მეორის დამოკიდებულებაში კი არ გამოიხატებოდა, არამედ ორთავენი გულითადათ ვაფასებდით ერთი მეორის ლიტერატურულ შემოქმედებას და აი მე პირველად დავდგი ქუთაისში მისი ისტორიული პიესა „უგვირგვინო მეფენი“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა ქუთაისისა და თბილისის სცენებზე. მან კი პირველად დაბეჭდა თავის „საქართველოში“ ჩემი ისტორიული რომანი „უბედური რუსი“ შემდეგში „გიორგი რუსად“ წოდებული, თუმცა ამ გაზეთში ამ რომანის დაბეჭდვა არ დასრულებულა, რადგანაც მაშინდელმა ცენზურამ გაზ. „საქართველო“ დახურა.

რაკი სიტყვამ მოიტანა აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ამ რომანის დაბეჭდვა განაგრძო პატივცემულმა პავლე ინგოროყვამ თავის ჟურნალ „კავკასიონში“.

ამ ხანებში ჩამოყალიბდა საქ. მწერალთა კავშირი, რომლის პირველი ქართული წესდებაც უნდა დავიტრაბახო, რომ ჩემი შედგენილია.

იმ დროს თბილისში სრულიად ახალი კაცი ვიყავი და

რაკი გარემოებამ მოიტანა რომ მე საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობა მიმეღო, დიდის ყურადღებით ეპყრობოდნენ ჩემ საქმიანობას და ხშირად მამხნევებდნენ ხოლმე, მაგალითად, როდესაც კავშირის წესდება შევადგინე, რასაკვირველია, კავშირის დამაარსებელ საორგანიზაციო კომისიას წინასწარ წავუკითხე და მახსოვს ნიკო ნიკოლაძემ ძალზე მოიწონა. თქვენ წარმოიდგინეთ რა გუნებაზედაც დამაყენებდა ასეთი დიდი კაცის გამხნევება. ამას ბანი მისცა ცნობილმა მოწინავე პოეტმა კოტე მაყაშვილმა და ამის შემდეგ დიდხანს ყელმოღერებული დავდიოდი.

და აი კოტე მაყაშვილი. ჯერ გარეგნობით: მაღალი, ტანადი, ლამაზი პირისახის, შავგვრემანი კაცი, მეტის მეტი თავაზიანი. გულკეთილი, გრძნობიერი, უმაღლესი ცოდნით იყო აღჭურვილი, რუსეთში ჰქონდა დამთავრებული უნივერსიტეტი და სტუდენტობიდანვე ანვითარებდა თავის უთუოდ შესანიშნავ პოეტურ ნიჭს ქართულ ენაზე, მაგრამ საქართველოში დაბრუნდა თუ არა, მაშინვე ჩაება საზოგადოებრივ მუშაობაში და პოეტურ შემოქმედებისათვის ნაკლები დრო დაურჩა. ასე რომ, მისი მწერლობითი მემკვიდრეობა მცირე მოცულობისაა.

ის ხშირად იგონებდა ერთ კურიოზს მისი ცხოვრებიდან: როდესაც რუსეთის იმპერატორი, ნიკოლოზ მეორე, სტუმრად ჩამოვიდა თბილისში, რასაკვირველია, მას დახვდა წარმომადგენლები თავად-აზნაურობისა, ქალაქისა და სხვა ასეთი დაწესებულებებიდან. მაშინდელმა ქალაქის თავმა ხატისოვმა იკისრა; რომ იმპერატორისთვის გაეცნო ინტელიგენციის წარმომადგენლები და სხვათა შორის წარუდგინა კოტე მაყაშვილი, როგორც საქართველოს ცნობილი პოეტი. ამაზე იმპერატორმა ხელი ჩამოართვა კოტეს და უთხრა: „Очень рад, я читал Ваши произведения“. ირგვლივ აქა-იქ ჩაიფრუტუნეს. კოტემ კი დაბლა თავი დახარა და გულში გაიფიქრა: „რას ამბობს ეს ნიკოლოზ მეორე, ქართული არ იცის და რუსულად სად ვექნები წაკითხული, როდესაც ქართულადაც კი ცალკე წიგნად არა ვარ გამოცემული“, ამის გაგებაზედ მუდამ გულიანად იცინოდა და ჩვენც გვაცინებდა. ისე კი როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში იყო დიდად სპეტაკი ადამიანი, მოუფერავი, დიდი

პატრიოტი საქართველოსი და მუდამ საწყალმართო აზროვნების მიმდევანი, ამიტომ იყო, რომ მის მცნობს ყველას უყვარდა და არ იყო ისეთი საზოგადოებრივი რამ წამოწყება, რომ ის არ გაერიათ. და აი ეს საუცხოო კაცი, როდესაც მწერალთა კავშირი დაარსდა, არჩეულ იქნა მის თავმჯდომარედ და ის იყო თავმჯდომარე საბჭოთა ხელისუფლების დროსაც, გარდაცვალებამდე და აი ამ დაწესებულებას მუდამ თავს დასტრიალებდა და ბევრი რამაც გაუკეთა თავის დროზე, რაც ახლა შეიძლება წვრილმანად გვეჩვენოს, მაგრამ მაშინ კი ძალიან საჭირო იყო. თვით ის შენობაც კი, სადაც ახლა მწერალთა კავშირია მოთავსებული, კინაღამ წაგვართვეს, მგრამ კოტეს შუამდგომლობამ და ახსნა-განმარტებამ ზემდგომ ორგანოების წინაშე, მწერლებს დაუტოვა ეს სარაჯიშვილის ყოფილი სასახლე.

უნდა გავიხსენო ერთი შემთხვევაც, რომელიც მასთან ერთად გადამხდა. არ ვიცი რა მიზეზის გამო, ზოგიერთი ჩვენი მწერალი და მათ შორის გრიშაშვილიც დაატუსაღეს. კოტე გაემართა მთავრობისაკენ და მეც თან წამიყვანა. აქვე უნდა ვთქვა, რომ მე თავიდანვე ძალიან დამიახლოვდა და უჩემოდ თითქმის არც ერთ საზოგადო საკითხს არ სწყვეტდა.

წამიყვანა და ვეახელით კოტე ცინცაძეს, რომელიც მაშინ შინსახკომს განაგებდა. ეს ის კოტე ცინცაძეა, რომელზედაც მაშინ სახუმარო ჭორი დადიოდა, რომ კოტემ შეუთვალა ცნობილ მწერალსა და „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორ ოსებ ბმედაშვილს, რომ „ნუ იმალები, ხომ იცი ვერსად წაშიხვალ, მაგრამ რაც უნდა ხდადო, მე მაინც შენ არ დაგატუსაღებო“.

ჩვენ კი, კოტე და მე, დიდი ზრდილობით მიგვიღო ცინცაძემ, ძალიან თავაზიანად მოგვისმინა და როდესაც ავუხსენით, რომ დატუსაღებულებს არავითარი პოლიტიკური დიდი დანაშაული არ მიუძღოდათ, მაშინ გვკითხა ვინ უთავდებებს იმათ, რომ თუნდაც ასეთ არა დიდ დანაშაულს აღარ ჩაიდენენო. მაშინ კოტემ დიდის რიხით განუცხადა, რომ თავმდები მე და შალვა ვართო. ამაზე ცინცაძეს გაეცინა, შემოგვხედა და გვითხრა: „თქვენ კი გენდობითო?“ ამაზე დავინახე, რომ მაყაშვილი გადაფითრდა, მე კი გამეღიმა, მაგრამ უთუოდ ეს ღიმჭა უფრო იყო ვიდრე ღიმილი, მაგრამ

თავისუფლად ამოვისუნთქეთ, კოტემ და მე. მაშინ, როდესაც ცინცაძემ ჩვენი თანდასწრებით ტელეფონით უბრძანა, რომ ტუსაღები გაენთავისუფლებინათ. და აი ასე ძვირფასი კოტე მაყაშვილი სანამ ცოცხალი იყო მუდამ ჩვენი მწერლების ლალა და მოსარჩლე იყო.

შედარებით ახალგაზრდა გარდაიცვალა. ამ მოწიფულ კაცს, სწრაფი ჭლექი შეეყარა და ეს ბრგე კაცი მძიმე ავად გახადა. ამბობდნენ, რომ ამ ხანში ასეთი სენი არ ემართებათო. ეკვირდათ მისი ავადმყოფობა. ჩვენ მწერლები, რასაკვირველია, მივედით მის სანახავად. უნდა გენახათ, როგორ გაეხარდა, როგორ გვეალერსებოდა თვითეულ ჩვენგანს, სულ „გენაცვალე“ და „შენი ჭირიმეთი“ გველაპარაკებოდა. ეტყობოდა გრძნობდა მის მოახლოებულ აღსასრულს, მაგრამ ამაზე თავის შესაბრალებლად სიტყვაც არ წამოსცდენია.

დიდათ დააღონა საქართველოს მოწინავე საზოგადოება მისმა სიკვდილმა და დიდის გამოჩინებით დაიმარხა კიდეც დიდუბის პანთეონში, სადაც, სხვათა შორის, პოეტმა ალიო მაშაშვილმა წარმოსთქვა თავისებური ბრწყინვალე სიტყვა.

როგორც ვთქვი, ჩემი მწერლობა თბილისში უფრო გაღვივდა, მაგრამ ამავე დროიდან თბილისში დაიწყო ჩემი, თეატრის გარდა, საზოგადოებრივი მუშაობა. ეს იყო 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს. მართალია, ამის წინათაც ვიყავ თბილისში მენშევიკების დროს ნაცხოვრები და როგორც ზევითაც მაქვს მოხსენებული, ქართველი მსახიობების პროფკავშირის თავმჯდომარედაც ვიყავ იმ დროს არჩეული, მაგრამ ჩემი უფრო ინტენსიური მუშაობა საზოგადოებრივ დაწესებულებებში დაიწყო სწორედ 1921 წლიდან, რომლის შემდეგაც მე თითქმის თბილისში დავსახლდი, აქ მოვიდგი ფეხი და დრო დროთი თუ არა, სხვაგან საცხოვრებლად საქართველოში ფეხი არ გამიდგამს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან კი სრულიად შეიცვალა უწინარეს ყოვლისა დედაქალაქის ცხოვრება და ქართული კულტურული დონის ამაღლება, განშტოება და აღორძინება. მაგალითად: დაარსდა სამეცნიერო აკადემია, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, მწერალთა კავშირი ხომ არსებობდა, მაგრამ ამას მიემატა „ცისფერყანწელების“ მძლავ-

რი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი; აგრეთვე უფრო დახვეწილად ჩამოყალიბდა პროლეტარული მწერლობა ნოე ზომლეთელის და სანდრო ეულის მეთაურობით. ამ ჯგუფებს კიდევ მიემატა სრულებით ახალგაზრდა მწერლებისაგან შემდგარი „მემარცხენეთა“ წრე, რომელშიაც ირიცხებოდნენ — სიმონ ჩიქოვანი, ბესო ჟღენტი, ნოზაძე, ჩაჩავა და სხვანი. ყველა ამათ გაიჩინეს თავ-თავიანთი ორგანოები, რომელთა შორის უფრო ხანგრძლივად იარსება „ქართულმა სიტყვამ“, „ლომისმა“.

ამ დროს კიდევ მწერალთა კავშირის უფროსთა თაობიდან გამოიყო ერთი ჯგუფი, რომელმაც თავისთავს უწოდა „არიფრონი“ და თავის არსებობისას გამოსცა ალმანახისებური კრებული. კრებულში მონაწილეობდნენ: შიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გერონტი ქიქოძე, მაშინ სულ ახალგაზრდა მიხეილ მრევლიშვილი და ამ სტრიქონების დამწერი. „არიფრონის“ კრებულმა დიდი აურზაური გამოიწვია დანარჩენ მწერლებში და ხშირად თავს ესხმოდნენ ამ ჯგუფს როგორც პრესაში, ისე სხვადასხვა საზოგადო კრებებზე. პროლეტარულ ჯგუფის მწერლებიდან სხვებზე უფრო მწვავედ გამოილაშქრა ბელეტრისტმა პავლე საყვარელიძემ, რეაქციონერებად მიიჩნია არიფრონელები და ამ ჯგუფის საწინააღმდეგო ბრძოლისაკენ მოუწოდა აუდიტორიას. არცერთ ამ ჯგუფთაგანს დიდხანს არსებობა არ დასცალია, რადგანაც პარტიისა და ხელისუფლების ზემდგომმა ორგანოებმა გააერთიანეს ყველა ესენი და შექმნეს ერთი დიდი სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, რომელიც დღესაც არსებობს. და აი ამ დროს იყო, როცა მეც დავიწყე ჩემი პირველი ისტორიული რომანის „უბედური რუსის“ შემდეგში „გიორგი რუსად“ წოდებულის წერა.

რამ გამოიწვია ამ თხზულების დაწერა?

როცა მოვიწიფე, ჩემს ერთგვარ აღშფოთებას იწვევდა ის გარემოება, რომ ჩემის ფიქრით, ჩვენი ისტორიის წარსული არ იყო სათანადოდ გაშუქებული, განსაკუთრებით ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში.

ჩვენი დიდებული პოეტები: ილია და აკაკი წერდნენ თა-

ვის შედევრებს პოემების სახითაც, მაგრამ მათ შინაარსად აღებული ჰქონდათ ისეთი ეპიზოდები, როდესაც საქართველო გაბმული იყო მოგერიებით ომში და დიდ ვაჟკაცობასაც იჩენდა, სულიერ დიდ სიგმირეს, მაგრამ საქართველოს წარსულის მაღალი დონე, მისი სულიერი სიმაღლე აქ არსად სჩანდა. მაშ რას მოგვითხრობდნენ ჩვენი ძველი მატიანეები, რომ ჩვენ გვქონდა საოცარი თავისთავადი ხუროთმოძღვრება, რომლის გეგმა და მშენებლობის სიმწყაზრე ახლაც აკვირვებს საზღვარგარეთელ სპეციალისტებსაც კი, უაღრესად შესანიშნავი მუსიკა, თვით ხალხის მიერ შექმნილი კონტრაპუნქტი, რაიც ძველთაგანვე, საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებიდან, საუკუნოების მანძილზე გვქონდა საგანძურში, მაშინ როდესაც ამისთანა რამ მეათე, მეთორმეტე საუკუნეებში ევროპასაც კი არ გააჩნდა; ბრწყინვალე საერო და სასულიერო ლიტერატურა, სადაც ყვაოდა პოეზია, ფილოსოფია და სხვა მეცნიერული დარგი; როდესაც ჩვენ გვქონდა ჩვენი საკუთარი აკადემიები გელათში, იყალთოში და სხვა, სადაც მაშინდელი ახალგაზრდობა ეწაფებოდა უმაღლეს საკაცობრიო ცოდნის მწვერვალებს, იმას გარდა, რომ საბერძნეთში იგზავნებოდა ქართველი ახალგაზრდობა განათლების მისაღებად და აქ კიდევ შინ არაბულ და სპარსულ ლიტერატურას უშინაურდებოდა, სად მოსჩანდა ამისი კვალი XIX საუკუნის მწერლების ნაწერებში? ან მაშინდელი სამეფო წესწყობილების ანარეკლი, თუნდაც, მაგალითად თამარ მეფის დროს, განსაკუთრებულ „კარავში“ დამუშავებული კონსტიტუციის დებულება მაშინდელ მოწინავე პირთა და მცოდნეთაგან. ეს იმ დროს, როდესაც ინგლისს თავის „ხარტია“ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული და ბევრი სხვა სამაო წამოწყებანი.

ან საიდან გაჩნდა რუსთაველი? ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდა თუ მას თავის სახლში, თავის სამშობლოში არ ჰქონდა მომზადებული ნიადაგი თავის გენიოსობისათვის.

ყველა ამაზე ვწუხდი ჩემებურად და აფორიაქებული ვიყავი. მართალია, ახალგაზრდობაშივე გადაკითხული მქონდა დაბეჭდილი ისტორიული თხზულებანი როგორც ძველი, ისე ახალი: „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი, დიმიტრი ბაქრაძე, მოსე ჯანაშვილი, ცამციევი-ძამაშვილიც კი, მაგრამ, ჯერ ერ-

თი, ბელეტრისტის მუშტრისთვალით არ ვუკვირდებოდი იმას, რაც საჭირო იყო და მეორე კი, სანამ ჩვენმა სახელოვანმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა არ გამოაქვეყნა თავისი ნაშრომები, მანამ კიდევ არა მქონდა ჩვენი წარსულის თვისება კარგა წარმოდგენილი.

რაღა თქმა უნდა, რაც მე აქ ზემოთ ჩამოვთვალე იმის აღწერას, მაშინაც ვგრძნობდი, რომ ვერ შევძლებდი, მაგრამ სადმე ერთი საყურადღებო ეპიზოდის გამოჭერას კი ვლამობდი.

და აი თამარ მეფე და მისი ხანა.

ამ დროს უკვე დიდად მოკეთებული, გაძლიერებული, მორჭმული და სახელოვანი ბიზანტია ისტორიულ პირობების გამო უკვე ჩამოქვეითებული იყო და არაბეთსაც თავისი ძველი გავლენა აღარა ჰქონდა. ამ დროს კი საქართველო თავისი კულტურისნობით და სამხედრო ძალღონით უკვე დიდად შესამჩნევი იყო. ამისთანა ხანა გვქონია ქართველებს და ამას ყურადღება არ უნდა მიექცეს? მერე კიდევ თამარის დროს მეტად საყურადღებო ეპიზოდს წავაწყდი, თამარის გათხოვების საკითხს, რასაც მოყვა ტრაგიკული ბედი იური დოლგორუკისა.

როგორც იტყვიან შემოვიწყვე საჭირო წიგნები, შევაწუხე ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ჩემი შეკითხვებით: რა ტანისამოსი ეცვათ მეთორმეტე საუკუნეში ქართველებს — ფეოდალებს, ვაჭრებს, გლეხობას, მეომრებს; რას სვამდნენ, რას ჭამდნენ, როგორ ილხენდნენ, როგორ ცეკვავდნენ, როგორ მღეროდნენ, როგორი საკრავიერები (თვითონ ჯავახიშვილის ტერმინია) ჰქონდათ და სხვ. ისიც ჩვეულებრივი თავაზიანობით და დაუზარებლად იძლეოდა ხან ზეპირ პასუხს და ხან მიმითითებდა აქა და აქ, ამ მანუსკრიპტში მიიღებ ახსნა-განმარტებასო. აგრეთვე ვაწუხებდი მოხე ჯანაშვილს და თბთქმის ყველა საომარი იარაღების სახელწოდებანი მან მომაწოდა, განსაკუთრებით ისრებისა, რაც ჩე ჩემ რომანში უხვად მაქვს წარმოდგენილი. არქივებშიდაც მომიხდა მუშაობა და ასეთი გარჯითა და მეცადინეობით თითქმის მთელი ათი წელიწადი ვწერდი ამ ნაწარმოებს, დაბეჭდვის შემდეგ რომანმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა და უმეტესობას უკვირდა, ნუ თუ ამისთანა წარსული გვქონდაო? ბე

კი გულში, როგორც ყველა ავტორს, მახარებდა ჩემი ნაწერის ასეთი გულთბილი მიღება, მაგრამ განსაკუთრებით ის, რომ ახალგაზრდობას მივეცი საშუალება აღძროდა ინტერესი თავის სასახელო წარსულისადმი, ჩემზე უფრო კარგად შეესწავლა და ეამაყა თავის წარსულით.

მხოლოდ ახლა, ბოლო ხანებში, ერთი-ორი სამი წელიწადია, რაც ზოგიერთი კრიტიკოსი მოუბრუნდა ამ რომანის გარჩევას და მე ვფიქრობ დაუკვირვებლობის გამო დამიწუნა მთელი მიმართება რომანის შინაარსისა, ამას სამწუხაროდ აჰყვა ზოგიერთი პიროვნება და მხარი დაუჭირეს ასეთ გამოხდომებს. ამას იმიტომ ვამბობ ასე თამამად, რომ ერთმა პიროვნებამ, როდესაც მწერალთა კავშირში მორიგ კრებაზე არჩევდნენ ამ ჩემ რომანს და მე ჩემ საპასუხო სიტყვაში გამოვეკამათე მომხსენებელს, შესვენების დროს მკითხა: „კუზმა რუსი მართლა გყავთ გამოყვანილიო“. მე დიდი ბოდიშით მოვახსენე, რომ არ გქონიათ წაკითხული მეთქი და ასე... ბევრი რომანის წაუკითხავად მაკრიტიკებდა.

მთავარი ბრალდება ის იყო, რომ მე რუსეთის სასიკეთო გავლენა საქართველოზე არ აღვნიშნე, თუ ვერ აღვნიშნე, და თითონ საქართველოს მაშინდელი მდგომარეობაც მეტად შელამაზებულად მქონდა აღწერილი.

ჩემი პასუხი მაშინაც ეს იყო და დღესაც ეს არის, რომ მე არაფერი შელამაზებული არა მაქვს, არამედ ყველა ჩემ მიერ გამოყვანილი მოვლენები და საბუთები ისტორიულ დოკუმენტებზეა დამყარებული, რადგან მე გარდა ქართული წყაროებისა, ამ ეპოქის გარშემო, გადაკითხული მქონდა რომანის დაწერის დროს ბიზანტიური, არაბული, სომხური, რუსული და სხვა დოკუმენტები, რასაკვირველია, ყველა თარგმანებში და აქედან ჩემს მიერ დიდის მოკრძალებით აშენდა, ასე ვთქვათ, ეს ჩემი ბელეტრისტული „კოტეჯი“. რაც შეეხება რუსეთის გავლენას მეთორმეტე საუკუნეში, საქართველოსთან დამოკიდებულობის დროს, რაღა თქმა უნდა, სრულიად არ იგრძნობოდა, რადგანაც მაშინ რუსეთი არ იყო გაერთიანებული ერთ სახელმწიფო ერთეულად, არამედ იყო დაწაწილებული ანუ, ომერულად რომ ვთქვათ „დაწიწილაკებული“ პატარა-პატარა სამთავროებად: პსკოვისა, ნოვგოროდისა, ბოგრლუბოვოსი და სხვ. ასე რომ, მაშინ რუსეთს არ

შეეძლო გავლენა მოეხდინა სხვა სახელმწიფოებზე არც თავის კულტურით და არც თავისი მეომრული ძლიერებით. როგორც ზემოთ ვთქვი, მაშინდელი მთელი კაცობრიობის ყურადღება მეტწილად ბიზანტიაზე, არაბეთზე და საერთოდ აღმოსავლეთზე იყო მიპყრობილი. ასე რომ, ჩემ რომანში ამ მხრივაც ისტორიულ სიმართლისთვისაც არ გადამიხვევია. მე მგონია, რომ დავაჯერე აუდიტორია, რადგანაც მომხსენებელს საპასუხო სიტყვა აღარ უთქვამს და არც არავის ჩემი პასუხის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია.

მოკლედ ასეთია ჩემი რომანის „გიორგი რუსის“ დაწერის და ბედის ისტორია.

მას შემდეგ ძალიანაც გამიშინაურა ჩვენმა ლიტერატურამ და მეც შეძლებისამებრ ვბეჭდავდი პატარ-პატარა მოთხრობებს და პუბლიცისტურ წერილებს ჩვენს ორგანოებში.

ეს იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, როდესაც ფართოდ გაიღო კარები ყოველგვარი კულტურული მუშაობისათვის, საქართველოშიც აღორძინდა როგორც ქართული მხატვრული ლიტერატურა ყველა თავის შემავალი დარგებით: პოეზია, პროზა, დრამატურგია, ისე მუსიკა თავის ოპერებით და სიმფონიური ნაწარმოებებით; ხუროთმოძღვრება თავისი ახალი ძიებებით და მიდგომით; ფერწერა და ქანდაკება, რომელთაც გაუჩნდა დიდად ხელოვანი ოსტატები ქართველებიდგან და სხვ.

მე კი განსაკუთრებით დრამატურგიაში ამ დროს შევქმენი „თეთნულდი“, „კაკალ გულში“, „ნაპერწკლიდან“ და სხვ. პიესა „ნაპერწკლიდან“ კი ისეთი პოპულარული გახდა და იმდენად გაითქვა სახელი, რომ გადაითარგმნა რამდენიმე ენაზე და დაიდგა კიდეც მოსკოვსა და ლენინგრადში და რუსეთის სხვა პერიფერიის თვალსაჩინო ქალაქებში, დაიდგა აგრეთვე სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, დაღესტანში, ბელორუსიასა თუ უკრაინაში. არ დადგმულა, მაგრამ გადათარგმნილი კია ჩინურ და ჩეხოსლოვაკურ ენებზე.

სულ ბოლო ხანებში კი, 1957 წელს, კვლავ ბელეტრისტიულ ნაწარმოებით გამოვმზეურდი. ეს არის ჩემი უკანასკნელი რომანი „გვირგვილიანების ოჯახი“, რომელმაც არამც თუ ჩვენში, არამედ თვითონ მოსკოვშიც, ჩვენი დეკადის დროს, მეტად კარგი შეფასება მიიღო და დღეს 85 წლის

კაცს, მართალია, თავდახრილი ჯდომა მიყვარს, მაგრამ როდესაც წამოვდგები და გავიარ, ჩემი დამფასებლების მიერ გამხნევებული, წელში ვსწორდები და ყელი მოღერებული მაქვს.

ეი ეს არის სულ ჩემი ცხოვრების საგზალი მწერლობაში, რომელიც, მე მგონია, ურცხვენლად მიმიყვანს საფლავამდე და მეც ჩემი აღსასრულის დროს ლოცვა-კურთხევას შემოვუთვლი ჩემ სათაყვანო სამშობლოს, მის ნიჭიერს და გონიერ ხალხს. გარეგნულადაც სანიმუშო სილამაზით შემკულს, ცხოვრების სიხალისით აღსავსეს, გამრჯესა და მოწინავეს.

ახლა მინდა გავიხსენო ის გარემოებაც, თუ საერთოდ–მე როგორ ვწერ, როგორი „მარიფათის“ მწერალი ვარ.

როდესაც რაიმე იდეა, თემა დამიპყრობს, ან თუნდა სრულიად უბრალო რამ სიუჟეტი, მაშინ ამის გარშემო დიდხანს ვფიქრობ. მე ამჟამად ვეხები ჩემ მხატვრულ მოცულობით დიდ ნაწერებს, პუბლიცისტიკა კი ეს საყოველდღიურო ამბავია.

დიდხანს ვფიქრობ, ზოგჯერ წლობითაც კი და რაკი თავში ჩამეჭდობა იდეა, ჩემი ფიქრი სულ ამის გარშემო ტრიალებს, სულ ერთია მარტო ვარ, თუ საზოგადოებაში, ჩემ გარშემო ქვეყნია, ლხინი და მოლხენა, თუ გლოვა და ტირილი, უბრალო შეხვედრის დროსაც მეგობრებთან, ნაცნობებთან, რასაკვირველია, მხარს ვუჭერ მათ გასაუბრებას, მაგრამ ჩემი სახის გამომეტყველება სადღაც სხვაგან მაინც არ გამიქრების. ვერავინ ვერ შეამჩნევს, თუ რაღაც საკუთარ დიდ ფიქრს მოუპყრივარ.

ერთხელ ვწერდი: ჩემ თითებს ვერასოდეს ვერ ნახავთ მელნით დასვრილს, როგორც ეს წვრის დროს ზოგიერთებს ემართებათ ხოლმე, ასე რომ ვერავინ ვერ იტყვის ამ მხრივ, რომ მე მწერალი კაცი ვარ, აგრეთვე აქაც ვერავინ იტყვის, რომ მე მოაზროვნე კაცი ვარ. მართალია, თითქოს უფრო მოღუშული სახე მაქვს, მაგრამ სხვები ამბობენ, შალვა მუდამ იღიმისო, უდარდელი კაციაო და ეს უფრო მაშინ მემჩნევა, როდესაც ჩოხა-ახალუხით ვარ გამოწყობილი.

ასეთი მატყუარა კაცი ვარ და აი გავიდა წლები: ჩემი იდეა თითქოს უფრო მომწიფდა და მეც ჩემ თავს ჩემ გუნებაში უფრო ვარწმუნებ, რომ ეხლა შემიძლიან წერაც და-

ვიწყო მეთქი და სადაც უნდა ვიყო, მივუჯდები მაგიდას, შეიძლება ფანჯარასაც და ირგვლივ რაც უნდა ხმაური იყოს, ვაი უშველებელი, მე ხელს ვერ შემიშლის. ის კი არა, ასეთ წერის დროს, რაიმე გარეშე კითხვით თუ მომმართა ვინმემ, მე მზამზარეულ პასუხს ვაძლევ, ამის შემდეგ კვლავ ჩემ საწერს განვაგრძობ.

წერით კი ძალიან ჩქარა ვწერ და წლობით მოფიქრებულ თხზულებას ხშირად რამდენიმე თვეში ვათავებ. იმავ დროს ჩემი ნაწერის შავს, საკვირველია, მაგრამ არასოდეს არ ჩავასწორებ ხოლმე. პირდაპირ ჩემ შავს გადავცემ რედაქციას ან გამომცემლობას.

დიდად გარცებული შევიქენი, როდესაც გავიგე, რომ ლევ ტოლსტოიმ თვითონ, თავის ხელით თექვსმეტჯერ გადაწერა მისი დიდებული რომანი „ომი და მშვიდობა“. ამას გარდა ცნობილია, რომ ლევ ტოლსტოი, მისი ნაწერის განაბეჭდებს რომ მიუტანდნენ კორექტურისათვის იმდენ რამეს ჩაასწორებდა და ჩაუმატებდა, რომ ასოთამწყობები ჯავრობდნენ თურმე — ეს რა დიდი სამუშაო მოუციაო. ასე იქცევიან თურმე სხვა დიდი მწერლებიც როგორც უცხოეთში, ისე ჩვენშიაც. მე კი ამ მხრივ დაჩაგრული კაცი ვარ. ეტყობა, რომ არა ვარ მაღალი დონის მწერალი. რაც შეეხება ჩემ სიჩქარეს წერაში და საერთოდ ჩემი ნაწერის გამოქვეყნებისას მეგობრები და ამხანაგები დიდად გაკვირვებულები იყვნენ: ზოგჯერ მართლა უდარდელ კაცად მივაჩნდით, პირდაპირ ვთქვათ — ქარაფშუტად და ამიტომ არც ჩემი აზროვნებისა სწამდათ რამე. ისე კი ამხანაგები თითქოს მეხუმრებოდნენ: „შალვა, როდის ასწრებ წერას, სულ სარდაფებში ხარ, რესტორნებში, ჩაის ჭიქით ხელში ღვინო გიჭირავს, როგორ ახერხებ ამასო?“.

და იყო ერთი ხორხოცი.

აქ უსეც გამახსენდა და უნდა ვთქვა, განსაკუთრებით ახალგაზრდობისას მსახიობებს არ სწამდათ ჩემი მსახიობობა, გაიძახოდნენ — რა მსახიობია, რას გვეჯაჯგურება, ეგ უფრო მწერალია და დაჯდეს და წეროსო. მწერლები კი ამბობდნენ — რა მწერალია, ხომ მსახიობობს და დარჩეს მსახიობად, ამ მწერლობას რას ეძალებაო. და ასე კინალამ აკაკის იგავარაკის გმირად გამხადეს ზოგიერთის თვალში, ხომ გახსოვთ:

„ერთმა უგნურმა თაგუნამ იუკადრისა თავგობა“. მაგრამ იტყობა, ბოლოხანებში, ჩემი სიცოცხლის ბოლოზე იყოს ამ უწყინარმა გარჯილობამ მათი მოსაზრება გააბათილა.

საზოგადოებრივი სამსახური

ახლა კი ვილაპარაკოთ საერთო ჩემ საზოგადოებრივ სამსახურზე.

ამის სათავეც თბილისში უნდა ვეძიოთ, რადგან მწერლობასთან ერთად თბილისში მომიხდა საპასუხისგებლო სამსახური.

მე თბილისში სანამ საბოლოოდ ფეხს მოვიდგამდი, მარ ოცსა და ოცდაერთი წლების სეზონებში, ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებისაგან, ქუთაისის დასში ხელძღვანელად და რეჟისორად ვიყავ მიწვეული. სეზონი კარგად ძიდიოდა, ვდგამდი უფრო ქართველ ავტორების პიესებს, როგორც ძაგალითად: რამიშვილის „სალომეს ოჯახს“. გერგესელის „ბურუსს“, გულისაშვილის „დრონი მეფობენ“, ჩიმს „ვარაიმს“ და მთელი დასი იმსახურებდა საზოგადოების სიყვარულს და პატივისცემას. იმ დროს შემოვიღე კიდევ წესად, რომ მცოდნე ხალხს წაეკითხა ჩვენთვის ლექციები: თეატრალურ ხელოვნებაზე, დრამატურგიაზე საერთოდ, ევროპიულ თეატრების და კერძოდ საქართველოს ისტორიაზე, მკაფიო მეცნიერებაზე და აგრეთვე ფიზიკურ ვარჯიშობაზე, ფარიკაობა, ცეკვა-როკვა როგორც ევროპიული, ისე აზრუული და სხვ. ამ ზომებმაც გამოაცოცხლა დასის მუშაობა. სწორედ ამ დროს მოხდა რუსეთში გადატრიალება და მენშევიკების მთავრობაც იძულებული შეიქნა კუდაძოძუებული ბრუვით ევროპისკენ გაპარულიყო.

მანამდე რას არ წერდნენ მენშევიკური გაზეთები ბოლშევიკებზე. მათ ბარბაროსობაზე, ადამიანთა დაუზოგავობაზე და დიდად აშინებდნენ ქართველ ხალხს და აგულიანებდნენ მათთან საბრძოლველად, მაგრამ „არ გარდავალს გარდუვალი“ და თებერვლის 25-ს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოცხადდა.

ქუთაისშიაც მამისონის უღელტეხილიდან მოდიოდა ბოლ-

შევიკური ჯარი და, მიუხედავად მენშევიკების წინასწარ დაშინებისა, მათ არავითარი ექსცესები არ მოუხდენიათ, ქუთაისშიაც დაფრთხა ხალხი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თბილისიდან მატარებლით მენშევიკურმა მთავრობამ ჩამოიარა. მათ ჩამოსვლის დროს არავითარი დემონსტრაციები თუ მანიფესტაციები მათ საპატივცემულოდ ქუთათურებს არ მოუწყვიათ, ისე უმნიშვნელოდ, ჩაილულის წყალივით გადნა მენშევიკური ხელისუფლება. მათ წასვლის შემდეგ ბოლშევიკებისადმი შიშის გამო დაიკეტა ბაზარი, დუქნები, დაწესებულებები. თითქო ქალაქი ცოცხალ ადამიანებისაგან დაცარიელებულიყოს.

მსახიობებმაც, რასაკვირველია, შევწყვიტეთ წარმოდგენები. ვიფიქრეთ იმაზე, თუ მოსალოდნელი შიმშილისაგან თავი როგორ დაგვეღწია. ამისათვის შევადგინეთ მცირე კომისია ცნობილ მსახიობის ალექსანდრე იმედაშვილის მეთაურობით, რომელმაც გაგვიჩინა სურსათ-სანოვაგის პირველ ხანად ერთი კვირის მარაგი მაინც. ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვიყავით.

ბოლშევიკების ჯარი შემოვიდა ქალაქში და გამოცხადდა, რომ ქუთაისის ქალაქის კომენდანტი არის კოლია წულუკიძეო. თქვენ გახსოვთ ამ ჩემი ნაწერიდანაც საქართველოში რას წარმოადგენდა კოლია. ყველა გააკვირვა ჯერ მისმა ბოლშევიკობამ და შემდეგ ასეთმა თანამდებობამ. მე კი, ცოტა არ იყოს, გამეხარდა, რადგან ვიფიქრე, რომ როგორმე გწახავ და გავახსენებ ჩვენს ძველ მეგობრობას და ამითი შეძლება თეატრი და დასი მაინც გადავარჩინო, როგორც მაშინ მე მეგონა, ბოლშევიკურ ჯარის უხეშობას მეთქი, მაგრამ მისი ნახვა, ცოტა არ იყოს, ძნელი გამოდგა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ოთხი საათის შემდეგ ქალაქში სიარული აკრძალული იყო თუ რამე საშვი არ ექნებოდა კაცს, მეორე ის, რომ თვითონ კოლია ძალზე მოუცლელი იყო თურმე თავის სამსახურის გამო და იმდენი ხალხი ესია გარშემო, რომ მასთან ახირებულად ვერ მიაღწევდი, მაგრამ გამოვიდა ახალი განცხადება (ასეთ განცხადებებს საერთოდ ქუჩებში თვალსაჩინო ალაგას აკრავდნენ) რომ კოლიას მაგივრად ვილაც ახალი, რუსი იყო დანიშნული და ასე სულ რამდენიმე დლის განმავლობაში თითქმის ყოველ დღე ინიშნებოდა ახალ-ახალი

კომენდანტები, ამასობაში ჩვენ, დასის წევრები, ვიყავით შეკუჭული ჩვენ ჩვენ ოთახებში და იმედაშვილისაგან დილდილობით განწყობილებულ ულუფით ვიკვებებოდით.

ერთხელ შინ ვართ მე და მსახიობი ელო ანდრონიკაშვილი. (მაშინ ის უკვე ჩემი მეუღლე იყო). იქნებოდა სადილობის დრო, რომ ოთახის კარებზე დაგვიკაკუნეს. გავაღეთ და დავინახეთ, რომ ახალგაზრდა რუსის ჯარისკაცები კარს მოგვდგომოდა, არ ითქმის, რომ მაინცდამაინც გვესიამოვნა მათი მოსვლა, რადგანაც ხმა იყო გავრცელებული, რომ ადამიანებს ოჯახში უხტებიან ბოლშევიკები, ოჯახს აუფორიაქებენ და სრულიად უმიზეზოდ ატუსაღებენო კიდეც, ხოლო თუ ვინმეს ჰალსტუკიანს ნახავენ, იქვე მიახვრეტენ ანუ თავს წააგდებინებენო, მაგრამ ჩვენი სტუმრები ძალიან თავაზიანად და პირზე ღიმილით შემოვიდნენ ჩვენთან, გაჩერდნენ შუა ოთახში, მათ შორის ყველაზე უმცროსმა ოთხივე კედელი მოათვალიერა, თვალების მეტყველებაზე შევატყვე, რომ ხატს ეძებდა პირჯვარის დასაწერად. ამანაც, ცოტა არ იყოს, გულში გამაცინა და თან დამამშვიდა. მივხვდი, რომ ჩვენს ასაკლებად არ იყვნენ მოსულნი. ერთმა მათგანმა მოითხოვა კიდეც — არაყი არა გაქვთო, მაგრამ ელომ მაშინვე მოუტრიალა პური, ყველი, რაღაც შეჭამადი და ერთი ბოთლი ღვინო, მშვენიერად შეექცნენ, მადლობა გვითხრეს და წავიდნენ.

ასეთი მათი საქციელი გადავეცით ჩვენი დასის წევრებს და მათი აფორიაქებული გუნებაც დამშვიდდა. იმავ დღეებში უეცრად მოვიდა ერთი ახალგაზრდა რუსის ჯარისკაცი და მკითხა, თეატრის რეჟისორი თქვენა ხართო? მეც დავუდასტურე. მაშინ მან შეუვალად გამომიცხადა: მე უნდა წამომყვეთ, კრებაზე გიბარებენო. მე და ელომ ერთი მეორეს გადავხედეთ, მაგრამ წაუსვლელობა „არ ეგებოდა“ და მეც წავყევი ჯარისკაცს. ჯარისკაცმა მიმიყვანა იმ შენობაში, სადაც წინეთ შავიქვის მრეწველთა საბჭო იყო მოთავსებული და ერთ დროს გიორგი ზდანევიჩი და კიტა აბაშიძე თითქმის მთელი იმერეთის კულტურულ საქმიანობას უდგნენ სათავეში.

ამ შენობაში რომ შევედი, უკვე კარგა ბლომა ხალხი იყო თავმოყრილი. აქ იყო იმ ინტელიგენციის ნაწილი, რომელ-

საც ვერ მოესწრო გახიზვნა ქუთაისიდან და ამჟამად ახალი ხელისუფლების განკარგულებაში იყო მოქცეული. მე რომ მოვედი, კრება არ იყო დაწყებული, მაგრამ კიდევ რომ შემოგვემატნენ, მაშინ წამოდგა ერთი ახალგაზრდა ჩერქეზკიანი კაზაკი და კრება გახსნილად გამოაცხადა. თან ურჩია შეკრებილებს, რომ კრების თავმჯდომარე აერჩიათ. თან ესეც დააყოლა — მე გირჩევთ თქვენი საყვარელი, საზოგადო მოღვაწე და თეატრის რეჟისორი შალვა დადიანი ამ კრების თავმჯდომარედ აირჩიოთო. მე გავცბუნდი, გამაკვირვა ჩემმა დასახელებამ მაშინ, როდესაც ამავე კრებას ესწრებოდნენ ქუთათური ჩემზე გამოცდილი საზოგადო მოღვაწეები. და გამაკვირვა იმანაც, თუ საიდან მიცნობდა ეს კაცი. ამ დასახელების შემდეგ დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა და ისევ ამ კაზაკმა აიმაღლა ხმა: „ეტყობა, სხვა კანდიდატები არა გყავთ, მაშ ვინც დადიანის მომხრე ხართ, ხელი ასწიეთო“. დამსწრეებმა ხელი ასწიეს, მაშინ მოვიდა ჩემთან კაზაკი, დამსვა სათავმჯდომარეო სკამზე, თვითონაც გვერდით მომიჯდა და დაბალი ხმით მითხრა: „მე პოლიტხელი ვარ აქ ჩამოსული ჯარისა და მინდობილი მაქვს, რომ გავაცნო ხალხს ჩვენი პროგრამა ხელოვნების დარგში და თბილისში გასაგზავნად ხელოვანთა პროფკავშირის ყრილობაზე დელეგატი ავირჩიოთო. ამას ყველაფერს გამოუცხადებთ ხალხს და შერე სიტყვას მე მომცემთო“. მე გულში მაკვირვებდა ესეთი სიჩქარე კრების წაყვანისა და მოქნეული მუშაობა, მაგრამ დავალებული მაინც შევასრულე.

კაზაკმა დიდხანს ილაპარაკა, თუ როგორი შეხედულების არის პარტია საერთოდ უპარტიო ხალხის დამოკიდებულებაზე პარტიასთან, საერთო მუშაობის წარმართვაზე და განსაკუთრებით ლიტერატურის და თეატრის წარმართვაზე. მისმა საუბარმა გამოიწვია კამათი, მაგრამ ის არც ერთ შეიშვნას არ იზიარებდა და პირდაპირ დიქტატურულად ამტკიცებდა თავის დებულებებს. როდესაც დამსწრენი სიტყვას თხოულობდნენ და მოლაპარაკეთა სია კარგა გაიზარდა, კაზაკი ისევ წამოდგა და გამოაცხადა: „ჩვენ დისკუსია კი არა გვაქვს დღეს ამ საკითხზე, არამედ მე გაგაცანით პარტიის შეხედულება და მისი გადაწყვეტილება და ჩვენც ამას უნდა დავემორჩილოთო“ ამაზე ხმა არავის ამოუღია. კაზაკმა კი განა-

ცხადა ახლა გადავიდეთ მეორე საკითხზეო და თბილისში წამსვლელი დელეგატი ავირჩიოთო, ჩემი მხრით ვასახელებ დადიანსო, ცოტა შეჩერდა, მერე იკითხა ვინ არის წინააღმდეგიო. ხმა არავის ამოუღია, ისევ იკითხა ვინ არის მომხრეო და... ამირჩიეს.

მივხვდი, რასაკვირველია, იმისათვის კი არ ამირჩიეს, რომ მე ვჯობდი სხვებს, არამედ უფრო იმიტომ რომ მაშინ არავინ იცოდა ბოლშევიკების დამოკიდებულება „ამ საქმისადმი“ და... მე გამწირეს.

კაზაკი ძალიან მხიარულ გუნებაზე დადგა და მითხრა ამ ორ საათში მე და შენ მატარებლით თბილისში უნდა წავიდეთო.

მე მაინც მაკვირვებდა ასეთი სწრაფი გადაწყვეტილება საკითხებისა: ერთი, ორი, სამი! და არავითარი გაჭიანურება კრებისა და კამათისა, საქმე მორჩომილი იყო. კრების შემდეგ კაზაკმა გამომიცხადა — შენ დასს განკარგულება მიეცი, რომ წარმოდგენები გაანაახლოს და ამას გარდა ნება დართეთ, რომ ჩვენი ჯარის დრამატულმა წრემ თქვენს თეატრში წარმოდგენები გამართოსო. ჩემთან წამოდი მარტო შენ. მე ვიცი, რომ შენს ზოგიერთ არტისტს უნდა თბილისს გამგზავრება, მაგრამ ამის ნება არ მისცე, დელეგატი მარტო შენა ხარ და შენ უნდა წამოხვიდეო. მაშინ ძალიან ანგრეული დრო იყო, — მენშევიკები წავიდნენ და საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა საქართველოში, მაგრამ საერთოდ სახელმწიფო აპარატი მოშლილი იყო. მათ შორის რკინიგზაზე მსვლელობაც. იმ დროს ბათუმში წარმოებდა ინსმალებთან ომი და ბოლშევიკების მცირე ნაწილმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ შემოსეული მტერი მაინც ქართველების არალეგალურმა რაზმმა დაამარცხა, ამ ომის დროს კი ბევრი იყო დეზერტირი, მათ შორის რუსის ჯარის ნაწილებიდანაც ცალ-ცალკე მოიპარებოდნენ ბათუმიდან. რაკი რკინიგზა არ მუშაობდა ზოგი მათგანი რჩებოდა ოზურგეთში, სამტრედიაში, ცხაკაიაში, ზოგი ფეხით მიდიოდა თბილისისკენ სანამ, შემთხვევით, თბილისისკენ მიმავალი საბარგო მატარებელი არ შეხვდებოდა, მაშინ ეს გამოპარულები შეესეოდნენ მატარებელს და იყო ერთი ვაი უშველებელი მათ და მატარებლის მოსამსახურეთა შორის.

კაზაკმა ჩვენც ასეთი საბარგო მატარებლით წამოგვიყვა-

ნა ქუთაისიდან. ამ მატარებლით ჩემს გარდა მოდიოდნენ: მარიამ ორახელაშვილი, ბუდუ მდივნის ცოლი (მენშევიკების მიერ დატუსაღებულნი და ამჟამად განთავისუფლებულნი ბათუმის სატუსაღოდან), პოეტი საშა აბაშელი, სოლომონ ახვლედიანი და კიდევ სხვა ინტელიგენტები, რომელთა სახელები არ მახსოვს. კაზაკმა იკისრა ჩვენი მატარებლის კომენდანტობა და დეზერტირებს ჩვენთან არ უშვებდა, ერეკებოდა. თან უცხადებდა, რომ ის არის კომენდანტი ამ მატარებლისა და მიჰყავს თბილისში საქართველოს ახალი მთავრობა. მე და აბაშელი ჩუმჩუმად ვიცინოდით, რომ კაზაკმა ორთავენი „მოგვათავსა“ საქართველოს მთავრობაში, საერთოდ მხიარულად ვმგზავრობდით, კაზაკიც ხშირად გვაკითხავდა ხომ არაფერი გჭირდებათო, მაგრამ ზესტაფონამდე მაინც სამი დღე ვიარეთ, ზესტაფონშიაც კარგა ხანი შეგვაჩერეს და სადგურის პერონზე ჩასვლის ნება არ მოგვცეს, მაგრამ ჩვენ მაინც გავსწიეთ საბარგო რონოდის კარები განზე და იქიდან მივჩერებოდით სადგურს; არც იქ ჩანდა ვინმე მოარული ან მგზავრი, მაგრამ უეცრად ჩვენ წინ გაჩნდა პოეტი ღვანკეთელი რკინიგზელის ფორმაში წითელი ქუდით (მაშინ ზესტაფონის სადგურის უფროსი იყო), რომ დაგვინახა მოგვესალმა და თან ხმამაღლა დაიწყო ყვირილი: „რა გვიქნეს ამ ოხრებმა, მთელი ქალაქი გაგვიჩანაგეს, ოი, წყეულები, წყეულები“. უმატა და უმატა ყვირილს. წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე დავდგებოდით ვინც რონოდაზე ვიყავით გადამდგარი, ზოგიერთ ჩვენგანს შეეშინდა და მიიმალ-მოიმალნენ, მე და საშა კი მაინც ვეკითხებოდით სხვადასხვა რამეს, რომ ხელი შეგვეშალა მისი ენაწყლიანობისათვის, საშამ ჰკითხა კიდეც: „სხვა როგორა ხარ, ვარდენ, ხომ ყოჩაღად ხარო“, მაგრამ კიდევ უარესი გამოვიდა. იმან გაჯავრებულმა უპასუხა „რაღა ყოჩაღად, ჩემო საშა, გუშინ დილით ჩემი ძმა დამიხვრიტეს ამ წყეულებმა“ მოყვა და მოყვა, მაგრამ ამ დროს ვარდენთან ვილაც რკინიგზელი მივიდა, რაღაცა უთხრა და წაიყვანა. არ გასულა დიდი დრო და ჩვენი მატარებელიც დაიძრა. ვარდენმა კი მიმავალი ჩვენი რონოდა რომ დაინახა, ქუდი მოისვლიპა და დიდხანს გვიკრავდა თავს.

წავედით.

თბილისში დიდ შეკრებილებაში მოვხვდით. აქ იყვნენ

მწერლები, არტისტები, და საერთოდ ხელოვნები. მათ უკვე ჩაეტარებინათ ხელოვანთა კავშირის ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელობის არჩევნები. თავმჯდომარედ აერჩიათ ვალერიან გუნია. ახლა კი იმის საკითხი იდგა თუ განათლების კომისარიატიდან ახლად ჩამოყალიბებულ ხელოვნების სამმართველოში ვინ უნდა აერჩიათ რესპუბლიკის თეატრების გამგედ, სხვა სექტორების გამგეები უკვე არჩეულნი იყვნენ: მუსიკის განყოფილებაში მელიტონ ბალანჩივაძე, ლიტერატურაში — საშა აბაშელი და მხატვრობაში — გრინევსკი. ამ ყრილობას ხელმძღვანელობდა განათლების კომისარი და დამხმარეებად ჰყავდა ცეკას წარმომადგენელნი ლევან ღოღობერიძე და არჩილ მიქაძე. აი ამათ წამოაყენეს ჩემი კანდიდატურა, სხვებიც იყვნენ მსურველები ამ თანამდებობის მიღებისა, მაგრამ ზემდგომმა ორგანოებმა რატომღაც ჩემს კანდიდატურას დაუჭირეს მხარი.

ამგვარად, პირველად ჩემს სიცოცხლეში, გავხდი სახელმწიფო სამსახურის კაცი. მე სრულიად გამოუცდელი კაცი ვიყავი ასეთ სამსახურისათვის, მაგრამ განა მარტო მე? მთელი ქართველობის ის ნაწილი, რომელიც მაშინ ჩაება საბჭოთა სამსახურში, აგრეთვე, გამოუცდელები იყვნენ, რადგან ჩვენ ვიცნობდით მხოლოდ ბოლშევიკების მთავარ იდეას, მაგრამ არ ვიცოდით თუ ეს იდეა სამსახურის წვრილმანებში როგორ გამოგვეყენებინა.

ამისათვის ჩვენ მოგვიჩინეს დასახმარებლად ჩამოსული რუსი კომუნისტები, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგი მათგანი პარტიასთან მიტმასნილები აღმოჩნდნენ, ამისათვის ბევრი შეცდომებიც გვქონდა, ზოგჯერ ისეთი გასაოცარი წინადადებები გვეძლეოდა, რისი განხორციელებაც ჩვენთვის მიუღებელი იყო.

მაგალითად: ჩვენი წინადადება დაისვა, რომ ქართული სტამბო შრიფტი და საერთოდ ქართული ანბანის გამოსახულება უკუგვეგდო და სამაგიეროდ შემოგვეღო ლათინური, ამან ჩვენი დიდი აღშფოთება გამოიწვია, რადგან ცნობილია, რომ ჩვენი ანბანის ბგერები სხვებზე უფრო სრულყოფილია და თან მარტივი: რაც გვწერია ისე იკითხება, არა გვაქვს „მოღალატე“ ანბანები, როგორც ზოგიერთ სხვა ენაში, განზე რომ გახტებიან და სულ სხვა ბგერებს გამოსცემენ, ამასთან ქართული ანბანის მოყვანილობა ერთობ მხატვრული რამ არის

და არ არის სიმარტივე თუნდა ლათინურივით. ჩვენ იძულებული ვიყავით მიგვემართნა ზემდგომ ორგანოებისათვის და იმათ ეს წინადადება უკუაგდეს.

ამას გარდა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე დაარსდა ტელეგრაფის სააგენტო, სადაც ოფიციალურ ცნობების გარდა, ქვეყნდებოდა საქართველოსათვის სრულიად მიუღებელი ცნობები, მაგრამ ესეც ზემდგომ ორგანოების მეშვეობით თანდათანობით მოისპო.

ერთი სიტყვით ისეთი დრო იყო, რომ ყველა დარგში ყველაფერი ახლებურად უნდა გაკეთებულიყო. ჩემის აზრით კარგი ის იყო, რომ დაარსდა გაზეთი „კომუნისტი“ ქართულ ენაზე და რუსული „ზარია ვოსტოკა“, რომლებიც უფრო გახაგანებით და პარტიული სისწორით აშუქებდნენ საჭირო საკითხებს, ამასთანავე გახსნეს ქართული დრამატიული თეატრი და მის კომისრად დანიშნეს ცნობილი ქართველი მახიობი იუზა ზარდალიშვილი, რომლის ინიციატივით და შუამდგომლობით რუსული თეატრის შენობას ეწოდა რუსთაველის სახელობის თეატრი. აგრეთვე ამუშავდა ოპერის თეატრი, რომლის დირექტორადაც დააყენეს მაშინ ცნობილი თეატრალური მოღვაწე და მუსიკის კარგი მცოდნე კოლია ქართველიშვილი.

იმავ დროს თბილისში გასტროლებზე იყო ჩამოსული რუსული დრამა, რომლის მთავარი რეჟისორიც იყო კოტე მარჯანიშვილი. ქართული დრამატიული თეატრი არც თავის რეპერტუარით და, არც სასცენო ოსტატობით ვერ აკმაყოფილებდა იმ დროის მოთხოვნილებებს, ამისათვის შედგა რამდენიმე კრება მთავრობის წარმომადგენელთა თანდასწრებით და საქმის გამოსასწორებლად და განსაახლებლად მიიწვიეს კოტე მარჯანიშვილი. ის იმ დროს უკვე ცნობილი იყო, როგორც ერთი უნიჭიერესთაგანი რეჟისორი და თეატრის ხელმძღვანელი მთელ რუსეთში და ამიტომ მისი ქართულ სცენაზე გადმოსვლა, რასაკვირველია, ყველასათვის სასურველი იყო.

როგორც ვიცით, განსვენებულმა კოტემ სავსებით გაამართლა მასზე დამყარებული იმედები და პირველივე სპექტაკლით „ფუენტე ოვე-ხუნა“ (ცხვრის წყარო) გამოიწვია დიდი აღტაცება და თან დიდი შეხლა-შემოხლაც, სწორედ ამ ხანად

დასაწყისში ძყოფნა ახალგაზრდობამ ჩამოაყალიბა ერთგვარი წრე, სახელწოდებით „დურუჯი“ და მისმა ცოტა არა მართებულმა მანიფესტმა და გამოსვლამ გამოიწვია დიდი პოლემიკა.

ამ პოლემიკაში მეც ჩავერიე. თეატრის განახლებასა და კარგ ოსტატობას სულით და გულით მეც მივესალმე, მხოლოდ ქართული თეატრის ძველი ტრადიციებისა და წინანდელი მოღვაწეების დაწუნება უმართებულოდ მივიჩნიე, ყოყლოჩინობა დავუწუნე.

პირველ ხანებში, როგორც ვთქვი, მე განვაგებდი თეატრალურ განყოფილებას, მაგრამ იმავ დროს მე მებარა კინემატოგრაფიის საქმეების წარმართვაც, კინემატოგრაფია მხოლოდ ერთი ორი წლის შემდეგ გამოგვეყო. ასე რომ, მანამდე დიდათ დატვირთული ვიყავ სამსახურით: ცალკე თეატრების და ცალკე კინემატოგრაფიის საქმეებით. კინემატოგრაფიაში ჩემი უფროსობის დროს დაიდგა „არსენ ჯორჯიაშვილი“ (გრიაზნოვის მკვლელობა) და „სურამის ციხე“, პირველის რეჟისორი იყო ბარსკი და მეორისა ივანე პერესტიანი, შემდეგში დიდი მოამაგე ქართული კინემატოგრაფიისა. ამ რეჟისორებმა ორთავ ამ სურათში მეც მიმაღებინეს მონაწილეობა ეპიზოდურ როლებში. ერთ დროს კიდევ მელიტონ ბალანჩივაძე ქუთაისს გადაიყვანეს იქაურ ახლად გახსნილ მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად და მუსიკალური სექტორის ხელმძღვანელობა მე მომანდვეს. ასე რომ, როგორც ზევითაც მაქვს ნათქვამი, მაშინ მართებულად დაიცინებოდა პატივცემული კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი: „რა იცის შალვამ მუსიკის? კონტრაპუნქტიც არ იცის რას ნიშნავსო“.

ისე კი მთლიანად განათლების ხელოვნების განყოფილებაში მცოდნე ხალხს ჰქონდათ თავი მოყრილი; განყოფილების უფროსად იყო სეონ თოხაძე.

ეს სეონ თოხაძე იყო მართლადაც ნათელი პიროვნება. უბიწო, ჭეშმარიტი პატიოსანი და კარგი ქართველი. მართალია, ის ხელოვნების საქმეებში კარგად ვერ ერკვეოდა, მაგრამ საკითხებს წინასწარ რაც შეიძლება დაწვრილებით ეცნობოდა და ამას გარდა გამოცდილ და სპეციალისტ ხალხს ეკითხებოდა, თან დადგენილებებსაც უცებურად არ გამოიტანდა; დიდი სიყვარულიც ჰქონდა დამსახურებული თანამშ-

რომლებსა და საზოგადოებაში, მაგრამ ბევრის გაკეთება არ დასცალდა, რადგან კუჭის წყლულით იყო დაავადებული და ამან უდროვოდ მოუღო ბოლო.

სამხატვრო ნაწილს განაგებდა მხატვარი გრინევსკი, რომელიც თითქმის გაქართველებული იყო. კარგად იცნობდა ქართულ ყოფა-ცხოვრებას და ერთ დროს საუცხოვო რეალისტური ილუსტრაციები გაუკეთა ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებებს. მეტად კეთილი კაცი იყო, ზუსტად შემსრულებელი მასზე დაკისრებულ მოვალეობისა. თან თითქო უსიტყვო კაციც იყო, ჩუმი და მოკრძალებული, მაგრამ ერთხელ ხმა აიმაღლა, როდესაც განათლების კომისარიატის თანამშრომლებს შაბათობა გაგვაუქმართვინეს და მართლაც მიზანშეწონილად არ იყო გამართული ეს შაბათობა. განათლების კომისარიატის ეზოში ეყარა დიდძალი ხარახურა და ნაგავი, იმის მაგივრად, რომ ჩვენ ეს გაგვეწმინდა, წაგვიყვანეს კუკიის სასაფლაოზე, სადაც დახვავებული იყო თუნუქის დაზიანებული ნავთის ჭურჭლები და ეს ჭურჭლები იქვე სასაფლაოს მოედანზე სხვა ადგილას დაგვაყრევინეს. თითქმის მთელი დღე მოუნდით მუშაობას და ყველანი უკმაყოფილო ვიყავით, რომ ეს ჩვენი მუშაობა მიზანს მოკლებული იყო. გაგვახსენდა დოსტოევსკის ნაწერი, სადაც ის იგონებდა, რომ კატორღაში ყოფნის დროს კატორღელებს ხის ფიცრები მოგვცეს გასათლელადო, პირველ ხანს ძალიან გაგვეხარდა, რადგან გვეგონა, რომ კატორღელებს სასარგებლო საქმეს გვაკეთებინებდნენო, მაგრამ როდესაც გავიგეთ, რომ ეს ფიცრები არაფრისათვის არ იყო გამოსადეგი, სრულიად მოვეშვით და მოვდუნდითო. ჩვენც, ხსენებული შაბათობის მონაწილეებს ასე დაგვემართა. შაბათობაზე დილით მივყავდით და საღამოობით გვაბრუნებდნენ, ჯარისკაცებივით ვიყავით გამწკრივებულნი და ერთი ვინმე ნასალდათარი „ერთი ორის“ (Ать, два) ძახილით გვერეკებოდა. ქალაქის მცხოვრებლებში შესცქეროდნენ ამ ჩვენს მსვლელობას და უკმაყოფილოდ თავს იქნევდნენ. ამის შემდეგ, ერთ დღეს გზაში შემხვდა ერთი პატივცემული ქართველი მანდილოსანი და შორიდან დამიძახა „აქ მობრძანდით შალვა, აქ მობრძანდითო!“ ეს ისეთი კილოთი იყო ნათქვამი, როგორც დამნაშავე ბავშვს უფროსი დაუძახებს ხოლმე — აქ მობრძანდი, აქაო! ამ ქალბა-

ტონთან რომ მივედი, არც გამარჯვება მითხრა და არც ხელი ჩამომართვა. პირდაპირ შემომიტია: „შე უბედურო, შენც მოღალატე შეიქენი?“

უნდა გავიხსენოთ, რომ პირველ ხანებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, ამ ხელისუფლებას ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ალმაცერად უცქეროდა და ყველა იმ ქართველებს, რომლებმაც ბოლშევიკებთან თანამშრომლობა დაიწყეს, მოღალატეებათ თვლიდნენ. ამ ქალბატონმაც ასე გამაპინტრიშა.

ჩვენს განყოფილებაში იყო აგრეთვე ჩვენი საყვარელი პოეტი საშა აბაშელი. ვინც კი იცნობდა საშას, ყველა იტყვის, რომ ანგელოზი კაცი იყოო. ის განაგებდა ლიტერატურულ სექტორს და ქართული წიგნების გამომცემლობას ხელმძღვანელობდა. ჩუმი, ხუმარა, დიდად განათლებული, ფრიად მომზადებული, თითქო იოლად აკეთებდა თავის საქმეებს.

დასასრულ ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის შესახებ: მან სამსახურის დროს ბევრი რამ გააკეთა მუსიკის დარგში, რასაკვირველია ზემდგომი ორგანოების ხელისშეწყობით; ეხლანდელი კონსერვატორია, რომელიც მაშინ მხოლოდ მუსიკალურ სასწავლებელს წარმოადგენდა, კონსერვატორიად აქცია თავის პროგრამით და მდგომარეობით. აგრეთვე მეორე მუსიკალური სასწავლებელი, ზაქარია ფალიაშვილის მიერ დაარსებული, კონსერვატორიას შეუერთა. ქუთაისში კიდევ დააარსა სამუსიკო სასწავლებელი, რომელსაც ამჟამად მისი სახელი ეწოდება. იმავე დროს თავისი ოპერა „თამარ ცბიერი“ სავსებით დაასრულა და ორკესტრის ნაწილიც დაამუშავა ჩერეპნინის და ფოცხვერაშვილის დახმარებით, ხოლო როცა ჩვენში დასრულდა ზაჰესის მშენებლობა, ამის შესახებ კანტატა დასწერა, რომლის ტექსტიც პირველად მე დამამუშავებინა. საერთოდ იყო დიდი მუსიკალური ნიჭის პატრონი და საოცარი სმენაც ჰქონდა. ხშირად ვყოფილვართ ერთად სადმე ბაღში და რომელიმე ხის ძირში ფოთლების შრიალი მოუსმენია, რასაც ის ისეთ აღტაცებაში მოჰყავდა, თითქო რომელიმე კომპოზიტორის სიმფონია მოესმინოსო. თან იყო მეტად სამეგობრო კაცი, თავისებური ხუმარაც, ამხანაგებს გვიყვარდა მასთან ჯდომა და საუბარი და ისიც თავის ჭკვიანურის, მაგრამ იუმორით აღ-

სავსე ანეგდოტებით გულიანად გვაცინებდა. მე ახლაც მახსოვს მისი ნამახვილევი ჩემ შესახებ. სწორედ იმ დროს მე ვიყიდე ტყავის ტანისამოსი: ქურთუკი, შალვარი, ქუდი და ფეხსაცმელი სულ ტყავის მქონდა. პირველად რომ ჩავიცვი და სამსახურში მივედი, მელიტონს შევხვდი. მივესალმე და შევეხუმრე: — მელიტონ, არ გეცოდები სულ გატყავებული ვარ მეთქი! მაშინ ერთი ალმაცერად შემომხედა, თვალი ამაავლ-ჩამავლო, შემდეგ კი მითხრა: — ეეე! — შეგვიანებით იცოდა ლაპარაკი — „ყაყარა, შალვა, ვილაცა გაგიტყავებია“.

მაინცდამაინც ჩვენ ყველანი ვეჩვეოდით სამსახურს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთგვარ ინსტრუქტორებად მოგვევლინენ მოსკოვიდან ახალი ამხანაგები. ერთი იყო ტრუნინი რუსეთის ე. წ. „სტაროობრიადელ“ სექტის წევრი, მაგრამ უკვე გაბოლშევიკებული და საერთოდ კარგი განათლების კაცი, მეორე კი ალექსანდრე პოკროვსკი, მეტად ნათელი პიროვნება, პარტიის ერთგული წევრი, რომელიც ახლაც მოსკოვში მუშაობს და განაგებს რუსეთის თეატრალურ საზოგადოებას. მართალია ამ საზოგადოების თავმჯდომარედ ითვლება დიდად ცნობილი ქალი იაბლოჩკინა, მაგრამ სინამდვილეში კი აქტიური გამგე საზოგადოებისა პოკროვსკიაა და კარგი ის არის, რომ დიდი ნდობა და საყოველთაო პატივისცემა აქვს დამსახურებული. ეგ-ორი გვიხსნიდა ჩვენ თუ მოსკოვში როგორ არის მოწყობილი „ნარკომპროსის გგლახაკების“ მუშაობა, თორემ პირველ ხანებში ჩვენი განათლების კომისრები ამ საქმეში გამოუცდელნი იყვნენ და არც ერთ მათგანს ჩვენთვის დაწვრილებით არ განუმარტავს ჩვენი ფუნქციები და არ მოუცია დაწვრილებითი განრიგი.

ის კი არა მე პირადად არ ვიცოდი თუ რა და რა დაწესებულება იყო ჩემი „თეოს“ ქვემდებარე და ერთხელ მომიტივიდა ასეთი „კანფუზი“: რაღაც საქმის გამო ჩვენი ოპერის დირექციას გაუგზავნე ასეთი მიმართვა „გთხოვთ ესა და ეს საქმე გაგვიკეთოთ მეთქი. პოკროვსკიმ, რომ ეს ქაღალდი ნახა, ბევრი იცინა და გამისწორა: „შალვა ნიკოლაევიჩ,ი, შენ მოკითხვის ბარათს ხომ არ სწერ, შენ იმათი უფროსი ხარ და ოფიციალურად უნდა მიმართო“ ასეთი სიტყვებით: წინადადება გეძლევათ და სხვა“.

არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენიო შემდეგი; პირველს ხა-

ნებში ჩვენს თანამშრომლებს არსად ფული არ ეძლეოდათ, არამედ მათ მიცემული ჰქონდათ ულუფის ბარათი და ამის ჭეშხებით ღებულობდნენ სათანადო დაწესებულებებიდან სურსათ-სანოვაგეს, ტანსაცმელს და სხვა ოჯახისათვის საჭირო მასალებს. მხოლოდ როდესაც „ჩერვონეცი“ შემოიღეს, მაშინ ყველანი ფულათაც ვღებულობდით გასამრჯელოს. ზოგჯერ ამ ფულების მიღება იგვიანებდა. თეატრების საწილადო, ჩემი თანამდებობის გამო, მე უნდა დამერიგებინა. ერთხელ ძალიან დაგვაგვიანდა თეატრებისათვის ფულის დარიგება, ერთ საღამოს განათლების კომისარი და მე დავესწარით „კრივოი ჯიმის“ სპექტაკლს. ეს იყო რუსული მინიატურების თეატრი. რომელსაც განაგებდა იმ დროს ესტრადის ცნობილი არტისტი კურიხინი, და აი მე რომ დამინახა, ასეთი სახუმარო ექსპრომტი სტყორცნა:

Я пою не хуже цыганки Анны...
Когда же нам даст денег Дадиани!

მაგრამ ამის შემდეგ მალე მოვიდა ფულები და კომისარმა მიბრძანა, რომ ოპერის თეატრისათვის პირადათ მე წამეღო მათი წილი. ეს უფრო იმიტომ, რომ ოპერაში ხუთასზე მეტი კაცი მსახურობდა და ყველაზე უფრო ისინი „ჭუჭყურებდნენ“. მაგრამ ფულის მიტანა გაჭირდა, მაშინ კი კიდევ ბონები იყო ხმარებაში და ათასი მანეთის ბონს ერთი დიდი ტომარა მაინც ჭირდებოდა. ასე რომ, იძულებული ვიყავი რი დიდი საბარგო მანქანა მექირავებინა და ასე წაულე ბონებით გავსილი ტომრები, როდესაც დაინახეს, რომ მივედი და ფულები მიუტანე, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ცხადია, რომ იმ დღეს ჩემზე უფრო საყვარელი კაცი მათ არ ჰყავდათ.

რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა ჩერვონეცის გამოშვების შემდეგ მალე შეიცვალა და ხელფასის დარიგების საქმე ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

იმავე დროს პერიფერიის თეატრებზე უნდა გვეზრუნა. ქუთაისსა და ბათუმში დიდი ოქტომბრის შემდეგ იქ დარჩენილ მსახიობთაგან მალე შედგა ამხანაგობათა დასები და წარმოდგენები გაჩაღდა, მხოლოდ ჭიათურაში მე მივანდე გაფანტულ დასების შეკრება იქაურ ძველს რევოლუციონერს

და გამოცდილ სცენისმოყვარეს მირიან ჭანიშვილს. აგრეთვე ავამუშავეთ სიღნაღისა და თელავის, აგრეთვე ველისციხის დრამატიული წრეები. რეპერტუარი გვიჭირებდა საქმეს როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში, მაგრამ პირველ ხანად წარმოდგენების დასაწყებათ დიდი სამსახური გაგვიწია ლუნაჩარსკის „მეფის დალაქმა“ და აგრეთვე ჩემმა „როს ნადიმობდნენ“.

ამგვარად თეატრები ამოძრავდნენ და თანდათანობით, შეძლებისამებრ დამაკმაყოფილებლად მიჰყავდათ საქმე.

იმავ დროს მუშაობდა განათლების კომისარიატთან „პროლეტკულტი“, რომელსაც განაგებდა ჩვენი პოეტი სანდრო ეული და ჰყავდა თავისი დასი, რომელსაც რეჟისორობდა ამხ. კობახიძე. შემდეგში ხომ კიდევ უფრო გადახალისდა სათეატრო მუშაობა რესპუბლიკაში — მარჯანიშვილის მეოხებით რუსთაველის თეატრმა დაიჭირა წამყვანი ადგილი და ამასთან მის მიერ დაარსებულმა თეატრმა, რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს, ისეთი სახელი მოიპოვა, რომ ორი თეატრი ცალ-ცალკე გასტროლებზედაც კი იყო გაწვეული მოსკოვსა და კიევში.

იმავ დროს მე ვიყავი მიწვეული სახალხო თეატრში რეჟისორად, სადაც იმჟამად მუშაობდნენ ნიჭიერი და თვალსაჩინო ძალები — ნიკო გოცირიძე, ჯაბაური, მისი მეუღლე, შემდეგში ცნობილი სახალხო არტისტი სოსო რომანიშვილი, მისი და სონია, ვანო მინდელი, თამარ გოგოლაშვილისა, ანკარა (ყიფშიძისა) და სხვ. უმრავლესობა სცენისმოყვარენი იყვნენ, მაგრამ ძალიან კარგი ოსტატობით ძლევდნენ რთულ პიესებს და კარგი სახელიც ჰქონდათ მოპოვებული საზოგადოებაში.

მე პირადად თეატრის მუშაობა ყოველთვის უფრო მიტაცებდა, ვიდრე მოხელეობა ადმინისტრაციულ დაწესებულებაში. არ მიშვებდნენ, მერე როგორღაც მოვახერხე და თავი გავინთავისუფლე, მაგრამ დაწესებულებაში სამსახურს მაინც ვერ ავცდი. მწერალთა კავშირში ამირჩიეს დრამსექციის თავმჯდომარედ და დამნიშნეს „საუდის“ დირექტორად. სიტყვა „საუდიც“ ჩემსობას არ ერქვა ამ დაწესებულებას — ეს ნიშნავს „საავტორო უფლებათა დაცვის“ კანტორის შემოკლებულ სახელს. კარგა ხანს ვმსახურობდი მწერალთა კავშირ-

ში, მაგრამ ამ დროს შემუშავდა საკავშირო კონსტიტუცია და არჩეულ იქნა უმაღლესი საბჭო, საქართველოდან სხვათა შორის, მეც მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავ დეპუტატად არჩეული თორმეტი წლის განმავლობაში და ბევრი ვერაფერი, მაგრამ მაინცდამაინც ჩემს საარჩევნო უბანში დავეხმარე — ზოგან წყალი გამოეყვანათ, ზოგან გზები გაეყვანათ და ზოგან სკოლები დაეარსებინათ. ეს უფრო აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, რადგანაც კავშირის საბჭოში სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს მშრომელთაგან ვიყავი წარგზავნილი.

დაუვიწყარია ჩემთვის თვითონ არჩევნების პროცესი, მე, როგორც დეპუტატობის კანდიდატს, უნდა მომეველო ყველა ის უბნები, სადაც მე მირჩევდნენ ე. ი. დაწყებული ყაზბეგიდან ყარაიაზამდე, უფლის ციხიდან საგარეჯომდე, ამათ მოვლას მე თითქმის ერთი თვე მოუნდი და როდესაც მოახლოვდა 12 დეკემბერი 1937 წლისა, წინა დღით დავბრუნდი თბილისში და ვეახელ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ანგარიშის ჩასაბარებლად. იქ მითხრეს, რა გინდა აქაო — მე ვუპასუხე, ჩამოვედი იმისათვის, რომ ჩემი ხმა არ დავკარგო და მოვცე იმათ, ვისაც თბილისი ირჩევს მეთქი. გაეცინათ, მითხრეს, როგორ გეტყობა, რომ ძველი ინტელიგენტი ხარო. დაბრუნდი ეხლავე და იქ, სადაც შენ გირჩევენ, მიეცი შენი ხმაო. როგორ, ჩემ თავს მე მივცე ხმა მეთქი? ამაზე მიპასუხეს, რომ შენ შენ თავს კი არ აძლევ ხმას, არამედ პარტიულებისსა და უპარტიოთა ბლოკსო.

მე ავდექი, წაველ დიღომში და დიდებულად გავათეთრე ჩემი თავი. მაგრამ მანამდე კიდევ მახსოვს ერთი ეპიზოდი: ჯერ სსულ პირველად უკვე გაზეთებში იწერებოდა წერილები და ახსნა-განმარტება დეპუტატების არჩევნების ჩასატარებლად.

არჩევნებამდე, ერთი დღეს ვზივარ შინ ჩემს კაბინეტში და ჩემთან მოვიდა სტუმრად ახალგაზრდა სიმპატიური კაცი ამხ. ლომიძე, რომელიც მაშინ თბილისის გარეუბნის რაიკომის მეორე მდივანი იყო, მითხრა, წამომყევი საარჩევნო უბნებში და ხალხს გააცანი, როგორი უნდა იყოს დეპუტატიო. ეს მაინცდამაინც არ გამკვირვებია, რადგან ვიცოდი, რომ მწერლებიც დაყავდათ სააგიტაციოდ. წავყევი. ჩავედით ავჭალაში.. იქ ხალხს თავი მოეყარა. ადგილობრივმა კოლმეურ-

ხეობის თავჯდომარემ გახსნა კრება და სიტყვა მე მომცა, მეც ავდექი და შეძლებისამებრ განვმარტე დეპუტატის რთული მოვალეობა. ეს არც ისე გამჭირვებია, რადგან იმ დროს გაზეთები ხშირად აქვეყნებდნენ წერილებს დეპუტატის მოვალეობაზე, მასში ხაზგასმული იყო, რომ დეპუტატი არის ხალხის მსახური, ეს დებულება ჩემთვის, როგორც მკითხველმა ამ ნაწერიდან იცის, ძალიან გულის ახლო იყო, რადგან ბავშვობიდან ჩანერგილი მქონდა, რომ ხალხის სამსახურია უდიდესი მოვალეობა ადამიანისათვის. მეც გაუტიე ჩემ სიტყვაში და რაც შემეძლო შინაარსიანად და ლამაზად ვილაპარაკე. ჩემ შემდეგ წამოდგა ერთი იქაური კოლმეურნე და განაცხადა, რომ დადიანს მშვენივრად ცოდნია დეპუტატის მოვალეობა და სხვა კანდიდატი რად გვინდა, ეგ ავირჩიოთო. ეს რომ გავიგე, თავზარი დამეცა, ჩემთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო და გადავხედე ჩემ გვერდით მჯდომ პატივცემულ ლომიძეს. ის ჩუმ-ჩუმად იცინოდა. მე თითქო მაინც გაოგნებული ვიყავ, მაგრამ აგერ წამოდგა იქაური მასწავლებელი ქალი. შემაქო და შემამკო და იმანაც განაცხადა, რომ დადიანი უნდა ავირჩიოთო. შემდეგ წამოდგა კომკავშირელი და იმანაც ასე და... ის იყო ამირჩიეს კიდეც.

მთელი ეს პროცესი რომ მოთავდა, მივმართე პატივცემულ ლომიძეს და გახარებულმა ვუთხარი ეს ყოველივე ხომ გვირგვინია ჩემი ცხოვრებისა.

ერთხელ მოვხვდი ყაზბეგში, იქაც გამოდიოდნენ მიტინგზე და მე მაქებდნენ და მადიდებდნენ, თან ურჩევდნენ ხალხს მე ავერჩიეთ. მათ შორის გამოდგა ერთი ხანშესული ადამიანი და სხვათა შორის ასე თქვა: „ხალხო! იცით ეს ვინ არის, დადიანია, თავის ქვეყანაში მთავარი იყო და ხალხს აწიოკებდა. მადლობა ღმერთს ჩვენ მაგისი ყმები არ ვიყავით“. მე კი გულში გავიფიქრე, რას ამბობს ეს კაცი, რატომ იღუპავს თავს, მაგრამ უეცრად მოუხვია: „ვენაცვალე ჩვენს მთავრობას, რომ ჩვენი მსახური გახადაო“. სიცილი, ხარხარი და... მერე ამირჩიეს.

ერთხელ კიდევ, ყარაიაზში მივდიოდით. დეპუტატების კანდიდატებად ორნი: ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი პატივცემული ნიკოლოზ მუსხელიშვილი და მე.

ყარაიაზამდე მოგვეგებნენ ცხენოსნები და დამბაჩების

არიოლით მიგვაცილეს საარჩევნო მოედნამდე. იქ შემოგვესია ხალხი. განსაკუთრებით ქალები და მუსხელიშვილს და მე კისერზე ხელს გვისვამდნენ და გვეუბნებოდნენ... „მანულუშ“.

ეს სიტყვა მგონი „გენაცვალე“-ს უდრის.

ავედით კათედრაზე, მაგრამ ამ დროს რა მოხდა? ხალხისაგან წამოვიდა იმდენი ყვავილები და თაიგულები, რომ მუსხელიშვილი და მე სულ დაგვფარეს.

ვფიქრობ — რა ვქნა ახლა, გადავიბერტყო ეს ყვავილები და რა საკადრისია, თუ არა და სამოძრაო არა მაქვს, პირი ჩაიწმინდა მხოლოდ. მეც გამახსენდა და ამომრჩევლებს მოვახსენე: ფუტკარს ყვავილებიდან გამოაქვს წვენი და ხალხს უბრუნებს და მეც თქვენ ყვავილებს გიბრუნებთ მეთქი და ისროლე და ვისროლე თაიგულები ხალხში. განვთავისუფლდი, მერე მოვყევი და ვთქვი ჩემი სათქმელი, ყურში კი მესმის, როგორ მეგობრულად, ჩურჩულით მლანძღავს მუსხელიშვილი — „შენ გამოძვერი, მაგრამ მე რა ვქნაო“, მაგრამ სიცყ „გამოძვრა“.

ბევრი ვიცინეთ.

ყველა ამების შემდეგ მუდამ სამსახურში ვიყავი და ვარ, მაგრამ ეს სამსახური ყველა არჩევითია და უფრო ნებაყოფლობით საზოგადოებებში.

ამგვარად, მე უკვე მივედი ჩემი ცხოვრების უკანასკნელ პარიტეტამდე.

უკანასკნელი წარმოქმა

ამ ჩემ „რაც გამახსენდაში“ ძალიან „ალუნ ჩარექათ“, ეიძლება ცოტა არეულადაც, მაგრამ მე მაინც გიამბეთ ჩემი ავშვობის და სიჭაბუკის ამბები, ჩემი მსახიობობა, ჩემი მწერლობა და ჩემი სამსახური, რისგანაც შესდგებოდა მთლიანად ჩემი ცხოვრება.

უნდა გამოვტყდე, რომ კარგი სიბერე დამიდგა, ხალხისაგან ზედმეტად პატივცემული ვარ და პარტიისაგან და ხელისუფლებისაგან მოალერსებული და გამხნევებული.

მიუხედავად ჩემი ოთხმოცდაოთხი წლისა (1958 წ.) ჯერ კიდევ არ დამკარგვია ხალისი და უნარი მუშაობისა და შეძ-

ლებისამებრ კვლავ განვაგრძობ ჩემს მწერლობას და საზოგადოებრივ სამსახურს.

ასე რომ, ამჟამად პანაშვიდის მეტი არაფერი არ მაკლია, მაგრამ როდის იქნება ეს, ამას, რაც არ უნდა მოვინდომო, მაინც ვერ გეტყვით.

მანამდე კი ჩემს სათაყვანებელ სამშობლოს, ჩემს სასიქადულო ქართველ ხალხს ვუძღვნი უალრეს მადლობას, რომ მეც ერთ რიგით კაცად გამომიყვანა ამ ქვეყნად, თან გამოვთქვამ სრულ რწმენას, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ბრწყინვალეა.

კურთხეულ იყოს მისი გზა.

რაც შეეხება იმ წვალებას, რაც ჩემ გამო ჩემმა მეუღლემ ნინა გეორგევნამ (ასე ვეძახი) ჩემი ნაამბობის ჩაწერით განიცადა, ვთხოვ მის სულგრძელობას, მომიტეოს.

სარჩევი

უგელდური რუსი 5

რაც გამახსენდა 379